

780 /
1983/2



1983
National Library of the Republic of India

ಪ್ರಗತಿ

41
780/2

4

ISSN 0134 - 8648





ჭრანისკო პოია

ქორთოზინა ულგან კორტაძე

სურსათი



საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ა ლ მ ა ნ ა ხ ი

4

(55)

იულისი
ავგუსტი

1983

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

მონაარსი

კოეზია და კროზა

ივლინ ვმ. უკეთურთა მოღვა. რომანი. დახასრული. ინგლისურიდან თარგმნა ქულიეტა მკედლიშვილმა-ბაქრაძემ	8
„შიძინი“. („სიმღერების წიგნი“). თარგმნა ქარჯი ფხოველმა თომას მელორი. ამგავი მთავე ართურის ზომბისა. რომანი.	99
ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მადრაძემ	96
ადაშ მიტკევიჩი. ლექსები. თარგმნა ანზორ აბულაშვილმა იაროსლავ ვრხლიცკი. ფანჯრები პარაშოტში. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ	214
სოფოკლა. ოიდიკოსი კოლონოსში. ძველბერძნულიდან თარგმნა გიორგი ხომერქია	219
უოლტ შინდმანი. ლექსები. თარგმნა ხილოვან ნარიშანიძემ	220
ნიკოლაი გოგოლი. ცხვირი. მოთხრობა. თარგმნა ავთანდილ ქობაძემ	260
თანამედროვე ფრანგული კოეზია. ფრანგულიდან თარგმნა ხულებან ქორჯანელმა	265
რუბან დარიო. ლიტანია ჩვენს უფალ დონ კიხოტე. თარგმნა მურმან ჭგუბურიამ	280

წერილები

დალი ინჟიკიველი. ბალავარიანი მსკანურ ლიტერატურაში	291
ზურაბ სივნივაძე. გარკ ტვენის რომან „ტომ სოიერის თავგადასავლის“ პართული თარგმანი	297
გრიგოლ ფერაძე. პართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე. ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფოფხაძემ	303
ვალენტინ გროდსკი. ფრანცისკო გოია. თარგმნა ავთანდილ ვართაგავამ	311
ჰეთევან გორცვაძე. ლეონ იანეშვიცკი თბილისში. თარგმნა ამირან კენჭაძემ	318

მთავარი რედაქტორი:
მუსხრან მატყვარიანი

პ. შ. მღვანე:

ნანა მარჩია

ხარულაქციო კოლეჯი:

ელზა ახვლედიანი

ჯამალ აჯიაშვილი

ბიორგი ბაბანიძე

მზია ბაძრაძე

ზაზუნა ბრეგვაძე

მამალი თოდუა

ნოდარ პაპაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

როზან მინდიაშვილი

ბიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკიძე

რუსუდან ქაბულაძე

იორგო ქინიტაძე

ნიკო უიასაშვილი

ბივი ქნელაძე

დავით წარედიანი

ნუგზარ წარეთელი

თამარ წიკვიციაძე

როზო ზინიჭილი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ

АЛЬМАНАХ

ВСЕМИРНОЙ

ЛИТЕРАТУРВЕНური

НА **საზღვროთაშა**

ГРУЗИНСКОМ

ЯЗЫКЕ

№ 4

1983

СОЮЗ

ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ

РЕДАКЦИОННАЯ

КОЛЛЕГИЯ ПО

ХУДОЖЕСТВЕННОМУ

ПЕРЕВОДУ

И

ЛИТЕРАТУРНЫМ

ВЗАИМОСВЯЗЯМ

გარეკანზე: შრანციხეთ გონი, მანუელ იუორიოს ქალიშვილის კორტატი

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი, მხატვარი ა. ვართაგავა, ტექნედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომცემები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 01. 07. 83 წ., ხელმოწ. დასაბუქდად 8. 09. 83 წ., გალალდას ზომა 70 x 108/32
სააღრ. თ. 22,91, სახტ. თ. 28 საღებავის გატ. 28,75, ტირ. 10,000. შედეგ. № 1671.
შანი 1 შან. 60 კაპ.

საქ. კბ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ჯულიანა მჭედლიშვილმა-გაქრაქამ

48521

თ ა 3 0 VII

უმდევ ადამი გახდა მისტერ ლაყაფი. ერთ დღეს ის და ნინა „ესპინოზაში“ საუზმობდნენ და ერთმანეთს გულგარეთ ეკინკლავებოდნენ. მათ მაგიდას ერთი მოკლედ თმაშეჭრილი, საქმიანი გამომეტყველების ქალი მიუახლოვდა. ადამმა „დეილი ექსცესის“ „მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ განყოფილების გამგე იცნო.

— ერთი მითხარით, აი, იმ დღეს ბალკარნმა რომ თავი მოიკლა, თქვენ არ მოჰქვევით დილით რედაქციაში?

— დიახ.


— დიდი თავქაჯი კი შეგვეყარა და! სასამართლოში ჩვენზე უკვე სამოცდაორი საჩივარია შეტანილი ცილისწამებისათვის და ჯერ სადა ხარ! მოდის და მოდის საჩივრები. მაგრამ ამას როგორმე მოვევლება. მთავარი ის არის, რომ ახლა ბალკარნის საქმესაც მე ვაკეთებ და ჩემსასაც. რომ დაგინახეთ, ვიფიქრე, ეგებ აქ მყოფების ვინაობა გამაგებინოს და მათი ცხოვრებიდან ზოგი რამ კიდევ მომიყვეს-მეთქი.

ადამმა მას რამდენიმე მობერებული ქალი და კაცი დაანახვა.

— არა, ეგენი არ გამოგვადგება! შავ სიაში არიან შეტანილი. მონომარკმა ბალკარნის კორესპონდენტის ამბავი რომ გაიგო, კინალამ ყველანი შეგვჭამა. შერე სასტიკად გაგვაფრთხილა, რომ ისინი, ვინც ჩვენ გაზეთს უჩივლა, არამც და არამც აღარ გვეხსენებინა. მითხარით, შეიძლება ამის შემდეგ მუშაობა? ეგენი თუ არ ვახსენეთ, რაღაც უმარილო გამოგვდის ყველაფერი. ის კი არაა, პრემიერ-მინისტრი და კენტერბერის არქიეპისკოპოსიც კი ველარ გვიხსენებია. თქვენ ალბათ არავის იცნობთ, ჩვენთან თანამშრომლობა რომ უნდოდეს, არა?

— რამდენს უხდით?

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2.



— კვირაში ათ გირვანქა სტერლინგს იძლევიან და მივლინებებს ანაღდე-
ბებს, იცით ვინმე, თუ?

— მაგდენს თუ მომცემენ, შე თვითონ ვიმუშავებ!

— თქვენ? მერედა რისი მაქნისი ხართ? — უნდობლად ახედ-დახედა
ადაძს გამგემ.

— ვცდი ერთი-ორი კვირა.

— ჩვენთან მაგაზე მეტხანს მაინც ვერავინ სძლებს! ეგრე იყოს! საუზმეს
რომ დაამთავრებთ, რედაქციაში გამომყევით. ბალკარნზე უარესი რა უნდა გაა-
კეთოთ. არადა, პირველად რომ მოვიდა, თავი ძალიან კარგად მოგვაჩვენა...

— ეხლა კი შევძლებთ დაქორწინებას, — თქვა ნინამ.



ამასობაში საჩივრებმა, რომლებიც კორესპონდენციის ავტორს, ასოთა-
მწეობებს და გაზეთის გამომცემელს წაუყენეს, პირდაპირ დამბლა დასცა იუ-
რიდიული სამსახურის სისტემას მთელ ქვეყანაში. ძველი გვარდია ლედი
ბლეჭუოტერის წინამძღოლობით მთელი გატაცებით გადაეშვა სასამართლო
პროცესების ისეთ მორევში, რომლის მსგავსი ომის შემდეგ არავის მოსწრე-
ბია. (ერთმა ახალგაზრდა ადვოკატმა ლედი თრობინგის განსაკუთრებული სი-
ძალოა დაიძსახურა. „...ჩემს ასაკს რომ მიაღწევთ, გეთაყვა, დარწმუნებული
ვარ დაძეთანხმებით, რომ პარიკს ერთგვარი მომხიბლაობა გააჩნია“...).

უძცროსი თაობის წარმომადგენელთა უმეტესობამ საქმე სასამართლომდე
არ მიიტანა და ამის წყალობით მიღებული შემოსავლით, ცოტა ხანი რომ გა-
ძობდა, მიწაზე საბეღებით დაბმულ აეროსტატში გემრიელად მოიღზინა. მისს
რახსიბლს, რაკილა მის გვერდით დროულად არ აღმოჩნდა ვინმე გონიერი
მრჩეველი, ისლა დარჩენოდა, გაზეთებიდან ამოჭრილი თავისი სურათებით
ორი ალბომი გაეგსო... სურათებზე სასამართლოში მისი მრავალგზისი გამოც-
ნადება იყო აღბეჭდილი: ხან მომჩივანის როლში იყო, ხან მოწმისა და ხანაც
მისს შაუსისაგან ნათხოვარ ქუდში გამოწყობილი სასამართლოს შე' ასე უელ-
თახ „ძოდაზე ჩაცმული ქალბატონების რიგში იდგა“. ერთ სურათზე ის მომე-
ხტი გადაედოთ, როცა სასამართლოს მოხელე პრესისათვის გამოყოფილ ქა-
ხდარაზე შეპარულ მისს რანსიბლს დარბაზიდან აძევებდა. სულ ბოლო სუ-
რათზე მისს რანსიბლს პატიმრის როლში იხილავდით, რადგან სასამართლო-
სადში უპატივცემლობის გამოხატვისათვის მას ათი გირვანქა სტერლინგი ჯა-
რითა ახდა 'შვიდი დლით პატიმრობა მიუსაჯეს.

სასამართლო პროცედურა მეტად გაართულა იმან, რომ მისს შიმპანმა ინ-
ტერვიუში გახაცხადა, რაც საიმონ ბალკარნმა დაწერა, სრული სიმართლეაო.
ამასთახ ერთად მისს შიმპანმა თავის პრეს-აგენტს დაავალა მსოფლიოს ყველა
ქვეყანაში დეპეშები დაეგზავნა მომხდარი ამბის თაობაზე და მერე თავისი
ახგელოსებიანად სასწრაფოდ დატოვა ინგლისი. თურმე მოულოდნელად მიწ-
ვევა მიიღო: სთხოვდნენ, ობერამერგაუს რელიგიური ცხოვრება გამოეცოცხ-
ლებინა.

ბუენოს-აირესში მყოფი უბიწოებისა და ღვთიური გულისწყრომისაგან
დროდადრო წერილები მოდიოდა, სადაც ისინი „ლათინური ამერიკის გასა-

რთობი ბიზნესის“ თაობაზე საკმაოდ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ.

— არ უნდოდით კარგი ცხოვრება? მაშ, ის იწვნიონ, რაც უნდოდით! — თქვა ძის შიმპანშა.

— გაძოდის, რომ დიდი განსხვავება არა ყოფილა, — თქვა ღვთიურმა სურვილმა ნადვლიანად.

— ამათ რაც არ უნდა წითელი კვერცხი უგორო წინ, მზინცუკეჩი მზინცუკედებიან, რაშია განსხვავება. — თქვა მის შიმპანშა.



• •

მაილზი და მისი მოტომობოლედი დიდ უხერხულობაში ჩააგდო ედუარდ თრობინგისა და მისი ორი თანაშემწის ნაუცბათევემა დაბრუნებამ ლონდონში. ისინი იძულებული იყვნენ საცხოვრებლად „შეპარდში“ გადასულიყვნენ. მაილზი აძობდა. ძმის დაბრუნება მარტო იმიტომ კი არ მაღიზიანებს, რომ კომფორტი მომაკლდა, მთავარი ის არის, რომ ხარჯში ჩავვარდიო. რამდენიმე კვირას განმავლობაში ედუარდ თრობინგს მოსვენება ჰქონდა დაკარგული. მისი თანაშემწეები ათასგვარ უცნაურსა და რეპუტაციის შემლახავ ნივთებს პოულობდნენ სახლის ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში. მისი ლაქიაც საგრძნობლად შეცვლილიყო: ერთხელ მან, სტუმრად მოწვეულ ორ მინისტრს სუფრაზე რომ ემსახურებოდა, ხმამაღლა ამოაბოყინა; წამდაუწუმ წუწუნებდა, ჩემს აბაჯანაში ობობები დაცოცავენ და რაღაც საკრავების ხმა მესმისო. ბოლოს თეთრი ცხელემა დაეძართა, მაყაშით ხელში გიჟივით დარბოდა საკუჭნაოში და იძულებული გახდნენ სასწრაფო დახმარების მანქანით წაეყვანათ. შფოთიანი ცხოვრების ამ უშუალო მიზეზის თავიდან მოცილების შემდეგაც თრობინგის თანამშეშეებს კიდევ კარგა ხანს ჰქონდათ სიციცხლე გამწარებული ტელეფონზე რაღაც საეჭვო და ორაზროვანი საუბრებითა და გაავებული ახალგაზრდა მადაკაცების ვიზიტებით, რომელნიც მათგან ხან ახალ კოსტიუმს, ხანაც ამერიკაში წასასვლელ ბილეთებს, ანდა სულაც ხუთ გირვანქა სტერლინგს მოითხოვდნენ, რომ ერთხანს ხელი მოენაცვლებინათ.

ზემოთ აღნიშნული, თავისი მნიშვნელობით საყოველთაო ინტერესის გამოწვევა უველა ეს ამბავი მისტერ ლაყაფის მკითხველთათვის ცხრაკლიტულშია გამოკეტილი.

მისტერ მონომარკის შავმა სიამ დამლუბველი გავლენა იქონია „დეილი ექსცესის“ კორების ობიექტთა შემადგენლობაზე. თვალის დახამხამებაში მისტერ ლაყაფის მკითხველები არარაობებით დასახლებულ, უინტერესო სამყაროში აღმოჩნდნენ. გაზეთი მათ მივარდნილ პროვინციებში მცხოვრებ პერთა მახინჯი ქალიშვილების ფოტოებს სთავაზობდა. ამ ფოტოებზე მათ ვედროები ეჭირათ ხელში და მამისეულ მამულებში ქათმებს აპურებდნენ. გაზეთი აქვე იტყობინებოდა ჩერტის ეპისკოპოსის უმცროსი დის ნიშნობის ამბავს, ელმპარკ-გარდენში გამართული სადილის ამბავს, რომელიღაც კოლონიის უმაღლესი კომისრის ქვრივმა თავისი იმ მეგობრებისათვის რომ მოაწყო, რომლებიც კოლონიაში ცხოვრების პერიოდში შეიძინა. აქვე მოეთავსებინათ რომანისტი ქალების ფოტოები. ხელში მათ სპანიელები ეჭირათ და ვარდნარით გარ-

შემორტყმული კოტეჯების წინ იდგნენ. „დეილი ექსპრესი“ სტუდენტთა გამო-
სვლებზეც წერდა და ყოფილ თანაპოლკელთა შეხვედრებზეც. პარლი სტრი-
ტისა და ინს-ოფ-კორტის² ანექლოტებით ართობდა მკითხველებს. ბი-ბი-სის
ფერიშკამლებიდან დიქტორთა მიერ სადღაც სარდაფებში მსწრაფად კოქტეი-
ლის საღამოებზე, იქ ყურმოკრული დიალოგების ნაწყვეტებზე წერდნენ, გლო-
სტერ ტერასზე გამართულ საცეკვაო საღამოებს აღწერდნენ და უნივერსიტე-
ტის პროფესორ-მასწავლებელთა ხუმრობებს იმეორებდნენ.

განყოფილების გამგის დაცინვებით შეხურებულმა ადამმა ახალი სიცოცხ-
ლე და ადამიანური სითბო შთაბერა ამ მოსაწყენ ქრონიკას. მან ახალი რუბრი-
კა დააარსა, რომელსაც „ტიტულოვანი ხეიბრები“ უწოდა და რომელმაც თავი-
დახვე არხახული წარმატება მოიპოვა. ეს რუბრიკა ადამმა ძალდაუტანებელი
საუბრის ტონით დაიწყო: „ამას წინათ ერთ-ერთ წვეულებაზე ყოფნისას მე
და ჩემ გვერდით მჯდომმა სტუმარმა ყველაზე ცნობილი არისტოკრატი ქა-
ლების სიის შედგენა დავიწყეთ. რა თქმა უნდა, მათ შორის პირველი იყო
ლედი...“

შეორე დღეს ამას მოჰყვა ყრუ სახელმწიფო მოღვაწეთა და პერთა სია.
მათ ცალფეხები, ბრმები და ქაჩლები მოჰყვნენ. ინგლისის ყველა კუთხიდან
სამადლობელი ბარათების ნაკადმა იხუვლა:

„მე თქვენი სვეტის ძველი მკითხველი ვარ, — წერდა ერთი ბიუდიდან, —
მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, მართლაც სიამოვნება რომ განვიცადე.
თვითონ მე დიდი ხანია რაც ყრუ ვარ და რაოდენ სანუგეშო იყო ჩემთვის
იმის გაგება, რომ ჩემნაირად გაჭირვებულთა ბევრი ცნობილი ლედი და ჩენტ-
ლმენი. მადლობა მისტერ ლაყაფს და წარმატებას ვუსურვებ“.

შეორე წერდა: „ბავშვობიდანვე ძალიან განვიცდიდი, რომ არაჩვეულებ-
რივად დიდი ყურები მქონდა. ყველა დამცინოდა. დიდმა ყურებმა ხელი შემი-
ძალა საძსახურებრივი კარიერის შექმნაშიც (ტელეფონისტი ვარ).* რომ იცო-
დეთ, როგორ გავიხარებ, თუ გავიგებ, რომ რომელიმე დიდ პიროვნებასაც
ჩემნაირი გასაჭირი ადგია“.

დაბოლოს ადამმა მთელი ქვეყნის საგიჟეთები გადაჩხრიკა და მთელი კვი-
რის გახმაურებაში დიდი წარმატებით აქვეყნებდა სერიას სახელწოდებით:
„ტიტულოვანი შერეკილები“.

„...ყველამ როდი იცის, რომ გრაფ N-ს, რომელიც მეტისმეტად კარჩაკე-
ტილ ცხოვრებას ეწევა, ერთი არგაგონილი ახირება სჭირს. — მას ყოველთ-
ვის ხაპოლეონის ეპოქის ტანსაცმელი აცვია. მას იმდენად არ მოსწონს თანა-
ძედროვე ჩაცმულობა, რომ ერთხელ...“

„ლორდი..., რომელიც ამ ბოლო დროს საზოგადოებაში ძალზე იშვიათად
გამოდის, გულდასმით სწავლობს სხვადასხვა რელიგიებს მათი შედარების მე-
თოდით. ჰყვებიან ერთ თავშესაქცევ ამბავს იმის თაობაზე, რომ ერთხელ,
უესტ-მიხსტერის ყოფილ წინამძღვართან საუბრისას, ლორდმა ძალზე შეაშინა
მასპინძელი თავისი განცხადებით, თითქოსდა წმინდა წერილის ათი მცნება
სრულიადაც არ იყოს ღვთიური წარმოშობის და რომ ეს ათი მცნება მან თავი-
სი ხელით მიუტანა მოსეს სინაის მთაზე...“

¹ ექიმებით დასახლებული ქუჩა ლონდონში (მთარგმ.).

² იტრისტებით დასახლებული ქუჩა ლონდონში (მთარგმ.).

„...ლენი N იმდენად სრულყოფილად ბაძავს სხვადასხვა ცხოველის ხმას, რომ უჭირთ მისი დაყოლიება სხვა საშუალებით დაამყაროს კავშირი გარშემო მყოფებთან...“

და ასე შემდეგ.

ამას გარდა, რაკი ადამი დარწმუნდა, ხალხი დიდად არ დაგიფიქსირებს ამბავს გებულობს, მისთვის მთავარია დაიკმაყოფილოს სხვისი ცხოვრების წერილობაების ცოდნის პასტორისებური ცნობისწადილით, გამოგონილ პიროვნებებზე გადავიდა. მან გამოიგონა მოქანდაკე, ვინმე პროვნა, პოლონელი არისტოკრატის ვაჟიშვილი, რომელსაც გროსვენორ პაუზში, სხვენქვეშ ჰქონდა სახელოსნო. მისი ნამუშევრები, რომელთა დიდი უმრავლესობა კერძო კოლექციებშია დაცული, გაკეთებულია საცობის, ებონიტისა და ფოლადისაგან. მისტერ ლაყათმა დაადგინა, რომ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმი“ მოლაპარაკებას აწარმოებდა, რათა როგორმე პროვნას ერთი ქმნილება მაინც შეეძინა, მაგრამ ჭერჭერობით უშუდეგოდ, რადგან ვერაფრით ვერ მიაღწია არიორიტეტს კერძო კოლექციონერებთან შედარებით.

პრესის ძალმოსილება ეგზომ დიდაა, რომ ამ ცნობის გამოქვეყნებიდან სულ ცოტა ხანში პროვნას ადრეულმა ნამუშევრებმა ვარშავიდან ბონდ-სტრიტისაკებ იწყეს მოგზაურობა, ხოლო ბონდ-სტრიტიდან კალიფორნიისაკენ აიღეს გეზი. მისის ჰუპმა თავის მეგობრებს განუცხადა, პროვნა ამჟამად ჯონის ბიუსტს აკეთებს, როცა დაამთავრებს, სახელმწიფოს უნდა გადაეცეთ უსაყიდლოდ (თავის რუბრაკაში ადამს ამ ამბის ხსენება არ შეეძლო, რადგანაც მისის ჰუპი შავსიელი იყო, მაგრამ მის კონკურენტს მარკიზ ვენბრუს ხელს არაფერი უშლიდა და მანაც დრო იხელთა თუ არა, ჯონის ფოტოსურათს წარუჩერა გაუკეთა, სადაც აღნიშნა კიდეც ეს ფაქტი).

წარმატებებით გახალისებულმა ადამმა თავის მკითხველებს თანდათანობით გააცნო ბრწყინვალე და სასიამოვნო პიროვნებათა მთელი პლეადა. პირველად ახალ სახელს მართლა არსებულ არისტოკრატთა შორის გაკვრით ახსენებდა ხოლმე. მაგალითად, იტალიის საელჩოში გამოჩნდა ახალგაზრდა ატაშე გრაფი ცინცინატი, ცნობილი იტალიელი კონსულის ცინცინატუსის შთამომავალი, რომლის საგვარეულო გერბზე გუთანი იყო გამოსახული. გრაფი ცინცინატი „არაპროფესიონალ მუსიკოსთა შორის ლონდონის საუკეთესო ვიოლონჩელისტად ითვლებოდა. პირველად მისტერ ლაყათმა იგი Cafe de la Paix-ში ნახა. გრაფი ცინცინატი ცეკვავდა“. რამდენიმე დღის შემდეგ გრაფი ცინცინატი ვენბრუმ კოვენტ გარდენში დაინახა და იმის აღნიშვნაც არ დავიწყებია, რომ გრაფს ეკუთვნის რუსული ბალეტის ესკიზების უმდიდრესი კოლექცია ევროპაში. ეს რომ გაიგო, ადამმა გრაფი ცინცინატი დასასვენებლად რამდენიმე დღით მონტე-კარლოში გაგზავნა. არც ვენბრუს დაუხანებია: მკითხველებს გადაკვრით მიანიშნა, ამ ფაქტის უკან გაცილებით მეტი რამ იმალება, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანსო. და სასტუმროების მფლობელი, ცნობილი ამერიკელი ქალის ქალიშვილი ახსენა. რომელიც დეიდის ვილაში ცხოვრობდა მონტე-კარლოში.

კაპიტანი სტიუარტ-კერიც ერთი იმათაგანი იყო, ვის იშვიათ ვიზიტ-

8 ვესტმინსტერის აბატთა საგვარეულო სახლი ლონდონის ფემენებელურ რაიონში, მეიფერში. იქ იხსენება ერთ-ერთი უნიკალური კერძო კოლექცია.

ბსაც მისი ინგლისელი მეგობრები დიდი სიხარულით ელოდნენ. ყველას აოცებდა, რომ მტაცებელ ცხოველებზე მონადირე სხვა მამაკაცებისაგან განსხვავებით კაპიტანი ანგუს სტიუარტ-კერი ძალიან გამოცდილი და დაუცხრომელი მოცეკვავეც გახლდათ.

უჩინებელი

ადამი ფრიად შეწუხდა, როცა გაიგო, რომ მისი კაპიტანი სტიუარტ-კერი რომელიღაც იაფფასიანი, ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალის რეპორტიორმა მიითვისა. რეპორტიორმა, თურმე ნუ იტყვი, კაპიტანი დოღზე ნახა და თავის ჟურნალში დაწერა, კაპიტანი ჰებრიდის კუნძულებზე უძლიერეს ცნენოსნად ითვლებოდათ. ადამმა მეორე დღესვე მოულო ბოლო მსგავს გამოხდომებს:

„ზოგს ჰგონია, — წერდა ადამი, — რომ კაპიტანი ანგუს კერი, — რომელიც მე ამ ცოტა ხნის წინ მოვიხსენიე, — კარგი ცნენოსანია. შესაძლოა იგი ეშლებათ კაპიტნის შორეულ ნათესავში, ინვეროხტელ ალასტერ კერ-სტიუარტში. რაც შეეხება კაპიტან სტიუარტ-კერის, იგი ცხენზე საერთოდ არ ძგდარა და აქას თავისი, ძალზე საინტერესო მიზეზი აქვს... საქმე ის გახლავთ, რომ გალურ ფოლკლორში არსებობს ერთი ლექსი, რომელსაც კაპიტნის სახელია ცეპი დიდ პატივს სცემენ და რომელიც დაახლოებით ასე ითარგმნება: „ძებატოხე თავისი ორი ფეხითაც დიდებულად თოხარიკობს“. ლეგენდა გადმოგვცემს, როგორც კი ამ გვარის მეთაური ცხენზე შეჯდება, იმ დღიდან მთელ მათ კლახს ძოსპობის საფრთხე დაემუქრება“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება გახდა მისი ენდრიუ კვესტი. ადამს ყველაზე მეტი გასაჭირი მაშინ აღგა, როცა გამოგონილი პერსონაჟები ინგლისური წარმოშობისა იყვნენ. მკითხველებს ჩვევად ჰქონდათ დებრეტის საგვარეულო წიგნში შეემოწმებინათ ყველა ინფორმაცია. ადამმა ეს საკუთარ ტყავზე გამოსცადა, როცა ერთხელ ერთი უელსელი ბარონეტის მესამე, ყველაზე უმცროსი ქალიშვილის ნიშნობის ამბავი გამოაქვეყნა. იმავე დღეს მან ექვსი საფოსტო ბარათი მიიღო, რომლებშიც პროტესტს გამოთქვამდნენ, ტელეფონით თერთმეტჯერ დაურეკეს, დეპეშაც გამოუგზავნეს და პირადადაც ესტუმრნენ. ყოველივე ამის შედეგად ადამმა შეიტყო, რომ ბარონეტს ოჯახში თუმცა ერთიერთმანეთზე უკეთესი ორი მომნიბლავი ასული ჰყოლია, მაგრამ მცირეწლოვანნი ყოფილან. „მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ გამგე ამის თაობაზე გესლიანად დასცინოდა ადამს. ამის ძიუხედავად, ერთ მშვენიერ დღეს ადამმა რეალურად არსებულ არისტოკრატიულ გვერდით ძალზე მშვიდი და თავდაჯერებული ტონით მოიხსენია იმოჯი კვესტი, როგორც მაღალი წრის ახალგაზრდა გათხოვილ მანდილოსანთა შორის უპირველესი. იმოჯინ კვესტმა თავიდანვე გამოამყდავანა სხვათაგან გამოჩენილი პიროვნული თვისებები. თუმცა ადამმა ბრძნული პოზიცია დაიკავა

შემდგომში ეს ლეგენდა მცირე დამატებებით მთიანი შოტლანდიის თქმულებათა კრებულში შეიტანეს. კრებულს „ბინდით მოცული წარსულის თქმულებები“ ეწოდა. მალე ეს კრებული დაწყებითი სკოლების მოსწავლეათვის საკითხავ წიგნად დაამტკიცეს. ეს მაგალითი შესაძლებლად გვიჩვენებს იმ სხვაობას, რაც ფოლკლორის „ცოცხალსა“ და „მკვდარ“ ტრადიციებს შორის შეინიშნება (ავტორის შენიშვნა).

და მის წინაპრებზე კრინტიც არ დაუძრავს. გაზეთის მკითხველებმა თავი მრავალმხრივმწიფელოვნად გადააქნიეს და უმაღლ მიიჩნიეს იმოჯინ კვესტი არისტოკრატიული (თუმც არაკანონიერი) წარმოშობის ქალად. ყველა დინარჩენი სიკეთე ადამმა უზვად მიამადლა იმოჯინს. იგი საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, ხატიფი აგებულებისა და ძალიან შევგვრემანი. ისეთი თვალემა ჰქონდა, ლორახსების პორტრეტებზე რომ აქვთ ქალებს, სპორტსმენივით მოქნილი იყო (იგი ყოველ დილით საუზმის წინ ნახევარ საათს ვარჯიშობდა ფარიკაობაში). თვით პროვნაც კი, რომლის გულგრილობაც სილამაზის ტრადიციული ფორმებისადმი საყოველთაოდ იყო ცნობილი, იმოჯინ კვესტს „საუკუნის გამართლებად“ თვლიდა. იმოჯინ კვესტის ბრწყინვალე ჩაცმულობას ოდნავი დაუდევრობის ის იერი დაჰკრავდა, რაიც მანეკენი ქალის ჩვეულ chic-ზე გაცილებით ძალა დგას. მისი ხასიათის მომხიბლავ პარმონიას ურთიერთსაწი-ააღმდეგო ღირსებათა ერთიანობა ჰქმნიდა; გამკილავიც შეეძლო ყოფილიყო და შემწყვალეც, ფიცხიც და მშვიდიც, ვნებიანიც და თავშეკავებულებიც, გულის-თქმას აყოლილიც და მოკრძალებულიც. ევროპაში ერთ-ერთი ბრწყინვალე და ურთიერთკეთილადგანწყობილ პირთა წრე, რომელიც იმოჯინ კვესტის გარშემო იყრიდა თავს, გამაწონასწორებელ რგოლს წარმოადგენდა ველურობის ორ პოლუსს — ლედი პერიფერსა და ლედი მეტროლენდს შორის.

სულ მალე იმოჯინ კვესტი ყველა პატივმოყვარე კაცის ოცნებად, მოუხელთებლობის სიმბოლოდ იქცა.

ერთხელ ადამი პანოვერ-სკვერზე მალაზიაში შეჰყვა ნინას. ნინას ქუდის ყიდვა უხდოდა. ადამის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სკამებსა და მაგიდეებზე ჩამომწკრივებული მუყაოს ყუთები დაინახა. ეს ქუდები, მყვირალა იარღიყებს თუ რამე დაეჭვებათ, მისის ენდრიუ კვესტს დაეკვეთა. კოკტილის კლუბებში ადამს არცთუ იშვიათად ესმოდა მოწიწებით წარმოთქმული მისის კვესტის სახელი და შიგადაშიგ ასეთი ფრაზისთვისაც მოუკრავს ყური: „პიტერი სახლში აღარ ჩერდება, შემოგვევლე! იმოჯინ კვესტთან ათეხებს და აღაძებს“, ან „როგორც იმოჯინი იტყოდა...“ ან კიდევ „დარწმუნებული ვარ, კვესტებს ზუსტად მაგისთანა აქვთ. ერთი უნდა ვკითხო, სად იშოვეს“. იმის შეგნება, რომ სადღაც მათ სიახლოვეს არსებობს მათთვის მიუწვდომელი, კონტროლს დაუმორჩილებელ, ღირსეულ პიროვნებათა წრე, მისტერ ლაყაფის მკითხველთა არსებობას ახალისებდა და სიტკბოებას მატებდა.

ერთ დღეს იმოჯინმა წვეულება გამართა. წვეულებისათვის მზადების აღწერას ადამმა რამდენიმე პარაგრაფი მოანდომა. მეორე დღეს ადამის მაგიდაზე „დაუპატიებელი“ სტუმრების წერილების ტევა აღარ იყო. ისინი გაცილებას განოთქვამდნენ იმის გამო, რომ შითათებულ მისამართზე — სიმორ პლენსზე არავინ არ ცხოვრობდა.

დაბოლოს ადამმა შეიტყო, რომ მისის კვესტით თვით მისტერ მონომარკი დაიხტერესდა. მონომარკს აინტერესებდა, შეეძლო თუ არა ადამს იგი მისის კვესტთან შეხვედრებინა. იმავე დღეს კვესტები იამაიკაზე გაემგზავრნენ.

მერე ადამი შეეცადა თავის მკითხველთა გემოვნებაზე შეუმჩნევლად მოეხიზნა გავლენა.

„გუშინ სალამოს Cafe de la Paix-ში მეტად ელეგანტურ საგარეო კოსტიუმში გამოწყობილ ორ მამაკაცს შავი ნატის ფეხსაცმელი ეცვა. ერთ-ერთი მა-

თვანი, რომლის სახელსაც ვერ გავიმხელთ, მართლაც რომ ძალზე თვალსაჩინო პიროვნებაა. როგორც ყური მოვკარი, ეს ახალი მოდა, რომელიც სხვა ყოველგვარი მოდის მსგავსად ჩვენთან ნიუ-იორკიდან მოვიდა, წლებულს ძალიან პოპულარული იქნება“.

რამდენიმე დღის შემდეგ ადამმა კაპიტანი სტიუარტ-კერი ახსენა, რომელიც ისევ გამოჩნდა საელჩოში და ეცვა, რაღა თქმა უნდა, ულტრამოდური შავი ხატის ფეხსაცმელი“. ერთი კვირის შემდეგ ადამმა თავის გუნებაში დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ჯონი ჰუპმა და არჩი შვერტმა კაპიტან სტიუარტ-კერის შიბაძეს, ხოლო ორი კვირის შემდეგ რეჟენტ-სტრიტზე მდებარე ტანსაცმლის დიდი მაღაზიების ვიტრინებში იარლიყები გადაადგილ-გადმოაადგილეს, შავი ნატის ფეხსაცმელები ვერცხლისფერ თაროებზე ჩაამწკრივეს და წარწერაც გაუკეთეს: „საგარეო ფეხსაცმელი“ სადამოს ჩასაცმელი.

ადამის მეორე წამოწყება კი მუქი მწვანე ქუდის მოდაში დამკვიდრების თაობაზე უშედეგოდ დამთავრდა. უფრო მეტიც: ერთმა სენტ-ჯეიმს სტრიტელმა ცხობილმა მექუდემ, რომელსაც ხსენებული მაკითხის გამო ინტერვიუ გაუძართა სადამოს ერთ-ერთმა გაზეთმა, განაცხადა, რომ თავის დღეში მწვანე ქუდი არც თვითონ უნახავს და არც ამბად გაუგონია ვინმესგან; უარს არ იტყვის ასეთი ქუდის შეკერვაზე, თუკი რომელიმე მისი ძველი კლიენტი მოისურვებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ არც ერთი მისი ძველი კლიენტი მსგავს სურვილს გულშიც კი არასოდეს გაივლებს. თუმცა ახსენდება ერთი გაღარიბებული დეხდი, რომელმაც სცადა თავისი ძველი ნაცრისფერი ქუდი მწვანე მელნით შეედება, ისე, როგორც ოდესღაც, მრავალი წლის წინ, საღილეში გასაკეთებელ მიხაკებს ღებავდა ხოლმე.

დღე დღეს მისდევდა და მისტერ ლაყაფის სვეტს თითქმის მთლიანად გამოგონილი პერსონაჟები ავსებდნენ. მოეპრიანებოდა ადამს და ვინ დაუშლიდა, თავის მკითხველებს ულტრამოდურ რესტორნებზე მოუთხრობდა, დაჰყავდა ისინი ბლუმსბერის ფხიზელთა საზოგადოების სასტუმროებში საცეკვაო სადამოებზე. ერთხელ, ერთ შენიშვნაში, რომელსაც „ბელგრავიის მონპარნასი“ უწოდა, ადამმა თავის მკითხველებს აუწყა, სლოუნ-სკვერის მეტროს სადგურის ბუფეტი თანამედროვე შემოქმედებითი ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილიაო (როგორც კი დრო გამონახა, მისტერ ბენფლიტმა სასწრაფოდ მონახულა ხსენებული ბუფეტი, მაგრამ იქ მისის ჰუპისა, ლორდ ვენბრუსა და ერთი შემთვრალი, ცელულოიდის თეორსაყელოიანი პლებების მეტი არავინ დახვედრია).

იმ უიღბლო დღეებში, როდესაც ადამს ფანტაზია დალატობდა და კაცთმოძულეობა დარევდა ხოლმე ხელს, რაიც ურთველად ემართებოდა, როგორც უბრალო ქრონიკიორებს, ასევე რომანისტებსაც. იგი ნუგეშს იმაში ჰპოვებდა, რომ რომელიმე უბრალო, ჩრდილში მდგარ მოქალაქეს ამოიღებდა მიხახში და პოპულარობის თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ასტყორცნიდა.

სწორედ ასეთი საქმე დამართა მან ერთს — მეტსახელად წითურას.

სამსახურის საქმეებზე ადამი ხან სად ამოკყოფდა ხოლმე თავს და ხან სად. ერთხელაც ის და ნინა მანჩესტერში ჩავიდნენ, ნოემბრის ჰანდიკაპზე დასასწრებად. აქ მათ მძიმე გამოცდა ელოდათ: „ინდური რაში“ ფინიშთან პირველი ძივიდა და იმათ, ეინც ამ ცბენზე ჩავიდა ფულს, ტოტალიზატორში დიდი მოგება ხვდათ წილად. ადამის ჩასვლა მანჩესტერში თანხვდა მწვანე

ქუდის კოძპახიას და ადამი შეკრებილ ხალხს გულდასმით ათვალიერებდა, მაგრამ სულ ამაოდ. მათ ჩაცმულობაზე თავისი გავლენის ოდნავი კვალიც კი ვერ შენიშნა. უცებ მან ხალხში თვალი მოჰკრა იმ მთვრალი მაიორის მხიარულ, გადაჟღაჟებულ სახეს, რომელსაც ლოტისთან ათასი გირგანქა მსტურ-ლიხვი ჩაუთვალა ხელში. პირდაპირ საკვირველი იყო, ეს მოზვერივით კაცი როგორ უცებ გაუქრა თვალსა და ხელს შუა. ადამი დარწმუნებით იმასაც კი ვერ იტყოდა, შენიშნა თუ არა იგი მაიორმა. ოღონდ ეს კია, ადამი რომ მისკენ გაეშურა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი, მაიორი აღარსად ჩანდა. მაყურებლები მათარებსა და სენდვიჩებს თავს ზემოთ იქნევდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ. მერე ხალხი ერთ ადგილას შეტბორდა და როცა ადამმა, როგორც იქნა, იმ ადგილს მიაღწია, სადაც მაიორს მოჰკრა თვალი, დაინახა, რომ იქ ორ პოლიციელს ორი ჯიბის ქურდი დაეჭირა.

— რა ხელებს იკვრევენები, — შეუღრინეს ადამს გარსშემოკრებილმა უსაქმურებმა.

— აქ სადმე მთვრალი მაიორი ხომ არ დაგინახავთ? — ჰკითხა მათ ადამმა. ადამს ვერავინ აპოვნინა დაკარგული მაიორი და იგი ცხვირჩამოშვებული დაბრუნდა ნინასთან, რომელსაც მოწითალო უღვაშებიანი ახალგაზრდა კაცი ესაუბრებოდა.

ახალგაზრდა კაცმა თქვა, დოღი ყელში ამომივიდაო, და ადამმაც თქვა, ძეც ყელში ამომივიდაო. მაშინ ახალგაზრდამ თქვა, რა იქნება ჩემი ოთხთვალათი რომ დავბრუნდეთ ლონდონშიო, და ადამმა და ნინამ უპასუხეს, რატომაც არაო. „ოთხთვალა“ ახალთახალი, უზარმაზარი სასრბოლი მანქანა აღმოჩნდა და სადილისათვის ისინი უკვე ლონდონში იყვნენ. ნინამ ადამს უთხრა, მე და ეს ახალგაზრდა კაცი პატარაობისას ერთად ვთამაშობდით და ეს ხუთი წელია ცვილონში რაღაც სამხედრო საქმეებთან დაკავშირებით იყო წასულიო. ახალგაზრდა კაცს ედი ლიტლჯონი ერქვა. შუა სადილობაში რომ იყვნენ, ედი ლიტლჯონმა თქვა, მოგცლიათ ერთი, სხვები თუ წითურას მეძახიან, რატომ არ შეიძლება თქვენც წითურა დამიძახოთო. ასე რომ, ლიტლჯონი ადამისა და ხინასათვისაც წითურა გახდა. წითურამ თქვა, რას იტყვით, კიდევ ერთ ბოთლს რომ მოვუგრიხოთ კისერიო, და ადამმა და ნინამ თქვეს, ძალიანაც კარგიო. მათ ორკვარტიანი კიდევ შეუკვეთეს, და ბოლოს დამეგობრდნენ კიდევ.

— რას გეტყვით, იცით, — თქვა წითურამ, — ნაღდად ბედი მქონია, დღეს რომ შეგზვდით. ცოტაც და ლონდონი ყელში ამომივიდოდა. ეს რა დაწყველილი ქალაქია! ინგლისში დაბრუნება იმიტომ მიხაროდა, ვფიქრობდი, კარგ დროს გავატარებ, ჩემ ჰიას გავახარებ, ერთი ლოთიანად შევუბერავ-მეთქი და ასე შემდეგ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ! ამას წინათ გაზეთს ვკითხულობდი და ასეთ რამეს მოვკარი თვალი — ყველაზე ნაღდი საცეკვაო ადგილი დღესდღეობით სასტუმრო „კაზანოვაში“ არისო. კინალამ ჰკუდიდან ავიწიე: ეს როგორ, ისეთი რა სასტუმროა, მე რო არ ვიცი-მეთქი. მერე ვიფიქრე, რა ვიცი, მე წასული ვიყავი, ვინ იცის, რა არ მოხდა ამ ხნის განმავლობაში, მოდა ხომ ძალიან სწრაფად იცვლება-მეთქი. რაც, შემეძლო გამოვიპრანქე და წავ-ჩერჩეტდი. ცოტა თვალს წყალს დავალევიინებ-მეთქი. მივედი და რას ვხედავ! ხიძლავსა ვარ, ეგეთი რამე არსად გექნებათ ნანახი... ორიოდე კაცი ტლინკაობდა. ვიკითხე, ბარი სადა გაქვთ-მეთქი. გაიოცეს: ბარიო?! ვუთხარი, რა-

მე რომ დალიოს კაცმა-მეთქი. მითხრეს, როგორმე ყავას მოგიხვებათო. ყავა არა, ის არ გინდათ-მეთქი. მაშინ მითხრეს, იმათ სიტყვებს ვიმეტრებ, — ალკოჰოლიახი სასმელების გაყიდვის ლიცენზია არა გვაქვსო¹ მითხრეს ეს არის თქვენი ლონდონი, მაშინ მე ისევ ჩემი კოლომბო² შემარჩუნებია. შეტავი ვინ წერს გაზეთში ამეებს.

— თუ მართლა ძალიან გაინტერესებთ, გეტყვით: მე ვწერ.

— არა, მართლა?! საშინლად ჭკვიანი კაცი ჩანხართ. მწვანე ქულებზეც თქვენს წერდით?

— ჰო.

— კარგით ერთი! მწვანე ქუდი ვის გაუგონია. რას გეტყვით იცით, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი მკითხველების გასაბითურებლად არის მოგონილი. მე თუ მკითხავთ, მაგარი რამეა. წარმოგიდგენიათ, — რამდენ რეგვენს შეეძლო ამდგარიყო და მწვანე ცილინდრი დაეხურა.

შემდეგ ისინი Cafe de la Paix-ში წავიდნენ. იქ მათ ჯონ ჰუბი დაუხვდათ, რომელმაც ისინი წვეულებაზე დაჰპატიჟა. წვეულება უნდა გამართულიყო რამდენიმე დღის შემდეგ მიწაზე დამაგრებულ დირიჟაბლში.

მაგრამ წითურას ორჯერ გაცურება იოლი საქმე არ იყო.

— დირიჟაბლი არა, ის არ გინდათ, — თქვა მან, — სად გაგონილა დირიჟაბლში ქეიფი! ჰო, კარგი, მაგრამ ვთქვათ და ვინმე გადმოვარდეს, მაშინ?

აღამმა „ექსცესის“ რედაქციაში ტელეფონით გადასცა მასალა თავისი სვეტისათვის, ამის შემდეგ რამბით განათებულ სცენაზე ნატის ფეხსაცმლებში გამოწყობილი მულატი მომღერალი გამოვიდა. მულატის დანახვამ წითურას გაუნება აჟუმღვრია. ზანგების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუკი მათ თავისი ადგილი იციან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამხელა გზა კოლომბოდან ლონდონამდე იმიტომ ხომ არ გამოვიარე, რომ ზანგების ხილვით დავმტკბარიყავიო, თქვა წითურამ. ასე რომ, მათ Cafe de la Paix-ი მიატოვეს და ლოტისთან წავიდნენ. ლოტისთან წითურა უფრო მეტად ჩამოიქუფრა და წუწუნს მოჰყვა. ლონდონი როგორღაც აღარ მეჩვენება, ყველა და ყველაფერი შეცვლილიაო.

— იცით, რას გეტყვით, — თქვა წითურამ, — რაც ინგლისიდან წავედი, დღე არ იყო, არ მეფიქრა, როგორც კი ჩემი წინაპარი სულს მამაზეციერს მიაბარებს და მემკვიდრეობა და დუბლონები³ მე დამრჩება, მაშინვე ინგლისში ამოვყოფ თავს და ერთი მამაპაპურად შევუბერავ-მეთქი. ახლა, როცა საქმე საქმეზე ძიდგა, გამოდის, რომ მაინცდამაინც დიდი სურვილი აღარაფრისა მაქვს.

— ხომ არ დაგველია? — იკითხა ლოტამ.

წითურამ დალია და მერე მან და ამერიკელმა რამდენჯერმე იმღერეს იტოხელი ხიჩბოსნების სიმღერა. საღამო დასასრულს უახლოვდებოდა. როცა წითურამ აღიარა, იმპერიის ამ ბებერ, მზიარულ დედაქალაქში ჯერ კიდევ ბეუტავსო სიცოცხლის რაღაც ნატამალი.

მეორე დღეს მისტერ ლაყაფის მკითხველებმა შეიტყვეს, რომ...

„კაპიტანი ლიტლჯონი, ანუ წითურა, როგორც მას მეგობრები ეძახიან, ხოვებრის ჰანდიკაპის მონაწილეთა შორის თავისი სპორტული გარეგნობითა და ახალი მწვანე ქუდით გამოირჩეოდა. კაპიტანი ლიტლჯონი არისტოკრატიულ

¹ დუბლონი — ესპანური ოქროს მონეტა.

წრეებში ცხოვრობდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სასურველი სასიოთაგანი... მის სახელს ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებდნენ ერთ-ერთი ცხოვლი პერსონის ერთადერთი ქალიშვილის გათხოვებასთან დაკავშირებით... გუბიხდელ დოღზე იგი საკუთარი „ოთხთვალათი“ მოვიდოდა თვითონ ხართავს...“

რამდენიმე დღის განმავლობაში წითურას ისევ და ისევ ახსენებდნენ ადამის სვეტში. წითურას, ეს ამბავი ძალიან ეხამუშებოდა. ვის აღარ ასახელებდნენ წითურას საცოლედ. დადიოდა ჭორები, თითქოს მან კინოკომპანიასთან ხელშეკრულება დადო, რომ ბრისტოლის ყურეში პატარა კუნძული იყიდა და რომ სურს იქ დააარსოს კლუბი; რომ დაწერა რომანი, რომელიც ცეილონის თემას ეძღვნება და ამ რომანში ლონდონის არა ერთი და ორი ცხოვლი პიროვნებაა შეფარვით გამოყვანილი, თუმცა მათი ამოცნობა სრულიად იოლად ხერხდება.

ეს იყო ძნოლოდ, მწვანე ქუდის ისტორია საკმაოდ გაჯანჯლდა და მონომარკმა ადამი დაიბარა.

— იციტ, რას გეტყვით, საიმზ, — თქვა მონომარკმა, — მე თქვენი სვეტი ძალიან მომწონს. კარგად არის შეკმაზული. მიღეთის ახალ ხალხს გვაცნობს და მე რომ გულითადობა მომწონს, არც ის აკლია. თქვენს სვეტს მეც და ჩემი ქალიშვილიც ყოველდღე ვკითხულობთ. თუ ასე განაგრძეთ, ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ ამ მწვანე ქუდებზე ეს რა ამბავი ატეხეთ?

— რასაკვირველია, სერ, მწვანე ქუდს დღესდღეობით ძალიან ცოტანი იხურავებს, ძაგრამ...

— თქვენ თუ გაქვთ? შეგიძლიათ მიჩვენოთ?

— სამწუხაროდ, მე თვითონ არ ვხმარობ.

— მაშ სად ნახეთ? პირადად მე არავის თავზე არ დამინახავს. არც ჩემს ქალიშვილს უნახავს. ვინ იხურავს? სად ყიდულობენ? აი, რა მაინტერესებს. კარგად მომიხმინეთ, საიმზ! მე არ ვამტკიცებ. მწვანე ქუდი საერთოდ არ არსებობს-მეთქი. შეიძლება არსებობს კიდევ, თუმცა შეიძლება არც არსებობდეს. ძაგრამ დღეიდან ჩემი გაზეთი მწვანე ქუდზე კრინტსაც არ დასძრავს, ზომ გაიგონეთ? და კიდევ... ეს გრაფი ცინცინატი... არ ვამბობ. საერთოდ არ არსებობს-მეთქი. იქნება კიდევაც არსებობს, მაგრამ იტალიის ელჩმა მის შესახებ არაფერი იცის და „ვუთურ ალმანახშიც“ არაფერია მასზე ნათქვამი... რაც შეეხება ჩემს ვაზეთს, ეს ცინცინატი ჩვენ ზომამზე მეტჯერაც ვახსენეთ... და აღარც „ესპინოზაზე“ გამაგონოთ სიტყვა. გუშინ სალამოს ანგარიში სწორად არ გამომიწერეს. აი, ეს სამი რამ! ზომ კარგად გაიგეთ? თავში კარგად ჩამონომრეთ — 1, 2, 3. — მახსოვრობას განივითარებთ, ხშირად გაი-მე-ორეთ! კარგი. ეხლა გეყოფათ! გაიქეცით და შინაგან საქმეთა მინისტრს უთხარით. შეემოვიდეს. დერეფანში იცდის. დაბალი, მახინჯი კაცია! პუნსნე უკეთია!

თ ა ვ ი VIII

მესამე სალამოს ადამმა და ნინამ წითურა დირიფაბლში მოწყობილ წვეულებასზე წაიყვანეს. დროსტარება მაინცდამაინც ვერ გამოუვიდათ. დირიფაბლი ხალკის ძიურუებულ გარეუბანში პალოზე დაებათ. გარეუბნამდე წითურას

მანქანით იმგზავრეს და ის მზიარულეა და ხალისი, წითურას მანქინძლობით შირთმეული სადილის განმავლობაში დროდადრო რომ აჩენდა ხოლმე თავს, გზაში სადღაც გაქრა.

დირიჟაბლს თითქმის მთელი მინდორი დაეკავებინა, რომდენიმე ფუტით ასცილებოდა და იმდენი ტროსით იყო დაბმული, რომ კიბისაკენ მიმავალი სტუმრები წამდაუწუმ ბორძიკობდნენ და თავპირს იმტვრევდნენ. მაღალი საზოგადოების თაყვანისცემას მიჩვეულ თადარიგთან მასპინძლებს კიბეები გრძელი, წითელი ნოხით დაეფარათ.

ერთმანეთთან რკინის გადასასვლელებითა და სპირალური კიბეებით დაკავშირებულ სალონებში სივიწროვე იყო და ცხელოდა. კაცი ნაბიჯს ვერ გადადგამდა, რაღაცას რომ არ წამოსდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ მისს რახსიბლი ერთიანად დალურჯებული იყო. დირიჟაბლში ბარი მოეწყობა, ორკესტრიც უკრავდა. აქ ყველა იცნობდა ერთმანეთს. ახალი მხოლოდ ის იყო, რომ აქამდე არავის მოსვლია აზრად წვეულების მოწყობა დირიჟაბლში.

ზემოთ რაღაც ტერასის მაგვარი მოეწყობა და ადამი იქ ავიდა. აბრეშუმის უზარმაზარი თალები, ცის დანახვის საშუალებას რომ არ იძლეოდა, ნიავზე ნება-ხება ირწეოდა. მანქანების ფარების შუქზე მოჩანდა გადათელილი ბალახი. სეირის მოლოდინში ირგვლივ უსაქმურები ირეოდნენ. იქვე, ადამის გვერდით ბალიშებზე მიწოლილი წყვილი სიყვარულს ხარკს უხდიდა. ადამისათვის უცხოები ახალგაზრდა ქალი ბავირს ჩაბლაუჭებოდა და მძიმედ სუნთქავდა, — როგორც ჩახს, ცუდად იყო. სიყვარულის ერთ-ერთმა მოხარკემ სიგარეტს მოუკიდა და ადამმა მაპარაჯა პაკაპორი იცნო.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ნინა.

— როცა ორივე შეყვარებული მდიდარია, ეს ამოდენა ქონება რა ტყუილად ცდება, არა? — თქვა ნინამ. მას მხედველობაში მისს მაუსი და მაპარაჯა პაკაპორი ჰყავდა.

— მოდი მალე დავქორწინდეთ რა, ნინა?

— ჰო, ცალ-ცალკე მართლაც მოსაწყენია.

ახალგაზრდა ქალმა, თავს ცუდად რომ გრძნობდა, ბარბაცით ჩაუარა მათ, რომ როგორმე თავისი პალტო და თავისი კავალერი მოეძებნა, რომელიც სახლში წაიყვანდა.

— ...არ ვიცი, იქნებ სისულელეა, მაგრამ ჩემი აზრით ქორწინება დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა გრძელდებოდეს. ძალიან, ძალიან დიდხანს არ უხდა დაირღვეს. შენ როგორ ფიქრობ? — ჰკითხა ადამმა ნინას.

— ჰო, ქორწინება ამით არის მიმზიდველი.

— როგორ მიხარია, ნინა, რომ შენც ასე ფიქრობ. მართალი გითხრა, შენგან არ მოველოდი. ასე რომ არ იყოს, რაღაც უაზრობა გამოდის, არა?

— მე მგონი, შენ კიდევ უნდა ნახო მამაჩემი, ადამ! — წერილის მიწერას აზრი არა აქვს. უნდა ჩახვიდე და უთხრა, რომ სამსახური იშოვე, რომ საშინლად გაძდიდრდი და რომ შობამდე აუცილებლად უნდა დავქორწინდეთ.

— კარგი, ზუსტად მასე მოვიქცევი.

— ...გახსოვს, ერთი თვის წინ რომ გადავწყვიტეთ წასულიყავი და გენახა... მაშინაც ზუსტად ასე იყო... არჩი შვერტის წვეულებისას...

— ოჰ, ნინა! ამ წვეულებებს ბოლო არ უჩანს...

(წვეულებები ნიღბებით, ეგრეთწოდებული ველურთა წვეულებები, ვიქტორიასული წვეულებები, ელინური, კოვბოური, რუსული წვეულებები, კოსტუმირებული წვეულებები, წვეულებები სენტ-ჯონის ტყეში, როდესაც ველური თიბეტის შიშვლები არიან, წვეულებები ბინებსა თუ სტუდენტულ კლუბებსა თუ გემებზე, სასტუმროებსა თუ ღამის კლუბებში, ქარვასში, ქვეყნებსა და საცურაო აუზებში, საღამოები სკოლებში, როცა ჩამოყვანილი ხარ ფუხთუშები, ბეზე და დაკონსერვებული კიბორჩხალები ჭამო, ოქსფორდული საღამოები, სადაც მუქ შერის სვამენ და თურქულ სიგარებს ეწევიან, მოსაწყები საცეკვაო საღამოები ლონდონში, სასაცილო საცეკვაო საღამოები შოტლანდიაში, გულისამრევი საცეკვაო საღამოები პარიზში... ეს მუდამ ცვალებადი და მაინც ერთი და იგივე ადამიანთა ხროვა... უკეთესთა ეს მოღვაწე...)

შუბლი რომ გაეგრილებინა, ადამმა ნინას მხარზე თავი მიაყრდნო და იდაყვთა აკოცა.

— ყველაფერი მესმის, ძვირფასო, — თქვა ნინამ და თმაზე ხელი გადაუსვა.

ფრაკის კალთებქვეშ ხელებდაწყობილმა წითურამ კმაყოფილი სახით ამოალაჯა ტერასაზე.

— როგორ არის საქმეზე რას იტყვით, რომ კარგი სანახავია აქაურობა?

— კარგ დროს ატარებ, წითურ?

— ძაშ არადა! იცით, აქ ერთი მაგარი ბიჭი გავიცანი. მაილზი ჰქვია. კარგი ვიხდვია. ძველი ძმაკაცოვით მელაპარაკა, იცით? ეს წვეულებები მსწორედ ამიტომ მიყვარს. არ შეიძლება კარგი ვინმე არ გაიცნო. ზოგ-ზოგის გამოსაცხობად ძველი საუკუნე არ გეყოფა. მაილზისნაირები კი მაშინვე მეგობრულად გიწყებენ ლაპარაკს. კარგ კაცს ერთი შეხედვით ვცნობ.

ამასობაში მანქანები უკან, ლონდონისაკენ რიგრიგობით გაიკრიფნენ. მისს რანსიბლმა თქვა: ლესტერ სკვერთან ერთი სასწაული ღამის კლუბი ვიცი, სადაც, რა დროსაც არ უნდა მიხვიდე, სასმელით გაგიმაპინძლდებიან, ამ კლუბს წმინდა ქრისტეფორეს კლუბი ჰქვიაო.

წითურას მანქანით ყველანი იმ კლუბში წავიდნენ.

გზაში წითურამ თქვა: იცით, ეგ თქვენი მაილზი რაღაც უცნაური ჩანსო.

წმ. ქრისტეფორეს კლუბის პოვნას კარგა ხანს მოუხდნენ. ბოლოს მიაგხეს. ძალაზიის შესასვლელის გვერდით ერთი პატარა კარი დაეტანებინათ. კაცმა, რომელმაც სტუმრებს გამოხედა. ქუჩა შიშით დაზვერა, თან, ოღონდ გაძოდებული კარისათვის ფეხი არ მოუცილებია. კლუბში შესასვლელი ბილეთი ათი შილინგი ღირდა. კლუბის სტუმართა წიგნში გამოგონილი სახელებით ჩაეწერნენ. ყოველივე ამის შემდეგ ყველანი სიგარების კვამლით სავსე, ჩახუთულ სარდაფში ჩავიდნენ. კედლების გასწვრივ ბამბუკის მოყანყალებულ ფეხებიანი ძაგიდები იდგა და ღინოლუქმდაგებულ იატაკს ლაპლაპი გაუდიოდდა. რამდენიმე კაცი ცეკვავდა. მათ მხოლოდ მოკლესახელოიანი პერანგები ეცვათ.

მძივებით ამოქარგულ ყვითელ კაბაში გამოწყობილი ქალი პიანინოს უკრავდა. მეორე ქალს ასეთივე, მძივებით ამოქარგული ოლონდ წითელი კაბა ეცვა და ვიოლინოს უკრავდა.

ვინაე შეუკვეთეს, ოფიციალტმა თქვა: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დღეს არაფრით არ შემიძლია სასმელი მოგართვათ, პოლიციიდან ეს-ეს არის და-

რეკეს და შეგვატყობინეს, რეიდის ჩატარებას ვაპირებთო. თუ ასეებით, შემოიძლია შებოლილი თევზი მოგიტანოთო.

მისს ჩანსიბლმა თქვა, შებოლილი თევზი ვერაფერი შეილი სასმელია და საერთოდაც ეს კლუბი მთლად ჩამპალი რაღაც ყოფილა.

წითურამ თქვა: რა ვუყოთ, რაკი მოვსულვართ, ზოგებს, ის ძაინც გავსინჯოთო. მერე ნინას სთხოვა, მეცეკვეო, და უარი მიიღო. მერე მისს ჩანსიბლს სთხოვა და მანაც არაო, უპასუხა.

მერე ყველამ ჭამა შებოლილი თევზი. უცებ ერთ-ერთი მოცეკვავეთაგანი (რომელსაც აშკარად მოესწრო კარგა ბლომად დაღევა, სანამ სენტ ქრისტოფერ კლუბში პოლიციიდან დარეკვდნებ) მათ მაგიდასთან მივიდა და ადამს უთხრა:

— თქვენ მე არ მიცნობთ. მე გილმორი ვარ. ქალების წინაშე აურზაურის ატეხვა არ მინდა, მაგრამ როცა პირწავარდნილ თავხედს ვხედავ, მივდივარ და პირდაპირ ვეუბნები.

ადამმა ჰკითხა:
— ერთი მითხარით, ლაპარაკისას რატომ იღობლებით?
გილმორმა უპასუხა:

— ეს ჩემი ფიზიკური ნაკლია ბავშვობიდანვე და ის, რომ შენ ამის შესახებ ხმაშალლა თქვი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა პირწავარდნილი თავხედიცა ბრძანდები.

მერე წითურამ თქვა:
— პირწავარდნილი თავხედისაგან გვესმის და ცოტა უფრო მეტისაგანაც!
მერე გილმორმა თქვა:

— წითურ, ძმაცაც, შენა ხარ?
წითურამ თქვა:
— უპ! ბილი ყოფილა! ბილი ჩვენი ბიჭია! არაფერი გეწყინოთ, ჩვენი ბიჭია, გეძზე გავიცანი!

გილმორმა თქვა:
— აქაურობა გემოზე დამყაყებულ რამეა! წამოდით, ბიჭებო, ჩემთან წავიდეთ და იქ დავლიოთ.

ყველახი გილმორის სახლში წავიდნენ გილმორის სახლი ერქვა ერთოთახიან პინას რაიდერ სტრიტზე. სახამ გილმორს სააბაზანოში გული ერეოდა. დანარჩენები საწოლზე ჩამოსხდნებ და ვისკი დალიეს.

მაშინ იყო, წითურამ რომ თქვა:
— რას გეტყვით, იცით? ლონდონის მჯობნი ქალაქი მთელ დუნიაზე არ ძეგულება.

სწორედ იმ საღამოს, როდესაც ადამი და ნინა ღირიყაბლის ტერასაზე იდგნენ, ანკორაჯ ჰაუზში სრულიად სხვა ყაიდის წვეულება გაემართათ. ეზოს სიღრმეში ძდგარი, ხეებითა და ცოცხალი ღობეებით მოჩრდილული, სვეტებიანი ფასადით დამშვენებული ანკორაჯ ჰაუზი ლონდონის არისტოკრატიულ რეზიდენციათაგან ერთ-ერთი უკანასკნელი გახლდათ. რკინა-ბეტონით ნაგებ ცა-

თადბჯებთა შუა გამოკყულეტილი, ამჟამად ლონდონის ერთ-ერთ „მომხიბლავ ღირსშესახიშნაობად“ ქცეული ეს ნაგებობა ისე ნატიფი. შთაბეჭდილება და სხვასამყაროსეული ჩანდა, რომ მისის ჰუპს გულმა რეჩხი ბარჯი მოქცეო. როცა იგი თავისი მანქანით სახლის სადარბაზოსთან მისრიალდა,

— განა არ გეჩვენებათ, თითქოს ჩვენ არგვლივ აჩრდილდებიან და დაბრუნდებიან? — ლობეზ — ჰკითხა მან ლედი პერიფერს კიბეებზე ასვლისას. — პატი, ფრესი, ბერკი, ლედი ჰამილტონი, მომხიბლავი ბრამელი და დოქტორი ჯონსონი. ნუ-თუ ვერ ხედავთ მათ, ბალთიან ფეხსაცმელებში გამოწყობილთ? (აქვე შევნიშნავთ, რომ ცნობილ პიროვნებათა ესოდენი მოზღვაგების პირობებში რაღაც ძხიშვხელოვანი აუცილებლად უნდა მომხდარიყო).

ლედი პერიფერმა ლორნეტი მოიმარჯვა და სავარდერობო ოთახებიდან გამოსულ სტუმართა ნაკადი მოათვალიერა. სტუმრები იმ წუთში რატომღაც ძალბან წააგავდნენ მეტროს სადგურიდან ამოსულ სიტის თანამშრომლებს. ლედი პერიფერმა თვალი მოჰკრა მისტერ კეიფსა და ლორდ მეტროლენდს. როძლებიც ცენზურის თაობაზე გამოქვეყნებული კანონპროექტის შესახებ მსჯელობდნენ (ეს იყო ზედმიწევნით აუცილებელი სახელმწიფოებრივი ღონისძიება, რომელიც ხუთი ათეისტისაგან შემდგარ კომიტეტს უფლებას ანიჭებდა გაეხადგურებინათ ყველა წიგნი, სურათი თუ ფილმი, რომელთაც ისინი არასასურველად ჩათვლიდნენ; ეს კანონპროექტი არაფრად მიიჩნედა ისეთ სისულელეებს, რასაც თავდაცვისა და გასაჩივრების უფლება ჰქვია). ლედი პერიფერმა დაინახა, ავრეთვე, ორივე არქიეპისკოპოსი, სტეილის ჰერცოგი ძეუღლითურთ, ლორდი ვენბრუ, ლედი მეტროლენდი, ლედი თრობინგი, ედუარდ თრობინგი, მისის ბლეჭუოტერი, მისის მაუსი, ლორდი მონომარკი და ვილაც დიდებული ლევანტინელი. ხოლო მათ უკან და მათ ირგვლივ მთელი პლეადა ღვთისმოსავი და ღირსეული ხალხისა (მათ შორის არაერთი და ორი იყო ისეთი, ვისი მოსვლაც ანკორაჟ ჰაუზში ამ თავყრილობას წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ხლიდა). მათ ქალებს ბრწყინვალე, ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი კაბები ეცვათ. მამაკაცებს მკერდი ბოჯუკიალა ორდენებით დაემშვენებინათ. ეს ის ხალხი გახლდათ, თავის ქვეყანას უცხო მხარეში ელჩობას რომ უწევენ. შვილებს ქვეყნის დასაცავად გამართულ ბრძოლებში რომ გზავნიან, რათა თავი შესწირონ სამშობლოს. ხალხი, რომელიც პატიოსან და ზომიერ ცხოვრებას ეწევა; კულტურას მოკლებული, უმშუალო, მოურიდებელი, ყოველგვარი კულაბზიკობისაგან თავისუფალი, არაპატივმოყვარე, თავისუფალ მსჯელობას მიჩვეული, თავის უცნაურობაო არდამძალავი ხალხი, კეთილი ხალხი, რომელთაც ცხოველებში მათს ღარიბები უყვართ. თავისი ადგილი რომ იციან; მამაცი და სწამაოდ თავკარიახი ხალხი, საგანთა არსებული, აწ თავქვედაქანებული წყობის ეს დიდებული სული და გული კიბის თავთან მდგარ ლედი ანკორაჟს ხელის ჩამოსაბრძევიად ისეთი მრავლისმთქმელი გულითადობით მიეახლებოდნენ, როგორც თაც ოდესმე თავიანთი შემოქმედის წინაშე წარსდგებიან, როცა მათი ხარი დაოეკავს. ამის შემყურე ლედი პერიფერმა მშობლიური ნახირის სუნი იკრა, მაგრამ აჩრდილები არ დაუნახავს.

48571

— ხეტაი თქვენ, მოგცლიათ ერთი! — თქვა მან. — თაც შეეხება მისის ჰუპს, კიბის ყოველი საფეხურის ავლისას იგი სულ

ქ. მარქსის სახ. საჯ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

უფრო მეტად იძირებოდა იმ გაურკვეველ მაგრამ დიდებულ რჩენებაში, რასაც შეთვრამეტე საუკუნის ხიბლი ჰქვია.



• •

სასტუმრო ოთახში სამეფო ოჯახის წევრის ყოფნა საავდრო ღრუბელივით დასწოლოდა და უკიდურესობამდე დაბავდა ატმოსფეროს. ბარონესა იოშივარა და პრემიერ-მინისტრი ერთხელ კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— ამ კვირაში თქვენი ნახვა ორჯერ ვცადე, მაგრამ ორივეჯერ დაკავებულნი იყავით. ხუთთუ არაფერი გაგიგიათ? ლონდონიდან მივდივართ. ჩემი მეუღლე ვაშინგტონში გადაიყვანეს. თავისი სურვილით...

— რას ამბობთ, ბარონესა! არაფერი გაგიგია! წარმოდგენა არა მაქვს! ძალიან ცუდია, ყველას მოგვაცლდებით თვალში.

— ვიფიქრე, იქნებ მივიღე და განოვეთხოვო-მეთქი. მომავალ კვირას, როდელი დღეც გინდათ, სულ თავისუფალი ვარ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! ძალიან სასიამოვნო იქნება! ორივე მობრძანდით, ჩემი მდივანი ჩულისათვის ყველაფერს მოაგვარებს.

— ლონდონში ყოფნა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო... თქვენ ძალიან კეთილად შექცეოდით.

— როგორ გეკადრებათ, რა სათქმელია! არ ვიცი, რა გაგვაძლებინებდა ლონდონში, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები რომ არა.

— უა, შენი... ჯანდაბას იქით გქონია გზა. შე ხის თავა შენა! — მოულოდბელად თქვა ბარონესამ და გაბრუნდა.

გაოგნებულმა მისტერ კეიფმა თვალი გააყოლა. ბოლოს ესლა თქვა: — ეს იმითომ, რომ აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთი კიდევ დასავლეთი და ვერასოდეს ერთად ვერ მოძოვენ (ეს დასკვნა საკმაოდ უნიათოდ ეღერდა ყოფილი საგარეო მინისტრის ბაგეთაგან).

ედუარდ თრობინგი სტეილის პერცოგის უფროს ქალიშვილს ესაუბრებოდა. პერცოგის ქალიშვილი რამდენიმე დღეშით ძალიად იყო ედუარდ თრობინგზე და საუბრისას კაცისაკენ იხრებოდა, რომ ამ ხმაურში მისი მონაყოლიდას კოლონიაში მოგზაურობის შესახებ არაფერი გამოჰპარვოდა. პერცოგის ქალიშვილს ისეთი კაბა ეცვა, როგორც მხოლოდ პერცოგთა მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი უფროსი ქალიშვილებისათვის შეიძინონ. კაბა ალაგ-ალაგ შეაუქუქებულ-შენაოქებული და უადგილო ადგილებში ძველებური მაქსახებით გაწყობილი-გალამაზებული იყო. კაბიდან ქალიშვილის ფერმკრთავაშთო, მის სახეზე ვერ ნახავდით არათუ ბუდრისა და ფერუმარლის, არამედ აოძადის კვალსაც კი. უფერული თმა უკან სადად გადაევარცხნა და შუბლზე ბოტყელი ლენტით წაეკრა. ყურებზე მარგალიტის მოგრძო საყურეები ეკეთა და მარგალიტისავე ეელსაბამი მჭიდროდ შემოსალტოდა კისერზე. ყველა დაიწმუხებულნი იყვნენ, რომ რაკი თრობინგი ჩამოვიდა, მათ ნიშნობას სულ მალე გამოაცხადებდნენ.

ლელი ურსულა ამ საქმეში დიდ ენთუზიაზმს თუ არ ამჟღავნებდა, ყოველ

შემთხვევაში არც საწინააღმდეგო ჰქონდა რამე. როცა გათხოვებაზე ფიქრობდა (რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რადგანაც მისი ინტერესები ძალიან ხად იყო მიძარბული კენინგტაუნის გოგონათა კლუბისა და სასკოლო ასოციაციის უმცროსი ძმისაკენ), მხოლოდ ის აწუხებდა, რა საშინელებაა, რამდენად უცხოა გაჩენას აძღენი წამება და წვალება სჭირდებაო. მისი გათხოვილობის მიზეზები ამაზე თითქმის სიამოვნებით ლაპარაკობდნენ, დედამისი კი სასოებით.

ედუარდ თრობინგს ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებაში ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი და თუ მაინც აკიანურებდა ქალის ხელის თხოვნას, მთავარ მიზეზი მის ზოზინა ხასიათში იყო საძიებელი. გულში მას გადაწყვეტილი ჰქონდა აღდგომამდე ყველაფერი მოემთავრებინა და მისი ბუნების კაცისათვის ესეც ბევრი იყო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დღეს-ხვალ ხელის თხოვნისათვის ხელსაყრელ შემთხვევას მისცემდნენ. უდავოდ ხელსაყრელია, რომ კაცმა ცოლი მანამ მოიყვანოს, სანამ ოცდაათი წელი არ შესრულდება! ხანდახან, როცა ურსულასთან იყო, მას მესაკუთრის რაღაც გაურკვეველი გრძობა უჩნდებოდა ქალის სინაზისა და მიუკარებლობის შემყურეს. ზოგჯერ, როცა რომელიმე უხამს რომანს კითხულობდა ან კიდევ სცენაზე სასიყვარულო ეპიზოდებს უყურებდა, თავის გუნებაში გმირი ქალის მაგივრად, ხშირად ძალიან უადგილოდაც, ლედი ურსულას წარმოიდგენდა ხოლმე. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ შეყვარებული იყო. იქნებ სულაც ამ საღამოსვე სთხოვოს ცოლობა და ამით მოათავოს საქმე! ყველაფერი ურსულაზეა დამოკიდებული, როგორმე ხელსაყრელი მომენტი უნდა შეუქმნას. მანამდე კი ედუარდ თრობინგი მონრეალის მუშების შრომითი მოწყობის პრობლემებზე ელაპარაკებოდა ქალს და უხლა ითქვას, რომ ამ საკითხში დიდ ერუდიციასა და სიზუსტეს იჩენდა.

— ედუარდი სასიამოვნო, საიმედო ბიჭია, — თქვა პერცოვის მეუღლემ, — ისიც სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს, რომ ჩვენს დროში ახალგაზრდებს ასე გულწრფელად მოსწონთ ერთმანეთი. რა თქმა უნდა, დარწმუნებით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ გუშინ ფანი თრობინგს ველაპარაკე და იგრძობა, რომ ედუარდს მასთანაც უსაუბრია ამ საკითხზე. ჩემი ვარაუდით აღდგომისათვის საქმეს გავათავებთ. მართალია, სიმდიდრე თავზე არ გადასდით, მაგრამ ჩვენს დროში ეს ვილას უკვირს. თანაც მისტერ კეიფი მის ნიჭიერებას დიდად აფასებს. პარტიაში მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.


— კი, გენაცვალე! — თქვა მისის პერიფერმა, — თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ მე რომ მკითხოს კაცმა, თავს მაინცდამაინც არ მოვიკლივდი, რომ ჩემი ქალიშვილი მაგ ოჯახისათვის მიმეცა. — ჩამპალი ხალხია! ჯერ მაგისი მამა და დაინახე! ეხლა ძმას აღარ იკითხავ! რასაც მაგის ძმაზე ლაპარაკობენ, თუ ყველაფერი მართალია, მთლიად წასულა ხელიდან და ისაა.

— ჩემზე რომ იყოს, არ დავიჩემებდი, სასიძოდ მაინცდამაინც ეგ მანდა-მეთქი. რაც მართალია, მართალია! მაგ ბედასლებს მართლაც სჭირდება რაღაც უსაშველო... მაგრამ ხომ იცით, ეხლანდელი ახალგაზრდები რა ჩიუტები არიან... თანაც ერთმანეთი ძალიან მოსწონთ... ისიც არ დავავიწყდეთ, რომ საცოლო კაცები ახლა სანთლით არიან საძებარნი. ყოველ შემთხვევაში, მე მათ ვერსად ვხედავ.

— ეგენი ახალგაზრდები კი არა, არამზადები არიან! არც ერთი არ უქნია ღებრთს! — თქვა ლედი პერიფერმა.

— წაძღაუწუმ რომ იმ საშინელ წვეულებებს აწყობენ, ახლა ამას აღარ

იკითხავთ? არ ვიცი, რას ვიზამდი, ჩემს ურსულას თუნდაც ერთხელ რომ მოე-
სურვებინა ასეთ წვეულებაზე წასვლა... საცოდავი კახეები...
— მე რომ ვიოლა კახშის ადგილას ვიყო, იმ გოგონასთან შეგვჩად მივბე-
გავდი...



საუბარი „ჩვენს ბრწყინვალე ახალგაზრდობაზე“ ჩამოვარდა და შთქნა-
რებასავით მოედო ყველას. სამეფო ოჯახის წევრმა თქვა, რა ცოტა ახალგაზრ-
და გვესწრება ამ საღამოზეო, და ის რამდენიმე ბედნიერი დედა, რომელთაც
როგორღაც შთახერხეს და კაბის კალთაზე გამობმული ერთი ქალიშვილი მაინც
მოიყვანეს თან, სიამაყისაგან გაიბადრნენ და სიბრაღულით გადახედეს დანარ-
ჩებებს.

— როგორც მითხრეს, ისინი დღეს თავიანთ მორიგ წვეულებას მართა-
ვენ. აძჯერად თვითმფრინავში, — თქვა მისის მათსმა.

— თვითმფრინავში? რა უცნაურია!

— თვითონ მერის, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ
მისმა პირისფარეშმა უთხრა ჩემსას...

— კიტი, საყვარელო! რა მაინტერესებს, იცი? ნეტავი რას აკეთებენ
ისინი ამ თავის წვეულებებზე? ნუთუ ისინი...

— კი, გენაცვალე! თუ სინამდვილეა, რასაც ამბობენ, ნამდვილად მასეა...

— ეჰ, რას არ მივცემდი, ახალგაზრდობა რომ დაებრუნებინათ ჩემთ-
ვის...

— აჰ! ახალგაზრდობა რომ დაგვიბრუნდებოდეს, კიტი! ვახსოვს, რა ნერ-
ვების წყვეტად გვიჯდებოდა სულ ოდნავი თავნებობაც კი? დილდილაობით ის
სიიღუმლო კურკური... გვერდით ოთახში კი დედას ეძინა!

— ისიც არ დაივიწყო, ჩემო კარგო, ძალიან საეჭვოა, რომ ახალგაზრდე-
ბი ყველაფერ ამას ჭეროვნად აფასებდნენ, ისე, როგორც ჩვენ დავაფასებ-
დით! მაგათ ჰგონიათ, ასეც უნდა იყოსო! Si la jeunesse savait!⁶ — Si la vieil-
lesse pouvait⁷, კიტი!

იმავე საღამოს, ცოტა მოგვიანებით, მისტერ კეიფი თითქმის დაცარიელე-
ბულ სასტუმრო ოთახში იდგა და შამპანურს წრუბავდა. მისი ცხოვრების
კიდევ ერთი ეპიზოდი დამთავრდა, კიდევ ერთხელ ჭირვეულად გაკრთა და
გაუჩინარდა ნეტარების ცრუ დაპირება. საცოდავი მისტერ კეიფი! — გაი-
ფიქრა მისტერ კეიფმა საცოდავი, საცოდავზე საცოდავი კეიფი! რაღაც ზეშ-
თავობების, რაღაც ზეაღმტაცისა და შემძვრელი განცდის ზღვართან მისული,
მაგრამ ყოველთვის ძლეული! კოლეგებისაგან დაკორტნილი, უგემოვნო კარი-
კატურისტთა შემოსავლის წყაროდ ქცეული! ჰა და ჰა! — პრემიერ-მინისტრი.

⁶ სიკაბუკემ რომ იცოდეს! (ფრ.)
⁷ სიბერეს რომ შეეძლოს! (ფრ.)

და მეტი არაფერი! ან კი იყო მისტერ კეიფი უკვდავი სული? — ვაძიებო
 კეიფმა. — ჰქონდა კი ფრთები, იყო თავისუფალი და შეუზღუდველი ან მარა-
 დისობასთან წილნაყარი? — ისევ მოსვა შამპანური და ბედისწერას დამორჩი-
 ლებული მისტერ კეიფი თითებით თავის „ღირსების ორდენის“ კენჭს წაე-
 თაძაძა.

სწორედ ამ დროს მიუახლოვდნენ მას ლორდი მეტროლენდი და მამა
 როტშილდი.

— მარგო წავიდა, რაღაც წვეულებას აწყობენ დირიჟაბლში. ჩვენს აბა-
 ლგაზრდებზე ლედი ანკორაქს თითქმის მთელი საათი ველაპარაკე.

— დარჩა კი ვინმე, ამ საღამოს ახალგაზრდებზე რომ არ ელაპარაკა? ჩე-
 ძი აზრით ძაგაზე უინტერესო თემა არ არსებობს.

— მაშ რაღაზე ვივლავთ თავს, თუ ყოველივე ამას გამგრძელებელი არ
 გყოფება?

— რა „ყოველივე ამას?“ — მისტერ კეიფმა მიმოიხედა. დარბაზში ორი
 ლაქის ძეტი აღარავინ იყო და ისინიც დილით ორანჟერიიდან გამოგზავნი-
 ლი ყვავილებივით მოთენთილიყვნენ და კედელს მიყრდნობოდნენ.

— რა „ყოველივე ამას?“

— რას და მმართველობის მთელ ამ ამბებს.

— ძე თუ მკითხავთ, ყველაფერი ეს უღვთო, გამოძფიტავ შრომას მოით-
 ხოვს კაცისაგან და სამაგიეროდ გახვრეტილი გროშისასაც ვერაფერს ლეუ-
 ლობს. თუ ამ ახალგაზრდებმა განსაკუთრებული რამ მოიფიქრეს და უამყვე-
 ლაფროდ ცხოვრებას მოახერხებენ, პირადად მე შათთვის გზა დამილოცნია.

— ჩემთვის გასაგებია მეტროლენდის აზრი, — თქვა მამა როტშილდმა.

— ვცხონდებოდი, რომ შესმოდეს! ასეა თუ ისე, მადლობა ღმერთს, შვი-
 ლები არა ძყავს. ამ ახალგაზრდების არაფერი შესმის. ომის შემდეგ მათ წინაშე
 ისეთი პერსპექტივები იყო გადაშლილი, როგორც არც ერთ თაობას არა ჰქო-
 ნია. მთელი ცივილიზაცია იყო გადასარჩენ-გადასაკეთებელი. ეგენი კი აბა
 რას აკეთებენ? ლაზღანდარობის მეტს არაფერს. ისიც იცოდეთ, რომ მხია-
 რული დროსტარების წინააღმდეგი როდი ვარ. გავკადნიერდები და ვიტყვი,
 რომ ვიქტორიანული ეპოქის შეხედულებანი დიანაც ნამდვილად ზედმეტად
 ძეკარი იყო. თქვენი წოდების წინაშე ბოდიშს მოვიხდი, როტშილდ, და მოგა-
 ხსენებთ, რომ სანამ კაცი ახალგაზრდაა, სწორედაც შეიძლება თავი ცოტათი
 ხედაზე ძიუძვას. ეს ძალიან ადამიანური სისუსტეა. მაგრამ ამ ჩვენს ახალ-
 გაზრდებს რაღაც წარმოუდგენელი ჭირთ. აი, თუნდაც თქვენი გერმანიის
 მეტროლენდი ან იმ საცოდავი კაზმის ქალიშვილი, ანდა თრობინგის ძმა.

— რომ არ ფიქრობთ. — თქვა რბილად მამა როტშილდმა. — რომ ეს
 ყველაფერი ერთგვარად ისტორიულად განპირობებულიც კია? არა მგონია.
 ადამიანებს ოდესმე ჰქონდეთ რწმენის დაკარგვის სურვილი, რელიგიური თუ
 სხვა რომელიმე რწმენისა. ბევრ ახალგაზრდას არ ვიცნობ. მაგრამ ვისაც
 ვიცნობ, თითქმის ყველა საბედისწერო მიდრეკილებას იჩენს პერმანენტული-
 სადნი. ეს ამდენი განქორწინებები ჩემი აზრით სწორედ ამის დამადასტურე-
 ბელია. ანდა ადამიანებს აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ არსებობა... მარტო ეს
 ერთი აიტყვა „ფიქცია“. ყველას რომ პირზე აკერია, რაღა ღირს... მკერდით
 აღარ აკმაყოფილდებიან. ერთ ჩემს კერძო მასწავლებელს უყვარდა ხოლმე
 თქმა: „თუკი მივიჩნევთ, რომ საერთოდ ღირს რამის კეთება, მაშინ ეს „რამე“

კარგად უნდა გაკეთდეს. ჩემი ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში ქადაგებდა ამას, ოღობდ სხვა სიტყვებით. ახალგაზრდებმა კი, როგორც ჩანს, ჯიხის მეორე ბოლოს ჩასჭიდეს ხელი და, ვინ იცის, იქნებ არცა სცდებიან. ისინი ამბობენ: „თუკი რამე არა ღირს იმად, რომ კარგად გააკეთო, მაშინ საჭიროდ არა ღირს ამ რაძის გაკეთება“. ეს მათ ცხოვრებას მეტისმეტად ანობს.

— ღმერთო ჩემო, ართულებს და მერე როგორ! რა ტუტუტური პრინციპია! კარგი და ადამიანმა რომ ისეთი არაფერი გააკეთოს, რისი კარგად გაკეთებაც არა ღირს, იქნება კი რამე გასაკეთებელი? მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩვენს პირობებში წარმატება დამოკიდებულია იმის ცოდნაზე, თუ რამდენად ზუსტად განსაზღვრავ, საშუალებათა რა მინიმუმი დასჭირდება ამა თუ იმ საქმეს... მთავარია ენერჯიის განაწილება... ვიმედოვნებ, უმრავლესობა დაძვოანხდება, თუ ვიტყვი, რომ ამ გზით ცხოვრებაში საკმაო წარმატებას მივალწიე.

— კი, ნაძღვილად დაგეთანხმებიან, კეიფ! — თქვა მამა როტშილდმა და კეიფს ცოტა არ იყოს დამცინავად შეხედა.

პრემიერ-მინისტრის შინაგანი, თვითმამხილებელი ხმა უკვე სდუმდა. თავის დასაძმვიდებლად არაფერი სჯობს პატარა წაკამათებას. როგორც კი სიტყვებში ჩაძოისხა, ყველაფერი იმ წუთში გამარტივდა.

— ძაიხც რას გულისხმობთ „ისტორიულად განპირობებულში“?

— თუნდაც ისეთ რამეს, რაც ეს კარს მომდგარი ომია...

— რომელი ომი? — იკითხა პრემიერ-მინისტრმა მკაცრად. — კაციშვილს ჩემთახ ომზე სიტყვა არ დაუძრავს. ჩემთვის უეჭველად უნდა ეთქვათ. ერთი ვნახოთ, — თქვა კეიფმა გამომწვევად, — როგორ დაიწყებენ ომს ჩემთან მოუთათბირებლად. მაშ, მთავრობა რაღა საჭიროა, თუ მის წევრებს შორის მეტი ხდობა არ იქნება? კი მაგრამ, ეს ომი მაინც რაღაში დასჭირდათ?

— საქმეც ეგ არის! ომზე არავინაც არ ლაპარაკობს და არც არავის არ სჭირდება. არავინ არ ლაპარაკობს იმიტომ, რომ ომი არავის არ სჭირდება. ომისა ისე ეშინათ, რომ მაგაზე ერთ სიტყვასაც ვერავის დააცდენინებთ.

— მაშ, რაღა რჯით? თუ არავის უნდა, ვინ აიძულებთ?

— ჩვენს დროში ომები იმიტომ კი არ იწყება, რომ ხალხს ომი უნდა. პიროებით! ჩვენ მშვიდობა გვწყურია და ჩვენს გაზეთებს განიარაღების შესახებ მოწყობილი კონფერენციების ანგარიშებით ვავსებთ. მაგრამ სტაბილურობის საფუძვლები მთელ მსოფლიოში მორყეულია და სულ მალე ჩვენ ყველანი სიკვდილის ბრკყალებში აღმოვჩნდებით ჩვენი მშვიდობისმოყვარული განზრახვებიანად.

— როგორც ვატყობ, თქვენ ამის შესახებ ყველაფერი იცით. — თქვა მისტერ კეიფმა. — ვიმეორებ, ჩემთვისაც ცოტა ადრე უნდა ეთქვათ. მაშ, ისევე რომ ბებერ ლაქლაქა ბრაუნთან კოალიციას მოგვახვევენ თავს.

— ძე მაინც არ მესმის. — თქვა მისტერ მეტროლენდმა. — რა კავშირი აქვს ყოველივე ამასთან იმ ფაქტს, რომ ჩემი გერი სასმელში იღრჩობა და ყველაფერ თავის ზანგ საყვარელთან ერთად დაბრძანდება.

— პირდაპირი. პირდაპირი კავშირი აქვს! მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან რთული ასახსნელია. — თქვა მამა როტშილდმა.

შემდეგ ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

მამა როტშილდმა ეზოში სამგზავრო კომბინეზონი გადაიცვა, თავის მო-

ტოციკლეტს შემოაჯდა და სიბნელეში გაუჩინარდა, რამეთუ დაძინებამდე მას კიდევ ბევრი ვინმე უნდა ენახა და მრავალი საქმე მოეკვარახკინებინა.

ლორდმა მეტროლენდმა მასპინძლის სახლი გუნებაგაფუძვებულად დას-
ლოვა. მანქანა მარგომ წაიყვანა, მაგრამ ეს არაფერი! ჰილ სტრამსტენსტენი
ხუთი წუთის სავალიც არ იყო. მან პორტსიგარიდან უხარბუხარო მისი
ალოიდო, მოუვიდა და ნიკაბი პალტოს ბეწვმოვლებულ საყელოში ჩაარგო. ამით
აგი ზედმიწევნით დაემსგავსა ისეთ კაცს, რომელიც საყოველთაო შურს იწ-
ვევა. რადგან კეთილდღეობის მოართულ ფორმულას ჰგავს. მაგრამ მეტრო-
ლენდს გული დამძიმებული ჰქონდა. რა აბდაუბდა არ წამოროშა ამ როტშილ-
დმა! ყოველ შემთხვევაში ლორდ მეტროლენდს სურდა ჰგონებოდა, რომ რაც
როტშილდმა თქვა, აბდაუბდა იყო.

რალაც ავბედად ლორდი მეტროლენდი თავისი სახლის კარს მაშინ მაღ-
და, როცა პიტერ პასტმასტერი ხელის ფათურით ცდილობდა გასაღების მო-
რგებას კლიტისათვის. სახლში ერთად შევიდნენ. ლორდმა მეტროლენდმა კარ-
თან მდგარ პატარა მაგიდაზე ქუდს მოჰკრა თვალი. როგორც ჩანს, უმცროსი
ტრამპინგტონია, — გაიფიქრა მან. გერს მისთვის არც კი შეუხედავს. მაშინ-
ვე ბარბაციით აუყვია კიბეს, გვერდზე ქუდმოგდებულს ქოლგა ისევ ზელში
ეჭირა.

— ლამე მწვიდობისა. პიტერ! — უთხრა ლორდმა მეტროლენდმა გერს.
— აჰ! ჯახდაბას იქით გქონია გზა! — თქვა გერმა ხრინწიანი ხმით. მერე
მისკენ მებრუნდა და დაუმატა:

— ხვალ რამდენიმე დღით საზღვარგარეთ მივდივარ. დედაჩემს ხომ ეტ-
ყვით?

— კარგ დროსტარებას გისურვებ, — თქვა ლორდმა მეტროლენდმა, —
ესაა მხოლოდ, ამ დროს ჰადაც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან სიცივეა. თუ
გინდათ, იახტა წაიყვანეთ, მაინც არავინ ხმარობს.

— აჰ, ჯახდაბას თქვენი თავი!
ლორდი მეტროლენდი თავის კაბინეტში შევიდა, რომ იქ სიგარის მოწვევა
დაემთავრებინა. უხერხული იქნებოდა, უმცროს ტრამპინგტონს კიბეებზე რომ
შეჩვენებოდა. მეტროლენდი ძალზე მოხერხებულ სავარსებელში ჩაჯდა... როტ-
შილდმა თქვა, საფუძვლებია მორყეულიო... საფუძვლები... ლორდმა მეტრო-
ლენდმა თავისი კაბინეტი მოათვალიერა. მზერა წიგნებზე შეაჩერა: „ეროვნულ
ბიოგრაფიათა ლექსიკონი“, „ბრიტანეთის ენციკლოპედიის“ ძალიან ძველი და
დიდი ფორმატის გამოცემა, „ვინ ვინ არის“, დებრეტი, ბერკი, უიტაკერი, ჰან-
სარდის*, რამდენიმე ტომი, რამდენიმე „ცისფერი წიგნი“[†] და ატლასი: თით-
პირის კაბეღურჩიანი სეიფი, მისი საწერი მაგიდა, მისი მდივნის საწერი მაგიდა,
რამდენიმე კომფორტული სავარძელი და რამდენიმე უბრალო სკამი. სინზე
გრაფინები და სენდვიჩიანი თეფშები აწყვია. მაგიდაზე სალამოს ფოსტა გაუ-
შლიაფო. მორყეული საფუძვლები! როგორ არა, მაშინათვე! საცოდავი კეიფი!
ყველა ვიგინდარა იეზუიტმა ეგ როგორ უნდა მოატყუოს!

ლორდმა მეტროლენდმა კარის გაღების ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ალა-
სტერ ტრამპინგტონი წავიდა.

* ჰანსარდის გამოცემები — პარლამენტის სახლობათა ოფიციალური ანგარიშები (მთარგმნ.).

† საიდუმლო სათათბიროს დოკუმენტები (მთარგმნ.).

დატოვეთ... და ჩემად ავიდა თავის საძინებელ ოთახში... საფერფლეზე
დატოვეთ... სიგარა ბოლავდა და კაბინეტს სასიამოვნო არაობით ავსებდა.
რეტროლუხების სახლიდან მეოთხედი მილის მანძილზე სტრეის პერ-
კოვის მეუღლე თავისი უფროსი ქალიშვილის საძინებელ ოთახში შევიდა, რა-
თა ჩვეულებისამებრ მისთვის ძილი ნებისა ესურვებინა. პერცოვის მეუღლემ
ჯერ ფანჯარა მიხურა, რადგან ცივი და ნესტიანი საღამო იყო, მერე საწოლთან
მივიდა და ბალიში გაასწორა.

— თილი ხეისა, ჩემო გოგონა, — თქვა მან, — ამ საღამოს ძალიან კარ-
ვად გამოიყურებოდა.

ლუდი ურსულას თეთრი ბატისტის გრძელსახელოიანი და მრგვალსაყუ-
ლოიანი ღამის პერანგი ეცვა. თმა ორ ნაწნავად დაეწნა.

— დედა, — თქვა მან, — ამ საღამოს ედუარდმა კოლობა მთხოვა.

— რა სასაცილო გოგო ხარ, შენ შემოგვევლე! რატომ აღრე არ მითხარი?
ხომ არ ძეგვემინდა? ხომ იცი, რომ მე და მამაშენს ის გვიხარია, რაც ჩვენს
პატარა გოგოს ბედნიერებას მოუტანს.

— კი, ვუთხარი, ვერ გამოგყვებით-მეთქვ... ძალიან ვწუხვარ...

— რა გაქვს შესაწუხებელი, ჩემო კარგო! შენს ბებერ დედას მიანდე ყვე-
ლაფერი, დილისათვის ყველაფერს მოგიგვარებ.

— აჰ, მაგრამ, რომ არ მინდა გავყვე, დედიკო?! მე თვითონაც არ ვიცო-
დი, სანამ საქმე საქმეზე არ მიდგა. შენც ხომ იცი, ვფიქრობდი, გავყვები-მე-
თქვ. მაგრამ როცა მითხრა... არ შემიძლია...

— დაწყნარდი, ჩემო გოგონი! მეტს ნულარ სწუხხარ! შენ ხომ ამშვენივ-
რად იცი, რომ მე და მამაშენი ისეთს არაფერს გააკეთებინებთ, რაც შენი
სურვილების საწინააღმდეგო იქნება. ეს ისეთი საქმეა, რომელიც მხოლოდ
შენ შეგიძლია გადაწყვიტო. ბოლოს და ბოლოს შენი ბედი წყდება და არა
ჩვენი, არა, ურსულა?... მაგრამ ჩემი აზრით, შენთვის უკეთესი იქნება ედუ-
არდს გაპყვე.

— კი, დედიკო, მაგრამ რომ არ მინდა?... ვერ შევძლებ... გადავყვები ამ
ამბავს!

— გეყოფა, გეყოფა, ჩემო პატარა! ამაზე ფიქრით თავს ნუ აიტკივებ.
ხომ იცი, მე და მამაშენს შენი ბედნიერება გვინდა, საყვარელო! არავინ არ
აპირებს ჩემს ძვირფას გოგონას ისეთი რამ გააკეთებინოს, რაც მას არ სურს.
ხვალ დილით მამიკო ედუარდს ნახავს და ყველაფერს მოაგვარებს. ლედი ან-
კორაჯი, ამ საღამოს წვეულებაზე რომ ვიყავით, თქვენზე ამბობდა, რა შესანი-
შხავი წყვილი იქნებაო.

— კი, დედიკო, მაგრამ...

— ხმა აღარ ამოიღო: გენაცვალე! ძალიან გვიანაა, შენ კი ხვალ ედუარდს
ენდა მოეწონო, ხომ მართალი ვარ, საყვარელო?

პერცოვის მეუღლემ კარი ფრთხილად გაიხურა და თავის ოთახში შე-
ვიდა.

პერცოვი თავის საძინებელ ოთახში იყო.

— ეხდრიუ!

— რა მოხდა, ძვირფასო? ვლოცულობ!

— ედუარდმა დღეს საღამოს ურსულას ხელი სთხოვა.

— აჰ!

- არ გინახია?
- ხომ გითხარი, გენაცვალე, ვლოცულობ-მეთქი.
- რა ბედნიერებაა, როცა ხედავ, რომ ბავშვები ასე ბედნიერები არიან.



თ ა ვ ი IX

გეორგე დღეს შუადღისას ადამმა ნინას დაურეკა:

- ხიხა, ძვირფასო, გლვიძავს?
- არ შეღვიძა, მაგრამ...
- მოძისძინე, ნინა! შენ მართლა ვინდა, რომ დღეს მამაშენთან წავიდე და პოველაბარაკო?

- ჩვენ რა, ასე გადავწყვიტეთ?
- კო.
- რა უხდა უთხრა?
- სამსახური ვიშოვე და მე და ნინა ხომ არ დავქორწინებულყავით-მეთქი.

— კო, გამახსენდა! ძალიან კარგი, წადი და ნახე, საყვარელო! კარგად იქნებოდა დავქორწინებულყავით.

- ამ ჩემს რუბრიკას რა ვუყო?
- რა რუბრიკას, გენაცვალე?
- ჩემი რუბრიკა "ექსცესში", ჩემი სამსახური, როგორ არ გესმის...
- აჰ!.. მოიცა, მოიცა!.. მე და წითურა დავწერთ შენ მაგივრად.
- არ დაგეზარებათ?

— პირიქით! გადასარევი იქნება... მე ხომ ვიცი, შენ როგორც წინ ხოლმე... მე მგონი, უკვე საცოდავი წითურაც კი ხვდება, როგორ წერს წუხელის როგორ მოიღვინა, არა?... ცოტასაც წავიძინებ... ნახვამდის, საყვარელო!

ადამმა ისაუბრა. გვერდით მაგიდას აგათა რანსიბლი და არჩი შვერტი ესხდნენ. აგათამ თქვა, ხვალ ყველანი მოტორბოლაზე მივდივართო, და ადამს პკიოხა, მეხ და ნინა ხომ არ წამოხვალთო. ადამმა უთხრა, წამოვალთო, მეტი ადამი ეილსბერიში გაემგზავრა.

კუბეში ადამის პირდაპირ ორი ქალი იჯდა და ისინიც ახალგაზრდებზე ლაპარაკობდნენ.

...დავ ასაკის ბიჭისათვის მართლაც, რომ მშვენიერი ადგილია, ესეც ვუთხარით მამამისმაც და მეც. კიდევაც უნდა გინახოდეს-მეთქი. ცუთხათო, ჩვერს დროში მასეთი ადგილის კი არადა მაგაზე უარესის შოვნაც შეძელია. საერთოდ ჭირს სამუშაოს შოვნა და რა დროს რჩევა-რჩევაა-მეთქი, აი, თუნდაც ძისის პეძინგუეის, ჩემი მეზობლის ბიჭი ავიღოთ. სკოლა წელიწადსაც ვერის წინ დააბთავრა. მაგრამ სამსახური რომ ვერ იშოვა, მთელი დღეები საბლშია შხარ-თეძოზე წამოწოლილი. ბოლოს ისღა მოახერხა, რომ დაუსწრებლად სწავლობს, სამოქალაქო ინჟინრის დიპლომი რომ აიღოს, პოდა, ძალიან კარგი ადგილია-მეთქი, ვუთხარი ჩემ ბიჭს. იმის იმედი ნუ გექნება, რომ სამუშაო დაგაინტერესებს. სამსახური საინტერესო ვის გაუგონია-მეთქი ეს კია, დროთა ვახდავლობაში მიეჩვევი, როგორც მამაშენი მიეჩვია და ბოლოს ძეგ...

ძიეწვევი, რომ მოგეწონება კიდევაც-მეთქი. იციო, ალფრედი როგორ ატარებს სვეტულებას? როცა შეებულებაშია, არც კი იცის, დრო როგორ მოკლას. ერთი კი გახედავს ზღვას და იტყვის, აი, ამის ნახვა კი ღირდაო, მაგრამ მაშინვე იწყებს ფიქრს, ნეტავი ახლა რას აკეთებენ ჩემთან სამსახურში. ბობს ყველაფერი ეს ავუხსენი, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. საავტორიტეტო ბიზნესის გარდა არაფრის გაგონება არ უნდა. ვეუბნები, საავტორიტეტო ბიზნესი იმათთვის არის ხელმისაწვდომი, ვისაც პროტექცია აქვს, ვთქვათ და საქმე არ აგეწყოს, ვისი იმედითა ხარ, ახლა ასეთ ბელსაყრელ სამუშაოზე უარს რომ ამბობ-მეთქი. მაგრამ გაგიგონია! მანქანების მეტი არაფერი არ უნდა! თანაც ხომ იციო, მისი შინ ჯდომაც არ ივარგებს. ის და მამამისი ერთმანეთს ვერ ეგუებოან. ხომ იციო, რა ძნელია ორი კაცის ერთმანეთში შორიგება. ორივეს მაინც დაძაიხც ერთდროულად მოუნდებათ ზოლმე აბაზანაში შესვლა. ის, რომ ბობის ცალკე უნდა ცხოვრება, ჩემი აზრით, ძალზე ბუნებრივია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ რაკი თავს თვითონ ირჩენს, თავისუფლებაც მეტი უნდა ჰქონდეს. მაგრამ მართო რას შოახერხებს? თავისი ახლანდელი ხელფასი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არ ეყოფა და კიდევაც რომ ეყოს, ხომ იციო ახლანდელი ახალგაზრდების ამბავი, თვალის დაზამხამებას ვერ მოასწრებ, რაც ხლაფორთში გააყოფენ თავს. ბობმა ახლა ბევრი ამხანაგი გაიჩინა, რომლებიც მე არ მომწონს. არის გაუთავებელი მისვლა-მოსვლა. ხომ იციო, როგორც იციან. შაბათობით პოკეიზე დადის და ეგ ბიჭები იქ გაიცნო. ისინი მაგაზე ძეტ ფულს აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში. შორიდან ასე ჩანს; ფული ჩეჩქივით აქვთ და ბიჭისათვის ცუდია, როცა ისეთებთან ამხანაგობს, ვისაც მასზე მეტი ფული აქვს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უჩნდება. ერთხანს დახაიდვილებით მეგონა, ბეტი რაილანდზე სერიოზულად ფიქრობს-მეთქი. ხომ იციო მისის რაილანდის გოგო? ისეთი სასიამოვნო ხალხია! პატარაობისას ტეხისზე ერთად დადიოდნენ და ყველას ეგონა, რომ ერთმანეთთან ძალიან ძეგობრობდნენ. მაგრამ ახლა სულ აღარ აქცევს ყურადღებას — თავისი პოკეის კლუბელი მეგობრების მეტი აღარავინ უნდა. არც ავიღე, არც დავიღე და ერთ კვირა დღეს ვკითხე, არ გინდა ბეტი ჩაიზე დავპატიყთო-მეთქი? მითხრა, თუ გიხდა დაპატიყე, ვინ გიშლისო. მეც ავღდექი და დავპატიყე. ისეთი საყვარელი იყო! რომ გითხრათ, არ დაიჯერებთ, ბობიმ რა ქნა! დაჰკრა ფეხი და სახლიდან გავარდა. ვაზშობამდე არ მოგვეკარებია. მითხარით, რომელი გოგო მოითმენს ამას? ჰოდა, სულ ცოტა ხანში ალბათ ანდერსენების უმცროსი ბიჭი დანიშნავს ბეტის! აი, ის, რადიო ბიზნესში რომ არის.

...ახლა ლილის აღარ იკითხავთ? იციო, როგორ უნდოდა მემანიკურე გაძოსულიყო? მაგრამ მამამისს არ მოსწონდა ეგ პროფესია და კაი ხანს ვერაფერი შევასმინეთ. ეგ ხელობა იმიტომ უნდაო, ამბობდა, რომ კლიენტებს ხელები უცაცუხოსო. მაგრამ მე ვუთხარი, თუკი გოგოს უნდა და თუკი ამით კარგი ფულის გაკეთება შეიძლება, ჩემი აზრით, კაცმა იმდენი კი უნდა მოახეთქი თქვენ ხომ იციო. მე უფრო თანამედროვე ვარ! ვუთხარი, ახლა ძველი დრო ხომ არ არის-მეთქი. აბა?! ლილი ძალიან კარგად მოეწყო, ბონდ სტრიტზე. ყველაზე კარგად ექცევიან და ჩვენ ამ მხრივ არაფერი გვექნებოდა სასაყვედურო. ის კაცი რომ არა, რომელიც იქ გაიცნო, თითქმის მამად ეკუთვნის, შუახნის მაინც იქნება, მაგრამ დიდი ბეწვნიკა ვინმეა. კობტა, ჰალარა ულვა-

შეგი აქვს, ნამდვილი ჯენტლმენია, „მორის-ოქსფორდი“ ჰყავს. კვირაობით მოდის ხოლმე და ლილი სასეირნოდ მიჰყავს. ზოგჯერ სამსახურიდანაც მოჰყავს შინ და კინოშიც დაჰყავს. და ერთხელაც არ ყოფილა, მე და ჩემი ქმარს ზრდილობიანად და ხალისიანად რომ არ დაგვლაპარაკებოდეს. ისეთი გაცია. ძისგან სხვა რამ წარმოუდგენელიც კია. ამას წინათ თეატრის ^{ქართული} ^{სამხატვრო} ^{სამსახურში} ^{გამგზავნი} ^{წარმოგიდგენიათ?} მოგვიგზავნა. ისეთი თავაზიანია, „დედიკოს“ მეძახის... წარმოგიდგენიათ? ყოველ შემთხვევაში, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— ჩვენი ბობი...

ქალები ბერკემსტედში ჩავიდნენ. მათი ადგილი კაცმა დაიკავა. კაცს ყვირდებოდა კოსტუმი ეცვა, მუდმივი კალმით უბის წიგნაკში სულ რაღაცას წერდა, უძატებდა, ანგარიშობდა, მაგრამ ჩანდა, რომ ანგარიში არ გამოსდიოდა. ვინ იცის, იქნებ მთელი თავისი ფული ქალიშვილებს მისცა მზითვად და იმას ანგარიშობსო, გაიფიქრა ადამმა.

დაუტიხგში ადამი ავტობუსით წავიდა. ავტობუსმა იმ სოფლამდე მიიყვანა, სადაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ავტოსარემონტო პუნქტები გაემართათ. აქედან პარკამდე ადამი ვიწრო სამანქანო გზით მივიდა. მისდა გასაოცრად „დაუტიხგის“ ჭიშკარი ყურთამდე გაეღოთ და ჭიშკართან ახლოს მისული ადამი კიხალამ არ გაიტანა ერთმა უზარმაზარმა, დანჯღრეულმა შანქანამ, რომელიც მთელი სისწრაფით შეგრილდა პარკში. ადამმა მხოლოდ წამით მოჰკრა თავალი ვიღაცა ქალის ბოროტად აკიაფებულ თვალებს, რომლებმაც დამცინავად შემოანათეს მანქანის უკანა ფანჯრიდან. ადამი კიდევ უფრო გააოცა ჭიშკარის შუა ბოძზე ჩამოკიდებულმა განცხადებამ, რომელიც იუწყებოდა, უსაქმოდ ნუ შემოხვალთო. გზაში ადამს კიდევ ორმა სატვირთო შანქანამ ჩაუქროლა გრუხუნით. მერე ვიღაც კაცი დაინახა, რომელსაც ხელში წითელი ალაში ეჭირა.


— ეი! იქით არ წახვიდეთ! უკვე ყველაფერი დატენილია! იწყებენ, ვინც არ უნდა იყოს, სულ ერთია! თავლების მხრიდან შემოუარეთ.

ადამი ძითითებულ ბილიკს დაადგა. ცოტა არ იყოს გაკვირვებული ვარაუდობდა, ნეტავი რა არის დატენილიო. მიაყურადა, სროლის ხმა ხომ არ ისმისო, მაგრამ თუ გაურკვეველ შეძახილებსა და სიმუხიანი ორკესტრის ხმებს არ ჩავთვლით, სხვა არაფერი გაუგონია. პოლკოვნიკის ნადირობას იღბლიანი პირი არ უჩანსო, გაიფიქრა. ესაა მხოლოდ, უცნაურად, ეჩვენა პირდაპირ სახლის წინ, თანაც ორკესტრის თანხლებით ნადირობის დაწყება. ადამმა თავისდაუხებურად დაიწყო მასალის შედგენა თავისი სვეტისათვის:

„პოლკოვნიკი ბლაუნტი. ზემოთ ნახსენები მომხიბლავი ნინა ბლაუნტის ძამა, ამ ბოლო დროს ლონდონის იშვიათი სტუმარია. მთელ დროს იგი თავის ძაძულში, ბაკინგამშირში, ნადირობას ანდომებს. მისი მამულის სანახები, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანაში ნადირთა სიუხვით არის ცნობილი, პირდაპირ მისი სახლის პარმალიდან იწყება და ბევრ თავშესაქცევ ამბავს ჰყვებიან იმ სტუმრებზე, რომელნიც თავისი დაუფიქრებლობით პირდაპირ ცეცხლის ნახვე ამოაყოფენ ხოლმე თავს... პოლკოვნიკ ბლაუნტს ერთი უცნაურობა სჭირს, მიზანს ხშირად აცდენს, თუ ვიოლინოსა და ჩელოს აკომპანიმენტი არ ესმის (იგივე უცნაურობა სჭირს წითურა ლიტლჯონსაც, რომელიც ვერ თევზაობს, თუ თან ფლაჟოლეტის ხმა არ ჩაესმის)...“

ადამს არცთუ დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი იმ ბილიკზე, რომელსაც

ვაუყენეს, რომ ვილაცამ ისეუ გააჩერა. ამჯერად ეს იყო ეპისკოპოსის ფარფი-
შასახელოიან, ბატისტის სტიქარსა და წითელ წამოსასხამში გამოწყობილ
კაცი. კაცი სიგარას ეწეოდა.



ეროვნული
ქვეყნული

— ეი, აქეთ! თქვენ აქ რა ჯანდაბას აკეთებთ?

— პოლკოვნიკ ბლაუნტის ნახვა მინდა!

— ოპ! არ შეიძლება, შვილო ჩემო! უკვე მისი ჯერეიდგეგმვაა

— ღმერთო ჩემო, ასეთი რა დააშავა?

— დიდი არაფერი! მრგებსენებათ, უესლიანელია¹⁰ და გვინდა ყველა ერ-
თად მოვიშოროთ თავიდან სანამ, მადლობა ღმერთს, ამინდი არ გაფუჭებულა,
ესოდეს გულგრილი ფანატანის შემსწრე ადამს ენა მუცელში ჩაუვა-
რდა.

— მაიხც ეს ბეზრეკი რამ დაგაჭირვათ?

— ახლა ამას, კაცმა რომ თქვას, მნიშვნელობა აღარა აქვს. მინდოდა შეთ-
ქვა, „ექსცესში“ დავიწყე მუშაობა-მეთქი.

— თავიდანვე ვგრე ვეთქვა, შე დალოცვილო! პრესის წარმომადგენლის
ნახვა ყოველთვის სასიამოვნოა. გავაბოლოოთ?

ეპისკოპოსმა გულისჯიბის საიდუმლო სამალავიდან უზარმაზარი პორ-
ტსიგარი ამოაძვრინა.

— იცით, მე ეპისკოპოსი ფილპოტსი გახლავართ, — თქვა მან და ფარფა-
შასახელოიანი ხელი მკლავში გამოსდო ადამს.

— თქვენ ნამდვილად გსურთ ეზოში შეხვიდეთ და თქვენი თვალით ნა-
ხოთ ყველაფერი? ჩემი ვარაუდით ეხლა ბოლო პიმნს უნდა მღეროდნენ. ვი-
რული სამუშაო იყო, — შესჩივლა ეპისკოპოსმა ადამს გზაში, სანამ პარშალი-
საკენ მიდიოდნენ. — მენეჯერიც ერთი ლოქო ვინმეა, გუშინ. მაგალითად,
მისს ლატუში მთელი დღე ალოდინეს და ბოლოს, როცა მისი ჯერიც დადგა,
სინათლე ისე ბეუტავდა, რომ გვარიანი აჯაფსანდალი გამოუვიდათ, იძულე-
ბული გავზდით თავი გაგვენებებინა და წუხელის ნავახშმევს ყველაფერი თა-
ვიდან გავიმეორეთ. არნახული პატარა ნაფლეთები შემოგვრჩა ხელთ, აღარც
კი იცნობოდა ქალი. ვერ გავბედეთ მისი ქმრისათვის გვეჩვენებინა, ალბათ გული
წაუყვინდოდა, ავდექით და რამდენიმე ნაჭერი ამოვარჩიეთ, დანარჩენები გადა-
წყარეთ. რა მოგივიდათ, რამ გაგამწვანათ, გული ხომ არ გერევათ? სიგარა
ძალიან ძაგარი ხომ არ იყო?

— ის... ის ქალიც უესლიანელი იყო?

— რას ამბობთ, ჩემო კარგო! მთავარ როლს, სელინას, გრაფინია ჰანტინგ-
ტონს თამაშობს... შეხედეთ, აქედან ყველაფერს კარგად დაინახავთ.

ადამსა და ეპისკოპოსმა სახლს შემოუარეს. აქედან ხელისგულივით მო-
ჩანდა ეზო, სადაც დიდი გამოცოცხლება სუფევდა. მეთვრამეტე საუკუნის
კოსტუმებში გამოწყობილი თორმეტიოდე ქალსა და კაცს წრე შეეკრათ და
მთელი ხმით მღეროდნენ. მათ შორის დაბალი კაცი ჩამდგარიყო და ლოტბა-
რობდა. იქვე შორიახლო სიმებიანი ორკესტრი უკრავდა. მომღერალთა გარ-

¹⁰ ჯონ უესლი (1703-1791 წ.წ.) — ინგლისელი სასულიერო პირი, რომელმაც მეორე
თანამზრახველთან, ჯორჯ უაიტფილდთან ერთად დააარსა მეთოდისტთა პროტესტანტული სექ-
ტა. იმოგზაურა ამერიკაში, სადაც ინდიელებს უქადაგებდა ქრისტეს რწმუნს. იგი ამერიკიდან
ინგლისში დაბრუნდა და დააარსა საკუთარი (უესლიანელითა) სექტა.

ძემო ძაძაკაცები ირეოდნენ. მათ მოკლესახელოიანი პერანგები ეცვათ. ამ მაძაკიტაგახ ზოგს მეგაფონი ეჭირა ხელში, ზოგს კინოაპარატი, ზოგს მიკროფონი, ზოგს რალაც ქაღალდები და ზოგსაც ბლიცები. ცოტა მოშორებით იდგნენ და თავის რიგს ელოდნენ მუშები, ოთხცხენიანი ეკიპაჟი და ჯარისკაცთა ჯგუფი. მუშებს ხელში ეგზეტერული საყდრის გვერდით ნეფის ბუტაფორული კედლები ეჭირათ. ჩარჩოებზე ტილო გადაეკრათ და დაეწყებოდა გვარად დაეძხადებინათ.

— პოლკოვნიკი იქ სადღაც მომღერლებს შორის არის, ჰიმნს მღერის. — თქვა ეპისკოპოსმა, — გიჟდებოდა, ისე უნდოდა სტატისტიად აგვეყვანა და რაკი თავისი სახლი ჩალის ფასად მოგვაქირავა, აიზექსმა თქვა, ავიყვანოთ. ვერაჟინ დამარწმუნებს, რომ პოლკოვნიკი ოდესმე თავის სიცოცხლეში ამაზე ბედსიერი ყოფილიყო.

ძათი ძიახლოება და ჰიმნის დამთავრება ერთი იყო.

— საკმარისია, — თქვა ერთ-ერთმა მეგაფონიანმა კაცმა. — გეყოფათ! ახლა დუელს გადავიღებთ. გვამის წასაღებად ორი სტატისტი დამჭირდება. დახარჩებები თავისუფლები ხართ!

მლოცველთა ჯგუფს მოხუცი გამოეყო. მოხუცს ტყავის წინსაფარი ეკეთა, თავზე პარიკი ეხურა და შალის წინდები ეცვა.

— მისტერ აიზექს! გთხოვთ, მე წამალეზინოთ გვამი! გთხოვთ! — თქვა ძახ.

— თუკი გსურთ, პოლკოვნიკო, მე არაფერი მაწევს საწინააღმდეგო. სახლში გაიქეციოთ და მეგარდერობეს უთხარით, გლების ბიფთანნი და ფიწალი მოგცეთ.

— დიდი... უდიდესი მადლობა! — თქვა პოლკოვნიკმა და სახლისაკენ თოხაროკით გაიქცა. მერე უცებ შედგა და თქვა:

— იქნებ... იქნებ მახვილი აჯობებდა?

— არავეითარი მახვილი! ფიწალი! მხოლოდ ფიწალი! დროზე! დროზე! თორემ სულაც სხვას წავალეზინებ გვამს. ვინმე გაიქცეს და მისს ლატუშს დამიძახოს!

ახალგაზრდა ლედი, რომელმაც კიშკართან ადამს მანქანით გაუსწრო, სახლის პარმალზე ჩამოდიოდა. თავზე ბუმბულეებით მორთული ქუდი ეხურა, ააცხეხოსხო კაბა ეცვა, ზონრებით გაწყობილი წამოსასხამი მოეხურა და ხელში შათრახს ათამაშებდა. ქალს სახეზე სქლად ესვა ყვითელი გრიმი.

— გაძაგებინეთ ბოლოს და ბოლოს, მისტერ აიზექს! მეყოლება თუ არა ამ ეკიპაჟში ცხენი? ბერტს ვკითხე და მითხრა, ყველა ცხენი ეკიპაჟისათვის გვეჭირდებაო.

— სხვა გზა არა მაქვს, ეფი! არ გეყოლება! გირჩევ, ნუ გადაირხვი! მხოლოდ ოთხი ცხენი გვყავს და შენც ხომ კარგად გახსოვს, რა დღეში ჩავცვივდით, როცა ეკიპაჟში მარტო ერთი წყვილი შევაბით. ხომ ხედავ, სხვა გზა რომ არა გვაქვს. ასე რომ მინდორი ფეხით უნდა გადაიარო.

— წოწორაქი! იუდა! — თქვა ეფი ლატუშმა.

— ძთელი ჩვენი უბედურება ის არის, — თქვა ეპისკოპოსმა, — რომ ფილმის გადასაღებად ფული არ გვეყოფნის. საცოდაობაა პირდაპირ, შემსრულებლები საუკეთესო, რეჟისორი საუკეთესო, ნატურა საუკეთესო, სცენარის საუკეთესო და ყველაფერი წყალში გვეყრება რამდენიმე გირვანქა სტე-

რლინგის უქონლობის გამო. როგორ გამოავლენს მისს ლატუში თავის შესა-
ძლებლობათა მაქსიმუმს, თუ ცხენსაც კი არ მისცემენ? ასეთ მომენტებს ვერც
ერთი ქალი ვერ აიტანს. მე რომ აიზექსის ადგილას ვიყო, ამ ეჭიპაეს სულაც
ამოვადგებდი. ისე რა აზრი აქვს კინოვარსკვლავის მოწვევას, კუთხულებს ვერ
წუქუქხნი? აიზექსი ყველას აიძულებს! უნდოდა ჩემი გვენდობოდა სულ
ოცდახუთი სტატისტიტით გადაელო. თუმცა თქვენ ხომ იმიტომ ჩამოხვედი,ა,
რომ ჩვენზე დასწეროთ. აიზექსს დავუძახებ და ის თვითონ ჩაგიჭიკჭიკებთ,
რაც საჭიროა... აიზექს!

- რაო?!
- „დიდი ექსცესიდან“ არიან!
- სად არიან?
- აქა!

— ახლავე მოვალ! — აიზექსმა პიჯაკი ჩაიცვა, წელთან, შუა ღილზე შეი-
კრა და ხელგაწვდილი წაეიდა მათკენ. ადამმა ხელი რომ ჩამოართვა, ბეჭდე-
ბის ძთელი ანხმა მოხვდა ხელში.

— დიდად მახარებს თქვენი ნაზვა, მისტერ! ამ ფილმის შესახებ რაც
გიხდათ ძკითხეთ, აქ იმიტომ ვარ, რომ გიპასუხოთ. ჩემი სახელი ხომ იცით!
აი, ჩემი სავიზიტო ბარათი! კუთხეში კომპანიის დასახელება სწერია. არა, ის
არა, რომელიც გადახაზულია, თავზე რომ აწერია, ისა! „დიდი ბრიტანეთის
საოცარ ფილმის კომპანია“. ახლა, რაც შეეხება ჩვენს ფილმს: ეს პატარა მო-
ხაკვეთი, როძლის გადაღების მოწმეც გახდით თქვენ, — დაიწყო რეჟისორმა,
როგორც ჩანს, კარგად გახეპირებული სიტყვები, — წარმოადგენს წინ გა-
დაღძულ ხაბიჯს ბრიტანეთის კინოხელოვნების განვითარებაში. ეს არის
ხმოვანი, სუპერრელიგიური, უმნიშვნელოვანესი ფილმი, რომელიც თავიდან
ბოლოძდე შექმნილია ბრიტანეთის მიწა-წყალზე, ბრიტანელი მსახიობების
მონაწილეობითა და მთლიანად ბრიტანული ფულითა და რეჟისურით. დიდა
უსახსრობისა და დიდ სიძნელეთა პირობებში მაინც ყოველთვის ვახერხებდით
გვესარგებლა მხოლოდ უაღრესად მცოდნე ისტორიკოსთა და ღვთისმეტყვე-
ლთა კოხსულტაციებით, ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა ყოველი, სულ უმ-
ნიშვნელო წვრილმანიც კი მთელი სიმართლით წარმოგვეჩინა. ჯონ უესლის,
დიდი სოციალური და რელიგიური რეფორმატორის ცხოვრება პირველად წა-
რუდგახეთ ბრიტანეთის საზოგადოებას მთელი თავისი პუმანურობითა და
ტრაგიზმით... თუმცა იცით რა? ყველაფერი ეს დაწერილი მაქვს და წასვლი-
სას ერთ ეგზემპლარს მოგცემთ, ახლა კი წამოდით, დუელს უყურეთ... აი,
უესლი და უაიტფილდი!.. იწყებენ კიდევ... რა თქმა უნდა, ეგენი მსახიობები
არ არიან! უელსბერის მოფარკავეთა სკოლიდან ორი ინსტრუქტორი მოვი-
წვიეთ, სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა ვთქვი, ხარჯებს არ ვერი-
დებით, ოღონდ ყოველი წვრილმანიც კი მთელი სამართლით წარმოვაჩინოთ-
მეთქი. დღეში თითოს ათ მილინგს ვუხდით.

— როგორ, განა უესლისა და უაიტფილდს ერთმანეთში დუელი ჰქონ-
დათ?

— ამის დანამდვილებით მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ ცნობილია, რომ
ერთმანეთში დიდი უთანხმოება ჰქონდათ და იმ დროს ასეთი უთანხმოებანი
ყოველთვის დუელით მთავრდებოდა ხოლმე. იცით, საქმე როგორ არის? ორი-

ვეს უყვარს სელინა, პანტინგდონის გრაფის ასული. იგი მათკენ მოიჩქარის გასაძველებლად, მაგრამ აგვიანდება. უაიტფილდი ეკიპაჟში ჩამჯდარა და გაქცეულა, დაჭრილი უესლი კი მიწაზე წევს. ეს სცენა იქნება. რაც იქნება! აძის 'შემდეგ გრაფის ასულს უესლი თავის სახლში მიჰყავს და მანამდე უესლის, სახაჟ არ შობარჩენს. დამიჯერეთ, ეს ფილმი კინოს ისტორიაში ყველაზე უკეთესს შექმნის. იცით, უესლის რამდენი მიმდევარი ჰყავს ბრიტანეთში? — მათგან მათგან არ ვიცოდი, მაგრამ მითხრეს და რომ ვითხრათ, გაგიკვირდებათ. ყველა მათგანი აპირებს ფილმის ნახვას და თანაც უნდათ ამ ფილმის თაობაზე ყველა საძლოცველოში დისკუსიები მოაწყონ. ჩვენ ვიღებთ იმ მომენტებს, თუ როგორ ქადაგებდა უესლი და ვმღერით მხოლოდ მის ჰიმნებს. მიხარია, რომ თქვენი გაზეთი ამით დაინტერესდა. გადაეცით ყველას, რომ ჩვენ რაღაც ძალიან დიდს ვქმნით. ეს კი უნდა ვთქვათ, თუმცა კი ამას ყველასთან ვერ გავაზიარებ. — თქვა უცებ აიზეკსმა საიდუმლო კილოზე, — მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენს გამოცემებში, რაკი ჩვენი საქმიანობა საკუთარი თვალთ ნახეთ და ისიც ნახეთ, თუ რა გაქანებით ვმუშაობთ და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დიდი ხარჯები გვაქვს. ამიტომ თქვენ არ დაგიმალავთ, რომ ჯიბე ცოტა არ იყოს შეგვითხელდა. როცა ფილმს დავამთავრებთ, იცოცხლე, წარმატება დიდი გველის, თუკი დავამთავრეთ! ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ან თქვენს რომელიმე მეგობარს თავისუფალი კაპიტალის, ვთქვათ, ათასი გირვანქა სტერლინგის დაბანდება მოგინდათ. პირადად მე, არც კი დავფიქრებობოდი, ისე შეგიყვანდით წილში. დაიმახსოვრეთ, რისკი არ არსებობს, საქმე აშკარად სარფიანია. რომ მოვიწოდოთ და ეს ამბავი გავახმაურო, თავპირის-მტვრევა ექნებათ, ხელიდან გამომტაცებენ, მაგრამ ამის გაკეთება არ მინდა, და გეტყვით, რატომაც არ მინდა. ჩვენი კომპანია ბრიტანულია და არ მინდა რომელიმე საზღვარგარეთელი სპეკულანტი საქმეში გავიყვანო. ქვეყანა რომ გაიგებს, რა ვიცი, ვინ იყიდის აქციებს, ხომ გამიგეთ? რატომ უნდა გედოს კაცს ფული უქმად და ოთხნახევარ-ხუთ პროცენტს რატომ უნდა ელოდო მთელი სიცოცხლე, როცა შეგიძლია შენი ქონება ექვს თვეში გააორკევო?

— ჩემთან ფულზე ლაპარაკი წყლის ნაყვია, — თქვა ადამმა, — როგორ ფიქრობთ, მოვახერხებ პოლკოვნიკ ბლაუნტის ნახვას?

— ცხოვრებაში იმაზე მეტად არაფერი მძულს, როცა ვხედავ, რომ კაცი ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან უშვებს, — თქვა მისტერ აიზეკსმა. — აბა, ყური კარგად დამიგდეთ! კარგად ვხედავ, რომ ამ ფილმმა დაგაინტერესათ. ყველაფერს მოგყიდით. მთელ გადაღებულ მასალას, კონტრაქტებს მსახიობებთან, სცენარს. ყველაფერში ხუთასი გირვანქა სტერლინგი მომეცით. თქვენ რაღა დაგრჩებათ გასაკეთებელი! დაამთავრეთ ფილმი და გამდიდრდით! მე კიდევ თავბედს დავიწყებელი, რატომ ცოტაც არ გავუძელი-მეთქი. პა, რას იტყვი?

— თქვენ მართლაც ძალიან კეთილი ხართ, მაგრამ მე ახლა მართლა არ შემიძლია ფილმის ყიდვა.

— თქვენი ნებაა, — თქვა მისტერ აიზეკსმა უღარდელად. — ბევრი ნატროზს და რას არ მისცემდა, ოღონდაც ამნაირი შემთხვევა მისცემოდა, მაგრამ ვიფიქრე, ჯერ ამ პატიოსან კაცს შევთავაზებ-მეთქი, მოხერხებული ბიჭი ჩანს-მეთქი... რას ვიზამ, იცით? ოთხას გირვანქა სტერლინგად დაგიომობთ. მგითი რაღა გინდათ! თქვენთვის ამ დათმობაზეც წავალ!

— მისტერ აიზეკს, ისე ძალიან მწყინს, რომ მეტი არ იქნება, მაგრამ აქ თქვენი ფილმის საყიდლად არ ჩამოვსულვარ. პოლკოვნიკ ბლაუნტის ნახვა მიხდა.

— კარგით, კარგით! ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი, რომ ბლაუნტი თანა ბიჭი აძისთანა შესაძლებლობას ზელიდან გაუშვებდა. ერთხელაც ვაქტივით და იცოდეთ, ამის შემდეგ სიტყვის დამძვრელი არა ვარ. რაც არის არის, სამას ორმოცდაათად დაგიტომობთ. ან ჰო, ან არა! ეგ არის ჩემი საბოლოო სიტყვა. რასაკვირველია, არ გავალდებულებთ, იყიდეთ-მეთქი, მაგრამ გარწმუნებთ, თუ არ იყიდით, მერე მთელი ცხოვრება სანანებლად გექნებათ. — გულზვიადად თქვა მისტერ აიზეკსმა.

— ჩემი აზრით, საოცრად სულგრძელი წინადადებაა, — თქვა ადამმა, — მაგრამ სიძარტლე რომ გითხრათ, სამწუხაროდ, მე საერთოდ არ ვაპირებ ფილმის ყიდვას.

— რაკი ასეა, რა გაეწყობა, ისევ ჩემს საქმეს მივხედავ.

„ბრიტანეთის საოცარ ფილმის კომპანიას“ მზის ჩასვლამდე არ შეუსვებია. ადამი ძღველოზე იდგა და თვალყურს ადევნებდა მათ საქმიანობას. იგი უყურებდა მოფარიკავეთა სკოლის შავსერთუკიანსა და თეთრყელსახვევიან ორ ინსტრუქტორს, რომელნიც ვაჟკაცურად ესხმოდნენ თავს ერთმანეთს და ვაჟკაცურადვე იგერიებდნენ ერთმანეთის თავდასხმებს. ეს თავდასხმები მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ დაეცა. გადაღება შეწყვიტეს და დაცემულის ადგილი მთავარი როლის შემსრულებელმა დაიკავა (კოსტიუმების სიმცირის გამო იგი იძულებული იყო თავისი ტანსაცმელი ეთხოვეთხა დუბლიორისათვის). უაიტფილდის როლის შემსრულებელმა გამაჩვენებელი ინსტრუქტორის ადგილი დაიკავა, მისი პარიკი ჩამოიცივა თავზე და ეკიპაჟისაკენ გაიქცა. ბუჩქნარიდან ეფი ლატუში გამოჩნდა. მას ხელში ისევ გამოძწვევად ეჭირა კატარის წვეპლა. მერე ეფი მსხვილი პლანით გადაიღეს, მერე უესლი გადაიღეს მსხვილი პლანით, მერე ეფი და უესლი ერთად გადაიღეს. მერე გლეხის ტანსაცმლიანი პოლკოვნიკი ბლაუნტი და ერთიც სხვა სტატისტი გამოჩნდნენ და დაჭრილი ქადაგი სახლში შეიყვანეს. ყველაფერ ამას ბევრზე ბევრი დრო დასჭირდა, რადგანაც გადაღებას უამრავი წვრილმანი დაბრკოლებები უშლიდა ხელს: ერთხელ, როცა მთელი სცენა დიდი აღმაფრთხილებით ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ ოპერატორს კამერაში ფირის ჩადება დავიწყებოდა („აზრზე არა ვარ, ეს როგორ დამემართა, მისტერ აიზეკს!“). ბოლოს ცანესები ეკიპაჟიდან გამოხსნეს, ზედ გრენადერები მოასხდნენ, ადგილიდან ისარივით მოსწყვიტეს და ხეივნისაკენ გააქროლეს. ეს სცენაც, რა თქმა უნდა, ფირზე აღბეჭდეს.

— ეს ყასაბ კამბერლენდის¹¹ რაზმია, — განმარტა მისტერ აიზეკსმა. — ვინ იცის, სად და როდის დამჭირდეს ეს კადრები. თანაც საგანმანათლებლო ღირებულებაც გააჩნიათ. ისიც სათქმელია, რომ ცხენები დღიურად გვყავს დაქირავებული და სანამ შეგვიძლია, რაც შეიძლება მეტი უნდა გამოვწუროთ მათგან. თუ ამ ფილმში არ გამოვიყენებთ, სხვაგან მაინც გამოგვადგება. გა-

¹¹ უილიამ ავგუსტ კამბერლენდი (1721-1765 წწ) — ინგლისის მეფის, ჯორჯ II-ის ვაჟიშვილი. რომელიც ინგლისის არმიას სარდლობდა შოტლანდიაში; იგი ცნობილია მთიელი შოტლანდიელებისადმი ძალზე მკაცრი მოპყრობით.

ქეხებულ ცხნების ასიოდე ფუტი სიგრძის ფირი ყოველთვის გამოადგება კაცს.

ბოლოს, როცა ყველაფერი მომთავრდა, ადამმა, როგორც იქნა, მთახერხეა პოლკოვნიკ ბლაუნტის ნახვა, მაგრამ მათ საუბარს არავითარი შედეგი არ მოაკვლია.

— სამწუხაროდ საშუალება არა მაქვს მეტი დრო დაგიტოვოთ, უნდა პოლკოვნიკმა ადამს, — გამოგიტყდებით, ახლა მე თვითონ დავიწყე სცენარის წერა. როგორც მითხრეს, თქვენ „ექსცესიდან“ ყოფილხართ და თურმე ფილმის შესახებ აპირებთ დაწერას. დიდებული ფილმია, არა? როგორც ხედავთ, რასაკვირველია, მე ამ ფილმთან ბევრი არაფერი მესაქმება. მე მათ მხოლოდ სახლი მივაქირავე და ერთი-ორი ეპიზოდური როლი ვითამაშე. ეს კია, გადასახადისაგან გამათავისუფლეს.

— სხვანაირად ვერც წარმომიდგენია!

— სხვები ყველანი იხდიან, ჩემო კარგო! სახლი კი იაფად დავუთმე, მაგრამ სამაგიეროდ გადახდით არაფერს მახდევინებენ. თითქმის აღარაფერი მიკლია პროფესიონალობას. ხომ იცით, მისტერ აიზექსი კინემატოგრაფისტთა ხაციალური აკადემიის თავმჯდომარეა. ეჯუერ-როუდზე პატარა კანტორა აქვს, სულ ერთი ოთახია. ამ ოთახში სცდის ხოლმე კონკურსის მონაწილეებს. მოწაფეებად მხოლოდ ისინი აპყავს, ვისაც კარგი მონაცემები აქვს. ძალიან მოძთხოვნია. მისტერ აიზექსს მიაჩნია, რომ პრაქტიკა საუკეთესო მასწავლებელია. ასე რომ, იგი პირდაპირ იწყებს ფილმის გადაღებას და პროფესიონალებს იმ ფულიდან უხდის, რასაც მოწაფეები აძლევენ. ძალიან უბრალო და გოხიერული ჩანაფიქრია. „ჯონ უესლის“ ყველა როლის შემსრულებელი მოწაფეები არიან, რა თქმა უნდა, თვითონ უესლის, უატფილდის, ეპისკოპოსისა და ჩისს ლატუშის გარდა. მისს ლატუში იმ კაცის ცოლია, რომელიც მისტერ აიზექსის ნაცვლად ზის ხოლმე ეჯუერ-როუდზე, როცა მისტერ აიზექსი გადაღებებზეა. ოპერატორებიც კი მოწაფეები არიან. ამიტომაც ყველაფერი ასე საინტერესო. ეს მისტერ აიზექსის მესამე ფილმია. პირველი გაუფუჭდა, რადგანაც ფირის გამომქლავნება მისტერ აიზექსმა ერთ-ერთ მოსწავლეს მიანდო. მან ხარალი, რა თქმა უნდა, აუნაზღაურა! ეს პუნქტი ყველა კონტრაქტში შედის, რომელსაც ყველა მოწაფე აუცილებლად აწერს ხელს. მაგრამ რად გინდათ, ფილმი კი დაიღუბა და! მისტერ აიზექსმა ეს ამბავი ისე ძალიან განიცადა, რომ როგორც თვითონ ამბობს, კინალამ სულ მიატოვა ყველაფერი. კიდევ კარგი მალე სხვა მოწაფეები გამოჩნდნენ და ახალი ფილმი გადაიღეს. მეორე ფილმი მართლაც რომ კარგი გამოვიდა. მისტერ აიზექსი ამბობს, კინოხელოვნებაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინაო. მაგრამ ხომ იცით კინოს ხალხი რა შურიანია: ფილმს ბოიკოტი გამოუცხადეს. არც ერთ კინოთეატრში არ უჩვენეს, ახლა ყველაფერი რიგზეა, მისტერ აიზექსი, როგორც თვითონ ამბობს, ორბიტაზე გავიდა და „საოცარ ფილმის კომპანია“ სულ მალე წამყვანი იქნება ჩვენი ქვეყნის კინოკომპანიებს შორის. მეტსაც გეტყვით: მან ხახევარ წილში შესვლა შემომთავაზა, სულ რაღაც ხუთი ათას გირვანქა სტერლინგად. და ეს მაშინ, როცა მას შეუძლია წილში არავინ არ შეიყვანოს და მთელი მოგება თვითონ მიიღოს, მაგრამ ამბობს, მინდა გვერდით ერთი ისეთი კაცი მყავდეს, რომელსაც მსახიობის პროფესიისა კარგად გაეგებაო. მიკვირს პირდაპირ, რატომ არის ჩემი ბანკის მენეჯერი ფულის ამგვარი დაბანდების

წიხააღმდეგი. გულახდილად გეტყვით, იგი არაფერს არ ერიდება, რომ როგორმე ხელი შემიშალოს... მე მგონი, მისტერ აიზეკსს არ მოეწონება, ჩემი მონაყოლი თქვენ რომ გაზეთში გამოაქვეყნოთ.

— სიძარტლე რომ გითხრათ, მე თქვენი ქალიშვილის, ნინას / თაობაზე ვარ ჩამოსული.



— ოო! ამ ფილმში ნინას არც ერთი როლი არა აქვს. გულახდილად გეტყვით, არა მგონია ნინას საერთოდ ჰქონდეს რამის განსაკუთრებული ნიჭი. საოცარია პირდაპირ, ნიჭიერება ზოგჯერ მთელ თაობებს რომ გამოტოვებს ხოლმე. მამაჩემი, მაგალითად, როგორც მსახიობი დიდი ვერაფერი შვილი იყო, თუმცა საშობაო სპექტაკლებში ყოველთვის მთავარ როლებს თამაშობდა. ღმერთმანი, ზოგჯერ მაინც მეტიმეტად სასაცილო იყო ხოლმე, მახსოვს, ეროზელ ჰენრი ირვინგს¹² გასცინა...

— თქვენ ალბათ დაგავიწყდით, სერ! მე ამ ერთი თვის წინ ვიყავი თქვენთან ნინას თაობაზე. ნინამ დამაბარა გითხრათ, რომ მე ახლა მისტერ ლაყაფი სქვია და...

— ლაყაფი? არა, ჩემო კარგო, არ მახსოვხართ... გონება ძველებურად აღარ მიჭრის. ერთ უესტერელ ღვთისმეტყველ ლაყაფს ვიცნობდი, ნიუ-კოლეჯში ერთად ვსწავლობდით... უცნაური გვარია...

— მისტერ ლაყაფი „დეილი ექსცესიდან“.

— არა, არა, ჩემო კარგო, არ მახსოვხართ! ის ჩემი ნაცნობი ლაყაფი, მე რომ კოლეჯი დავამთავრე, მალე მღვდლად აკურთხეს და საზღვარგარეთ, მგონი, ბერძუნდის კუნძულებზე გაამწესეს. მერე ისევ უესტერში დაბრუნდა, თავის დღეში არ უშეშავია „დეილი ექსცესში“.

— ის კი არა, სერ! მე, მე ვმუშაობ „დეილი ექსცესში“!

— ცხადია, თქვენ უკეთ იცნობთ თქვენს თანამშრომლებს. შეიძლება მან უესტერი დატოვა და ჟურნალისტობას მიჰყო ხელი. გამიგონია, ახლა ბევრი სასულიერო პირი იქცევა ასე. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ მისგან ამას არ მოველოდი. დიდი რეგვენი ყოფილა! სხვა თუ არაფერი, ალბათ, სამოცდაათი წლისა მაინც იქნება. კეთილი, კეთილი! კარგად იყავით, ჩემო კარგო, თქვენთან საუბარმა დიდად მასიამოვნა.

— ოო! სერ! — წამოიძახა ადამმა, როცა შეატყო, რომ პოლკოვნიკმა ბლაუნტმა წასვლა დააპირა, — თქვენ ვერ გამიგეთ! მე ნინას შერთვა მინდა!

— მერედა აქ რა მოგარბენინებდათ? — თქვა პოლკოვნიკმა ბლაუნტმა გაბრაზებით. — ხომ გითხართ, სადღაც ლონდონშია-მეთქი. ფილმთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. მასთან უნდა მიხვიდეთ და ჰკითხოთ. სხვათა შორის, მგონი, უკვე დანიშნული უნდა იყოს. ამას წინათ მაგ საქმეზე აქ ერთი მუტრუკი ჩამოვიდა... პასტორმა მითხრა, მგონი, მთლად დალაგებული ვერ უმლა იყოსო. გზაში, თურმე განუწყვეტლივ იცინოდა... ცუდი ნიშანია, მაგრამ ნიხას მაინც უნდა რომ გაჰყვეს. ასე რომ, თქვენ ცოტა დაიგვიანეთ, ჩემო კარგო... თანაგიგრძნობთ, ნამდვილად თანაგიგრძნობთ... სხვათა შორის, ამ ხალხთან პასტორი ძალიან ტყუის. არ უნდოდა მათთვის მანქანა ეთხოვებინა, ამის მიზეზი, მგონი, ის არის, რომ ფილმი უესლიანობას ებება. რა გონებაშეზღუ-

¹² ჰენრი ირვინგი — ინგლისელი მსახიობი (1838-1905). რომელმაც საბელი გაითქვა ერთ-ერთი მატრიახის პიესაში — „პოლონელი ებრაელი“ — მკვლელის როლის თამაშით.

დულობა... აბა, კარგად იყავით! კარგი ქენით, რომ ჩამოხვედით. პასტორ ლაყაფს დიდი მოკითხვა გადაეცით. ლონდონში რომ ვიქნები, აუცილებლად კხაზავ და კარგადაც გავაბამპულე... რა არის მართლა და მართლა! ამ ხნის ცაცმა სხვა ველარაფერი მოიფიქრა, რომ გაზეთში არ დაეწყო მუშაობა...

და პოლკოვნიკმა ბლაუნტმა გამარჯვებული სახით დატოვა მუშაობა იმავე საღამოს, ცოტა მოგვიანებით, ნინა და ადამი Cafe de la Paix-ში სხდნენ და ხამანწკებს შეეპყვოდნენ.

— იცი რა, ადამ? მოდი, მამაჩემს თავი დავანებოთ და ახლავე დავიწეროთ ჯვარი, — თქვა ნინამ.

— უსაშველოდ ღარიბები ვიქნებით.

— ახლა რომ ვართ, ამაზე ღარიბი ძნელი წარმოსადგენია... მგონი, გადასარევი რაღაც იქნება. ავდგეთ და უსაშველოდ ხელმომჭირნედ ვიცხოვროთ. მაილზმა მითხრა, ტოტემპემკორტ-როუდთან ერთი ადგილი ვიცი, სადაც სამნახევარ მილინგად თორმეტ ხამანწკას იძლევიანო.

— თუკი მოგწამლავს, რად გინდა!

— რა ვიცი, მაილზი ამბობს, ცოტა სხვანაირი გემო კი აქვს, მაგრამ სხვაფრივ არაფერი უჭირსო... მე და მაილზმა დღეს ერთად ვისადილეთ. დარეკა, მენ გეძებდა, უნდოდა ედუარდ თრობინგის ამბავი მოეყიდა შენთვის, მაგრამ ვენმა ხუთი გინეა შეაძლია და მაილზმაც მას მიპყიდა.

— არ უნდა გაგვეშვა ხელიდან. რედაქტორი გაცოფდება. პო, მართლა! ჩემი გვერდის საქმე როგორაა? მოახერხეთ შევსება?

— როგორ არა, საყვარელო! მე მგონი, მშვენივრად შევავსე. ვენმა და მაილზმა არ იციან, რომ ქრონიკის ამბავში მეც გავდივარ და ჩემი თანდასწრებით რა არ იჭორავეს ედუარდ თრობინგის ქორწინებაზე. მეც ავდექი და ყველაფერი გამოვიყენე... ძალიან ღორულად ხომ არ მოვიქეცი? რაღა არ დავწერე ედუარდსა და მის საცოლეზე. მაგ გოგოს, რაც თავი მახსოვს, სულ ვიცნობ და ნახევარი გვერდი მაგის ამბებით შევავსე, ნახევარიც, შენი არ იყოს, გამოგონილი ვილა-ვილაცებით და გვერდიც შეივსო.

— გამოგონილებზე რა დაწერე?

— ოპ, რა ვიცი! რაღა არ დავწერე! გრაფი ცინცინატი „ესპინოზაში“ შედიოდა და თავზე მწვანე ქუდი ეხურა-მეთქი... და სხვა მისთანანი!

— მწვანე ქუდი არსენე?

— პო! რა იყო?! არ უნდა მეხსენებინა?... მოხდა რამე, საყვარელო?

— ოპ, ღმერთო!

ადამი ტელეფონს მივარდა.

— ცენტრალური. ათი ათასი... საღამოს გამოშვების რედაქტორი მინდა! ალლო! ლაყაფის მასალა უნდა ჩავასწორო... ძალიან სასწრაფოა...

— არაფრით არ შემიძლია, საიმზ! ბოლო პარტია ამ ნახევარი საათის წინ გავუშვით საბეჭდად. დღეს ყველაფერს ადრე მოვრჩით.

ადამი თავის ხამანწკებს დაუბრუნდა.

• •

— საიმზს მახსოვრობა ღალატობს! — თქვა ლორდმა მონომარკმა მეორე დილით, როდესაც ადამის გვერდს თვალი გადაავლო.

• •

ასე გახდა მაილზ ბედასლი მისტერ ლაყაფი.

• •



— ჯვარს ველარ დავიწერთ, — თქვა ნინამ.

თ ა ვ ი ა

აღამი, მისს რანსიბლი, მაილზი და არჩი შვერტი არჩი შვერტის მანქანით მოტომბოლაზე წავიდნენ. კარგა ხანს მიდიოდნენ. ციოდა. მისს რანსიბლს შარვალი ეცვა, მაილზმა კი იმ სასტუმროს რესტორანში, სადაც სასაუზმოდ შეჩერდნენ, წამწამები შეიღება. ამიტომაც იყო რომ სთხოვეს, აქედან ყველანი დროზე მიბრძანდითო. მეორეჯერ, სხვა სასტუმროსთან რომ შეჩერდნენ, მისს რანსიბლი მანქანაში დატოვეს, იქ მიუტანეს ცხვრის ხორცი და კიტრის მწნილი. არჩიმ თქვა, შამპანური მოგვიხდებოდა და ოფიციალტი ძალიან შეაწუხა შეკითხვებით შამპანურის ჩამოსხმის თაობაზე (ოფიციალტი ამ თემისადმი პროფესიულ სიიულვილს გრძობდა). თბილ ბუხართან მოკალათებულები ჭამასა და კვლიავის სურნელიანი ლიქიორის სმას მანამდე ვერ შეელივნენ, სანამ ძალიან გაბრაზებული მისს რანსიბლი რესტორანში არ შევარდა და ყველანი ძალით არ გამოიყვანა.

მერე არჩიმ თქვა, ძალიან მეძინება და მანქანას ვერ წავიყვანო. საჭესთან აღამი დაჯდა და ცოტა ხანში გზა დაებნა. კარგა ხანს იარეს უსასრულო შარავით სულ სხვა მიმართულებით.

ამასობაში ჩამობნულდა კიდევ. წვიმამაც მოუხშირა. რომელიღაცა გზისპირა სასტუმროში ისაძილეს. სასტუმროს სასაძილო დარბაზის კედლებზე სპილენძის ტაფები ჩაერიგებინათ. დამხვდურნი მისს რანსიბლის შარვალს უყურებდნენ და მხიარულად იკრიჭებოდნენ.

როგორც იქნა იმ ქალაქს მიაღწიეს. სადაც რბოლა უნდა გამართულიყო. ისინი ჯერ იმ სასტუმროში მივიდნენ, სადაც აღამის მეგობარი მოტომბოლეელი ცხოვრობდა. გუთური სტილით ნაგებ უზარმაზარ, პირქუშ სასტუმროს „იმპერიული“ ერქვა.

მოტომბოლეელს წინასწარ შეუთვალეს, ადგილები დაგვიჩავშნეო, მაგრამ...

— რას ბრძანებთ, ჩვენთან ნახევარი წლით აღრე ყველა ოთახი დაკავებული იყო, — უთბრა მათ სასტუმროს მორიგემ. — თვით მსოფლიოს საუკეთესო მოტომბოლეელიც რომ იყოთ, მაშინაც კი ვერავითარ შემთხვევაში ვერაფერს გიშველიდით, საერთოდ, არა მგონია, ცენტრში რამე იშოვოთ. ისევ სადგურის სასტუმროში სცადეთ. იქ შეიძლება კიდევ ჰქონდეთ ადგილები დარჩებილი.

სადგურის სასტუმროში მისულებმა მისს რანსიბლს გარეთ მოაცდევინეს, მაგრამ წარმატება არც ამ ხერხს მოჰყოლია.

— ერთის მოთავსებას როგორღაც კიდევ შევძლებდი ბარში, იქ ჯერჯერობით მხოლოდ ცოლ-ქმარი და ორიც პატარა ბიჭი წევს. მთელი ღამე დამჯდარი გასძლებთ, ბამბუკის სკამი ყოველთვის მოიხახოს, საწოლებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. შეგიძლიათ „მედიკამენტოზა“ შეიაროთ, თუმცა იქ ოთახი რომც იშოვოთ, არა მგონია, იქაურობა მოგეწოლოთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერც იქ იშოვით ცალკე ოთახს.

მერე მისს რანსიბლმა გაიხსენა, თითქოს ამ ქალაქში, სადღაც ამ ადგილებში მამამისის ნაცნობები ცხოვრობდნენ. მისს რანსიბლმა მათი ტელეფონის ნომერი გაიგო და დაურეკა. მაგრამ მამამისის ნაცნობებმა დიდი სინანულით უთხრეს, რომ არ შეეძლოთ სტუმრების მიღება, რადგან მათი სახლი ისედაც გამოტენილი იყო ხალხით, თანაც არც ერთი მოსამსახურე არა ჰყავდათ და, ბოლოს და ბოლოს, არც ღორდ ქაზმის სახელი გაეგონა ვინმეს მათ ოჯახში. ამერე რომ არც აქედან გამოვიდა რამე.

შემდეგ მათ კიდევ რამდენიმე სასტუმროში სცადეს ბედი: „ოჯახებისა და კომიუნიაყერებისათვის“ გაბკუთვნილი სასტუმროთა დაიწყეს. ამას მოჰყვა „სასტუმრო მხოლოდ კომიუნიაყერებისათვის“. მერე „პირველი კლასის პანსიონატი“ (მთელი წლის საფასური წინასწარ). „სასტუმრო მუშა გოგონებისათვის“. არც „ლუდხანა და სუფთა ლოგინები, მხოლოდ მამაკაცებისათვის“ გამოჩხვებიათ. არსად ნემსი არ ჩავარდებოდა. ბოლოს ისინი არხის პირას აღმართულ „როიალ ჯორჯს“ მიადგნენ. სასტუმროს დიასახლისი კარებში ჩამდგაროეთ და დაბალ, შლაპიან ხანშიშესულ მამაკაცთან ჩხუბს ის-ის იყო ამთავრებდა.

— ჯერ იყო და ბარში ფეხსაცმელები გაიხადა, რომელი ჯენტლმენი იზამს ამას? — ძიძართა ქალმა ახალმოსულებს. აშკარა იყო სურდა როგორმე მათი თახავრძობა დაემსახურებინა.

— სოველი იყო, ჩაბუებუებული, — თქვა პატარა კაცმა.

— მერედა, ერთი მითხარი, ვის რაში სჭირდება დახლზე შემოდებული შენი სველი ფეხსაცმელების ყურება. ჰო, იმას ვამბობდი, არც აცია, არც აცხელა და ინტრიგანი ხარო, მეუბნება, ეს იმიტომ, რომ მოისვენე-მეოქი ვუთხარო და ჩაიცივი და სახლში წადი-მეთქი.

— შინ მინდა წავიდე, შინ! ცოლთან და ჩემს პატარებთან, — თქვა ჩია კაცმა. — გაგონილა კაცს ცოლთან არ უშვებდნენ?

— ვინ არ გიშვებს, შე გადაყურყუტებულს ბებერო! ფეხზე ჩაიცივი და ისე წადი, თუ-ცაცი ხარ-მეთქი გეუბნები, ცოლი რას გეტყვის, უფეხსაცმელოდ რომ მიუხვალ.

— მისთვის სულ ერთია, როგორც მივალ! ღმერთო, შენ დამიფარე, რას აო გეტყვიან ზოგჯერ! ხუთი წელია სულაც არ ვყოფილვარ სახლში, ჯოჯოხეთია, აბა რა, ცოლსა და შვილებს რომ დაგაცილებს ინტრიგანი დედაკაცი, გიხდა თუ არა ფეხსაცმელები ჩაიცივიო.

— იცით რას გეტყვით, ჩემო კარგო? — თქვა მისს რანსიბლმა. — ეს ქალი სრულიად მართალია, უმჯობესია ჩაიცივათ ფეხსაცმელები.

— გაიგონე რა გითხრა ქალბატონმა? ქალბატონმა გითხრა, ჩაიცივიო.

ჩია კაცმა სასტუმროს მეპატრონეს ფეხსაცმელები გამოართვა, მისს რან-

სიბლს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და ფეხსაცმელებს აქში გადაუძახა.
 — კმ, ქალბატონი! მაშ, ეს შარვალი რაღაა? — თქვა მან გაგული-
 სებით და სიბნელეში წინდების ამარა გაფრატუნდა.

— კაცმა რომ თქვას, სხვას კი არაფერს ერჩის, — უკუხდა მისთვის დია-
 საბლისმა, — მაგრამ ღვინოს რომ დალევს, ცოტას ურევს ნოლში. მშვენიერი
 ფეხსაცმელები გააოხრა... საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამაღამ მაგას ვირის აბა-
 ნოში მიაბრძანებენ.

— როგორ, თავის ცოლთან არ მივა, ეგ საცოდავი?

— აჰ, რას ბრძანებთ! მაგის ცოლი ლონდონში ცხოვრობს.

არჩი შვერტმა, რომელიც მისს რანსიბლისნაირი კაცთმოყვარეობით არ
 გამოირჩეოდა, უკვე დაკარგა ყოველგვარი ინტერესი ამ საკითხისადმი.

— ჩვენ იმის გავება გვინდოდა, თქვენს სასტუმროში ამაღამ საწოლებს
 ხომ ვერ მოგვიხერხებდით?

ქალმა ეჭვის თვალით შეხედა არჩის.

— საწოლებს თუ საწოლს?

— საწოლებს.

— რა გაეწყობა, — თქვა სასტუმროს დიასახლისმა და ჯერ მანქანას შეა-
 ვლო თვალი. მერე მისს რანსიბლის შარვალზე გადაიტანა მხერა, მერე ისევ
 მანქანას შეხედა, გუნებაში თითქოს რაღაც აწონ-დაწონა და მერეღა დაუმატა:
 თითო ადგილი თითო გირვანქა სტერლინგი ეღირება.

— უველას მოგვათავსებთ?

— ქალთან რომელი ხართ? — იკითხა დიასახლისმა.

— მე სრულიად მარტოდმარტო ვარ, — თქვა მისს რანსიბლმა, — სამა-
 რცხვინო ამბავია არა, საყვარელო?..

— ნუ სწუხხართ, გენაცვათ, ერთხელაც ექნება ბედი თქვენც გაგილიძებით.
 ჰო, მაშ როგორ მოვიქცეთ? ერთი ოთახი მაქვს თავისუფალი. თუ მე სარას-
 თან დავიძინებ, ჯენტლმენებისათვის ადგილი განთავისუფლდება. თუ ქალბა-
 ტონს არაფერი ექნება საწინააღმდეგო და ჩემთან და სარასთან ერთად და-
 წვება...

— თავხედობად თუ არ ჩამომართმევთ, მე იმ განთავისუფლებულ სა-
 წოლზე მიჩვენია, — თქვა მისს რანსიბლმა ჩამწყდარი ხმით და ტაქტიანად
 დაუმატა. — იცით, საშინლად ვხვრინავ.

— რა მოხდა მერე! ჩვენი სარაც ხვრინავს! ჩვენი ნუ მოგერიდებათ... არა,
 ისე თუ მაინცადამაინც...

— ჰო, ნამდვილად ასე აჯობებს, — თქვა მისს რანსიბლმა.

— ჰოდა, თუ ასეა, რა იქნება, მისტერ ტიჩკოკი იატაკზე როგნ დავაწვინო?

— მშვენიერია! — თქვა მაილზმა, — ადექით და მისტერ ტიჩკოკი
 იატაკზე დააწვინეთ.

— მაშ, თუ ასეა და მეორე ჯენტლმენს არაფერი ექნება საწინააღმდეგო,
 მას ჯიბის თავზე მოვათავსებთ. კი, როგორ არა, ნამდვილად რაღაცას მოვიფი-
 ქრებო, აი, ნახავთ, თუ არ მოვიფიქრებთ!

ამრიგად, უველანი ერთად გავიდნენ უკანა ოთახში და ჯინი მიირთვეს.
 მერე მისტერ ტიჩკოკი ვააღვიძეს და ბარგის შემოწმებაში მოინმარის. მერე
 მისტერ ტიჩკოკსაც გაუმასპინძლდნენ ჯინით, მისტერ ტიჩკოკმა თქვა, ჩემთვის

სულ ერთია სადაც დავიძინებ, საწოლზე თუ იატაკზე და ძალიან გამეხარდება. ვინმეს რამეში თუ გამოვადგებიო. მან ისიც თქვა, ერთიც რომ დამალე, ერთი ყელის ჩასაკოკლოზინებლად, უარს არ ვიტყოდიო. ბოლოს, როგორც იქნა, ყველა დაწვა, ძალიან დაღლილები იყვნენ, მაგრამ ბედს აღარ ემდურებოდნენ. თი რა მწარედ იკბინებოდნენ ბალღინჯოები მთელი ღამე!

ადამი ცალკე ოთახში დააწვინეს, იგი დილით ადრე ფანჯრის მიხედვით წვიმის წვეთების რაყუნმა გამოაღვიძა. ადამმა გარეთ გაიხედა და ნაცრისფერი ცა, ფაბრიკა და არხი დაინახა, რომლის თავთხელ წყალში ბოთლების ნამსხვრევებსა და ჯართის კუნძულებს ამოეყო თავი. არხის მოპირდაპირე მხარეს ძველთაძველი საბავშვო ეტლის ნარჩენები სანახევროდ მოჩანდა წყლიდან. ადამის ოთახში ერთი კამოდი იდგა, კამოდის უჯრებიდან საზიზღრად გამოჩრილიყო ძონძები. იქვე იყო პირსაბანი; პირსაბანზე ჭყეტელა ფერებით მოხატული თასი და ცარიელი დოქი იდო. კბილების ძველი ჯაგრისიც იქვე ეგდო. ოთახში იდგა ქალის ბიუსტი, რომელზედაც პრიალა წითელი ქსოვილი იყო გადაკრული და რომელსაც, ძველ წმინდანთა ცხოვრებებში აღწერილი ამბებისა არ იყოს, წაჭრილი ჰქონდა იდაყვები, კისერი და წელს ქვემო ნაწილი. ეს იყო ეგრეთ წოდებული თურძის მანეკენი (ერთი ასეთი მანეკენი ადამის ოჯახშიც ჰქონდათ; მანეკენს „ჯემაიმა“ შეარქვეს. ერთხელაც ადამმა ამ ჯემაიმას საჭრეთელი ატაკა და ნახერხი ბავშვების ოთახის იატაკზე გადმოაპნია, რისთვისაც სათანადოდ დასაჯეს კიდევ, ჩვენს. უფრო განსწავლულ საუკუნეში ბავშვის ამ საქციელში ალბათ რაღაც კომპლექსებს დაუწყებდნენ ძებნას და გვარიახდაც შემფოთდებოდნენ. მაშინ კი, მარტო იმას დასჯერდნენ, რომ ადამს იატაკი მოახვეტინეს).

ადამს წყურვილი აღრჩობდა, მაგრამ წყლის გრაფინის ფსკერზე სალათიასფერი ბავსი ლივლივებდა და ადამმა თავი შეიკავა. იგი ისევ ჩაწვა ლოგინში და ბალიშის ქვეშ აღმოაჩინა ცხვირსახოცი, რომელიც, როგორც ჩანს, მისტერ ტიკოვს ეკუთვნოდა.

ძილშებრუნებულმა ადამმა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ რომ გამოიღვიძა, საწოლზე ჩამომჯდარი, პიუჟამაზე ქურქწამოსხმული მისს რანსიბლი დაინახა.

— ჩემს ოთახში სარკე არ არის, გენაცვალე, — თქვა მისს რანსიბლმა. — აბაზანაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. დერეფანში რაღაც რბილსა და ცივს წავაწყდი, ალბათ იგაც ვიღაცას ეძინა. მე კი მთელი ღამე არა მძინებია, ლოსიონით ბალღინჯოებს ვხოცავდი. თანაც ყველაფერი ყარს და საერთოდაც ისე ვარ, სადაცაა სულს გავაფრთხობ.

— შოდი აქედან ავიბარგოთ, — თქვა ადამმა.

მათ მაილზი და არჩი შვერტი გააღვიძეს და ათი წუთის შემდეგ თავთავიანთი ჩემოდნებით ხელში ყველანი გამოიძურწნენ „როიალ ჯორჯიდან“.

— რას იტყვიოთ, ცოტა ფული ხომ არ დაგვეტოვებინა? — იკითხა ადამმა, მაგრამ დანარჩენებმა იუარეს.

— ჯინის ფულის გადახდა ალბათ მოგვიწევს, — თქვა მისს რანსიბლმა.

მათ დახლზე ხუთი შილინგი დატოვეს და „იმპერიალისაკენ“ აიღეს გეზი.

დილაუთენია „იმპერიალში“ უკვე ყველას ეღვიძა. ხელში ყველას ლაბადები და მუზარადები ეჭირა. ლიფტში შემსვლელეები და გამომსვლელეები ერთმანეთში ირეოდნენ. მაილზის მეგობარი ვათენებამდე წასულიყო სასტუმროდან, როგორც ჩანს, თავის გარაცში. სასტუმროში ადამი რამდენიმე რეპო-

რტიორს შეხვდა, რომელთაც „ექსცესის“ რედაქციიდან იცნობდა, რეპორტიორების აზრით, შეუძლებელი იყო იმის წინასწარმეტყველება, თუ ვინ გაიმარჯვებდა რბოლაში. დაბეჯითებით მარტო იმის თქმა შეიძლება, თქვენ რეპორტიორებმა, რომ შეჯიბრების ყურება ყველაზე საინტერესო შემთხვევის მოსახვევიდან იქნება, გასულ წელს იქ სამი მოტომობილი დაიპყრო, უარესი ამბავია მოსალოდნელი, იმიტომ რომ ტრასაზე ცხდნა-გულროვნა დააგეს, არც მეტი, არც ნაკლები სასაკლაოზე გზავნიან ხალხსო. მერე რეპორტიორები ინტერვიუს ასაღებად გაეშურნენ. რბოლის ყველა მონაწილეს ჰგონია, რომ თვითონ გაიმარჯვებსო, ამბობდნენ რეპორტიორები.

ამასობაში მისს რანსიბლმა სადღაც თავისუფალი სააბაზანო ოთახი აღმოაჩინა და ნახევარ საათში კაბაში გამოწყობილი და მოკობტავეებული მიეახლა მეგობრებს. იგი მზად იყო შემდგომი თავგადასავლებისათვის. ყველანი სასაუბროდ წავიდნენ.

დარბაზში, მართლაც რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. „სიჩქარის ღმერთებად“ წოდებულ რა ეროვნების წარმომადგენელს არ შეხვდებოდათ აქ. თიქმის ყველა მოტომობილს პატარა უღვაში დაეყენებინა. თვალეში ყველას ერთნაირი დაძაბულობა ჩასდგომოდა. ისინი დილის გაზეთებში პროგნოზებს ათვალთვრებდნენ და საჭმელს შეეპყროდნენ, რომელიც, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელიც იყო მათთვის ამჟვეყნად (ზოგისთვის მართლაც უკანასკნელი გამოდგა). აქვე იყვნენ კორესპონდენტები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტ სიამოვნებას გამოარჩენოდნენ ამ მიკლინებას. მოტომობილებს „გულშემატკივართა“ მთელი არმია ეხვეოდა. ამ ყველაფრისმცოდნე ახალგაზრდებს შარვლებში ჩატანებული ჰრელაჭრულა სვიტრები ეცვათ. სხვადასხვა დაბურული სკოლების ძველი, ემბლემებიანი ყელსაბჯევები ეკეთათ. კუმოკრული ტვიდის კოსტუმები ეცვათ, გაუჩერებლივ ტარტარებდნენ და ოდნავ შესამჩნევად უქცევდნენ კოკნის კილოზე. აქ იყვნენ ს.ს.კ.-სა¹³ და ს.ა-სა¹⁴ ინსპექტორები. არც ნავთობის მომპოვებელ ფირმათა და ავტოსაბურავების ქარხნების წარმომადგენელთა ნაკლებობა იგრძნობოდა, დარბაზში ერთ ნირწამხდარ ოჯახსაც ნახავდით: ეს ოჯახი ამ ქალაქში ნათესავებთან ჩამოსულიყო ბავშვის ნათლობაზე (მათ არავინ უთხრა წინასწარ, რომ ამ დროს ქალაქში ყოველთვის იმართებოდა საავტომობილო რბოლა და, როცა სასტუმროს ანგარიში წარუდგინეს, ელდა ეცათ.).

— აჭაურობას არა უშავს რა, — თქვა მისს რანსიბლმა და შებოლილ ვირთევზას შეექცა.

ყოველი მხრიდან ისმოდა ტექნიკური ტერმინოლოგიით გაჯერებული დიალოგების ნაწყვეტები.

...შემოწმების მერე გამოცვალა ძრავა. მის ადგილას სხვას დისკვალიფიკაციას მისცემდნენ...

...ორმოცდაათ მილსაც კი ძლივს ანვითარებს...

...ზუსტად მოსახვევში ფუტკარმა უკბინა, ხეს სულ რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა და პირდაპირ რატუშას შეასკდა. უკან „რაილი“ მისდევდა,

¹³ ს. ს. კ. — სამეფო საავტომობილო კლუბი.

¹⁴ ს. ა. — საავტომობილო ასოციაცია.

ისიც ერთი-ორჯერ დაბზრიალდა, მიწაყრილზე ავარდა, ამოყირავდა და აუვ-
თქდა...

...სარქველები გადახურდება ხოლმე, ამ ძრავაზე სუბერის დაყენება არ
შეიძლება...

...ეშმაკის მოსახვევისა რა მითქვამს... თეთრ კოტეჯს რომ მიუახლოვდე-
ბი, სიჩქარე ორმოცდახუთ-ორმოც კილომეტრამდე უნდა დაიყვანო. სამიკიტ-
ნოსათნ ისევ უნდა დაგაზო და მეორით იარო მარცხენა ბაზოზე. ამას ბავშ-
ვიც მოახერხებს! აი, რკინიგზის ხიდთან რომ ორმაგი მოსახვევია, ის კი მარ-
თლაც კაი დროს გაგატარებინებს...

...რამდენჯერმე ანიშნეს ალმით, გაჩერდიო. გეუბნები, ამ ბანდიტებს არ
უნდათ შავისი გამარჯვება...

...სახელი არ მითხრა, მაგრამ სიტყვა მომცა, ამაღამ ამავე ადგილას შეგხ-
ვდებიო. მანქანის მოსართავად თეთრი ერიკას ტოტი მომცა. დამეკარგა მე
გამოშტერებულს. ამ ტოტის მიხედვით მოგძებნიო, მითხრა...

...წელს გამარჯვებულს ოც გირვანჯა სტერლინგზე მეტს არ მისცემენ...

...სამოცდათხუთმეტით მიდიოდა. ტრეკთან მოცურდა...

...საფენები დასკდა და ცილინდრები ჩაოხრდა...

...ორივე ხელი მოიტეხა და თავის ქალაც ორგან აქვს გაბზარული...

...ძარა ირყევა...

...ვიბრაცია სიჩქარის ბრალია...

..მერკ...

...მაგ...

...კრაბ...

საუზმეს რომ მორჩნენ, მძსს რანსიბლი, ადამი, არჩი შვერტი და მაილზა
თავიანთი ფალავნის სანახავად წავიდნენ გარაჟში. მათ იგი ძრავის გუგუნს
ძიყურადებული, მთელი არსებით საქმეში ჩაფლული იხილეს. გარაჟის ერთი
კუთხე თოკით გაემიჯნათ და კრივის რინგივით სილით მოეფინათ.

რინგს ავტოგრაფებზე დახარბებული, ალბომებითა და გატეხილი მუდმი-
ვი კალმებით შეიარაღებული ბიჭების ლაშქარი შესეოდა. რინგის შუაგულში
მექანიკოსების ალყაში მოქცეული კაპოტაბდილი მანქანა იდგა. ძრავა ჩა-
რთული იყო და მანქანა ზედმეტი დაძაბულობისაგან ერთ ადგილას თრთოდა
და თახთახებდა. ძრავიდან შავი, გამონაბოლქვი კვამლი ღრუბლებად გამო-
დიოდა. ძრავა შემადრწუნებლად ღმუოდა და ბეტონის იატაკიდან თუ გოფრა-
რებელი რკინის სახურავიდან უკუქცეული ხმაური ისეთი ძალისა იყო, რომ
არაოუ ლაპარაკი. ფიქრიც კი შეუძლებელი ხდებოდა და საერთოდაც ყოველ-
გვარი შეგრძნების უნარი უბლაგვდებოდა ადამიანს. დროდადრო ამ გულის-
წამლებ გრუხუნს მკვეთრი დეტონაციები ენაცვლებოდა. სწორედ ეს პატარ-
პატარა აფეთქებები იყო, მექანიკოსებს რომ აშფოთებდა. ამიტომაც ძრავის
ყოველი ასეთი ამოხროტინების შემდეგ მაილზის ძმაკაცი, რომელსაც ხმაუ-
რისადმი დიდ მგრძნობელობას ვერაფრით ვერ დასწამებდით, შუბლშეკმუხ-
ნული მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა ხოლმე უფროს მექანიკოსს.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ეს მანქანა არა მარტო აშკარა ბგერითი არა-
სრულყოფილებით აოცებდა, არამედ იმიტაც, რომ საერთოდ მოუმთავრებელი
ჩანდა — უამრავი ნაწილი აკლდა. მანქანა ფაქტიურად აწყობის სტადიაში
იმყოფებოდა: მარტო სამი თვალი ჰქონდა. მეოთხე — კომბინეზონიან ახალ-

გაზრდა კაცს ეჭირა ხელში. ახალგაზრდა იმით იყო დაკავებული, რომ შუბლზე ფარდასავით ჩამოფენილ ქერა თმას წამდაუწუმ თავის აქვევით უკან გადაიყრიდა ხოლმე, ხოლო შუალედებში ჩაქუჩს გამეტებდა. ურტყამდა ბორბალს. მანქანას არც სავარძლები ჰქონდა. იქ, სადაც წესით სავარძლები უნდა ყოფილიყო, მეორე მექანიკოსი ტყვიის ფირფიტებს ახრახნიდა... მანქანას არც კაპოტი ჰქონდა. კაპოტი ხელთ ეპყრა მღებავს და ზედ დახატულ თეთრ წრეში შავი საღებავით რიცხვ ცამეტს წერდა. მანქანას უკანაც იგივე ნომერი ეწერა. ერთი მექანიკოსი წინა ფართან ნომრიანი ფირფიტის მიმაგრებით იყო გართული, მეორე — წვრილი მავთულის ბადისაგან საქარე მინის საფარს აკეთებდა. ერთი სხვა მექანიკოსიც გულაღმა გაწოლილიყო, ხელში ჩვარი და სპრიც-ლებელი სითხით სავსე ქილა ეჭირა და უკანა ლერძთან რალაცას საქმიანობდა. კიდევ ორი მექანიკოსი მაილზის ამხანაგს ძრავის დეტონაციის მოსმენაში ეხმარებოდა.

— ვითომ რა, ამ გრუხუნს ბარკლი-სკვერიდან ვერ გავიგონებდით? — იკითხა მისს რანსიბლმა.

უდავოა, რომ ავტომობილები შესანიშნავ საფუძველს ქმნიან, რათა მკვეთრი მეტაფიზიკური გამიჯვნა მოვახდინოთ ორ მოვლენას — „არსებობა-სა“ და „გადაქცევას“ შორის. არიან მანქანები, რომელთაც სხვა დანიშნულება არა აქვთ რა, გარდა იმისა, რომ გადაადგილების საშუალებას წარმოადგენენ. ისინი მექანიკური მუშაკნი არიან. ასეთებს განეკუთვნებიან, მაგალითად, ლედი ნეტროლენდის „პისბანო სუიზა“, მისის მაუსის „როლს-როისი“, ლედი პერიფერის 1912 წლის „დეიმლერი“ ანდა რომელიმე უბრალო მოკვდავის „ოსტინი“. ყველა ამათ თავიანთი პატრონებით თავისი „არსებობა“ გააჩნიათ. ამ მანქანებს ყიდულობენ მთლიანად აწყობილებს, შეღებულებსა და დანობრილებს. ისინი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბოლომდე ასეთებად რჩებიან, მაშინაც კი, როცა პატრონს იცვლიან. დროდადრო საღებავს თუ გადაუსვამენ, ანდა რომელიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილის გამოცვლით თუ გაახალგაზრდავებენ, სხვაფრივ კი ისინი, სანამ ჯართად არ იქცევიან, ბოლომდე ინარჩუნებენ თავის პირვანდელ სახეს.

სულ სხვაა ქეშმარიტი ავტომობილები. ისეთები, ადამიანის ბატონ-პატრონად რომ გადაიქცევიან ხოლმე. მეტალის ეს სულიერი ქმნილებანი იმიტომ არსებობენ, რომ სივრცეში დამოუკიდებლად ინავარდონ. მათთვის საჭეს ჩაფრენილ მძღოლს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სტენოგრაფისტ გონაპს ბირჟის მაკლერისათვის. ასეთი მანქანები მიწყივ ფერისცვალებას განიცდიან. ისინი წარმოადგენენ განცალკევებადი და კვლავ შეერთებადი ნაწილების გროვას და რალაცით მოგვაგონებენ გზაჯვარედინებზე ყოველი მხრიდან ერთად შეჯგუფულ სხვადასხვა მექანიზმებს, ერთმანეთში რომ ირევიან, რათა ცოტა ხნის შემდეგ ისევ სხვადასხვა მხარეს გაიფანტონ.

ამ ღრიანცელში საუბარი კიდევ რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მაილზის მეგობარი ლაპარაკის გუნებაზე მაინც არ ჩანდა, მან დაბნეულად დაუქნია მათ ხელი და ისევ ძრავის ხმაურს მიაყურადა. მერე თოკთან მოდგა და დარყვირა:

— მაპატიეთ! წუთითაც ვერ ვიცლი! პუნქტში დამელოდეთ! თქვენთვის საშკლავურები ვიშოვე!

— რად გინდოდა, საყვარელო?

მაილზის მეგობარმა ყველას სათითაოდ ჩამოურიგა თეთრი ტილოს, ზონ-რიანი სამკლაურები.

— მკლავებზე გაიკეთეთ, — დაიყვირა მაილზის მეგობარმა, — უშაგის/ოდ პუნქტში არ შეგიშვებენ!

— ოი, საყვარელო! რა გადასარევია! წარმოგიდგენიათ, რაღაც პუნქტე-ბიც ჰქონიათ!

სამკლაური ყველამ გაიკეთა. „სათადარიგო მძლოლის“ სამკლაური მისს რანსიბლს ერგო, „გარაეის მომსახურე პერსონალისა“ — ადამს, „სათადარი-გო ძენახიკოსისა“ — მაილზს, ხოლო არჩის — „მანქანის მფლობელის წარმო-მადგენლისა“.

გაბმულ თოკთან თავშეყრილმა ბიჭებმა თავდაპირველად არაფრად ჩააგ-დეს მისს რანსიბლი და მისი მეგობრები, მაგრამ როგორც კი მათ მკლავებზე სამკლაურებს მოჰკრეს თვალი, ავტოგრაფების წიგნაკებით ხელში მაშინვე მათ გარშემო შემოჯარდნენ. არჩიმ დიდი გულმოდგინებით მოაწერა ხელი უკლე-ბლივ ყველა წიგნაკში და ერთ წიგნაკში ცოტა არ იყოს შეუფერებელი სუ-რათიც კი ჩახატა. ბოლოს ისინი არჩის მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

შუადღემდე, როცა რბოლა უნდა დაწყებულიყო, დიდი დრო იყო დარ-ჩენილი, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ მაყურებელთა მერყეობას იმის თაობაზე, თუ სად გაეტარებინათ დარჩენილი დრო, საფუძველი გამოაცალა, — სურვილების სხვადასხვაობის მიუხედავად ყველანი რბოლის ადგილისაკენ მიმავალ გზას გაუყენა. რბოლის ორგანიზატორებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს ამ ღონისძიების ზედმიწევნით ზუსტად ჩატარებისათვის: რბოლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ადგილობრივი პოლიციის უფროსმა მინიატურული სა-გზაო რუკა გამოსცა. იმ პოლიციელებს, რომელთაც რბოლის დღეს მორიგეობა უწევდათ, ამ რუკის ზეპირად შესწავლა დაევალებათ. პოლიციელებმა თავის მხრივ იმდენად გულმოდგინედ დაისწავლეს გაკვეთილი, რომ ადრიანი დილი-დან მოყოლებული, სანამ შუადღეს კარგად არ გადასცილდა. ყოველგვარი ტრანსპორტი, რომელიც ქალაქის შემოგარენში გამოჩნდა, განუხრელად იგ-ზავნებოდა საჩვენებელი ისრებითა და პუნქტირით მონიშნულ ა—ბ მაგისტ-რალისაკენ, ხოლო ეს გზა, თავის მხრივ, მთავარი ტრიბუნების უკან გამართუ-ლი მანქანების დროებით სადგომისაკენ მიემართებოდა. (ასე რომ, არა ერთმა და ორმა ექიმმა, მარშრუტის იძულებითი შეცვლისა გამო, მშვენივრად გაა-ტარა დღე, თავისი პაციენტებისათვის რამდენადმე საგრძნობი ზიანის მიუყუ-ნებლად.)

მაყურებლები უკვე მდორე მდინარესავით მიედინებოდნენ დანიშნული ადგილისაკენ. რკინიგზის სადგურიდან ზოგი ფეხით მოდიოდა და თან სენდვ-ვიჩები და დასაკეცი სკამები მოჰქონდა. სხვები ველოსიპედებით ან კიდევ ეტ-ლიანი მოტოციკლეტებით მოდიოდნენ. მაგრამ ყველაზე ბევრი მაინც უბრე-ტერზიო, იაფფასიანი მანქანებით მოვიდა. ამ მანქანების მფლობელთა ჩაცმუ-ლობასაც და საქციელსაც საშუალო ფენებისათვის დამახასიათებელი დამლა-ედო. შიგადაშიგ ისეთებიც ერივნენ, რომელთაც ტრანზისტორები და სხვა რამ ვასართობი საშუალებანი წამოეღოთ. მიუხედავად ამისა, მთელი ამ მასის განწყობილება ძირითადად მაინც საქმიანი და მიზანსწრაფული იყო. ეს არ იყო

დერბის¹⁵ დღე, დასასვენებლად რომ განაწყობდა მათ. შუა კვირაში იმიტომ კი არ მიატოვეს საქმეები, რომ კარუსელით შეექციათ თავი და ბოშა ქალებისა და შულერების ყურებაში გაეფლანგათ დრო. მათ რბოლა უნდოდათ! მათი მანქანები გამონაბოლქვის ჯანლში ნელა მილოდადნენ. მანქანებში მსხდომნი სხვადასხვა მარკის ავტომობილების კონსტრუქციებსა და შესაძლო კატასტროფათა შესახებ მსჯელობდნენ, თან რბოლის ტრასას გულმოდგინედ სწავლობდნენ, რომ საყურებლად ის ადგილი ამოერჩიათ, რომელიც რბოლის მონაწილეთათვის ყველაზე სახიფათო იყო.

ქალაქის პოლიციის უფროსის მიერ შედგენილი მარშრუტი, რომელსაც მყურებელი რბოლის ადგილას უნდა მიეყვანა, კოტეჯებსა და საცხოვრებელ ბინებად გადაკეთებულ ვაგონებს მიუყვებოდა და საკმაოდ აგრძელებდა გზას. გზის ორივე მხარეს ჩაყოლებულ ტელეგრაფის ბოძებზე „მორნინგ დისპეტჩის“ სარეკლამო პლაკატები დაეკიდათ. ეს რბოლა ამ გაზეთმა მოაწყო და პრიზისთვის საჭირო თანხებიც მანვე გაიღო. პრიზი წარმოადგენდა მახინჯი ფორმის მოოქროვილ ვერცხლის ფიგურას, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა „შარავანდემოსილ სიჩქარეს“ (ამ პრიზს, ამჟამად საიმედოდ იცავდნენ რბოლის მომწყობი კომიტეტის შტაბ-ბინაში. გასულ წელს, სწორედ შეჯიბრების დაწყების წინაღვეს ეს ფიგურა თვითონ ოფიციალურმა პირმა, ქრონომეტრისტმა მოიპარა და მანჩესტერში სასაცილოდ მცირე თანხაში დააგირავა. ამისათვის იგი თანამდებობიდანაც მოხსნეს და ციხეშიც მიაბრძანეს). სხვა რეკლამები სხვადასხვა ხარისხის ბენზინის თუ საფალიე სათღების ქებათაქებას წარმოადგენდა, ზოგიც იუწყებოდა, თუ დაუყოვნებლივ დაეზღვევით, ხელ-ფეხის დაზიანების შემთხვევაში 100 გირვანქა სტერლინგს მიიღებთო. ერთ ხანშიშესულ მამაკაცს ხელში ლურჯ-თეთრი პლაკატი ეჭირა და მანქანებს შორის მიმოდისოდა. პლაკატი გვამცნობდა: „სისხლის დაუნთხევლად ცოდვების მონანიება არ ეგებისო“. ერთი პეწიანად გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მოხერხებულად ვაჭრობდა ცენტრალური ტრიბუნების ყალბი ბილეთებით.

ადამი მაილზის გვერდით მანქანის უკანა სავარძელში იჯდა. მაილზი აშკარად შეცბუნებული იყო თავისი მეგობრის უგულობით.

— რა ვერ გამიგია, იცით? — თქვა მაილზმა. — ნეტა რა ჯანდაბა მოგვარბენინებდა აქ. „ექსცესშიც“ გასაგზავნი მაქვს მასალა. ვგრძნობ, დღევანდელი დღე ჩვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე გულისგამაწვრილებელი დღე იქნება.

ადამი მზად იყო დათანხმებოდა მაილზს. უცებ მან დაინახა, რომ ვიღაც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

— აი, ის საშინელი კაცი რაღაცას განიშნებო, — უთხრა მაილზმა. — ღმერთო ჩემო! აი, ეს მესმის! ნაცნობიც ასეთი უნდა!

ადამი შებრუნდა და იქვე, სამიოდე იარდის მანძილზე თვალი მოჰკრა დიდი ხნის ნანატრ-ნაძიებ ლოთ მაიორს. ადამს მაიორისაგან მხოლოდ ერთი ახალგაზრდა, ხაკისფერ შორტებში გამოწყობილი, ველოსიპედზე შემომჯდა-

¹⁵ დერბი — სამწლიანი ცხენების დოლი. რომელიც ყოველწლიურად იმართება ლონდონის მატლობლად, ეპსომში.

რი ქალი, მისი ზურგჩანთიანი თანამგზავრი და ერთიც პატარა, პროგრამების გაძვირდველი ბიჭი ჰყოფდა. მაიორი ამჯერად საკმაოდ ფხიზელი ჩანდა. თავზე შლაპა ეხურა, ბარბერი¹⁶ ეცვა და გაცხარებით უქნევდა ხელს ადამს. მინებ-ჩაწეული მანქანიდან.

— ეჭვი! სად დაიკარგეთ! მოვკვდი თქვენი ძებნით! — ყვიროდა ლოთი მაიორი.

— მეც გეძებდით! — დაიყვირა ადამმაც. — ფული მჭირდება.

— ვერ გავიგე, რა გჭირდებათ?

— ფული!

— არაფერი არ მესმის. ამ წყევულმა მანქანებმა უერთასმენა წაიღეს. რა გქვიათ? ლოტის აღარ ახსოვს!

— ადამ საიმში!

— არ მესმის!

ამ დროს კუს ნაბიჯით მლოდავმა მანქანებმა იმ ადგილს მიაღწიეს, რომელიც პოლიციის უფროსის მიერ „ბ“ ასოთი იყო აღნიშნული და საიდანაც გზების გასაყარი იწყებოდა. გზაჯვარედინზე პოლიციელი იდგა და მანქანებს ზოგს მარჯვნივ, მთავარი ტრიბუნის უკან ავტოსადგომისაკენ, და ზოგსაც მარცხნივ, ბენზინის ჩამოსასხმელი სადგურისაკენ, გორაკის მიმართულებით უშვებდა. არჩიმ მარცხნივ გაუბვია. ლოთი მაიორის მანქანამ სიჩქარეს უმატა და მარჯვნივ გასხლტა.

— თქვენი სახელი აუცილებლად უნდა გავიგო — დაიყვირა მან, თითქოს წინასწარ ყოფილიყვნენ შეთანხმებული, ყველა მძღოლმა ერთდროულად მისცა საყვირი, ადამის გვერდით მდგარმა ველოსიპედისტმა ქალმაც ამ დროს ჩამოჰკრა თავის ზარს. მისმა თანამგზავრმაც პარაზელი ტაქსისტივით ჩაჰბერა თავის საყვირს და პატარა ბიჭმაც თითქმის ყურში ჩასძახა ადამს: ვის გნებავთ რბოლის პროგრამა. ტრასის რუკა, ან ავტომრბოლელთა სიაო“.

— ადამ საიმში მქვია! — განწირული ხმით დაიყვირა ადამმა, მაგრამ მაიორმა ხელები პაერში ალაპყრო სასოწარკვეთილების გამოსახატავად, აქაოდა, ვერაფერი გავიგეო, და მანქანებს შორის გაუჩინარდა.

— ამ ტიპებს სად მონახავ ხოლმე! — აღტაცებით წამოიძახა გამოცოცხლებულმა მაილზმა.

გამოირკვა, რომ მაილზის მეგობრის ნახსენები „ბუნქტები“ ერქვა ხისა და ჯოფრირებული რკინისაგან გაკეთებულ კაბინებს, რომლებიც ზუსტად მთავარი ტრიბუნების პირდაპირ დაედგათ. თითქმის ყველა მანქანა უკვე მისთვის განკუთვნილ კაბინაში იდგა. გარშემო მაყურებლები და მექანიკოსთა მთელი შტატი ეხვეოდა. ამ მანქანებს, როგორც ჩანდა, უკვე არემონტებდნენ. შეკიდრების ორგანიზატორები წინ და უკან დარბოდნენ, თავიანთ ბლოკნოტებში წამდაუწუმ რაღაცას ინიშნავდნენ. მათ თავებს ზემოთ ბოძზე დაკიდებული უზარმაზარი რეპროდუქტორიდან სასულე ორკესტრის შესრულებით მარწებს გადმოსცემდნენ.

ცენტრალური ტრიბუნა ჯერ ისევ ცარიელი იყო, მაგრამ ტრასის გასწვრივ სხვა დანარჩენი ადგილები თითქმის მთლიანად შეევსოთ მაყურებლებს.

¹⁶ ბარბერი — ბარბერის კომპანია უშვებს საწვიმრებს, რომლებიც იმ სახელით არის ცნობილი. მაკინტოშის მსგავსად (მთარგმნ.).

უსწორმასწორო რელიეფის მქონე წრიული ტრასის სიგრძე კამეტე-თოთხ-
ნეტ: მილი იქნებოდა. იმ ქუდბედიანებს, რომელთაც ყველაზე სახელო მო-
სახვევებში კოტეჯი ან ტრაქტორი ედგათ, სახურავებზე ხის სახელდახელო
ტრაბუნები მოეწყობოთ და ბილეთებს მამასისხლად ჰყიდიდნენ. კაბინებს უკან
ბალახით დაფარული გორაკი წამომართულიყო. გორაკის წვერზე ფირნიში
აღემართათ. ამ ფირნიშზე ბოისკაუტებს რბოლის მსვლელობა ეტაპების მიხე-
დვით უნდა ეუწყებინათ მაყურებელთათვის. მანამდე კი უსაქმოდ მყოფი
ბოისკაუტები კამფეტებს წუწნიდნენ, ლუდსა და ლიმონათს წრუტავდნენ და
ეროპანეთს ელლაბუცებოდნენ. ფირნიშის უკან მოჩანდა ეკლიანი მავთულბ-
ლართის მესერი, მესერს უკან ჯგუფ-ჯგუფად ირეოდნენ მაყურებლები. იქვე
ანლოს, რამდენიმე ფარდულში ბუფეტი გაემართათ. გზაზე ხის დიდი თალი
მოჩანდა, რომელიც „მორნინგ დისპეტჩს“ უწევდა რეკლამას. აქა-იქ საგზაო
ინსპექტორებიც შერეოდნენ ხალხს და ცდილობდნენ ერთმანეთს საველე ტე-
ლეფონებით დაკავშირებოდნენ. ზოგჯერ რეპროდუქტორით მუსიკის გადა-
ცემას წყვეტდნენ და აცხადებდნენ: „მავანსა და მავანს სთხოვენ შეჯიბრების
მსაჯთან მობრძანდესო!“ ამის შემდეგ ისევ მუსიკის გადაცემას აგრძელებდნენ.

მისს რანსიბლმა და მისმა თანმხლებლებმა მეცამეტე კაბინა მონახეს და
ფანერის თაროებზე ჩამოსხდნენ. სიგარეტებს ეწეოდნენ და თან ავტოგრა-
ფებს არიგებდნენ. მათკენ ერთ-ერთი ინსპექტორი გაემართა.

- თუ შეიძლება, აქ ნუ ეწევით!
- ბოდიში, გეთაყვა! არ ვიცოდი!

მისს რანსიბლის უკან ოთხი კასრი იდგა: ორი წყლისა და ორიც ბენზინით
სავსე. მისს რანსიბლმა სიგარეტი მხარუკუდმა მოიპოლა. კეთილგანწყობი-
ლად მოდარაჯე ბედისწერის წყალობით, რომელიც აქამდე მისს რანსიბლს
დიდად არ ანებებდა, სიგარეტი წყლიან კასრში ჩავარდა. ბენზინით სავ-
სეში რომ ჩავარდნილიყო, მისს რანსიბლიანად ყველაფერი ჰაერში აღმოჩნ-
დებოდა.

ძასობაში მეცამეტე ნომერიც გამოჩნდა. მაილზის მეგობარი და მისი
მეჭანიკოსი მანქანიდან გადმოხტნენ. ორივეს კომბინეზონები ეცვათ, მუქი
სათლალეები ეკეთათ და მუხარადები ეხურათ. მათ მანქანას კაპოტი ახადეს
და რაღაცას ჩხიკინი დაუწყეს.

- მეცამეტე ნომრად საერთოდ არავინ არ უნდა გაეშვათ. — თქვა მე-
ქანიკოსმა. — ეს რა წესია!
- მისს რანსიბლმა ახალ სიგარეტს მოუკიდა.
- აქ ნუ მოსწევთ-მეთქი. თუ შეიძლება! — თქვა ინსპექტორმა.
- რა აუტანელი ვარ, არა, გეთაყვა? სულ გადამავიწყდა!

სიგარეტი ამჯერად მეჭანიკოსის საუზმით სავსე კალათაში ჩავარდა, წი-
წილის ბარკალს დაეცა და კარგა ხანს ხრჩოლავდა, სანამ ბოლომდე არ ჩაი-
ფერფლა.

მაილზის მეგობარმა მანქანის ბენზინის ბაკში უზარმაზარი ძაბრით ბენ-
ზინი, ჩასხმა დაიწყო.

— დაიმახსოვრეთ, რასაც გეტყვით. — თქვა მან, — თქვენ არა გაქვთ
უფლება რაიმე გადმომცეთ. მაგრამ კაბინას რომ ჩავუვლით, თუ ეღუარდსმა
მარცხენა ხელი ასწია, ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგ წრეზე ჩვენ ბენზინის ჩა-
სასხმელად შევჩერდებით. ასეთ შემთხვევაში თქვენ ორი ბიღონი ბენზინით

უნდა გაავსოთ და ძაბრთან ერთად თაროზე შემოდგათ, რომ ედუარდმა აღება შეძლოს. თუ ედუარდსი მარჯვენა ხელს ასწევს...

და მაილზის მეგობარმა მათ ყველაფერი დაწვრილებით დაუხსნა.

— უფროსად შენ ვტოვებ, — უთხრა მან არჩის. — ხომ კარგად დაიწყებ-სოფრე ყველა ნიშანი? იცოდე, შეიძლება რბოლის ბედი თქვენ გადაწყვიტოთ.

— ლურჯი ალმის აწევა რას ნიშნავს?

— ლურჯი ალმით მანიშნებ, რომ გავჩერდე.

— რა შემთხვევაში უნდა გაგაჩეროთ?

— ვთქვით, რალაც უწესრიგობა შეამჩნიეთ, ვთქვით, ბაკიდან ბენზინი ეონავს ან რაიმე ამის მსგავსი, ან კიდევ იქნებ ინსპექტორმა მოითხოვოს იმ ფირფიტის გაწმენდა, რომელზედაც ნომერი აწერია.

— მე მგონი, ლურჯი ალმის დიდად შეწუხება არ დაგვჭირდება. მაგ ჩახვეული ამბებისა არაფერი მესმის.

მისს რანსიბლმა ისევ მოუკიდა სიგარეტს.

— თუ მოწვევა გინდათ, ეგებ გენებებინათ კაბინიდან გასვლა, — თქვა ინსპექტორმა.

— რა უბნში კაცია, — თქვა მისს რანსიბლმა, — მოციოთ იმ შესანიშნავ ფარდულში ავიდეთ და რამე დავლიოთ.

მათ ბოისკაუტებს გვერდი აუარეს და აღმართს შეუდგნენ. ზემოთ ასულეებმა მავთულის ლობეში გასასვლელი მოძებნეს და, როგორც იქნა, ბუფეტს მიაღწიეს.

კაბინასთან შედარებით აქ მეტი გულითადობის ატმოსფერო სუფევდა. გოლფებში გამოწყობილი მამაკაცები შეჯიბრების დაწყების წინ „ყელს ისვენებდავენ“. არ მოსწიოთო და სხვა ამგვარ სისულელეებს არ მოითხოვდნენ. ერთი შუა ხნის ქალი ბალახზე იჯდა. ერთ ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა, მეორეში ძუძუთა ბავშვი.

— გეგონება საკუთარ სახლში იყო! — თქვა მისს რანსიბლმა.

რეპროდუქტორი უცბად გაჩუმდა და დიქტორმა გამოაცხადა:

„თორმეტს ზუთი წუთი უკლია. ყველა მძლოლსა და მექანიკოსს ვთხოვთ ტრეკის მეორე მხარეს გადავიდნენ“.

ტრასაზე ჩოჩქოლი შეწყდა და ბუფეტმაც სწრაფად იწყო დაცარიელება.

— სტარტს ვერ მივუწრებთ, საყვარელო!

— ცუდი არ იგნებოდა ყელი გაგვესველებინა!

ისინი ისევ ფარდულში შებრუნდნენ.

— ოთხი ვისკი, თუ შეიძლება! — თქვა არჩი შვერტმა.

— დაგაგვიანდებათ! — უთხრა მათ მებუფეტე ქალმა.

— რა უსინდისო კაცი იყო! — თქვა მისს რანსიბლმა. — ვთქვით, არ შეიძლებოდა მოწვევა, წესიერად ვერ გვეტყოდა, ნუ ეწევიოთ?

— მართო თქვენ ეწეოდით, საყვარელო!

— მით უმეტეს!

— ღმერთო ჩემო, მისს! ხომ არ გნებავთ, რომ სტარტი გამოტოვოთ? — იკითხა მებუფეტე ქალმა.

— არავითარ შემთხვევაში! სტარტი ალბათ ყველაზე საინტერესო იქნება... თი! ახლა კი, ეტყოდა, უკვე ნამდვილად იწყება, საყვარელო!

ქვევიდან სამოცი დიდ სიმძლავრიანი ძრავის ღმუილი მოისმა.

— მართლა არ დაიწყეს?.. რა თავის მოჭრაა!

ისინი ფარდულიდან გამოვიდნენ. მაყურებელთა თავებს ზემოდან ტრასის ერთი მონაკვეთი მოჩანდა და მათ თვალი მოჰკრეს ჯგროდნიკების მანქანებს; მანქანები რალაციით გოჭებს წააგავდნენ, რომელთაც უნილაფი მწვემს მიერეკებოდა. აქსელერატორის საშინელი ღრჭიალით ხან ერთი მანქანა გაიტრეზოდა ხოლმე წინ და ხანაც მეორე და მოსახვევში უჩინარდებოდა.

— თქუთმეტ წუთში ისევ აქ გაჩნდებიან, — თქვა არჩიმ. — მოდით, თითოც დავლიოთ.

— პირველი ვინ იყო? — იკითხა მეტუფეტემ აღელვებით.

— კარგად ვერ დავინახე, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, წინ მეცამეტე ნომერი მიდიოდა.

— არა, მართლა?

მალე ბუფეტი ისევ აივსო ხალხით. ყველა ამბობდა, საბოლოო ბრძოლა, ალბათ მეცამეტე და ოცდამეორე ნომრებს შორის გაიმართებაო, ოცდამეორე ნომერს — წითელ „ომეგას“ იტალიელი „ასი“ მარინო მართავდა.

— მაგისტანა ნაძირალა მეორე არ მოიძებნება, — თქვა ვილაცა კაცმა საქმის ღრმა ცოდნით. — მახსოვს, ბელფასტში თვალის დახამხამებაში გადაუძახებდა ხოლმე მეტოქეებს თხრილში.

— ერთ რამეში შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, ორივე ნამდვილად არაფრით არ იქნება პირველი.

— მარინო მძლოლი კი არა, აშკარა მკვლელია. მაგარი ნერვები უნდა გქონდეს კაცს, მაგას რომ უყურო.

— მაგარი ვინმეა, თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატია, წყალი არ გაუვა!

ადაში, მისს რანსიბლი, არჩი და მაილზი კაბინისაკენ წავიდნენ.

— ბოლოს და ბოლოს. — თქვა მისს რანსიბლმა, — ვინ იცის, იმ საცოდავს იქნება რა სჭირდება და თავს იკლავს, რომ როგორმე გვანიშნოს, ჩვენ კი არსადა ვჩანვართ. რა უყურადღებობაა!

ამასობაში მანქანები ტრასაზე ერთმანეთისაგან დაახლოებით ერთნაირი მანძილის დაშორებით მიჭროდნენ. ხან ერთი და ხანაც მეორე თავბრულდამხვევი სიჩქარითა და ღრჭიალით გაიელვებდა ხოლმე. ერთი-ორი მანქანა თავთავის კაბინაში დაბრუნდა. აცახცახებული მძლოლები მანქანებიდან გადმოხტნენ და სარემონტო იარაღებს ეცნენ. დიდი გერმანული მანქანა რბოლას გამოეთიშა. საბურავი გაუსკდა. ზოგი ამბობდა, მარინოს დაჭირავებულმა კაცმა გაუხვრიტაო. ამ მანქანამ გზიდან გადაუხვია და გზის პირას მდგარ ხეზე ისე ავარდა, თითქოს კატა იყო და ძალლი მისდევდა. ორი პატარა ამერიკული მანქანა ადგილიდან საერთოდ არ დაძრულა. ამ მანქანების მძლოლები და მათი თანაშემწეები მაყურებელთა დამცინავ შეძახილებს არად აგდებდნენ და გაცხარებით მუშაობდნენ. უცებ ორი მანქანა გამოჩნდა. მათ შორის მანძილი ორი ფუტი ძლივს იქნებოდა.

— მეცამეტეა! — დაიყვირა მისს რანსიბლმა, რომელიც, როგორც იქნა, მართლა აღელდა. — მეცამეტეა და ის ქაჯი იტალიელი მოსდევს! მიდი, მიდი, მეცამეტე! — ყვიროდა მისს რანსიბლი, ხტუნავდა და რალაცა ალამს, რომელიც ხელში მოხვდა, გამეტებით აქნევდა.

— შიდი! შენ იცი! უოჩად, ცამეტო!

მეცამეტე და ოცდამერვე ნომერმა მანქანებმა გაიფლგეს და დანარჩენებიც მათ კვალს მიჰყვნენ.

— აგათა, ძვირფასო, ლურჯი ალამი არ უნდა დაგექნია!

— რა კოშმარია, საყვარელო, რატომ?

— ლურჯი ალმით ვანიშნებთ, შემდეგ წრეზე შეჩერდიო.

— ღმერთო დიდებულო! ლურჯ ალამს ვიქნევდი?

— შენ უკეთ არ იცი, რას იქნევდი, ძვირფასო?

— ვაი, სირცხვილო! რა მეშველება, რა პასუხი გავცე?

— შოდი აქედან მოვეუსვათ, სანამ არ მოსულა!

— იცით რა, მოდი მართლაც წავიდეთ! ალბათ გადაირევა, არა? მოდით ფარდულში ავიდეთ და კიდევ დავლიოთ. რას იტყვით, პო თუ არა?

ასე რომ, მეცამეტე კაბინა ისევ დაცარიელდა.

• •

— ზომ ვთქვი! როგორც კი ეს დაწყევლილი ნომერი ამოვიღეთ, იმ წუთში თავში დამარტყა, საქმე გახლავთორთდება-მეთქი, — თქვა მექანიკოსმა.

• •

ფარდულში დაბრუნებულმა მისს რანსიბლმა, მაილზმა, არჩი შვერტმა და ადამმა პირველად ლოთ მაიორს მოჰკრეს თვალი.

— შენი ძმაკაცოც აქ არის! — თქვა მაილზმა.

— აი, თურმე სად ყოფილხართ! — თქვა მაიორმა. — თქვენს ძებნაში მთელი ლონდონი შევაწრიალე, მაინც სად გადაიკარგეთ?!

— ლოტისგან ფეხი არ მომიცვლია!

— რას ამბობთ! ლოტიმ თქვა, თვალი აღარ მომიკრავსო. მართალია იმ ღამით კარგა ბლომად დავლიე და არ დავმალავ, მეორე დღეს რომ გამოვფხიზლდი, თავში ერთი დომხალი მქონდა. მერე ის იყო ჯიბეში ათასი გირვანქა სტერლინგი აღმოვაჩინე და ყველაფერი გამახსენდა. გამახსენდა, რომ ეს ფული ლოტისთან ვიღაცა ტიპმა მომცა „ინდურ რაშზე“ ჩასასვლელად. ეგ ცხენი, მე მგონი, დიდი ვერაფერი შვილია. ფულს წყალში ხომ არ გადაგიყრიდით? მაგრამ რა უნდა მექნა, რომც მოგეკალით, ადამის შვილისაგან ვერ გაგარჩევდით (ამაზე მისს რანსიბლმა თქვა: კალამბურიც ასეთი უნდაო!). და სად გაქრით, ლოტიმაც არ იცოდა. კაცმა რომ თქვას, ისეთი ტიპის მოძებნა, რომელიც მთლად უცნობ ადამიანს ათას გირვანქა სტერლინგს ანდობს, ძნელი არ უხდა იყოს, მაგრამ მე ვერაფრით ვერ მივაგენი თქვენს ასავალ-დასავალს.

— იმის თქმას ხომ არ აპირებთ, თქვენი ათასი გირვანქა სტერლინგი ხელუხლებელი მაქვსო? — ჰკითხა ადამმა და გულში თავისდაუნებურად წარმოუდგენელი იმედი აუკიაფდა.

— მოთმინება, მოთმინება! — თქვა მაიორმა. — თავის დროზე ყველა-

ფერს შეიტყობთ! ჰოდა, იმას ვამბობდი, დოლის დღევ დადგა ეს მე ჯერაც არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ერთი გული მეუბნებოდა, ფულს ხელი არ ახლო, ის ბიჭი ადრე თუ გვიან გამოჩნდება და მისი საქმეა, რომელ ცხენზეც უნდა, იმაზე ჩავიდეს ამ თავის ფულს-მეთქი. მეორე კი უბრალოდ უბრალოდ მაგივრად ფავორიტზე ითამაშე და მოაგებიანე თუ შეგეძლებოდა, მის

— ფავორიტზე ჩაბვედით? — კიდევ ერთხელ შეუქანდა გული ადამს.

— არა, ფავორიტზე არ ჩავსულვარ. ვიფიქრე, ეს კაბუკი ზღაპრულად მდიდარი უნდა იყოს, რაკი ასე ფანტავს ფულებს და „ინდურ რაშზე“ უნდა თამაში, მე რა მენადვლება-მეთქი. ავდექი და თქვენს მაგივრად „ინდურ რაშზე“ ჩავედი.

— ესე იგი...

— ესე იგი, კობტა პაკეტში ჩადებული ოცდათხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი გელოდებათ, როდის ინებებთ და მიითვლით ამ ფულს.

— დმერთო ჩემო!... იცით რა, მოდით დავლიოთ!

— დასალევად მუდამ მზადა ვარ!

— არჩი, სანამ აღთქმულ სიმდიდრეს მივიღებდე, ცოტაოდენი ფული მასესხე.

— მაინც რამდენი?

— ხუთ ბოთლ შამპანურს რომ იყოს.

— სიამოვნებით, თუკი შამპანურს იშოვი სადმე.

მებუფეტე ქალს ერთი ყუთი შამპანური ჰქონდა გადანახული. (ქალებს თავბრუ ესხმით ამ გიჟებივით მქროლავი მანქანების შემხედვარეთო, განმარტა თავისი საქციელი მებუფეტემ). ასე რომ სათითაო ბოთლი შამპანური ჩამორიგეს და გორაკის ფერდობზე ჩამომსხდრებმა დალიეს ადამის გამდიდრების სადღეგრძელო.

— ყურადღება, ყურადღება! — გაისმა ხმა რეპროდუქტორიდან. — ოცდამეგრვე ნომერმა, იტალიურმა „ომეგამ“, რომელსაც კაპიტანი მარინო მართავს, ეს-ეს არის დაასრულა რბოლა. მისი დროა თორმეტი წუთი და ერთი წამი, რაც საათში 78,3 მილს უდრის. ჯერჯერობით ეს არის ყველაზე უკეთესი რეზულტატი.

ამ ცნობას ტაშის გრილით შეხვდნენ მაყურებლები, მაგრამ ადამმა განაცხადა, რბოლისადმი ყოველგვარი ინტერესი დამეკარგაო.

— იცით, რას გეტყვით, ბიჭებო, — დაიწყო მაიორმა, როცა ყველანი ისევ დაწყნარდნენ, — დიდი გასაჭირი მადგას. მრცხვენია საკუთარი სიბრძოვის აღიარება, მაგრამ სინამდვილეს სად წაუხვალ! ამ ჰეპტყვაში საფულე ამწაპნეს. არა, წვრილი ფული, რა თქმა უნდა, მაქვს და სასტუმრომდე როგორმე მივალწევ. იქ კი, რა თქმა უნდა, მე მენდობიან, მაგრამ ძალიან მინდა დავენიძლიო თითქმის უცნობ ერთი-ორ ახალგაზრდას. ჰოდა, ძმაკაც, ხუთიოდე გირვანქა რომ გესესხებინა, იმ ოცდათხუთმეტი ათასთან ერთად მოგცემდი.

— რატომაც არა, — უთხრა ადამმა, — არჩი, შეგიძლია ხუთიოდე გირვანქა სტერლინგი მასესხო?

— რა ბრწყინვალე ბიჭი ხარ! — თქვა მაიორმა და ბანკნოტები შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიჩურთა. — იქნებ ათი მოგეცათ? თუ სესხებაა, სესხება იყოს!

— სამწუხაროდ, მხოლოდ იმდენიღა მაქვს, რომ როგორმე სახლამდე მივალწიო, — თქვა არჩიმ ცოტა არ იყოს ცივად.

— ნუ წუხხარ, ძმაკაც! მაგის მეტი რა გამომიცილია! კრინტსაც აღარ დავძრავ... ეს ჩვენ, ყველას გაგვიმარჯოს!

— ხოვძებერში დოღზე მეც ვიყავი, — თქვა ადამმა, — მგონი დაგინახეთ კიდევ.

— რამდენ წვალებას ავცდებოდით, მაშინ რომ შევხვედროდით ერთმანეთს, არა? თუმცა ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.

— ეს შენი მაიორი ნამდვილი ან გ ე ლ ო ზ ი ა! — თქვა მისს რანსიბლმა. შამპანური გაათავეს და უკვე აშკარად მთვრალი მაიორი წასასვლელად წამოიშარტა.

— აბა, ბიჭებო! ახლა კი ნამდვილად უნდა ავორთქლდე. ვილაც-ვილაცები მყავს სანახავი... უზარმაზარი მადლობა გამასპინძლებისათვის. რა კარგია, ყველა ისევ ერთად რომ გნახეთ. ნახვამდის, პატარა ქალბატონო!

— როდის გნახოთ? — ჰკითხა ადამმა.

— როცა გაგეხარდება, ჩემო კარგო! სიხარულით გადავირევი, ჩემთან მოსული რომ გნახოთ! როცა გინდათ, მაშინ მოდით! ძველი მეგობრისათვის ჩემთან ყოველთვის მოიძებნება სასუსნავი. აბა, ყველანი კარგად მეყოლეთ!

— შეიძლება ამ მოკლე ხანში გნახოთ? ფულის თაობაზე გეკითხებით.

— რაც მალე მოხვალთ, მით უკეთესი, ჩემო კარგო! თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, არ ვიცი, რომელ ფულზე ლაპარაკობთ.

— ჩემს ოცდათხუთმეტ ათასზე.

— აჰ! ჰო, რა თქმა უნდა! წარმოიდგინეთ, სულ გადამავიწყდა! იცით, რას გეტყვით? მოდით, ამაღამ „იმპერიალში“ მნახეთ და იქ მოგცემთ. იმ თქვენს ფულს სიხარულით მოვიცილებ თავიდან. შვიდზე ან ცოტა ადრეც, ამერიკულ ბარში გელოდებით!

— მოდით, ქვევით ჩავიდეთ და მანქანებს ვუყუროთ, — თქვა არჩიმ.

ყველანი ფერდობზე დაეშვნენ. თავს მხნედ და უდარდელად გრძნობდნენ (ისე, როგორც გრძნობს კაცი თავს, როცა სადილობამდე კარგა ბლომად გადახუხავს). კაბინებამდე მიაღწიეს და მოაგონდათ კიდევ, რომ მშვივრები იყვნენ. უკან ფარდულში დაბრუნება დაეზარათ. ადგნენ და მექანიკოსის საუზმის იმ ნაწილს მოუღბინეს, რაც მისს რანსიბლის სიგარეტისაგან გაჩენილ ხანძარს გადაურჩა. უცებ მეცამეტე მანქანას რაღაც დაემართა. როგორღაც მოუხერხებლად გვერდზე გავარდა, მექანიკოსმა საჭეს სტაცა ხელი. მოგვიანებით მექანიკოსი ყველას მოუყვა, რაც შეემთხვათ. თურმე ხიდის ქვეშ მარინოს მანქანას რომ დაეწივნენ, იქიდან ქანჩსაჭერი ისროლეს, რომელიც მხარში მოხვდა მაილზის მეგობარს. მექანიკოსი მას მანქანიდან გადმოსვლაში დაეხმარა და სამედიცინო დახმარების ფარდულამდე მიაცილა.

— ჩვეხი საქმე წასულია, — დაამატა მექანიკოსმა. — დღეს მაგას აღარაფრის თავი არა აქვს. ან კი რისი იმედი უნდა გვქონოდა მეცამეტე ნომრის გადაძკიდეს?

მაილზი მეგობრის მისახედად წავიდა. არჩი, ადამი და მისს რანსიბლი ძახუხას გამოთავყვანებული თვალებით მიაშტერდნენ. არჩი მექანიკოსის ვაშლს ჰამდა და ცოტა წამოახველა. მგონი, ვაშლი ყელზე დაადგა.

ინსპექტორიც მალე გამოჩნდა.

— რა მოხდა? — იკითხა ინსპექტორმა.

— მძლოლი მოკლეს! — თქვა არჩიმ, — ქანჩსაჭერით! ხიდის ქვეშ! მარინომ!

— ძაშ აღარ აგრძელებთ? რომელია სათადარიგო მძლოლი?

— არ ვიცი. შენ ხომ არ იცი, ადამ? იოტის ოდენადსავე გამოიკვირდება, სათადარიგო მძლოლიც რომ მკვდარი იყოს.

— სათადარიგო მძლოლი მე ვარ, — თქვა მისს რანსიბლმა. — აი, მკლავზე მაწერია.

— აი, სათადარიგო მძლოლი. მკლავზე აწერია.

— ძაშ, ამოგშალოთ სიიდან?

— არ ამოეშლევინო, აგათა!

— არა, არ მინდა, რომ ამომშალოთ!

— კარგით! შეგიძლიათ გააგრძელოთ. თქვენი სახელი?

— აგათა. მე სათადარიგო მძლოლი ვარ! აი, სამკლაურზე მაწერია!

— კარგით, კარგით! მეც კარგად ვხედავ! შეგიძლიათ ჩაჯდეთ მანქანაში.

— აგათა მქვია! — მტკიცედ გაიმეორა მისს რანსიბლმა, მანქანაში რომ ჯდებოდა. — აი, სამკლაურზეც აწერია!

— ძოიცა, აგათა! — თქვა ადამმა. — ნამდვილად გაქვს თავის იმედი?

— სამკლაურს შეხედე! — თქვა მისს რანსიბლმა ქუშად.

— სა'ში'ში ხომ არაფერია-მეთქი, მინდოდა მე თქვა.

— რაკი ქანჩსაჭერებს ისვრიან, მთლად დაზღვეულიც ვერ ვიქნები. სანამ შევეჩვეოდე, ჯერ ნელა ვივლი. შენ თვითონაც ნახავ. ხომ მოდიხარ?

— შე დავრჩები და აღამს დაგიქნევ, — თქვა ადამმა.

— ეგეც მართალია. აბა, მშვიდობით... ღმერთო, შეიძლება ადამიანს შიშისაგან სული გასძვრეს...

მანქანა ისარივით შევარდა ტრასაზე. ცოტას გადარჩა, რომელიღაც მანქანას არ შეასკდა. შემობზრივდა და მოსახვევში ღმუილით გაუჩინარდა.

— მითხარი, არჩი, აკრძალული ხომ არ არის, მანქანას მთვრალი რომ მართავს? თანაც უბრალოდ კი არ მართავს, რბოლაში რომ მონაწილეობს?

— რას ამბობ! რბოლის ყველა მონაწილე მთვრალი არ არის?

— არა, მართლა?

— ნამდვილად.

— როგორ, ყველა?

— აბსოლუტურად ყველა. გალეწილები არიან.

— მაშინ არა უშავს! მოდი თითოც დავლიოთ.

ისინი ისევ აუყვნენ აღმართს, ბოისკაუტებს ჩაუარეს და გეზი სასაუზმოდ ფარდულისაკენ აიღეს.

სულ ძალე მისს რანსიბლის სახელი რეპროდუქტორში ახსენეს.

— ყურადღება, ყურადღება! — გაისმა რეპროდუქტორში. — ნომერი ცაქეტი, ინგლისური „პლანკეტ-ბაუზი“, რომელსაც მისს აგათა მართავს, ეშმაკის მოსახვევთან ოცდამერვე ნომერს (იტალიური „ომეგა“, რომელსაც მარინო მართავს) დაეტაკა. მეცამეტე ნომერმა საჭე გაასწორა და რბოლა გააგრძელა, ოცდამერვე კი ამოყირავდა და ტრასა დატოვა.

— ყოჩაღ, აგათა! — თქვა არჩიმ.

რამდენიმე წუთის შემდეგ:

— ყურადღება! მეცამეტე ნომერმა, ინგლისურმა „პლანკეტ-ბაუზმა“, რომელსაც მისს აგათა მართავს, ტრასის გავლას ცხრა წუთი და ორმოცდაერთი წამი მოანდომა. ამ ეტაპზე ეს სარეკორდო დროა!

ირგვლივ პატრიოტული შეძახილები გაისმა. ბუფეტში მყოფთა სრულყოფილ შესვენს მისს რანსიბლის სადღეგრძელო.

კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ:

— ყურადღება! ყურადღება! იძულებული ვარ უარვყო ახლაბანს გადმოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მეცამეტე ნომერმა, ინგლისურმა „პლანკეტ-ბაუზმა“, რომელსაც მისს აგათა მართავს, რეკორდი დაამყარა. მსაჯების ასისტენტები იტყობინებიან, რომ რკინიგზასთან მეცამეტე ნომერმა ტრასიდან გადაუხვია, ხუთი მილის მანძილზე სოფლის შარაზე მიდიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა ტრასას „წითელი ლომის“ მოსახვევთან. ამიტომ მსაჯებმა ეს ეტაპი არ ჩაუთვალეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ:

— ყურადღება! ყურადღება! ნომერი ცამეტი, ინგლისური „პლანკეტ-ბაუზი“, რომელსაც მისს აგათა მართავს, რბოლას გამოეთიშა. მონასტრის მოსახვევთან, იმის ნაცვლად, რომ მარჯვნივ მოეხვია, მანქანამ მარცხნივ გადაუხვია და თვალს მიეფარა. მერე დაინახეს, რომ მანქანა შარაგზაზე მიდიოდა სამხრეთის მიმართულებით. მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს მანქანას საერთოდ არავინ მართავდა.

— ბედი მწყალობს, ღმერთმანი! სულ რაღაც ორიოდ დღეა, რაც გაზეთში ვარ და ნამდვილ სენსაციას მივიტანი! ამ ამბით „ექსცესში“ კარგად მოვიკიდებ ფეხს. რა მასალაა!.. — თქვა მაილზმა და საფოსტო ფარდულისაკენ გაქანდა, რომლის მოწყობაც რბოლის თადარიგიან ორგანიზატორებს არ დავიწყებოდათ, და საიდანაც შეიძლებოდა მისს რანსიბლის უბედურებაზე აგებული გრძელი „მასალის“ გადაცემა.

მაილზს ადამიც გაპყვა და ნინას დებეშა გაუგზავნა: „ლოთი მაიორი ბუფეტში ფიქცია არ არის ოცდათხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი ხვალ ჯვარს დავიწერთ ყველაფერი რიგზეა აგათა დაგვეკარგა გკოცნი ადამი“.

— მგონი, ყველაფერი გასაგებად დავწერე. — თქვა ადამმა.

ამის შემდეგ ისინი სამედიცინო დახმარების ფარდულში შევიდნენ, რომლის არსებობაც აგრეთვე ადასტურებდა რბოლის ორგანიზატორთა წინდახედულებას. მათ უნდოდათ ენახათ, რა დღეში იყო მაილზის ამხანაგი. მაილზის ამხანაგი ტკივილს ძალიან შეეწუხებინა და ახლა მანქანის ამბავმაც შეაწუხა.

— რა უგულობაა! — თქვა ადამმა, — რატომ აგათაზეც არ შეწუხდა? ეს იმას ნიშნავს, რომ...

— ავტომობილისტები საერთოდ გულცივები არიან. — თქვა მაილზმა და აპოიოხრა.

ამ დროს საკაცით ფარდულში კაპიტანი მარინო შემოიყვანეს. მაილზის მეგობრის დანახვაზე იგი გმინვით გადაბრუნდა მისკენ და სახეში შეაფურთხა. მარინომ შეაფურთხა მასთან კრილობის შესახვევად მისულ ექიმსაც, ხოლო მოწყალეების დას უკბინა.

ყველა ამბობდა, კაპიტანი მარინო სამედიცინო დახმარების პუნქტში ჩენტლმენურად ვერ მოიქცაო.

არჩის უთხრეს, რომ რბოლის დამთავრებამდე ისინი ქალაქიდან გასვლა

ვერ მოახერხებდნენ. რბოლა კი კიდევ ორი საათი მაინც გავრძელდებოდა. რბოლის მონაწილე მანქანები წრეს წრეზე ურტყამდნენ. დროდადრო ბოისკაუტები რომელიმე ნომრის გასწვრივ დიდ წითელ „გ“-ს დაწერდნენ ხოლმე.¹⁷ ეს მაშინ ხდებოდა, როცა რომელიმე მანქანას ძრავა გატყუდდებოდა ან სხვა რამ ავარია შეემთხვეოდა ან კიდევ როცა ეშმაკის მოსახვევი თავის მორიგ მსხვერპლს მიითვლიდა.

გორაკის თავზე მოწყობილი სასაუზმო ფარდულიდან გრძელი, კუდიანი რიგი ჩამოიკლაცნა. მერე წვიმაც დაიწყო.

მეტი საშველი არ იყო, ისევ ბარისათვის უნდა შეეფარებინათ თავი.

ბოლო მანქანა რომ მივიდა ფინიშთან, უკვე შებინდებული იყო. რბოლაში გამარჯვებული მოოქროვილი ვერცხლის პრიზით დააჯილდოვეს. რეპროდუქტორში „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს“ და ხალისიანი „ნახვამდის, ხვალამდის“ გადმოსცეს. სასაუზმო ფარდულიდან გაჭიმული რიგის კუდს ზრდილობიანად აცნობეს, სადილების გაცემა დამთავრდაო. სასმელების ფარდულში ძებუფეტე ქალებმა გამოაცხადეს: ბატონებო და ქალბატონებო, თუ შეიძლება, ქიქები დაგვიბრუნეთო, სანიტარულმა მანქანამ ტრასაზე ჩამოიარა გადარჩენილთა მოსაკრეფად. ამის შემდეგ წავიდნენ ადამი, მაილზი და არჩი შვერტი თავისი მანქანის საძებნელად. ქალაქისაკენ გამობრუნებულებს გზაში შეშალამდათ. თითქმის ერთი საათი მიდიოდნენ. არც ადამს, არც მაილზსა და არც არჩი შვერტს გზაში ბევრი არ ულაპარაკიათ. მათ მიერ მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებამ იმ მეორე ფაზას მიაღწია, რაიც ასეთი სახოვანებით არის აღწერილი ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცემულ ყველა ბროშურაში. სახელდობრ, იმ ფაზას, როდესაც წარმოსახვითი კმაყოფილება და სულიერი კომფორტის განცდა ადვილს უთმობს მელანქოლიას, მუცლის გვრემასა და მორალურ პროსტრაციას. ადამი ცდილობდა თავის მოულოდნელ გაძლიდრებაზე ეფიქრა, მაგრამ როგორც კი ფიქრებს ამ მაღალ დონეზე აყვანას მოუხერხებდა, ისინი, თითქოს სიმაღლეზე ყოფნა უჭირთო, მაშინვე ქვევით, მისი ამჟამინდელი უბადრუკი ფიზიკური ყოფის შესაბამის მდგომარეობას უბრუნდებოდნენ.

მანქანები მდორე ნაკადად მიედინებოდნენ ქალაქისაკენ. ამ ნაკადმა ისინი, როგორც იქნა, ქალაქის ცენტრამდე „იმპერიალ ოტელის“ მქრქალად განათებულ შესასვლელამდე მიიყვანა. შესასვლელთან საავტომობილო სპორტის დასველებული და მშიერი თაყვანისმცემლები ირეოდნენ.

— თუ სასწრაფოდ არ შევქამე რამე, სული გამძვრება, — თქვა მაილზმა, — მოდიტ, ჭერ ვქამოთ და აგათას მერე მივხედოთ.

მაგრამ „იმპერიალის“ ადმინისტრატორზე არც მათმა ვინაობამ და არც მათმა გაჭირვებამ არ იმოქმედა. იგი ბოლომდე ვაჟკაცურად იდგა ინგლისურ სასტუმროებში დადგენილი წესისა და რიგის სადარაჯოზე.

— ჩაი, — განუმარტავდა იგი სტუმრებს, — შეგიძლიათ მიირთვათ „პალმ კორტში“ ყოველდღე. ოთხიდან ექვს საათამდე. იქ ხუთშაბათობითა და კვირაობით ორკესტრიც უკრავს. რესტორანში შეგიძლიათ table d'hotel-ზე მობრძანდეთ რვის ნახევრიდან ცხრა საათამდე. ამავე საათებში შეგიძლიათ

¹⁷ გამოეთიშა შეჭიბრს.

a la Carte-დ ისადილოთ გრილ-რუმში.¹⁸ ახლა შვიდის ოცი წუთია, თუ ჯენტლმენები ინებებენ და საათისა და ათის წუთის შემდეგ მოვლენ ყველაფერს ილონებს, რომ მათთვის ადგილები გამოძებნოს. თუმცა მათთვის თებით ვერაფერს დაპირდებათ. შეიძლება მაშინაც არ აღმოჩნდეს საჭირო ფალი მაგიდა. რესტორანი დილიდანვე გაჭედლია. ეს იმიტომ, აუხსნა მათ ადმინისტრატორმა, რომ დღეს აქ სადღაც ახლოს, ქალაქის შემოგარენში ავტობოლა გაიმართა.

სასტუმროს კარისკაცი ადმინისტრატორზე უფრო გულმოდგინედ გამოდგა და სტუმრებს მთავარ კუჩაზე, სასტუმროდან ცოტა მოშორებით. კინოთეატრის გვერდით მდებარე საჩაიეში „კაფე როიალში“ მიასწავლა. ეტყობა, მან სასტუმროში ყველა მიმსვლელს იგივე ურჩია და „კაფე როიალში“ ნემსი არ ჩავარდებოდა. ყველა გაღიზიანებული იყო. მაგიდებამდე ყველაზე გორობებმა და დამცინავებმა მიადწიეს, საკმელი კი ყველაზე ჩხუბისთავეებსა და უხეშებს ერგოთ. ადამმა, მაილზმა და არჩი შვერტმა კიდევ ორ საჩაიეში სცადეს ბედი. ამ ორიდან ერთს ერქვა „პატიოსანი სიტყვა“ და ეკუთვნოდა ვილაც „ქალბატონებს“. მეორე მუშათა სასადილოში და შემწვარი თევზის მალაზიაშიც შევიდნენ. ბოლოს მათ კოოპერატიულ მალაზიაში სხვადასხვა ნამცხვრეულით სავსე დიდი პაკეტები იყიდეს და მრავლისმეტყველად დადუმებულნი „პალმ კორტში“ ამ ნამცხვრებით შენაყრდნენ.

ამასობაში შვიდს გადასცილდა და ადამს გაახსენდა, რომ ამერიკულ ბარში შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. რა თქმა უნდა, ბარიც გაჭედლი იყო. აბაზანიდან ახლად გამოსული, ლოყებაწითლებული, სმოკინგებსა და თეთრ, გახამებულ პერანგებში გამოწყობილი, თავთავიანთი თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული „სიჩქარის ღმერთებიც“ იქ იყვნენ. ადამმა დახლისაკენ გზა გაიკაფა.

— ვინშეს აქ მთვრალი მაიორი ხომ არ დაგინახავთ? — იკითხა მან.

შებუფეტე ქალმა ათვალწუნებით ჩაიფრუტუნა.

— რაღაც არა მგონია, შემოსულიყო და კიდევაც რომ შემოსულიყო. მისი მოძსახურებით თავს არ მოვიკლავდი. მასეთ ვილაც-ვილაცებს ჩემს ბარში რა უნდა! ღმერთო, რას არ იტყვიან!

— არა, იქნებ ახლა არც არის მთვრალი. ის მაინც მითხარით, ხომ არ შემოსულა აქ მსუქანი, სახეწითელი კაცი. მონოკლიანი, ულვაშებაწიკილი კაცია.

— იყო აქ ერთი მაგნაირი ამ ცოტა ხნის წინ. თქვენ რა, მისი მეგობარი ხართ?

— აუცილებლად უნდა ვნახო!

— მე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით. კარგი იქნებოდა თქვენი მეგობრისათვის მიგებდათ. აქ ფეხდადგმული აღარ დავინახო! ნეტავი გენახათ, რა დღეში იყო! ორი ჭიქა გამიტება და არც სხვა ჯენტლმენებს უსვენებდა. სამი თუ ოთხი თითო ვირვანქა სტერლინგიანი ეჭირა, აფრიალებდა და ბურტყუნებდა: „იცით, რა მოხდა, დღეს ერთი ხისთავა შემხვდა. მე მისი ოცდათხუთმეტი ათასი ვირვანქა სტერლინგი მმართვეს და დღეს კიდევ მასესხა ხუთი

¹⁸. grill-room — გრილ-რუმი — რესტორნის დარბაზი, სადაც თევზსა და ხორცს სტუმრების თვალწინ წვავენ.

გირვანქა სტერლინგიო“. მითხარით ერთი. რა წესია უცნობებთან ასეთი ლაბა-რაკი. ათი წუთი იქნება, რაც გავიდა. მართალი გითხრათ, ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად.

— მართლა თქვა ხისტავაო?

— ვანა ერთხელ და ორჯერ? არ გაჩერებულა. ერთსა და იგივეს იმეორებდა და იმეორებდა.

ადამი ბარიდან გამოვიდა თუ არა, დერეფანში მამაკაცთა საპირფარეშოდან გამოსული მაიორი დაინახა. მაიორი ძლივს მობორძიკობდა და ადამს არაფრისმთქმელი თვალებით აცქერდებოდა.

— ეი! — დაუძახა ადამმა. — ეი!

— მოგესალმებით! — სასხვათაშორისოდ მიუგდო მაიორმა.

— ჩემს ოცდათხუთმეტ ათას გირვანქა სტერლინგზე რას მეტყვით? — ჰკითხა ადამმა.

მაიორი შეჩერდა და მონოკლი გაისწორა.

— ოცდათხუთმეტი ათას ხუთი! — შეუსწორა მან ადამს. — მაინც რა გაინტერესებთ?

— სად არის ფული?

— ძალიან საიმედო ადგილას. ნაციონალურ და პროვინციულ ბანკთა ასოციაციაში. ძალიან სანდო და სოლიდური კომპანიაა. მე მაგ ბანკს, რომ მქონდეს, შეტსაც ვანდობდი. მე მათ მილიონსაც კი ვანდობდი, ჩემო კარგო, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ნაღდად ვანდობდი. ხომ იცით, ეს ერთ-ერთი ძველი ფირმათაგანია. ახლა სადღაა ასეთი ფირმები. ამ ბანკს კოლ-შვილსაც კი ვანდობდი... რამ გაფიქრებინათ, რომ თქვენს ფულს არასაიმედო ადგილას შევიხახავდი. კარგად რომ მიცნობდეთ, მაგას გულშიც კი არ გაივლებდით.

— არა, ეგ ერთი წუთითაც არ მიფიქრია. თქვენგან დიდად ვარ დავალე-ბული. ამ სალამოს ჩეკის მოცემას დამპირდით. ხომ არ დაგავიწყდათ?

მაიორმა ადამს ეშმაკურად შეხედა.

— აა! ეს სხვა ამბავია! ერთ ვინმეს მართლაც დავპირდი, ჩეკს მოგცემ-მეთქი, მაგრამ რა ვიცი, რომ ის კაცი თქვენა ხართ?... იცით, როგორი სიფრთხილე მმართვებს? იქნებ გადაცმული აფერისტი ხართ? არ ვამტკიცებ, ნამდვილად აფერისტი ხართ-მეთქი, მაგრამ ვთქვათ და ხართ, მაშინ? წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავვარდები! ასეთ საქმეში უდიდესი სიფრთხილე მმართვებს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩემს ორ მეგობარს შეუძლია დამემოწმოს, რომ ხაძღვილად ადამ საიმში ვარ. საკმარისი იქნება?

— რა ვიცი, რომ ის თქვენი მეგობრები თქვენივე ამფსონები არ არიან. ამას გარდა მე საიდან ვიცი, რომ იმ კაცს, რომელმაც ათასი გირვანქა სტერლინგი მომცა... რა გვარი თქვით, რა ერქვა? მარტო თქვენს სიტყვას როგორ ვეხდო. იცით, რას გეტყვით? — თქვა მაიორმა და ღრმა სავარძელში მოკალათდა. — მოდი, მე აქ დავიძინებ, ცოტა ხნით თვალს მოვატყუებ. როცა გამოვიღვიძებ, საბოლოო პასუხსაც მაშინ მოგცემთ. ეჭვიან კაცად არ ჩამთვალათ, ჩემო კარგო, მაგრამ სიფრთხილე აუცილებელია... ხომ იცით, მაინც სხვისი ფულია...

და მაიორმა დაიძინა.

ხალხით გაჭედნილ სასტუმროში ადამმა, როგორც იქნა, მიაღწია „პალმ კორტამდე“. სადაც მაილში და არჩი ეგულეობდა. ბოლო ინფორმაცია ნომერ

ცამეტ მანქანაზე ის-ის იყო შეეტყოთ. მანქანა თურმე ქალაქიდან თხუთმეტი მილით დაშორებული ერთი დიდი სოფლის შუაგულში, ქვის ჯვარზე დახვებულნი ენახათ. ავარიის შედეგად სიძველის ეს ძეგლი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაცავ ძეგლთა სიაში ჰქონდა შეტანილი, ისე დაზიანებულიყო, რომ მისი რესტავრაცია აღარც კი მოხერხდებოდა. ხელის შეწყობის ნიშნად აღარსად ჩანდა, უკვალოდ გამქრალიყო.

— რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა მაილზმა. — ამისთანა უბედური დღე ჩემს სიცოცხლეში არ გამთენებია, რა ჰქენით, ადამ, მოგცეს თქვენი ფული?

— მაიორი ისეთი მთვრალი იყო, რომ ვერც კი მიცნო. ეს-ეს არის ჩაიძინა.

— კარგით ერთი!

— იმ დაწყევლილ სოფელში უნდა წავიდეთ და აგათა მოვძებნოთ.

— მე ჩემს მაიორს ვერ მივატოვებ. ალბათ სადაცაა გაიღვიძებს და ჩემს ფულს პირველსავე შემხვედრს მისცემს.

— მოდიოთ, ახლავე მივიდეთ და მანამდე ვაჯანჯლაროთ, სანამ ფულს არ მოგვცემს. — თქვა მაილზმა.

მაგრამ მაილზის იდეას განხორციელება არ ეწერა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როდესაც მათ იმ სავარძლამდე მიაღწიეს, სადაც ადამმა მთვრალი მაიორი დატოვა, მაიორი იქ აღარ დაუხვდათ.

სასტუმროს შვეიცარს დანამდვილებით ახსოვდა, რომ მაიორი სასტუმროდან გავიდა. მან თურმე შვეიცარს ხელში ერთსტერლინგიანი ჩაუკუჭა და ჩაულაპარაკა — დღეს ერთი რეგვენი გამოვიჭირეო, მერე ტაქსი დაიჭირავა და სადგურში წავიდა.

— რაღაც ისე მგონია, იმ ჩემს ფულს საერთოდ ვერ ვეღირსები, — თქვა ადამმა.

— ჩემი აზრით, საწუწუნო არაფერი გაქვს, — უთხრა არჩიმ. — რამდენიც გქონდა, ისევ იმდენი გაქვს. მე ვიკითხო თორემ! ხუთი გირვანქა სტერლინგი დავკარგე, ამას ხუთი ბოთლი შამპანურის საფასურიც უნდა მიემატოს.

— რაც მართალია, მართალია! — დაეთანხმა ადამი და გულზე ოღნაე მოეშვა.



ყველანი მანქანაში ჩასხდნენ და წვიმასა და თქეშში იმ სოფლისაკენ გასწიეს, სადაც „პლანკეტ-ბაუზი“ იქნა აღმოჩენილი. მანქანისათვის ხელი არ ეხლოთ, თუმცა ამ ჯართს მანქანა აღარც კი ეთქმოდა. აღტაცებული სოფლელებით გარშემორტყმული მანქანა ჯერ ისევ ხრჩოლავდა. საწვიმრიანი პოლიციელი ყოველნაირად ცდილობდა ჯართის ეს გროვა სუვენირებზე მონადირეთაგან დაეცვა, რომლებიც ნამსხვრევეების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.

ავარიის უშუალო მხილველი არავინ აღმოჩნდა. სოფლის ახალგაზრდობა ამ დროს უკლებლივ ყველა რბოლაზე იყო, ასაკოვანნი კი ნასადილევს თვლემდნენ და არავის არაფერი გაუგია. ერთმა თქვა, მგონი, რაღაც ღრჭილის ხმა შეჰმომესმოა.

რკინიგზის სადგურზე შეკრებილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ თურმე ერთი ახალგაზრდა ლედი, საკმაოდ გაჩეჩილ-გაბურძგნული, რომელსაც რაღაც

სამკლაური ეკეთა, საბილეთო სალაროსთან მისულა და უკითხავს, სადა ვარო. პასუხი რომ მოუსმენია, უთქვამს, კარგი იყო ფეხი არ დამედგა აქ, იმიტომ, რომ ვილაცას სოფლის შუაგულში უზარმაზარი ქვის ქანჩსაქერი დაუგდიაო. ახალგაზრდა ლედის უთქვამს, გამოტეხილად ვიტყვი, თავს რაღაც უცნაურად ვგრძნობო. სადგურის უფროსს შეუთავაზებია, ეგებ შეჭირვებულად იყავით და ცოტა ბრენდი მიგერთმიათო.

— არა! მორჩა ბრენდობია! — უთქვამს ლედის. მერე ლონდონამდე პირველი კლასის ვაგონის ბილეთი უყიდია და სამ საათსა და ოცდახუთ წუთზე ძატარებელს გაჰყოლია.

— რაკი ასეა, ყველაფერი რიგზე ყოფილა! — თქვა არჩიმ.

ისინი სოფლიდან წამოვიდნენ და მალე ჩრდილოეთის დიდ მაგისტრალზე ერთი სასტუმრო აღმოაჩინეს, სადაც ისადილეს და ღამეც გაათიეს. ლონდონში ისინი მეორე დღეს, შუადღისას ჩავიდნენ და გაიგეს, რომ მისს რანსიბლი იმ დღით იუსტონის სადგურზე უნახავთ. იგი თურმე თვალს არ აცილებდა სადგურის პოლში გამოფენილ ძრავის მოდელს. რამდენიმე ფრთხილ შეკითხვაზე, რომელიც მისთვის მიუციათ, უპასუხნია, რამდენადაც ჩემთვის ცხოვბილია, სახელი არ უნდა მერქვასო. და ამ ფაქტის დასადასტურებლად თავის სამკლაურზე მიუთითებია. მანქანით ჩამოვედი, რომელიც არა და არ ჩერდებოდაო — უთქვამს. მანქანა ბალლინჯოებით იყო სავსე და მე ლოსიონს ვასხურებდი და მინდოდა დამეხოცაო. ერთმა ბალლინჯომ ქანჩსაქერი მესროლა. გზაში რაღაც ქვის საგანს გადავაწყდი, რა საჭიროა, ამ რაღაცა სიმბოლოებს შუა გზაზე რომ გაჩხერენ ხოლმეო. არა, მაინც რა საჭიროა, თუ იქ ხებ საჭიროაო.

ასე რომ იძულებული გახდნენ მის რანსიბლი უიმპოლ სტრიტზე¹⁹ წაეყვასათ, სადაც იგი კარგა ზანს ამყოფეს ჩაბნელებულ ოთახში.

თ ა ვ ი X I

აღაძმა ნინას დაურეკა.

— შენმა დეპეშამ ძალიან გამახარა, საყვარელო! მაშ, ყველაფერი მართალია?

— არა, სამწუხაროდ, არა!

— ძაიორი ფიქციაა?

— კო.

— ფული არა გაქვს?

— არა.

— დღეს ჯვარს ვერ დავიწერთ?

— ვერა.

— გასაგებია!

— რა თქვი?

— გასაგებია-მეთქი.

— შეტი არაფერი გაქვს სათქმელი?

¹⁹ ქუჩა ლონდონში, სადაც ფსიქიატრიული საავადმყოფო მდებარეობს (მთარგმნ.).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- შეტი არაფერი, ადამ!
- ძალიან ვწუხვარ.
- შეც ძალიან ვწუხვარ. კარგად იყავი!
- კარგად იყავი, ნინა!
- შოგვიანებით ნინამ დაურეკა ადამს.
- შენ ხარ, გენაცვალე? რაღაც საშინელება უნდა გითხრა.
- ასეთი საშინელი რა არის?
- გაცოფდები!
- ძაინც?
- დამნიშნეს! ვთხოვდები!
- ვისზე?
- არც კი ვიცი როგორ გითხრა!
- ვინ არის?
- ადამ, სცენებს ზომ არ გამიმართავ?
- ვინ არის, მითხარი!
- წითურა.
- არა მჭერა!
- ნუ დაიჭერებ. სულ ეს არის!
- წითურას მიჰყვები?
- ჰო.
- გასაგებია.
- რა თქვი?
- გასაგებია-მეთქი.
- შეტს არაფერს იტყვი?
- შეტს არაფერს, ნინა.
- როდის გნახავ?
- საერთოდ აღარ მინდა შენი ნახვა.
- გასაგებია.
- რა თქვი?
- გასაგებია-მეთქი.
- კარგი! კარგად იყავი!
- კარგად იყავი... ძალიან ვწუხვარ, ადამ!

თ ა ვ ი XII

ათი დღის შემდეგ უიგმორ-სტრიტის კუთხეში ადამმა ყვავილები იყიდა და საავადმყოფოში მისს რანსიბლის სანახავად წავიდა. პირველად იგი უფროსი მოწყალეების დის ოთახში შეიყვანეს. იგი ვერცხლისჩარჩოიანი უამრავი ფოტოსა და ერთი საძაგელი ფოქსტერიერის მფლობელი გახლდათ. ქალი ხარბად, ტუჩების წკლაპუნით ეწეოდა სიგარეტს.

— ერთი წუთით შევაფარე თავი ამ ჩემს ბუნაგს, — განუმარტა მან ადამს. — ძირს ჩამოდი, სპოტ! მშვიდად! როგორც ვხედავ, ძაღლები გყვარებიან, — დაუმატა მან, როდესაც დაინახა, რომ ადამმა სპოტს თავზე ხელი გადაუსვა.

— მაშასადამე, მისს რანსიბლის ნახვა გინდათ. ჩემი უპირველესი მოვალეობაა გაგაფრთხილოთ, რომ მისთვის არავითარი, სულ მცირე აღელვებაც კი არ შეიძლება. მან საშინელი შოკი გადაიტანა. ნება მიბოძეთ ინტერესდე, ნათესავი ხართ?

— არა, მხოლოდ მეგობარი.

— ალბათ ძალიან ახლო მეგობარი, არა? — თქვა მეფედიმონტეპეტრად. — ჰო, კარგით, კარგით! უხერხულობაში არ ჩაგაგდებთ! ახლა გაიქეცით და მოინახულეთ, მაგრამ გაფრთხილებთ, ხუთ წუთზე მეტი არავითარ შემთხვევაში არ დარჩეთ. იცოდეთ, მოვალ და შეგამოწმებთ.

კიბეებზე რომ აღიოდა, ადამმა ეთერის სუნი იგრძნო. ამ სუნმა ის დღე გაახსენა, როდესაც იგი საწოლზე იჯდა და ელოდა, რომ ნინას სახეზე წაესვა და მერე სასაუზმოდ წასულიყვნენ (ნინა ადამს ნებას არ აძლევდა მისთვის ეყურებინა, სანამ იგი სახეზე ისვამდა. იგი საოცარ მორიდებულობას ამჟღავნებდა ტუალეტის სწორედ ამ მომენტში, ზოგი ქალისაგან განსხვავებით, რომელიც თავს მოიკლავს და საცვლებისამარა არავის ეჩვენება, სახეზე წაუსმელი კი, ვის წინაშეც გნებავთ, გამოეფინება).

ნინას გახსენება ადამს ისეთ დიდ ტკივილს აყენებდა, რომ დიდხანს არ შეეძლო მასზე ეფიქრა.

მისს რანსიბლის პალატის კარზე ძალიან საინტერესო ცხრილი ეკიდა, რომელიც მისს რანსიბლის პულსისა და ტემპერატურის გარდა მისი ჯანმრთელობის შესახებ ბევრ სხვა, ძალიან საინტერესო მონაცემსაც შეიცავდა... ადამი დიდი სიამოვნებით სწავლობდა ამ მონაცემებს, სანამ სანიტარმა, რომელსაც შბრწყინავი ქირურგიული ინსტრუმენტები სადღაც მიჰქონდა, ისეთი თვალით არ შეუბღვირა, რომ იგი იძულებული გახდა შებრუნებულიყო.

მისს რანსიბლი ჩაბნელებულ ოთახში მაღალ, ვიწრო საწოლზე იწვა. მის გვერდით მოწყალეების და იჯდა და ყაისნალით რაღაცას ქსოვდა. ადამი რომ ოთახში შევიდა, მოწყალეების და წამოდგა და კალთიდან ძაფის გორგალი ჩამოუვარდა.

— ვილაც გესტუმრათ, ჩემო კარგო! — უთხრა მან მისს რანსიბლს. — იცოდეთ, თქვენთვის ბევრი ლაპარაკი არ შეიძლება.

მან ადამს ყვავილები ჩამოართვა და მისს რანსიბლს უთხრა:

— შეხედეთ, რა მშვენიერია! რა ბედნიერი გოგო ხართ! — და მან ყვავილები პალატიდან გაიტანა. მოწყალეების და მალევე შემობრუნდა, ყვავილები წყლით სავსე ლარნაკში ჩაეწყო.

— ძალიან სწყუროდათ! აი, ნახავთ, ამ ცივ წყალში როგორ გალალდებიან, — თქვა მან და ისევ გავიდა.

— ჩემო კარგო! — გაისმა მისუსტებული ხმა საწოლიდან. — ვერც კი ვხედავ, ვინ მოვიდა. რამე საშინელება მოხდება, ფარდები რომ გადავწიოთ?

ადამი ფანჯარასთან მივიდა და დეკემბრის შუადღის რუხი ნათელი ოთახში შემოუშვა.

— ოჰ, გენაცვათ, არ დამაბრმავა! კოკტეილის მოსამზადებლად საჭირო რაღაცები კარადაშია, ადამ! ბევრი გააკეთე! მოწყალეების დებს ძალიან უყვართ. იცი, რა კარგი საავადმყოფოა. ადამ! მარტო ის არ მომწონს, რომ მოწყალეების დებს პირდაპირ აშიმშილებენ. ჩემ გვერდით პალატაში ერთი გადასარევი ახალგაზრდა კაცი წევს. თავს შემოყოფს ხოლმე და მეკითხება, როგო-

რა ხართო. აეროპლანიდან ჩამოვარდა, წარმოგიდგენია? დიდებულია, არა?

— თავს როგორ გრძნობ, აკათა?

— სწორი რომ გითხრა, ძალიან უცნაურად... ნინა როგორ არის?

— ნინა თხოვდება, არ გაგიგია?

— აქაური მოწყალეების დები მხოლოდ პრინცესა ელისაბეტს ვაძინებენ.

ლობებს ლაპარაკს, ჩემო კარგო! მომიყევი, რა?

— ვინმე წითურას მიყვება.

— არ გამაგიჟო!

— არ გახსოვს? აეროსტატზე რომ საღამო მოვაწყეთ, იმის შემდეგ სულ თავს დაგვდევედა.

— გული რომ აერია?

— არა, მეორე.

— არ მახსოვს... ნინაც წითურას ეძახის?

— კო.

— რატომ?

— თვითონ სთხოვა, ასე დამიძახეო.

— კარგი ერთი!

— პატარაობისას ერთად უთამაშიათ. ჰოდა, ახლა ცოლად მიჰყვება.

— კი მაგრამ, ჩემო კარგო, ეს ხომ საშინელებაა შენტვის?

— სასოწარკვეთილი ვარ. საიმონივით თავი ხომ არ მოვიკლა-მეთქი.

— მაგას ნუ იზამ, გეთაყვა... როგორ, საიმონმა თავი მოიკლა?

— არ გაგიგია, საყვარელო? იმ ღამეს მოიკლა თავი, საჩივრები ნიაღვარივით რომ წამოვიდა.

— ოჰ, იმ საიმონზე ამბობ? მე ეს საიმონი მეგონა.

— რომელი „ეს საიმონი“?

— აი, ის ახალგაზრდა კაცი, აეროპლანიდან რომ გადმოვარდა. მომვლენები არიფ საიმონს ეძახიან, იმიტომ რომ გადმოვარდნის მერე მთლად დალაგებულად ვერ არის... მაგრამ ამას თავი დაეანებოთ ადამ, იცი, როგორ მეცოდები ნინას გამო? მოდი, იცი რა ვქნათ? როგორც კი გამოვკეთდები, შენს გასამხიარულებლად მერი მაუსს ერთი კარგი წვეულება გავამართინოთ.

— მერიზე არაფერი გაგიგია?

— არა! რა იყო, დაემართა რამე?

— მაპარაჯა პაკაპორს მონტე-კარლოში გაჰყვა.

— ღმერთო ჩემო! რა დღეში იქნებიან მაუსები.

— ჯერჯერობით მერი რელიგიური სწავლების კურსს გადის, რომ უფლება ჰქონდეს მეფის ოფიციალურ მხევლად ითვლებოდეს. ამის შემდეგ ინდოეთში წავლენ.

— რა უცებ გაქრებიან ხოლმე ადამიანები, არა, ადამ? იმ მთვრალ მაიორს ფული გამოართვი?

— არა, ისიც გაქრა!

— იცი, ადამ, რა უცნაური ხილვები მქონდა, სანამ ვაფრენდი? მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენ ყველანი რბოლის მონაწილენი ვიყავით და ვურტყამდით და ვურტყამდით წრეებს. არა კაცს გაჩერება არ შეეძლო. მაყურებლებიც ბევრნი იყვნენ, ძირითადად ის ტიპები, ყველგან დაუპატიჟებლად რომ ეტენებიან, ძეკორია მწერლუკებიც იყვნენ, არჩი შვერტიც და სხვა მისთანანიც.

ყველანი ერთად შემოგვბლაოდნენ: ჩქარა, უფრო ჩქარაო. მანქანა მანქანაზე ილეწებოდა. ბოლოს, ვითომ მარტო მეღა ვრჩებოდი. ვერაფერი ვერ ვჩერდებოდი. ბოლოს მეც ვეტაკებოდი რაღაცას და მეღვიძებოდა ეიღეც.

ამ დროს კარი გაიღო. მაილზმა ჯერ შეიხედა ოთახში და შემდეგ შევიდა.

— აგათა, ადამ, ჩემო კარგებო, რომ იცოდეთ, რა უბედურება მოხდა აქ 'შემოსვლაზე! ვერ აგიწერთ იქ, დაბლა რა ხდება. ჯერ ვუთხარი, ლორდი კახში ვარ-მეთქი, არ იმოქმედა. მერე ვთქვი, ექიმი ვარ-მეთქი. არც ამან გასკრა. მერე ვთქვი, მისი საქმრო ვარ-მეთქი. ამანაც კი არ გასკრა. მაგრამ როგორც კი ვახსენე, „მაღალი საზოგადოების ქრონიკის“ რეპორტიორი ვარ-მეთქი, მაშინვე შემომიშვეს. არ ააღელვოთო, მხოლოდ ეს მითხრეს და მთხოვეს, იქნებ თქვენს გაზეთში ჩვენი საავადმყოფოც ახსენოთ ერთი-ორი სიტყვითო. რასა იქმ, აგი, საყვარელო! აი, ახალი ფირფიტები მოგიტანე!

— გადასარევი ბიჭი ხარ, არჩი! მოდი მოვისმინოთ. პატეფონი საწოლის ქვეშ არის.

— დღეს ბევრი სტუმარი გეწვევა, აგათა! ყველანი მარგოსთან იყვნენ სადილად. ჯონი ჰუპი, ვენი და არჩი შვერტი. ნეტავი შემოსვლას თუ მოახერხებენ.

შოახერხეს.

ასე რომ სულ მალე ბლომად მოგროვდნენ. გვერდითი ოთახიდან კრელა-კრულა ხალათში გამოწყობილი საიმონიც შეუერთდათ. ახალ ფირფიტებს უკრავდნენ და ზანგური სიმღერების რიტმს აყოლილი მისს რანსიბლი საბანქვეშ ხელ-ფეხს ათამაშებდა.

ყველაზე ბოლოს ნინა მოვიდა. ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ნაავადმყოფარს ჰგავდა.

— შითხრეს, ნინა თხოვდებო. მართლა თხოვდები, ნინა?

— ამ გათხოვებამ მართლაც რომ სულზე მომიწრო. მამაჩემმა მთელი თავისი ქონება კინოფილმში დააბანდა და კაპიკიც აღარ შერჩა.

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემო კარგო! მამაჩემმა ორჯერ დაკარგა მთელი თავისი ქონება. არავითარი სხვაობა არ მიგრძენია. ერთადერთი სიძნელე ის არის, რომ როგორმე უნდა შეეგუო ამ აზრს... მართლა წითურას ეძახი?

— ჰო, მაგრამ იცოდე, აგათა, დაცინვა არ გაბედო!

ამ დროს სწორედ იმ ფირფიტას უკრავდნენ, რომელსაც ზანგი მომღერალი მღეროდა კაფე De la Paix-ში.

მერე შემოვიდა სანიტარი ქალი.

— ძალიან ხმაურიანი ხალხი ყოფილნართ, — თქვა მან. — არ ვიცი პირდაპირ, რომ გავვიგოს. რას მეტყვის, უფროსი.

— 'შოკოლადი მიირთვით, დაიკო!

— უუჰ! 'შოკოლადის კამფეტი?

ადამმა ერთი კოკტეილიც გააკეთა.

მაილზი მისს რანსიბლის საწოლზე ჩამოჯდა. ტელეფონი ახლოს მიიჩოჩა და საავადმყოფოს თაობაზე რედაქციაში ინფორმაციის გადაცემას შეუდგა.

— აი, რას ნიშნავს, როცა კაცს რედაქციაში მეგობარი ჰყავს! — თქვა სანიტარმა ქალმა.

ადამმა ქალს კოკტეილი მიუტანა.

— დავლიო? — იკითხა ქალმა. — ძალიან მაგარი ხომ არ არის? თავში რომ ამხვიარდეს? რას იფიქრებენ პაციენტები, შექიკვიკებული მომვლელი რომ გამოეცხადებათ? თუმცა, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ არავინ დაძავედება... რაც არის, არის! დავლევ! გმადლობთ!



„...გუშინ მისი კეთილშობილება მისს აგათა რანსიბლი მძიმე მძიმე ქალის შოძნობლავი ქალიშვილი მძიმე მოვინახულე უიმპოლ-სტრატის... საავადმყოფოში მძიმე სადაც იგი წევს საავტომობილო კატასტროფის შემდეგ მძიმე რომელიც ამავე გაზეთის ფურცლებზე აღვწერეთ რამდენიმე დღის წინ წერტილი მისს რანსიბლთან თავი მოიყარა საკმაოდ ხალხმრავალმა საზოგადოებამ მძიმე მათ შორის...“

აღაში, რომელსაც კოქტიელების ჩამოტარება ევალებოდა, ნინას მიუახლოვდა.

— მეგონა, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებოდით.

— აგათა მშვენივრად გამოიყურება, არა? მეგონა, უარესად იყო. რა კარგი საავადმყოფოა!

— აუცილებლად უნდა გნახო, ნინა, ამ საღამოს ლოტისთან მოდი, ერთად ვისადილოთ.

— არა.

— გუნჯეწები.

— არა! წითურას არ მოეწონება.

— ხომ არ შეგიყვარდა?

— არა, არა მგონია.

— შე გიყვარვარ?

— არ ვიცი... ერთ დროს მიყვარდი.

— რომ არ გნახო, არ შემიძლია, ნინა. რა იქნება, ამაღამ რომ მოხვიდე და ერთად ვისადილოთ. ვითომ რა არის ამაში ცუდი?

— ვიცი, რითაც დამთავრდება ეგ სადილი, ჩემო კარგო!

— შეჩერდა რატომაც არა?

— წითურა ასეთ ამბებს სულ სხვანაირად უყურებს, იცი? გადაირევა!

— შე? შე რაღას მიპირებს, პირველობა ხომ ნამდვილად შე მეკუთვნის?

— ხუ ტრაბახობ, გენაცვალე! თანაც ბავშვობისას შე წითურასთან ვთამაშობდი ხოლმე. იცი, რა ლამაზი ფერის თმა ჰქონდა?

„...მისტერ ჯონი ჰუპმა, რომლის შემუშარები ერთ თვეში გამოქვეყნდება, მითხრა, რომ მომავალში იგი აპირებს მთელი თავისი დრო დაუთმოს ფერწერას. გაზეთებზე იგი პარიზში მიემგზავრება. მას მიიღებენ ცნობილი მხატვრის...“

— საბოლოოდ, ნინა!

— კარგი, ბოლოს და ბოლოს აუცილებელიც კია, რომ მოვიდე.

— ან გ ე ლ ო ბ ი ხ არ!

— დარწმუნებული ვარ, ექვიც არ გეპარებოდა, რომ დაგეთანხმებოდი.

„...მისს ნინა ბლაუნტი, რომლის ქორწინება ცნობილ ცხენბურთელზე „წითურა“ ლიტლჯონზე. ...მისტერ შვერტი...“

— ხეტავი წითურასავით მდიდარი იყო, ადამ! ან იმის ნახევარი მაინც გქონდეს... სულ ცოტა მაინც გქონდეს...

— ეს რასა ჰგავს? — მოულოდნელად თავს წამოადგა და ჰკითხა მათ

უფროსმა მოწყალების დამ. — ვის გაუგონია კოქტილები და მუსიკა ტვინ-
შერყეულ ავადმყოფთან. ახლავე ჩამოუშვით ფარდები, ბრიგს! მიბრძანდით,
ყველანი ახლავე მიბრძანდით აქედან! ათასი შემთხვევა ვიცი, უფრო მსუბუ-
ქად ყოფილან დაშავებულები, მაგრამ დაღუბულან.

მართლაც მისს რანსიბლი უკვე ამუღავნებდა გადარღვევის ნიშნებს.
იგი საწოლში სარგადაყლაპულივით იჯდა, უაზროდ იღიმებოდა და შეხვეულ
თავს ხან ერთსა და ხან მეორე სტუმარს უკრავდა.

— აჰ, ჩემო კარგო, — ამბობდა იგი, — რა გასაოცრად ღვთაებრივია...
როგორ ხართ?... თქვენ როგორღა ხართ?... რა ანგელოზები ხართ ყველანი,
რომ მოხვედით?... მხოლოდ მოსახვევში ცოტა ფრთხილად, არ გადავარდეთ!
უუჰ! გავცდით კიდევ! აგერ ის საძაგელი იტალიელი... ის მაინც ვიცოდე, ამ
შახახახაში სად რა არის!... შეეცადეთ სწორად იაროთ, საყვარელო... მაშინაც
კიხალამ ზედ გადამიარეთ... უფრო ჩქარა....

— დამშვიდდით, მისს რანსიბლი! თქვენი აღელვება არ იქნება, — ამბობ-
და უფროსი მედდა. — სასწრაფოდ ყინული მოიტანეთ, ბრიგს!

— ყველანი აქ არიან! — ამბობდა საბეგაბრწყინებული მისს რანსიბლი. —
ჩქარა... უფრო ჩქარა... როცა საჭირო იქნება, თავისით გაჩერდება...

იმ საღამოს მისს რანსიბლს სიცხემ ისე აუწია, რომ მთელი საავადმყო-
ფო ფეხზე დადგა. საღამოს კაკაოს რომ სვამდა, მისს ბრიგსმა ამოოხვრით
თქვა: ამ პაციენტის დაკარგვა ძალიან მენანება: ისეთი საყვარელი, სასიამო-
ვნო გოგოა. მართო ერთი ნაკლი აქვს, ძალიან მალე აღიგზნება ხოლმე.

სასტუმრო „შეპარდში“ ლოტიმ ადამს უთხრა:

— ისევ მოგაკითხათ იმ ყმაწვილმა.

— რომელმა ყმაწვილმა, ლოტი?

— ძე რა ვიცი, ვინ არი. ამასწინათ რომ იყო, ისევ იმან.

— არაფერი რომ არ გითქვამთ.

— არ შითქვამს, საყვარელო? როგორც ჩანს დამავეიწყდა.

— რა უნდოდა?

— არ ვიცი, რაღაც ფულს ახსენებდა. ალბათ კრედიტორია. თქვა, ხვალ
მოვალო.

— უთხარი, მანჩესტერში წავიდა-თქო.

— კარგი, გენაცვალე... თითო ჭიქა ხომ არ დაგველია?

• •

გვიან, იმავე საღამოს, ნინამ ადამს უთხრა:

— ამჯერად რაღაც ვერ შეგატყუე დიდი სიამოვნება.

— შაპატიე. ძალიან მოსაწყენი ვარ?

— ჩემი წასვლის დროა.

— ჰო.

— რა გემართება, ადამ, ძვირფასო?

— არ ვიცი... ნინა, არასოდეს არ მოგსვლია აზრად, რომ ასე აღარ შეი-
ძლება გაგრძელდეს?

— რას გულისხმობ, ჩვენს ამბავს თუ საერთოდ?



ქართული
გრაფიკული

- საერთოდ.
- არა, სამწუხაროდ მაგაზე არასოდეს მიფიქრია.
- ჰო, შენ ეგებ სწორადაც იქცევი... რას ეძებ?
- ტანსაცმელს.
- რატომ?
- ოჰ, ადამ! რატომ არ დამშვიდდები? რა აუტანელი ხარ დღეს!
- ძოღი არ ვილაპარაკოთ, კარგი, ნინა?
- ცოტა ხნის შემდეგ ადამმა თქვა:
- რას არ მივცემდი, რომ რაღაც შეცვლილიყო...
- რაღაც თუ ვიღაც?
- რაღაც... თუმცა რა უნდა მიმეცა, რაც არაფერი მაქვს... ლაპარაკს რა აზრი აქვს...
- ოჰ, ადამ! უძვირფასესო...
- რაო?
- არა, არაფერი...

• •

მეორე დღით ადამი ქვევით რომ ჩავიდა, ლოტი სასტუმრო ოთახში დილის ულუფა შამპანურს წრუბავდა.

— გაგვიფრინდა ჩიტუნია? დაჯექი და ერთი ჭიქა დაგვილიე. კრედიტორი ისევ მოვიდა. შენზე ვუთხარი, მანჩესტერშია-მეთქი.

— დიდებულია.

— ძალიან განაწყენდა. ისიც კი თქვა, წავალ და მოვძებნიო.

— შით უკეთესი.

მეორე ის მოხდა, რასაც ადამი აგერ უკვე რამდენიმე დღეა ელოდა. ლოტიმ უცებ თქვა:

— ვალზე გამახსენდა. ჩემთან როდისღა გაასწორებთ ანგარიშს?

— ჰო, რასაკვირველია! სულ ვაპირებდი ანგარიშის მოთხოვნას. იანგარიშდეთ და როგორმე ზემოთ ამომიტანონ, კარგით? — უთხრა ადამმა.

— აქა მაქვს! ღმერთო, შენ უშველე! რამდენი დაუღლეია!

— ბევრია, არა? ნამდვილად იცით, რომ მოსამართლის შამპანურებიც მე არ დამაწერეს?

— შეიძლება ეგრეც იყოს, — აღიარა ლოტიმ, — შიგა და შიგ ანგარიშები აგვერეც-დაგვერევა ხოლმე.

— კარგი, ძალიან დიდი მადლობა. ჩეკს გამოგიგზავნით.

— არა, გენაცვალე! — თქვა ლოტიმ. — უკეთესი არ იქნება, პირდაპირ აქვე რომ გამოწეროთ? აი კალამი, აი მელანი და აი, ჩეკების ცარიელი წიგნაკიც.

(ლოტის სასტუმროში ანგარიშს იწვიათად და არარეგულარულად უდგენდნენ შობიხადრეთ, მაგრამ რაკი წარუდგენდნენ, საშველს აღარავის აძლევდნენ, უხდა გადაეხადათ) ადამმა სამოცდათვრამეტი გირვანქა სტერლინგისა და თექვსმეტი შილინგის ჩეკი გამოწერა.

— ორი პენსიც დაუმატეთ, — უთხრა ლოტიმ, — ჩეკების წიგნაკისა.

— და ორი პენსი, — მიაწერა ადამმა.

— აი, ყოჩაღ! — თქვა ლოტიმ, მელანი დააშრო და ჩეკი უჯრაში შეინახა. — ერთი უყურეთ ვინ მოსულა! თავს მოვიჭრი, თუ ეს მისტერ რაგვარია არ იყოს!

წითურა იყო.

— დილა მშვიდობისა, მისის კრამბ, — თქვა მან ^{ეკონომიკური} ~~ოფიციალური~~ ტონით.

— ჩვენთან მოდით და ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიეთ, საყვარელო! მაშ, როგორ გინდათ, დაბადებულიც არ იყავით, მე რომ გიცნობდით.

— წითურას გაუმარჯოს! — თქვა ადამმა.

— იცით რას გეტყვით, საიმზ, — დაიწყო წითურამ და ხელში შეჩეჩებულ შამპანურის ჭიქას უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის გამოშეტყველებით დააცქერდა. — მინდა მოგელაპარაკოთ. სადმე სხვაგან ხომ არ გავსულიყავით? არ მინდა ხელი შეგვიშალონ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბიჭებო! — თქვა ლოტიმ. — რამდენიც გინდათ ილაპარაკეთ. მე ათასი საქმე მაქვს.

ლოტი ოთახიდან გავიდა და სულ მალე მისი ხმა გაიგონეს. იგი იტალიელ მსახურს ტუქსავდა.

— გისმენთ! — თქვა ადამმა.

— იცით რას გეტყვით, საიმზ! — დაიწყო წითურამ. — ის, რაც მინდა ვითხრათ... რისი თქმაც მინდა... იქნებ ძალიან არასასიამოვნო იყოს... თქვენ კარგად გესმით... ჰოდა, ერთი სიტყვით. მე მგონი გასაგებია... მომისმინეთ! ისა, აი... ეშმაკსაც წაუღია! ჩემი აზრით, ძლიერები იმარჯვებენ! არ ვამბობ, გჯობივართ-მეთქი, ერთი წუთითაც არ იფიქროთ. ყოველ შემთხვევაში ნინას ღირსი არც ერთი არა ვართ. მაგრამ ბედმა მე უფრო გამილიმა. ჩემი აზრით, თქვენ ძალიან დაზარალებით და სხვა და სხვა. მაგრამ როცა კაცი ამაზე იწყებს ფიქრს, ბოლოს და ბოლოს... ერთი სიტყვით, ხომ გესმით... ეშმაკსაც წაუღია... ისა... ერთი სიტყვით, ხომ გასაგებია, რისი თქმაც მინდა?

— ძთლად გასაგები არ არის. — თქვა ადამმა რბილად. — თავიდან მითხარით, ნინას ეხება რამე?

— გამოიცანით! — სწრაფად თქვა წითურამ. — მე და ნინა დანიშნულები ვართ და ნებას არ მოგცემთ ჩაგვეჩხიროთ, თორემ კარგი დღე არ დაგადგებათ.

საკუთარი მჭევრმეტყველებით გაოგნებული წითურა უცებ დადუმდა.

— რატომ გგონიათ, რომ გეჩხირებით?

— ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! გუშინ თქვენ და ნინამ ხომ ერთად ისადილეთ? ჰოდა, სახლში ძალიან გვიან დაბრუნდა.

— რა იცით, როდის დაბრუნდა?

— რა ვიცი და მინდოდა რაღაც აუცილებელ საქმეზე მოვლაპარაკებოდი. ერთი-ორჯერ დავურეკე. დილის სამ საათამდე კაციშვილმა ხმა არ გამცა.

— როგორც ვხედავ, ყოველ ათ წუთში ურეკავდით.

— ოჰ, არა! დალაზვროს ეშმაკმა! ასე ხშირად არ ვრეკავდი არა, არა, ასე ხშირად არა! შეიძლება ეს დიდად კეთილშობილური საქციელი არ არის და სხვა და სხვა, მაგრამ გამიგეთ, საქმე მქონდა. ბოლოს, როცა, როგორც იქნა დავიჭირე სახლში, მითხრა, კარგად ვერა ვარ და ლაპარაკი არ შემიძლიათ. კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც გეტყვით. ბოლოს და ბოლოს ვართ თუ არა ჯენტლმენები? თქვენი ოჯახები ხომ არ მეგობრობდნენ? თქვენ, თუ არ ვცდეთ-

ბი, ერთხანს დანიშნულებიც კი იყავით — სწორი ვარ თუ არა? თქვენ თითონ რას იფიქრებდით, მე რომ ასე ჩაეჩხერილიყავი თქვენს შორის? აბა, ამ კუთხით, ჩემი პოზიციებიდან შეხედეთ საქმეს.

— ზუსტად ასეც მოხდა! თქვენი პოზიციებიდან ვუყურებ ყველაფერს, თქვა ადამმა.

— აბა, რას ამბობთ, საიმზ! ეშმაკსაც წაუღია, სად გაგონილა ეგრე ლაპარაკი. იცით თუ არა, რომ სანამ აღმოსავლეთში ვმსახურობდი, ნინას სკრათი საწოლთან მქონდა ჩამოკიდებული? ღმერთმანი, მქონდა! იქნებ თქვენ სანტიმენტალობად ჩამითუალოთ, მაგრამ სანამ იქ ვიყავი, ნამდვილად დღ არ გასულა ისე, რომ ნინაზე არ მეფიქრა. არ გეგონოთ, იქ სასიამოვნო გოგონები არ იყვნენ. არ დავმალავ, ზოგიერთთან კიდევ ვმეგობრობდი. დროს ვაგარებდი სასიამოვნოდ. ხომ, გამიგეთ, რასაც ვგულისხმობ: შეჯიბრებები იმხანაში,²⁰ ტენისი და სხვადასხვა თამაშობანი. ხომ გესმით, სალამოობით ცკვები და ასე შემდეგ, მაგრამ სერიოზული არასოდეს არაფერი მქონია. ნინა ერთადერთი იყო, ვისზეც სერიოზულად ვფიქრობდი. ჩემთვის გადაწყვეტილი მქონდა, ინგლისში რომ ჩავალ, მოვძებნი და თუ დავითანხმე-მეთქი... ხომ ვაძიგეთ, რისი თქმაც მინდა? ესეც ჩემი ბედია! რაღა ყველა მე უნდა ჩამეჩხიროს! თქვენ უნდა გამიგოთ, ხომ გესმით ჩემი?

— შესძის! — თქვა ადამმა.

— სანტიმენტებს და სხვა რალაც-რალაცებს რომ თავი დავანებოთ, არის ერთი სხვა რამეც, თქვენ გამიგებთ: ხომ იცით, ნინა ისეთი გოგოა, კარგი ჩაცმის-დახურვა და კომფორტი უყვარს. გამიგეთ? მამამისი, რასაკვირველია, უმალლესი კაცია, უკეთესი რომ არ იქნება, მართლა, მართლა, გულწრფელად ვამბობ! მაგრამ მეც გამიგეთ, ფულის საკითხში დიდი ბრიყვი რამ არის, ხომ ძიძიხვდით, რასაც ვამბობ? საქმე ისე მოეწყო, რომ ნინა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ასე შემდეგ, ხოლო თქვენ, რამდენადაც ვიცი, მაინცდა მაინც ბევრი ფული არ უნდა გქონდეთ!

— სულაც არაფერი არა მაქვს!

— პოდა, იმასვე ვიმეორებ, რაც უკვე გითხარით. თქვენ ბედმა არ გგილიძათ. ამის გამო ვინმე კი არ გამცირებთ! ხელფასით რომ ცხოვრობთ, იმ ვგულისხმობ. პირიქით, პატივსა გცემთ ამის გამო. ახლა ძალიან ბევრ ახაგაზრდას არა აქვს ფული. რამდენსაც გინდათ, იმდენს ჩამოგითვლით, კიბ ბიჭებს, პირდაპირ შესანიშნავ ბიჭებს, კაპიკი რომ არ გააჩნიათ. ამას მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა, როცა საქმე ცოლის შერთვაზე მიდგება ხოლმე, ომ ვაძიგეთ? ხომ მართალი ვარ?

— ძთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ იმის თქმას ცდილობდით, რომ ნინას ბოლომდე არ ენდობით?

— აჰ, ჩემო ძმაო! რამხელა სისულელეს ამბობთ! ეშმაკმა წამილოს თუ ნინას ყველაფერში არ ვენდობოდე. რასაკვირველია ვენდობი. ბოლოს დ ბოლოს, მამ სიყვარული სხვა რაღაა, თუ აღარც ენდობი?

მართლაც რაღაა? — გაიფიქრა ადამმა, და თქვა:

— ახლა, წითურ, მართალი მითხარი, ნინა რამდენად გიღირს?

²⁰ ჯიმხანა (ინდურ-ინგლისური) — სპორტულ თამაშობათა ჩასატარებელი ადგილი (მთარგმნ.).

— ღმერთო დიდებულო, რა საოცარი შეკითხვაა! ამქვეყნად უფრო ძვირფათ არავენ მეგულება. მაგ გოგოსათვის ცეცხლში ჩავდგები.

— კარგი, მოგყიდი!

— რაო, რა სთქვით? ... მომისმინეთ!... ღმერთო!... დალახვროს ეშმაკმა! ისა! როგორ?!..

— ჩემს წილ ნინას ას გირვანქა სტერლინგად გითმობ.

— შიმტკიცებთ, ნინა მომწონსო და ეგ როგორ თქვით? ეშმაკმა დალახვროს რა სიმდაბლეა! თანაც ასი გირვანქა სტერლინგი ძალიან ძვირია. ცოლის ძოვა ისედაც ბევრი ფული ჯდება-მეთქი, მინდოდა მეთქვა. ესეც არ იყოს, აულ ახლაზანს ირლანდიიდან ორი პონი გამოვიწერე თავისი ყველაფრით დეტყობა ისიც ძვირი დამიჯდება.

— ასი გირვანქა სტერლინგი და ნინა თქვენია! მე კიდევაც მეიაფება!

— ორმოცდაათი!

— სი!

— სამოცდათხუთმეტი!

— აი!

— ეშმაკმა წამილოს, თუ სამოცდათხუთმეტზე მეტი მოგცეთ!

— სამოცდათვრამეტი გირვანქა სტერლინგი, თექვსმეტი შილინგი, და ორი პენსი. უფრო იაფად არ შემიძლია!

— კარგი, შევთანხმდით! და თქვენ ნამდვილად ჩამომეცლებით?

— შევეცდები, წითურ! მოდი დავლიოთ!

— არა, გმადლობთ! .. რაც ახლა მოხდა, კარგად გვიჩვენებს, თუ რას გადურჩა საცოდავი გოგო.

— შ'შვიდობით, წითურ!

— შ'შვიდობით, საიმზ!

— მისტერ რაგვარია წავიდა? — იკითხა ოთახში შემოსულმა ლოტიმ. — ვფიქრე, თითოც ხომ არ დაგველია-მეთქი.

— ადამი ტელეფონთან მივიდა.

— ალო! ნინა ხარ?

— ვინ ლაპარაკობს? არა მგონია მისს ბლაუნტი სახლში იყოს!

— მისტერ ფენვიკ საიმზი! }

— ოპ, ადამ! შენა ხარ? წითურა მეგონა. გამომეღვიძა და ვიგრძენი, რომ მისიდანახვა აღარ შემიძლია. წუხელის სახლში შემოვედი თუ არა, მაშინვე დარქა.

— ვიცი, ნინა! ჩემო სიცოცხლევ, რაღაც საშინელება მოხდა.

— რა?

— ლოტიმ ანგარიში წარმომიდგინა.

— როგორ მოიქეცი, ძვირფასო?

— ძალზე ორიგინალურად!.. შენ გაგყიდე, ჩემო სიცოცხლევ!

— ვის მიმყიდე... ძვირფასო?

— წითურას! სამოცდათვრამეტ გირვანქა სტერლინგად, თექვსმეტ შილინგად და ორ პენსად.

— აო?!

— ჭაგიეროდ მომავალში არასოდეს აღარ უნდა გნახო.

— ოჰ, ადამ! რა მხეცურად მოიქეცი. სულაც არ მინდა, რომ აღარ მხახო.

— ძალიან ვწუხვარ... მშვიდობით ნინა, ჩემო ძვირფასო!

— მშვიდობით, ადამ, სანატრელო! მაგრამ კარგი არამზადა კი ხარ!

სიმონოვი

• •

მეორე დღეს ლოტიმ ადამს უთხრა:

— გახსოვთ, რომ გითხარით, ვილაც ყმაწვილი გკითხულობდათ-მეთქი?

— კრედიტორი?

— როგორც აღმოჩნდა, კრედიტორი არა ყოფილა. ახლა გამახსენდა. ეგ კაცი ჩვენთან ხშირად დადიოდა, სანამ კანადელთან ჩხუბი არ მოუვიდა. იმ დამესაც აქ იყო, როცა იმ სულელმა ფლოსიმ ჭალზე თავი ჩამოიხრჩო.

— მთვრალ მაიორზე ხომ არ ამბობთ?

— გუშინ ფხიზელი იყო. ყოველ შემთხვევაში, სიმთვრალეს ვერ შეატყობდით. მონოკლიანი, სახელაყდაყა კაცი. როგორ არ გახსოვთ, ჩემო კარგო! ის არ იყო, ნოემბრის ჰენდიკაპში თქვენს მაგივრად რომ ითამაშა?

— ახლაც უნდა მოვნახო! რა ჰქვია?

— აჰ! ეს კი აღარ ვიცი. ვიცოდი, განა არა, მაგრამ სულ ამომვარდა თავიდან. თქვენს საძებნელად მანჩესტერში წავიდა. საწყენია, რომ ასცდით.

ადამმა ნინას დაურეკა.

— წითურასთან საქმის დამთავრებას ნუ იჩქარებ. იქნებ ისევ გამოგისყიდო. მთვრალი მაიორი ისევ გამოჩნდა.

— დაგაგვიანდა, საყვარელო! მე და წითურამ ამ დილით დავიწერეთ ჟვარი. საქორწილო მოგზაურობაში მივდივართ. მივეფრინავთ!

— წითურა დროს უქმად არ ჰკარგავს! გემუდარები, ნინა, არ წახვიდე!

— არ შეიძლება, უნდა წავიდე! წითურა ამბობს, მონტესთან ერთი „მაგარი“ ადგილი ვიცი, თანაც იქვე ახლოს გოლფის სათამაშო მინდორიც არისო.

— დიდი ამბავი!

— ვიცი, მესმის... რამდენიმე დღეში ჩამოვალთ. გვინდა, შობა მამაჩემთან გავატაროთ. ჩამოვალ და იქნებ რამე მოვახერხოთ. ამის იმედით ვარ!

— მშვიდობით!

— მშვიდობით!

• •

წითურამ თვითმფრინავის ფანჯრიდან გაიხედა.

— ნინა! — დაიყვირა მან. — ბავშვობისას ქრესტომათიაში არ წაგიკითხავს ან არ გისწავლია, რაღაც ამის მსგავსი: „ტაბტი მეფეთა, მბრძანებელი კუნძული ესე, სამოთხის მსგავსი, ვით მეორე ედემი, იგი...“ მიხვდი, რასაც ვკულისხმობ? „...ეს ბედნიერი კაცთა მოდგმა — სამყარო მცირე, ეს ქვა ძვირფასი, ვერცხლის ზღვაში ბეჭდის თვლად მჭდარი...“

ეს დალოცვილი მხარე, მიწა, ინგლისი ესე,

მეფეთა ძიძა და გამდელი, წიაღი მათი,

მოდგმით მრისხანე, დაბადებით დიად მეფეთა²¹...

შეტი აღარ მახსოვს. რომელიღაც ჭიუტ ებრაელზეა ლაპარაკი, ხომ ხვდები რაზეც ვაძბობ?



- ეგ ერთი პიესიდან არის.
- არა, ქრესტომათიიდანაა.
- მითამაშია კიდეც მაგ პიესაში.

— რა ვიცი, მერე იქნებ პიესაშიც შეიტანეს. მე რომ ვსწავლობდი, ქრესტომათიაში ეწერა. მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ხვდები, რაზეც ვაძბობ?

— კი, მერე რა?

— არაფერი. თავს რალაცნაირად არა გრძნობ, როცა აი, ასე ზევიდან დაპყურებ ყველაფერს და რალაც იმის მსგავსს არ განიცდი, რაც იმ ქრესტომათიაში სწერია? არ ვიცი, კარგად თუ გამიგე.

ნინამ ძირს ჩაიხედა და ქალაქის გარეუბნის წითელი აგურით ნაგები, ერთმანეთზე მიჯრილი სახლები დაინახა, რომლებიც უცნაურად დახრილ კორიზონტზე მოჩანდნენ. მთავარ მაგისტრალზე აქა-იქ წერტილებივით ჩანდნენ მანქანები. ქარხნებიც მოჩანდა. ზოგი მუშაობდა, ზოგიც მიტოვებული და დანგრევის პირას მისული, უქმად იდგა. აგერ დამშრალი არხის კალაპოტი, საცდლაც შორეთში გორაკებზე ბუნგალოები მოჩანს. რადიოს ანძები და ელსადენების ბოძები... ამ სიმალლიდან ქალსა და კაცს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ, ქედან პატარ-პატარა წერტილებად მოჩანან. ისინი ქორწინდებიან, შვილებს აჩენენ, ფულს აკეთებენ, მალაზიებში დადიან... თვითმფრინავი საჰაერო ორქოში ჩაქანდა, პეიზაჟი ისევ ამოყირავდა.

— სიდაცაა გული ამერევა, — თქვა ნინამ.

— საცოდავი ბავშვი, — თქვა წითურამ, — სწორედ ამისათვის გამოიგონეს ქალაქის პარკები.

• •

...მანქანიდან რომ გახედავ, გზის შავი ზოლი უმეტეს წილად მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მოჩანს და დახვეული კინოფირივით ნაწილ-ნაწილ იშლება თვალწინ. გზის არც ერთ მხარეს არაფრის გარჩევა არ შეიძლება, ყველაფერი თითქოს ბურუსშია გახვეული...

— სწრაფად, უფრო სწრაფად! — ისეთი ხმით გაპყვირიან მაყურებლები, რომ მათ ხმებს ძრავის ღმუილიც კი ვერ ახშობს. უცებ აღმართი დაიწყო და თეთრი მანქანა სიჩქარის შეუნელებლად აიჭრა ზემოთ. მოსახვევი აღმართის ბოლოში, ზედ გორაკის წვერთან მთავრდება. საიდანღაც მანქანები ისე წაშოებარნენ და ჩაუხერგეს გზა, რომ არაფერი გაუგია.

— ჩქარა, ჩქარა! — დაიყვირა მისს რანსიბლმა.

— დამშვიდდით, გენაცვალე, დამშვიდდით! სხვა ავადმყოფებს ნუ აწუხებთ. მშვიდად უნდა იწვეთ, თორემ არასოდეს არ გამოკეთდებით. ყველაფერი ძალიან კარგად არის. შესაშფოთებელი რა გაქვთ? სულ არაფერი!

შეეცადნენ მისს რანსიბლი როგორმე დაეწვინათ.

²¹ უ. შექსპირი. „რიჩარდ II, II მოქმედების I სურათი. თარგმ. გ. გაჩეჩილაძისა.

დაწოლილმა როგორ უნდა მართოს მანქანა? აი, კიდევ ერთი საშინელი მოსახვევი! მანქანა ორ უკანა თვალზე დაბუქსავდა, გზაზე გარდიგარდმოდგა და ხირა და ხევში გადაჩეხვას რამდენიმე დუმიტ გადაურჩა. მოსახვევი უნდა დაამტნრუქო, მაგრამ ასე ზურგზე გამოტილმა როგორ უნდა დაინახო მოსახვევი? ასეთი სიჩქარით უკანა თვლებზე როგორ ივლი? აი, როგორ უნდა მანქანა საობს...

— ჩქარა, ჩქარა!

...კახქვეშა ინექცია.

საღელვებელი რა გაქვს, საყვარელო? ... არაფერი... სულ არაფერი...

თ ა ვ ი XIII

ფილმის გადაღება დამთავრდა და ყველანი — უესლი, უაიტფილდი, ეპისკოპოსი ფილპოსტი, მისს ლატუში, მისტერ აიზეკი და კინემატოგრაფიის ნაციონალური აკადემიის სტუდენტები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. პარკში ღრმა თოვლი იდო. უზარმაზარ ქათქათა მინდორს სულ უბრალო ლაქაც არსად აჩნდა. კვალდაუმჩნევი თოვლი იდო, თუ არად ჩავთვლით მშვიერი ჩიტების პაწაწკინტელა, გაფარჩხული ფეხების ნაკვალევს. მნათეები ბოლო რეპეტიციას გადიოდნენ და ჰაერი ზარის წკრიალა ხმებით იყო გაჯერებული.

სასადილო ოთახში ფლორინი, მისის ფლორინი და ადა, თხუთმეტი წლის მოსამსახურე გოგო, საოჯახო ფოტოებს ჭყორის ტოტებით რთავდნენ. ფლორინს ხელში კალათა ეკავა. მისის ფლორინი კიბეს ხელით იჭერდა, ხოლო ადა რტოებით რთავდა ფოტოებს. ზედა სართულზე საძინებელ ოთახში თვლემდა პოლკოვნიკი ბლაუნტი.

ფლორინს თავისი საიდუმლო გასჩენოდა. ეს საიდუმლო ეხებოდა ძველისძველ კოლენკორის დროშას, რომელზედაც წითელი ლენტით შემდეგი სიტყვები გამოეყვანათ: „მოგესალმება შენი ოჯახი“. ფლორინს მუდამ ახსოვდა, თუ სად ინახებოდა ეს დროშა — მისთვის ძალიან ადვილად მისაგნებ ადგილას: შავ ჩემოდანში იდო სულ ზემოდან, ჩემოდანი კი მივარდნილ მანსარდაში ორ ღრმა აბაზანასა და ვიოლონჩელის ფუტლიარს შორის გადაემაღათ.

— ეს დროშა პოლკოვნიკის დედამ მაშინ შეკერა, — განუმარტა ფლორინმა ქალებს, — როდესაც ბიჭი პირველად გაუშვეს სასწავლებლად სკოლაში. არდადეგებზე ჩამოსულ მისტერ ერიკსა და პოლკოვნიკს აუცილებლად სასტუმრო ოთახში გაკრული დროშით ეგებებოდნენ. პოლკოვნიკი პირველად ამ დროშას მოიკითხავდა ხოლმე. მაშინაც კი, როცა უკვე დიდი იყო და სახლში მშვებულებით ჩამოდიოდა, მაშინვე იკითხავდა ხოლმე, ჩემი დროშა სად არისო. ახლა მისს ნინასათვის ჩამოვკიდოთ, მისის ლიტლჯონისათვის-მეთქი, მინდოდა მეთქვა, — დაუმარტა ფლორინმა.

ადამ იკითხა, ჭყორის რამდენიმე ტოტი კაპიტნისა და მისის ლიტლჯონის საწოლ ოთახშიც ხომ არ დაგვეკიდოთ.

მისის ფლორინმა თქვა, ვის გაუგია ჭყორის ჩამოკიდება საძინებელ ოთახში, ამბობენ, თურმე ჭყორი მეორე სართულზე საერთოდ არ უნდა გააქაჩონო, ცუდი ნიშანი ყოფილაო.

— მაშინ, ფითრის ფოთლები ხომ არ ჩამოგვეკიდა საწოლს-კოფთან? — თქვა ადამ.

მისის ფლორინმა თქვა, როგორ არ გრცხვენია, ასეთ რამეებზე რომ ლაპარაკობ, ჯერ რა დროსია შენთვის ასეთი რამეებიო!²²

ფლორინმა თქვა, ამდენ ლაპარაკს, ადას ის ურჩევნია ჩემთან, სასტუმრო ოთახში გამოვიდეს და დროშის დაკიდებაში დამეხმაროს, ერთი ბოლო მარტორქის ცხვირზე უნდა დამაგრდეს, მეორე კიდევ ჟირაფის კისერზეო.

ამ დროს პოლკოვნიკი ბლაუნტი ქვევით ჩამოვიდა.

— დიდ სასტუმრო ოთახში ბუხარი დავანთეთ, სერ? — ჰკითხა მისის ფლორინმა.

— რა საჭიროა? რატომ დაგჭირდათ დიდ სასტუმრო ოთახში ბუხრის დათება, მისის ფლორინ?

— კაპიტნისა და მისის ლიტლჯონის ჩამოსვლის გამო, ხომ არ დაგვიწყებიათ, სერ, რომ ისინი დღეს შუადღისას ჩამოდნენ და დარჩენას აპირებენ?

— რომელი კაპიტანი და ვინ მისის ფილდსტიკი? წარმოდგენა არა მაქვს. ერთი ვიცოდე, ვინ მოიწვია და ვინ სთხოვა დარჩენა! მე პირადად, ნამდვილად არ შითხოვია. არ ვიცი, ვინ არიან, არც მინდა ვიცოდე... ესეც არ იყოს, ახლა გაძახსენდა, რომ მისს ნინა და მისი მეუღლეც აპირებენ ჩამოსვლას, სახლს სასტუმროდ ხომ ვერ გადავაქცევთ? თუ ეგ ხალხი ჩამოვიდა, ფლორინ, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყვნენ, უთხარით თავიდან მომწყდნენ. ხომ გაიგონეთ? ირა მჭირდებიან! დიდი თავგასული ვინმეა, ვინც ეგენი აქ მოიწვია! რა მისი საქმეა ჩემს სახლში ხალხის დაპატიჟება? რომ არც მეკითხება?

— მისს ნინასა და მისი მეუღლისათვის დიდ სასტუმრო ოთახში ცეცხლი დავანთო, სერ?

— დიან, დიან, რასაკვირველია!.. და მათ ოთახშიც, რაღა თქმა უნდა! შენ კი ფლორინ, ჩემთან წამოდი, სარდაფიდან ღვინო ამომატანინე. გასაღებები აქ სადღაც მქონდა... ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ნინას მეუღლე უნდა მომეწონოს, — გაუმჟღავნა გულის ნადები სარდაფისაკენ მიმავალმა პოლკოვნიკმა ფლორინს. — ყველა აქებს. პატიოსანი, სერიოზული ახალგაზრდაა და საკმაოდ მდიდარიც. მისს ნინამ წერილში მომწერა, თურმე პატარაობისას ჩვენთან სახლში ყოფილა. არ გახსენდება, რომელი იყო? თუ გინდა მომკალი, მე არაფრით არ მახსენდება... რაო, რა ჰქვიაო?

— ლიტლჯონი, სერ!

— ჰო, ვიცი! რა თქმა უნდა! ლიტლჯონი! ენის წვერზე მედგა. ლიტლჯონი! ეს გვარი უნდა დავიმახსოვრო.

— მამამისი ერთხანს ოუკშოტში ცხოვრობდა, სერ! ძალიან მდიდარი ჯენტლმენი იყო. მგონი, გემის მესაკუთრეები იყვნენ. მისტერ ლიტლჯონი პატარაობისას მისს ნინასთან ერთად ცხენით სეირნობდა ხოლმე. ნამდვილი პაპარა, წითელთმიანი მაიმუნი იყო, სერ... კატების რისხვა.

²² ძველი ინგლისური ტრადიციის თანახმად ფითრის ტოტის ქვეშ შემთხვევით მოხვედრილ პირებსაც კი ეძლევათ ერთმანეთის კოცნის უფლება. (მთარგმნ.).

— კარგი, კარგი! ასაკთან ერთად ეგ ამბები, ალბათ, გაუვლიდა, ფრთხილად, ფლორინ! აქ კიბის საფეხური ამოვარდნილია. ლამპა უფრო მაღლა ასწიე, რა მოგივიდა, არ შეგიძლია? ჰო, რისთვის ჩამოვედით? ღვინისათვის! ჰო, ღვინისათვის! აქ სადღაც ოთხმოცდათექვსმეტი წლის მოსავლეს უნდა უყოს. სულ რამდენიმე ბოთლია დარჩენილი. ამ ყუთს რა აწერია? ~~სტენ-სტენ-სტენ-სტენ~~, სანთელი ახლოს მოსწიე!

— ოთხმოცდათექვსმეტი წლისა მაშინ გათავდა, კინოს გადამღები ჯენტლმენი რომ გვყავდა სტუმრად.

— რას ამბობ, ფლორინ, მართლა? არ უნდა გვექნა ეს, ხომ იცი!

— ღვინოებს ძალიან არჩევდა ის მისტერ აიზეკი. თქვენც მითხარით, რაც არ უნდა მოგთხოვონ, მიეციო.

— ჰო, მართალია, ფლორინ, მაგრამ ოთხმოცდათექვსმეტი წლის ღვინო... კარგი, კარგი!... ცხრაას ოთხისა წამოიღე სამი ბოთლი! კიდევ რამე ხომ არ გვინდოდა? კლარეტი, ჰო! კლარეტი! კლარეტი, კლარეტი, კლარეტი! სად ვინახავთ კლარეტს, ფლორინ?

• •

პოლკოვნიკი ბლაუნტი ჩაის სვამდა. ის-ის იყო დაამთავრა თოხლოდ მონარ'შული კვერცხის ჭამა და ფუნთუშაზე თაფლის წასმა დაიწყო, რომ ფლორინმა ბიბლიოთეკის კარი შეაღო და მოახსენა:

— კაპიტანი და მისის ლიტლჯონი, სერ!

შემოვიდნენ ადამი და ნინა.

პოლკოვნიკმა ბლაუნტმა ფუნთუშა დადო და მათ შესახვედრად წამოდგა.

— დიდი ხანია შენი მოხუცი მამა არ მოგინახულებია, ნინა! მაშ, ეს არის ჩემი სიძე? გამარჯობა, ჩემო კარგო! მოდი, ორივე დასხედით, ფლორინი თქვენც აქ მოგიტანთ ჩაის... ასე, ასე... — თქვა პოლკოვნიკმა და ადამი დაკვირვებით შეათვალიერა. — ნამდვილად ვერ გიცნობდით. მამათქვენს კი ერთ დროს კარგად ვიცნობდი. ჩემს მეზობლად, რა ჰქვია იმას, იქ ცხოვრობდა. თქვენ ეს ამბავი ალბათ დავიწყებულიც გექნებათ. თქვენ ჩვენთან მოდიოდით ხოლმე და ნინასთან ერთად ცხენით სეირნობდით. ასე ათი-თერთმეტი წლისა იქნებოდით... რა სასაცილოა, რატომღაც ვფიქრობდი, რომ მოწითალო თმა გექნებოდათ...

— გაგებული გექნება, წითურას რომ ეძახიან და ალბათ იმიტომ...

— ჰო, ჩემი აზრით, რაღაც ამდაგვარი რამის ბრალია... რა უცნაურია, წითურას რომ ეძახიან. უბრალოდ, ქერა თმა აქვს და... თუმცა ყველაფერ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მიხარია, ნამდვილად მიხარია თქვენი ნახვა. მე ის მაფიქრებს, შაბათ-კვირას აქ არ მოგწყინდეთ. ხალხმრავლობას არ ვუჩივით. ფლორინი ამბობს, რომ ვიღაც კაპიტანი და მისის... რა დაიმახსოვრებს ამ გვარებს, დაჰპატიყა და დარჩენაც სთხოვა. რა თავხედობაა! არა? თვალით არავინ დამანახო-მეთქი, ვუთხარი, მე რა თავისი მეგობრების გამართობი მნახა. თუკი თქვენთან ცხოვრობენ და გემსახურებიან, ასე ჰგონიათ, ყველაფრის უფლება აქვთ. აი, მაგალითად, საცოდავი ლედი გრეიბრიჯი აიღეთ. სანამ არ მოკვდა. მანამდე აზრად არავის მოსვლია, რომ თურმე მისი მსახური წლების განმავლობაში სახლის ჩრდილო ფლიგელს აქირავებდა. საწყალი ლედი გრეი-

ბრიჯი ვერაფრით ვერ ხვდებოდა, სად ქრებოდა მისი ბალის ხელი. თურმე მსახური და მისი მდგმურები სამოახლეოში ყველაფერს ნთქავდნენ. მერე კი, როცა ის საცოდავი ლოგინად ჩავარდა და სახლიდან ველარ გამოდიოდა, იმ მსახურმა პარკში გოლფის სათამაშო მოედანი გამართა. ექსპროდუქტივი კაცი! არა მგონია, ფლორინმა ასეთი რამ ჩაიდინოს. თუმცა, ბენი — ისტრისაჰი, ხალხი ხომ დაძიპატიყა! თუ გინდა ნემსი მოუპარავს და თუ გინდა აქლემი.

სამზარეულოში ფლორინმა თქვა:

— ეს ის მისტერ ლიტლჯონი არ არის, რომელსაც მე ვიცნობდი.

მისის ფლორინმა თქვა:

— ეგ ის ახალგაზრდაა, ამ ერთი თვის წინ ჩვენთან რომ ისაღილა.

ადამ თქვა:

— ძალიან სასიამოვნო გარეგნობა აქვს.

ფლორინმა და მისის ფლორინმა ადას უთხრეს:

— რამდენს ლაპარაკობ, ადა! ცხელი წყალი ჯერ არ აგიტანია მათ ოთახში, ხომ? არც ჩემოდნები არ აგიტანია და არ ამოგილაგებია, არა? პოლკოვნიკის საგარეო კოსტუმი გაწმინდე? როგორ ფიქრობ, სახლში რაც საქმეა, ყველაფერს მისტერ ფლორინი და მისის ფლორინი გააკეთებენ? ერთი შენს წინსაფარს შეხედე, შე უბედურ დღეზე დაბადებულო! დღეს უკვე მეორე ამოხუნზლე!

ფლორინმა ისიც თქვა:

— სხვათა შორის მისს ნინამ დროშა შეამჩნია!

* *

ბიბლიოთეკაში პოლკოვნიკმა ბლანტმა თქვა:

— სხვათა შორის ამ სალამოსათვის მე თქვენ სიურპრიზი მოგიმზადეთ. ჩემი ფილმის ბოლო ორი ნაწილი, რომელიც გასამქლავნებლად მქონდა გაგზავნილი, ახლახანს მომიტანეს. ამალამ ჩვენ ამ ფილმს ვნახავთ. პასტორთან წასვლა მოგვიწევს. სახლში ელექტრონი აქვს გამოყვანილი. აი, ბედნიერი კაცი! რომ ვუთხარი, მოვალთ-მეთქი, შეეტყო დიდად არ ესიამოვნა — ხვალ საში ქადაგება უნდა წავიკითხო და თანაც დილის წირვის ჩასატარებლად ექვს საათზე უნდა ავდგეო. შეიძლება ასეთი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, ისიც შობის წინა დღეებში? ისიც კი არ უნდოდა, რომ მოსულიყო და წავეყვანეთ. სულ რაღაც ოთხასიოდე მეტრია. მისთვის ამაზე ადვილი რა უნდა იყოს! ამ თოვლში მთელი ეს აპარატურა როგორ უნდა ვათრიოთ? მე ვუთხარი, თქვენ რომ ცოტა ქრისტიანულად იქცეოდეთ, ჩვენც ალბათ მეტი ხალისით შემოვწირავდით თანხებს ეკლესიას საზღვარგარეთ არსებული მისიებისათვის-მეთქი, ბოისკაუტებისა და თქვენი ორლანისათვის-მეთქი. ამან გასკრა. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! სულაც მე არ მოვაწყე ამ ჩვენს სამრევლოში! მე თუ ვერ გამოვიყენე მისი მანქანა, მაშ, ვინ უნდა გამოიყენოს?

სადილის წინ ტანსაცმლის გამოსაცვლელად საძინებელ ოთახში რომ ავიდნენ, ნინამ ადამს უთხრა:

— ვიცოდი, რომ მამაჩემი ვერაფრით ვერ გიცნობდა.

ადამმა თქვა:

- შეხედე? ჩვენი საწოლის თავთან ვილაცას ფითრის რტო დაუკიდია!
- ფლორინები კი ძალიან გავაკვირვით.
- ახლა პასტორი ნახე რას იტყვის! — პირველად რომ ჩამოვედო, / სად-
გურში მაგან არ წამიყვანა? მაშინაც გიყი ვეგონე.
- საცოდავი წითურა! სულ ვფიქრობ, ძალიან უსამართლოდ რომ ვიქცე-
ცივით-მეთქი... მაგრამ რას იზამ, ბედმა ასე განსაჯა, რომ სწორედ ახლა გა-
მოიძახეს თავის ნაწილში.
- შენი გამოსასყიდი ჩეკი ხომ დავუტოვე!
- შენც ხომ იცი, ძვირფასო, რომ ის ჩეკი ფიქტიურია.
- არცერთი ჩეკი არ არის ფიქტიური, სანამ ბანკი მის განაღდებაზე უარს
არ იტყვის. ხვალ შობაა, მერე შობის მეორე დღეა, მერე კვირა მოსდევს. ჩეკს
ორშაბათამდე ვერ წარადგენს გასანაღდებად. მანამდე კი რალაცა აუცილე-
ბლად მოხდება. სულაც, ვინ იცის, იქნებ მთვრალი მაიორიც კი გამოჩნდეს სა-
დმე. თუ საშველი არსაიდან გამოჩნდა, ბოლოს და ბოლოს შემიძლია შენი თა-
ვი უკანვე გავუგზავნო.
- საბოლოოდ, მე მგონი, ასეც მოხდება... ოპ, რომ იცოდე, რა ჯოჯო-
ხეთად შექცა თაფლობის თვე! საშინელი სიცივე იყო, მაგრამ წითურა მაიძუ-
ლებდა ტერასაზე მესეირნა. უნდოდა ზმელთაშუა ზღვის მთვარე მეხილა და
დავმტკბარიყავი. დილიდან საღამომდე გოლფს თამაშობდა; სასტუმროში მყოფ
ინგლისელებს დაუძმაკაცდა. ვერ აგიწერ რა კომმარო იყო! გასაყეყეჩებელი
ამბავია, გენაცვალე! საცოდავი აგათა, ალბათ, ასე იტყოდა...
- გითხარი, აგათას დაკრძალვაზე რომ ვიყავით? დაკრძალვას მარტო
კაზმები და აგათას დეიდები ესწრებოდნენ. მე და ვენი კარგა გამომტყვრა-
ლები მივედით. ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ. ასე მეგონა, იციან, რომ მეც
წილი მიდევს იმ ავარიის ამბებში-მეთქი.
- მაილზისა რა ისმის?
- არ გაგიგია, რომ აიძულეს ინგლისიდან წასულიყო?
- როგორც მშვენიერად მოგეხსენება, საყვარელო, საქორწილო მოგზაუ-
რობიდან დღეს დავბრუნდი და საერთოდ არ გამიგია არაფერი... იცი, ადამ,
ასე მგონია, ამქვეყნად მარტო მე და შენ დავრჩით...
- ...და წითურა.
- ჰო... და წითურა!



ვერავინ გაბედავდა იმის მტკიცებას, ფილმის ჩვენებამ წარმატებით ჩა-
იარაო.

ბლაუნტები სადილობას ის-ის იყო ამთავრებდნენ, პასტორი რომ მო-
ვიდა. იგი პალტოზე დადებული თოვლის ბერტყვით შემოვიდა ოთახში.

— მობრძანდით, მამაო! მობრძანდით! ახლავე გავემზადებით. დაბრძან-
დით და ერთი ჭიქა პორტვეინი მიირთვით. ჩემს ქალიშვილს ხომ იცნობთ?
ეს კიდევ ჩემი სიძეა.

— მე მგონი, მისი გაცნობის პატივიც მქონდა.

— სისულელეა! პირველად რომ მოვიდა ჩვენსას, აი, ამხელა ძლივს იქ-
ნებოდა და ეს თქვენს აქ ჩამოსვლამდე კარგა ხნით აღრე იყო.

პასტორი ლენოს წრუპავდა და ჭიჭის ზემოდან ადამს ისეთი სახით ათვალერებდა, რომ ნინამ ჩაფრუტუნებისაგან თავი ვერ შეკავა, მერე ადამმაც ჩაიხითხითა და პასტორს ეჭვები რწმენად ექცა. ამრიგად, სანამ პასტორის სახლამდე მივიდოდნენ, მათი ურთიერთდამოკიდებულება დაიძაბა. პოლკოვნიკი იმდენად იყო გართული კინოაპარატურის განაწილებით, რომ არაფერი შეუმჩნევია.

— მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენს მხარეში პირველად ხართ, არა? — ჰკითხა პასტორმა ადამს და თოვლით დაფარულ გზაზე მანქანა ფრთხილად დასძრა.

— იცით, ბავშვობისას მე ამ მხარეში ვცხოვრობდი, — თქვა ადამმა.

— აჰ! კი მაგრამ თქვენ ხომ ამასწინათაც იყავით აქ. პოლკოვნიკს გულმაღვიწყობა დასჩემდა.

— არა, არა! მე აქ თხუთმეტი წელია არა ვყოფილვარ.

— გასაგებია! — თქვა პასტორმა მრავალმნიშვნელოვნად და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა: — საყურადღებოა!... ძალზე სამწუხარო და საყურადღებოა!...

პასტორის ცოლმა გადაწყვიტა ფილმის ჩვენება სასიამოვნო წვეულებად ექცია. მან ამ მიზნით ყავა და შოკოლადის ნამცხვარი მოამზადა და სასტუმრო ოთახში მაგიდა გააწყო, მაგრამ პოლკოვნიკმა მალე მოულო ბოლო ამგვარ დროსტარებას: უცებ ყველანი სიბნელეში აღმოჩნდნენ, რადგან პოლკოვნიკმა ყველა ნათურა გამორთო. მერე პოლკოვნიკმა პროექტორი ჩარიო: სასტუმრო ოთახი სინათლის ძლიერმა ნაკადმა გასერა და პასტორი, რომელიც თავისი აღმოჩენის შესახებ ეჩურჩულებოდა ცოლს, სიბნელეს გამოსტაცა.

— ეს ის ახალგაზრდაა, მე რომ გიყვებოდი, — ჩურჩულებდა პასტორი, — საცოდავი, მთლად სულელია! ისიც კი არ ახსოვს, ამას წინათ აქ რომ იყო. პოლკოვნიკის ასაკში გასაგებია ასეთი გულმაღვიწყობა, მოსალოდნელიც კი არის, მაგრამ ასე ახალგაზრდას როგორ უნდა დაავიწყდეს?.. რა უნდა იყოს მაგათი შთამომავლობა...

პოლკოვნიკმა ფილმის გაშვების სამზადისი ცოტა ხნით შეწყვიტა.

— იცით, რას ვფიქრობ, მამაო? ნეტავი, ფლორინი აქ იყოს! საწყალი. სანამ ფილმს ვიღებდით, სანახევროდ ლოგინად იყო ჩავარდნილი; ვიცი, გაეხარდება ამ ფილმის ნახვა. თუ კარგი ბიჭი ხართ, მანქანით გავარდით და მოიყვანეთ.

— რას ამბობთ, პოლკოვნიკო, რა საჭიროა?! თანაც მანქანა დავაბინავე კიდეც.


— ნუ გეშინიათ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სანამ არ მოხვალთ, არ დავიწყებ. ასე უცებ მაინც ვერ დავიწყებ, ჯერ უნდა მოვამზადო. დაგელოდებით, მე გპირდებით!

— ხვავიანად ბარდნის, პოლკოვნიკო, და თითქოს ქარბუქსაც აპირებს. ნამდვილად ცუდი სამსახური იქნება მოხუცი კაცისათვის, ლოგინიდან რომ წამოჭაგდოთ იმ ფილმის სანახევად, რომელიც სულ მალე, მე ამაში ეჭვი არ შეპარება, მთელი ქვეყნის ეკრანებზე იქნება ნაჩვენები.

— კარგით, კარგით, მამაო! როგორც თქვენ გირჩევნიათ, ისე მოიქეცით. ვიფიქრე შობაა, რაც არ უნდა იყოს-მეთქი და... უჰ, დასწყევლოს!.. დენმა დაშარტყა.

ადამი, ნინა, პასტორი და მისი ცოლი სიბნელეში იხსდნენ და მოთმინებით იცდიდნენ. კარგა ზნის შემდეგ პოლკოვნიკმა ეკრანი გაწალა.

— რომელიმე მომეხმარეთ, ამაღლებინეთ ბუხრიდან ეს რალაც-რალაცები, — თქვა მან.



პასტორის ცოლმა იჩქარა თავისი სამშვენიისების გადარჩენ.

— ნეტავი, თუ გამიძლებს? — იკითხა პოლკოვნიკმა და თავისი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინების მოსურნე მოხუცი მისი ასყისათვის შესაშური სიმკვირცხლით შეხტა პიანინოზე. — ახლა რომელიმემ ეკრანი მომაწოდეთ. აი, ასე! თქვენს კედლებში ერთი-ორი სქვალი რომ ჩახრახნო, ხომ არაფერი დაშავდება, მამაო? სულ ერთი ბეწო სქვალებია!

ეკრანი დაამაგრეს და ლინზა ისეთნაირად შეაბრუნეს, რომ ინათლე ეკრანზე პატარა, ოთხკუთხედ ნაკადად ეცემოდა.

საზოგადოება ეკრანისწინ განლაგდა და საყურებლად მოემზადა.

— ვიწყებ! — გამოაცხადა პოლკოვნიკმა და პროექტორი ჩათო.

გაისმა პროექტორის ძრავის ბრუნვის ხმა და უცებ ეკრანზე გამოჩნდა სამხედრო ფორმიანი ოთხი მხედარი, რომლებიც ცხენებს უკანსვლთ სადღაც მიაგელვებდნენ.

— მოიცათ, მოიცათ! — დაიძახა პოლკოვნიკმა. — რალაც აგვრია! ... რა სასაცილოა! ფირის გადახვევა დამვიწყებია!

ცხენოსნები გაქრნენ და პროექტორის ძრავა ისევ აზუზუნდა. ფოი მეორე კოჭზე გადაჰქონდა პოლკოვნიკს.

— ვიწყებ! — ისევ თქვა პოლკოვნიკმა და ამჯერად ეკრანზე სართლაც გამოჩნდა წვრილი, ლამაზი შრიფტით აწყობილი წარწერა: ბრიტანეთის კომპანიის სამცარ-ფილმის ნაწარმოებია. ეს წარწერა, რომელიც ირთოდა და ცახცახებდა, მაგრამ სხვაფრივ კი არ იცვლებოდა, კარგა ხანს ჩნდა ეკრანზე. (ფილმის დიდ ეკრანზე გაშვების წინ, მე რასაკვირველია, ამოვრი ტიტრების დიდ ნაწილს. — თქვა პოლკოვნიკმა.) მეორე წარწერა — ეფი ლატუშის მონაწილეობით — ისე სწრაფად გაქრა ეკრანიდან, რომ მის წაკითხვა ძლივს მოასწრეს. წარწერა როგორღაც გვერდულად გაუჩნარდა ეკრანიდან. (ფუჰ! ჩამოცურდა! — თქვა პოლკოვნიკმა). ამის შემდეგ ეკრანზე კარგა ხანს არაფერი ჩანდა და ბოლოს გამოჩნდა:

„მაყვლის²³ რტო“ — ფილმი, რომელიც ჯონ უმსლის ცხოვრებას აღწერს.

(აი, დაიწყო! — თქვა პოლკოვნიკმა.)

მეთკრამეტე საშაშენის ინგლისი

სამეჯლისო ტანსაცმელში გამოწყობილი ოთხი პარიკიანი მამაკაცი ეფის სისწრაფით მიუჯდა კარტის სათამაშო მაგიდას. მაგიდაზე ფულის გროვა ქარა და ჭიქები და სანთლები ეწყო. მამაკაცები აზარტიანად თამაშობდნენ და ბევრს სვამდნენ. (ამ ადგილას სიმღერა უნდა იყოს, მაგრამ ჩემი პროექტორი

²³ მინიშნება პიბლიურ მაყვლის ბუჩქზე, რომელსაც ციცილი არ ეკარებოდა.

მხოლოდ გამოსახულებას აჩვენებს, — თქვა პოლკოვნიკმა). ამ სცენას მოჰყვა ყაჩაღების მიერ კარეტის გაჩერების სცენა, რომლის გადაღებას ადამიცი დაესწრო. მერე გამოჩნდნენ დაუტინგის ეკლესიის კართან შეგროვილი მოთხოვრები. მერე სამკლისოდ გამოწყობილი ქალბატონები მენუეტს ცეკვავდნენ. მოცეკვავეთა თვეები ზოგჯერ ეკრანზე არ ეტეოდნენ და ეკრანს ზემოთ უჩინარდებოდნენ. ზოგჯერაც წელსქვემოთ არ მოჩანდნენ და ისეთი მთაბეჭდილება იქმნებოდა, ითქოს ქვიშაში ეფლობიანო. ერთ ადგილას მისტერ აიზეკსიც გამოჩნდა, მაკლესახელოებიანი პერანგი ეცვა და მოცეკვავეებს რაღაცას ანიშნებდა. (ამს ამოვჭრი, — თქვა პოლკოვნიკმა).

ეკუმონტის სამრევლო, ლინკონშირი (ინგლისი)

(ეს იმ შემთხვევისათვის, თუ ფილმს შტატებში უჩვენებენ. ლინკონშირი იქ, მგონ არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, თქვა პოლკოვნიკმა).

დაუტინგ პოლის კუთხე გამოჩნდა. ფანჯრებიდან კვამლის ბოლქვები გამოდიოდა მერე სასულიერო პირი გამოჩნდა, რომელიც ახლო მდგომებს საოცარი სისრაფით აწვდიდა ბავშვს ბავშვზე (თქვენც ხვდებით, რომ დაუტინგში ხანძარია არა? ხანძრის იმიტაცია ძალზე იოლად მოვაწყეთ. რაღაც ხარახურა დავწვით რომელიც აიზეკსმა ჩამოიტანა. ღმერთო, როგორ ყარდა! — თქვა პოლკოვნიკმა.)

დაალოებით ნახევარი საათი ასე და ამგვარად სცვლიდა ეპიზოდი ეპიზოდს. ვილმის ერთი თავისებურება ის იყო, რომ, როდესაც უჩვენებდნენ დრამატულსა და მნიშვნელოვან ეპიზოდს, ფირიც უფრო ჩქარა გარბოდა. გლეხებ დენდაკრულებივით მიბორძიკობდნენ ეკლესიისაკენ. შეყვარებული ქაბუკეი გასროლილი ისრებივით შევარდებოდნენ ხოლმე ფანჯრებში და ასეთივე ჩჩქარით გამოვარდებოდნენ ხოლმე გარეთ, ცხენები მანქანების სისწრაფი დაქროდნენ; აჯანყებათა ეპიზოდები ისეთი სიჩქარით გაიელვებდნენ ხოლმე ეკრანზე, რომ მაყურებლები ძლივს ასწრებდნენ მიხვედრას, თუ რა ხდებდა. სამაგიეროდ სტატიკური და მშვიდი ეპიზოდები — ორი სასულიერო პრის საუბარი ბალში, მისის უესლი ლოცვისას, მძინარე ლედი ჰანტინგლოხ და ა. შ. იმდენხანს გრძელდებოდა, მაყურებელი საერთოდ კარგავდა იმისიმედს, ოდესმე დამთავრდებაო. (ამ ხარვეზებს თვით პოლკოვნიკმა ბლაუნტმც კი მიაქცია ყურადღება).

— ვფიქრობ, ამ ადგილის შემოკლება მომიწევს, — თქვა მან, როდესაც პამლეტის წერით გართული უესლი ოთხწუთ-ნახევარი იჭდა მაგიდასთან.

ფირი რომ დამთავრდა, ყველამ შვებით ამოისუნთქა.

— ძალიან სასიამოვნო იყო, — თქვა პასტორის ცოლმა. — სასიამოვნო დ. ჰკუის სასწავლი.

— არ შემიძლია არ მოგილოცოთ, პოლკოვნიკო! დიდად საინტერესო ფილია! არ მეგონა, რომ უესლის ცხოვრება ასე სავსე იყო თავგადასავლებით. რგორც ჩანს, ლეკის²⁴ გადაკითხვა მომიწევს.

— გადასარეგია, მამიკო!

— დიდი მადლობა, სერ. დიდად ვისიამოვნე!

²⁴ ლეკი, უალიამ ედუარდი — ინგლისელი ისტორიკოსი (1838-1903 წწ.).

— პო, მაგრამ, რომ არ დამთავრებულა! კიდევ ოთხი ასეთი ფირი დარჩა, — თქვა პოლკოვნიკმა.

- ოპ, რა კარგია!
- როგორ მიხარია!
- შესანიშნავია!
- აპ!



მაგრამ ფილმის მთლიანად ნახვა არ დასცალდათ. ზუსტად მეორე ნაწილის დასაწყისში, იმ ეპიზოდის ჩვენებისას, როდესაც ამერიკაში მყოფ უესლის წითელკანიანთა ტყვეობიდან ანთავისუფლებს კოვბოის ტანსაცმელში გადაცმული მისის ჰანტინგდონი, — მოხდა ერთი იმ უსიამოვნებათაგანი, რისგანაც თანამედროვე ტექნიკით მოწყობილი ყველაზე დიდი კინოდარბაზიც კი არ არის დაზღვეული. გაისმა რალაც ჩხაკუნი, ჰაერში ცისფერი ნაპერწკლები გაიბნა და სინათლე ჩაქრა.

— ოპ! ეს რაღაა? თანაც ყველაზე საინტერესო ადგილას! — თქვა პოლკოვნიკმა.

მან პროექტორს დიდი მონდომებით დაუწყო ჩხიკინი და მოუთმენლობისაგან თითებიც კი დაიწვა. მაყურებლები სიბნელეში ისხდნენ. მერე კარი გაიღო და მოსამსახურე ქალმა ოთახში ანთებული სანთლები შემოიტანა.

— მაპატიეთ, ქალბატონო! — სინათლე მთელ სახლში გამოირთო.

პასტორი სწრაფად წამოდგა და დერეფანში ჩამრთველები შეამოწმა. ღილაკი რამდენჯერმე ასწი-დასწია, ზედ დააკაკუნა კიდევ, თითქოს ბარომეტრი ყოფილიყოს, მერე კიდევ აჯანჯლარა.

— როგორც ჩანს, დამცველები გადაიწვა, — თქვა მან.

— აპ! მამაო! ეს კი მართლაც უხერხულია! — თქვა პოლკოვნიკმა გაჯავრებით. — დენი თუ არ იქნება, ფილმი როგორ ვაჩვენო? აუცილებლად უნდა იღონოთ რამე.

— ჩემი აზრით, მონტიორის მეტი ვერავინ გვიშველის, მონტიორს კი ორშაბათამდე ვერსად ვნახავთ, — თქვა პასტორმა ჭეშმარიტად არაქრისტიანულად ცივი კილოთი. — მე ერთი რამ ვიცი დანამდვილებით — მე და ჩემმა მეუღლემ და ამ სახლის ყველა მცხოვრებმა შობის დღესასწაული სიბნელეში უნდა გავატაროთ.

— ამას როგორ ვიფიქრებდი, — თქვა პოლკოვნიკმა. — რა თქმა უნდა მჯერა, რომ ეს თქვენთვისაც ისევე არასასიამოვნოა, როგორც ჩემთვის, მაგრამ მაინც...

მოსამსახურე ქალმა კიდევ რამდენიმე სანთელი შემოიტანა და ველოსიპედის ფარანიც მოაყოლა.

— მეტი არაფერი გვაქვს, სერ! — თქვა ქალმა. — მაღაზიებიც ორშაბათამდე დაკეტილია.

— შექმნილ სიტუაციაში, ვფიქრობ, ჩემი მასპინძლობა აღარ გჭირდებათ, პოლკოვნიკო. ხომ არ გნებავთ, აილსბერიში დავრეკო და თქვენთვის ტაქსი გამოვიძაბო?

— ტაქსი? რა ტაქსი? სასწაულია პირდაპირ, ოთხასი მეტრის გასავლელად კაცმა აილსბერიდან ტაქსი რატომ უნდა გამოიძაბოს!

— ჩემი აზრით, მისის ლიტლჯონს ამ შუალამისას თოვლში ფეხით სიარული არ ესიამოვნება.

— იქნებ, მართლაც აჯობებს ტაქსი გამოვიძახოთ, მამა?

— თუ თქვენ ცოტა ხანს მოცდა გირჩევნიათ... იქნებ მართლაც გამოკეთდეს ამინდი... თუმცა ამ სიბნელეში ჯდომა რა სასიამოვნოა!

— აჰ! არა, არა! რა თქმა უნდა ტაქსის გამოძახება აჯობებს სუნელს დაუტინგ პოლში რომ ბრუნდებოდნენ, პოლკოვნიკმა...

— თითქმის უკვე გადაწყვეტილი მქონდა შაბათ-კვირისათვის რამდენიმე ლამპა მეთხოვებინა, მაგრამ, როგორ არა! მივართმევ! წარმოგიდგენიათ, ტაქსის გამოძახება სადღაც გადაკარგულიდან, რამდენიმე იარდის გულისათვის! 'შობის წინა დღე მაინც არ იყოს! რა გასაკვირია, რომ ეკლესიას უჭირს ხალხის მიზიდვა, თუკი მაგათ ასე ესმით ერთმანეთისათვის ქრისტიანული მხარდაჭერა და ძმობა. მე კიდევ ტყავში ვძვრებოდი, ჩემი ფილმიც კი მივუტანე საჩვენებლად...

მეორე დილით ადამსა და ნინას ადას მიერ საწოლის თავთან დაკიდებულ ფიფის რტოს ქვეშ გაეღვიძათ. დათოვლილ არემარეს საშობაო ზარების რეკვა ახშიანებდა — „კეთილო ადამიანებო, ყველა ეკლესიაში მობრძანდით! მობრძანდით ეკლესიაში, კეთილო ადამიანებო“. წინა საღამოს დაძინებამდე ნინამ და ადამმა ერთმანეთისათვის საჩუქრები მოამზადეს და შესამჩნევ ადგილას დადეს. ადამმა ნინას სუნამო და პულვერიზატორი აჩუქა, ხოლო ნინამ ადამს ორი პალსტუხი და საპარსი მოწყობილობა. ადამ ჩაი შემოიტანა და ორივეს მიულოცა შობის დღესასწაული. ნინას ფლორინებისათვის საჩუქრის ჩამოტანა არ დავიწყებია, ადასათვის კი არაფერი ჩამოუტანია, დაავიწყდა და ამიტომ მას ადამის ნაჩუქარი სუნამო მისცა.

— არ დაივიწყო, საყვარელო, რომ სუნამო ოცდახუთი შილინგი ღირს და ასპრის მალაზიაში არჩის ანგარიშზე ჩავწერე, — თქვა ადამმა.

ცოტა ხნის შედეგ მათ პურის ნამცეცები დაყარეს ფანჯრის გარეთა რაფაზე. გულწითელა სტვენია მოფრინდა და ნამცეცებს კენკვა დაუწყო. დილამ დაახლოებით ასეთ ვითარებაში ჩაიარა.

ადამმა და ნინამ სასადილო ოთახში პოლკოვნიკის გარეშე ისადილეს. სპირტქურაზე ჩამომწკრივებულ ვერცხლის თეფშებზე მათ ცხელ-ცხელი ომლეტი, სხვადასხვა სუნელში შემწვარი კაკბის ხორცი, კეჭერი²⁵, თირკმელები, დამარილებული ძროხის ხორცი და ფუნთუშები ელოდა. არც ღორის ბარკალი, არც ცივად მოხარშული საქონლის ენა და ღორი დავიწყებოდათ, იქვე თეფშით დაედგათ დამარილებული ქაშაყი. ნინამ ვაშლი შეჭამა. ადამმა კი გახუხული პურის რამდენიმე ნაჭერი.

ფრაკში გამოწყობილი პოლკოვნიკი ბლაუნტი პირველ სართულზე თერთმეტ საათზე ჩამოვიდა. მან ახალგაზრდებს გულითადად მიულოცა დღესასწაული. მერე საჩუქრები გაცვალეს. ადამმა პოლკოვნიკს სიგარები აჩუქა, ნინამ — ილუსტრირებული წიგნი თანამედროვე კინოწარმოების შესახებ. პოლკოვნიკმა ნინას თავისი მეუღლის, ნინას დედის ნაქონი წვრილბრილიანტებიანი გულსაბნევი აჩუქა, ხოლო ადამს ფერადი კალენდარი. კალენდარზე ბულდოგი იყო დახატული. ბულდოგი ჩიბუხს ეწეოდა. კალენდრის ყოველ გვერდზე ამ

²⁵ კეჭერი (ინგლ.-ინდური) — ბრინჯით მომზადებული კერძი, რომელსაც ხახვითა და კვერცხით კმაზავენ. (შთარგმნ.).

დღის შესაფერი ციტატები იყო დაბეჭდილი. ციტატები ლონგფელოს ნაწარმოებებიდან ამოეკრიბათ.

თორმეტის ნახევარზე ყველანი დილის წირვაზე დასასწრებად წავიდნენ.



— პასტორისათვის ეს ჭეშმარიტად ქრისტიანული შემწყნარებლობითი იქნება, — თქვა პოლკოვნიკმა (მაგრამ სანამ წირვა დამთავრდებოდა, მას ჯიუტად ჰქონდა თავი ჩარგული ბიბლიაში). წირვის შემდეგ ისინი არენდატორებს ეწვივნენ. წინა დღით ფლორინმა ყველა ოჯახს ჩამოუარა და პროდუქტებით სავსე კალათები დაუტოვა. ყველას ძალზე აინტერესებდა მისი ნინას შეუღლის ნახვა. ბევრს ახსოვდა იგი ბავშვობიდან და ყველა მათგანმა აღნიშნა, იგი იმდენად შეცვლილია, ვერაფრით ვერ ვიცნობდით, რომ არ ვიცოდეთ, ვინც არისო. ადამს ისინი ხალისიანად უყვებოდნენ წითურას ბავშვობის დროინდელ ბევრ უხერხულ ეპიზოდს, ძირითადად კატებთან ბრძოლისა და მათდამი სასტიკად მოპყრობის ეპიზოდებს...

* *

მეორე საუზმის შემდეგ ბლაუნტები და ადამი მსახურთა ოთახის მორთულობის სანახავად ქვევით ჩამოვიდნენ. საშობაოდ მსახურთა ოთახის მორთვა ძველინძველი ტრადიცია იყო და ფლორინებმა თავიანთი მზადყოფნა ამ ტრადიციის დაცვის საქმეში იმით გამოხატეს, რომ ოთახი ქალაქის ლენტეხით მორთეს. იმ დღეს ადა თავის მშობლებთან სადილობდა, ადას მშობლები სოფელში, მანქანების შემკეთებელ ორ სახელოსნოს შორის ცხოვრობდნენ. ასე რომ ფლორინები მარტონი შეექცეოდნენ თავის წილ ინდაურსა და კლიავის პუდინგს.

— მე ისიც მინახავს, ამ მაგიდას ოცდახუთი კაცი რომ უჯდა საშობაო სადილზე, — თქვა ფლორინმა. — როცა პოლკოვნიკი და მისტერ ერიკი ჯერ ისევ პატარა ბიჭები იყვნენ, ამ ოჯახში ხშირად იმართებოდა წვეულებები, იდგმებოდა სპექტაკლები, ამ დროს მთელი სახლი თავდაყირა დგებოდა. ყველა სტუმარი თავისი მსახურით ჩამოდიოდა.

— აჰ! — თქვა მისის ფლორინმა.

— ახლა სხვა დროა! — თქვა ფლორინმა და კბილების ჩიჩქნას შეუდგა.

— აჰ! — თქვა მისის ფლორინმა.

ამ დროს სასადილო ოთახიდან ბლაუნტების მთელი ოჯახი გამოვიდა. პოლკოვნიკმა ბლაუნტმა ფლორინების ოთახის კარზე დააკაკუნა და იკითხა:

— შეიძლება, მისის ფლორინ?

— მობრძანდით, სერ, გთხოვთ! — უპასუხა მისის ფლორინმა.

მერე ადამმა, ნინამ და პოლკოვნიკმა აღტაცება გამოთქვეს ოთახის მორთულობის გამო და პაპიროსის ქალაქში გახვეული საჩუქრები გადასცეს ფლორინებს. ამის შემდეგ პოლკოვნიკმა თქვა:

— ჩემი აზრით, ჩვენ ყველამ ერთად თითო ჭიქა ღვინო უნდა დავლიოთ.

ფლორინმა დილიდანვე ამ მიზნით მომზადებული ხერესის ბოთლი გახსნა და ყველას დაუსხა. ღვინო ჯერ ნინას მიაწოდა, მერე მისის ფლორინს, მერე პოლკოვნიკს, მერე ადამს და ბოლოს თვითონაც აიღო ჭიქა.

— ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. მისის ფლორინ, ჭიქა ასწია და ისე თქვა პოლკოვნიკმა. — აგრეთვე თქვენც, ფლორინ! წლები მიდის და ჩვენ როდი ვახალგაზრდავდებით! მაგრამ მე ვიმედოვნებ და მჯერა, რომ ჩვენ წილად კიდევ მრავალი შობა მობრუნდება. მისის ფლორინი უმლოდნავადაც არ შეცვლილა იმ დღის აქეთ, რაც ჩვენთან პირველად მტკბარე საუკეთესო სურვილები თქვენ ორივეს და ჯანმრთელობა და ბედნიერება მომავალ წელს.

მისის ფლორინმა თქვა:

— გმადლობთ, სერ! თქვენც იგივეს გისურვებთ, სერ!

ფლორინმა თქვა:

— ჩვენთვის დიდი სიამოვნებაა, რომ მისს ნინას. მისის ლიტლჯონს-მეთქი, უნდა მეთქვა, ვხედავთ; რომ ის ისევე თავის სახლშია და თანაც მარტო კი არა, მეუღლესთან ერთად. მე და მისის ფლორინი ვუსურვებთ მათ წარმატებას და ბედნიერ მეუღლეობას. მე შემიძლია ვთქვა, რომ თუკი ისინი ისევე ბედნიერი იქნებიან ერთად, როგორც მე და მისის ფლორინი ვიყავით, მე მათ ამაზე უკეთესს ვერაფერს ვუსურვებ.

მერე ჯენტლმენები და ლედი წავიდნენ და მთელი სახლი ჩვეულმა გარინდებად მოიცვა.

სალამოს, ნასადილევს, ადამმა და პოლკოვნიკმა ჭიქები სასმელით შეივსეს და სავარძლები ბუხრისაკენ შეაბრუნეს. ნინა სასტუმრო ოთახში გავიდა მოსაწევად.

— იცით, რა შინდა გითხრათ. — თქვა პოლკოვნიკმა და ფეხსაცმლის წვერით ბუხარში მუგუზალი შეატრიალა. — ძალიან მიხარია, რომ ნინა თქვენ მოგთხოვდათ, ჩემო კარგო! დანახვისთანავე მომეწონეთ. ნინა თავისნათქვამა გოგოა, ყოველთვის ასეთი იყო, მაგრამ მე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საბოლოოდ გონივრულ არჩევანს გააკეთებდა. მე ვგრძნობ, რომ თქვენ ერთმანეთს კარგად შეეწყობით.

— მეც ვიმედოვნებ, სერ!

— ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემო კარგო! ნინამ კინალამ შეცდომა დაუშვა. ამას წინათ აქ ერთი მუტრუკი ჩამობრძანდა, ნინას შერთვა ნებავდა, ჟურნალისტი ვარო. სასწაულებრივად ბრიყვი ვიღაც იყო. მიმტკიცებდა, თითქოს ერთი ჩემი ძველი მეგობარი, კანონიკი ლაყაფი მასთან ერთად მუშაობდა გაზეთში. მე არ შევკამათებდით. ბოლოს და ბოლოს ყველამ თავისი საქმისა უკეთ იცის, მაგრამ ჩემს გულში კი ძალიან გავიკვირვე. ამასწინათ ძველ ჟურნალ-გაზეთებს რომ ვარჩევდი, „უესტერ ჰერალდიდან“ ამოჭრილ განცხადებას წავაწყდი, რომელიც კანონიკის დაკრძალვას ეხებოდა. იგი 1912 წელს გარდაიცვალა. ის ჟურნალისტი მთლად გამართავანებული თუ არ იყო, ასეთი შეცდომა როგორ უნდა მოსვლოდა... კიდევ დალევთ?

— გმადლობთ!

— მერე ერთი ახალგაზრდა კიდევ მრვიდა, წარმოგიდგენიათ? — მითხრა, მტვერსასრუტების გამყიდველი ვარო და ათასი გირვანქა სტერლინგი მომთ-

ხოვა. თავგასული! ძაღლის ლეკვი გაგიხარია, მე იმას ჰკუთვას ვასწავლე! თქვენ სულ სხვა ხართ, ლიტლჯონ! სწორედ ისეთი ხართ, როგორ სიძესაც ვასწავრებდი! თქვენი ქორწინება ჩემთვის მეტად სასიხარულოა, ჩემო კარგო!

ამ დროს ოთახში ნინა შემოვიდა და თქვა, სახლის წინ ალილოზე მოსიარულეთა ჯგუფი შეგროვდაო.

— შემოვიდნენ! შემოვიდნენ! — თქვა პოლკოვნიკმა. — ეგენი ყოველ წელს მოდიან ხოლმე. ფლორინს უთხარი, პუნში მოიტანოს.

ფლორინმა უხარმახარი ვერცხლის ჭურჭლით პუნში მოიტანა. ნინამ მომღერლები შემოიყვანა ოთახში. შემოსულები ბუფეტთან გამწკრივდნენ. ხელში ქუდები ეჭირათ, სინათლეს თვალს ვერ უსწორებდნენ. სიცივიდან სიბოში უცბად მოხვედრილებს ლოყები და ცხვირები შეუწითლდათ.

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო...
ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“

მღეროდნენ ისინი. მათ იმღერეს „კეთილი მეფე უენსესლასი“, „შობის პირველი სიხარული“, „Adeste Fideles“²⁶ და „სანამ მწყემსნი ფარას მწყემსავდნენ“. მერე ფლორინმა პუნში ჩამოარიგა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს, რომ უფროსთათვის განკუთვნილი სასმისი უმცროსს არ შეხვედროდა და ცდილობდა, თითოეულს იმაზე ცოტა მეტი მიეღო, რის დაღევასაც შეძლებდა, მაგრამ არც იმდენი, რომ საზიანო ყოფილიყო ჯანმრთელობისათვის.

პუნში პოლკოვნიკმაც გასინჯა და საუკეთესოდ მიიჩნია. მერე მან მომღერლებს ვინაობა და სადაურობა გამოჰკითხა, ბოლოს მათ ხელმძღვანელს ხუთი შილინგი აჩუქა და ყველანი უკანვე, სიცივეში გაისტუმრა.

— რაც თავი მახსოვს, ყოველ წელიწადს ასეა, — თქვა პოლკოვნიკმა. — ჩემი პატარაობისას საშობაოდ ჩვენ აუცილებლად ვპატიუებდით სტუმრებს... პირველი საუზმის შემდეგ აუცილებლად ვსვამდით თითო ჭიქა ხერესს. საღამოს კი ალილოზე მოსიარულეთა კონცერტი იმართებოდა... ერთი ეს მითხარით, — მოულოდნელად შეცვალა პოლკოვნიკმა საუბრის თემა, — თქვენ ნამდვილად მოგეწონათ ჩემი ფილმი?

— ჩემს სიცოცხლეში ასეთი ღვთაებრივი ფილმი არ მინახავს, მამა!

— დიდად ვისიამოვნე, სერ, დიახ! ნამდვილად ვისიამოვნე!

— მართლა? არა, მართალს მეუბნებით? მიხარია, ძალიან მიხარია თქვენგან ამის მოსმენა. არა მგონია, პასტორიც ამავე აზრის იყოს. ყოველ შემთხვევაში არ ეტყობოდა. სამწუხაროდ თქვენ ფილმის მხოლოდ ძალზე პატარა ნაწილი ნახეთ. იმ საღამოს მე აღარაფერი ვთქვი, მაგრამ პასტორის მხრივ დიდი უტაქტობა იყო, რომ ელექტროგაყვანილობა იმ დღეში დაგვახვედრა. ერთი საღამო როგორ ვერ უნდა გაეძლო სადენებს! ვისაც ფილმის ჩვენება უნდოდა, ეს იმათი არაფრად ჩაგდებაა. არა, ხომ მართლა ბრწყინვალე ფილმია? თქვენ ხომ ნამდვილად ასე ფიქრობთ?

— სიმართლე გითხრათ, სერ, ასე ჯერ ფილმი არ მომწონებია.

— ეს ფილმი ბრიტანეთის კინოხელოვნებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია, — მეოცნებე ხმით თქვა პოლკოვნიკმა. — იგი უმნიშვნელოვანესი სუპერ-რელიგიური ხმოვანი ფილმია, რომელიც თავიდან ბოლომდე ბრიტანეთის მიწა-წყალზე, ბრიტანელი მსახიობების მონაწილეობით შეიქმნა და მთლიანად

²⁶ „Adeste Fideles“ (ლათ.) — „ვეუხმობთ მორწმუნეთ“.

ბრიტანული კაპიტალით არის დაფინანსებული. რეჟისორიც ბრიტანელია. დიდი უსახსრობისა და სიძნელეების მიუხედავად ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით კონსულტაციები მიგველო საკითხის ღრმად მცოდნე ისტორიკოსთა და ლეთის-მეტყველთაგან. ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, რათა წერა-დამწერლობა უმნიშვნელო დეტალებიც კი სიმართლით წარმოგვეჩინა. ჯონ უესლს, დიდი სპეციალური და რელიგიური მოღვაწის ცხოვრება პირველად წარმოვუდგინეთ ბრიტანეთის საზოგადოებრიობას მთელი თავისი ჰუმანურობითა და ტრაგიზმით... მიხარია, რომ თქვენ ეს ასე კარგად გაიგეთ, ჩემო კარგო, იმიტომ რომ მე, სიმართლე თუ გნებავთ, ფილმთან დაკავშირებით მინდა ერთი წინადადება შემოგთავაზოთ. მე ხანში შევდივარ და ყველაფერს ველარ ვწვდები. ვფიქრობ, მომავალში უმჯობესი იქნება ჩემი ძალები უფრო მეტად სამსახიობო და სარეჟისორო საქმიანობას მოვახმარო, ვიდრე კომერციულს. ძალზე მჭირდება ენერგიული ახალგაზრდა, რომელიც ამ საქმეს ითავებს. პოდა, ვიფიქრე, რა იქნება, რომ თქვენ ამ ჩემს ბიზნესში პარტნიორობა გამიწიოთ? მე ფილმი აიზეკსისაგან მთლიანად შევისყიდე. რაკი თქვენ უკვე ჩემი ოჯახის წევრი გახდით, მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუ თქვენ სანახევრო წილში შემოხვალთ, ვთქვამთ, ორი ათას გირვანქა სტერლინგად. მე ვიცი, რომ ეს თქვენთვის დიდ თანხას არ წარმოადგენს და თანაც რამდენიმე თვეში თქვენს ფულს ორმაგად ამოიღებთ. რას იტყვით?

— იცით... — თქვა ადამმა.

მაგრამ არც მაშინ და არც მერე ადამს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აღარ დასჭირვებია; სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და პასტორი შემოვიდა.

— გამარჯობათ, მამაო! გამარჯობათ! აი, ასეთი უნდა იყოს კეთილმეზობლური დამოკიდებულება! ხომ ასე გვიანია, მაგრამ თქვენ მაინც მოხვედით! შობას გილოცავთ!

— ცუდი ამბის მაცნე ვარ, პოლკოვნიკო! სხვა გზა არა მქონდა, უნდა მოვსულიყავი და მეთქვა...

— აჰ! რა სამწუხაროა! თქვენს ოჯახს ხომ ცუდი არაფერი შემთხვევია?

— უარესი მოხდა! გაცილებით უარესი! ჩემი მეუღლე და მე ნასადილევს ბუხართან ვისხედით და რაკი კითხვის საშუალება არა გვქონდა — სინათლე ხომ არა გვაქვს — რადიო ჩავრთეთ. შესანიშნავ საშობაო კონცერტს გადმოსცემდნენ. მოულოდნელად მუსიკის გადაცემა შეწყვიტეს და ახალი ამბების სპეციალური გამოშვება გადმოსცეს... ყველაზე უარესი და მოულოდნელი რამ მოხდა, პოლკოვნიკო! გამოცხადებულია ომი! ომი დაიწყო!

გადნიერი დასასრული

მსოფლიო ომების ისტორიაში ყველაზე დიდი საბრძოლო ველის შუაგულში ადამი შუაზე გახლეჩილ კუნძულზე ჩამოჯდა და წინას წერილის კითხვა დაი-

წყო. მან წერილი ჯერ კიდევ წინა დღეს მიიღო. მაგრამ სწორედ იმ დროს გა-
ცხარებული ბრძოლა დაიწყო და აქამდე წასაკითხად ვეღარ მოიცილა/

დაუტინგ პოლი, ეიტინგის მისი
გინგის მისი

ძვირფასო ადამ! ნეტავი ვიცოდე როგორ ხარ. ძალიან ძნელია რამის გა-
რკვევა — გაზეთები რაღას არ წერენ. ვენმა ახალი დავალება მიიღო — ბრძო-
ლის ამბების გაშუქება ევალეა და მანაც. ამასწინათ, შენ შესახებ მშვენიერი
ამბავი შეთხზა: ვითომ ათასობით ადამიანი გადაარჩინე და ახლა ეგრეთწო-
დებული საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია, რომ ვ.ჯ.-ს²⁷ არ გაძლევენ.
ასე რომ შეიძლება მოგცენ. რა თავშესაქცევია, არა?

წითურა და მე ძალიან კარგად ვართ. წითურა უაიტპოლში მსახურობს და
ლამაზი ფორმა აცვია. და ჩემო კარგო, მე ბავშვს ველოდები. საშინელებაა,
არა? წითურამ რატომღაც თავში ჩაიჭედა, რომ ბავშვი მისია და უსაზღვროდ
კმაყოფილია, ასე რომ ამ მზრივ ყველაფერი რიგზეა. მან საბოლოოდ გაპატია
შარშანდელი შობის ცოდვები და ამბობს, რომ ახლა, როცა შენ შენს მოვა-
ლეობას ასრულებ, ძველი ცოდვების გახსენება არ არის საკადრისი.

იცი, რომ დაუტინგში ჰოსპიტალი გახსნეს? მამაჩემი დაკრილებს თავის
ფილმს უჩვენებს. ფილმი მათ ძალიან მოსწონთ. მისტერ ბენფლიტი ვნახე.
მითხრა, საშინელებაა, როცა კაცი მთელ თავის სიცოცხლეს კულტურის საქმეს
შეაღწევს და მერე დაინახავს, რომ ყველაფერი, რისთვისაც სიცოცხლე შეუ-
წირავს, იღუპებაო. აგრეთვე მითხრა, რომ კარგად სადღეობა სერია „გაშიშვ-
ლებული მახვილი“, რომელიც ომის თემისადმია მიძღვნილი.

მთავრობამ სპეციალური დადგენილება გამოუშვა. ამ დადგენილების მი-
ხედვით ყველას ნიღბებჩამოცმულებს უნდა გვეძინოს, მაგრამ არავის ნიღბით
არ სძინავს. არჩი ციხეში ჩასვეს, როგორც ნაკლებ საიმედო უცხოელი. ამაში
წითურას ხელი ურევია, ჯაშუშების მიმართ წითურა უღმობელია. ამ ბავშვის
გამო ხშირად გული მერევა, მაგრამ ყველა ამბობს, ომის დროს ბავშვის გა-
ჩენა დიდად პატრიოტული საქმეაო, რატომ?

გკოცნი უამრავს, ჩემო სიცოცხლევ, გაუფრთხილდი შენს
ძვირფას თავს. ნ.

ადამმა წერილი ისევ კონვერტში ჩადო. გულის ჯიბეში შეინახა და ჯიბე
ლილით შეიკრა... მერე ჩიბუხი ამოიღო, გატენა და მოუკიდა. ირგვლივ, სა-
დამდეც კი თვალი მიუწვდებოდა, სასოების წარმკვეთი ნგრევა-მსხვრევის
უნუგეშო სურათი გადაშლილიყო, სველი მიწა ატალახებულიყო და გარშემო
რისი დანახვაც კი შეიძლებოდა. ყველაფერი დამტვრეულიყო ანდა იწვოდა.
საიდანლაც სროლის გრუხუნის ისმოდა. სადღაც ზემოთ, ლეგა ლოწბლების
თავზე თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ოცდათექვსმეტი საათი სრულდებო-
და ადამს არ სძინებია. ბნელდებოდა.

ადამმა შენიშნა, რომ ვიღაც უახლოვდებოდა. მიწაზე აბლაბუდასავით გა-
ბნული ეკლიანი მავთულხლართების ნაგლეჯებში უცნობი ძლივს მიიკვლე-
ვდა გზას. იგი როგორც ჩანდა, სამხედრო უნდა ყოფილიყო. ადამმა შენიშნა,
რომ მას სასროლად მომზადებული თხევადი გაზის ავტომატი ეჭირა ხელში.

²⁷ ვ. ჯ. — ვიტორიოს ქვარის ინგლისური საბრძოლო მეთოდი

ადამმა ხელი მაგრად მოუჭირა თავის ჰაქსდენ-პალის (კეთრის ბაცილების გამაფრცვლებელ) ბომბს. ასე ერთმანეთის მიმართ უკეთესი ზრახვებით აღესილნი მიუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს. ადამმა ბინდბუნდში კარგად გაარჩია, რომ უცნობს ინგლისის შტაბის ოფიცრის ფორმა ეცვა. მან მანქანის ბომბი ჩიბეშივე ჩააბრუნა და ოფიცერს სამხედრო სალამი მიუცია.

ახლოს მისულმა ოფიცერმა ავტომატი ძირს დაუშვა და აირწინალი მოიბსნა.

— ინგლისელი ხართ? — ჰკითხა მან ადამს. — ვერაფერს ვერ ვხედავ; ეს ოხერი მონოკლიც გამიტყდა.

— როგორ? — გაოცა ადამმა. — თქვენ მთვრალი მაიორი ხართ?

— ეშმაქსაც წაუღიხართ, სერ! სიმთვრალე საიდან მოიტანეთ? — თქვა ლოთმა მაიორმა. — და თანაც მაიორი კი არა, უკვე გენერალი გახლავართ. თქვენ აქ რა ჯანდაბას აკეთებთ?

— ჩემი ოცეული დავკარგე.

— ჰმ! ოცეული... დიდი ამბავი! აი, მე მთელი ჩემი დაწყევლილი დივიზია დავკარგე.

— დამთავრდა ბრძოლა, სერ?

— არაფერი არ ვიცი! ვერაფერს ვერ ვხედავ! ცოტა ხნის წინათ აქ ახლოს გახურებული ბრძოლა იყო. მანქანა გამიფუჭდა. მძლოლი დახმარების საძებნელად წვევიდა და დაიკარგა. მე მის საძებნელად წამოვედი და ახლა მანქანისათვის ვეღარ მიმიგნია. ეს რა დაწყევლილი ქვეყანაა, კაცი გზას ვერ გაიგნებს, თვალს ვერსად მოჰკრავ ორიენტირს... მაინც რა საინტერესოა, არა? ხედავთ, სად შევხვდით ერთმანეთს? მე თქვენი ცოტაოდენი ფული მმართვეს.

— ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი.

— ოცდაათი ათას ხუთი! სანამ ეს საგიყეთი დაიწყებოდა, ყველგან გეძებდით. თუ გინდათ, შემოძლია ახლავე მოგცეთ თქვენი ფული.

— გირვანქა სტერლინგის ღირებულება ალბათ ძალიან დაეცა!

— თითქმის მთლად გაუფასურდა! მაგრამ თუ გინდათ, შემოძლია ჩემი მოგცეთ. ორიოდ ჭიქა სასმელსა და გაზეთებს მაინც იყიდით. სასმელზე გამახსენდა: თუ გვეღირსა და მანქანას მივაგენით, იქ მთელი ყუთი შამპანური მაქვს. ს.ს.ძ²⁸-ის დაბომბილი ბუფეტრიდან დავითრიე. ჯერ კიდევ შტაბში ყოფნისას. ამ ჩემი მანქანის პოვნა მართლაც არ გვაწყენდა.

როგორც იქნა იპოვეს მანქანა — ღერძამდე ტალახში ღრმად ჩამჯდარი „დეიმლერის“ მარკის შავი ლიმუზინი.

— მანქანაში შემოდით და დაბრძანდით, — სტუმართმოყვრულად მიიპატიჟა გენერალმა ადამი. — ერთი წუთით! სინათლეს ავანთებ.

ადამი მანქანაში შეჭდა და აღმოაჩინა, რომ იქ მათ გარდა კიდევ იყო ვიღაც. მანქანის კუთხეში ახალგაზრდა ქალს ფრანგული შინელი წაეფარებინა და მოკუნტულს ღრმად ეძინა.

— აჰ! სულ გადამავიწყდა! — თქვა გენერალმა. — ეს პატარა ქალბატონი გზაში ვიპოვეთ, ვერ გაგაცნობთ, იმიტომ რომ თვითონაც არ ვიცნობ. გაიღვიძეთ. მადმაზელ!

გოგომ ოდნავ წამოიყვირა და შეშინებულმა თვალები გაახილა.

²⁸ ს.ს.ძ. — სამეფო სამხედრო ძალები.

— ნუ გეშინია, პატარავ, ნუ გეშინია! საშიში არაფერია, მეგობრები ვართ! *Parlais anglais?*²⁹

— რა თქმა უნდა! — თქვა გოგომ.

— მაშ თითო ხომ არ გადაგვეკრა? — თქვა გენერალმა და სამხანურის ბოთლს ფოლგა შემოაძრო. — ჭიქები მანდ უნდა იყოს.

კუთხეში მიკუნტული, მდებრთა მოდგმის ეს დაფეთებული წარმომადგენელი ღვინის დანახვამ ოდნავ დაამშვიდა. შამპანური მან ერთაშორისი კეთილი ნების სიმბოლოდ აღიქვა.

— იქნებ ახლა მაინც გვითხრას ჩვენმა მომხიბლავმა სტუმარმა თავისი სახელი, — თქვა გენერალმა.

— რომ არ ვიცი! — თქვა ქალმა.

— ნუ გეშინია, პატარავ, გათამამდი!

— არ ვიცი და რა ვქნა? რაღას არ მეძახდნენ. ოდესღაც უბიწოება მერქვა. მერე ერთ წვეულებაზე ერთ ლედის შევხვდი და მან ბუენოს-აირესში გამაგზავნა. ომი რომ დაიწყო, ისევ უკან ჩამომიყვანეს და აილსბერიში დაბანაკებულ სამხედრო შენაერთში მიმიყვანეს. დიდებული იყო! რატომღაც ფუნთუშას მეძახოდნენ. მერე აქ გამომგზავნეს და კანადელებთან მიმიყვანეს. მიჯობს, არ გავიხსენო, რასაც ისინი მეძახდნენ. კანადელებმა რომ უკან დაიხიეს, მე აქ დამტოვეს. ვიღაც უცხოებს შევეკედლე. ძალიან სასიამოვნო ხალხი იყო, თუმცა ინგლისელებს კი ებრძოდნენ. როცა ისინიც გაიქცნენ და ის სატვირთო მანქანა, რომელშიც მე ვიჯექი, თბრილში ჩავარდა, სხვა რა გზა მქონდა, ავდექი და სხვა უცხოელებს შევეკედლე. ისინი ინგლისელების მხარეზე იბრძოდნენ, მაგრამ მხეცები იყვნენ. ბოლოს ერთ თეთრთმიან ამერიკელ ექიმთან მოვხვდი. ის ემილის მეძახოდა. ამბობდა, ძალიან მაგონებ ამერიკაში დარჩენილ ჩემს ქალიშვილსო. ამ ექიმმა პარიზში წამიყვანა და იქ ერთი კვირა შესანიშნავად გავატარეთ დრო, მერე ლამის კლუბში ვიღაც გოგო გაიცნო, და ფრონტზე რომ დაბრუნდა, უკან აღარ წავუყვანივარ; მე კიდევ ფული არა მქონდა და თანაც ერთი ამბავი ატეხეს, პასპორტი რატომ არა გაქვსო.

Numero mille soixante dix-huit-ი³⁰ დამარქვეს და სხვა გოგოებთან ერთად აღმოსავლეთის ფრონტზე, ჯარისკაცებთან გამამგზავრეს. ყოველ შემთხვევაში სწორედ ამას გვიპირებდნენ, მაგრამ ის გემი, რომლითაც უნდა წავსულიყავით, მოწინააღმდეგემ ააფეთქა. მე გადამარჩინეს და ამის შემდეგ ფრანგებმა მატარებლით აქეთ გამოგვაგზავნეს. გოგოები ძალიან ბევრნი და ძალიან გაუზრდელები იყვნენ. ამ გოგოებთან ერთად ბარაკებში ვცხოვრობდი. გუშინ მათ მეგობრები ესტუმრნენ და მათთვის ხელი რომ არ შემეშალა, სასეირნოდ წავედი. უკან რომ დავბრუნდი, იქ აღარც ბარაკები დამიხვდა და აღარც გოგოები. გარშემოც არაფერი ჩანდა. მერე თქვენც გამოჩნდით თქვენი მანქანით და ახლა აზრზე არა ვარ სად ვიმყოფები. ღმერთო, რა საშინელებაა ომი, არა?

გენერალმა მეორე ბოთლი შამპანური გახსნა.

— ახლა თავი ქუდში გაქვს. პატარა ქალბატონო! — თქვა მან. — მაშ, გაიღიმე და ნურაფერი განადვლებს. რა მოლუშული ზიხარ! მაგ ლამაზ ტუ-

²⁹ *Parlais anglais* (ფრ.) — ინგლისურად ლაპარაკობთ?

³⁰ *Numero mille soixante dix-huit* (ფრ.) — ნომერი ათას სამოცდათერთმეტი.

ჩებს ღიმილი მოუხდება. მოდი, ეგ მძიმე შინელი მოგხადო! მუხლებზე შემო-
გახვევ! აი, ასე!.. ხომ უკეთესია? ჩამოქნილი, ღონიერი ფეხები გქონია...

ადამი მათ ხელს არ უშლიდა. ღვინომ, რბილმა ბალიშებმა და ორი ღლის
დაღლილობამ თავისი გაიტანა. მის გვერდით მფეთქავ სასრამბოენა-
სადმი სრულიად გულგრილ ადამს მალე ჩაეძინა. გმომციები-
გმომციები

იავარქმნილ ბრძოლის ველზე მხოლოდ გზააბნეული მანქანის ფანჯრები
ანათებდა. მერე გენერალმა ფარდები ჩამოსწია და ამ სევდიან სურათს გაე-
ძიჯნა.

— ასე შეტი სიმყუდროვეა, არა? — თქვა მან.

უბიწოება მის ფორმაზე დამაგრებულ ორდენებსა და ნიშნებს ნატიფი
გრაციოზულობით ელაციცებოდა და უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა მათ შე-
სახებ.

ამასობაში სადღაც შორს ტაიფუნის ახალ ტალღასავით აზავთდა და თან-
დათან მოახლოვდა ახალი შეტევის ორომტრიალი.





თარგმნა ჯარჯი ფხოველა

ჩინური ლიტერატურის უძველესი პოეტური ძეგლი „შიქინი“ შეკრიბა და დაამუშავა კონფუციმ, — V საუკუნეში ჩ. წ. აღრიცხვამდე, ამის შემდეგ „შიქინი“ („სიმღერების წიგნი“) კონფუციანელობის ერთ-ერთი პირველი კანონიკური წიგნი გახდა.


ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვა და სიწმინდის ქადაგება გახლავთ „შიქინის“ პოპულარობის წყარო ყველა დროში.

სიმღერა მარტოხეზე

ეული მსხლის ხე იზრდება გაშლილი ტევრის მიღმა,
ასხია ხშირი ფოთოლი, ადგას სიმწვანის ჯილა...
მეც ასე, მარტოხეხავით, ქვეყნად ეული დავალ,
ვერავინ ვპოვე, ვერავის ვერ დავემგზავრე თავად.
კიდევ რომ ვპოვო, ვიცი მე, იგი ძმასავით მტკიცედ
ვერ მიერთგულებს... თქვენ, ვისაც კეთილი გული გიცემთ, —
რატომ არ დაემგზავრებით იმას, ვინც მიდის მარტო?
ვინც მიდის უნათესავო, რატომ არ იძმობთ, რატომ?
რატომ, არ უნდა დაიხსნათ გზად გამოსული მარტო?

მსხალის ხე ტევრის გადაღმა ცხოვრობს ეულად, წყნარად,
ტოტები ცისკენ გაგზავნა, ცა ფოთლით გადაფარა.
მეც მარტოდმარტო დავდივარ, დავეხეტები ცალად.
ბედმა ავგულმა ამ გზაზე არავის გადამყარა.
მაგრამ ვერ შეცვლის ნათესავს, უცხო ვერ შეცვლის ნაცნობს,
თქვენ, გზაზე გამოსულებო, ავლილ-ჩავლილო კაცნო.
ნუთუ არ გტკივათ მისი გზა, ვინც მიდის მარტოდმარტო,
გზას უთვისტომო მიჰყვება... თქვენ გეკითხებით, რატომ
არ უთანაგრძნობთ მარტოსულს, ვინც გზაზე მიდის მარტო?

გავდივარ აღმოსავლეთის კარიბჭესთან



აღმოსავლეთის კარიბჭედან გავდივარ ჩუმი,
ვხედავ, აცვიათ ტანთ აბრეშუმი
ქალებს და ვლიან გუნდად და გუნდად
თითქოს ღრუბლები ცურავენ ცაში.
იდინონ ასე გუნდად და გუნდად.
როგორც ღრუბლები ცურავენ ცაში,
ვინც მე მეთნევა, მათთან არ არის,
შორეთს ფრიალებს მისი დაღალი,
თეთრი სამოსით დაიარება
და მოლოდინი უელავს ხმაში,
ვნახავ და სევდა და იარები
განიბნევიან, მტოვებენ მაშინ.

მე გამოვდივარ კოშკის კარიდან,
მიმაცვილებენ სევდის ქარითა,
ურიცხვი ქალი გოგმანებს ირგვლივ,
გზად მიირხევა, როგორც ლერწამი.
დე, იგოგმანონ, იარონ ისე,
ვით გაზაფხულის გოგავს ლერწამი.
მაგრამ იმათკენ არ ვეშურები,
იქით არა მწევს ფიქრი სრულებით,
იმათკენ მივალ, ვისაც უბრალო
სამოსი შვენიის, ვინც ამარიდა
სევდას და ვარამს, ვინც დამავიწყა
ის ჟამი, როცა მწარედ ვენამე!

აღმოსავლეთის კარიბჭესთან

ამწვანდა წნორი

აღმოსავლეთის კარიბჭესთან ამწვანდა წნორი,
მწვანემ დაფარა ტოტები ხშირი...
სისხამზე შევხვდით და ვსაუბრობთ, ვარსკვლავი შორი
დაგვჩერებია და ტირის, ტირის...

აქ, კარიბჭესთან წნორს სიმწვანემ მოხვია ხელი,
ხშირი ფოთოლით დაფარა ხელად.
სისხამზე შევხვდით და ვსაუბრობთ და დილაბნელის
შორი ვარსკვლავი ჩვენს თავზე ელავს.

სამოსის საყულო ფირუზისფრად ბრწყინავს



ბრწყინავს სამოსის საყულო,
ფირუზისფრად ბრწყინავს.
დარდს სიყვარული მიმატებს,
დარდი მაქვს გულსა შინა.
თუმცა არასდროს მივსულვარ
მე იმის სანახავად —
თვითონ კი რატომ არ მოდის,
რატომ არ მოდის თავად?

თუმცა არასდროს მივსულვარ
მე იმის სანახავად —
რატომ არ მოდის, ნეტავი,
რატომ არ მოვა თავად?

ფირუზის თვალი ამშვენებს,
მუქად აჩნია ქამარს.
შორს მიდის ჩემი გულსთქმა,
წუხილის ცრემლი მნამავს.

იგი ცელქი და მქროლავი
და ნებიერი ბედის
ყოველდღე გოგმან-გოგმანით
გალავნის კოშკში შედის.
რომ არა ვნახო ერთი დღეც,
რომ არ ვიხილო წამით —
არ მიმატოვებს წუხილი,
თუნდ თვე გავიდეს სამი

ორი ბავშვი ჩაჯდა ნავში

ნავში ჩაჯდა ორი ბავშვი. ორი ბავშვი ნავში.
წყალზე მათი ლანდები სანთლებივით ენთო.
ფიქრით მათკენ მივდივარ, კვალზე მივდეგ ბავშვებს,
გულში ეჭვი სივდება, გულში შიში მეტობს.

ნავში ჩაჯდა ორი ბავშვი. ორი ბავშვი ნავში.
ნავი რწევით ნავიდა, გაჰყვა ჩრდილს და ღამეს.
ფიქრით მათკენ მივდივარ, კვალზე მივდეგ ბავშვებს.
გულში შიში სივდება: არ ეწიოთ რამე!

შუ ნადირობს

I

შუ სანადიროდ წავიდა, შუ გამოვიდა ველად,
ოთხცხენა ეტლზე ავიდა, ეტლი მომართა ხელად,
სადავე იპყრა მამაცმა, ხელი განზიდა თანაც,
იყო მხლებელთა რონინი და წელთა მიმოტანა.
შუ სანადიროდ წავიდა — ირგვლივ ჭაჭბი ჩანდა...
კოცონის კვამლი ავარდა, კვამლი ავიდა ცადა.
მოიხალვათა გულმკერდი, ვეფხს დაიჭერდა მკლავით,
ვეფხვიც წამოხტა, წამისად წააგდებინა თავი.
შუს შევევედრე: ნუ გინდა ვეფხვის დაჭერა ხელით.
მომიგო შებმა მიხარის, მიყვარს ნაბნკლევნი მწველი.

II

შუ ნადირობას მართავდა, შუ გამოვიდა ველად,
ოთხცხენა ეტლში ავიდა, ეტლი მომართა ხელად,
ქედი გამართა მამაცმა, გმირთა ბადალი
ბატი მოფრინავს ეული, ბატი მოფრინავს ერთი,
შუ სანადიროდ წავიდა — ირგვლივ ჭაობი ჩანდა.
დაანთეს ცეცხლი ძლიერი — კვამლი ავიდა ცადა.
შუმ სანადიროდ მომართა საუკეთესო მშვილდი,
ეტლით წავიდა ფიცხელი, ველზე ქარულად მიდის.
ცხენებს იურვებს, მიუშვებს და მინავარდობს ასე...
ისარს გასტყორცნის, გაჰყვება — ისარს გაჰყვება კვალზე!

III

შუ სანადიროდ წავიდა, შუ გამოვიდა ველად.
ოთხცხენა ეტლზე ავიდა, ეტლი მომართა ხელად.
მხარდამხარ მიჰყვნენ მხლებელნი, ველნი ელავენ შორნი,
მიჰყვება ტაიჭოსანი გვერდით მხლებელი ორი.
შუ სანადიროდ წავიდა — ირგვლივ ჭაობი ჩანდა,
ველზე კოცონი დაანთეს, კვამლი ავიდა ცადა.
შუმ დაიურვა ცხენები, ბიჯი მოზომა გზისა,
ყამითი-ყამად მინდორზე წულილი გააქვს ისარს...
გადაიკიდა საისრე შუ სახლისაკენ მიდის
სანადიროდან ბრუნდება, ზურგზე ჰკიდია მშვილდი.

მირეკება, მიაფრენს ცხენებს

ცხენებს მირეკავს, მიაფრენს, მიჰქრის მარხილი ჩქარი —
ტყავით, ბამბუკით ნახური... და მიჰფრიალებს ქარი.
ეს გზა ლუს მხრიდან მოდის და გლუვი არის და სწორი, —
გზად ქალბატონი ციელი, — სახლში ბრუნდება ქალი.

ოთხით მოდიან ცხენები, ოთხივე შავრა ცხენი.
ოთხივეს სადავეები, სადავეები გრძელი.
გზა ლუდან მოემართება, გზა გლუვია და სწორი —
ციელი ქალის სახეზე დევს სიხარულის ხელი.

ვენი ხმაურობს, თქრიალებს, მოქუხს ნაკადი ფართო,
გზად მგზავრი ოხერტიალი, შუბლდაცვარული მთლადო...
გზა ლუდან მოემართება, გზა გლუვია და სწორი —
გზად ქალბატონი ციელი — მიღიმელობს და ნათობს.

ვენის ზვირთქაფის ჩქაფანი, ვენის დაძრული წყალი.
იქით და აქეთ მგზავრი დის, გადიგამოდის ქარი.
გზა ლუს გადაღმა ციალებს, გზა გლუვია და სწორი
გზად ქალბატონი ციელი — მოდის ამაყი ქალი



ქართული
ბიბლიოთეკა

ცულის ხმა მოისმის შორიდან...

I

ცულის ხმა მოისმის შორიდან, შორიდან...
ჭრის მდინარესთან ხეებს ტყისმჭრელი,
იქ, სად მდინარე ტბორავს ქვიშრობებს,
ხეებს ალაგებს ერთად ტყისმჭრელი...
მოშრიალებენ ტალღები მდორედ,
გამჭვირვალეა მდინარის წყალი...
ჰოი, ბატონო, ხვნისას მძინარო,
ალოობისას მწოლო ჩეროში —
ვინ დაგიხვავა ხორბალი ოხრად,
ვინ დაგიძეძგვა პურით ბელელი?
ნადირობისას არ გვახლდი ტყეში,
არ უძგერია ქეიბურს შენსას —
მაშ, ვინ დაჰკიდა შენს დარბაზებში
დიდი დავლა და ნანადირევი?
სვესვიანი ხარ, ბატონო ჩვენო,
მაგრამ როდემდე უნდა იცხოვრო
სხვათა ოფლით და ნაამაგარით?

II

ცულის ხმა მოისმის შორიდან, შორიდან...
ეტლის ხელნას თლის მდინარის ზემოთ,
თლის და ასწორებს ტყისმჭრელი ხელნას...
ნაპირთან აწყობს ნამახულ ჩხირებს.
წყლის ზედაპირზე დადის სიმშვიდე.
მოკამკამეა მდინარის წყალი.
არ გითესია, არც მოგიხნია,
არც მოგიმკია, ბატონო, ყანა.
მაშ, ამდენი ძნა ვინ მოიწია,
საიდან გაჩნდა შენს საძნოვარში?



შორს, შორს ხმიანებს ტყისმჭრელის ცული
ურმის თვალს რანდავს ტყისმჭრელი ტყეში ნუღი
თლის და ალაგებს სანდალის ფიცრებს ბიწროსა
მდორე მდინარის სანაპიროზე...
მოშრიალებენ ტალღები ნელა,
გამჭვირვალეა მდინარის წყალი.
უქმად გალია ხვნის დრო ბატონმა,
არცა მომკისას გარჯილა იგი —
მაშ ვინ აუვსო ბელლები ბატონს,
ვინ დაუმძიმა პურის ბელლები?
არც სანადიროდ არ გვახლდა ტყეში,
არ უძგერია ქეიბურს მისას, —
მაშ, ვინ დაჰკიდა მის დარბაზებში
უხვად დავლა და ნანადირევი?
კაი ყმა ერქვას ჩვენს ბატონს, ოლონდ
უქმად ყოფნაში ნუ გაჰყავს დღენი,
არამი ლუკმით ნუ ივსებს სტომაქს!

□

თომას ჰელორი

ამბავი მეფე ართურის ზეობისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მალრაძემ

თომას ჰელორი შეთხუთმეტე საუკუნის ინგლისელი ცნობილი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის სათავედასავლო რომანი „ამბავი მეფე ართურის ზეობისა“. აქ მოთხრობილია: მეფე ართურის შემართებულსა და დაუცხრთმელ ბრძოლებზე ინგლისის დაქუცმიცებული სამეფო-სამთავროების გასაერთიანებლად, ტრისტანისა და იზოლდას მარად უჭკნობ სიყვარულზე, ლანსელოტისა და დედოფალ გვინივერას ერთმანეთისადმი შენამსკვალეზ გულებსა და გრძნობაზე, წმინდა გრაალის თასის მოპოვებაზე, სარაინდო ორთაბრძოლებზე და სხვა სათავედასავლო ამბები.

I

თავი პირველი

ამა ამბავი, რომორ მიიკაბიძა სასახლეში უთრ პენდრაგონმა*, კოკუელის პერცოგი და მისი მეუღლე იკაინა და ვზეულთა იღუმალი გაეცევა

ეს ამბავი უთრ პენდრაგონის მეფობის დროს მოხდა. იგი ინგლისის მეფე იყო და კორნუელის ძლიერ პერცოგთან — ტინტაჯილელთან — გაუთავებელი ომი ჰქონდა. ერთხელ მეფე უთრმა პერცოგ ტინტაჯილელს მოპატივე გაუგზავნა და მეუღლესთან ერთად სასახლეში მიიწვია. პერცოგის ცოლი იგრფინა, როგორც ხალხში ამბობდნენ, მთელ საქალეთში სილამაზით გამორჩეული და უჭკვიანესი არსება გახლდათ.

როცა პერცოგი ცოლითურთ მეფის წინაშე წარდგა, ბარონთა დიდი მეცადინეობის წყალობით, ისინი შერიგდნენ. მეფეს თვალში მოუვიდა პერცოგის

* უთრი საკუთარი სახელია (კელტური წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „საშიწყელს“). პენდრაგონი ტიტულია, ნიშნავს „მთავარ დრაკონს“ (კელტ).

ლამაზი ცოლი, იმწამსვე გული შეუვარდა მასზე, დიდის ამბით მიიღო ორივენი, განსაკუთრებული სიხარული და აღტყინება გამოამქლავნა იგრიენას შიმართ და ქალთან სარეცელის გაყოფა მოიწადინა. ჰერცოგის სათნო მეუღლე არ თანაყუო მეფეს და ქმარს უთხრა:

ერეკუნული

— ეტყობა, ჩვენ აქ ჩემს დასამდაბლებლად და გასამდაბლად მოგუწვევივართ. თუ აქედან ახლავე ავაბარგებით და მთელ ლამეს ცხენებს არ დავასვენებთ, ჩვენს ციხე-კოშკამდე უვნებლად მივალწევთ.

როგორც მშვენიერმა იგრიენამ თქვა, ისე მოიქცნენ, იღუმალ წასვლა ირჩიეს. ვერც მეფემ და ვერც მისმა ახლობელმა კარისკაცებმა საიდუმლო ლტოლვილთა გაუჩინარებაზე ვერარა შეიტყვეს.

როცა მეფე უთრმა მათი უფცარი გაქცევის ამბავი გაიგო, განრისხდა. მყისვე საიდუმლო მრჩევლები იხმო, ჰერცოგისა და მისი ცოლის ნაუცბათევი ლტოლვის ამბავი აუწყა და დაეთათბირა. სწორედ მათ ურჩიეს, ჰერცოგსა და მის ცოლს მალემსრბოლი დაადევნე და შეუთვალე, გადაუდებელი საქმის გამო უკან დაბრუნდნენო.

— თუ თქვენს მოწვევაზე ლტოლვილნი უკან არ შემოიქცნენ, რასაც გინდათ, იმას იქმთ. კარგი საბაბი გექნებათ, მათ წინააღმდეგ ომი წამოიწყოთ.

მეფე უთრი მრჩეველთ დაეთანხმა. გარნა მისმა წარგზავნილებმა ცული ამბავი მოიტანეს. ჰერცოგსა და მის ლამაზ მეუღლეს მეფე უთრის სასახლეში დაბრუნებაზე მტკიცე უარი შემოეთვალათ. მეფის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. მან კვლავ აფრინა მალემსრბოლი ჰერცოგთან და აუწყა: რაც არ უნდა მიუვალ ციხესიმაგრეს შეაფარო თავი, ორმოცი დღე არ გაივლის, მოგწვდები და მიწასთან გაგასწორებ, — შეიარაღდი, მოემზადე და დამხვდიო.

რა მეფის ასეთი ქადილი მოისმინა, ჰერცოგს მეტი რა ჩარა ჰქონდა, თავის ორ ყველაზე დიდ ციხე-კოშკში გადაწყვიტა გამაგრებულიყო. ერთი მათგანი ტინტაჯილად იწოდებოდა, მეორე კი ტირებილად. ცოლი ტინტაჯილის ციხეში დატოვა, თვითონ კი ტირებილის ციხე-კოშკში ჩაიკეტა. ორივე ციხეს უამრავი საიდუმლო შესასვლელ-გამოსასვლელი ხვრელი ჰქონდა გარესამყაროსთან კავშირისა და ურთიერთობისათვის. მეფე უთრს არ დაუხანებია თავისი დანაქადი სისრულეში მოეყვანა. დიდძალი ლაშქრით, მიადგა ციხეს, ილყა შემოარტყა და მის გარშემო უამრავი კარავი დასცა. ციხის ვარეთ დიდი ბრძოლები გაიმართა და ორივე მხრიდან ბევრი მებრძოლი დაიღუპა.

გარნა სულ მალე მეტისმეტი მრისხანებისა და მშვენიერ იგრიენას შორით ტრფობის გამო მეფე უთრი უქეიფოდ შეიქნა. მეფეს კეთილშობილი რაინდი, სერ ულფიუსი ეახლა და ჰკითხა: პირი რად დაგიღრეჯია, რატომ ოხრავ და სკმუნავო.

— გულახდილად გეტყვი, — უპასუხა ერთგულ რაინდს მეფემ, — მრისხანებამ და მშვენიერი იგრიენას სიყვარულმა გამასავათა, განვიკურნები თუ არა, ერთმა ღმერთმა უწყის.

— მაშინ მე მყისვე მერლინთან* ვავეშურები, რათა თქვენს დაჭრილ გულსა და სნეულებას წამალი დროულად გამოვეუნახოთ.

ასე გაემგზავრა ულფიუსი მერლინის საძებრად. ბედნიერი შემთხვევის

* მერლინი — სამულაო საუკუნეების ლიტერატურაში სახელგანთქმული სასწაულმოქმედისა და ჯადოქრის სახე, კელტური ფანტასტიური ფოლკლორის დვიძლი შვილი.

წყალობით, იგი დაკონკილ-დაძონძილ ძველმანებში ჩაცმულ მერლინს გადა-
ეყარა, მაგრამ ვერ შეიცნო ჯადოქარი. მერლინმა, თავის მხრივ, ჰკითხა, ვის
დაეძებო. ულფიუსმა მკვახედ მოუჭრა: რა შენი საქმეაო.

— რა გაეწყობა, — უთხრა პასუხად მერლინმა, — მე ვიცი შენი შეჭი-
ვების მიზეზი, ვიცი, ვისაც დაეძებ და ამიტომ გეუბნები: შეწყვიტე ძიებნა და
მეთუ მერლინი მე თვითონა ვარ. ხოლო თუ მეფე უთრი საქადრისად დამა-
საჩუქრებს და შემომფიცავს, რომ ჩემს სურვილს აღასრულებს, რითაც მას უფ-
რო მუტი სარგებელი, სახელი და დიდება მოელის, ვიდრე მე, მაშინ ყველაფერს
ისე მოვაწყობ, როგორც მას უნდა. მისი სურვილი მთლიანად განხორცი-
ელდება.

— თავდები ვარ, — უთხრა ულფიუსმა, — რომ, რასაც გონივრულს
ისურვებ, ყველაფერი აღსრულდება.

— მაშინ, — მიუგო მერლინმა. — მეფე უთრს შევუსრულებ საწადელსა
და განზრახულს. ახლა კი მობრუნდი და შენი გზითვე გასწი უკან, რამეთუ სულ
მალე მეც იქ გავჩნდები.

თავი მორა

ამა ამბავი, თუ როგორ გაამართა საოცრად მამა უთრი კონსტანტინის პერსონის
წინააღმდეგ. მერლინის შეფიქრით როგორ შეუფვა საწოლში პერსონის მუხლს და
როგორ ჩასახა ართური

გახარებული ულფიუსი უკან შემოიქცა, მეფე უთრ პენდრაგონის სამყო-
ფელისაკენ ტაიქს გამალებით მოაგელვებდა და, როცა მეფის წინაშე წარ-
დგა, მერლინთან შეხვედრის ამბავი აუწყა.

— მერედა, სადაა ჯადოქარი? — იკითხა გვირგვინოსანმა.

— მერლინი დაუყოვნებლივ გეახლებათ, — უთხრა მშვიდად ულფიუსმა.

ამ სიტყვების თქმა ძლივს მოასწრო ულფიუსმა, რომ კარვის შესასვლელ-
ში მერლინს მოჰკრა თვალი. მერლინი მეფესთან მიიწვივს და გვირგვინოსანმა
უთხრა, „კეთილი იყოს შენი მობრძანება“.

— მეფეო, — წამოიწყო მერლინმა, — თქვენი გულის ზრახვები ჩემთვის
კარგადაა ცნობილი, თუ თქვენ, როგორც ღვთისაგან ჰეშმარიტად მირონცხე-
ბულ მეფეს შეჰყურის, შემომფიცავთ, რომ სურვილს ამისრულებთ, მაშინ
თქვენი საწადელიც აღსრულდება.

მეფემ ოთხივე სახარებაზე დაიფიცა.

— მეფეო, — კვლავ მიმართა მერლინმა, — მშვენიერ იგრიენასთან გატა-
რებულ პირველსავე ღამეს ჩაისახება ბავშვი. როგორც კი ის ბავშვი დღის სი-
ნათლეს იხილავს, აღსაზრდელად მე უნდა მომაბაროთ. თუკი ის მართლაც
ღირსეული აღმოჩნდება, ბავშვს თქვენდა სასახელოდ აღვზრდი.

— თანახმა ვარ, — წარმოთქვა მეფემ, — დაე, იყოს ისე, როგორც შენ
გსურს!

— მაშ, ემზადეთ, — უთხრა მერლინმა, — ტინტაჯილის ციხე-კოშკში ამ
საღამოსვე შეუწვევებით საწოლში იგრიენას. ავი თვალისაგან თქვენ მისი მე-
უღლის — ჰერცოგის — გარეგნული მსგავსება დაგიფარავთ. ულფიუსს ჰერ-

ცოცის რაინდის — სერ ჰრახტიასის სახე იქნება. ხოლო მე რაინდ იორდანად გარდავიქცევი, ისიც ხომ ჰერცოგის ნების უსიტყვო აღმსრულებელი გახლავთ, გახსოვდეთ მხოლოდ, რომ მშვენიერ იგრეინასა და მის მსახურთა ცოც შეიძლება ცოტა რამ ჰკითხეთ. თავი მოიავადმყოფეთ და საწოლს მიაბურეთ. ნურც დილით ადგომით შეწყუბდებით, ვიდრე მე თვითონ არ მფვალე დაგვიტან. აქედან ტინტაჯილის ციხემდე ხომ ათიოდე მილი იქნება.

როგორც მოიფიქრეს, ყოველივე ისე გაკეთდა, თუმცა ერთი რამ კი მოხდა: ტირებილს ციხე-სიმაგრიდან რომ მოემგზავრებოდნენ, ისინი ტინტაჯილის ჰერცოგმა დალანდა. მეფის ჯარში რომ არევ-დარევა გამოეწვია და ბევრი ამოეხოცა, ჰერცოგმა ღამის სიბნელით ისარგებლა, ციხესიმაგრის გვერდით შესასვლელიდან მომხდურთ სპიანად გამოუხდა, მაგრამ იმ ღამეულ არევ-დარევასა და ჯახში, ვიდრე მეფე უთრი ტინტაჯილის ციხე-სიმაგრეს მიაღწევდა, თვითონ ჰერცოგი მოკლეს. ასე რომ, როცა მეფე უთრი მშვენიერ იგრეინას გვერდით მიუწვა, ჰერცოგი ამქვეყნად აღარ იყო. ამ ამბამდე სამ საათზე ცოტა ადრე აიბარგა იგი ამ სანეტარო წუთისოფლიდან. მეფე უთრმა სწორედ იმ ღამეს შექმნა ართური*. დილაუთენია კი, განცხრომით მყოფთ, მერლინი წაადგათ თავს და მეფეს, დროაო, ანიშნა. მეფე ჰაიპარად წამოდგა, იგრეინა ერთხელ კიდევ გადაკოცნა და საწოლიდან უმაღ გამოვიდა. როს ლედი იგრეინამ ქმრის სიკვდილის ამბავი შეიტყო და დროც დაადგინა, როცა ჰერცოგი მოეკლათ, განცვიფრდა. ქალს ერთი სული ჰქონდა შეეტყო, ვან უნდა ყოფილიყო ჰერცოგის სამოსში გამოწყობილი მისი საკუთარი მეუღლის ხატი. იგი შინაგანად უჩუმრივ იტანჯებოდა. მაგრამ ვისთვის უნდა გაემხილა ეს იღუმალებით მოცული ამბავი!

ამასობაში ბარონები შეიკრიბნენ და ყველანი ერთად შეევედრნენ მეფეს, იგრეინასთან მტრობა და შუღლი მოეთავებინა. გახარებულმა მეფე უთრმა მათ თხოვნას თავისი მეფური დასტური დასცა. სინამდვილეში იგრეინასთან მას ხომ მხოლოდ სიყვარული აკავშირებდა და მასთან ერთობა ეწადა. ამ შერიგების შუამავლობა მეფემ ულფიუსს დააკისრა და თავისი ნდობით აღჭურვა. ულფიუსის დიდმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო და მეფე იგრეინასთან დააბადა.

— ახლა ალბათ ყოველივე კარგად მოგვარდება, — თქვა ულფიუსმა. — ჩვენი მეფე ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე მხნე რაინდია, იგი უცოლო გახლავთ. ლედი იგრეინა კი, ქალთა შორის უსათნოესი და ულამაზესი, დაქვრივდა, პატრონი აღარავინ უვის. ჩვენ ყველანი დიდად მოხარულნი ვიქნებით, თუ მეფე უთრი დაიფრეინა შეუღლდებიან.

ეს აზრი ყველას მოეწონა. მეფესთან შევიდნენ, მოახსენეს და ურჩიეს, იგრეინა შეეწითო. ახალგაზრდა, ძლიერი რაინდი მეფე უთრი, გახარებული იმით, რომ მისი დიდი ხნის ოცნება ასე მოლად სრულდებოდა, გულითა და სულით დაეთანხმა. იმ დილიდანვე თათარიანად დაიწყო ქორწილი და მხიარულებასა და დროსტარებას ბოლო აღარ უჩანდა.

* საშუალო საუკუნეების არა მარტო ევროპელი, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე უფრო პოპულარული გმირის სახე. ისტორიულად ბრიტების ერთგული გმირი, რომელიც მეთაურობდა V-VI საუკუნეებში ანგლო-საქსთა ინგლისში შექრის წინააღმდეგ ბრძოლებს.

ბადონის მთებთან გამართულ ბრძოლაში მოიპოვა ტრიუმფალური გამარჯვება და ბრძანების კუნძულებზე გერმანელი ტომების შეჭრა ნაბევარი საუკუნით მაინც გადაავადა.

იმ დღესვე დაინიშნა ლოუთეანის* და ორკნის მეფე ლოტი ზორგაუზაზე, რომელიც გავეინის დედა შეიქნა, გარლოტის მეფე ნენტრესმა კი მშვენიერი ელენა შეირთო და ყოველივე ეს მეფე უთრის სურვილითა და თანხმობით მოხდა. მათი მესამე და ღვა მორგანი აღსაზრდელად მონასტრში წაგზავნეს. იქ გაეცნო და შეისწავლა შავი მაგიის ყველა საიდუმლოება. მონასტრიდან გამოსული კი გოორის მეფეს ურჩენს მისთხოვდა. ეს მეფე იყო თეთრხელა სერ ივეინის მამა.

თავი მასამი

მეფე ართურის დაბადება და აღზრდა, მეფე უთრ კენდრაგონის სიკვდილი, როგორ აირჩიეს ართური მეფედ. სარტარი, ზისთსაბუნებრივი, სასწაულებრივი ხმლის თაობაზე, რომელიც მეფე ართურმა ძვიდან ამოაძრო

დედოფალი იგრეინა ყოველდღიურად იმატებდა და იმატებდა სისრულეში. შეუღლებიდან სწორედ ნახევარ წლისთავზე იყო, რომ მეფე უთრმა ჰკითხა დედოფალს, — ნუ დამიმალავ და გამიმჟღავნე, ვის ბავშვს ატარებ მუცლითო. დედოფალი შეძრწუნდა, დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— დარდი ნუ გაქვს, სრული სიმართლე მითხარი, — გაამხნევა უთრმა, — ვფიცავ საკუთარ სიცოცხლეს, გულწრფელობისათვის კიდევ უფრო მეტა შეგიყვარებ!

— ჩემო ბატონო, — წამოიწყო დედოფალმა, — სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. იმ ღამეს, როცა ჩემი მეუღლე მოკლეს, როგორც ეს შემდგომ მისმა რაინდებმა მიამბეს, სწორედ იმ საათს, ჩემი მეუღლე, მისი აჩრდილ, თუ სახითა და მეტდველებით მისი ნამდვილი ხატი, ტინტაჯილის ციხე-სიმაგრეში მოვიდა, თან თავისი რაინდები ბრასტიასი და იორდანი ახლდნენ, როგორც უღლეს კანონით შეჰფერის, მე გვერდით მივუწეჭი და, ღმერთმანი, სწორედ იმ ღამეს ჩაისახა ეს ბავშვი.

— სრულ სიმართლეს ღაღადებთ, — წარმოთქვა მეფემ მხიარულად, — ეს ხომ მე ვიყავი მის ტანსაცმელში გამოწყობილი. სწორედ ამიტომ ნაც ღვთისა და ნურც კაცისა ნუ შეგეშინდებათ, მაგ ბავშვის მამა მე ვარ.

მერე დედოფალ იგრეინას გაანდო, როგორ მოხერხდა ყოველივე მერლინის შეგულიანების, წაქეზების და თანდგომის წყალობით. დედოფალმა ივეინამ რომ შეიტყო, ბავშვის მამა მეფე უთრიაო, გულით გაიხარა.

მალე მეფესთან მერლინი გამოცხადდა და უთხრა:

— სერ, თქვენ ამთავითვე უნდა იზრუნოთ ბავშვის აღზრდაზე.

— როგორც გენებოთ, ისე გადავწყვიტოთ, — უთხრა დანდობილდ მეფემ.

— ძალიან კარგი, — წარმოთქვა მერლინმა. — მე ვიცნობ ერთ აქერ მეტად პატიოსან და სათნო თქვენს ერთგულ ბარონს. ბავშვის აღზრდა სწორედ მას უნდა მივანდოთ. მისი სახელი სერ ექტორი გახლავთ და მთელ აგლისსა და უელსში მასზე მშვენიერი მამულები არაფისა აქვს. მოაყვანინეთ ბრონი და მოელაპარაკეთ, მეფური სიტყვა და ნება-სურვილი თვითონვე აცნობთ, თქვე-

* ლოუთეანი — სამხრეთ შოტლანდია.

ნი სიყვარულია და პატივისცემის დასტურად საკუთარი შვილი გააძიძაოს, ხოლო თქვენს პიხმშოს მისმა ცოლმა აწოვოს ძუძუ, და როს ბავშვი ამ ქვეყანას მოევიწიება, განკარგულება ვაეცით, რომ თქვენი სასახლის უკანა შესასვლელთან მოუნათლაგი ჩვილი იდუმალ მე გადმოძეცენ.

როგორც მერლინმა თქვა, ყველაფერი ისე გაკეთდა, ^{სასახლეში მოწვეულმა} ექტორმა მეფეს აღუთქვა, თქვენი ყოველი სურვილი აღსრულებული იქნებაო. მეფემ საბოძვრებით აავსო შვილის მომავალი მამამძუძე, დედოფალმა ივრეინამ რომ იმშობიარა, მეფემ ორი რაინდი და ორი ქალბატონი იხმო და უბრძანა, ახალშობილი ოქროქსოვილში გაეხვიათ და, ვინც სასახლის უკანა გასასვლელთან პირველი ღვთის გლახა შეხვდებოდათ, იმისთვის გადაეცათ, ასე მოხვდა მეფე უთრის ვაჟიშვილი მერლინის ხელში, ვინც, თავის მხრივ, ბავშვი უშინდა მამას გაანათვლინა. მიმრქმელმა ბავშვს ართური უწოდა. ნათლობის შემდგომ კი მერლინმა ბავშვი ექტორს მიჰგვარა და იმ დღიდან მომავალ მეფეს ექტორის ცოლი აწოვებდა ძუძუს.

ამ ამბებს მერმე თრ წელიწადსაც არ გაევიდა, რომ მეფე უთრი მძიმე აად შეიქნა მაშინვე მის სამფლობელოს მტრები შემოადგნენ, დიდი ომი გაიმართა და ბევრი ქვეშევრდომი დაუხოცეს.

— სერ, — უთხრა სწეულ მეფეს მერლინმა, — ლოგინში წოლა მეფის საშე არაა, თქვენი ადგილი ბრძოლის ველზეა. უბრძანეთ და ეტლით წაგიყვანეთ მტერს ისე ვერ მოერევით, თუ სახე არ უჩვენეთ. წადით ბრძოლის ველზე, მტრი უკუიქცევა და გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ.

როგორც მერლინმა უთხრა, მეფე უთრმა გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო. სწელი მეფე ოთხთვალა ეტლში ჩააწვინეს და ბრძოლის ველზე წაიღეს. მეფემ თავუზარმაზარი ლაშქარი იახლა, მეფე უთრისა და ჩრდილოეთის სპათა ქარი წმია აღბანსთან შეებნენ ერთურთს. იმ დღეს სერ ულფიუსმა და სერ ბრასტიამა დიდი გმირობა ჩაიდინეს, დაჯაბნა მეფე უთრის ჯარმა მოწინააღმდეგე ბევრი მოსრეს და მრავალმა თავს გაქცევით უშველა. გამარჯვებული და გახარებული მეფე უთრი ლონდონს შემოიქცა.

აგლახ, რომ მეფისათვის გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ცოტხანი გამოხდა და მეფე ძალიან ცუდად შეიქნა. სამ დღესა და ღამეს ისე იყო, იტყვა არ დასცდენია. შემოკრბნენ მის ირგვლივ მეფის თანამებრძოლნი, მერლნი იხმეს და რჩევას დაეკითხნენ.

— ღვთის ნებას უნდა მივენდოთ, განკურნებისა და მისი ფეხზე წამოდგომის სხა გზა არაა, — უთხრა მეფის ერთგულ ბარონებს მერლინმა. — გარნა შემოკრენით ხვალ დილით მეფას საწოლის გარშემო ყველანი და ღვთის ნებასურვილსა და ჩემი მცდელობის წყალობით მეფე დაგველაპარაკება.

მერე დღეს მართლაც ყველანი მეფის გარს შემოიკრიბნენ და მერლინი ხამამალ ჩაეკითხა მეფეს:

— სრ, იმეფოს თუ არა თქვენმა შვილმა ართურმა თქვენ შემდგომ ამ ქვეყანასა და მის ყველა სამკლობელოში?

უთრ ენდრაგონი გადმობრუნდა და ყველას გასაგონად თქვა:

— ღვისა და ჩემი სახელით ვლოცავ, მანაც ილოცოს ჩემი სულის მოსახსენებლა და სალხენად, დაე, აღსავსემ ღირსებით, პატიოსნებითა და სახელით, კანონი მოითხოვოს ჩემს თავზე დგმული გვირგვინი, არადა, ჩემი ლოცვა-კურთხევა მოუშალოს უფალმა.

ეს სიტყვები წარმოთქვა მეფემ და სულიც განუტევა. დაასაფლავეს ი.ე. როგორც გვირგვინოსანს შეპყროდა. მშვენიერი იგრეინა ლაწვთ იხოცდა და საწყალობლად ტიროდა. მასთან ერთად ტიროდნენ ბრძოლებში უწყალო და დაუნდობელი ბარონები. ამის შემდგომ ამ სამეფომ ბევრი ხიფათი და განსაცდელი გამოვლო. ყველას, ვისაც კი საკმაო ჯარი ჰყავდა, ამ ქვეყანაში უშლიდა გამეფებულის. მაშინ მერლინმა უკანასკნელ ლონეს მიმართა: „ვიცნობ კენტერბერის ეპისკოპოსთან გაემგზავრა, მოინახულა და ურჩია, მთელი სამეფოს ბარონები და რაინდები შენთან მოიხმე, წყევლით, მუქართა და ანათემით დააშინე, რომ ყველანი შობის დღესასწაულზე ლონდონს ჩამოვიდნენო. და რადგან ამ დამეს შობილი იესო ჩვენი მფარველია, იქნებ თავისი კეთილმოწყალე გულით სასწაული მოგვივლინოს და, როგორც თვითონ იყო მეფე ხალხსა ზედა, სასწაულებრივად გვიჩვენოს და მიგვანიშნოს, ვის ეკუთვნის კანონის ძალით მეფობა ჩვენს ქვეყანაში. მერლინის სიტყვებით შეგულიანებულმა კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ოთხსავე კუთხით აფრინა სანდო ხალხი და ქვეყნის ყველა ბარონი და რაინდი შობის კვირადღეში ლონდონს დაიბარა. დათქმულ ადგილზე ჩასვლამდე ბევრმა მათგანმა მიიღო ცოდვის განტევება, რადგან მათი ლოცვა ღვთის სათნევე-საამებლად იყო გამიზნული.

ლონდონის ეკლესიათა შორის ყველაზე უდიდეს წმინდა პავლეს ტაძარში, თუმცა ფრანგულ წიგნში მასზე მინიშნება არ გახლავთ, შემოკრბა სალოცავად მოსული მთელი სამეფოს უკლებლივ ყველა წოდება და, როცა ცისკრის ლოცვასა და ადრეულ წირვას მორჩნენ, ტაძრის ეზოში, მთავარი საკურთხევის პირდაპირ, ვილაცის საფლავზე ყველამ შეამჩნია უზარმაზარი ოთხკუთხა, წარწერიანი ქვა. შუაში ქვას ფუტის სიმაღლის ფოლადის გრდემლივით რაღაც გამოჩრილი ჰქონდა. მას ქვევით კი ჩაედულაბებინათ საოცარი შიშველი ხმალი, რის ირგვლივაც ოქროს ასოები იყო ამოკვეთილი: „ვინც ამ ხმალს ზინდანიდან ამოაძრობს, ისაა დაბადებით მთელი ინგლისის კანონიერი მეფე“.

გაოცდა ხალხი და არქიეპისკოპოსს მიმართეს.

— ღვთის სახელით მიბრძანებია, — მშვიდად უთხრა ეპისკოპოსმა, — ყველანი ტაძარში დარჩეთ და ილოცოთ, ნურც ერთი თქვენგანი ნუ შეეხება ხმალს, ვიდრე სადღესასწაული წირვა არ გასრულდება.

როცა ღვთისმსახურება დასრულდა, ლორდები გარეთ, ტაძრის ეზოში, გამოეფინენ, ლოდის გარშემო შემოიკრიბნენ და გასაოცარ ხმალს შესცქეროდნენ. როცა წარწერა ამოიკითხეს, ვისაც მეფობა სურდა, ხმალს ზინდანიდან ამოსაძრობად მოეჭიდა, მაგრამ ძვრა ვერავინ უყო.

— არაა თქვენ შორის ის, ვინც ხმალს ზინდანიდან დააძრობს, მაგრამ განადგუთ თქვენგან, უარყავით და ეჯმენით იმ აზრს, რომ ამას ვერავინ შეძლებს. თვითონ ღმერთი შეგვეწევა და მხსნელს მოგვივლენს. მხოლოდ ამას გირჩევთ, ათი ვაჟიაცი, სახელოვანი რაინდი მივუჩინოთ ამ ხმალს მცველად და მეთვალყურედ.

ასეც გადაწყდა. მთელ ქვეყანას აცნობეს ამბავი, თუკი ვინმე მოისურვებდა შეეძლო მოსულიყო და ბედთან ლაციცი გაემართა. ახალი წლის დღეს ბარონებმა შეჯიბრი მოაწყეს და შუბებითა და ჰოროლებით შეიარაღებულ მხედართა ორთაბრძოლები დანიშნეს. ყველა რაინდს, ვისაც კი თავისი სიჩაუქის ჩვენება ეწადა, შეეძლო შეჯიბრში მონაწილეობა მიეღო. არქიეპისკოპო-

სას ჩანაფიქრის მიხედვით ლორდთა და უპოვართა ეს შეკრება ბოლოს და ბოლოს ღვთის ნებით გამოავლენდა, ვისაც ხმალი ზინდანიდან უნდა ამოეღო.

და აი, ახალი წლის დღეს, როცა წირვა მომთავრდა, ბარონები ტაძრის ეზოში გამოვიდნენ, რათა ორთაბრძოლები გაემართათ და ბრძოლაში თავიანთი სრული დაოსტატება ეჩვენებინათ. ისე მოხდა, რომ ტურნირზე ლონდონის შემოგარენში უზარმაზარი მამულების პატრონი სერ ექტორიც მოვიდა. მას თან ახლდნენ თავისა შვილი სერ კეი და მისი ძუძუმტე, ამ დროისათვის უკვე საკმაოდ შეღერებული ართური. ამ ამბავს კი წინ უსწრებდა ყველა წმინდანის (ყველაწმინდის) დღესასწაული*. იმ დღეს სერ კეი რაინდად აკურთხეს. როცა რაინდები სატურნირო ველისაკენ გაემართნენ, სერ კეის ქარქაშში ხმალი არ აღმოჩნდა, რის გამოც ახალგაზრდა ართურს სთხოვა, შინ წადი და ხმალი წამომიღეო.

— სიამოვნებით შევასრულებ შენს დავალებას, — უთხრა ართურმა, გაბრუნდა, ცხენს დეზი ჰკრა და ისარივით გააქროლა.

შინმისულს ყველანი ტურნირზე წასულები დაუხვდნენ. ქალბატონს შინაყმებიც კი თან ეახლებინა. გაჯავრდა ართური და თავისთვის წაიბურტყუნა: „წავალ ტაძრის ეზოში. ქვაში ჩაქედილი ხმალი რომაა, იმას ამოვაძრობ და სერ კეის მივუტან, აბა ასეთ დროს ძმას უხმლოდ ხომ არ დავტოვებ“.

ტაძრის ეზოში გულდაგულ შევიდა, ცხენი სარზე გამოაბა და პირდაპირ საყარაულო კარისაკენ გაემართა. რაინდები იქ არ დაუხვდნენ. ეტყობოდა, ყველანი სატურნირო ბრძოლის სანახავად გაკრეფილიყვნენ. ხმლის ვადას მისწვდა, მაგრად ჩაბლუჯა და ერთი მძლავრი მოხიდვით ამოგლიჯა ქვიდან. თავის ბედაურს მოაბტა, ძმისკენ გაქუსლა და სერ კეის ხმალი დროზე მიუტანა.

სერ კეიმ დახედა თუ არა, მაშინვე იცნო ის ხმალი, ქვიდან რომ იყო ამოჩრილი ტაძრის ეზოში. იგი სასწრაფოდ მიეახლა მამას — სერ ექტორს და უთხრა:

— ნახეთ, უფალო-მამავ, ეს ხომ ის ხმალია, ქვაში რომ იყო ჩაკირული, ახლა კი ინგლისის სამეფოს გვირგვინი უნდა დავიდგა თავზე.

როგორც კი სერ ექტორმა ხმალს თვალი მოჰკრა, შეიღებს უბრძანა, უკან მიჰყოლოდნენ, თვითონ კი ტაძრისაკენ გააბრუნა ცხენი და ჰენებით გასწია. სამივენი ტაძარში შევიდნენ. იქ სერ ექტორმა უბრძანა სერ კეის, ბიბლიაზე დაედო ხელი, დაეფიცა და გულწრფელად ეთქვა, როგორ მოხვდა მის ხელში ის ხმალი.

— სერ, — უთხრა შემცბარმა კეიმ, — ხმალი ჩემმა ძმამ ართურმა მომიტანა.

— როგორ მოხვდა შენს ხელში ეს ხმალი? — ახლა მას მიმართა სერ ექტორმა.

— ახლავე მოგახსენებთ, კეიმ რომ მითხრა, ხმალი მომიტანეო, სახლისაკენ გავწიე, იქ მისულს შინ არავინ დამიხვდა. ჩემთვის ვიფიქრე, ასეთ დროს ძმას უხმლოდ ხომ არ დავტოვებ-მეთქი, ტაძრისაკენ გამოვეშურე და ეს ხმალი ქვიდან სულ იოლად ამოვაძრე.

ყველა წმინდანის დღესასწაული — ეს დღესასწაული მთელ ევროპაშია დამკვიდრებული VIII საუკუნიდან. იგი ეძღვნება ყველა წმინდანსა და ყველა წამებულს, ცნობილსა და უცნობს. აღინიშნება 1 ნოემბერს.

- ხმალთან რაინდები არ იყვნენ? — ჩაეკითხა სერ ექტორი.
- არ ყოფილან, — უპასუხა ართურმა.
- მაშ, თქვენ ინგლისის ტახტისა და გვირგვინის მპყრობელი ვიქნებით, — უთხრა ართურს სერ ექტორმა.
- რაღა მე ვიქნები თვითმპყრობელი ინგლისისა, ვითომ ესაქმნება ჩემს მიზეზი უნდა იყოს? — გაუკვირდა ართურს.
- მიზეზი ღვთის განგება და სურვილია, — თქვა სერ ექტორმა, — მაგ ხმლის ამოძრობა ქვიდან მხოლოდ იმას დაუწესა ღმერთმა, ვინც ინგლისის კანონიერი მეფე უნდა შეიქნას. ახლა კი ვნახოთ, შეძლებთ თუ არა ხმლის უკანვე ჩაგებასა და კვლავ ამოძრობას.
- ეგ ხომ ძალიან უბრალო რამაა, — თქვა ართურმა და ხმალი უკანვე, ქვაში ჩააგო. ამაოდ ეცადა სერ ექტორი ხმალი კვლავ ამოეღო.

თავი მეთხუთსი

აქა ამბავი, როგორ ამოაძრო წინააღიწიან ართურმა რაჟდენჯიერმა ის ხმალი

- სცადეთ ბედი, — ახლა ძმას მიმართა ართურმა. სერ კეი მოეჭიდა ვადას, მაგრამ ხმალს ადგილიდან შვრა ვერ უყო.
- აბა ახლა ისევ თქვენ ამოაძრეთ, — მიმართა ართურს სერ ექტორმა.
- სიამოვნებით, — უთხრა ართურმა და ხმალი იოლად ამოაძრო ქვიდან. სერ ექტორი იმწამსვე მუხლებზე დაემხო და თაყვანი სცა მომავალ მეფეს. მამის მაგალითს მიჰბაძა სერ კეიმაც.
- ვაგლახ ჩემს თავსა! — წამოიძახა ართურმა, — საყვარელი მამა და ძმა მუხლებზე დამხობილნი დგანან ჩემ წინაშე, ვითომ რაო, რა მიზეზითა და საბაბით?
- არა, უფალო ართურ! მე თქვენი მამა არა ვარ და არც თქვენი სისხლიერი ნათესავი გახლავართ. თქვენ კიდევ უფრო კეთილშობილი სისხლისა ყოფილხართ, ვიდრე მე მეგონა. — მერე სერ ექტორმა, რაშიც განდობილი იყო, ყოველივე უამბო. წვრვლად მოუთხრო, როგორ და ვისი ბრძანებით აიყვანა იგი აღსაზრდელად, როგორ გადასცა ჩვილი ყრმა მერლინმა...
- სერ ართური შეძრა და დიდად დაახალგაიანა იმ ამბის შეტყობა, რომ სერ ექტორი მისი მშობელი მამა არ იყო.
- სერ, იქნებით თუ არა კეთილი და მოწყალე მბრძანებელი ჩვენ ზედა, როცა მეფე შეიქმნებით? — ჰკითხა ექტორმა.
- სირცხვილი და თავის მოჭრა ის იქნება, სიკეთე არ მივაგო იმათ, ვისგანაც სიკეთე და პატივი მახსოვსა... ან თქვენცა და თქვენს ძვირფას მეუღლეს, ვინც მე, როგორც თავისი ღვიძლი შვილს ძუძუ მაწოვა და აღმზარდა, და თუ მართლაც ღვთის ნებაა და, როგორც თქვენ ამბობთ, მე ინგლისის მეფე შევიქნები, თქვით რაც გენებოთ, და მყისვე ყოველივეს აღვისრულებთ, თვითონ ღმერთი არ ინებებს თქვენი სურვილი არ შევასრულო.
- სერ, — უთხრა ექტორმა, — მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, მინდა თქვენი ძუძუმტე, ჩემი შვილი, მთელი თქვენი მამულების მოურავად დანიშნოთ.
- იყოს ნება თქვენი და აღსრულდეს ნება ღვთისა, მე მეტსაც გეტყვით, ვიდრე ვიცოცხლებთ, ეგ სახელი მეტს არც არავის მიჰხედება წილად.

მერე არქიეპისკოპოსთან მივიდნენ და გაანდეს, ვინც ამოიღო ხმალი ქვიდან. ნათლისმცემლობა* დღეს ინგლისის სამეფოს ყველა ბარონმა ქვისთან მოიყარა თავა, რათა ერთხელ კიდევ ეცადათ ბედი, მაგრამ ხმლის აღვილიდან დაძვრა ართურის გარდა ვერავინ მოახერხა. ლორდთაგან ბევრი აღშფოთდა და განრისხდა იმ დღეს, ამ უგვარომა და უაზრო ღლაპმა ჩვენზედ უკეთესად იმეფოსო. ისეთი ჩხუბი და აყალმაყალი გაიმართა, რომ საქმე ღვთის სანთლისღების** დღემდე გადაიდო. ხმალს ათი რაინდი მიუჩინეს ყარაულად. კარავი დადგეს და იმ ათ რაინდს დღითა და ღამით ხმლის მეთვალყურეობა დაავალეს. დათქვეს, რომ სანთლისღების დღეს სამეფოს ყველა ბარონს ისევ ტაძრის ეზოში მოეყარა თავი.

მართლაც დათქმულ დროს ყველანი შეიკრიბნენ. ყველამ სცადა ხმალი ქვიდან ამოეძრო, მაგრამ ამჯერადაც ამოდ გაისარჯნენ. ართურმა კი, როგორც შობის, ისევე სანთლისღების დღეს ხმალი იოლად ამოაძრო. ბარონები ამ ამბავმა კიდევ უფრო განარისხა და აღაშფოთა, რის გამო საქმე აღდგომის დიდ დღესასწაულამდე გადადეს. აღდგომის დღესაც იგივე განმეორდა. მაშინ ძლიერთა იმა ქვეყნისათა, ლორდთა მოთხოვნით საქმე სამების დღესასწაულამდე*** გადადეს. მერლინის შეგონებით ამ დღისათვის კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ინგლისის სამეფოს ყველა რაინდს უხმო ტაძარში. აწვია ისინი, ვისაც ართურის მამა უთრ პენდრაგონი გულით ენდობოდა და მათი თანადგომის იმედი ჰქონდა. ართურს კი თანამდგომებად მიუჩინეს რაინდები: სერ ბუდიუინ ბრეტონელი, სერ კეი, სერ ულფიუსი, სერ ბრასტიასი. ისინი სამების დღესასწაულამდე დღედაღამ მასთან ერთად უნდა ყოფლიყვნენ.

თავი მახუთა

როგორ დაიღვა თავზე გვირგვინი მეფე ართურმა და როგორ გაანაწილა თანამდგომებანი

წმინდა სამების დღესასწაულზე კენტერბერის ტაძარს აუარებელი ხალხი მიაწყდა. ამ დღეს ტაძარში სულ სხვადასხვა წოდების ხალხი შემოკრბა. კვლავ ბევრი აღმოჩნდა მსურველი ხმლის ქვის ქარქაშიდან ამოზიდვისა, მაგრამ ვერა და ვერა, ხმალს ართურის გარდა აღვილიდან ძერაც ვერავინ უყო. კვლავ ლორდებისა და მთელი ხალხის წინაშე მხოლოდ ართურმა ამოაძრო ხმალი ქვიდან. მაშინ კი იზმუვლა ხალხმა: „ჩვენი მეფე ართური უნდა იყოს. ნებას არავის მივცემთ საქმე გააქიანურონ, ყველანი ვხედავთ, რომ ღვთის ნება-სურვილი ასეთია. ვინც ამის წინააღმდეგი წავა, სიკვდილს მოიმკის!“

ყველამ დაიჩოქა, მდიდრებმაცა და ღარიბებმაც და ერთხმად შექლადიდეს: „შეგვიწყალე, მეფეო, შეგვიინდე და მოგვიტევე, თუ ამდენ ხანს არ გაღიარეთ!“ ართურმა დიდსულოვნაო მიუტევა ყველას. მერე ხმალს წამოავლო ორივე ხელი და საკურთხევლის წინ, სადაც არქიეპისკოპოსი იდგა, დახარა —

* იგულისხმება ქრისტეს მონათლა მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ.

** სანთლისღების დღე — იგულისხმება კათოლიკური დღესასწაული, რომელსაც ლათინურად ჰქვია candelaria იესოს იერუსალიმის ტაძარში მოყვანის დღე, შობიდან მეორმოცე დღეს. ღვთისმშობლის განწმენდის დღე, ე. ი. 2 თებერვალი.

*** სამების დღესასწაული — ამ დღეს მორწმუნენი აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღნიშნავენ, აღდგომიდან მეშვიდე კვირის თავზე.

ასე იკურთხა იგი უღირსეულეს რაინდად იქ მყოფ გულოვან და მხნე რაინდთა შორის. ამას მოჰყვა ართურისათვის გვირგვინის კურთხევა. მაშინ შეჰფიცა მეფემ თავის ლორდებსაც და ერსაც, რომ ვიდრე არსთაგამრიგე, თავისთან უბმობდა, ქვეყანაში ქვეშარიტი სამართლიანობის დასამყარებლად დაბრუნდებოდა. მერმე, როგორც თვითმპყრობელ მეფეს შეჰფეროდა, მემამულე ლორდთაგანაც მოითხოვა შიანლება და პატივის მიგება. ამას მოჰყვა ის, რომ დაჯდა და სამართალი გააჩინა. შთისმინა მავანთა და მავანთ საჩივარი იმ დევნასა და შევიწროებაზე, რაც მეფე უთრის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთ ლორდს, რაინდს, ქალბატონსა და ბატონს განეცადა. ყურად იღო სამკვიდრო-მოკლებულთა ტახტისადმი ერთგულება და ბრძანა, ჩამორთმეული მიწები კვლავ ყოფილი მფლობელებისათვის დაებრუნებინათ.

და როს ლონდონის შემოგარენის მამულების საქმე მოაწესრიგა, სერ კეი ინგლისის მოურავად დანიშნა. სერ ბეუდიუინ ბრეტონელი მეჯინიბეთ-უხუცესად*, სერ ულფიუსი სამეფო კარის გამგებლად, ხოლო სერ ბრასტიასს სამეფოს ჩრდილოეთის საზღვრების მცველი ჯარის უფროსობა მისცა. ინგლისის სამეფოს მტრები, მაშინდელ დროში, ჩრდილოეთიდან უტევდნენ. განვლო რამდენიმე წელმა და მეფე ართურმა მთელი ჩრდილოეთი დაიპყრო. შოტლანდია და უელსი, სადაც მისი მტრების ზურგის მიმცემნი და გამმაგრებელნი ჯერ კიდევ ბოგინობდნენ, მრგვალი მაგიდის რაინდებით გარშემორტყმულმა, კეთილშობილმა, გულოვანმა და მამაცმა მეფემ დაიმორჩილა და სამუდამოდ შეიერთა.

თავი მამა

აქა ამბავი მამა ართურისაგან სამეფოს დღესასწაულის გამო უელსში დიდი ღვინის გადახდისა და ამ დღესასწაულზე დახსრამ მფხითა და ლორდთა აღწესება

საქვეყნო საქმეებზე რომ დამში მოიყვანა, მეფე უელსში გადავიდა და აღდგომის ორმოცდამეათე დღეს, მას მერმე, რაც ქალაქ კარლიონშიც ეკურთხებოდა, სამეფოს დიდი დღესასწაულის გამართვა ბრძანა. ამ დღესასწაულზე ლოუთიანისა და ორკნის მეფე ლოტი და მასთან ერთად ხუთასი რაინდი ესტუმრნენ. ოთხასი რაინდის თანხლებით დიდი ყოფით ეწვია გოთრის მეფე ურინსიც. შვიდასი რაინდი ახლდა თან გარლოტის მეფეს ნენტრესს. შოტლანდიის ახალგაზრდა მეფე დღესასწაულზე ექვსასი რაინდის თანხლებით გამოცხადდა. მშვენიერი საბრძოლო იარაღით აღკაზმული „ასი რაინდის მეფედ“ წოდებული მეფე და ხუთასი რაინდით გარშემორტყმული მეფე კარადოსიც იქ გაჩნდნენ.

მეფე ართური ამდენი სახელოვანი მეფისა და რაინდების სტუმრობამ ცუდით გაახარა. ჩემი სიყვარულით არიან შეძრულნი და დღესასწაულზე ჩემს პატივსაცემად მოვიდნენო, — ასე ფიქრობდა იგი. მეფე ართური ძალიან გამზიარულდა და მეფეებსა და რაინდებს დიდძალი საჩუქრები უბოძა. სტუმრებმა მისი ელჩები უკმეხად მიიღეს, საბოძვარი უკან დააბრუნეს და თან შხამნარევი სიტყვებიც დააყოლეს: რა საამოა ჯერაც უწვევრული მდაბიო წარმოშობის ყმაწ-

* Conestable — საჯინიბოთა გამგებელი, რომელიც ესატყვისება ჩვენებური სახლთუხუცესის, ქვეყნისა და ჯართა უფროსის სახელს.

ვილი კაცისაგან საჩუქრების მიღება. -- საჩუქრები ართურს ჩვენ თვითონ მოკუმზადეთ, ეს გახლავთ გალესილი მახვილი, რაც მის კისერზე უნდა გამოიკადოს. სწორედ ამისთვის გეახელით დღესასწაულზე, დიდ სიტყვებზედ მიგვარნია, თუ ასეთ სახელოვან სამეფოში მეფედ ასეთი ღლაპტუნიანი სიტყვებით გამოისტუმრეს მისი ელჩები უკან. მათი ნათქვამი რომ შეიტყო, მეფე თავისი ახლობელი ბარონების რჩევით გამაგრებულ ციხე-კოშკში შეიკეტა და თან ხუთასი რჩეული რაინდი იახლა. მეფეები ციხეს გარს სააღყოდ შემოეწყნენ, მაგრამ მეფე ართურს სიმაგრეში საომარი საჭურველი, ნუზლი და საგზალი საკმაოდ ჰქონდა.

მეთხუთმეტე დღეს ქალაქ კარლიონში მერლინიც გამოჩნდა. მოალყე მეფეებმა დიდად გაიხარეს მისი ნახვით და ჰკითხეს:

— რა მიზეზია, რომ ასეთი ღლაპი უნდა იყოს ჩვენს მეფედ?

— ბატონებო, მიზეზს მე თვითონ გეტყვით: ართური შვილი გახლავთ უთრ პენდრაგონისა და ტინტაჯილის ჰერცოგის ცოლყოფილის იგრეინასი.

— უკანონო შვილი ყოფილა, — ერთხმად წამოიძახა ყველამ.

— ართური ჰერცოგის აღსრულებისა შემდგომ ჩაისახა დედის საშოში, ჰერცოგის სიკვდილიდან მეცამეტე დღეს კი უთრ პენდრაგონმა ჯვარი დაიწერა იგრეინაზე. ასე რომ, იგი უთრ პენდრაგონის კანონიერი ძე და მემკვიდრეა. იმასაც გეტყვით, ვინც უნდა აღუდგეს წინ მის გამეფებას, იგი ყველას სძლეეს, მბრძანებელი შეიქმნება. ყველა თავის მტერს შემუსრავს და, ვიდრე იცოცხლებს, დიდხანს ძლევამოსილად იმეფებს ინგლისში, დაიპყრობს უელსს, ირლანდიას, შოტლანდიას და იმდენ სამეფოს გაიხდის მონა-მორჩილად, რომ ჩამოთვლაც კი მიჭირს.

გაიოცეს მეფეებმა მერლინის ნათქვამი და გაბრჭეს: ალბათ, რასაც მერლინი ამბობს, ზეცაშია გადაწყვეტილით, მაგრამ მეფეთა შორის აღმოჩნდნენ ისეთნიც, როგორც ლოტი იყო. ვინც ყური არავის ათხოვა და დასცინა მერლინის ნათქვამს, გაამასხარავა და გააქილიკა. მასთან ერთად ბევრმა სხვამაც გააბურთავა მერლინის სიტყვები და სასწაულმოქმედი ჯადოქარიც უწოდეს. ერთ ამბავში კი ყველანი შეუთანხმდნენ მერლინს: მეფე ართური სიმაგრიდან გამოვიდეს და გველაპარაკოს, აღთქმა დაგვიდევს და შემოგვეფიცავს, არას ვავნებთო. მერლინი მეფე ართურისაკენ გაემართა, სიმაგრეში შევიდა, მოინახულა, მოეთათბირა და დამოძღვრა:

— შიში ნურავისა და ნურაფრისა გექნებათ, სერ, თამამად გამოდით სიმაგრიდან და მოალყეებს ელაპარაკეთ. არც არავინ დაინდოთ და არც არავინ შეიცოდოთ ისე ელაპარაკეთ, როგორც მათ მეფესა და მბრძანებელს შეპფერის, რადგან, უნდათ თუ არა, თქვენ მაინც მათზე აღმატება და აღზევება გელით, ეს იქ, ზეცაშია გადაწყვეტილი.

თავი მუშვიდე

ართურ მეფის პირველი ბრძოლისა და გამარჯვების აღბავი

მეფე ართური სიმაგრიდან გამოვიდა, მოსასხამქვეშ ორმაგად წნული ჯაჭვის პერანგი ეცვა. მეფეს თან გამოყვნენ: კენტერბერის არქიეპისკოპოსი, სერ

ბეუდიუინ ბრეტონელი, სერ კეი და სერ ბრასტიასი. ყველა ეს ღირსეული გვამი თან ახლდა მბრძანებელს. როცა მეფე ართური მეფეების: ლოტის, ურიენსის, ნენტრესის, კარადოსის და სხვათა პირისპირ დადგა, სიმბდალე და სილაჩრე ორივე მხრიდან ძლეული აღმოჩნდა. აქეთ-იქიდან ითქვან ცხარე-ცხარე სიტყვები, დაბოლოს მეფე ართურმა უთხრა მათ: თუ ვიცოცხლე, როგორც ქვეშევრდომთ წესია, მოგდრეკთ, ფარ-ხმალს დაგაყრევინებთ და ჩემი ხედასურვილის მორჩილად გაქცევთო. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოქიშპე მეფეები აღშფოთებულნი და განრისხებულნი განერიდნენ ართურ მეფეს. — „მიჯრთხილდით, გაგსრესთ!“ — უთხრა მათ ართურმა. „თვითონაც გვიფრთხილდი, მეფევ!“ ასეთი საუბრის მერმე მეფე ციხე-სიმაგრეში შემოიქცა, საომარი საჭურვლით აღიჭურვა და თავისი რაინდებიც შეაიარაღა.

— რა უნდა ჰქმნათ? — ჰკითხა მერლინმა მეფეებს. — გირჩევთ გონს მოეგოთ და გულისხმაში ჩავარდეთ. ათჯერ მეტიც რომ იყოთ, მაინც დამარცხება გიწერიათ.

— გვეკადრება კი ჩვენ, მეფეებს, სიზმრების ამხსნელსა და მუცლით-მეზღაპრეს მივუგდოთ ყური! — დაიღრიალა მეფე ლოტმა.

მერლინი იმწამსვე განერიდა ვაალმასებულ მეფეებს. იგი მყისვე მეფე ართურთან გაჩნდა და ურჩია, შენი რაინდებით ახლავე დაესხი თავს განდგომილთო. ამასობაში მეფეებს სამასი რაინდი განუდგათ და ართურს მიუვიდნენ, რამაც იგი ძალიან გაახარა.

— სერ, — მიმართა ართურს მერლინმა, — ხმალს, რაც ღვთის განგებითა და შეწევნით გერგოთ, თუ ძალიან არ გაგიჭირდეთ, ნუ მოიხმაართ. ხოლო თუ ნახოთ, რომ გასაჭირის წუთები დადგა, იშიშვლეთ ის ხმალი და, რაც დახსნის ძალი გქონდეთ, მიეცით თქვენი მტრები მახვილთა სობას.

ხმალამოწვდილი ართური სერ ბეუდიუინის, სერ კეის, სერ ბრასტიასის თანხლებით მტერს საკუთარ ბანაკში მიუხდა და დაიწყო მათი უმოწყალო ჩეხვა. მეფე ართური წინ უძღოდა თავისიანებს და მარჯვნივ და მარცხნივ იმდენი მტერი მოსრა, რომ მოხერხებით და გულოვნობით ყველანი განაცვიფრა. ამ დროს, სად იყო და სად არა, მეფე ლოტი, ასი რაინდის მეფე და მეფე კარადოსი უკანიდან მოეპარნენ ბრძოლაში გართულ ართურს და ზურგიდან შეუტყეს.

მოუბრუნდა მეფე ართური თავისი რაინდებით ზურგიდან თავდამსხმელთ და, ვიდრე ცხენი არ მოუკლეს ბრძოლის შიგ შეაგულ ქარცეცხლში მყოფს, კუდით სულ ქვა ასროლინა. იმარჯვა ამ დროს მეფე ლოტმა, ხმალი მოუტყნია და მეფე ართური ძირს დასცა. ოთხმა რაინდმა თავი გადასდო მეფისათვის, იმწამსვე მასთან გაჩნდნენ, დებზე წამოაყენეს, სხვა ცხენი მიჰგვარეს და ზედ შესვეს. მაშინ კი იშიშვლა მეფემ ხმალი იგი ექსკალიბური, რომელმაც ელვასავით გაანათა და ოცდაათი ჩირაღდნის სიკაშქაშით თვალი მოსჭრა ორგულთ. ბევრმა თავს გაქცევით უშველა, ბევრიც აჩეხეს. მაშინ კი აღდგა ქალაქ კარლიონის მოსახლეობა, ხელკეტებით, კომბლებითა და წათებით დაერია რაინდებს და ბევრი მათგანი უსულო ჰყო. განდგომილი მეფენი კი შექუჩდნენ, ცოცხლად დარჩენილ რაინდებთან ერთად ჯერ ოტებულ იქნენ და მალე ბრძოლის ველიდან სრულიად გაუჩინარდნენ. ართურს კვლავ მერლინი გამოეცხადა და ურჩია, მათი დევნა შეეწყვიტა.

როგორ მოიხვია მალა ართურმა, მერლინის რჩევით,
და მათი მიომრული თათბირი



მეფე ართურმა გამარჯვების ლხინი გადაიხადა და მერე ლონდონისაკენ გაემართა. აქ, ლონდონს, აწვია მეფემ თავისი ერთგული ბარონები, რამეთუ მერლინმა გააფრთხილა, შენ წინააღმდეგ მემომარი ექვსივე მეფე დაუყოვნებლივ თავს დაგესხმისო. დაეთათბირა მეფე ართური ბარონებს. ბარონებმა კი რჩევის სანაცვლოდ მეფეს უთხრეს, ჩვენ საკმაოდ ძლიერნი ვართ და უმჯობესია იარაღი ვალაპარაკოთო.

მეფემ ნათქვამი მოუწონა და მამაცობისათვის მადლი მოახსენა.

— ვისაც გულით გიყვარვართ, იქნებ მაინც ჰკითხოთ მერლინს რჩევა-დარიგება. მოგეხსენებათ, რამდენადა ვარ დავალებული მისგან და რაოდენი რამ უწყის ამ კაცმა. როცა იხილავთ, თაყვანი ეცით და შეემუდარეთ, რათა კარგი რჩევა-დარიგება მოგცეთ.

ბარონებმა ერთხმად აღუთქვეს მეფეს, როგორც კი გამოჩნდება მერლინი, თაყვანსა ვცემთ და რჩევას ვკითხავთო. მერე მერლინს უხმეს და ყველა ბარონი ეაჭა, კარგი რჩევა-თათბირი მოგვეცითო.

— აი, რა მინდა ვითხრათ, — წამოიწყა მერლინმა, — ფრთხილად იყავით და ძალიან გონივრულად მოიქეცით. თქვენ წინ ძალზე ძლიერი და ბრძოლებში გამოწრთობილი მტერი დგას. ახლა ოთხი მეფე და ერთი უძლიერესი ბერცოგი კიდევ მიიმხრეს. თუ ჩვენს მეფეს მთელი სამეფოს რაინდობამ არ დაუჭირა მხარი და ბრძოლაში თავგანწირვით არ გადაეშენენ, მტერი დაგვკაზნის და მეფესაც მოგვიკლავენ.

— რა მოვიმოქმედოთ? — ერთხმად ჰკითხეს ბარონებმა მერლინს.

— სწორედ ამიტომ მინდა გაუწყოთ, რომ ზღვას იქით ორი ძმა ცხოვრობს, ორივე გვირგვინოსანია და ორივენი ბრძოლებში გამობრძმედილი მებრძოლები არიან. ერთ მათგანს ბანს ეძახიან, იგი ბენვიკის მეფეა, მეორეს კი ბორსი ჰქვია და გალელთა, ანუ ფრანგთა მეფე გახლავთ. ამ მეფეთა წინააღმდეგ ბრძვის ძლევამოსილი ვაჟკაცი და მეფე კლაუდასი. მათ შორის შუღლი ერთი ციხე-სიმაგრის გამო ჩამოვარდა და ის შუღლი ომის ხანძრად იქცა. მეფე კლაუდასი ძალზე მდიდარია. სწორედ იმ სიმდიდრის წყალობით ახერხებს შესანიშნავი რაინდების მიმხრობას და იმ ორ მეფეს ბრძოლებში სჯაბნის. ჩვენმა მეფემ და მბრძანებელმა ჯერ კარგი წერილი უნდა დაწეროს, ბანსა და ბორსთან ორი სანდო რაინდი გააგზავნოს, თავის სასახლის კარზე მოიწვიოს ისინი და ბრძოლაში დახმარება სთხოვოს. მეფეებს ფიცით უნდა შეეკრას და აღუთქვას, რომ მერე კლაუდასთან ბრძოლაში თვითონ დაეხმარება. მოგწონთ თუ არა ჩემი თათბირი?

— ძალიან კეთილი და გონივრული რჩევაა, — თქვა ართურმა.

სასწრაფოდ აღკაზმეს და მოამზადეს სამგზავროდ ორი ბარონი, შეთხრეს თავაზითა და გულითადობით აღსავსე სტრიქონები. ის დესპანებად გაგზავნილი რჩეულნი კი სერ ულფიუსი და სერ ბრასტიასი იყვნენ. ფეხმალ ცხენებზე ამხედრდნენ რაინდები, ზღვა გადაცურეს და ქალაქ ბენვიკისაკენ ისევ ცხენებით ვაჭქუსლეს. ბენვიკის შორიახლო ისინი რაინდებმა შეამჩნიეს და მათი დატყ-

ვევება მოიწადინეს. რაინდები რვანი იყვნენ. სერ ბრასტიასმა და სერ ულფიუსმა უცნობ რაინდებს თავისი ვინაობა გაუმხილეს და მშვიდობიანად განსაცემად ითხოვეს.

— რაკი აგრეა, ან ტყვედ უნდა დაგვცნებდეთ, ანდა დაგვწყვიტოთ იყო პასუხი.— ჩვენ მეფე კლაუდასის რაინდები გახლავართ.

ამ სიტყვებზე ორმა მათგანმა ულფიუსისა და ბრასტიასის წინააღმდეგ შუბლები მოიმარჯვა. არც ამათ დაუხანებიათ ჰოროლების საბრძოლოდ წმართვა და ასე მზადყოფნი ეძგერნენ ერთმანეთს. დაემსხვრათ ჰოროლები მეფე კლაუდასის რაინდებს. ულფიუსმა და ბრასტიასმა უნაგირებიდან ჩამოაგდეს კლაუდასის ორი რაინდი და ქალაქისაკენ გაქუსლეს. დანარჩენმა ექვსმა მათთვის გზის მოჭრა მოიწადინა და უკან გამოუდგნენ. კიდევ ორი რაინდი განჭირეს ულფიუსმა და ბრასტიასმა და კვლავ თავისი გზით გაეშურნენ და ოს მთოხე გზაჯვარედინზე ორი ორზე დარჩა. ულფიუსსა და ბრასტიასს კვლავ ეყოფა მემართება ისინი ცხენებიდან მიწაზე ჩამოეყარათ. რვავე რაინდი მძიმედ იყო დაჭრილი.

როცა ნაბრძოლმა და დაქანცულმა რაინდებმა ქალაქ ბენვიკს მიაღწიეს, საბედნიეროდ, მეფეები ბანი და ბორსი ორავენი იქ დაუხვდნენ. მეფეებს აცნობეს, რომ ელჩიონი ეახლათ. იმწამსვე მეფეებმა ულფიუსთანა და ბრასტიასთან ორი სახელოვანი რაინდი წარმოგზავნეს. ერთი მათგანი, სახელად ლიონსი, პალერნის პატრონი, ხოლო მეორე, სერ ფარიანსი, ცნობილ და სახელმოხვეჭილი რაინდი. ულფიუსსა და ბრასტიასს იმწამსვე ჰკითხეს საიდან მოხვედითო. არც მათ დაუყოვნებიათ პასუხი და, ინგლისის მეფე ართურის წარმოგზავნილები ვართო, განაცხადეს. რაინდები დიდი სიხარულით გადაეხვივნენ ერთურთს. ლიონსმა და ფარიანსმა თავიანთ მეფეებს მოახსენეს ართურის წარმოგზავნილთა მოსვლის მიზანი. მეფეებმა მყისვე მიიღეს ინგლისელი რაინდები, მათი სტუმრობის გამო არც თავიანთი აღტაცება და სიხარული დაუფარავთ და რაინდებს სიტყვიერადაც გაანდეს გულსნადები პასუხი „ართურის წარმოგზავნილნი ჩვენივეს ყველაზე სასიამოვნო სტუმრები ხართ“. ულფიუსი და ბრასტიასი ართურის წერილებს მოწიწებით ეამბორნენ და მეფეებს გადასცეს. როცა მეფეებმა ბანმა და ბორსმა წერილები წაიკითხეს, სტუმრებს თავაზი და პატივისცემა კიდევ უფრო გაუმრავლეს. მეფეებმა ბანმ და ბორსმა ელჩებს განუცხადეს, ართურის სურვილი ურთიერთდახმარების აობაზე აღსრულდებოდა, ულფიუსსა და ბრასტიასს კი შეეძლოთ, რამდენ ხანაც ინებებდნენ, დარჩენილიყვნენ მათ საბრძანებელში, სადაც სტუმრები პატივისცემასა და სიყვარულს ვერ მოისაკლისებდნენ. ულფიუსმა და ბრასტიასმა მასპინძლებს უამბეს თავიანთი თავგადასავალი რვა რაინდთან შეხვედრაზე.

— აჰა! — თქვეს ბანმა და ბორსმა, — ჩვენი ძველი ნაცნობები უაღილან. გვცოდნოდა, ეგენი ჩვენი ხელიდან თავს აგრე იოლად ვერ დააღწევდნენ.

ორივე რაინდს, როგორც მათ ღირსებას შეჰფეროდა, ისეთი პატივი მიაცეს. ორივენი იმდენი საბოძვრით დააჯილდოვეს, რისი ზიდვაც შეეძლოა სიტყვიერად და წერილობით კი განუცხადეს და აუწყეს, რომ ორივე მეფე ართურთან რაც შეიძლება მალე გაჩნდებოდა.

რაინდები ინგლისისაკენ შემოიქცნენ, ზღვა გადალახეს, თავის მბრძანებელს ეახლნენ და ელჩობის წარმატებით დაგვირგვინება აუწყეს. ართურს გულით გაიხარა და ჰკითხა:

— მაინც რას ფიქრობთ, რამდენ ხანში ჩამოვლენ მეფენი?
 — სერ, — მოახსენეს ულფიუსმა და ბრასტიასმა, — ჩვენი აზრით, მათი მოლოდინი ყველა წმინდანისა და წამებულის დღესასწაულზე ადრე უნდა გვქონდეს.

მეფე ართურმა ბრძანა იმ დღესასწაულისათვის ჯვარტყნად მსმხადებუ-
 ლიყვენ. ეხმოთ მეჰმანდარნი — სუფრაჯნი — მეტაბლენი, მარეკები, ბახიე-
 რები მეოჩხენი, კონნი, მუტრიბნი, მომღერალნი, მოეწყოთ ტურნიირი, ორთაბ-
 რძოლები და მხიარული გართობა-შექცევანი. დათქმული დღისათვის ყოველივე
 მზარ იყო. კეთილშობილი მეფენი დროულად ჩამოვიდნენ. მათ თან ახლდათ
 ყოელმხრივ შეჭურვილი, ომისა და მშვიდობისათვის მზადყოფი სამასი რა-
 ინი. მეფენი ბანი და ბორსი, როგორც გვირგვინოსნებს, შეჰფეროდათ, იმ პა-
 ტვითა და დიდებით მიიღეს და ლონდონისაკენ წარუძღვნენ. ლონდონიდან ათ
 მილზე მათ გამოეგებათ მეფე ართური. შეხვედრის სიხარული და აღტაცება
 ერთ აუწყრელი რამ იყო.

ყველა წმინდანისა და წამებულის დღესასწაულიც დადგა. უდიდეს სამე-
 ფო დარბაზში სამი მეფე იჯდა მორტმით და მათ ემსახურებოდნენ: სერ კეი.
 სრულიად ინგლისის მოურავი, ჰერცოგ კორნეუსის ძე სერ ლუკასი — სახლთუ-
 ხუცესი და მეტსახელად ღვთის შვილი, კარდალელი სერ გრიფლეტი. ამ სამ
 რაინდს მოწებდა იმ დღეს მეფე ართურის ყველა შინაყმა. როცა ღზინს მორ-
 ჩნენ და ხელები დაიბანეს, იმწამსვე, ვისაც კი ორთაბრძოლაში ჩაბმა ენატრე-
 ბოდა და ტურნიირში მოწაწილეობა უნდოდა, მეფეთა ირგვლივ შემოკრბნენ.
 მთლიანად შვიდასი მხედარი მოჯარულიყო. მეფენი ართური, ბანი და ბორსი,
 კენტერბერის ეპისკოპოსი, სერ კეის მამა სერ ექტორი მომალლო ადგილზე,
 ზარბაზითა და ოქროქსოვილით გადახურულ სასახლის კამარის მსგავს ჩარდაზში
 ისხდნენ. მათთან იყვნენ კეთილშობილი ქალბატონებიც. იქიდან ადევნებდნენ
 თვალს, ვინ გაიმარჯვებდა ტურნიირში, და გამარჯვებული მათ უნდა დაესახე-
 ლებნათ.

თავი მეცხრა

ამა ამბავი დიდი ტურნირისა, რომელიც მოხდა ართურმა, ბანმა
 და ბორსმა გამართეს, და როგორ გადალახეს ზღვა

მეფეებმა ართურმა, ბანმა და ბორსმა ბრძანეს და ის შვიდასი კაცი ორ ნა-
 წილად გაიყო. ერთ მხარეს მოეწყო ბენვიკელი და გალელი სამასი მხედარი
 და ორთაბრძოლებისათვის გაემზადნენ. იფარეს დარაკნი და მოიმარჯვეს პო-
 რალნი და შუბნი.

ორთაბრძოლაში გრიფლეტი ჩაება პირველი. მისი მოწინააღმდეგე კი რა-
 ინი ლედინასი იყო. ისინი ისე გაშმაგებით ეკვეთნენ ერთუროს, რომ მაყუ-
 რბელი მხედრები განაცვიფრეს. ფარი ორივეს ნამსხვრევებად ექცა და ცხე-
 ნბი თავის მხედრებიანად მიწაზე გაიშლართნენ. ფრანგი რაინდიცა და ინგ-
 ლისელიც იმდენ ხანს იყვნენ უმოძრაოდ გარინდებული, რომ ყველას ეჭვი
 შეეპარა, ხომ არ დაიხოცნენო. სერ ლუკას სახლთუხუცესმა დალანდა თუ არა,
 გრიფლეტი მიწაზე გაშლართულა და აღარ ინძრევიაო. მიეაზლა და ცხენი მიპ-

გვარა. გრიფლეთი სხვა ცხენზე ამხედრდა და სხვა ახალგაზრდა რაინდებთან ერთად არაერთი საოცარი საგმიროს საქმე ჩაიდინა.

მერე მოედანზე ხუთ რაინდთან ერთად სერ კეიმ გამოაჩინეს ქვეყნი და ბრძოლაში ექვსი რაინდი დასცა მიწაზე. იმ დღეს სერ კეიმ ბრძოლაში იმდენი განსაცვიფრებელი რამ გამოავლინა, რომ თავი მასავით არავის უსახელებია. მათ წინააღმდეგ კი ისეთი საოცარი ოსტატობით იბრძოდნენ ფრანგი რაინდები ლედინასი და გრაციასი, რომ მათი ქებისაგან თავი ვერავინ შეიკავა. მერმე სერ კეის წინააღმდეგ სარბიელზე გამორჩეულმა რაინდმა პლაციდასმა გამოაბტუნა მერანი და მხედარი ცხენიანად მიწაზე გააკრა. გრიფლეთი განარისხა თანამემამულის დაჯაბნამ და სერ პლაციდასს ისეთი ძალით ეძგერა, რომ ცხენიცა და კაციც მიწაზე გაშლართა, სერ კეის ხუთმა რაინდმა კი მიწას. უსულოდ მდებარესავით, გაკრული დამარცხებული პატრონი რომ იხილეს, სიშმაგისაგან ცეცხლად ქცეულნი პლაციდასის რაინდებს ეკვეთნენ და ყოველმა მათგანმა თითო მოწინააღმდეგე დაჯაბნა.

როცა მეფეებმა: ართურმა, ბანმა და ბორსმა რაინდთა სიშმაგე და განრისხება შენიშნეს, ტანდაბალ ბედაურებზე ამხედრდნენ და ყველას კარგებში შესვლა უბრძანეს... რაინდები დაიშალნენ, ჯაჭვის აბჯარი გაიხადეს, საქურველი აიყარეს, მწუხრის ლოცვაზე წავიდნენ და მერე ივახ'ქეს. სერობის შემდეგ სამივე მეფე ბალში გამობრძანდა და ტურნირში გამარჯვებულებად სერ კეი, სერ ლუკას სახლთხუცესი და სერ გრიფლეთი გამოაცხადეს. მერე საომარ საქმეთა გასაბჭობად განცალკევდნენ. მათთანვე იყო მეფეთა: ბანისა და ბორსის განსწავლული და ბრძენი ძმა გვენბაუსი. თათბირზე იხმეს ულფიუსი, ბრასტიასი და მერლინი. დიდხანს ითათბირეს და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. დილით წირვაზე იყვნენ, ისაუზმეს და ისევ ბჭობად დასხდნენ. იღავეს. იკამათეს და განარიგეს, როგორ უჯობდათ მოქცეულიყვნენ.

დაბოლოს გადაწყდა, მეფე ბანის ბეჭდით აღჭურვილი მერლინი გამგზავრებულიყო მეფეთა — ბანისა და ბორსის ქვეშევრდომებთან, ხოლო გრაციასსა და პლაციდასს უბრძანეს თავიანთ ციხე-სიმაგრეებში დაბრუნებულიყვნენ და იქ გამაგრებულიყვნენ. ბენვიკის მეფე ბანმა და ფრანგთა მეფე ბორსმა უკანასკნელი რჩევა-დარიგებით აღჭურვეს წარგზავნილნი. მათ კვლავ გადალახეს ზღვა და ბენვიკში ჩავიდნენ. როცა ხალხმა გრაციასსა და პლაციდასს თვალი მოჰკრა, და მეფე ბანის სამეფო ბეჭედი იხილა, წარგზავნილნი დიდის პატივით მიიღეს და კითხვები დააყარეს: ჩვენი მეფენი როგორ ბრძანდებიანო. მათი სასიკეთო ამბის მოსმენაზე კი გულით გაიხარეს.

მეფეთა ნება-სურვილის მორჩილი მეომრები, რაც შეეძლოთ, სწრაფად აღიჭურვნენ. სულ თხუთმეტი ათასი კაცი იყო: ცხენოსანნი და ქვეითნი. მერლინის თადარიგითა და ზრუნვის მეოხებით არც ნუხლი და სალაშქროდ საქიროს სხვა რამ აკლდათ. გრაციასა და პლაციდასს სამშობლოში დარჩნენ და ვერავინ მეფე კლაუდასის წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლის თადარიგს შეუდგნენ.

მერლინმა ისევ გადალახა ზღვა. მეომრებს ზღვაზეცა და ხმელეთზეც ყოველივე თავზესაყრელად ჰქონდათ. მერლინმა ქვეითნი შინ გააბრუნა და დან მხოლოდ ათი ათასი ბრძოლებში გამობრძმედილი მხედარი იახლა. ისინი დუვრში გადმოსხდნენ გემებიდან. მერლინი თავისი ეშმაკური ჩანაფიქრის მიხედვით იქცეოდა. ჯარებს ქვეყნის ჩრდილოეთისაკენ წარუძღვა, ფართული ბილიკებით ატარა და სრულიად საიდუმლოდ ბედგრეინის ტყეში, ველზე დასცა კა-

რავი. მერმე მეფე ართური და მეფენი ბანი და ბორსი მოინახულა, და უამბო, რაც მოიმოქმედა. გვირგვინოსანნი გაოცებულნი იყვნენ, როგორ შეიძლო ამ კაცმა სრუტის ასე სწრაფად გადალაზვა და სპიანად უკან მობრუნებაო. მერლინმა მეფეებს ისიც უთხრა, ის ათი ათასი კაცი ბედგრეინის ტყეში ყავს დამალულიო.

სამსჯელო და გასაბრტყობი აღარაფერი ჰქონდათ. ვისი თავმოყრაც კი მეფე ართურმა შეიძლო. ყველანი ცხენზე ამხედრდნენ. ოცი ათასი მხედრის თანხლებით დაჰქროდა მეფე ართური თავის საბრძანებელში და დღედაღამ მოსვენება არა ჰქონდა. მერლინის მითითების საფუძველზე, არც ქვეითსა და არც ცხენოსანს, თუ მეფე ართურის განსაკუთრებული საიდუმლო ნიშნით არ იყო აღჭურვილი, უფლება არა ჰქონდა ტრენტს იქით გაეჭაჰანა. სწორედ ამ მითითების წყალობით იყო, მეფე ართურის მტრებს რომ იქაურობაში ფეხი ამოეკვეთათ, თავის ნებაზე ველარ დაბრძანდებოდნენ და იქ მომხდარ ამბებზე თვალყური ველარ ეჭირათ.

თავი მათე

როგორ შეპრიბა საა თერთმეხმა გვირგვინოსანმა მეფე ართურის წინააღმდეგ

განვლო ძალზე მცირე დრომ. სამივე მეფე ბედგრეინის ტყეს მიადგა და თავისი თვალთ იხილეს მშვენივრად შეიარაღებული, დიდებული მხედრობა. რამაც ისინი ძალზე გაახარა. მხედრიონს ლაშქრობაში საჭირო და გამოსადეგი ნუზლიც არ აკლდა.

ასე შეიქმნა ჩრდილოეთის ლაშქარი. ეს მხედრიონი შექმნა იმ ექვსმა განაწყენებულმა მეფემ, კარლიონში ჩხუბი და დავა რომ წამოიწყეს. იმ განდგომილმა და შეთქმულმა ექვსეულმა კიდევ მიიმხრო ხუთი მეფე. მათ ჯარი შეჰყარეს და ერთმანეთს შეჰფიცეს, ვიდრე მეფე ართურს ბოლოს არ მოვუღებო, ჩვენთვის ბედნიერი წუთი არ იარსებებსო.

ერთმანეთის წინაშე ფიცსა და მტკიცს მოჰყვნენ. პირველმა კანბენტის პერცოგმა თქვა, ხუთი ათას დარჩეულ მხედარს მოვიყვანო. მერმე მეფე ბრანდეგორის სტრანგორელმა ითავა ხუთი ათასი ცხენოსნის თანხლება. მეფე კლარენს ნორთუმბერლენდელმა სამი ათასი მეომრის მოყვანა იკისრა. ღირსებით შემკულმა ასი რაინდის მეფემ შეჰფიცა, ოთხი ათას დარჩეულ მხედარს მოგვეგვრითო. მერმე ფიცი წარმოთქვა დიდებულმა რაინდმა, სერ გავეინის მამამ, მეფე ლოტმა და შეთქმულთ ხუთი ათასი მოლაშქრე ცხენოსნის მოყვანა აღუთქვა. ფიცით დაადასტურა თავისი სიტყვა გოორელმა, ივეინის მამამ, მეფე ურიენსმა. იგი თანამზრახველთ ექვსი ათასი მხედრის მოყვანას შეჰპირდა. იდრის კორნუელელმაც ხუთასი მხედრის გამოყვანა ითავა. მეფე კრადილმანსმა ხუთი ათასი მხედრის მოყვანა იკისრა დათქმულ ადგილზე. მას არც მეფე ანგვისანს ირლანდიელმა დაუდო ტოლი და იმანაც ხუთი ათასი მხედრის შეკრება-წინამძღოლობა აღუთქვა. მეფე კარადოსმაც შეჰფიცა თანამდგომთ, ხუთი ათასი მხედრით მოგადგებითო კარვებთან. ასე რომ, ამ დიდი ჯარის მონაწილენი ბრძოლებში გამოჩეკილი მებრძოლები იყვნენ, სულ დარჩეული მხედრები, ორმოცდაათი ათასი კაცი, ხოლო ქვეითნი ათი ათასამდე მეომარი. რო-

გორც კი ეს დიდძალი მხედრობა საომრად დაირაზმა, წინ აეშაგნი და მზვე-
რავნი გააგზავნეს. ამაზე აღრე თერთმეტი მეფის გაერთიანებულმა ლაშქარმა
ბედგრეინის ციხე-სიმაგრეა შემოარტყა ალყა. მერმე ჯარის ძირითადმა ნა-
წილმა ალყა მოხსნა, ართურის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა და მო-
ალყეებად მხოლოდ მცირერიცხოვანი მხედრობა დატოვა. ბედგრეინის ციხე-
სიმაგრე ართურს ეპყრა და იქ მყოფი მეციხოვნენი მისი ხალხი იყო.

თავი მეთერთმეტე

აქა სიზმარი, რაიც ასი რაინდის მუხემ იხილა

ადგილის დასათვალიერებლად და გარემოში გასარკვევად, მერლინის რჩე-
ვით, მეფე ართურმაც წარგზავნა წინ-წინ აეშაგნი და მზვერავნი, ისინი თერთ-
მეტი მეფის მზირთ გადაეყარნენ. მეფე ართურის მზვერავებმა იმარჯვეს და
თერთმეტი მეფის მზირი აიძულეს გაეცათ თავიანთი ლაშქრის ადგილსამყო-
ფელი, მოძრაობის მიმართულება და სავარაუდო განზრახვლებანი. როცა მეფე
ართურს მოხსენდა ყოველივე, მან მცირე თათბირი გამართა მოკავშირე მე-
ფეებთან: ბანთან და ბორსთან და სამეულმა ერთობლივად გადაწყვიტა, მტრის
გზაზე ყოველივე მოესპოთ და გადაებუგათ.

ბრძოლაში ჩაბმამდე ორი დღით აღრე ასი რაინდის მეფეს საოცარი სამ-
დაესიზმრა: ვითომ ძლიერი გრიგალი ამოვარდა, მათი ციხე-ქალაქები მანანგრ-
მანანგრია და მერმე საიდანღაც მოვარდნილმა წყალმა ყოველივე თან წაიღო.
ვინც კი ეს საოცარი სიზმარი მოისმინა, ყველამ ერთხმად აღიარა, წინ რადი
ბრძოლები გველისო. რაკი იცოდნენ, რა გზით მოემართებოდა თერთმეტი მეფის
ლაშქარი და ლამით სად დასცემდნენ კარვებს, მერლინის რჩევით, მეფე არ-
თურის მოლაშქრენი შუალამისას მოულოდნელად მიუხდნენ მოწინააღმდეგეს.
იუმცალა ლამის გუშაგებმა ისინი შენიშნეს და საომარი განგაში ატეხეს: აბჯარი
აისხით, ლორდებო! მტერი ცხვირწინაა!

თავი მეთორმეტე

როგორც იოვან თერთმეტი მუხემ მხედრობამ ართურის ლაშქრის წინააღმდეგ
და სამხედრო საქმეში განოჩინილი სიკვდილის, გულთვანებისა და მახვცობის ანგნა

მეფე ართურისა და მეფეთა: ბანისა და ბორსის ერთგულმა და სახელო-
ვანმა რაინდებმა ისე გააფთრებით შეუტრეს მოწინააღმდეგეს, რომ კარვები
პირდაპირ თავზე წამოამხეს. არც თერთმეტ მეფესა და მათ სპას გამოუჩენია
ბრძოლაში სიმხდალე და მათი მზრიდან იმ ღამეულ შერკინებისას ათი ათასი
მებრძოლი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ სისხლის ღვრა და ხოცვა-ტლევა
ამით არ მომთავრებულა. თერთმეტ მეფეს კიდევ ჰყავდა ორმოცდაათი ათასი
მამაცი მოლაშქრე.

ცაზე მრუმე ფერებს თანდათანობით შეერია ნათელი. მერლინმა კიდევ
ერთი რჩევა მისცა სამ მეფეს: ახლა ისე მოიქეცით, როგორც მე გეტყვიო. მე-

ფეებმა: ბანმა და ბორსმა თან იახლონ ათ-ათი ათასი მებრძოლი და ვაიენე-
ბამდე ტყეში ისე შეიმალონ, რომ მათი ასავალ-დასავალი ვერაფერს შეიტყოს.
ამასობაში თქვენ და თქვენი რაინდები მოწინააღმდეგეს უნდა გაუშვათ.
როგორც კი კარგად ინათებს, ლაშქარი საბრძოლველად კარგად იმყოფება თვალ-
წინ მოაწყვეთ. მოწინააღმდეგე რომ თქვენს ოცი ათასს მებრძოლს დაინახავს,
რიცხოობრივი უპირატესობით გულმოცემული გათამამდება და შეტევას აღარ
დააყოვნებს.

სამივე მეფემ და ბარონებმაც თქვეს, რომ მერლინის თათბირი ჭეშმარიტად
სწორი იყო და, როგორც მან ურჩიათ, ისე მოიქცნენ.

გარიჟრაჟმა მოპირდაპირეთ საშუალება მისცა ერთმანეთის რიცხოობრივი
ძალები შეეთვალიერებინათ. ჩრდილოელთ სულიერი მხნეობა შთაბერა მოწი-
ნააღმდეგის ხილვამ. მერმე ულფიუსსა და ბრასტიასს სამი ათასი კაცი მისცეს
და მტერს გაუსიეს. მათ არ დაუყოვნებიათ თავდასხმა და დუშმანს გზის ვიწ-
როებში მიუხტნენ. სასწაულებრივად კაფავდნენ და ჩეხდნენ მოწინააღმდეგეს.
როცა თერთმეტმა მეფემ იხილა, როგორ გმირულად იბრძოდა ჯარის ეს მცირე-
რიცხოვანი ნაწილი, შერცხვათ და მათ ახალი ძალით მიესივნენ. სერ ულფი-
უსს ცხენი მოუკლეს, მაგრამ ქვეითად მებრძოლმა რაინდმა შემართებით გა-
აოცა ყველა. პერცოგი ესტანს კანბენელი და კლარენს ნორთუმბერლენდელი
სხვებზე მეტი გააფთრებით ეკვეთნენ ულფიუსს. სერ ბრასტიასმა რომ
მოყვარე გასაჭირში ნახა, ისეთი ძალით სცა პოროლი პერცოგს, რომ ცხენიცა და
კაციც მიწას დაანარცხა. ეს რომ მეფე კლარენსმა იხილა, სერ ბრასტიასს მი-
უხდა. ისინი ისე ძლიერად ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ ორივენი ცხენებიანად
მიწაზე განრთხმულნი აღმოჩნდნენ. გაბრუებული და დარეტიანებული მეომ-
რები დიდხანს ეყარნენ მიწაზე, ხოლო მათ ბედაურებს მუხლის მყესებიდან
სისხლი მოსთქრიალებდათ.

სერ კეი-სენეშალმა და მისმა ექვსმა ამხანაგმაც იშიშვლეს მახვილი და
წარმატებითაც იბრძოლეს. მაშინ თერთმეტი მეფე ჩაება ბრძოლაში და ცხენე-
ბიანად მიწას გააკრეს გრიფლეთი და ლუკასი. ისინი მეფეებმა ბრანდეგორის-
მა, იდრისმა და ანგვისანსმა სძლიეს.

ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ორავე მხარე გააფთრებით იბრძოდა.
სერ კეიმ დაინახა, რომ გრიფლეთი ცხენიდან ჩამოაგდეს. იგი მეფე ნანტრესს
მიუხდა, ისეთი ძალით ჰკრა ლახვარი, რომ უნაგირიდან დაბლა ყირაზე გადა-
უშვა, ბედაური წაჰგვარა, გრიფლეთიდან მიიჭრა, ადგომა უშველა და ნენტრე-
ლის ცხენზე შესვა. სერ კეიმ იმავე იარაღით გადმოაგდო ცხენიდან მეფე ლოტი
და მძიმედაც დაკოდა. ეს რომ ასე რაინდის მეფემ იხილა, სერ კეისაკენ დაძ-
რა ბედაური. პოროლი სცა, უნაგირიდან გადმოაგდო, მისი ცხენი წაიყვანა და
მეფე ლოტს მიჰგვარა. მეფე ლოტმა ასე რაინდის მეფეს დიდი მადლობა გა-
დაუხადა. როს სერ გრიფლეთმა ნახა, სერ კეი და ლუკასი ქვეითად იბრძვი-
ნო. მძიმე და ოთხკუთხა ბასრი მახვილი მალლა შემართა, სახელოვან რაინდს
პიონელს ეკვეთა, ცხენიანად მიწაზე დასცა. მერე ბედაური ფეხზე წამოაყენა და
სერ კეის მიჰგვარა.

მეფე ლოტმა თავისი ბედნიერი თვალით ნახა, რომ მეფე ნანტრესი უბე-
დაუროდ იყო დარჩენილი. იგი მელიოტ დე ლა როშისაკენ დაიძრა, მხედარი

მიწაზე გაშხლართა, ცხენი წაპგვარა, მეფე ნანტრესს მიუყვანა და კვლავ მხედრად აქცია. ასი რაინდის მეფემ ქვეითად მებრძოლ მეფე იდრისისათვის გამოიღო თავი. გვინას დე ბლოის მიედევნა, გადმოაგდო მისი ბედაური, მეფე იდრისს მიუყვანა და უნაგირზე შეხტომაშიც უშველა. მეფე ლოტმა სერ კლიარენსი ჩამოაგდო ცხენიდან და მისი რაში ჰერცოგ ესტანსს მიჰგვარა. მეფე თერთმეტივე მეფე ისევ ცხენებზე ამხედრებული აღმოჩნდა, ერთად შეიყაონენ, დაეთათბირნენ ერთმანეთს და თქვეს: დღევანდელ დანაკლისს მტერს არ შევარჩენთო.

სად იყო და სად არა, ბრძოლის ველზე მეფე ართური გაჩნდა. როს ულფიუსი და ბრასტიასი ქვეითად მებრძოლნი იხილა, რომელთაც ცხენის ფლოქვებით გადაქელვას უპირებდნენ, სახე შეეშალა. მეფე ართური, ვითარცა ლომი, ჩადილოეთ უელსის მეფე კრადილმანსს მიეტევა და მარცხენა მხრიდან ისეთი ძალით შემოჰკრა, რომ ცხენიცა და კაციც მიწაზე განართხო. მერმე კრადილმანსის ტაიჭს აღვირში სტაცა ხელი, ულფიუსთან მიჰტრა და უთხრა:

— აჰა, ცხენი მოგვგარე, რაც შენ ახლა ყველაზე მეტად გპირდება.

ულფიუსმა თავის მბრძანებელს მადლობა მოახსენა.

მერმე საომარი იარაღით აღჭურვილმა მეფე ართურმა იმდენი გპირობა ჩაიდინა, რომ ყველანი ჰკვირვობდნენ. უეცრად ასი რაინდის მეფემ დაინახა, რომ მეფე კრადილმანსისათვის ცხენი მოეკლათ და ქვეითად დარჩენილიყო. იგი სერ კეის მამის სერ ექტორისაკენ დაიძრა, რადგან ეს უკანასკნელი შესანიშნავ ბედაურზე იჯდა. ასი რაინდის მეფემ სერ ექტორი ცხენიდან ჩამოაგდო და მეფე კრადილმანსს სერ ექტორის ცხენზე ამხედრებაში უშველა. მეფე ართურმა თვალი მოჰკრა თუ არა, მეფე კრადილმანსი სერ ექტორის ცხენზე ზისო, საშინლად განრისხდა და ხმალი ისე ძლიერად დაჰკრა, რომ ზუჩი და ფარი ორად გაუპო. ხმლის წვერი ცხენის კისერსაც მისწვდა და მხედარიცა და ცხენიც მიწაზე გართხმულნი აღმოჩნდნენ. ამასობაში სერ კეი მორგანორს ეყვებოდა, მხედარიცა და ცხენიც თითქოს დაცალეწათ, მიწაზე დაჰყარა, მერმე გადმოიხარა, ცხენს აღვირში წაავლო ხელი და პირუტყვი მამას მიჰგვარა.

თავის მხრივ, სერ ექტორმა რაინდი ლარდანსი დასცა დაბლა, მისგან წაგვრილი ბედაური კი სერ ბრასტიასს მიუყვანა. ქვეითად დარჩენილ ბრასტიასისათვის, ვისაც ყოველი მხრიდან შემომდგარი ცხენთა ფლოქვებისაგან აშკარად გადაქელვა ემუქრებოდა, ესინამდვილი ხსნა იყო. სერ ბრასტიასმა თვალი შეასწრო, რომ ლუკასი ცხენიდან ჩამოეგდოთ და ახლა მას ემუქრებოდა ცხენთა ფლოქვებით გადათქერა. მან იმასაც მოჰკრა თვალი, რომ ლუკასის დასახმარებლად გრიფლექტი ისწრაფვოდა, რადგან ლუკასს გარს თოთხმეტი რაინდი შემოსდგომოდა. სერ ბრასტიასი ერთ-ერთ რაინდს მიეტრა და ხმალი ისეთი ძალით დაჰკრა, რომ მუზარადი და თავი კბილებამდე გაუპო. მერმე მეორეს მიუბრუნდა და ერთის დარტყმით მარჯვენა წააცალა, ხოლო მესამეს მხარი და მკლავი ერთად ჩამოათალა. როს სერ გრიფლექტმა ნახა. ჩემს დასახმარებლად მოვიდნენო, ძალამოცემულმა ერთ რაინდს საფეთქელში ისე აძგერა მახვილი, რომ მისი მუზარადიანი თავი დაბლა დააგორა. გრიფლექტმა იმ რაინდს ცხენი წაპგვარა. სერ ლუკასს მიუყვანა, ცხენზე ამხედრებაში შეეშველა და, შენს მესისხლეებს სამაგიერო მიუზღუო, უთხრა.



სერ ლუკასმა გაჰხედა და დაინახა, რომ მეფე ანგვისანსი მარტის დედა და რობას ასაკუწად განეშადა. ლუკასი მეფე ანგვისანს მიეჭრა და ისეთი ქალით დაჰკრა მახვილი, რომ იმ უბედურს ცხენი წაეჭვა. სერ ლუკასმა ისიც დაინახა, რომ ორი მამაცი რაინდი ბელიას ფლანდრიელი და სერ გვინასი ქვეითად იბრძოდნენ. განრისხებულმა ლუკასმა ორი ახალგაზრდა რაინდი აჩეხა და მათი ცხენები თავის მოყვასთ მიჰგვარა. ბრძოლა თანდათანობით გამძვინვარდა. მეფე ართურმა გულით გაიხარა, როცა შენიშნა, რომ მისიანები კვლავ ცხენებზე ამხედრებულნი იბრძოდნენ ერთმანეთის მხარდამხარ და საომარი საჭურველის კვეთების ხმა, ჭახი და ჩახაჩუხი წყალსა და ხმელზე გაისმოდა. მერმე მეფეებმა ბანმა და ბორსმა იფარეს საომარი ფარები, მახვილები იშვიშვლეს და ბრძოლაში ისე გულადად გადაეშენენ, რომ მათ მტრებს მრისხანებისგან თრთოლვა და ცახცახი დააწყებინა. ამასობაში სერ ლუკასი, გვინასი, ბრიანტი და ბელიას ფლანდრიელი ექვსი მეფის წინააღმდეგ ფიცხელ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ის ექვსნი კი — მეფე ლოტი, მეფე ნანტრესი, მეფე ბრანდეგორისი, მეფე იდრისი, მეფე ურიენსი და მეფე ანგვისანსი იყვნენ. როცა თავისიანების საშველად სერ კეი და სერ გრიფლეტი მოცვივდნენ, ექვს მეფეს ისე ძალიან გაუჭირდა, რომ მოწინააღმდეგეებს ძლივძლივობითლა იგერიებდნენ. ართურ მეფემ შეატყო, რომ ომი გაძნელდა, გაჭირდა და ბრძოლის მოთავებას საშველი აღარ აღვა. იგი ლომივით გაცეცხლდა, ბრძოლის ველზე წინ და უკან მიმოჰქროდა; მარჯვნივ და მარცხნივ ჩეჩდა მოწინააღმდეგეთ და მანამდე არ დაცხრა. ვიდრე ოცი რაინდი არ მიმოდაფინა ბრძოლის ველზე. მეფე ლოტიც მისი გულოვანი თავდასხმის მსხვერპლი შეიქნა. იგი მხარში დაიჭრა და იძულებული გახდა, ბრძოლის ველი მიეტოვებინა. მეფე ართურის გვერდით მებრძოლმა სერ კეიმ და სერ გრიფლეტმაც დიდი მხედრული შემართება და საქველე გამოამჟღავნეს.

სერ ულფიუსი, ბრასტიასი და სერ ექტორი, ჰერცოგ ესტანსის, მეფე კრადილმანსის, მეფე კლარენს ნორთუმბერლენდელის, მეფე კარადოსის და ასი რაინდის მეფის წინააღმდეგ იბრძოდნენ ამ ექვსი მეფისა და რაინდთა ბრძოლა იმით დასრულდა, რომ ბრძოლაში შევიწროებულნი მეფენი იძულებულნი გახდნენ ბრძოლის ველს გასცლოდნენ. მეფე ლოტი ძალზე დააღონა ცალკერძ ბრძოლის ველზე დანაკარგმა, ცალკერძ თანამებრძოლთა წარუმატებლობამ და შეწუხებულმა მეფეებს გულსნადები გაანდო:

— თუ ჩემი ჩანაფიქრი გეგმის მიხედვით არ ვიმოქმედეთ, ყველანი ბრძოლის ველზე გავწყდებით. ჩემთან ერთად უნდა წამოვიდნენ ასი რაინდის მეფე. მეფე ანგვისანსი, მეფე იდრისი და ჰერცოგი კანბენტი. ჩვენ გვეყოლება სულ მათი ასეა მებრძოლი. ხოლო ექვსმა მეფემ თორმეტი ათასი მხედრით ბრძოლა უნდა განაგრძოს. როცა დავატყობთ, რომ მოწინააღმდეგე მოიქანცება, თავს დავესხმით ახალი ძალით და მათ წინააღმდეგობას გავტეხავთ, თუ ასე არ მოვიქცებით, ისე ჩვენ მაგათ ვერა ვძლევთ. — ასე და ამგვარად, მათი ლაშქარი ირად გაიყო. ექვსმა მეფემ მოლაშქრენი თავის ირგვლივ შემოიკრიბა, დარაზმა და მეფე ართურის მხედრობას ფიცხელი და მომქანცველი ბრძოლა გაუმართა. საფარიდან თავიანთი ჯარით სწორედ ამ დროს გამოცვივდნენ მეფეები ბანი

და ბორსი. მეწინავედ რაინდები ლიონსი და ფარიანსი ჰყავდათ და მათი იდ-
რისის მებრძოლებს ეკვეთნენ. ბევრი შუბი, ჰოროლი, ფარი და ჯავშანი დაიმ-
სხვრა, ბევრი მებრძოლი მოისრა, ბევრი ცხენი დაეცა უსულოდ. მეფე უფრო-
სის მოლაშქრეთა წინააღმდეგობა თითქმის ძლეულ იქმნა. ეს შენიშნა იქვე
გვისანსმა, გაჭირვებულთ ჭარბი ძალებით ჰერცოგი კანბენტი მიაშველა და ახლა
რაინდებს ლიონსსა და ფარიანსს გაუჭირდათ, თითქმის გატყდნენ კიდეც. სიკ-
ვდილმა ორივე რაინდს თვალებში ჩაჭხედა, პირი აბრუნებინა და სწორედ ამით
იხსნეს თავიცა და მებრძოლებიც. მეფე ბორსმა შენიშნა თავისი რაინდების
ბრძოლის ველიდან უკუქცევა, შეწუხდა და ბოლმისაგან ლამის გაიგუდა. იგი
ისეთი ძალით მოსწყდა ადგილიდან, რომ მის უკან მებრძოლები ზღვის შავი
ღრუბლივითა მოჩანდნენ. როს მეფე ლოტმა შენიშნა მეფე ბორსი, იცნო, თა-
ნამებრძოლთ მიუბრუნდა და უთხრა:

— დაე, იესომ გვიხსნას განსაცდელისაგან, რადგან კარგად ვხედავთ,
დიდი საფრთხე მოგველის. ვხედავ კაცთა შორის უმამაცეს მეფეს, ვის ჯარ-
შიაც სამსახურად მთელ დუნიანზე სახელგანთქმული რაინდები ისწრაფიან.

— ვინ არის იგი? — იკითხა ასი რაინდის მეფემ.

— ის მეფე ბორს გალელი ვახლავთ. საკვირველი და საოცარი ისაა, რომ
არც ერთმა ჩვენთაგანმა მათი აქ ყოფნის თაობაზე არა ვიცოდით რა.

— მათი მოწვევა მერლინის ოინები იქნება, — ჩაიბურტყუნა ერთმა რა-
ინდმა.

— რაც შემეხება მე, — წამოიწყო თათბირი მეფე კარადოსმა, — ახლავე
მეფე ბორსის წინააღმდეგ გავეშურები. როს შენიშნავეთ, რომ თქვენი მოშ-
ველება მესაჭიროება, ძალას ნუ დაიშურებთ და ჩემკენ ისწრაფეთ!

— აბა ნულარ დააყოვნებთ, — უთხრეს მეფე კარადოსს თანამებრძო-
ლებმა, — და ჩვენც ყველაფერს მოვიმოქმედებთ.

მეფე კარადოსი თავისი მებრძოლებით ადგილიდან მოსწყდა და მეფე
ბორსის მოლაშქრეთ ისრის მისაწვდენ მანძილზე მიუახლოვდა ორივე მხა-
რემ ცხენებს სადავეები მიუშვა და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. მეფე ბორსის
ნათლულ ბლეობრასს, ბრწყინვალე რაინდს, თან თავისი სარდლის სამხედრო
ალამი მოჰქონდა.

— ვნახოთ და საკუთარ თავზე მოვსინჯოთ, როგორ იციან იარაღის მოხმა-
რება ამ ჩრდილოელმა ბრიტებმა.

ამ სიტყვებზე მეფე ბორსი ვილაც რაინდს ეკვეთა. შუბი აძგერა მკერდში,
წვერი მეორე მხარეს გაახედა და რაინდი უსულოდ დასცა მიწაზე. მერმე ხმა-
ლი იძრო და ისეთი ამბები დაატრიალა, ისეთი სიქველე და მამაცობა გამოი-
ჩინა, რომ ორივე მხარე ჰკვირვობდა. მისმა რაინდებმაც ისახელეს თავი. მათ
ჩამოაგდეს მეფე კარადოსი ცხენიდან. როცა ასი რაინდის ბრძოლაში ძალგუ-
ლოვანი და ახალგაზრდა მეფე გამოჩნდა ბრძოლის ველზე, მერმელა მოხერხდა
მეფე კარადოსის ხსნა.

თავი მეთოთხეატი

იღამ იმ ბრძოლის ამბები

სწორედ ამ დროს გამოიჭრა ბრძოლის ველზე ლომივით პირგამეხებული
მეფე ბანი. მის ფარს მწვანე ფიანზე ბრკყვიალა ოქროს ზოლი გასდევდა და
ერთიანად ლაპლაპებდა.

ახლა კი მივხვდი, რომ თუ ჭკუით არ მოვიქცებით, ყველაფერი დაიღუპება, — დასცდა მეფე ლოტს, — აი, იქ თვალი მოვკარი, მძველ ქვეყანაზე სახელგანთქმულ რაინდს. მთელ დუნიაზე არაა მაგ ორი ძმისწულ-მეფეებანისა და მეფე ბორსის — სადარი რაინდი. ჩვენ ან ბრძოლის ველს უნდა გავეცალოთ, ანდა ყველანი დავიღუპებით: ვაცლა კი ჭკვიანური და მამაცური გემართებს, თორემ სიკვდილი არ აგვეცდება.

აჰა, ჩაებნენ ბრძოლაში მეფენი ბანი და ბორსი, იბრძოდნენ გააფთრებით. მათი ხმლების ჩახაჩუბი მთელ ველზე ისმოდა და გორაკებს იჭითაც აღწევდა. მეფე ლოტს შეჭბრაღდა მათი ხელით სიკვდილმომკილ რაინდთა სიცოცხლე, დახოცილთ საცოდაობისაგან ატირდა, მეფე ბანის ძალგულფვნება და მძლავრობამ აიძულა ჩრდილოელთა ჯარი ისევ გაერთიანებულიყო. სამივე მეფე და მათი რაინდები მარჯვენა და მარცხნივ მუსრავდნენ, ჰგმერდნენ ცვილასა და ყველაფერს, უწყალო სიკვდილს სთესდნენ ირგვლივ და მათმა ასეთმა შემართებამ აიძულა მრავალნი თავქუდმოგლეჯილთ უკანმოუხედავად ევლტოთ.

მეფე ლოტი, ასი რაინდის მეფე და მეფე მორგანორი მაინც რაინდულად იცავდნენ თავის ხალხს, ბრძოლის ველზე სასწაულებს ახდენდნენ და გააფთრებულ ბრძოლაში მთელი დღე მამაცურად ეჭირათ თავი. როს ასი რაინდის მეფემ კარგად დაინახა, რა ვნებაც მოჰქონდა მათთვის მეფე ბანს, ჯერ ცხენი მიაგდო ზედ და შეავიწროვა. მერმე კი ისეთი ძალით დაჰკრა ხმალი მუზარადში, თითქმის გააყრუა. მეფე ბანი ძალზე განარისხა ამ დარტყმამ და თავდამსხმელს გამოენტო. ასი რაინდის მეფემ შენიშნა, მღევარი აღარ ეშვებოდა, ფარი უკან გადაიგდო, ზურგი დაიფარა. ცხენს დეზი ჰკრა და მთელი ძალით გააჭენა, მაგრამ მეფე ბანის ხმალს მაინც ვერ გაექცა. მეფე ბანის მოჭნეული ხმალი ასი რაინდის მეფის ფარს შეეხო, ცეცხლი გაჰკვესა, აბჯარზე ასხლტა, ფოლადის ჯეჯიმი და ცხენი გაკვეთა და მიწაზე დაანარცხა.

ასი რაინდის მეფემ დროზე გაითავისუფლა ავჯანდებიდან ფეხები და შემობრუნებულმა მეფე ბანის ცხენის განგმირვაც მოასწრო. მეფე ბანმაც იმარჯვა, ელვისებურად გამოაძრო უზანგიდან ფეხები და ასი რაინდის მეფეს მუზარადში ისეთი ძალით დაჰკრა შემართული ხმალი, რომ მიწას განართხო. მრისხანებადაუმცხრალმა მეფე ბანმა მეფე მორგანორის შემუსვრაც მოასწრო. ბევრი კეთილშობილი რაინდი და უბრალო ხალხი გაწყდა იმ დღეს.

მეფე ართური შიგ ბრძოლის შუაგულში შეიჭრა და ნახა, რომ მეფე ბანი დახოცილთა შორის იდგა. ბევრი სიკვდილი დაეთესა, განრისხებული ლომივით ბრძღვინავდა და ხმლის მიწვდენაზე კერავინ ეკარებოდა. მეფე ართურმა ისიც შენიშნა, რომ მეფე ბანის ზუჩიც გაეკვეთა ვილაცის უწყალო დარტყმას და შეწყუბდა. თვითონ მეფე ართურის ფარი და ხმალი ისე იყო ამოთხვრილი სისხლსა და ადამიანის ტვინის ნანთხევებში, რომ მეფე აღარ შეიცნობოდა. მეფე ართურმა ირგვლივ მიმოატარა მზერა და შესანიშნავ ბედაურზე ამხედრებული რაინდი შენიშნა. აგი ელვისებურად მიეჭრა მოწინააღმდეგეს, შემართული ხმალი დაჰკრა, რკინის ჩაფხუტი გაჰკვეთა, მისმა ხმალმა კბილებამდე უწია რაინდს, და უსულოდქმნილი მიწაზე პირქვე ჩაამხო. მეფე ართურმა უმაღ აღვირში სტაცა მოკლული რაინდის ცხენს ხელი, მეფე ბანს მიჰგვარა და უთხრა: — მხნე და გულოვანო ძმაო, ცხენი მოგგვარეთ. მიიღეთ იგი, რადგან ფიცხელ

ომში ყველაზე მეტად იგი გჭირდებათ, გულშემუსვრილი და შეუპოვებელი ვარ
ოქვენს კრილობათა და ნავენებთა გამო.



— არა უშავს რა, ყოველივეს მალევე ვაზღვევინებ მტერსა ჩემსსა და
რადგან, ღმერთს მინდობილმა, კარგად ვუწყვი, რომ ჩემი კრებულისა
ღრმა და მძიმე არაა, სამაგიეროს მიზნებაში რომ ხელი შემეშალოს.

— ჩემი იმედი და სასოებაც ეგ გახლავთ, — უთხრა ართურმა, — მე
ხომ ჩემი თვალთ ვნახე თქვენი შემართებული ბრძოლა, მე მხოლოდ იმი-
სი ჭაერად მაქვს, ვაპ. თუ შურისმიგების დროს, იმ წამს იქ ვერ შევესწრო

მეფე ბანი ართურისაგან მიგვრილ ცხენს მოახტა თუ არა, იმწამსვე ფიც-
ხელ ბრძოლაში გადაეშვა. იყო უწყალო ხოცვა-ელეტა, დაუნდობელი მუს-
ვრა, შებმა, ორთაბრძოლები და იღვროდა სისხლი... მეფე ართურმა, მეფე
ბანმა და მეფე ბორსმა ამ არეულ-დარეულ უწყესრიგო ომში მაინც შეძლეს
სათანადო განკარგულებების გაცემა და მდინარის იქით, პატარა ტყეში, შეპ-
ყარეს შესასვენებლად და ძალების მოსაჯრებად თავიანთი რაინდები. ომგადაბ-
დილმა რაინდებმა ველზე ნამდვილი დასვენება ვერ მოასწრეს. მათი მოწი-
ნააღმდეგე თერთმეტი მეფე და მათი მხედრობა კი ეტყობოდა უკან დახევაზე
არ ფიქრებდნენ. შიშით ატანილნი, ერთად თავშეყრილნი და ყოველგვარ სასო-
ებას მოკლებული რაინდები, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იდგნენ და უკანასკ-
ნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ. მათი მეწინავენიცა და უკან მოქცეული
მხედრობაც ისე მაგრად უხვდებოდნენ მომხდურთ, რომ ძლევაზე და დამორ-
ჩილებაზე ფიქრიც კი მორტყულ ოცნებად ჩანდა. მეფე ართური განცვიფრებუ-
ლი იყო მათი შემართებითა და მხნეობით. იგი ჭაერმა დასძალა და თანდათან
პრისხანება დაეუფლა.

— ოპ, სერ ართურ, — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან მეფენი ბანი და ბორ-
სი, — ისინი სწორედ ისე იქცევიან, როგორც ბედისაგან განწირული, ნამდვი-
ლად ღირსეულა ვაჟკაცები უნდა მოიქცნენ. ვფიცავ ჩემს რწმენას, რაც მი-
ნახავს და გამიგონია, მათ შორის ეგენი დიდებული მეომრები და დიდი შემარ-
თების რაინდები გახლავან. — თქვა მეფე ბანმა. — თერთმეტივენი ყოველი
ღირსებით შემკული გულადი, მინაცი, მარჯვე ვაჟკაცები ჩანან. ეგენი რომ
თქვენს მომხრეთა რიცხვში ყოფილიყვნენ, მთელ ცისკვეშეთში არ მოიძებნე-
ბოდა მეორე მეფე, ვისაც მაგდაგვარე თერთმეტი სახელგანთქმული ქვეშევრ-
დომი მეფე ეყოლებოდა.

— მად ჩემი დალუბვა უნდოდათ და მე მათ ვერ შევიყვარებ, — წარ-
მოთქვა მეფე ართურმა.

— ეგ ჩვენც გვსმენია, — უთხრეს მეფე ართურს მეფეებმა ბანმა და ბორ-
სმა, — ეგენი რომ თქვენი დაუქანებელი მტრები გახლავან, ადრეც დაამტკი-
ცეს და ყველაზე უფრო სკამწუხარო და სავალალო ის გახლავთ, რომ ბორო-
ტი ზრახვები თქვენ მიმართ ჭერაც არ გაქქარწყლებიათ.

თერთმეტმა მეფემ თავი ერთად შეიყარა თუ არა, მეფე ლოტმა მათ ასე
მიმართა: — ლორდებო, უნდა შევეცვალოთ ჩვენი ბრძოლის გეგმა, თორემ დიდი
და აუნაზნაღურებელი ნავენები მოგვივა. აბა, გონების თვალი დაძაბეთ, უკვე
რამდენი სახელოვანი მეომარი და რაინდი აღარ გვიდგას გვერდით, იმის გამო.
რომ ერთთავად ფეხოსანთა შენაერთებს ვიცავთ. ერთი ფეხოსნის დაცვა ათი
ცხენოსნის სიცოცხლედ გვიჯდება. სწორედ ამიტომ ჩემი რჩევა ასეთი გახ-
ლავთ. მწუხრი ახლოვდება, ფეხოსნები თავიდან მოვიცილოთ და უკან გადა-

ვაადგილოთ. კეთილშობილი მეფე ართურმა მათ დევნაზე ღრის დაკარგავს და ფეხოსნები ამიტომ თვითონაც შეიძლებენ თავს უშველონ. თქვენ რომ აქვია როს მთელი ჩვენი მხედრობა ერთად შეიყრება, ყველამ თავისი ქვეშევრდომი გააფრთხილოს; ვინც ბრძოლის ველიდან გაიქცევა, სიკვდილის ვინც დაინახავს, რომ რაინდი ბრძოლის ველიდან უწუმრად გარიდოს, ქვეშევრდომი მოკლას. სჯობს ლაჩარი და მხდალი მოკიცვალოთ თავიდან, ვიდრე ყველანი სიკვდილის კერძი შევიქმნათ. რას იტყვიან, თქვენ, თანამებრძოლნი? ყველამ თავისი სიტყვა მითხრას!

— მშვენივრად ილაპარაკეთ. — მიმართა მეფე ლოტს მეფე ნანტრესმა. ასევე მოუწონა მეფე ლოტს სიტყვა ასი რაინდის მეფემ. იგივე გაიმეორეს მეფე კარადოსმა და მეფე ურიენსმა. ლოტის ლიტყვას შეუერთდნენ მეფე იდრისი და მეფე ბრანდეგორისი. იგივე დაადასტურეს მეფე კრადილმანსმა და ჰერცოგმა კანბენეტმა. თანახმანი ვართო, განაცხადეს მეფე კლარნესმა და მეფე ანგვისანსმა. მერმე ერთმანეთს შექთიციეს, რომ სიკოცხლეში და სიკვდილშიც ერთად ყოფილიყვნენ. ბრძოლის ველის მიმტოვებელსა და ლაჩარს სიკვდილი წინასწარ გადაუწყვიტეს საომარ აბჯარსა და საჭურველს მიჰხედეს. ფარებიც გაასწორ-გამოსწორეს, ახალი ჰორბოლებით შეიარაღდნენ, მაგრად მიიბრჩინეს შუბები, ბარძაყებზე და ტყესავეით უძრავად დადგნენ.

თავი მეთხუთმეა

თხავი ბრძოლის ამბავი, მკლინის მკამარებით რომ მოთავდა

როს მეფე ართურმა და მეფეებმა ბანი და ბორსმა თერთმეტი მეფისა და მათ ქვეშევრდომთა ასეთი თავგამოდება და სიშედგრე იხილეს, მათ შემართებასა და გულოვნებას ხოტბა შეასხეს, რადგან ასეთი გაბედულება და მამაცობა არც ენახათ ვინმესი და არც გაეგონათ. ახლა სამი მეფის ხალხმა გამოიღო თავი და ორმოცმა რაინდმა განაცხადა, მაგათ რიგებს ჩვენ შევლევითო. ესენი გახლდნენ: ლიონსი, ფარიანსი, ულფიუსი, ბრასტიასი, ექტორი, კეი, ლუკასი, დვთის შვილი გრიფლეტი, მარის დე ლა როში, გვინას დე ბლუა, ბრიანტი, ბელიასი, ქალწულის კოშკელი მორიანსი, ფლანდერი, ანეციანი, მეფე ბორსის ნათლული და კეთილშობილი რაინდი, ლადიანს და ლა რუსი, ემერანსი, კაულასი, გრაციან-კასტელიანი, ბლოის დე ლა კასი და სერ კოლგრევანს გოორელი. ამ რაინდებმა შუბები საბრძოლოდ მოიმარჯვეს, ცხენებს დეხები უთავაზეს და საომარ ზღუდეზე გაიჭრნენ. იქიდან მათ თერთმეტი მეფე და მათი რაინდები გამოეგებნენ და ორი მსრავალი დიდი საბრძოლო შემართება და თავგამოდება. ბრძოლაში გასაღები უყვარს ართური, მეფენი: ბანი და ბორსი, მარჯვნივ და მარცხნივ უწყალოდ უძრავად დნენ ყველას, ისე რომ მათი ცხენები კოჭებამდე სისხლის ტბორებში დაკარგდნენ. ასევე იბრძოდნენ მათ თვალთა წინ მათი მოწინააღმდეგენიც თერთმეტივე მეფე. მეფეები ბანი და ბორსი გაოცებულნი იყვნენ ასეთი უწყალო სასაკლავოს მზერით, და ბოლოს პატარა მდინარეზე გავიდნენ.

მაშინ მოევლინათ დიდ შავ ცხენზე ამხედრებული მერლინი და მეფე ართურს უთხრა: უწყალო ხარ, ნუთუ მსხვერპლი არ გეყო? სამოცი ათასი კაცი

დან ახლა შენ წინ მხოლოდ ხუთმეტრი ათასილა დარჩა. უთხარი ქართ. გასაყარი ნალარა დაუკრინ, რადგან შენს უწყალობაზე ღმერთი რისხდება. კი, იქ დგას თერთმეტი მეფე და მათ სიმტკიცეს შენ ახლა ვერ გასტეხ. თუ და-
 აყოვნებ გასაყარი ნალარის დაკვრას, მოპოვებული წარმატება ხელიდან გაგისხლტება და ბედის სასწორი მათ მხარეზე გადაიხრება. ღმერთებმა ბრძოლის ველი დროებით, დასასვენებლად მიატოვე, ხოლო შენ — უწყალობის რაინდებისათვის, რომელთაც ჯილდო ნამდვილად დაიმსახურეს, ოქროსა და ვერცხლს ნუ დაიშურებ. არაა ამქვეყნად ისეთი საგანძური, რომელიც შენი რაინდებისათვის დასანანი იყოს, ასე მცირერიცხოვანი ჯარითა და რაინდებით ჯერაც არავის მოუხდენია ისეთი სასწაული. შენმა ქვეშევრდომებმა რომ დღეს შეიძლეს, თქვენ ხომ მთელ ქვეყანაზედ ყველაზე გამოჩენილ მებრძოლებს ეომეთ.

— ეგ სრული ქვეშარიტებაა. — თქვენს მეფეებმა ბანმა და ბორსმა.

მერე მერლინი მეფეებს ბანსა და ბორსს მიუბრუნდა: — თქვენ, სადაც ვნებავთ, იქ წაბრძანდით. ერთში შემოძლია, დაგარწმუნოთ, ამ სამ წელიწადს მაინც ეგენი თქვენთვის ვერ მოიცილიან და არც შეგაწუხებენ. ამასობაში კი სრულიად ახალ ამბებს შეიტყობთ.

მეფე ართური კი ასე დამოკლდა:

— მაგ თერთმეტივე მეფეს უფრო მეტი თავსატეხი ამბავი გამოუჩნდა, ვიდრე თვითონ კგონიათ. მათ სამფლობელოებში საჩუკინოზები გადმოსხდნენ, რომელთა რიცხვი ორმოცი ათას კაცს აღწევს. ისინი აწიოკებენ სოფლებსა და ქალაქებს, გარს შემოერტყენ ტინდისბოროუს ციხეს და ყველგან განადგურება და სიკვდილი მოაქვთ. ამიტომ ამ წელიწადს თქვენ ამ თერთმეტი მეფისაგან საფრთხე არ მოგელით. მე — მე, რაც მთავარია, მეფეო, განკარგულება გაეციოთ, მთელი ნადავლი და ნაალაფევი, რაც ამ ბრძოლებში მოიპოვეთ, ერთად შეკყარონ. როს მთელი ალაფი თქვენს ფერხთ იქნება დაყრილი, უხვად დააჯილდოვეთ მეფენი ბანი და ბორსი, რათა მათაც შეიძლონ საბოძვრის ხელგაშლით ვაცემა. თუ ახლა უცხო რაინდებს უხვად დააჯილდოვებთ, გასაჭირის ქამს თქვენკენ ყველა დადი სიხარულით გამოეშურება. თქვენი რაინდების დასაჩუქრებასა და მათთვის უხვი საბოძვრის მიცემას კი ყოველთვის მოასწრებთ.

— კარგი აზრია, — უთხრა მერლიანს ართურმა. — როგორც გვითხარი, ისე მოვიქცევით.

როს მეფეებმა ბანმა და ბორსმა ნაალაფევი მიიღეს, მათ გულუხვად დაასაჩუქრეს თავიანთი რაინდები.

მერლინი გამოემშვიდობა მეფე ართურსა და მეფეებს ბანსა და ბორსს, რადგან თავისი მოძღვრის ბლეზის* ნახვას ეშურებოდა და გეზი ნორთუმბერ-
 ლენდისაკენ აიღო. მოძღვარმა დიდად გაიხარა შეგირდის ბილვით. მერლინმა კი მოძღვარს ომისა და ბრძოლებში ართურის წარმატების ამბები, ყოველივე წერილად მოუთხრო. ბლეზმა სიტყვასიტყვით ჩაიწერა მერლინის ნაამბობი. ჩაიწერა, ვინ წამოიწყო ომი, ბრძოლების მიმდინარეობა, რით დამთავრდა თითოეული შეტაკება და ვინ გაიმარჯვა. ჩაიწერა აგრეთვე ორთაბრძოლების ამბები, ართურის კარის რაინდებიდან ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა.

* Blouse Bleyse — მერლინის მასწავლებელი, ბლეზმა სიტყვასიტყვით ჩაიწერა მერლინის ნაამბობი. ავტორი — მელორი — ცდილობს მონათხრობი ამბები უელსელი შემართარი ბლეზის სახელს დაუკავშიროს.

როცა ყოველივე დაწვრილებით მოუთხრო, მერლინი გამოემშვიდობა თავის მოძღვარს და ისევ მეფე ართურისაკენ გაეშურა. მეფე ართური იმყამად შერვუდის ტყეში აშენებულ ციხე-სიმაგრე ბედგრეინში იდგა. მერლინი ისეთა ჩაცმულ-დახურული გამოეცხადა ართურს, რომ მეფემ ვერ შეიკნო. მერლინი შავი ცხვრის ტყაბუჭნი გამოხვეულიყო, ფეხთ უხეში ჩექმეუ ნულო ხევიდან უხეში წამოსასხამი წამოეხურა, მხარზე მშვილდ-იხარი მთავალი მხითრავე ხელში თითო გარეული ბატი ეჭირა, ეს ამბები ვანდელარიის დღესასწაულის მეორე დღეს მოხდა.

— სერ, — მიმართა მერლინმა მეფე ართურს, — საბოძვარი მომეცათ რამე.

— ვითომ რად უნდა გიბოძო საბოძვარი? — ჰკითხა ართურმა.

— სერ, უძგობესია მაჩუქოთ ის, რაც ამყამად ხელთ არა გაქვთ, თირემ უფრო მეტს დაკარგავთ. აქ, ამ ადგილზე, მიწის საფარველქვეშ, სადაც ცხარე ბრძოლები მოხდა, დიდი საგანძურია დათლული.

— შერედა, შენ ვინ ვითხრა, აქვია კაცო?

— სერ, ეგ მე მერლინმა გამახდია, — უთხრა ართურს უცნობმა.

ულფიუსმა და ბრასტიანმა შეიკნეს მერლინი და სიცილს მოჰყენენ.

— სერ, — მიმართეს მათ მეფე ართურს, — ეგ ხომ თვითონ მერლინია.

მეფე ართური და მეფენი ბანი და ბორისი გვარიანად შეაცბუნა მერლინის შექცევამ და ეშმაკობამ.

ამასობაში ართურ მეფის კარზე გამოცხადდა ჰერცოგის კეთილშობილი ქალიშვილი, მამამისს ერქვა სანამი, ხოლო გოგონას ლიონორა. პირმშვენიერი და ქანდაკივით ჩამოსხმული იყო. იგი მოვიდა მეფის კარზე, რათა გადატანილი დიდი ბოროლის შემდეგ, როგორც წესი იყო, მეფისათვის ღირსეული პატივი მიეგო. მეფე ართურს აგი ძალიან შეუყვარდა, მეფე მოეწონა ლიონორასაც. ორმხრივ მოწონებას წინ რაღა დაუდგებოდა, მეფე პირმშვენიერ ლიონორას თანავეყო, ცხრა თვეზე ვაჟი შეეძინათ და სახელად ბორი დაარქვეს. მოძღვენო წლებში იგი მრგვალი მ. გილის მოლაშქრეთა ღირსეულ რაინდად იქნა აღიარებული.

მერმე ხმა დაირხა, ჩრდილოეთ უელსის მეფე რიენსმა მეფე ლოდევრანსის წინააღმდეგ დაძრა თავისი ყმანიო, ამ ამბავმა მეფე ართური ძალზე განაოიხხა, რადგან ლოდევრანსი უყვარდა, ხოლო რიენსი, ყველაფერში რომ მისი მოწინააღმდეგე იყო და ნიადაგ კრიჭაში ედგა, სძულდა (სამი მეფის ბრძანებით, ისინი, ვინც მეფე კლაუდასს უფრთხოდნენ, უკან, ბენვიკს დააბრუნეს. რაინდები ფარიანსი, ანეციანი, გოაციასი და პალერნელი ლიონსი სათავეში ჩაუდგნენ იმათ, ვისაც ორა მეფის სამფლობელოები უნდა დაეცვა).

თავი მეთექვსმეტი

66

ამა ამბავი, როგორ იხსნის მეფე ლოდევრანსი ვეჟი ართურმა, მეფე ბანმა, მეფე ბორსმა და სავა ვითარებანი

მეფე ართურმა, ბანმა და ბორსმა მოილაპარაკეს, ოცი ათასი კაცი იახლეს და მეშვიდე დღეს ვამილარდის ქვეყანას მიადგნენ. აქ ისინი ლოდევრანს მეფის

საშველად მოვიდნენ, ბრძოლაში ჩაებნენ, მეფე რიენსის ათი ათასი კაცო ვროი-
ანად მოსრეს, ხოლო დანარჩენები აორეს. ამას მოჰყვა დიდი ლხინი და ღირ-
სეული მიღება, რაც მეფე ლოდეგრანსმა სამი მეფის, მის მტრებზე რომ ჰქონი
იძიეს, პატივსაცემად გამართა.

სწორედ მაშინ ნახა პირველად მეფე ართურმა კამილარდის მწვენი მწვენი-
შვილი, შემდგომში დედოფალი გვინივერა. მერმე რომ მთელი ზნეობის მწვენი
ვარდა. ბოლოს მათ ჯვარი დაიწერეს, როგორც ამ წიგნშია ეს მოთხრობილი.

მეფე ბანისა და მეფე ბორსის შინ წასვლის დროც მოვიდა. მათ უფრამდე
მალწია ცნობამ, რომ მეფე კლაუდასი მათ სამფლობელოებს თავისი ლაშქ-
რით შესეოდა და ანადგურებდა. მეფე ართური ევედრა მეფე ბანსა და მეფე
ბორსს, თქვენს ქვეყანაში მეც წამოვალო.

— არა და არა, — უმტკიცებდნენ ისინი, — ახლა თქვენს ქვეყანაშიც ბევრი
თავსატეხი საქმე გაქვთ. ჯერჯერობით ერთმანეთს დავშორდეთ, ხოლო იმ ძვირ-
ფასი განძეულით, რაც ჩვენ სამხედრო ნადავლიდან გვიბოძეთ, ბევრ ღირსეულ
რაიანდს დავიჭირავებთ ღვთის წყალობით, ჩვენი სამფლობელოების დასცვას
შევძლებთ და ვერაგ მეფე კლაუდასს გავუმკლავდებით. თუ შემწე და მშვე-
ლელი დაგვჭირდა, შეგატყობინებთ და თქვენც ჩვენთან გაჩნდებით. ასევე
იმედი გქონდეთ, რომ გასაჭირში, ჩვენც, პირველსავე დაძახალზე, თქვენთან
ვიქნებით.

— თქვენი რაინდებითურთ უკანვე შემოქცევა აღარ იქნება საქარო, —
წარმოთქვა მერლინმა, — მაგრამ მეფე ართური თვითონ მოგინახულებთ. ორი
წელიც არ გაივლის, რომ ცუდი ამბების მაუწყებელი აქლემი თქვენს კარზეც
წამოიჩოქებს. მაშინ გესტუმრებათ აგი და თქვენს მტრებს საკადრის პასუხს მოა-
გებს, ისევე როგორც თქვენ მოიმოქმედეთ. იმ თერთმეტ მეფეს ერთ დღეს უწე-
რია სიკვდილი. მათი ბოლოს მომღები იქნება ორი რაინდი, ორი ძმა: მძიინვარე
ბალინი და ბალანი. მათზე უკეთესი რაინდები ჯერაც არ შობილა დედის სა-
შოდან.

ახლა კი იმ თერთმეტ მეფეს მივხედოთ. ქალაქ სურპოტში რომ დაბრუნ-
დნენ. ეს ქალაქი მეფე ურიენსის სამფლობელოში შედიოდა. მეფეებმა იქ შე-
ისვენეს. როგორც ეს შესაძლო იყო, ძალები მოიკრიბეს, მკურნალები იბრეს.
ჭრილობებს მიჰხედეს და დახოცილთ წესი აუგეს. იქ მიუვიდათ მაცნე და შე-
ატყობინათ, რომ მათ სამფლობელოებს უცნობი, სარკინოზივით ხალხი შესე-
ოდა, ყოველგვარი კანონების უცოდინარი, უბირი ხალხი. რიცხვით ორმოცი
ათასამდე, რომლებიც თურმე ყველასა და ყოველივეს სწვავენ და ბუჯავლ-
ნენ. სადაც კი ფეხს დაადგამდნენ. ყოველგვარი შეწყალებისა და შებრალების
გარეშე სიკვდილი მოჰქონდათ. ციხე უინდისბოროუ კი ალყაში მოაქციესო.

— ვაჰ, სოფელო! — წამოიძახეს ამის გაგონებაზე მეფეებმა, — ჭირზე კი-
დევ ახალი ჭირი მოგვსართვია, ართურის წინააღმდეგ რომ არ აგველო მახვილი.
ახლა ჩვენ გვერდით იქნებოდა და შურსაც იძიებდა. — თქვენს — რაც შე-
ესება მეფე ლოდეგრანსს, მას ჩვენს თავს ართური ურჩევნია, მეფე რიენსი კი
ლოდეგრანსის ალყაშია და ჩვენთვის არა სცხელა.

მერმე დათქვეს, რომ დაეცვათ კორნუელის, უელსის და ჩრდილოეთის
ყველა სამანი. ამის გამო იყო, რომ მეფე იდრისი ოთხი ათასი შეიარაღებუ-
ლი შებრძოლით ბრეტონიაში, ქალაქ ნანტში დატოვეს და ხმელეთისა და ზღვის
მეთვალყურეობა დაავალეს. ასევე ზღვისა და ხმელის ყარაულად დატოვეს ქა-

ლაქ ვინდესანში ოთხი ათასი რაინდით მეფე ნანტრესი, დაბოლოს კიდევ დარჩათ რვა ათასი მეომარი, რომ კორნუელის სანაპირო ციხეები გაემარებინათ. უელსისა და შოტლანდიის საზღვრებზეც გაანაწილეს მეფენი შეტეხონე ჯარებითურთ. ასე და ამრიგად, გაძლეს საში წელი. ყოველნაირად კდილობდნენ და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ძლიერ მეფეებსა და პერსოგებთან სამხედრო კავშირი დაემყარებინათ. მათ მხარეზე დადგნენ დიდილოუელ-სელი რიენსი, უძლიერესთა შორის უძლიერი პიროვნება, და ილათიანი და ძალგულოვანი ნერო. მთელი ეს დრო მეფეები ხალხს წვრთნიდნენ საომრად, ნუზღს იმარაგებდნენ, საჭურველს იძენდნენ და შინაგან ძალისხმევას იმყარებდნენ, რათა ბედგრეინისათვის სამაგიერო მიეზღოთ, როგორც მოთხრობილია სათავეგადასავლო წიგნში.

თავი მარცხეუბა

როგორ მოვიდა ვაჟი ართური კარლიონში და როგორ ნახა სიზმრად მგაღმრნავი მხეცი

მეფეების ბანისა და ბორსის წასვლის შემდგომ მეფე ართური კარლიონში გაემგზავრა. იქ, დიდის ყოფით, მაცნესავით ეახლა მეფე ლოტის თანამეცხედრე; კეთილშობილმა დედოფალმა მეფე ართურს თითქოს ახალი ამბები მოუტანა. სინამდვილეში კი მისი სამეფო კარის დაზვერვა ჰქონდა მინდობილი. მეფე ლოტის მეუღლე ძალზე მდიდრული ტანსაცმლით იყო მორთულ-მოკაზმული, თან ოთხი ვაჟიშვილი ახლდა: გავეინი, გაპერისი, აგრავეინი და გარეთი, მათ გარდა ბეჯრი რაინდი და მანდილოსანი, თვითონ ლოტის მეუღლე დიდად მწვენიერი და მიმზიდველი ქალი გახლდათ.

მეფე ართური უცებ აენტო მისი სიყვარულით და თანაეყო. ამ კავშირის შედეგად ჩაისახა სერ გორდრედი. მეფე ლოტის მეუღლე მეფე ართურის ნახევარი და იყო დედის, იგრეინას, მხრიდან. დედოფალმა ართურთან ერთად თავი დაპყო და მერე უკანვე დაბრუნდა.

მეფე ართურმა სიზმარი იხილა. რამაც მის არსებაში დიდი შიში ჩაასახლა (თუმცაღა იმაზე, რომ მეფე ლოტის ცოლი მისი ნახევარი და იყო დედის მხრავ, მეფემ არაფერი უწყობდა). აი, რა სიზმარი ნახა: თითქოს მისი ქვეყანა ფასკუნჯებით, სვავეებითა და გველებით აივსო. მათ გაანადგურეს მთელი მისი ქვეშევრდომნი. მერე თვითონ მეფეს შეებრძოლნენ, დიდი ზიანიც მიაყენეს. დაპყობნეს და დაუწყლულეს სხეული, მაგრამ ბოლოს მაინც თვითონ სძლია უწმინდურთ, დაბოცა, დაჩეხა და აკაფა.

გაიღვიძა და გული დამძიმებული ჰქონდა. სევდა და ნალველი რომ გადაპყროდა, მეფემ რაინდებთან ერთად სანადიროდ წასვლა გადაწყვიტა. როგორც კი ტყეში შედგა ფეხი, მეფის წინ ვეებერთელა ირემი აღიმართა.

— მე გამოვედევნები ამ ირემს. — უთხრა მეფემ თავის რაინდებს.

ესა თქვა, ცხენს დეზი ჰკრა და ირემს გამოენტო. ძალიან დიდხანს სდია ხანდახან ეგონა კიდევ, აი, ეს არის იმდენად მივუახლოვდი, რომ ვესროლო, მოვკლავო. იმდენი სდია, რომ ცხენს სული შეეხუთა და წაექცა. მეფემ იომენი ახალი ცხენის მოსაყვანად გააგზავნა და თვითონ გადაწყვიტა იქვე დაესვენა.

ირემი გაეცა, სულშეხუთული ცხენი მიწაზე ეგდო და დაღლილობისაგან სულს ლაფავდა. მეფე პატარა ნაკადულის პირას ჩამოჯდა. კარგა ხანს იჯდა. მერე მოეჩვენა, თითქოს ძაღლების ხროვა უახლოვდებოდა და მათი ყუფა შემრესმა. ისეთი გაავებული ღვეღვი ესმოდა, თითქოს ოცდაათი ძაღლი ერთად ყუფსო. ცოტაც და მისკენ გეზაღებული უცხო ნადირი დალანდა, ასეთი რამ აღრე არც ენახა და არც გაეგონა.

ის საოცარი ნადირი წყალს მიუახლოვდა და დაეწაფა. მხეცის გვამიდან ისეთი ბრდღვინვა მოისმოდა, თითქოს ოცდაათი მეძებარი ძაღლი ერთად ყუფდა. თუმცა, სანამ წყალს სვამდა, ნისი გვამიდან ყუფა არ ისმოდა. დაბოლოს ერთი კიდევ შებრდღვინა და იქაურობას გაშორდა. მეფემ თვალი გაადევნა ნადირს და ყოველივე ძალიან უცნაურად ეჩვენა. ნანახმა ღრმად ჩააფიქრა. მალე ჩაეძინა კიდევ და სიზმარი იხილა.

იქვე საიდანღაც გაჩნდა მეფე ართურის წინ ქვეითად მავალი რაინდი და პკითხა:

— ფაქრმორეულო და მძინარე რაინდო, აქეთ რაიმე იშვიათი ნადირისათვის ხომ არ მოვიკრავს თვალი?

— ენახე, — უპასუხა მეფე ართურმა. — ალბათ ახლა უკვე ორი მილი მაინც აშორებს ჩვენგან. მერედა, რად გინდათ ის ნადირი? — ჩაეკითხა მეფე ართური.

— სერ, მე უკვე დიდი ხანია მაგ ნადირს დავდევ და ბევრი ცხენიც მოვღალე მის დევნაში. ახლა ერთი ცხენი რომ მომცა და მისი დევნა გამაგრძელეზინა, აი, ეს არის ჩემი სურვილი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მეფისაგან ცხენის მოსაყვანად წარგზავნილი რამენი და მეფე ართურს ცხენი მოჰგვარა. რაინდმა რომ ცხენი იხილა, მეფე ართურს შესთხოვა, ეგ ცხენი იქნებ ჩემთვის გაიმეტო და მაჩუქოო.

— მაგ ნადირის უკან დევნას თორმეტი თვე მოვანდომე, ან უნდა დავეწიო, ანდა ჩემი სხეული სისხლიდან დაიცილება, — (ასე ლაპარაკობდა ის რაინდი, და მისი სახელი გახლდათ მეფე პელინორი. იგი მისდევდა მბრდღვინავ ნადირს, ხოლო როცა ის აღესრულა, იმ ნადირის დევნა სერ პალომიდმა განაგრძნო).

თავი მათვრამება

როგორ წაიხვანა მიფე პელინორმა ართურის ცხენი, როგორ აედევნა მგრდღვინავ ნადირს და როგორ გადაეყარა ართური მკალინს.

— ბატონო რაინდო, — უთხრა მეფე ართურმა, — მიანებეთ თავი იმ მბრდღვინავი ნადირის დევნას. თუ თანახმა იქნებით, მაგ საქმეს მე ვიკისრებ და მომდევნო თორმეტი თვე ახლა მე ვსდევ უკან.

— ჰოი, უგუნურო! — უთხრა მეფე ართურს პასუხად რაინდმა, — შენი სურვილი უაზროა, რადგან იმ ნადირს ჩემს მეტი ვერავან მიეწევა, ხოლო თუ შედმა მიღალატა და ნადირი ვერ შევიპყარი, მაშინ მისი დევნა ვინმე ჩემმა ნათესავმა უნდა განაგრძოს.

ესა თქვა, მეფის ცხენს მიუახლოვდა, ზედ შეახტა და, ვიდრე გაჰქუსლავდა, ართურ პეფეს კიდევ დაუგდო რამდენიმე სიტყვა:

— გმადლობთ, მოყვასო, ახლა ეს ცხენი ჩემი საკუთრებაა

— ჰო, შენ რომ ვაეკაცურად წაგეგვარა ცხენი, შეგებრძოლებოდი და მაშინ გაიგებდი, ჩვენ შორის მაგ ცხენზე შეჯდომის ღირსი კი ვინაა! ამ სიტყვებზე იმ მეფემ უთხრა:

— როცა გენებოს, წყაროს სიახლოვეს მიბოვი — ესა თქვა, ცხენს დეზი შეშოპკრა და გაქუსლა.

მეფე ართური კი ღრმა ფიქრს მიეცა, მერმე თავისიანებს უხმო და, ცხენი სასწრაფოდ მომგვარეთო, დაავალა.

მალე მეფეს თოთხმეტი წლის ყმაწვილის სახით მერლინი გამოეცხადა, მასალმა და ჰკითხა, აგრე ღრმად რამ ჩავაფიქრაო.

— შენ უნებურად აგეშლება ფიქრი, — უპასუხა მეფემ, — მე ხომ ახლა უდიდესი საოცრება ვიხილე.

— ვიცი, — უთხრა მერლინმა, — შენზე კარგად ვიცი, შენს ფიქრებსაც ვხვდები, თუმცა უგუნურვით გულთან ახლო არ უნდა მიიტანო ის, რისი გადაწყვეტაც შენზე არაა დამოკიდებული. ისიც ვიცი, ვინა ხარ, ვინ იყო შენი მამა, ვინ შეგქმნა. დიახ, მამაშენი მეფე უთრი იყო, მშვენიერ იგრეინას თანაყყო და შენ იმ ღამით ჩაისახე.

— სიცრუეა! — წამოიყვირა ყმაწვილზე განრისხებულმა მეფე ართურმა. — შენ ღლაპა ხარ და საიდან უნდა გცნობოდა მამაჩემი.

— სულერთია, ყოველივე ეგ მაინც შენზე და ამქვეყნად სხვებზეც კარგად ვუწყვი.

— არა მჯერა შენი, — წარმოთქვა გაჯავრებულმა მეფე ართურმა.

მერლინი დროებით გასცალდა იქაურობას და მალე ოთხმოცი წლის მოსტუცის სახით მოევლინა მეფეს. ართურმა გულით გაიხარა, როცა დაბრძენებული მოხუცი იხილა.

— რად დაგაღრეჯია პირი, მეფეო? — ჰკითხა მოხუცმა.

— ნება-უნებლიეთ მოიწყენ და პირქუში შეიქნები, — უპასუხა ართურმა, — ამას ძალზე ბევრი მიზეზი და საბაბი აქვს. ეს წუთია, აქ ერთი ყმაწვილი იყო, ვინც მამაჩემსა და ჩემს წარსულზე ბევრი ისეთი რამ მითხრა, რაც მისი ასაკის მოზარდს არ შეეძლება სცოდნოდა.

— არ უნდა სცოდნოდაო, თქვით, არა? ყველაფერი კი მართალი გითხრათ; კიდევ ბევრს რასმე გეტყოდათ, თქვენ რომ მისთვის მოგესმინათ. ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ ისეთი რამ ჩაიდინეთ, რომ ღმერთი განარისხეთ. გაიყავით სარეცელი საკუთარ დასთან და შთაუსახეთ ვაჟიშვილი, რომლის ხელითაც დაღუპვა გელით თქვენცა და თქვენი სამეფოს რაინდებსაც. უკლებლავ ყველას.

— შენ ვინა ხარ, რომ ასეთ ამბებს მამცნობ?

— სერ, მე მერლინი გახლავართ და იმ ყმაწვილის სახითაც მე გამოვეცხადეთ.

— ჰო, შენ მართლაც საოცარი ადამიანი ხარ. თუმცა ჩემთვის ყველაზე საოცარი ის არის, რომ ბრძოლაში სიკვდილი მიწერია.

— ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ასეოია უფლის ნება. თქვენი სხეული უნდა დაისაჯოს თქვენი ცოდვების გამო. მწუხარება, ურვა და ჰმუნვა მე უფრო მმართებს, რადგან აღსრულება სამარცხვინო სიკვდილით მიწერია — მე უნდა

ცოცხლად დავიმარხო მიწაში, თქვენ კი ბრძოლაში დიდებული სიკვდილი გელით.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მეფის წარგზავნილი კაცი დაბრუნდა და ჩვენი მოპვარა. ისინი ცხენებზე შესხდნენ და პირი კარლიონისაკენ ჰქნეს.

მეფე ართურმა გამოჰკითხა ექტორსა და ულფიუსს წვრილად, როგორ მოვევლინე ამ ქვეყანას და ჩემი მშობლები ვინ იყვნენო. მეფე უთხრა ჩვენ შანა და დედოფალი იგრეინა დედაშენიაო, — უპასუხეს ქვეშევრდომებმა.

— მერლინმაც სწორედ აგრე მითხრა. დედაჩემთან კაცი გაგზავნეთ, უნდა მოველაპარაკო. თუ ისიც დაადასტურებს თქვენს სიტყვებს, მეც დავიჭერებ და ის იქნება.

სასწრაფოდ აფრინეს კაცი დედოფალთან. ისიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა სასახლეში, თან თავისი ულამაზესი ქალიშვალი ფეა მორგანი ახლდა. მეფე ართური დედოფალს დიდის პატივისცემითა და სიხარულით შეეგება.

თავი მაცხარება

როგორ დასდო ბრალი ულფიუსმა ლალატში მფე ართურის დედას, დედოფალ იგრეინას და როგორ მოვიდა პატრონის მოკვლისათვის ზღრის საძიებლად რინდი

სამეფო სასახლეში გამართულ ლხინისას ულფიუსი წინ წამოდგა. დედოფალ იგრეინას მიმართა და ყველას გასაგონად განაცხადა:

— შენა ხარ ამქვეყნად ყველაზე მატყუარა დედაკაცი და მეფის მოლაღატე.

— იცოდე, — უთხრა ართურმა, — ბრალდება ძალზე მძიმეა და შენს სიტყვებზე პასუხი მკაცრად მოგეთხოვება.

— სერ, მე ვიცი, რასაც ვამბობ. — უპასუხა ულფიუსმა, — აგერ ჩემი ხელთათმანი, მე შევიძლებ იარაღით დავამტკიცო ჩემი სიმართლე, თუ ჩემი სიტყვებისა არა სჯერა ვინმეს. დედოფალ იგრეინას გულისთვისაა, რომ ქვეყანა ასეთ განსაცდელშია, ამის გულისათვის გადაიტანეთ დიდი ომი, მაგას რომ მეფე უთრის სიკოცხლეში ეთქვა თქვენი შექმნის, ჩასახვისა და დაბადების ამბავი, თქვენ აღარ მოგიწევდათ ასეთი დიდი ომის გადახდა. ჩვენი ქვეყნის არც ერთმა ბარონმა ხომ არ იცოდა, ვისი ვაჟიშვილი იყავით თქვენ, ვინ შეგქმნათ და ვინა გშობათ. ვის უნდა გაემხილა ქვეყნისათვის ეს ამბავი, თუ არა დედოფალ იგრეინას, ვინც დაგბადათ ამქვეყნად. ვის უნდა აღედგინა თქვენი, თავისი და მთელი სამეფოს ღირსება და პატიოსნება, თუ არა დედოფალ იგრეინას? სწორედ ამიტომ ვდებ ბრალს მას ღმერთის წინაშე, მთელი სამეფოსა — და თქვენ წინაშე. ხოლო ვისაც ჩემი არა სჯერა და ამისი საწინააღმდეგო აზრი ექნება, მას ჩემი სიმართლე შემიძლია პატიოსან ორთაბრძოლაში დავუმტკიცო.

მერმე იგრეინამაც ამოიღვა ენა და განაცხადა:

— მე ქალი ვახლავართ და თქვენთან ორთაბრძოლაში შერკინება არ შემიძლია; თუმცადა ჩემი პატიოსნება და ღირსება რომ დაიცვას, მჯერა, საამისოდ მოინახება ვინმე კეთილი ადამიანი. მერლინმაცა და თქვენც, სერ ულფიუს, კარგად უწყით, როგორ მოვიდა ჩემთან ტინტაჯილის ციხე-კოშკში ჩემი ქმრის სახედქმნილი მეფე უთრი. ჩემი ქმარი ხომ მეფე უთრის ჩემთან მოსვლამდე

სამი საათით ადრე გამოესალმებინათ ბრძოლაში წუთისოფლისათვის. გვერდით მომიწვა მეფე უთრი, როგორც კანონიერი ქმარი, თანამეყო, შვილი შთამისახა და მეთოთხმეტე დღეს ჩემზე ჯვარიც დაიწერა. როგორც კი ბავშვს გაჩნდა, მეფე უთრის განკარგულებით აღსაზრდელად მერლინს მიჰგვარეს. ჩემი შვილისათვის მას მერე თვალის ალარ მომიკრავს, მისი სახელწოდება კი ვიცი და სწორედ ამიტომ არ შემეძლო მისი შვილად გამოცხადება.

ულფიუსი მერლინს მოუბრუნდა და უთხრა:

— მამ თქვენ უფრო დიდი დანაშული ჩავიდენიათ, ვიდრე დედოფალს.

— სერ, მე მხოლოდ ის ვუწყო, — დაბეჭითებით გაიმეორა დედოფალმა იგრეინამ, — რომ შვილი ჩემი კანონიერი ქმრის მეფე უთრისაგან შთამესახა და ბავშვის დაბადების შემდეგ მისი ასავალ-დასავალი ალარ ვიცი.

მეფე ართურმა მერლინს ხელი წაავლო და ჰკითხა:

— ეს ქალია დედაჩემი?

— ჰეშმარიტად, სერ.

მერმე სერ ექტორი წამოდგა წინ და დაადასტურა: მეფე უთრის განკარგულებით ვზრდილია მეფე ართურს. გულაჩვილებულმა მეფე ართურმა ხელები მოჰხვია დედოფალ იგრეინას, კოცნა დაუწყო, და ერთმანეთის მკერდზე მიყრდნობილმა დედა-შვილმა კარგა ხანს იტირეს და ივაგლახეს. მეფე ართურმა ბოძანა და რვადღიანი ლხინი გაიმართა ამ ამბის აღსანიშნავად.

ამ ლხინის დღეებში სასახლეში მოვიდა მხედარი საჭურველთმტვირთველი, თან დასადავებელი ცხენი მოიყვანა, ცხენზე კი ხურჯინით ვილაც სასიკვდილოდ დაჭრილი რაინდი იყო გადაკიდებული. საჭურველთმტვირთველმა იამბო, ტყეში, წყაროსთან ვილაც რაინდმა კარავი დასცაო.

— სწორედ მაგან მომიკლა ბატონი, სახელოვანი რაინდი მილესი ამიტომ, გაფიცებთ, რაც კი წმინდა გაგაჩნიათ, ჩემი ბატონი დამარხოთ და რომელიმე რაინდმა მისი მოკვლისათვის შური იძიოს.

მერმე სასახლის კარზე ყველა იმ რაინდის მკვლელობაზე ალაპარაკდა. ბევრმა გამოთქვა თავისი აზრი.

გრიფლეტმაც თქვა თავისი სიტყვა, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო და საჭურველთმტვირთველობას არ გასცილებოდა. მან მეფე ართურს შესთხოვა, რაინდთა ორდენში წევრად მიმიღეთო.

თავი მეოცე

როგორ ააუჩიხეს ბრიფლები რაინდად და როგორ
შეება იგი ვილაც რაინდს ორთაბრძოლაში

— შენ ჯერ კიდევ ნორჩი ხარ და რაინდის უმაღლესი წოდება შენთვის ალიან ნაადრევი იქნება, — უთხრა მეფე ართურმა.

— სერ, გაფიცებთ ყოველივე წმინდას, რაინდად დამლოცეთ.

— სერ, — წამოიწყო მერლინმა, — გრიფლეტის დაკარგვა მეტად სამწუხარო იქნებოდა, რადგან სრულწლოვანების მიღწევისას იგი ყოვლის ღირსებით შემკული კაცური კაცი შეიქმნება და თქვენ არასოდეს მიგატოვებთ. თუ თავის მამავალს საფრთხეში ჩაიგდებს იმ რაინდთან შერკინებისას, წყაროსთან რომ

კარავი დაუცია. შეიძლება უკან ველარც დაბრუნდეს, რადგან ის რაინდი თავისი სამხედრო ხელოვნებით მთელ ქვეყანაზე უკეთესთა შორის გამოჩნეული და უმჯობესია.

— რაც არის, არის, — თქვა ართურმა. — რაკი აგრე ვსურს, რაინდად დამილოცნიხარ.

ასე, თავისი სურვილითა და მოთხოვნით, მისცა რაინდობა გრიფლეტს მეფე ართურმა.

— ახლა კი. — მიმართა გრიფლეტს მეფე ართურმა, — რაკი რაინდად გაქციე, შენც უნდა შემისრულო ერთი სათხოვარი.

— მამბრძანეთ, რაც გენებოთ, — უთხრა გრიფლეტმა.

— დაიფიცე შენი სიცოცხლე, რომ, როგორც კი ორთაბრძოლას მორჩები, ქვეითად იქნები თუ მხედრად, იმ რაინდთან კინკლაობასა და დავას თავს მიანებებ და ჩემთან დაბრუნდები.

— ვფიცავ, — შესძახა გრიფლეტმა, — როგორც ინებებთ, ისე ვიქმ.

მერმე უცებ დაფაცურდა, ცხენს მოახტა, ფარსა და შუბს წამოავლო ხელი და წყაროსაკენ აფრინა ტაიჭი. წყაროსთან მისულს მდიდრულმა კარავმა მოსკრა თვალი. იქვე ასალგადაფარებული ცხენი დალანდა. ცხენის უნაგირიცა და აღვირიც მდიდრული იყო, ხეზე სხვადასხვაფრად მოელვარე ფარი ეკიდა და იქვე უგრძესი შუბი იყო მიყუდებული. გრიფლეტმა ფარს თავისი შუბის ტარი დაჰჭრა და ხიდან ძირს ჩამოაგდო.

კარვიდან რაინდმა გამოიხედა და ზრდილობიანად იკითხა:

— საყვარელო მეგობარო რაინდო, რად ჩამოაგდეთ ჩემი ფარი?

— იმიტომ, რომ თქვენთან ბრძოლა მსურს, — უპასუხა გრიფლეტმა.

— სერ, თქვენთვის ჯობია, თუ ამ ბრძოლას თავს განარიდებთ, ჯერ სრულიად ღლაპი ხართ, ალბათ სულ ახლახან დაგლოცეს რაინდად და ჩემთან შებმა კარგს არაფერს გიქაღით.

— არა უშავს რა, მე თქვენთან შერკინება მწადია.

— ამ ორთაბრძოლაზე გული მეთანაღრება, — თქვა უცნობმა რაინდმა, — მაგრამ რაკი თქვენსას არ იშლით, მეტი რა ჩარაა, უნდა შეგებრძოლოთ. საიდანა ხართ, ის მაინც მითხარით?

— სერ, მე მეფე ართურის რაინდთაგანი ვარ.

აი, დაიძრნენ ერთმანეთისაკენ რაინდები და ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთურთს, რომ გრიფლეტის ჰოროლი ნამსხვრევებად იქცა. იმ უცნობმა რაინდმა გრიფლეტს ფარიც გაუხვრიტა და შუბი გულში მარცხენა მხარეს ისეთი ძალით აძგერა, რომ გადატყდა და მისი ნამსხვრევი გრიფლეტს გულში დარჩა. გრიფლეტიცა და ცხენიც მიწას განერთხნენ.

თავი ოცდამეერთე

როგორ ჩავივიდა რიგვიან თორმეტი რაინდი, როგორ მოსთხოვის მხვა ართურს ხარაი და როგორ იომა მხვა ართური უცნობ რაინდს

გრიფლეტი რომ მიწაზე გართხმული დაინახა, უცნობი რაინდი შეწუხდა, რადგან ეგონა, მოვკალიო. იმწამსვე დაბლა ჩამოხტა, გრიფლეტს მუზარადს

ქვევით აბჯრის შესაკრავი შეუხსნა და სუნთქვის სახსარი მისცა. შერბე გულში შუბის ნამსხვრევგარჭობილი ცხენზე შესვა, სადავე დაჭიმა, მისი თავი ღმერთს მიანდო და სიტყვიერად კი ესა თქვა:

— მამაცი გულის პატრონი ჭაბუკი იყო, ცოცხალი რომ გადაეჭენილიყო, მისგან შესანიშნავი რაინდი დადგებოდა.

გრიფლეთი ცხენმა მეფე ართურის კარზე მიიყვანა. იგი ცხარე ცრემლებით გამოიგლოვეს, თუმცაღა დიდად დახელოვნებულმა მკურნალებმა მისი სიცოცხლე სიკვდილს გამოსტაცეს და სასწაულებრივად გადაარჩინეს.

ამასობაში მეფე ართურის კარს თორმეტი ხანში შესული რაინდი მოადგა, ჩვენ რომის იმპერატორის დავალებით გეახელით, ხარკი უნდა მოგვცეთ, თორემ თქვენს სამეფოს ჩვენი იმპერატორი ნაცართუტად აქცევსო. — ასე განუცხადეს მეფეს.

— რა გაეწყობა, — უთხრა მეფე ართურმა, — ენა უძვლოა და, რასაც გინდათ, იტყვი. ელჩები რომ არ იყოთ, მაგ სიტყვებისათვის სიკვდილი არ აგცდებოდათ, ჩემი პასუხი კი ასეთი იქნება: ჩემგან თქვენს იმპერატორს ხარკი არ ეკუთვნის, ამიტომ ერთ გროშსაც ვერ მიიღებს, ისე კი, ბრძოლის ველზე რაც ერგება, მჭრელი შიშველი ხმლითა და მახვილი შუბლით, მზადა ვარ გადაეუხადო. ვფიცავ მამაჩემის, უთრის სულს, რომ ეს უამიჯ ძალიან მალე დადგება.

უიღბლო ელჩობით გაწბილებულნი და გაჯავრებულნი წავიდნენ რომის იმპერატორის წარმოგზავნილი რაინდები. მათზე არანაკლებ განრისხებული იყო მეფე ართური, ასეთ ცუდ უამს რომ წამოადგნენ თავზე.

მეფე ართური გრიფლეთის ჭრილობებმა შეალონა და გააჯავრა. და აი, თავის ერთგულ მსახურს უბრძანა: დილაუთენია სამეფო საჩინბოდან შეკაზმული ცხენი ქალაქის გაღავნის გარეთ გაეყვანა და თან საომარი საქურველიც წაეყოლებინა. დანიშნულ დროს თვითონაც იქ გაჩნდა, ცხენზე შეჯდა, თარი იფარა, შუბს ხელი დასტაცა, თავის თანამზრახველ ერთგულ უმას უბრძანა, აქ მომიცადეო, და თვითონ ტყისაკენ დინჯად დაძრა ტაიჭი.

მეფეს ტაატით მიჰყავდა ცხენი, რადგან ჯერ კარგად მოდღევეებული არ იყო. უცებ დაინახა, რომ ვიღაც სამი უბირი გლეხი მერლინის მოკვლას ლამობდა. მეფემ პირდაპირ მათკენ დაძრა ტაიჭი, ზედ ნიაგდო პირუტყვი და არძანა: — „აბა, გაუთლელო მუტრუკებო, ახლავე აქედან მოუსვით!“ მხედრის დანახვაზე გლეხები შედრკნენ და გაიქცნენ.

— აჰა, მერლინ, — შეეხმიანა ართური, — მე რომ არა, ეგენი სასიკეთოს არაფერს დაგმართებდნენ.

— ვერა, ვერ მივართვი, ჩემი მოკვლა არც აგრე ადვილია. თუ მოვინდომებდი, თავის გადარჩენაც ადვილად შემეძლო. მაგრამ ეს იცოდე, ჩემზე ადრე სიკვდილი შენ ჩაგისაფრდა. შენ სწორედ იქითკენ აგიღია გეზი, საითაც უცილობელი სიკვდილი მოგელის, რადგან ღმერთი შენს მხარეს არაა.

ასე საუბარ-საუბრით ისინი ტყეში წყაროსა და მის ახლოს გაშლილ მდიდრულ კარავს მიადგნენ. მეფე ართურმა კარგად დაინახა, რომ კარავში თავით ფეხამდე შეიარაღებული რაინდი იჯდა.

— ბატონო რაინდო, რა მიზეზით დაგიდგამთ აქ კარავი და გამვლელ-გამომვლელს თქვენთან უბრძოლველად გზას არ აძლევთ? გიბრძანებთ, მაგ თქვენს ზნესა და ავ ჩვეულებას თავი მიანებოთ! — უთხრა ართურმა.

— მაგ ზნესა და ჩვევას დიდი ხანია მივსდევ და ჩემი დღენი არც მოგეშლი. ვისაც ჩემი ზნე და ჩვევა არ მოსწონს, კეთილი ინებოს და უკეთესი მასწავლოს.

— მაშ გასწავლი და ის იქნება, — ქუშად წარმოთქვა ართურმა.

— დავასა და ცილობაში იბადება კეშმარიტება, — უთხრა რაინდმა, ცხენს მოახტა, ფარი მალლა ასწია და შუბი მოიმარჯვა. მათ ისე მძლავრად აძგერეს ერთურთს შუბები, რომ ორივე დაიმსხვრა.

მეფე ართურმა ხმაღს მიჰყო ხელი.

— არა, ჯერ ისევ მახვილი შუბებით მოვსინჯოთ ერთმანეთი, — შესთავაზა რაინდმა.

— თანახმა ვიქნებოდე, რომ სამარჯვოდ შუბები თანა მქონდეს, — უპასუხა მეფე ართურმა.

— შუბები მე მაქვს, — თქვა რაინდმა.

რაინდის საჭურველმტვირთველმა ორი შუბი მოიტანა. მეფე ართურმა აირჩია თავისთვის შუბი, ხოლო რაინდმა მეორე აიღო. მერმე ცხენებს დეზები შემოჰკრეს, ერთმანეთისაკენ დაიძრნენ და კვლავ ისეთი ძალით ატაკეს ერთმანეთს შუბები, რომ კვლავ დაემსხვრათ.

ისევ იშიშვლა მეფე ართურმა ხმალი.

— არა და არა, — შესთხოვა რაინდმა. — თქვენ შუბს ისეთი დიდი ოსტატობით ხმარობთ, რომ ჩემს ცხოვრებაში შუბით ბრძოლის უკეთესი მცოდნე და ხელოვანი არ შემხვედრია. რაინდთა უმაღლესი ორდენის სადიდებლად გთხოვთ ისევ შუბებით ვიბრძოლოთ.

— თანახმა ვარ, — იყო პასუხი.

საჭურველმტვირთველმა მძიმე შუბები მოიტანა და ორთაბრძოლის მოსურნეთ შუბები აირჩიეს. მერმე ერთმანეთისაკენ დაძრეს ცხენები. შუბმომარჯვებულები შეეჯახნენ ერთურთს, მეფე ართურის შუბი მთლიანად დაილეწა, მოწინააღმდეგემ კი ისეთი ძალით აძგერა შუბი ფარის შუაგულში, რომ მხედარიცა და ცხენიც ძირს დასცა. გაჯავრებულმა ართურმა ხმალი იშიშვლა და რაინდს უთხრა:

— ახლა ქვეითად შეგებრძოლები, ბატონო რაინდო, რადგან უნაგირზე თავი ვერ შევიშაგრე.

— მე კი ცხენზე მჯდარი განვაგრძობ ბრძოლას.

განრისხებულმა ართურმა წინ აიფარა საომარი დარაკი და შიშველი ხმალი ჰაერში შემართა. რაინდი მიხვდა, ჩემი მოწინააღმდეგე მართლაც ქვეითად ფიქრობს ორთაბრძოლის განგრძობას, გინდაც ცხენზე მჯდომმა დავჩაგრო, ასეთი უპირატესობა ჩემს რაინდულ ღირსებას შეურაცხყოფსო, და თვითონაც დაქვეითდა. ვეშაკი აიფარა, ხმალი იშიშვლა და ართურს მიეჭრა. დაიწყო უდიდესი ბრძოლა, მძლავრი დარტყმებიც იყო და ხმლებს ნაპერწკლები სცვიოდა. სისხლიც ნაკადულებად დაიღვარა ისე, რომ მათ ირგვლივ ყველაფერი წითლად შეიღება. ასე გაშმაგებულნი იბრძოდნენ დიდხანს, მერმე ცოტაოდენი შეისვენეს და ისევ ეკვეთნენ ერთურთს. როგორც ბრძოლაში გახლებული ხარები, ისე შეეჯახნენ ერთმანეთს და ორივე მიწას დაასკდნენ. მყისვე წამოხტნენ, გადააჯვარედინეს ხმლები, გულით ეწადათ ერთმანეთის დაჩათინება, მაგ-

რამ ძალები თანაბარი იყო. უცებ მეფე ართურის ხმალი ვადაში გადატყდა და მეფე საოცრად დაღონდა.

რაინდმა ასე მიმართა მეფეს:

— ახლა ჩემს ხელთა ხარ, მინდა დაგინდობ, მინდა დაგჩვენოთ დამნებლები და აღიარებ, რომ დამარცხდი, გაცოცხლებ, არადა მოგკლავდა.

— სიკვდილისა მე არ მეშინია, ერთხელ დაბადებული ერთხელ უნდა მოკვდეს, არ დაგნებდები!

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ხელდახელ ეცა მეფე პელინორს, მკლავები გარს შემოაქლო, მიწაზე დასცა და მუზარადი მოჰხადა. შეკრთა რაინდი. ის ძაღვლოვანი ძლიერი და მოურევნელი ფალავანი იყო. ახლა იმან იძალა, მეფე ართური ფენქვეშ მოივდო, ზუჩი მოჰხადა და თავის მოკვეთა დაუპირა.

თავი ოცდახეობი

როგორ გადაარჩინა მირლინმა მეფე ართური, როგორ მოაჯადოვა მეფე პელინორი და დააძინა

სწორედ ამ დროს მოვარდა მერლინი და პელინორს უთხრა:

— შეჩერდი, რაინდო, თუ მაგ რაინდს მოჰკლავ, აუნაზღაურებელ ნავნებს მიაცუნებ ამ ქვეყანას. ეგ რაინდი უფრო წარჩინებული გვარიშვილია, ვიდრე შენ გგონია.

— ვინაა იგი? — იკითხა რაინდმა.

— მეფე ართური, — უპასუხა მერლინმა.

რაინდმა, იმის შიშით, გადარჩენილი მეფე გამირისხდებო, ხმალი შემართა და მეფის მოკვლა მოიწადინა. მერლინმა გრძნეულ ჯადო-თილისმას მიმართა, რაინდს ღრმა ძილი მოჰგვარა და მიწაზე წააწვინა. მერმე მეფე ართური ააყენა, თვითონ რაინდის ცხენზე შეჯდა და იქაურობას გაეცალნენ.

— ეგ რა ჰქმენ, მერლინ? ნუთუ ის ძაღვლოვანი რაინდი თილისმით სასიკვდილოდ გაიმეტე? მაგის მსგავსი მეორე რაინდი ხომ ქვეყნად არც კი დაიარება. მთელ ჩემს სამფლობელოს ერთი წლით მივცემდი ვინმეს, ოღონდაც ის რაინდი ცოცხალი გადარჩენილიყო.

— რაინდის გამო ნუ შესწუხებდით, ის უვნებელი გახლავთ და თქვენზე ნაკლებადაა დაზარალებული. მივაძინე და ერთი საათის შემდეგ გამოიღვიძებს. მე ხომ გაგაფრთხილედ, ვინც იყო და რაც იყო ის რაინდი. მე რომ არა, ახლა მკვდარი იქნებოდით. მაგის მომრევი რაინდი ჯერ ქვეყნად არ დაბადებულა. თქვენ იგი ბევრ კეთილ სამსახურს გაგიწევთ. მისი სახელი მეფე პელინორი გახლავთ. ორ ვაჟიშვილს გააჩენს, კეთილთა და სახელგანთქმულთ ძაღვლოვნებითა და სიალალმართლით. მაგ რაინდის შვილთა სახელები იქნება პერსივალი და სერ ლამორაკ უელსელი. მეფე პელინორი გაგიმხელთ თქვენივე შვილის სახელს, თქვენს საკუთარ დასთან სარეცელის გაყოფით რომ მოავლინეთ ამქვეყნად. სწორედ ის დაამხობს მთელ თქვენს სამეფოს.

თავი ოცდამეცამე

როგორ მოიპოვა მერლინის დახმარებით ართურმა თავისი ხმალი-მკვლელი
ტბის მკაბრონი ქალწულისაგან



ქალწული

ასე ჭენებ-ჭენებით ვიდოდნენ და, როგორც იქნა, მეუღლები-მეუღლე-
რისს მიადგნენ. ის განდევილი კეთილი ზნის ადამიანი და ბრწყინვალე მკურ-
ნალი აღმოჩნდა. მან კარგად გასინჯა მეფის ჭრილობები და სამკურნალო ბა-
ლახბულახებიც მოიძია. სამ დღეს დარჩა მის საცხოვრისში მეფე ართური.
ისე მომჯობინდა, რომ სიარულიც შეეძლო და ცხენზე ჯდომაც. მეფე და მერ-
ლინი მეუღაბნოეს გამოემშვიდობნენ და თავისი გზით გასწიეს.

— ხმალი რომ აღარა მაქვს, — თქვა ართურმა.

— არა უშავს, ხმალს ვიშოვით. აქ ერთ ადგილზე მეგულება საოცარი მახ-
ვილი და, თუ მოვიხდომე, ის ხმალი თქვენი იქნება.

კიდევ იარეს და ფართო და ანკარა ტბას მიადგნენ. მეფე ართურმა წყლი-
დან ამოჩრილი ხელი დაინახა. ქათქათა, მდიდრულ აბრეშუმის საბელოსაც მოჰ-
კრა თვალი და ხელის მტევანში მაგრად ჩაბლუჯული ხმალიც დალანდა.

— აი, ნახეთ, — უთხრა მერლინმა, — ტბის შუაგულში რომ ხმალი მო-
ჩანს, სწორედ ეგაა ის მახვილი, მე რომელზეც გელაპარაკეთ.

მალე ტბის ზედაპირზე მათკენ მომავალი ქალწულიც შენიშნეს.

— ვინაა ეს ქალწული? — იკითხა მეფემ.

— ეგ ქალწული ტბის პატრონი გახლავთ, — უპასუხა მერლინმა. — მაგ
ტბაში ერთი უზარმაზარი კლდეა. ამ კლდეზე ულამაზესი, მდიდრულად მორთულ-
მოკაზმული ციხე-კოშკია დაშენებული. ახლა ის ქალიშვილი თქვენთან მოვა.
ძალიან თავაზიანად ელაპარაკეთ, რომ მოეწონოთ, და ხმალი ხელთ იგდოთ.

ქალწული ართურს მიუახლოვდა და ერთმანეთს მიესალმნენ.

— ოპ, ქალწულო, — წამოიწყო საუბარი მეფემ, — იქ წყლის ზედაპირზე
ხელს ხმალი ჩაუბლუჯავს. გულით მინდა, რომ ის ხმალი ჩემი იყოს, ვინაიდან
ხმალი არა მაქვს.

— სერ ართურ, ის ხმალი ჩემი გახლავთ, თუ თქვენ მაჩუქებთ, რასაც მო-
ვიტხოვ, მაშინ ის ხმალი თქვენი იქნება.

— ვფიცავ ზენას, რომ, რაც უნდა მოხვოთ, გაჩუქებთ.

— კარგი, — დაეთანხმა ქალწული, — გადადით ორჩხომელზე და ტბის
შუაგულისაკენ მოუსვით ნიჩბები, აიღეთ ხმალი ქარქაშიანად და იგი თქვენი
იქნება. აღთქმულ სანაცვლო საჩუქარს კი მაშინ მოვთხოვთ, როცა დრო მოვა.

მეფე ართური და მერლინი ძალიან ჩქარობდნენ. ცხენები ხეზე მიაბეს და
ორჩხომელზე გადავიდნენ. როცა ხმალს მიუახლოვდნენ, მეფე ართურმა ხმალს
ვადაში სტაცა ხელი და თავისუფლად აიღო. ის ხელი კი, რომელსაც ხმალი
ვადაში ჰქონდა ჩაბლუჯული, ტბაში ჩაიშალა. მეფე და მერლინი ნაპირზე გამო-
ვიდნენ და გზა განაგრძეს.

მეფე ართურმა მდიდრული კარავი დაინახა.

— ვისია ის კარავი, რომ მოჩანს? — იკითხა ართურმა.

— სერ, ეგ კარავი იმ რაინდის, სერ პელინორისა გახლავთ, თქვენ რომ
შეგებრძოლათ, მაგრამ თვითონ კარავში არაა, სულ ცოტა ხნის წინათ პელი-
ნორს თქვენს რაინდ ეგლამთან ჰქონდა ორთაბრძოლა, ეგლამი იძლია და, რომ

არ მომკვდარიყო, ბრძოლის ველიდან გაიქცა. პელინორმა კარლიონის კარიბ-
ჭემდე სდია ეგლამს და უკან გამობრუნდა. სადაცაა წინ შემოგვხვდება.

— აი, ეგ კი ძალიან სასიხარულო ამბავია! — წამოიძახა ართურმა. —
ახლა ხმალი მაქვს, პელინორს შევებრძოლები და სამაგიეროდ გვამკვლავლი.

— არა, სერ, — უთხრა მერლინმა, — ეგ რაინდი ხომ მხოლოდ და ეგ-
ლამის უკან დევნით დაღლილი იქნება და თქვენს ღირსებას მასთან ახლა ბრძო-
ლა ვერარას შესძენს. და ამასთან, როგორც უკვე გითხარით, ქვეყნად ისეთი
რაინდი არ მეგულება, რომ პელინორის ძლევა შეიძლოს. ამიტომ გირჩევთ:
მშვიდობით წავიდეს თავის გზაზე, იგი თქვენ პირადად კეთილ სამსახურს
გაგიწევთ, მერმე მისი შვილები იქნებიან თქვენი ნების ამსრულებელნი. სულ
მალე, ერთგული სამსახურისათვის, თქვენს საკუთარ დას მას ცოლად გააყო-
ლებთ. ამიტომ მასთან შეხვედრისას ბრძოლას უნდა განერიდოთ.

— ისე მოვიქცევი, როგორც მირჩევ, — უთხრა მეფემ.

მეფე ართურმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავისი ხმალი და კიდევ
უფრო მოეწონა.

— რა უფრო ძალიან მოგწონთ, მეფეო, ხმალი თუ ქარქაში? საქმე ისაა,
რომ ეგ ქარქაში ათი მაგნაირი ხმლის ფასი ღირს, მეფეე, ვიდრე ეგ ქარქაში
წელზე გერთყმებათ, როგორც უნდა დაგკრან-დაგკოდონ, წვეთ სისხლს არ
დაკარგავთ. ამიტომ ქარქაშს ძალიან გაუფრთხილდით და წელიდან ნურც მოი-
ცილებთ.

ისინი კარლიონისაკენ მიაჭენებდნენ ცხენებს. გზაზე მართლაც შემოხვ-
დათ პელინორი. მაგრამ რაინდს მერლინმა ისეთი თილისმა გაუკეთა, რომ პელი-
ნორს მეფე ართური არ დაუნახავს და ორივეს უჩუმრად ჩაუარა.

— მიკვირს და გამკვირვებია, რომ გვერდზე ჩავლისას ხმა არ გაგვცა, —
თქვა ართურმა.

— სერ, არ შეუმჩნევიხართ, თორემ ეგრე საღ-საღამათნი ვერ გავშორდე-
ბოდით.

ამასობაში კარლიონში მივიდნენ. რაინდებმა გულით გაიხარეს, მეფე რომ
იხილეს. როცა მისი თავგადასავალი მოისმინეს, გაოცდნენ, ასე მარტოდმარტო
თავს ხიფათში როგორ იგდებდათ.

მაგრამ პიროვნული ღირსებით აღჭურვილმა რაინდებმა სამართლიანად
გაბრჭეს: სასიამოვნოა ისეთი წინამძღოლის ქვეშევრდომობა, რომელიც ხიფათს
სამკვიდრომოკლებული რაინდით თვითონაც არ ერიდებათ.

თავი ოცდამეოთხე

მეფე რიენსმა რომ თერთმეტ მეფის სძლია, მანტიასე ქობად ართურის წვერი
მოითხოვა და როგორ უმითხო მეფე ართურმა ეს ამბავი

მეფე ართურთან მეფე რიენსს ელჩები გამოეგზავნა. იგი ელჩთა პირით
ართურს ატყობინებდა: ვფლობ ჩრდილოეთ უელსს, ვარ მთელი ირლანდიისა
და მრავალი კუნძულის მეფე, გითვლი სალამს და მინდა იცოდე, რომ გავანად-
გურე და გავიმარჯვე თერთმეტ მეფეზე, თერთმეტივე დამმორჩილდა, წვერი
მოიკრიჭეს და მანტიასე ქობად შემოსავლებად მათხლეს. განზრახული მაქვს,

ჩემს წამოსასხამს არშიად მეფეთა წვერი ამშვენებდეს. ახლა შენ გიგზავნი ელჩებს და მათი ხელით შენი წვერი გამომიგზავნე. თუ წვერს არ მლიკრებ და არ გამომიგზავნი, შენს სამეფოში შემოვიჭრები, ყველაფერს ცეცხლითა და მახვილით მოვსპობ და შენი სამეფოს საზღვრებიდან მანამ არ გავალ, ვიდრე თავს არ მოგკვეთ და წვერს, როგორც ნადავლს, თან არ წავიღებ.

— რა გაეწყობა, შენ ამბობ, რომ ასეთი დავალება მოგცეს და გამოგაგზავნეს, — უთხრა ელჩს მეფე ართურმა, — შენთვის საკმაოდ თავხედური და უხეში დავალება მოუციათ. ჩემი წვერი ჭერჭერობით ახალგაზრდაა და მეფის მანტიასზე ქობად შემოსავლებად არ გამოდგება. შენს მეფეს კი ასე უთხარი, რომ მე ვალდებული არა ვარ მას დავემორჩილო. სულ მალე თვითონ მოუწევს ჩემთან მოსვლა, მუხლმოდრეკილი შემევედრება, სიცოცხლე ვაჩუქო, არადა, მხრებზე თავი არ შერჩება! ამაზე სამარცხვინო რამ, რაც მან შემოთვალა, ჭერჭვეყნად არც კი გაუგონია ვინმეს. ვიცი, რომ შენი მეფე ორთაბრძოლაში ჭერაც არავის შეხვედრია ღირსეულს. ასე გადაეცი შენს მეფეს, რომ თუ ქედს არ მომიხრის და ჩემ წინაშე მუხლს არ მოიდრეკს, თავს წაგაცლი.

ასეთი პასუხი რომ მიიღო, ელჩი ჰაიპარად გაილალა.

— არის ისეთი ვინმე ჩემს სამეფო კარზე, ვინც მეფე რიენსს იცნობს? — იკითხა მეფე ართურმა.

კითხვაზე პასუხის გასაცემად წინ წამოდგა რაინდი ნარამი.

— სერ, მე ვიცნობ მეფე რიენსს. იგი ფიზიკურად ისე ძლიერია, რომ ძნელია ქვეყნად მისი მომრევი ტოლი და ფარდი მოინახოს ვინმე. ექვი არაა, თქვენ წინააღმდეგ დიდ ლაშქარს შეკრებს და წამოუძღვება.

— რა გაეწყობა, — მშვიდად თქვა ართურმა, — იმასაც მოვეუვლით.

თავი ოცდამეხუთა

როგორ აწვიმს სასახლეში ყველა კეთილშობილი ჩვილი, რომლებიც მაისის პირველ რიცხვში გაჩნდნენ, და როგორ გადაარჩა მორღრედი

მერლინმა უთხრა მეფეს, ვისი ხელითაც შენ დაიღუპები და მთელი შენი სამეფო განადგურდება, ის ყრმა მაისის პირველ რიცხვში გაჩნდაო ქვეყნად. მეფე ართურმა ბრძანა, კეთილშობილი მშობლებისაგან ნაშობი ყველა პირველ მაისს დაბადებული ჩვილი სასახლეში მომგვარეთო. მეფე სიკვდილით დაემუქრა ყველას, ვინც მის ბრძანებას არ შეასრულებდა და ჩვილს მეფის სასახლეში არ მოიყვანდა. მეფე ლოტის ცოლმა მეფის კარზე მორღრედიც გაგზავნა. ყველა ისინი გემში ჩასვეს და ბედის ანაბარა ზღვაში შეაცურეს. ჩვილები ამ დროს ოთხი კვირისანი იყვნენ და მათი ერთმანეთზე უფროს-უმცროსობა საათებით განისაზღვრებოდა. შემთხვევის წყალობით გემი ნაპირს მიადგა და სწორედ იქ დაიღუპა, სადაც ერთი ციხე-სიმაგრე იდგა. ჩვილთაგან მხოლოდ ერთი გადაურჩა მისჯილ განსაცდელს, ეს გახლდათ მორღრედი. ჩვილი ტალღამ ნაპირზე გამოიჩინა, იგი ერთმა კეთილმა ადამიანმა აიყვანა და თოთხმეტ წლამდე ზრდიდა. მერმე კი სასახლის კარზე მიიყვანა, როგორც ეს მოთხრობილია ამ წიგნის ბოლო თავში „ართურის სიკვდილი“.

მეფე ართურის ლორდები და ბარონები ჩვილი ბაღლების დახოცვამ აღაშ-

ფოთა, თუმცა ამ ამბავში მეფე ართურს კი არა, უფრო მერლინსა სდებდნენ ბრალს და მასზე იყვნენ გულძვირად. მომეტებული შიშისა თუ სიყვარულის გამო მაინც წყნარად დრტვინავდნენ.

როცა მეფე რიენსთან ართურის კარზე გაგზავნილი ქაღალცი დასწავნდა და პასუხი მიუტანა, იგი სიბრაზისაგან გაცოფდა და ლაშქარს შეგროვება დაიწყო. ეს ამბები მოთხრობილია მომდევნო წიგნში „მძვინვარე ბალინი“. მკითხველი აქედან შეიტყობს, როგორ იშოვა ბალინი ხმალი.

II

თავი პირველი

აქა ამბავი იმ ქალწულისა, მეფე ართურის კარზე რომ წელზე ხმალი მოკრძაპული მოვიდა, იგი იმ რაინდს ეძიება, ვინც მის ამაღს ქარქაშიდან ამოქრობდა

მეფე უთრის სიკვდილის შემდგომ მეფობდა მისი შვილი მეფე ართური. მას ოთხივე კუთხით დიდი ომი ჰქონდა გამართული, რათა დაქუცმაცებული ინგლისის სამეფოს სამთავროები ერთი სკიპტრის ქვეშ გააერთიანებინა. მის დროს ინგლისს ბევრი გვირგვინოსანი ჰყავდა, ასევე ბევრი მეფობდნენ შოტლანდიაში, უელსსა და კორნუელში.

ერთხელ, როცა მეფე ართური ლონდონში იმყოფებოდა, მასთან ერთი რაინდი მივიდა და უთხრა, ჩრდილოეთ უელსის მეფე რიენსმა დიდძალი ლაშქარი შეკრიბა, შენს სამფლობელოში შემოიჭრა, ყველასა და ყველაფერს ცეცხლითა და მახვილით სპობსო.

— თუ ყოველივე ჭეშმარიტად აგრეა, — უთხრა პასუხად ართურმა. — სირცხვილი და თავსლაფის დასხმა ჩვენი, თუ შემოსეულ მტერს საკადრისი პასუხი ვერ მივაგეთ.

— დიახ, მეფეო, რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა, რადგან მისი ლაშქარი საკუთარი თვალითა ენახე.

— რა გაეწყობა, — თქვა ართურმა, — დავტრიალდებით და ყველაფერს დიღონებთ, რომ რიენსის ვერაგობას საკადრისი მიეუზღათ.

მეფე ართურმა კამელოტის ციხეში იხმო ყველა ლორდი, რაინდი და მემამულენი, ვისაც ლაშქრად გამოსვლა ევალებოდა. მეფემ აქ აწვია სამეფო საქმეთა გასაბრჭობად საბჭო და იქვე მოაწყო დიდი შეჯიბრება. როცა თვითონ მეფემაცა და მისმა ბარონებმაც თავიანთი ადგილები დაიკავეს, და, როგორც უმჯობესად მიაჩნდათ, ისე მოეწყვნენ, სასახლის კარზე მოვიდა კუნძულ ავილიონის მფლობელის წარმოგზავნილი ერთი ქალწული. იგი მეფე ართურის წინ წარდგა, უთხრა, საიდანაც ეახლა, და ისიც დასძინა, თქვენთან დავალებით ვარ მოსულიო. მერმე მხრიდან ძვირფას ბეწვმოვლებული მოსასხამი მოხდენილად გადაიგდო და მეფემაცა და მისმა ქვეშევრდომებმაც კარგად დაინახეს, რომ ქალწულს წელზე თვალწარმტაცი ხმალი ერტყა. ამ საოცარი ამბით დაინტერესებულმა მეფემ ჰკითხა:

— ქალწულო, რად გარტყია წელს ხმალი? ქალწულს ასეთი რამ არ შეეფერის.

— კეთილო მეფე, გეტყვით მიზეზს, — უპასუხა ქალწულმა. — ხმალი დიდად მტანჯავს და უხერხულობაშიც მაგდებს, მაგრამ ჩემი გათავისუფლება ხმლისაგან შეუძლია მხოლოდ იმ კეთილ რაინდს, ვის ხელს უწმინდური რამ საქმე: სიმდაბლე, ღალატი, სიცრუე ჯერაც არ ჩაუდენიათ. თუ ასეთი ღირსებებით შემკული რაინდი ვიპოვე, მხოლოდ ის შეიძლება ამ ხმლის ქარქაშიდან ამოღებასა და ჩემს გათავისუფლებას. მე გახლდით მეფე რიენსის კარზეც, რადგან ხალხი ლაპარაკობდა, რიენსის კარზე ბევრი ღირსეული და სახელმოხვეჭილი რაინდი ტრიალებსო. თვითონ მეფე რიენსიც ბევრს ეცადა და მისი რაინდებიც, მაგრამ ხმალი ქარქაშიდან ვერ დაძრეს.

— ნამდვილი სასწაული ყოფილა და ისაა. — თქვა ართურმა. — მე თვითონაც ვეცდები ეგ ხმალი ქარქაშიდან ამოვადრო, არა იმიტომ, რომ ჩემი თავი სხვა რაინდებზე კეთილშობილი მგონია. არა, უბრალოდ. პირველად მე ვცდი, რომ ჩემს ბარონებს მაგალითი მივცე და ჩემ შემდეგ ყველამ გამოსცადოს თავისი ბედი.

მეფე ართურმა ხელი წაავლო ხმლის ვადას, მაგრამ ხმალი ქარქაშიდან ვერ დაძრა.

— აუგი რამ, სამარცხვინო საქმე, ღალატი და ვერაგობა ვისაც არ ჩაუდენია, — კიდევ წარმოთქვა ქალწულმა, — იმან სცადოს ბედი. ვისაც ამ ხმლის ქარქაშიდან დაძვრა უწერია, იგი სულით უწმინდესი ადამიანი და დედითა და მამით კეთილშობილი ჩამომავლობისა უნდა იყოს.

მრგვალი მაგიდის ბარონებმა, რომლებიც სასახლის კარზე იყვნენ, ყველამ სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ. ქალწული ძალიან შეწუხდა და თქვა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო, მე კი მეგონა, სასახლის კარზე უკეთესთა შორის უკეთესი რაინდები იყვნენ, რაინდები, ვისთვისაც სრულიად უცხო რამ უნდა ყოფილიყო ღალატი და სიცრუე!

— ვფიცავ ზენას და სულთა სამსჯავროს, — თქვა ართურ მეფემ, — თქვენ წინ სულ რჩეული რაინდები გახლავან, მაგრამ მე ის მალონებს, რომ თქვენი გათავისუფლება მაინც ვერ შეიძლება.

თავი მათრი

როგორ ავიწყრო ქარქაშიდან ხმალი ბალინმა, რომელიც უბრალო რაინდისით იყო ნაცნობი და როგორ შეიძინა ის ხმალი მისი დაღუპვის მიზეზი

მეფე ართურის კარზე იმ დროს უკვე ექვსი თვე იყო, რაც ტყვეობაში იტანჯებოდა ერთი საწყალი რაინდი, რომელსაც მეფის ნათესავი შემოაკვდა. სახელი ამ რაინდის ბალინი გახლდათ, ბარონთა კეთილი შეწევნით იგი ექვსი თვის თავზე გაათავისუფლეს ტყვეობიდან, რადგან პატიმრობამდე კარგი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. იგი წარმოშობით ნორთუმბერლენდიდან იყო.

ბალინი ნამალევად მივიდა სამეფო კარზე და შეიტყო, რისთვისაც ირჯებოდნენ ასე თავგამოდებით რაინდები. გულმა რეჩხი უყო და თვითონაც მოუწონდა ესინჯა ბედი. მაგრამ ღარიბიც იყო და სამოსიც ღარიბული ეცვა, რის

გამოც წინ წაჩრა ვერ გაბედა. სულში კი ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ თავს არ შეირცხვენდა, თუ ბედიც შეეწეოდა. როცა ქალწულმა თავი დაუჭრა მეფესა და ბარონებს და წასვლა დააპირა. მხოლოდ მაშინ გაბედა წინ წადგომა ბალინმა და ქალწულს უთხრა:

უკრძნუნული

— კეთილშობილო ქალწულო, გთხოვთ მოწყალება მხოლოდ მხოლოდ კბოგორც სხვა ლორდებს, მეც დამართოთ ნება, ბედი ვცადო. მართალია, სამოსი ღარიბული მაცვია, მაგრამ ღრმად მწამს და მჯერა, რომ საწადელს ვეწევი.

ქალწულმა კარგად შეათვალიერა ღარიბულად ჩაცმული რაინდი. ისიც კარგად შენიშნა, რომ თვალ-ტანადად მშვენიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ მისმა ღარიბულმა სამოსმა მაინც იქონია ზეგავლენა და ქალწულმა გული ვერ დააჯერა, რომ იგი სახელოვანი, სიმდაბლისა და სიცრუის გარეშე მდგარი რაინდი იქნებოდა.

— სერ, მე მგონი, საჭირო აღარაა, კიდევ შეეწუხდე... თუკი ამდენმა რაინდმა ვერა გააწყო რა, არა მგონია, თქვენ მოახერხოთ ხმლის ქარქაშიდან დაძვრა.

— თქ, ულამაზესო ქალწულო, — მიმართა ბალინმა, — ღირსება და სათნოება მხოლოდ ტანსაცმლით არ გაიზომება; ძალგულოვნება, სიმამაცე და ვაჟკაცობა თვითონ ადამიანის სულში იმაღვის და ქვეყნად ბევრი კეთილი და მამაცი რაინდია, რომელთა არსებობა ადამიანებმა არც კი იციან. სამოსი მხოლოდ გარეგნული ბედის მიერ ნაწყალობევი სამკაულია, რომელსაც ღირსებასა და მამაცობასთან საერთო არაფერი აქვს.

— ღმერთია მოწმე, — უპასუხა ქალწულმა, — რომ თქვენი პირობად ჭეშმარიტება იფრქვევა, სწორედ ამიტომ ნებას გაძლევთ, თქვენც სცადოთ ბედი.

ბალინმა ხმაღს ვადაში სტაცა ხელი და ქარქაშიდან იოლად ამოაძრო, მერმე ხმაღს დაჰხედა და ძალზე მოეწონა.

მეფე ართურიცა და ბარონებიც განცვიფრებულნი იდგნენ. იმ წუთის მრავალმა რაინდმა ჩაიღო გულში ბალინისადმი ზიზღი, შური და მტრობა.

— ჭეშმარიტად, — წამოიძახა ქალწულმა, — ეს ყველაზე უმჯობესი რაინდი ყოფილა. რაინდთა შორის ჭეშმარიტის ღირსებით გამოჩეული, ვინც დალატზე, სიცრუეზე და სიმდაბლეზე მალლა დგას. იგი კიდევ არაერთ სასწაულს ჩაიდენს. ახლა კი, ძვირფასო რაინდო, დამიბრუნეთ ეგ ხმალი.

— არა და არა, — უპასუხა ბალინმა, — ხმაღს მე დავიტოვებ და მას მხოლოდ ძალით თუ წამართმევს ვინმე.

— ცუდუბრალოდ ცდილობთ მაგ ხმლის შენარჩუნებას, — უთხრა ქალწულმა, — რადგან მაგ ხმლით თქვენ მოჰკლავთ თქვენს ყველაზე საყვარელ და უახლოეს მეგობარს და ეგ ხმალი შეიქნება თქვენი დაღუპვის მიზეზი.

— მზადა ვარ ვიტვირთო ყველა განსაცდელი, — უპასუხა ბალინმა, — რომელსაც ღმერთი ინებებს და გამომიგზავნის. ახლა კი ცოცხალი თავით ხმაღს უკან აღარ დაგიბრუნებთ.

— ყოველივეს ძალზე მალე შეინანებთ, — უთხრა ქალწულმა, — და მე უმორჩილესად გთხოვთ არა ჩემი, არამედ პირადად თქვენი ბედნიერებისათვის. მწარედ სანადვლოდა და სამწუხაროდ გამიხდება თქვენი თავი, თუ ხმაღს არ დამიბრუნებთ. უკვე გითხარით, ეგ ხმალი გახდება თქვენი დაღუპვის მიზეზი და ეს იქნება სწორედ სავალალო.

ამ სიტყვებით დატოვა იქაურობა კეთილშობილმა ქალწულმა, თან თვალ-
თაგან მდულარე ცრემლი სცვიოდა და ვალალებდა.

ბალინმა თავისი საჭურვლის მოსატანად და ცხენის მოსაყვანად ^{გაცე} გა-
გზავნა, რადგან მეფე ართურის სასახლის მიტოვება ჰქონდა გულში ამოჭრილი.
მერმე მეფე ართურთან გამომშვიდობება მოინდომა.

— არა, ნუ გაგვეცლებით, — სთხოვა მეფემ, — არ შეიძლება ასე უც-
რად მიგვატოვოთ. ალბათ გულში ბოღმა გაქვთ ჩემზე, რადგან მკაცრად მოგექ-
ეცით. მაგრამ ძალიან ბევრ ცოდვასა და ბრალს ნუ ამკიდებთ, რადგან ჩემთან
დაგასმინეს, ბევრი რამ შეგწამეს, დაგაბრალეს და არ ვიცოდი, თუ ასეთი სა-
ხელოვანი, მისანდო და ერთგული რაინდი იყავით. თუ მოინდომებთ და აქ ჩემს
რაინდთა შორის დარჩებით, უნვად დაგასაჩუქრებთ, ისე რომ კმაყოფილი იქ-
ნებით.

— ღმერთმა თქვენს უდიდებულესობას სულ კეთილი მოუვლინოს, — უპა-
სუხა ბალინმა, — თქვენს დიდ გულმოწყალებას სიტყვით ვერც გამოხატავს
ცაცი, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად დროულია, მეფეო, გაგეცალოთ, მხოლოდ
ერთსა ვთხოვ განგებას, ყოველთვის მოწყალე მექმნეთ.

— კეშმარიტად, — უთხრა მეფემ, — ძალიან მწყინს, რომ გვტოვებთ, მაგ-
რამ რა გაეწყობა. ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოითავოთ თქვენი საქმეები
და ჩვენს სამეფო კარს დროულად დაუბრუნდეთ. ჩემი სასახლის კარი მუდამ
ღია იქნება თქვენთვის და ჩემი ბარონებიც თავის კეთილგანწყობას არ მოგაკ-
ლებენ. ვეცდებით, კეთილი მოგაგოთ იმ ბოროტებისათვის, რაც ჩვენ უნებუ-
რად მოგაყენეთ.

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო სიკეთისათვის, ბატონო მეფეო, —
უპასუხა ბალინმა და წასასვლელად მოემზადა.

სხვათა შორის, მრგვალი მაგიდის ბევრი რაინდი ამბობდა, ბალინმა ხმალი
ქარქაშიდან ძალით კი არა, ჯადო-თილისმის დახმარებით ამოაძროო.

თავი მესამე

როგორ მოითხოვა ტბის მეპატრონე ძალმა იმ რაინდის თავი, ვინც ხმლის
ქარქაშიდან ამოღება შეძლო, ანდა იმ ქალწულისა, ვისაც ველზე ხმალი ერტყა

ვიდრე რაინდი გზას გაუდგებოდა. მეფე ართურის სასახლეში მდიდრუ-
ლად მორთულ-მოკაზმული ტბის მეპატრონე ქალი გამოცხადდა. მან თაყვანი
სცა მეფე ართურს და ის ჯილდო მოსთხოვა, რაც მეფემ მისი ხმლის წამოღები-
სას აღუთქვა.

— მართალი არის, — უთხრა მეფემ, — მე თქვენ აღგიტქვით ყოველგვა-
რი საჩუქარი, რასაც ინებებდით და მოითხოვდით, მხოლოდ გადამავიწყდა,
იმ ხმალს რა ჰქვია, თქვენგან რომ წამოვიღე?

— ექსკალიბური, რაც ნიშნავს „გაქვეთე ფოლადი“, — უპასუხა ტბის მე-
პატრონე ქალიმა.

— ჩემს ხმალს მოხდენილი სახელი ჰქონია, ახლა ბრძანეთ და, თუ ჩემს
ძალას არ აღემატება იმისი აღსრულება, რასაც თქვენ მოითხოვთ, ყველაფერს
შეგისრულებთ.

— მე იმ რაინდის თავს ვთხოვლობ, ვინც ქარკაშიდან მოკადოებულ ხმლის ამოღება შეძლო, ანდა იმ ქალწულისა, ვინც ის ხმალი თქვენს სამეფო კარზე მოიტანა. თანახმა ვარ, ორივეს მოკვეთილი თავი მივიღო ჯალდოდ, რადგან იმ რაინდმა მოკლა ჩემი ღვიძლი ძმა, ხოლო იმ ქალწულმა დაღუპა მამა-ჩემი.

ბიზლიჩიქა

— ჭეშმარიტად, — უპასუხა ტბის მეპატრონე ქალის წინადადებით შემცბარმა მეფემ, — სინდისი არ მაძლევს უფლებას იმ რაინდსა და ქალწულზე ხელი აღვამართვინო ვინმეს. მთხოვეთ, რაც გინდათ, რასაც მოისურვებთ და იმას აღვასრულებ.

— სხვა არაფრის სათხოვნელად მე არ მოვსულვარ.

გასამგზავრებლად მომზადებულმა ბალინმა უცებ ტბის მეპატრონე ქალს მოჰკრა თვალი. ამ ქალმა მზაკვრობით მოუსპო სიცოცხლე ბალინის დედას. ბალინი სამ წელს დაეხეტებოდა აღმა-დაღმა, დაეძებდა ტბის მეპატრონე ქალს, რომ შური ეძია. როცა ბალინს უთხრეს, რასაც მოითხოვდა ტბის მეპატრონე ქალი, იგი დაურიდებლად მიეჭრა მას და უთხრა:

— ცუდი დრო და უბედური ეამი შეგიჩვევია აქ მოსასვლელად და საჩუქრის სათხოვნელად. შენ გინდოდა ჩემი თავი მიგეღო ხმლის საფასურად, ახლა კი საკუთარ თავსაც დაკარგავ.

თქვა ესა და ხმლით, მეფე ართურის თვალწინ, ელვის უსწრაფესად წააცალა ქალს თავი.

— ვაჰ, სირცხვილო! — წამოიძახა მეფე ართურმა, — რატომ მოჰკვეთეთ ქალს თავი? თქვენ სირცხვილი მაჭამეთ მე და შეარცხვინეთ მთელი ჩემი სამეფო კარი. მერედა, მაგ ქალმა როგორი პატივი მცა. ეგ ხომ ჩემს კარზე ჩემი მფარველობის ქვეშ იყო. სწორედ ამიტომ ასეთ თვითნებობას ვერასოდეს გაპატიებთ.

— სერ, — წამოიწყო თავის მართლება ბალინმა. — მე მხოლოდ თქვენგან შერისხვა მაწუხებს, თორემ ეგ ქალი ცბიერი და დიდი ვერაგი ვინმე გაილდათ. ჯადო-თილისმით დაღუპა მაგან ბევრი კარგი რაინდი და ადამიანი, ლალატითა და მუხანათური გამცემლობით დედაჩემი კოცონზე დააწვევინა.

— მის მოსაკვდინებლად რა მიზეზიც არ უნდა გქონოდათ, ჩემი აქ ყოფნისას მაინც თავი უნდა შეგეკავებინათ. თქვენ კიდევ შეინანებთ თქვენს ამ საქციელს. ასეთი უკანონობა და თვითნებობა ჩემს კარზე ჯერ არ მომხდარა. ახლა კი რაც შეიძლება სწრაფად გაგვეცალეთ.

ბალინმა მოკვეთილ თავს ხელი დასტაცა და იმ სადგომისაკენ წაიღო, სადაც თვითონ იყო ჩამომხდარი და სადაც თავისი საქურველმტვირთველი ელლთა. ბალინის საქურველმტვირთველი დიდად შეაწუხა მეფის გაგულისებამა და შერისხვამ, რაც მისმა ბატონმა თავისი საქციელთ მოიმკო.

მალე ბალინიცა და მისი საქურველმტვირთველიც ქალაქიდან გავიდნენ.

— ახლა კი ერთმანეთს უნდა დავცილდეთ, — უთხრა ბალინმა. — შენ ამ მოკრილ თავს ნორთუმბერლენდში წაიღებ, ჩემს მეგობრებს უჩვენებ და ეტყვი, რომ ჩემი მოსისხლე მტერი მკვდარია. არც ის დაივიწყო სათქმელად, რომ აწ ტყვეობიდან თავისუფალი ვარ და უთქმელს ნურც ხმლის მოპოვების ამბავს დატოვებ.

— მე სხვა არა მინდოდა რა. ნეტავ თავს მეფე ართურის რისხვა არ დაგეტეხათ. — უთხრა საჭურველმტვირთველმა.

— რაც შეეხება მაგ შერისხვას, სხვა არა დამრჩენია რა. სასწრაფოდ უნდა გავეშურო, როგორმე მეფე რიენსს შევხვდე. მოვსპო იგივე ^{სახურველმტვირთველს} და ვაქცევდე. თუ ბედმა გამიღიმა და გავიმარჯვე, მეფე ართური დიდხელს დაგიწოდებს და დამიმეგობრდება კიდევ.

— სერ, მე სად მოგინახულოთ და გეძიოთ? — ჰკითხა საჭურველმტვირთველმა.

— მეფე ართურის კარზე, — იყო პასუხი.

ასე განშორდნენ რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი ერთმანეთს; მეფე ართური და მთელი სასახლე კი მწარედ დასტიროდნენ ტბის მეპატრონე ქალის დაღუპვას, თავიანთ თავისმოჭრას და საქვეყნოდ შერცხვენას. მეფე ართურმა, როგორც ჭირისუფალ გვირგვინოსანს ეკადრებოდა, ისე დაასათლავა ტბის მეპატრონე ქალი.

თავი მეოთხე

როგორ მოკვდა იმ ქალის ამბავს მერლინი

ამ დროს მეფე ართურის სასახლეში იყო ერთი რაინდი, ირლანდიის მეფის შვილი, სახელად ლანსეორი. იგი დიდად ამაყი ვინმე გახლდათ და თავის თავს სასახლეში პირველ კაცად მიიჩნევდა. ლანსეორმა დიდი მტრობა ჩაიდო ვულში ბალინისა ხმლის გამო, რადგან იგი თავისზე მოხერხებულ, მამაცსა და გულოვან რაინდს ვერ იტანდა. მერმე მეფე ართურს შესთხოვა, თქვენ ოღონდ ნება დამრთეთ, ბალინს გამოვედევნებო და თქვენს შეურაცხყოფას ვაზღვევინებო.

— წადით და, თუ შეგიძლიათ, გამოიჩინეთ თავი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — უთხრა მეფე ართურმა, — ძალიან გაჯავრებული ვარ ბალინზე და ნამდვილად მსურს შეურაცხყოფისათვის, რაც მან მე და მთელ სამეფო კარს მოგვაყენა, სამაგიერო მიეზღას.

ლანსეორი სასახლის იმ შენობისაკენ წავიდა, სადაც ბინად იდგა, რათა გასამგზავრებლად მომზადებულიყო. ამასობაში მეფე ართურის სამეფო კარზე გამოცხადდა მერლინი, რომელსაც ტბის მეპატრონე ქალის თავის მოკვების და ხმლის ამბავი მოუთხრეს.

— ამ ქალწულის თანდასწრებით, რომელმაც ბალინისაგან მისაკუთრებული ხმალი აქ მოიტანა, — წამოიწყო მერლინმა, — მინდა გაუწყოთ მიზეზი, რამაც ეს ნაცდური მოიყვანა. ეს გახლავთ მთელ საქალეთში ყველაზე უფრო ცბიერი არსება. თუ ეს სრული ჭეშმარიტება არაა, თვითონ უარყოს! ამას ჰყავს გულმართალი და ვაჟკაცობით გამორჩეული რაინდი ძმა. ამ ქალწულმა კი შეიყვარა რაინდი, ვინც ეს ქალი თავის ხარჭად აქცა. ძმამ, ალაღმართალმა და მხნე რაინდმა, თავისი ძალგულოვნებით დაჯაბნა ამისი საყვარელი რაინდი და ორთაბრძოლაში მოკლა. ამ მაცდურმა ქალმა კი კუროს გულისათვის ძმაზე შურისძიება გადაწყვიტა, ავილიონის კუნძულის მეპატრონე ქალს ეახლა და შურისგების საქმეში დახმარება გამოსთხოვა.

როგორ ნახა ირლანდიელმა სერ ლანსეოტმა ბალინი, როგორ იბრძოლეს მათ და როგორ დაეცა ბრძოლაში ლანსეოტი



— ავილიონის მფლობელმა მისცა ამ ქალწულს ის ხმალისა, რომლითაც იგი თქვენს სამეფო კარზე გეახლათ, მანვე გააფრთხილა ეს უომბილი, რომ ქარქაშიდან ხმლის ამომღები მთელ სამეფოში სახელოვანი, მამაცთა შორის უმაჰმაცესი, უძლიერესი და უკეთილშობილესი რაინდი იქნებოდა და რომ იმ ხმალს იგი საკუთარი ძმის წინააღმდეგ აღმართავდა და მოკლავდა. აი, რა მიზეზმა მოგიყვანათ აქ, ქალბატონო! ნეტავი კი მეფე ართურის სასახლის კარი სულაც არ გენახათ! კეთილშობილ საზოგადოებაში მოხვედრის ღირსი არა ხართ, რადგან ყველგან ბოროტებასა და უბედურებას თესავთ. იმ რაინდს კი, ვინც ხმალი ქარქაშიდან ამოაძრო, სწორედ ის ხმალი იმსხვერპლეს. და ეს იქნება ყველაზე დიდი ბოროტება, რადგან იმაზე სწორუბოვარი რაინდი ამქვეყნად არც შეგულება. თქვენ კი, მეფეო, ის რაინდი ბევრ სიკეთეს მოგიტანთ და დიდ სახელს შეგძენთ. სამწუხარო და დიდად სავალალო ის გახლავთ, რომ ამ უძლიერესსა და უმაჰმაცეს რაინდს სიცოცხლის დღენი ძალიან მოკლე აქვს.

ირლანდიელი რაინდი ამასობაში ბალინის დასადევნებლად გაემზადა; ფარი მხარზე გადაიკიდა, ხმალი წელზე შემოირტყა, ცხენს მოახტა და, რაც ძალი და სისწრაფე პირუტყვისა ჰქონდა, მიუშვა.

მალე ქედზე ასულმა ბალინს თვალი მოჰკრა და უყვილა:

— შეაჩერე ცხენი, რაინდო! თორემ, სულერთია, გინდა თუ არა, მაინც მოგიწევს შეჩერება. ვერც ფარი გიშველის და ვერც ხმალი, კვალში გიდგევიარ და ფეხდაფეხ მოგდევ.

— იქნებ სჯობდა შინ დარჩენილიყავით, რადგან ბევრ რაინდს ეგონა აგრე, ჩემს მტერს მე ვძლევეო, მაგრამ თვითონვე იძლივნენ და საფლავეებში წვანან. ვისი სამეფო კარიდანა ხართ? — ჰკითხა ბოლოს ბალინმა.

— მეფე ართურის, — უპასუხა ირლანდიელმა რაინდმა, — დიახ, მე უნდა ჩამოვრეცხო მეფე ართურსა და მის სამეფო კარს სირცხვილის ლაქა, რაც თქვენ მოსცხეთ.

— რა გაეწყობა, ვატყობ, ორთაბრძოლის გარეშე საქმე არ დამთავრდება. მეფე ართური და მისი სამეფო კარი რომ გავანაწყენე, ამას ნამდვილად ვნანობ. მაგრამ თქვენ მიერ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე მაინც მინდა ძალიან მარტივად გიპასუხოთ: იმ ქალმა, ვინც მე მოვკალი, დიდი ბოროტება მომაგო. ეს რომ არა, მაშინ ზიზლის ღირსი ვიქნებოდი, როგორც ყველა სხვა რაინდი, ვინც კი ქალზე ხმალს შემართავს.

— მოემზადეთ საბრძოლველად! — დასჭეჭა რაინდმა ლანსეოტმა, — დაჰკარი, ბალინ, ჩვენ ორში ერთის მზე უნდა დაბნელდეს.

რაინდებმა შუბები უნაგირებს დააბრჭინეს და ერთმანეთისაკენ იმ სიჩაუჭითა და სიჩქარით დაიძრნენ, რაც მათ ცხენებს ძალეღვათ. ირლანდიელმა რაინდმა ბალინის ფარს შეაღწეა თავისი შუბი. ბალინის შუბმა კი ირლანდიელი რაინდის ფარი გააპო, გახვრიტა იგი და შუბის წვერმა სხეულამდე მიაღწია, მხედარი ცხენის გავაზე გააჩოჩა და ძირს ჩამოაგდო. მერმე განრისხებულმა ბალინმა ცხენი შემოაბრუნა და ხმალი იშიშვლა, იფიქრა, რაინდს ბოლოს ამით მოვუღებო, გარნა ლანსეოტი უკვე მკვდარი იყო.

თავი მამისა

როგორ მოიკლა თავი ქალწულმა ლანსეორის სიყვარულის გამო და რითაღ
შეხვდა ღვიძლ ძმას ბალანს ბალინი



ქალწულნი

როს ბალინმა ნახა, ლანსეორი უკვე ცოცხლებში აღარ წებებულა, მკვდარად მიმოიხედა და შენიშნა, ვიღაც ქალწული მშვენიერ ცხენზე იჯდა და ბელაურს პირდაპირ მისკენ მიაჭენებდა. ქალწული დაინახა თუ არა მკვდარი ლანსეორი, სუნთქვა გაახშირა, მწარედ აკვნესდა და თქვა: ოჰ, ბალინ, შენ ერთი გული განგმირე, მაგრამ ორი ადამიანი მოჰკალი, შენ ერთ სხეულში ორი გული უღვთოდ მოსპე, ორ არსებას მოუღე ბოლო.

ამ სიტყვებთან ერთად ქალიშვილმა თავის მკვდარ სატრფოს ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო და მიწას ცნობამიხდილი დააწყდა. მერმე წამოდგა და ისე მოთქვამდა, კვნესოდა და ვალალებდა, რომ შეწუხებული ბალინი მიეახლა და უნდოდა ქალიშვილისათვის ხელიდან ხმალი გამოერთმია. ქალიშვილს კი მახვილი ისე მაგრად ჩაებლუჯა ხელებში, რომ უმტკივნეულოდ მის ხელიდან გაგდებინებას ძეხორციელი ვერ შეძლებდა. უეცრად ქალწულმა ხმლის ვადა მიწას დააყრდნო, შიშველ მახვილს ზედ წამოეგო და სხეული ერთიანად გაიფატრა.

ამის დანახვაზე ბალინი ძალზე შეწუხდა და შერცხვა, რომ მისი მიზეზით ბუნების კიდევ ერთი უმშვენიერესი არსება დაიღუპა.

— ვაჰმე! — წამოიძახა ბალინმა, — როგორ ვწუხვარ, რომ ის რაინდი მოგვკალი, ამათ შორის ხომ ჰეშმარიტი და დიდი სიყვარული ყოფილა.

ბალინი ისე შეწუხდა, რომ დახოცილ შეყვარებულთა ცქერა აღარ შეეძლო, ცხენი მოაბრუნა და ხშირ ტევრს შეერია. უცებ შენიშნა, ვიღაც რაინდი ცხენს მისკენ მოაგელვებდა. ბალინმა აბჯრითა და აღჭურვილობით თავისი ძმა ბალანი შეიცნო. ისინი ცხენდაცხენ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ზუჩები მოიხადეს, ერთურთი გადაჰკოცნეს და სიხარულისა და მწუხარების ცრემლები დააფრქვიეს.

სიჩუმე ბალანმა დაარღვია:

— ვერ მოვიფიქრებდი, თუ აქ შეგეყრებოდი, ამისი იმედი ნამდვილად არა მქონდა, მიხარის, რომ ტყვეობის სიბნელიდან თავი დაგიღწევია. ერთმა კაცმა ოთხი ქვის კოშკში მითხრა, შენი ძმა ტყვეობიდან გაათავისუფლესო, მას მეფე ართურის კარზე უნახიხარ. მართალია, ასე მალე ნახვის იმედი არა მქონდა, მაგრამ გულმა მაინც აქეთ გამომიწია.

მერმე ბალინმა ძმას ღამბო ხმლის ამბავი, წვრილად მოუყვა, როგორ მოჰკვეთა თავი ტბის პატრონ ქალსა და როგორ დაიმსახურა მეფე ართურის გულისწყრომა.

— აი, რატომ დამადევნა უკან მდევრად ის რაინდი, ეგერ მკვდარი რომ არიო. ამ გოგონას სიკვდილი კი გულს მწარედ მითუთქავს.

— მეც შენთანა ვარ, — უთხრა ბალანმა, — მაგრამ რა გაეწყობა, რა განსაცდელსაც უფალი გვიმზადებს, ვერსად გავექცევით.

— ჰეშმარიტად აგრეა, მაგრამ გულს ის უფრო მიწუხებს, რომ ჩემი ბატონი აგრერიგად შემომწყრაღია ჩემზე. მე ის ყველა მეფეზე დიდებულ კაცად მიმაჩნია, ვინც კი ამჟამად ხელმწიფებს წყალსა და ხმელზე. ან დავიბრუნებ მის სიყვარულს ანდა ბრძოლაში დავიღუპები. ციხე-სიმაგრე ტირებილის წინ ამ-

ქამად თავისი ლაშქრით დგას მეფე რიენსი, ჩვენც იქით უნდა გავეშუროთ მთელი სისწრაფით, რადგან ძალგულოვნებისა და სიმამაცის გამოჩენა და სახელის მოპოვება მხოლოდ ბრძოლაში შეიძლება.

— მართალი ხარ, ძმაო. რაკი იქით წასვლა გადაგიწყვეტია, მეც შენთან ერთად წამოვალ და შენთან ერთად გავიზიარებ ხიფათს. არაფერს ვეძებ ღვიძლ ძმასა და დედმამიშვილს შეჭფერის.



თავი მეხვინე

როგორ აფხანთაგადა ლანსოურის მკვლელოზისათვის კონდრისკაცი ბალინს, როგორ იპოვა დახოცილ მიჯაჭრთა გვამები კორნუელის მეფე მარკმა და როგორ ააგო მათ სამარეზე აკლდამა

— ახლა კი გზას გავუდგეთ, — უთხრა ძმას ბალინმა, — კარგ დროს შევიყარებით. — ამ საუბარში რომ იყვნენ, ქალაქ კამელოტიდან ცხენით წამოსული ვილაც ქონდრისკაცი წამოადგათ თავზე, როს ჟუჯამ გვამები იხილა, ტყე-ბასა და ტირალს მოჰყვა, აკვნესდა, თმასა და წვერს იგლეჯდა და მერმე იკითხა:

— თქვენ ორიდან რომელმა დახოცა ისინი?

— მერედა, შენ რად გაინტერესებს? — კითხვას კითხვა შეაგება ბალინმა.

— მინდა ვიცოდე, — ჯიუტად თქვა ჟუჯამ.

— მე მოვკალ რაინდი, — უთხრა ბალინმა, — თავს დამესხა და სხვა რა გზა მქონდა. იგი კარგა ხანს მედგა კვალში, დამეწია და მერე... ან მას უნდა მოვეკალი და ან მე მომეკლა. ეგ საცოდავი ქალწული კი მაგ რაინდის სიყვარულის გამო მის ხმაღს წამოეგო. მაგ გოგონას ხსოვნა სამუდამოდ ჩამრჩება გულში. მის პატივსაცემად ამიერიდან ყველა ქალს ამქვეყნად მხოლოდ დახმარების ხელს გავუწვდი.

— რას იზამ, — თქვა ქონდრისკაცმა, — ყველაზე დიდი ბოროტება თვით დამართე საკუთარ თავს. ეს რაინდი, აქ რომ ახლა მკვდარი წევს, სახელოვანი და უმამაციესი კაცი გახლდათ ამსოფლად. იცოდე, ბალინ, მისი მემკვიდრეები აღსდგებიან შურისძიებად, აგედევნებიან და, მანამ არ მოისვენებენ, ვიდრე ბოლოს არ მოგიღებენ.

— ეგ არ მაშინებს, — უთხრა პასუხად ბალინმა, — მე მხოლოდ ის მაწუხებს, ვაითუ მაგ რაინდის მოკვლის გამო ჩემს ბატონს, მეფე ართურს, რისხვა ჩემ მიმართ კიდევ უფრო განუძლიერდეს.

ამ საუბარში რომ იყვნენ, იმ ადგილას კორნუელის მეფე მარკმა გამოიარა. დახოცილთა გვამები რომ ნახა და ისიც შეიტყო, როგორ ვითარებაში და რის გამო იყვნენ დახოცილნი, მეფემ ცხარე ცრემლით დაიტირა ის დიდი სიყვარული, რაც ერთმანეთისადმი შენამსკვალეებ გულებს ჰქონდათ.

და თქვა ასე:

— ამ ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე აქ, მათ სამარეზე, აკლდამას არ აღვამრთავ.

მეფემ კარვები დასცა იმ ადგილას და აკლდამისათვის შესაფერი ადგილის მოსაძებნად იქაურობა ერთიანად მოჩხრიკა. მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ეკლესიაში მშვენივრად გათლილი ქვის ლოდის გამოინახა. მეფე მარკმა ბრძანა,

მიცვალეზულებიისთვის სამარე გაეთხარათ, შეყვარებულთა გვამები ერთად დაემარხათ და ზედ წარწერიანი ქვა დაედოთ. საფლავი გათხარეს, შეყვარებულნი მიწას მიაბარეს, ზედ ქვა დაადეს და ასეთი წარწერა ამოკვეთეს: „საფლავსა ამას განისვენებენ ბალინის ხელით მოკლული ირლანდიის მეფისწული ლანსეორი, რომელსაც თავის სიკვდილში ბრალი თვითონვე მოუძღვრდა და სატრფოს ხმალს ნებით წამოგებული ლედი კოლომბა, ვინც ვერ აიტანა შეყვარებულის სიკვდილი; ელდისა, მწუხარებისა და გულმომწყვლელი კაემნის გამო განეშორა ამ ქვეყანას“.

თავი მარვა

როგორ იწინასწარმეტყველა მირლინმა ორი საკვამომდ აღიარებული რაინდის ორთაბრძოლა იმ აკლდამის წინ და დაასახელა იმდევ რაინდები სარ ლანსელოტ ტბელი და სარ ტრისტრამი

ვიდრე აკლდამას აღაშენებდნენ, მეფე მარკთან მერლინი მივიდა და საკუთარი თვალთ იხილა, რაც იქ ხდებოდა.

— აქ, ამ ადგილზე, ორი რაინდი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმის ერთურთს და ეს იქნება უდიდესი ორთაბრძოლა, რომელიც კი ოდესმე ყოფილა. ბრძოლა, უზომოდა და უღვთოდ შეყვარებულ რაინდთა შორის, სასიკვდილოდ კი ვერც ერთი ვერ განგმირავს მეორეს.

მერლინმა აკლდამაზე ოქროს ასოებით ამოტვიფრა იმათი სახელები, ვისაც იმ ადგილზე მოუწევდა ორთაბრძოლაში ჩაბმა. ეს სახელები გახლდათ: ლანსელოტ ტბელი და ტრისტრამი.

— რაღაც უცნაური კაცი ჩანხარ, — მიმართა მეფე მარკმა მერლინს, — და უცნაურსა და ახირებულ ამბებსაც ჰყვები. უხეში, ბრიყვი და უბირიკ უნდა იყო. მაგდაგვარ საქმეებზე არც უნდა ლაპარაკობდე. შენი სახელი მაინც გაგვაგებინე, რა გქვია?

— ჯერჯერობით ჩემს სახელს არ გეტყვით. როს სერ ტრისტრამსა და მის ქალბატონს თავს წაადგებიან, თქვენ მაშინ გაიგონებთ და შეიტყობთ ჩემს სახელს. მაშინ გაიგებთ ბევრ რამეს, რაც უსიამოვნოდ მოგხვდებათ გულში.

— შენ კი, ბალინ, — მიუბრუნდა მერლინი ბალინს, — ყველაზე ცუდი, რაც შეგეძლო შენი თავისათვის გექნა, ისაა, რომ ლანსეორის სატრფოს თავის მოკვლის საშუალება მიეცი. შენ რომ მოგენდომებინა, იმ ქალს სიკვდილისაგან დაიხსნიდი.

— ვფიცავ საკუთარ სიცოცხლეს, — უთხრა პასუხად ბალინმა, — ვერ ვადავარჩენდი, რადგან ხმალს უეცრად წამოეგო.

— მეტისმეტად სამწუხარო ამბავია, — თქვა მერლინმა, — იმ ქალწულის სიკვდილის გამო იძულებული იქნები ძალზე სავალალო დარტყმა მიაყენო შენს მოყვასს. ასეთი დარტყმა იშვიათად თუ მიუყენებიათ ამქვეყნად ვინმესთვის, გარდა იმ დარტყმისა, რაც ჩვენს უფალს იესო ქრისტეს მიაგეს. შენ დაამარცხებ ქეშმარიტ რაინდს, ამჟამად მცხოვრებ რაინდთა შორის სახელგანთქმულსა და ძალგულოვანს და იმ დარტყმის წყალობით სამს სამეფოს უდიდეს უბედურებასა, სატანჯველსა და განსაცდელში ჩააგდებ. ბევრი წყალი ჩა-

ივლის და ბევრი წელიწადი გავა, ვიდრე ეს რაინდი შენი დარტყმით მიყენებულ
 იარაგს მოირჩენს.

თქვა ესა და მერლინი წასასვლელად მოემზადა.

— არა, ეგ არ მოხდება, — წარმოთქვა ბალინმა, — შენც მისწავლა რომ
 მჯეროდეს და ის რომ ვირწმუნო, რომ ქვეყნად ამდენ უმბეღელს არ დაეთეს,
 თავს მოვიკლავდი, რათა შენ წინასწარმეტყველად კი არა, მატყუარად გამო-
 მევხანე.

მერლინი გაუჩინარდა, ბალინმა და მისმა ძმამ კი მეფე მარკთან გამომშვი-
 დობება მოიწადინეს.

— ჯერ თქვენი სახლები გამაგებინეთ, — უთხრა მათ მეფე მარკმა.

— სერ, — წამოიწყო ბალინმა, — ხომ ხედავთ, ორი ხმალი არტყია. შე-
 გიძლიათ ორხმლიანი რაინდი უწოდოთ.

მეფე მარკი კამელოტში მეფე ართურის სასახლისაკენ გაეშურა.

ბალინმა კი მეფე რიენსისაკენ აიღო გეზი. გზადმიმავალ ძმებს წინ სა-
 ხეშეცვლილი მერლინი შემოეყარათ, ძმებმა, რაღა თქმა უნდა, ვერ იცნეს.

— საით მიემგზავრებით? — ჩაეკითხათ მერლინი.

— რატომ უნდა გიპასუხოთ? — თავის მხრივ ჰკითხეს ძმებმა.

— ვინა ხარ და რა გქვია? — ჰკითხა ბალინმა.

— ჩემს სახელს ჯერჯერობით არ გეტყვით.

— ეგ ცუდი ნიშანია, შენ რომ კარგი კაცი იყო, სახელს არ დაგვიმალავ-
 დი, — უთხრეს მერლინს რაინდებმა.

— რა გაეწყობა, უფალი რასაც იძლევა, იმისი კმაყოფილი უნდა ვიყოთ.
 თუ გინდათ, გეტყვით, ამ გზას რისთვისაც ადგახართ. დიახ, თქვენ მეფე რიენს-
 თან შეხვედრა გწყურიათ, მაგრამ ვერაფერს გააწყობთ, თუ ჩემს რჩევას
 ყურად არ იღებთ.

— ახლა კი მივხვდი, ვინცა ბრძანდებით, — უთხრა ბალინმა, — თქვენ
 მერლინი ხართ. დიდი სიხარულით მივიღებთ თქვენს რჩევას.

— წინ ჰქნებით გავწიოთ, — შესთავაზა მერლინმა, — და თქვენ დიდ
 სახელსა და დიდებას მოიპოვებთ. მხოლოდ ვახსოვდეთ, როგორც ჰესმარიტ
 რაინდებს შეჰფერის, ისე უნდა მოიქცეთ, რადგან ადვილი საქმე არ გაციხრიათ.

— მაგაზე თქვენ ნუ შეწუხდებით, ყოველივეს ვიქმთ, რაც შეგვიძლია. —
 უპასუხა ბალინმა.

თავი მეცხრე

როგორ შეიპყრეს ბალინმა და მისმა ძმამ, მერლინის რჩევის მიხედვით,
 მეფე რიენსი და როგორ მიჰკვამრეს იგი მეფე ართურს

ორმა რაინდმა და მერლინმა ხშირჯოთლოვან ტყეში, გზის პირას გაათიეს
 ღამე. ცხენებს უნაგირები მოჰხადეს, ღაგამ-ავშარა წაჰყარეს და საბალახოდ
 მიუშვეს. მერმე თვითონაც მიწვნენ და შუალამემდე ეძინათ. შუალამემ რომ მოა-
 ტანა, მერლინმა ძმები გააღვიძა და უთხრა, მოემზადეთო.

— ამ არემარეში ახლა სამოცი რჩეული რაინდის თანხლებით გამოივლის
 თავისი ბანაკიდან იღუმალ ლტოლვილი მეფე რიენსი. ოცი რაინდი მან მაცნედ
 აფრინა ჰერცოგ დე ვანსის სასახლეში, რათა ჰერცოგის ცოლი გააფრთხილონ.

მეფე რიენსი იღუმალ გეახლებათო. რიენსი ამაღამ პერცოგის ცოლის გვერ-
დით აპირებს ღამისთევას.

— რომელია მათ შორის მეფე? — იკითხა ბალინმა.

— მოითმინეთ და სწორედ ამ ადგილზე გადაეყრებით მეფეს, — მერმე მი-
ანიშნა კიდევ, მეფე ეგ არისო. ძმები წინ წარდგნენ და მეფეს — მეფე-მეფე-
ბრძოლა გაუმართეს. ცოტაც და იგი დაჭრილი და დასახიჩრებული ცხენიდან
ჩამოაგდეს. მერმე მის რაინდებს მისდგნენ და ორმოცამდე კაცი ხმლებით აკუ-
წეს, დანარჩენებმა კი ფეხმალ ცხენებს მიანდეს თავიანთი ბედი. ბალინი და
მისი ძმა ისევ მეფე რიენსს მისცვივდნენ მოსაკლავად, მაგრამ იგი დანებდათ და
შეწყალება ითხოვა.

— სიმამაცით აღსავსე რაინდებო, ნუ მომკლავთ! თუ ცოცხალს დამტო-
ვებთ, ბევრ რამეს მოიგებთ, ჩემი მოკვლით კი ვერაფერ სარგებელს ნახავთ.

— მართალს ამბობთ, — უთხრეს ძმებმა. მეფე რიენსი ოთხთვალაში ჩას-
ვეს. მერლინმა კი დრო იშოვა, ძმებზე ადრე მეფე ართურთან გაქუსლა და
აუწყა, რომ მისი მოსისხლე მტერი დაჭრილი და გაბაწრული იყო.

— ვინ შეიპყრო იგი? — იკითხა მეფე ართურმა.

— ორმა რაინდმა, ვისაც თქვენი სამსახური გულით სწადია. მათ სახე-
ლებს კი ზვალ შეიტყობთ.

მალე მეფე ართურის სასახლეში ძმის თანხლებით ორხმლიანი რაინდი
გამოცხადდა და თან ჩრდილოეთ უელსის მპყრობელი მეფე რიენსი მოიყვანა.
ძმებმა ტყვე მეფის კარზე მოსამსახურეთ ჩააბარეს, მეფე ართურს მიჰგვარ-
რეთო, ასე დაიბარეს და უკან გაბრუნდნენ.

მეფე ართურა ტყვე რიენსს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მაგრამ რა ქარმა გადმოგაგდოთ
ჩემს სასახლეში?

— სერ, თქვენთან უბედური შემთხვევის წყალობით მოგხვდი, — უპასუხა
მეფე რიენსმა.

— ვინ დაგამარცხათ? — ჩაეკითხა მეფე ართურა.

— სერ, საოცარი სიმარჯვისა და მოხერხების წყალობით დამამარცხეს
ორხმლიანმა რაინდმა. და მისმა ძმამ.

— მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დიდი ვალი დამადეს
კისრად.

— ოჰ, სერ, — წამოიწყო მერლინმა, — მე გეტყვით სიმართლეს. ის ორ-
ხმლიანი რაინდი ბალინი გახლავთ, იმ წყეული ხმლის მომპოვებელი, მეორე კი
მისი ძმაა. ბალანი, კეთილშობილი, მარჯვე და მხნე რაინდი, რომლის ბადალი
ქვეყნად ძალიან ცოტა დაიარება. მხოლოდ ეგაა, სიცოცხლის წუთები დათ-
ვლილი აქვს და მალე მწარედ დაიტირებენ.

— ვაჰ, რა არ ხდება ამ მუხთალ წუთისოფელში, — წარმოთქვა მეფე
ართურმა, — მისი დაღუპვა მართლაც სავალალო და სამწუხარო საქმე იქნება.
მან დიდი სამსახური გაგვიწია, ჩვენ კი ავისა და შავის მეტი მისთვის არა გაგ-
ვიკეთებია რა.

— ის კიდევ ბევრ სიკეთეს მოიმოქმედებს და კარგ სამსახურს გაგიწევთ.
მეფევ. მაგ ამბებსაც მალე შეიტყობთ. ახლა ეს მითხარით, ომისთვის მზადა
ხართ თუ არა? — ჰკითხა მერლინმა. — ზვალ შუადღემდე მეფე რიენსის ძმა მე-

ფე ნერო დიდი ჯარით დაგეხსმით თავს, ეზაბეთ, მეფევე, მე არ ჩემს გზას უნდა ვეწიო.



თავი მათა

როგორ შენატოვდა ვიფი არტურის ბიფი ნეროსა და ვიფი ლოტ მობინელს, როგორ მოატყუა მობინეა ვიფი ლოტსა და როგორ დაიხრცა თოკამბი ბიფი

მეფე არტურმა ათი ლეგიონი დარაზმა, მეფე ნერო კი დიდძალი ჯარით შემოადგა ციხე-სიმაგრე ტირებილს. მასაც ათი ლეგიონი ჰყავდა, მაგრამ მისი ლეგიონები უფრო მრავალრიცხოვანი იყო. ნეროს მეწინავე ლაშქარიც ახლდა.

ამასობაში მერლინი მეფე ლოტ ორკნეელს გამოეცხადა და მანამდე შეიქცია თავისი წინასწარმეტყველებითა და ამბებით, ვიდრე ნეროს ლაშქარი მთლიანად არ მოსპეს. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა სერ კეი-სენეშალმა. არც სერ ჰერვის დე რეველმა დაიკლო სახელი და დიდება. მან მეფე არტურთან ერთად ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა. მეფე არტურმა იმ დღეს ოცი რაინდი გაგზავნა მოუსავლეთში და ორმოცი კი ხეიბარჰყო. მერმე, სად იყო და სად არა, ძმასთან ერთად ორხმლიანი რაინდი გამოჩნდა ბრძოლის ველზე და ისეთი ამბები დაატრიალეს, რომ მეფე არტური და ყველა რაინდი გააოცეს. ვინც მათი ბრძოლა ნახა, ყველა ერთხმად იმას ამბობდა, ომის ბედის გადასაწყვეტად და ჩვენს გასამარჯვებლად ან ცით მოვლენილნი ანგელოზნი არიან, ანდა ჯოჯოხეთის მოციქულნიო. თვითონ მეფე არტურმაც აღიარა, მაგათზე მამაკი რაინდები ჩემს თვალს არ უნახავსო.

ამასობაში მეფე ლოტს ვილაც რაინდი ეახლა და უთხრა, — ვიდრე თქვენ აქ ერთ ადგილს ტყეპნით, ნერო თავისი ლაშქრით მთლიანად გაანადგურესო.

— ვაჰ, ეს რა უბედურება მომხდარა, სირცხვილი ჩემს თავს, ჩემ გამო რამდენი სახელოვანი რაინდი მომკვდარა. მეც მათთან ერთად რომ ჩავბმულიყავი ბრძოლაში, ჩვენი მომრევი ქვეყნად ვინ იყო, — იყვირა ლოტმა, — მაგრამ შატყუარა და თაღლითი შემომიჩნდა და გამაცუცურაჲა.

ყველაფერი ეს მერლინმა მოიმოქმედა. მან კარგად უწყოდა, მეფე ლოტს რომ ბრძოლის ველზე ყოფილიყო, მეფე არტურსაც მოჰკლავდნენ და მის ლეგიონერებსაც გაეუყავდნენ. მერლინმა იცოდა, რომ იმ დღეს ბრძოლის ველზე ერთი მეფის მზე უნდა დაბნელებულიყო. მას სასიკვდილოდ ორივენი ეცოდებოდა, მაგრამ როს საქმე არჩევანზე მიდგა, ისევ მეფე არტური ამჯობინა და სასიკვდილოდ ორკნეელი ლოტი გაიმეტა.

— რა უმჯობესია — იკითხა მეფე ლოტმა, — დავეზავო მეფე არტურს, თუ შევებრძოლო? ჩვენს მოკავშირეთა ძირითადი ლაშქარი გაწყვეტილია და დანარჩენები კი აქეთ-იქით დაფანტულან.

— სერ, — ურჩია მეფე ლოტს ერთმა რაინდმა, — თავს დავესხათ მეფე არტურს, მისი მებრძოლები მოღლილ-მოკვანტულნი არიან, ჩვენ კი ბრძოლაში არც ჩავბმულვართ.

— დაე, თითოეულმა რაინდმა ისე მოიხადოს ბრძოლაში თავისი ვალი, როგორც მე მოვიხდი.

მეფე ლოტის ლაშქარმა წინ დროშები წაიმძღვარა და ისე მაგრად შეუტია

მეფე ართურის ლაშქარს, რომ შუბოსნები ერთიანად მილეწ-მოლეწეს და პოროლები ჩინჩხვრად და ნაფოტებად უქციეს. მაგრამ მეფე ართურის რაინდებმა ორხმლიანი რაინდისა და მისი ძმის ბალანის თანადგომით ნელ-ნელა შიშის დაჯაბნეს მოწინააღმდეგე. თვითონ მეფე ლოტი წინ უძლოდა და ბრძოლის ველზე სასწაულებს ახდენდა. ორთაბრძოლაში რაინდთა შორის ბადალი არა ჰყავდა და ყველგან სიკვდილსა სთესდა. მისი რაინდები ხომ სულ სულ მისი გამოწვერთნილნი იყვნენ. მაგრამ მისი ბედი, რომ იმ დღეს უნდა მომკვდარიყო, იქ, ზეცაში გადაწყდა. ამ ამბავში ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ ასეთი სახელოვანი რაინდი დამარცხდა. მეფე ლოტი ხომ პირველად მეფე ართურის რაინდი იყო და მის დაზე იყო დაქორწინებული. მას მერმე კი, რაც მეფე ართურმა მეფე ლოტის თანაცხედრის სარეცელი გაიზიარა და ქალმა მეფე ართურისაგან ძე დაჰბადა, მეფე ლოტი ყველა ბრძოლაში მის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ამ ბრძოლაში იყო ჩაბმული რაინდი, ვისაც ზედმეტ სახელად მშვენიერი მხეცის რაინდს ეძახდნენ. მისი ნამდვილი სახელი კი პელინორი გახლდათ, მამაცთა შორის უმამაცესი, ძალგულოვანი და დიდი შემმართებელი რაინდი. მისი ბადალი და ფარდი რაინდთა შორის ძალიან ცოტა თუ მოიძებნებოდა. მან ღონივრად დაჰკრა ხმალი ბრძოლაში გართულ მეფე ლოტს. დარტყმა ძლიერი იყო, მაგრამ იმჯერად მეფეს პირდაპირი დარტყმა ასცდა, ხმალი კისერში მოხვდა მის ცხენს და მხედრიანად მიწას განართხო. პელინორმა იმავე წამს მეორედ დაჰკრა მახვილი მეფე ლოტს, მუზარადი გაუპო და თავი წარბებამდე გაუჩხა.

მეფე ლოტის სიკვდილმა მისი ლაშქარი არივ-დარია. შეშინებულმა მხედრებმა პირი იბრუნეს და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მეფე ართურის მოლაშქრეებმა კი ყველანი შეიპყრეს და ცოცხალი ერთიც არ გაუშვიათ. მეფე ლოტი პელინორის ხელმა განგმირა. მამის მოკვლისათვის შური ათი წლის შემდეგ მისმა შვილმა სერ გავეინმა იძია, როგორც კი იგი რაინდად აკურთხეს, საკუთარი მარჯვენით გამოასალმა ამ წუთისოფელს პელინორი. ლოტის მომხრეთაგან მეფე ნეროსთან ერთად ამ ბრძოლაში თორმეტი გვირგვინოსანი მოიკლა. მეფენი კამელოტში, წმინდა სტეფანეს ეკლესიის ეზოში დამარხეს. რაინდთა და მოლაშქრეთა გვამები კი ერთ დიდ დარღალაში ჩაჰყარეს.

თავი მეთერთმეტი

თორმეტი მეფის დამარხვა და მირლინის წინასწარმეტყველება. ჯალინის ავალალო დარტყმა

მეფეთა დამარხვის დღეს კამელოტში მეფე ლოტის მეუღლე თავისი ოთხი ვაჟიშვილითურთ ჩამოვიდა. ესენი იყვნენ: გავეინი, აგრავეინი, გაჰერისი და გარეთი. იმ დღეს კამელოტში ჩამოვიდა სერ ივეინის მამა მეფე ურიენსი თავის თანამეცხედრე ფეა მორგანთან ერთად. რომელიც მეფე ართურს დად ერგებოდა. ისინი მეფეთა დაკრძალვაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ. მეფე ართურის ბრძანებით ყველაზე მდიდრული საფლავი მეფე ლოტს გაუკეთეს და მეფე ართურმა თავისი ხელით დაადო ძვირფასი ქვა მის საფლავს.

მეფე ართურმა ბრძანა პრინჯაოსა და სპილენძის ნიერთისაგან ჩამოესხათ

მეფეთა ძეგლები. მერმე ის ძეგლები ოქროს ფურცლებით დაფარეს. მეფეებს ხელთ სანთლები დააქერინეს. დღითა და ღამით განუწყვეტლივ ღრმ ენთო. ამ ძეგლების თავზე კი მეფე ართურის ქანდაკი იქნა აღმართული, რომელსაც ხელთ შიშველი ხმალი ებყრა. მეფეთა ეს თორმეტი ძეგლი დიდი ხელფრთხილად იყო ნაძერწი. ჩამომსხმელს იმდენი ეშმაკობა ეხმარა, რომ მნახველებს ყოველს შეემჩნია, ესენი დამარცხებულ მეფეთა ლითონში ნაკვეთი სახეებიანო. მერლინმა თავისი ხელობა, ცოდნა და გამოცდილება არ დააკლო ამ საქმეს.

მერლინმავე გამოუცხადა ართურს: შენი სიკვდილის დღეს ჩაიშრიტება აქ დანთებული სანთლები და ეს მოხდება მაშინ, როს წმინდა გრაალის მაძიებელთა საგმირო საქმენი მომთავრდებაო. „გრაალის თასი კი გაჩნდება თქვენ შორის, მაგრამ მისი მომპოვებელნი სხვანი იქნებიან“. მანკე აცნობა ართურს. ბალინის სავალალო დარტყმის თან დიდი შურისგება მოჰყვებაო.

— მერედა, სად არიან ბალინი, ბალანი და პელინორი?

— მეფე პელინორს მალე იხილავთ. ბალინიც, დიდი ხანი არ გაივლის და გამოჩნდება, მისი ძმა ბალანი კი სამუდამოდ მიეფარა თქვენს თვალთა მიღმა, თქვენ მას ველარ ნახავთ.

— რწმენას ვფიცავარ, — წამოიწყო მეფე ართურმა, — რომ ორივენი მხნე და მამაცი რაინდები გახლავან. ბალინის სადარი რაინდი მთელ დუნიაზე აქ მეგულება და მე მისგან დიდადა ვარ დავალებული. ჩემი მეფური სურვილი იყო, იგი განუშორებლად თან მხლებოდა ყოველთვის, ყველგან!

— სერ, — უთხრა მერლინმა, — მთაფრთხილდით ექსკალიბურის ქარქაშს! ვიდრე თქვენი ხმლის ქარქაში წელზე გარტყიათ, ნახმლევიდანა და ნაჭრილობევიდან წვეთი სისხლიც არ დაგედვრებათ!

(ხანი გამოხდა და მეფე ართურმა თავისი ხმლის ქარქაში თავის დას ფეა მორგანს მიუბოძა.

ფეა მორგანს თავის კანონიერ თანამეცხედრე მეფე ურიენსსა და ძმა მეფე ართურზე უფრო თავისი კურო უყვარდა. ქალმა ღვიძლი ძმის დაღუპვა მოიწადინა. ბრძანა და ექსკალიბურისათვის სხვა ქარქაში, ნამდვილის მსგავსი დაამზადებინა, ხოლო ძმის სახსოვარი ჯადოქრული ქარქაში, სხეულთან ერთად, თავის კუროს აკლონს მიუძღვნა. მას, ვინც, ცოტა გაწყდა, მეფე ართური სიცოცხლეს არ გამოასალმა).

მერლინმა მეფე ართური კიდევ ერთ წინასწარმეტყველებას აზიარა. სოლსბერის სიახლოვეს უდიდესი ბრძოლა მოხდება. იქ თქვენი საკუთარი შვილი მორდრედი თქვენ წინააღმდეგ აღმართავსო მახვილს. ბაგდემაგუსი კი თქვენი და მეფე ურიენსის სისხლი და ზორციანო, უთხრა.

თავი მეთორმეტე

როგორ გამოუხდა ცანდაცხენ მწუხარი რაინდი მეფე ართურს, როგორ დაეწინა და დააბრუნა იგი ბალინმა და როგორ მოკლა ის რაინდი უხილავმა რაინდმა

გამოხდა ხანი და მეფე ართური ცოტა უქეიფოდ შეიქნა. მეფემ კარავი მდგლოზე დაადგმევინა და თვალის მოსატყუებლად და დასასვენებლად წამოიწეა მაგრამ დასვენება და უქმად ყოფნა მის კარაბადინში არ ეწერა. უცებ ცხენის

ფლოქვების თქარათქური შემოესმა. მეფე ართურმა იმწამსვე გამოიხედა კარ-
ვიდან და ძალზე მწუხარე სახის რაინდს მოჰკრა თვალი.

— საყვარელო მეგობარო, — მიმართა უცნობს მეფე ართურმა, — უცნობი
შეიცადეთ, ამოიქაჩანეთ და გამანდეთ, რისთვის ხართ აგრერიგად დამწუხრე-
ბული?

— სულ ერთია, ვერაფრით დამეხმარებით, — გამოეპასუხა უცნობი რა-
ინდი, გვერდით ჩაუარა და გეზი მელიოტის ციხე-სიმაგრისაკენ აიღო.

სად იყო და სად არა, თითქოს იმ უცნობ რაინდს კვალში ედგაო, იმ არემა-
რეში ბალინიც გამოჩნდა. მეფის დანახვაზე ცხენიდან ჩამოხდა, ქვეითად მი-
ეახლა და მოკრძალებით მიესალმა.

— თავს ვფიცავარ, — უთხრა ართურმა, — თქვენი ნახვით დიდად გა-
მანარეთ, სერ; ეს-ეს არის, ამ შემოგარენში ვილაც მწუხარე სახის რაინდმა
გვერდი აგვიარა. რაზედ იყო აგრერიგად დამწუხრებული, არ გაგვენდო. ჩემი
სურვილია, რომ თქვენ, სიღარბაისლით აღსავესემ, კეთილშობილმა და თავაზი-
ანმა რაინდმა, ის რაინდი უკან ნებით ან ძალით შემოაქციოთ.

— თქვენი უდიდებულესობის სამსახურად მუდამ მზად გახლავართ და მა-
გაზე უფრო დიდ დავალებასაც გავუძღვები, — უთხრა ბალინმა. — ის რაინდი
თუ თავისის ნებით არ დაბრუნდა, საქმე კარგად არ წაუვა.

ბალინი ისარივით გაფრინდა, რომ იმ უცნობ რაინდს დასწეოდა. მალე ხის
ძირას ქალწულთან ერთად მჯდომარეს თავს წაადგა კიდეც.

— ბატონო რაინდო, თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, რათა მეფე
ართურს თქვენი მწუხარების ამბავი მოუთხროთ.

— ვერა, ვერ გამოგყვებით, — უთხრა წყნარად რაინდმა, — რადგან უკან
დაბრუნება ჩემთვის საზიანო იქნება, ხოლო თქვენ ვერავითარ სიკეთეს ვერ
შეგძენთ.

— სერ, — უთხრა პასუხად ბალინმა, — თუ არ გამოგყვებით, უნდა შე-
მებრძოლოთ, თქვენთან ბრძოლა კი ნამდვილად არ მინდა.

— ვინაა იმისი თავდები, რომ, თუ გამოგყვებით, ზიფათი არ მომელის?

— ჩემს სულსა და ხორცს ვფიცავ, თუ თქვენს მტერსა და ღუშმანს უმაღ-
მე არ შევაკლა თავი.

უცნობი რაინდი ცხენს მოახტა, ქალიშვილი იქვე დატოვა და ბალინს
გაჰყვა. ისინი უკვე მეფე ართურის ჩარდახთან იყვნენ, როს ვილაც უჩინარი
გრანეულივით უეცრად მიეახლა მწუხარე სახის რაინდს, შუბი აძგერა და ბეგ-
თარიანად გაჰყვითა ვაჟკაცი.

— თქვენმა თავდებობამ ვერ მიხსნა განსაცდელისაგან, მე მომკლა რაინდ-
მა გარლონმა. ახლა კი სასწრაფოდ მოახტით ჩემს ტაიქს, რომელიც თქვენსაზე
ფეხმალია, იმ გოგონასაკენ გაჰქუსლეთ, ტყეში რომ დავტოვეთ, ჩემს გზას
გაჰყევით, ჩემი მოსამთავრებელი საქმე, როგორც ის ქალწული გეტყვით, ისე
დაასრულეთ და, როცა შეიძლოთ, ჩემი სიკვდილისათვის შური იძიეთ.

— სწორედ აგრე ვიქმ, — აღუთქვა მომაკვდავს ბალინმა, — ვფიცავ რაინ-
დობასა და უფალს.

ასე მიატოვა ბალინმა დამწუხრებული მეფე ართური.

მეფე ართურმა მდიდრულადა და პატივით დაასაფლავებინა რაინდ ჰარ-
ლეუსის გვამი, საფლავის ქვაზე მეფემ ისიც წააწერინა, ვისი მუხანათობის წყა-
ლობითაც დაიღუპა იგი.

შუბის იმ ნამსხვრევს კი, რითაც ჰარლევუს წვეროსანი გამოასალმეს წუთი-სოფელს. ის კეთილშობილი ქალწული მთელი სიცოცხლე თან დაატარებდა.



თავი მათამატი

როგორ გადაიხარა ბალინი ქალწულთან ერთად რაინდს, ვინც ჰარლევუსით ბალინის თვალწინ მოიკლა თავი და ციხე-დარბაზის ადამ-წინიგის შემსასრულბლად როგორ გაიღო საკუთარი სისხლი ქალწულმა

ბალინი და ქალწული უსიერ ტევრში მიიკვლევდნენ გზას, როს ნადირობიდან დაბრუნებულ უცხო რაინდს გადაეყარნენ. რაინდმა ბალინს დამწუხრების მიზეზი ჰკითხა.

- თქვენთან ლაყბობის გუნებაზე არა ვარ, — უპასუხა ბალინმა.
- თქვენსავეთ იარაღსხმული რომ ვიყო, მაგ პასუხისათვის ორთაბრძოლაში გაგიწვევდით.

— ორთაბრძოლა საჭირო არაა, მე ხომ შიშის გამო არ გითხარით პასუხზე უარი, — თქვა ესა და ბალინმა რაინდს წვრილად უამბო ყოველივე.

— თუ აგრეა, ვფიცავ რწმენას, რჯულსა და სიცოცხლეს, სანამ პირში სული მიდგას, არ მიგატოვოთ.

მათ იმ მეტოქშიშეიარეს, სადაც რაინდი იდგა. რაინდმა იარაღი აისხა, ცხენს მოახტა და ბალინთან ერთად გაქუსლა.

როს რაინდებმა სასაფლაოს სიახლოვეს, მეუდაბნოეს ქოხს ჩაუარეს, გარლონი ისევ უჩუმრად მიეპარა რაინდ პერინ დე მაუნტ ბელიარდს და შუბი გულმკერდში გაუტარა.

— ვაჰმე! — თქვა რაინდმა, — მეც იმ წყეულმა უჩინარმა მოლაღატემ მომიღო ბოლო.

— ვაჰ, სირცხვილო! — იფეთქა ბალინმა. — ეს მისი მხრიდან ჩემი პირველი დამცირება და შეურაცხყოფა არაა!

მეუდაბნოემ და ბალინმა რაინდი მიწას მიაბარეს და ზედ სამეფო სამარხზე დასადები ქვის მსგავსად მონატულ-მოჩუქურთმებული ქვა დაადეს. მეორე დილას კი ქვაზე ოქროს ასოებით ამოკვეთილი წარწერა იუწყებოდა: სერ ვავეინი, თავისი მამის, მეფე ლოტის მკვლელობის გამო სამაგიეროს მიუზღავს მეფე პელინორს.

ბალინმა და ქალწულმა გზა განაგრძეს და მალე ციხე-დარბაზს მიადგნენ. ბალინი ჩქარობდა და სასახლეში ჰაიპარად შევიდა. ბალინის ალაყაფში შესვლისთანავე კარი ზევიდან ჩამოეშვა და დაიგმანა. ქალწულს კი გარს ბრბო შემოეხვია და მის მოკვლას ლამობდნენ. გულშემუსვრილი ბალინი შორიდან შეჰყურებდა ამ ამბავს, მაგრამ ვაგლახ, რომ შეველა არ შეეძლო. მერმე ის იყო გოდოლზე ასვლა მოახერხა, კედელს ზედ გადმოეველო და დაბლა უვნებლად ჩამოხტა, ხმალი იშიშვლა, რათა თავდამსხმელები აეკუწა. მათ კი მშვიდად აუწყეს:

ჩვენ ამ ციხე-დარბაზის უძველეს წეს-ჩვეულებას ვასრულებთ და შენთან ბრძოლა არა გვწადიანო. მერმე ისიც უთხრეს, რომ ციხე-დარბაზის მფლობელი

ქალბატონი კარგა ხანია ავადმყოფობს და მანამდე ვერ გამოძახებინებდა ვიდრე მეფური ჩამომავლობის უმწიკვლო ქალწულის სისხლით სავსე ვერცხლის ლანგარს არ მიართმევნო.

— ჰოდა, ჩვენი ციხე-დარბაზის ჩვეულებად იქცა, არც ერთი ქალწული ისე არ გავუშვათ, თუ ერთი სინი სისხლი არ გავაღებინეთ.

— რა გაეწყობა, — თქვა ბალინმა, — დაე, ჩემმა თანმხლებმა ქალწულმა მოგცეთ ერთი ლანგარი სისხლი, მოკვლით კი, ვიდრე პირში სული მიდგას, არ მოგაკვლევინებთ.

ქალწულმა ნებით გაიღო ერთი სინი სისხლი, თუმცა მისმა სისხლმა ვერა-რა არგო ციხე-დარბაზის ავადმყოფ მეპატრონეს. ციხე-დარბაზში ქალწულსა და ბალინს მეტად კარგა უმასპინძლეს, მთელი ღამე სტუმრებმა იქ გაატარეს, დილით კი გზას გაუდგნენ. მერმე, როგორც ეს წმინდა გრაალის წიგნშია მოთხრობილი, სერ პერსივალის დამ იხსნა ამ ციხე-დარბაზის ავადმყოფი ქალბატონი. მან საკუთარი სისხლით გადაარჩინა იგი და თვითონ სისხლის ვალებას ემსხვერპლა.

თავი ამოთხევა

როგორ შეხვდა ბალინი ლხინში რაინდ ბარლონს, როგორ მოკლა იგი და გადაარჩინა მისი სისხლით იმ კაცის ძა. მისც კარგად უმასპინძლა

სამი თუ ოთხი დღე ისე იარეს, თავის არაფერი გადახდენიათ. მერმე ერთი მემამულის სახლში გაათიეს ღამე. ვახშმად რომ ისხდნენ, ბალინმა, ყური მოაკრა: მეზობლად მდებარე პალატიდან ვილაციის ხმამალალი და ძალიან მწარე კვნესა ისმოდა.

— რა ხმაურია? — იკითხა ბალინმა.

— ვაგლახ, რომ ამისი თხრობა მე მიხდება. — უთხრა ბალინს სახლის პატრონმა, — ამას წინათ ერთ ასპარეზობაზე გახლდით და ორთაბრძოლაში შეევები რაინდს, რომელიც მეფე პელამის ძმა გახლავთ. გავიმარჯვე და ჩემი მოწინააღმდეგე ორჯერ ჩამოვაგდე ცხენიდან. მან კი დაიფიცა, სამაგიეროს იმით მოგიზღავ, ვინც ყველაზე ძალიან გიყვარს, იმას გაგიუბედურებო. ჩემი შვილი დაქრა და ნაჭრილობევი აღარ უხორცდება. მითხრეს, მანამდე არც არაფერი ეშველება, ვიდრე, ვინც დაქრა, იმის სისხლს არ გადაუსხამო. ის კი თურმე უჩინმაჩინივით დაიარება და მისი არც სახელი ვიცი და არც ასავალ-დასავალი.

— სამაგიეროდ, მე ვიცი მისი სახელი, — უთხრა მასპინძელს ბალინმა, — იმ რაინდს გარლონი ჰქვია და მან ორი ჩემი მეგობარი რაინდი მოკლა. ამიტომ ამ სახელმწიფოს მთელ ავლადიდებას გარლონთან შეხვედრა მირჩევნია, მისგან მოყენებული შერცხვენა და შეურაცხყოფა უნდა ჩამოვირეცხო.

— მაშინ მე გეტყვით, რა გზით შეგიძლიათ მას შეხვდეთ. მეფე პელამმა მთელ ქვეყანას აუწყა, რომ ოცი დღის შემდეგ დიდ ზეიმს გადაიხდის. ყველა რაინდს ევალება იმ ზეიმზე მეუღლესთან ან გულის რჩეულთან ერთად წარსდგეს. აი, იქ შეგიძლიათ თქვენი და ჩემი მტრის ხილვა.

— მაშ. წინასწარ შემიძლია აღვითქვათ თქვენი შვილის განსაკუთრებული სისხლი.

— თუ აგრეა, ხვალვე გზას გავუდგეთ. — შესთავაზა ბალინს მასპინძელმა.

მეორე დღესვე აიყარნენ და პელამის სასახლისაკენ დანიშნულ ადგილს მიაღწევდნენ, თხუთმეტი დღე შეუსვენებლივ იარეს. სწორედ მათი ჩასვლის დღეს დაიწყო დღესასწაული.

ისინი ძალიან ჩქარობდნენ, ცხენები თავლაში დააყენეს და თვითონ სასახლისაკენ გაეშურნენ. ბალინის თანამგზავრი ციხე-დარბაზში არ შეუშვეს, უქალოდ მოხვედით. ბალინი კი დიდებულად მიიღეს, მხოლოდ იარაღის აყრა მოუნდომეს და მოსთხოვეს.

— არა, — უბასუხა ბალინმა, — ამას არა ვიქმ, რადგან ჩემი ქვეყნის ადამიანი სხვაგვარია. რაინდს თავისი იარაღი განუყრელად თან უნდა ჰქონდეს. თუ არადა, იქითკენვე წავალ, საიდანაც მოვედი.

ბალინს ნება დართეს ხმალშემორტყმული ყოფილიყო. იგი დარბაზში თანმხლებ ქალწულთან ერთად შევიდა და კეთილშობილ რაინდთა შორის მოექცა.

ბალინმა ერთ რაინდს ჰკითხა.

— ამ სასახლეში რაინდი გარლონი ხომ არ იმყოფება?

— დიახ, აქ გახლავთ. აი, ისაა ჩვენკენ რომ მოდის, შავგვრემანი. მაგის ბადალ რაინდს. მთელ დუნიაზე სანთლით რომ ეძებოთ, ვერ მონახავთ. ბევრი კარგი და სახელგანთქმული რაინდი გაისტუმრა იმქვეყნად. უჩუმრად იცის მიპარვა და ბოლოს მოღება.

— აბა ასეა საქმე? — თქვა ბალინმა — მაშ, გარლონი ეგაა?

ბალინი დაფიქრდა და კარგა ხანს გაყურსული იყო. ფიქრობდა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: „თუ აქვე მოვკლავ, აქედან ველარ გავაღწევ და თუ ცოცხალი დავტოვე, იქნებ ველარც კი შევხვდე სადმე. ეგ კი ბოროტსა და ავ საქმეს არ მოიშლის“.

ამ დროს გარლონმა შენიშნა, რომ ბალინი დაყინებით აკვირდებოდა, მიეახლა, ხელუკუღმა სთხლიშა სახეში და უთხრა:

— რაო, რას მაკვირდები? შეგირცხვეს კაცობა! თუ სალხინოდ ხარ მოსული, იქეიფე და დრო გაატარე!

— მართალი ხარ, — უთხრა ბალინმა, — შენგან შერცხვენა და თავის მოჭრა არ მაკლია და სწორედ იმას ვიქმ, რისთვისაც მოვსულვარ

თქვა ესა, განრისხებულმა დაჰკრა და თავი შუაზე გაუბო

— ახლა კი, — მიმართა მან თავის თანმხლებ ქალწულს, — იმ შუბის წვერი მომეცი, რითაც თქვენი შეყვარებული განგმირა.

ქალწულს მუდამყამს თანა ჰქონდა ამ შუბის ნატეხი, რითაც მისი სატრფო განგმირა გარლონმა. ბალინმა შუბის წვერით გული გაუბო გარლონს და ხმამაღლა, ყველას გასაგონად იყვირა:

— ამ შუბის წვერით მოჰკალი შენ კეთილშობილი რაინდი და ის შუბის წვერი გაქვს ახლა გაჩრილი გულში.

თავი მეთხუთმეტი



როგორ შეემა ბალინი მამა პელამს, როგორ გადაეხატა მამაში ხმალი,
როგორ მოიპოვა შუბი, როგორღოთაც შეემა საგალალო დარტყმის
შინგლითქე

ბალინმა თავისი მასპინძელი მიიხმო თავისთან, ვინც თავშესაფარი მისცა.

— ახლა კი შეგვიძლია თქვენი შვილის გადასარჩენად საკმაო სისხლი წავიღოთ.

რაინდები წამოიშალნენ და ბალინზე თავდასასხმელად შეიმართნენ. თვითონ მეფე პელამი წამოდგა და გამძვინვარებით შეჰყვირა:

— რისთვის მოჰკალ, რაინდო, ჩემი ძმა? შენ აქედან ცოცხალი ვერ წახვალ!

— რა გაეწყობა, — უთხრა ბალინმა, — ალბათ თქვენი ხელით მიწერია სიკვდილი.

— სწორედ აგრე იქნება, — უთხრა ბალინს პელამ მეფემ, — ჩემი ძმის სიყვარული მავალებს, პირადად მოგილო ბოლო.

გაალმასებულმა მეფე პელამმა ხმალს წამოავლო ხელი და მტრის გასაკვეთად მოიქნია. ბალინმა მოქნეულ მახვილს თავს ზემოთ ხმალი დაუხვედრა, დარტყმა აიცილია, მაგრამ ხმალი ნამსხვრევებად ექცა და უიარალოდ დარჩა. იგი გარეთ გამოვარდა, ციხე-დარბაზის პალატები ერთიანად შემოირბინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, მახვილი ვერსად მონახა. მეფე პელამი კი ფეხდაფეხ მისდევდა. ბოლოს ბალინი ერთ მშვენიერსა და მდიდრულად გაწყობილ ოთახში მოხვდა. საწოლებზე ოქროქსოვილი ეფარა, შიგ ვილაც იწვა და გვერდით ხალასი ოქროს მაგიდა ედგა. სწორედ იმ ოქროს მაგიდაზე იდო მშვენიერად მოზარნიშებული ლახვარი.

ბალინმა ხელი დასტაცა ლახვარს, შემობრუნდა და მეფე პელამს შეუტია. ბალინმა ისეთი ძალით აძგერა ლახვარი მეფეს, რომ დაჭრა კიდევ, მიწას განართხო და უგრძნობლად გახადა. ამ კვეთებაზე უეცრად ციხე-დარბაზი ჩამოიქცა, ჩამოიქცა კედლები, კერი და ყოველივე მიწაზე ჩამოიშალა, ჩამოინგრა და ჩამოშვავდა. ბალინიც წაიქცა და ხელ-ფეხი შეებორკა. ვინც კი ციხე-დარბაზში იყო, ყველანი ლახვრის იმ სავალალო კვეთების შედეგად ციხე-დარბაზის ჩამოქცევის მსხვერპლი შეიქნენ.

თავი მეთექვსმეტი

როგორ გადაარჩინა ნანგრევებში მოკცოული ბალინი მერლინმა, როგორ გაათავისუფლა და დაიხსნა ბალინმა უიჰედოდ შეხვარებული რაინდი, თავის მოკვლა რომ ეშადა

ასე იწვნენ სამ დღე-ღამეს ნანგრევებში მოქცეული ბალინი და მეფე პელამი.

სერმე იქ მერლინი გამოეცხადათ, ბალინი ფეხზე წამოაყენა, კარგი ბედაური ძიპგვარა, რაკილა ბალინისა დაღუპულიყო, და ურჩია, ამ მხარედან გუდანაბადი აიკარაო.

— სერ, — შეეპასუხა ბალინი, — ჩემი თანმხლები ქალწული დამიბრუნონ.

— აი, ის ქალწულიც, — მიათითა მერლინმა მიცვალებულზე.

მაგრად დაშაფებულ და დასახიჩრებულ მეფე პელამი კი მრავალი წელი იწვა და იტანჯა ლოგინში და ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა, ვიდრე გალაღმა, დიდგვაროვანმა პრინცმა არ განკურნა. წმინდა გრაალის ძანშანსმჩენი უფლის იესო ქრისტეს სისხლიც იდგა, რომელიც ჩვენს მრწამსს სარიმათი-ელმა ჩამოიტანა. სწორედ ის იწვა იმ მდიდრულად მორთულ ქვეშაგებში. დახვარი სწორედ ის იყო, ლონგეუსმა რომ უფალს ფერდში აძგერა. მეფე პელამი, იოსებ სარიმათიელის პირდაპირი ჩამომავალი, თავისი დროის ყველა-სა უფრო კეთილშობილი ადამიანი გახლდათ და დიდად შესაბრალისი სწორედ იმის გამო, რომ იმდენ ხანს ცუდუბრალოდ იტანჯა. ბალინის იმ სავალალო დარტყმამ ხომ უდიდესი მწუხარება და სატანჯველი მოუტანა ციხე-დარბაზში მყოფთ.

ბალინი გამოეთხოვა მერლინს.

— ჩვენ, — თქვა გამომშვიდობებისას მერლინმა, — ამქვეყნად აღარც შეყრა და აღარც გაყრა აღარ გვიწერია.

ბალინი განეშორა მერლინს და გზას გაუდგა. ბევრი ველ-მინდორი, მშვენიერი დაბა-ქალაქები გადაიარა და ყველგან დაუმარხავ მიცვალებულთა გვამებს აწყდებოდა. ცოცხლად დარჩენილნი კი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და მოსძახოდნენ:

— ოჰ, ბალინ! შენ ჩვენს მხარეს განადგურება და სიკვდილი მოუტანე! შენი სავალალო დარტყმით, რაც მეფე პელამს აგემე, შენ სამი სამეფო დაღუპე. იცოდე, არც შენ დარჩები შურისგების გარეშე!

სწორედ ამიტომ მოიცვა მისი გული უდიდესმა სიხარულმა, როცა იმ სამ სამეფოს საზღვრები უკან მოიტოვა. მან რვა დღე-ღამე იარა, ვიდრე ახალ თავ-გადასავალს გადაეყრებოდა.

იგი მინდვრის ბოლოს უსიერ ტევრში შევიდა და ციხე-კოშკს მოჰკრა თვალი. კოშკთან ახლოს, ხის ძირას მშვენიერი დარახტული და ძლიერი ცხენი იყო გამობმული. იქვე მიწაზე ბრგე მოყვანილობის, კობტა, სევდისაგან დაღრეკილი რაინდი იჯდა. ბალინმა უთხრა:

— გფარავდეთ ღმერთი! რატომ დაგიღრეჯიათ აგრერიგად პირი? გამანდეთ თქვენი სევდის მიზეზი, იქნებ ქალმიძღეს წაგადგეთ რამეში.

— ბატონო რაინდო, — უპასუხა მწუხარე სახის რაინდმა, — მაკმარეთ ჩემი სულის წვა და წამება, ტკბილ ფიქრებში წასულს ნუ გამახსენებთ კვლავ ჩემს სატანჯველს.

ბალინმა ცხენს უკან დაახევირა, რათა უცხოები რაინდის ტაიჭი კარგად შეეთვალიერებინა. იმავე წამს რაინდის ჩუმ ბუტბუტს მოჰკრა ყური: „ოჰ, მშვენიერო ასულო! რატომ, რატომ გასტეხეთ ჩემთვის მოცემული სიტყვა, რად შეიქმენით პირუმტკიცე? თქვენ ხომ აღმითქვით, რომ აქ შემხვდებოდით ნაშუადღევს! ახლა კი გწყევლით, რადგან მახვილით, მე რომ მომიძღვენით, საკუთარი მკერდის შუა გაბობას ვაპირებ“. თქვა ესა და ხმალი იშიშვლა. ბალინი რაინდს მიეახლა, მკლავი მაგრად დაუჭირა და თავის მოკვლა არ დაანება.

— ხელი მიშვი, თორემ აქვე აგკუწავ, — უთხრა გაგულისებულმა რაინდმა.

— ჩემი მოკვლით რა სარგებელი გექნება, — მშვიდად უთხრა ბალინმა.—

ისე კი, თუ იტყვით, ვინაა თქვენი გულის მურაზი და სად უნდა ვეძიოთ იგი, ვფიცავ ზენას, მტლად დაგედებით.



— თქვენი სახელი?

— ჩემი სახელი „მძვინვარე ბალინი“ გახლავთ, ბატონო რამდენიმე წელიწადი.

— ეგ სახელი ჩემთვის კარგადაა ცნობილი, თქვენ ორწლიანი პრდინდებით, ვისმა მამაცობამაც საზღვარი არ იცის და მთელ დუნიაზეა სახელგანთქმული.

— ახლა თქვენი სახელი გააგონეთ ჩემს ყურთასმენაა.

— ჩემი სახელი გარნიშ-მთიელია, წარმოშობით ღარიბი მშობლების. შეიღლი გახლავართ, სიმამაცისათვის ჰერცოგისაგან აღზევებული. რაინდად მაცურთხი და მიწის ბოძებით განდიდებული, ჩემი რაინდად აღმაზევებლად სახელი ჰერცოგი ჰარმელია. ჩემი რჩეული კი მისი ქალიშვილია, ვისაც, თუ გუჰმანი არ მაცთუნებს, სულითა და გულით უნდა ვუყვარდე.

— ახლა ის ქალწული შირსაა ჩვენგან? — იკითხა ბალინმა.

— იფრფრას არსებას მხოლოდ ექვსი მილი გვაშორებს. — უბასუხა რაინდმა.

— მაშ, მისკენ გავწიოთ, — ერთმანდ წარმოთქვეს რაინდებმა.

მაღე რაინდებმა დაოთხილი ცხენები მშვენიერი ციხე-კოშკის წინ შეაჩერეს. ციხე-დარბაზს გარშემო თხრილები ჰქონდა შემოვლებული და მაღალი გალავანი იცავდა.

— შე შევალ ციხე-დარბაზში და ვნახავ, იქაა თუ არა თქვენი სატრფო. — უთხრა ბალინმა.

ბალინი ციხე-დარბაზში შევიდა, იქაურობა გულდასმით მიჩხრიკ-მოჩხრიკა, მაგრამ ქალწული ვერსად ნახა. ბოლოს მისი სარეცელიც იხილა, თუმცა პატრონი არც იქ დაუხვდა. ბალინს არც მშვენიერი ბალი დაუტოვებია მოუხილავი. სწორედ იმ ბაღში, დაფნის ხის ძირას, ფაფუკ მწვანე აბრეშუმის საფენზე მწოლიარე ქალს ვილაც რაინდთან ჩაბვეულს ჩასძინებოდა. თავი ორივეს ყვავილებსა და ბალახებში ჩაერგოთ. თვითონ უმშვენიერეს და ულამაზეს ახალგაზრდა ქალს ვილაც უშნო, დაღრანჯულ რაინდთან გაეყო ვნების სარეცელი. გულამღვრეული ბალინი უკან გამობრუნდა, პალატები გამოვლო, რაინდ გარნიშთან დაბრუნდა, მოუთხრო, როგორ იხილა ღრმა ძილს მიცემული მისი სატრფო, გარნიში დაფნის ხის ძირას მიიყვანა და ქალი უჩვენა.

თავი მეთხუთმეტი

როგორ დახმაცა რაინდმა ბარნიშმა თავისი სატრფო და მისი საშვარელი, მირვე როგორ მოიხლა თავი, როგორ შემოგზავნა ბალინი ციხე-დარბაზში, სადაც სიკვდილი ჰკოცა

როცა გარნიშმა სატრფო ვილაც რაინდთან მწოლი ნახა, სიმწრისაგან ცხვირ-პირიდან სისხლი წარმოედინა და თავისი ხმლით ორივეს თავი წააცალა. მერმე ოხვრა და ვიში გაამრავლა, საწყალობლად ატირდა და სლუკუნ-სლუკუნით ძლივს გასაგონად თქვა:

— ოჰ, ბალინი! ეს შენ მომისართე მოურევნელი ჭირი და სნება, აქ რომ არ მოგეყვანე, იქნებ ჩემი გულის დარდი და ვარამი ჩემს არსებაში ჩამეკლა როგორმე.

— ღმერთმა ხომ იცის. — წაშლიწყო თავის მართლებასაჲთ ბალინმა. — აქ მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თავი გაგემამაცურებინათ. საკუთარი თვალით გეხილათ ყოველივე. თქვენს სატრფოს სიმუხთლესი ეფერებულელიყავით და გულითა და სულით შეგეზიზღებინათ იგი. მე თქვენსაჲს მოგუბყარით, როგორც თავად ვისურვებდი მომქცეოდით.

— ვარამი და დარდი გამიორქეცდა, ამისი ატანა აღარ შემძლია, რადგან ჩემი ხელით მოვკალი იგი, ვინც სიცოცხლენუ შეტად მიყვიარდა! — უთხრა პასუხად ვარნიშმა.

ამ სიტყვებზე მან მახვილი ჩაიკა მკვთლში.

ბალინმა რომ ეს დაინახა, მყისვე გაეცალა იქაჲრობას, რათა მიეთ-მოეთი არ ამტყდარიყო და მისთვის არ დაებრალეზინათ მათი დახოცვა. ბალინმა ბევრი იარა, იარა და ერთი უზარმაზარი ქვის ჯვარი იხილა, რომელზეც ოქროს ასოებით იყო ამოკვეთილი: „ამ ციხე-დარბაზში ყოველ რაინდს ეკრძალება მარტო შესვლა“. მერმე ნახა, რომ მხცით მოსილი მოხუცი მიეახლა და უთხრა: „მძვინვარეო ბალინ! ვხედავ, შენი გზა დაგიგდია და აქეთ შემოგიხვევია. შენთვის უმჯობესია უკანვე გაბრუნდე“, — თქვა ესა და მოხუცი გაუჩინარდა.

მერმე რქის საყვირის ხმა შემოესმა, ნადირთ მოკვლისას რომ უხმობენ ხოლმე მონადირენი ერთურთს.

— ეს რქის საყვირი, — ხმამაღლა წარმოთქვა ბალინმა, — მე მიხმობს, რადგან ამჟამად ნადირად მე მთვლიან, გარნა ჯერჯერობით ცოცხალი ვარ.

უცებ ასამდე ქალსა და უამრავ რაინდს მოჰკრა თვალი, ისინი დიდი თავაზით შემოსციცინებდნენ პირში და ციხე-დარბაზისკენ გაიყოლიეს იგი. იქ დიდი ცეკვა-თამაში, მენესტრელთა* სიმღერა და დიდი მხიარულება იყო გაჩაღებული. ბოლოს ციხე-დარბაზის პატრონი დედოფალი მიეახლა ბალინს და ხმადაბლა თქვა: — ორხმლიანო რაინდო! თქვენ უნდა შეებათ ორთაბრძოლაში იმ რაინდს, რომელიც ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობს, კუნძულსა ფლობს და, ვინც კი აქ გაივლის, ვალდებულია მას შეებრძოლოს.

— ვერაფერი ფარსაგი ჩვეულება გქონიათ, თუ კაცმა ამ გზაზე უბრძოლველად ვერ გაიარა.

— თქვენ მხოლოდ ერთ რაინდს უნდა შეებათ, — უთხრა ქალბატონმა.

— რა გაეწყობა, — გამოეპასუხა ბალინი, — რაკი ეს სავალდებულოა, მზად გახლავართ. მართალია, მოგზაურნი ხშირად დაღლილ-დაქანცულნი არიან, მათი ცხენებიც დასვენებას საჭიროებენ, მაგრამ... თუმც ჩემი ტაიჭი მოღლილია და იქნებ ჩემი სიკვდილის ჟამიც მოახლოებულა, აღსასრულს მაინც მხნედ შევიგებები.

— ბატონო რაინდო, — მიმართა ბალინს ერთ-ერთმა რაინდმა, — მე მგონია, თქვენი ფარი ორთაბრძოლაში გამოსადეგი არ უნდა იყოს, გვედრით, ნება დაპრთოთ, უფრო დიდი ფარით შეგიცვალოთ.

ბალინმა უცნობის შეთავაზებულ ფარს ხელი დასტაცა და ტაიჭი კუნძულისაკენ აფრინა.

იგი ცხენიანად უზარმაზარ ნავში ჩაჯდა, მეორე ნაპირზე გასცურა, ნავიდან გადავიდა და იქ ახალგაზრდა ქალს გადაეყარა.

* სიტყვა და ცნება ინგლისში შეტანილია ნორმანების მიერ. მოხეტიალე მომღერალი პოეტები.

— ოჰ, რაინდო ბაღინ, რატომ დატოვეთ ციხე-დარბაზში თქვენი საჭურჭარი ფარი? ვაჰ, რა განსაცდელში ჩაიგდეთ თავი. თქვენი ფარით ხომ შეგიცნობდნენ. მებრალვით, როგორც არავინ, რადგან თქვენს გულოვნებასა და მამაცობას საზღვარი არა აქვს და თქვენი ტოლი და ფარდი ამქვეყნად არაფერია.

— ვწუხვარ, — თქვა ბაღინმა, — რომ ამ მხარეში მოვხვდები, მაგრამ არაფერია გვიანდლა თითზე კბენანი, უკან ველარ გავბრუნდები, ეს ჩემთვის უდიდესი სიბრცხვილი იქნება. თუნდაც გარდაუვალი სიკვდილი მომელოდეს, არავითარ განსაცდელს არ გავექცევი.

მერმე თავისი საომარი საჭურველი შეათვალიერა და, როს დარწმუნდა. ყოველივე წესრიგშიაო, დაილოცა და ცხენზე შეჭდა.

თავი მეთვრამედი

როგორ შეხვდა ბაღინი თავის ძმა ბალანს, როგორ ვერ იცნის ერთმანეთი, შეიხმნენ და სასიკვდილოდ დაკოდნენ ერთმანეთი

მალე ბაღინმა დაინახა, რომ ციხე-დარბაზიდან მისკენ მეწამული ფერის თოქალთოგადაფარებულ ცხენზე ამხედრებული წითელი ფერის სამოსით მორთულ-მოკაზმული რაინდი მოეშურებოდა. წითელსამოსიანმა მხედარმა თვალი მოჰკრა ბაღინის წელზე დაკიდებულ ორ ხმალს და უცებ იფიქრა: ჩემი ძმა ბაღინი არ იყოსო ჩემი მოწინააღმდეგე, მაგრამ ფარი ვერ შეიციო და დაასკვნა, იმას აქ რა უნდაო. მხედრებმა შუბები მოიმარჯვეს და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. ისანი ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს და შუბები ისე აფერეს ერთმანეთს, რომ ცხენებიცა და მხედრებიც მიწას განერთხნენ. კარგა ხანს ორივე მხედარი უსულოსავით იწვა. უფრო მძიმედ დაშავებული ბაღინი აღმოჩნდა, რადგან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ისე ჩაება, არ ამოუქაჩანია. ბაღინი პირველი წამოდგა ფეხზე, ხმალი იშიშვლა და ბაღინისაკენ დაიძრა. თითქოს მოახლოებული საფრთხე იგრძნო, ბაღინიც წამოიჭრა ფეხზე და მოწინააღმდეგეს ხმალომწვდილი შეხვდა. პირველი დარტყმა ბალანმა აგემა, მან დარაკი იფარა და ბაღინს ვეშაკი და მუხარადი შუა გაუპო. თავდამსხმელს ბაღინმაც შეაგება საპასუხო დარტყმა და თავისი ბედნავსი მახვილით ცოტას გაწყდა, ბალანს ბოლო არ მოუღო. ასე იბრძოდნენ ისინი. ვიდრე ძალ-ღონე სრულიად არ გამოეღიათ.

ბაღინმა მალე აიხედა და ციხე-დარბაზის კედლებსა და გოდოლებზე გადმოდგარი მათკენ გაფაციცებით მომზირალი მანდილოსნები შენიშნა. ამის დაინახვაზე ორთაბრძოლაში ჩაბმული რაინდები კიდევ მეტი გამძვინვარებით ეკვეთნენ ერთმანეთს, დაღლილობისაგან სუნთქვაც გაუხშირდათ და ქმენას უმატეს. მათი კრილობებიდან მომდინარე სისხლისაგან ირგვლივ ყველაფერი წითლად შეიღება. თითოეულ მათგანს ამ დროისათვის შვიდ-შვიდი კრილობა ჰქონდა. ეს ისეთი კრილობები იყო. ამქვეყნად ყველაზე დიდი გოლიათის მოსაკვდინებლად ერთიც რომ იკმარებდა.

ისინი კი კვლავ გაშმაგებით იბრძოდნენ და იმდენი სისხლი დაღვარეს, რომ მათ ორთაბრძოლაზე მონათხრობი ამბავი ძეხორციელს აღარ სჯეროდა. მებრძოლთ აბჯარი და თორი გადაეხსნათ და შიშველი სხეული მოუჩანდათ. უმკროსმა ძმამ ბალანმა დაბოლოს უკან დაიხია და მიწაზე დავარდა.

— მარქვი შენი სახელი, ვინა ხარ, რაინდო? — ჩაეკითხა ბალინ მძვინვარე წაქცეულს, — ამდენ ხანს ბრძოლაში ჩემი ფარდი არ შემსვედრია.

— ჩემი სახელი ბალანია, ძმა გახლავართ სახელოვანი რაინდის ბალინისა.

— ვაჰმე! — იყვირა ბალინმა, — რად მაცოცხლა განგებამ ამ დღემდე! — თქვა ესა და მიწაზე უგრძობლად დავარდა.

ბალანმა კი წამოიწია, მიწაზე განრთხმულ რაინდთან ფორთხვით მივიდა, მუზარადი მოხადა, მაგრამ დაჭრილი და სისხლით მოსვრილი ძმა ვერ შეიცნო. ამასობაში ბალინი გონს მოვიდა და წამოიძახა:

— ოჰ, ბალან, ძმაო ჩემო! ერთმანეთი დავხოცეთ და მთელ ქვეყანას სალაპარაკო მივეცი.

— ვაჰმე! — თქვა ბალანმა, — რად ვიცოცხლე ამ დღემდე, ან რამ დამიბრძავა თვალნი და ვერ შეგიცანი! წელზე შემორტყმული ორი ხმალი რომ ვნახე, რატომ არ დავფიქრდი, მაგრამ ეშმაკმა მაცოცხლა. დიახ, ფარი რომ სხვა გქონდა, აგრე ვიფიქრე, ვილაც გადამთიელია-მეთქი.

— ვაჰ, რომ ახლა გვიანაა თითზე კბენანი, — თქვა ბალინმა, — იმ ბედნავსმა რაინდმა დაგვლუბა, ფარი რომ შემიცვალა. ცოცხალი რომ გადავრჩენილიყავი, მაგ ციხე-დარბაზს საზიზღარი ჩვეულებისათვის ნაცარტუტად ვაქცევდი.

— კარგსაც იქმოდნი, — უთხრა ბალანმა, — აი, რამდენი ხანია აქაურობიდან ვერ გავალწიე. ორთაბრძოლაში კუნძულის მფლობელი რაინდი შემომაკვდა, მის მაგიერ დამტოვეს და აღარ მიშვებდნენ. შენ რომ ბრძოლაში მოგვეკალი, აღარც შენ გაგიშვებდნენ.

ამ დროს ციხე-დარბაზის მფლობელი ქალბატონი ოთხი რაინდისა და ექვსი მანდილოსნის თანხლებით მიუახლოვდა მომაკვდავ ძმებს და მათი ამ წუთისოფელთან გამოსათხოვარი სიტყვები გაიგონა: „ჩვენ ერთი წიაღიდან, ერთი დედის საშოდან გავჩნდით ამქვეყნად და ერთ სამარეში უნდა დავიფლათ“. ბალანმა თავისი კეთილი და ერთგული სამსახურის საფასურად გამოსთხოვა ქალბატონს იმ ადგილას დამარხვა, სადაც ძმებს შორის ორთაბრძოლა მოხდა. მათი საცოდაობით თვალეებზე ცრემლმომდგარმა ქალბატონმა ბალანს აღუთქვა, თხოვნას შეგისრულებ და ღირსეულად და მდიდრულად დაგმარხავთო.

— მაშ, ახლა მღვდელიც მოგვეგვარეთ, რათა საიდუმლო აღსარება ვთქვათ, განვიწმინდოთ, ვეზიაროთ და უფალთან წარსადგომად განვემზადოთ.

— ახლავე ყველაფერს შეგისრულებთ, — უთხრა ციხე-დარბაზის მფლობელმა ქალბატონმა, მღვდელი მოაყვანინა და მომაკვდავ ძმებს ზიარება მიაღებინა.

— როს ერთ აკლდამაში დაგვმარხავთ და საფლავის ქვაზე წააწერთ, როგორ დავხოცეთ ძმებმა ერთმანეთი, ჩვენს სამარხს რაინდი ისე არ ჩაუვლის, ერთ წამს არ დაყოვნდეს, შენდობა არ გვითხრას და ჩვენი სულების სახსნელად არ ილოცოს.

ციხე-დარბაზის მფლობელი ქალბატონი, ყველა მისი თანხლები მანდილოსანი და რაინდი ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. ბალანი მალე აღესრულა, ბალინმა კი შუალამემდე იცოცხლა. ძმები ერთად დაასაფლავეს. სამარეზე დადებულ ქვაზე ციხე-დარბაზის მფლობელი ქალბატონის განკარგულებით ბალანის სახელი ამოკვეთეს. იქვე წააწერეს. როგორ მოჰკლა იგი ორთაბრძო-

ლაში საკუთარმა ძმამ, ბალინის სახელი კი ციხე-დარბაზის მეპეტრონემ არ იცოდა.



თავი მცხრამეტი

როგორ დაგარბა ისინი მიკლინმა ერთ აპლდავში, და ბალინის ხმაღა...

დილით იქაურობას მერლინი ესტუმრა. მისი ნება აღასრულეს და საფლავის ქვაზე ოქროს ასოებით ამოკვეთეს: „აქ განისვენებს მძვინვარე ბალინი, ვინც ორხმლიანი რაინდი ერქვა და ვინც სავალალო კვეთების შედეგად ციხე-დარბაზის ბჭენი დააქცია“. მერლინმა მაშინ შეპქმნა გრძნეული საწოლი; ვინც უნდა ჩაწოლილიყო, ჭკუა აღარ აპყვებოდა. ლანსელოტ ტბელმა თავისი კეთილშობილებით ის საწოლი ჯადო-თილისმიდან დაიხსნა.

ბალინი რომ მოკვდა, მერლინმა მისი ხმალი აიღო, სახელური მოაძრო, სხვა ხმალს მოარგო და გვერდით მდგომ რაინდს შესთავაზა: ეს ხმალი აიღეო. რაინდი ბევრს ეცადა, მაგრამ ხმალი ადგილიდან ვერ დაძრა. მერლინმა გაიცინა.

— რას იცინი? — ჰკითხა განაწყენებულმა რაინდმა.

— მაგ ხმალს მხოლოდ რაინდთა შორის ყველაზე გამორჩეული დაეპატრონება. ის რაინდი სერ ლანსელოტი იქნება, ანდა მისი შვილი გალაპადი. ლანსელოტი ამ ხმლით მოჰკლავს მისთვის ყველაზე უფრო ძვირფას ადამიანს და ამ ხმლის მსხვერპლი სერ გავეინია.

ყოველივე ეს მერლინმა ხმლის სახელურზე წააწერა.

მერმე მერლინმა ინება და კუნძულიდან ნახევარი ფუტის სიგანის რკინაფოლადის ხიდი გაიღო. იქვე დათქვა: „ამ ხიდზე გასვლა და ფეხის ზედ შედგმა გაბედოს მხოლოდ იმან, ვინც სულით წმიდაა, კეთილი გული აქვს და ლალატი, ფლიდობა არ ახასიათებს“. ბალინის ხმლის ქარქაში მერლინმა კუნძულზე დატოვა, რათა გალაპადს მოეძევებინა. მერლინმა თავისი ჯადო-თილისმით ისიც შეიძლო, რომ ბალინის ხმალი, წყლიდან ამოშვერილი, მარმარილოს ქვის უხარმანარ სვეტში ჩაკირულივით დარჩენილიყო რამდენიმე წელი. ბოლოს და ბოლოს მოხდა ისე, რომ ის მარმარილოს სვეტი წყალმა წაიღო და ქალაქ კამელოტში ჩაიტანა. იმ ქალაქს ინგლისურად უინჩესტერი ჰქვია. სწორედ იმ დღეს კეთილშობილი პრინცი გალაპადი მეფე ართურის კარზე გამოცხადდა. გალაპადს თანა ჰქონდა ხმლის ცარიელი ქარქაში. მან მდინარის მიერ გამორჩეული მარმარილოს სვეტიდან ამოაძრო ხმალი და ეს ამბავი სამებობა დღეს მოხდა, როგორც ეს „წმინდა გრაალის წიგნშია“ მოთხრობილი.

მერლინმა ყოველივე რომ მოითავა, მეფე ართურის კარზე გამოცხადდა და მეტეს იმ სავალალო დარტყმის ამბავი მოუთხრო, ბალინმა რომ მეფე პელამს აგემა. მერმე ისიც უამბო, როგორ ჩაებნენ ძმები ბალინი და ბალანი ორთაბრძოლაში, როგორი თავგამეტებით იბრძოდნენ, როგორ დაიხოცნენ და დაიმარხნენ ერთ საფლავში.

— ვაჰ, უკუღმართო წუთისოფელო, — დასცდა მეფეს, — ეს ყველაზე სამწუხარო ამბავია, რაც კი ორ რაინდზე მომისმენია, რადგან ისეთი ორი რაინდი ქვეყნად აღარც მეგულება.

ასე თავდება ნორთუმბერლენდში შობილი ორი ძმის — თავის თანამედროვეთა შორის ყველას მჯობნი რაინდების — ბალინისა და ბალანის სამწუხარო ამბავი.

თავი პირველი



აქა ამბავი, თუ როგორ იპოვნინა ვიფი ართურმა კამილარდის ხელმოწერის ლოდებრანსის ასულ გვინივერაზე და როგორ მიიღო სივამრისაგან მრგვალი მაგიდა

როგორც ამ წიგნის დასაწყისშია მოთხრობილი, ღვთის შეწევნითა და კეთილი შემთხვევის წყალობით ართური მეფედ აირჩიეს იმ ბარონებმა, ვინც იცოდა, რომ იგი უთრ პენდრაგონის შვილი იყო. მართალია, მერლინმა ყველა მის ქვეშევრდომს ამცნო და ყველას გასაგონად განაცხადა, ართური უთრ პენდრაგონის ძე და მისი მემკვიდრეაო, მაგრამ მისი მამის ქვეშევრდომმა ზოგიერთმა დიდებულმა მეფე ართურის წინააღმდეგ დიდი ომი წამოიწყო. ართურმა მის წინააღმდეგ ამხედრებულ დიდებულთ სძლია. რადგან მთელ სიცოცხლეში მერლინის რჩევა-დარიგებებით ხელმძღვანელობდა, მოხდა ისე, რომ ართურმა მერლინს უთხრა:

— ბარონები მაიძულეებენ ცოლი შევირთო, შენი რჩევა-დამოძღვრას გარეშე კი ეგ საქმე არ იქმნება.

— კეთილი საქმე განგიზრახავს, — უთხრა მერლინმა, — ისეთი კეთილშობილი და ღირსეული ადამიანი, როგორც თქვენა ხართ, თანამეცხედრის გარეშე არ უნდა დარჩეს. მაგრამ ახლა საკითხავი ისაა, არის თუ არა ქვეყნად ისეთი არსება, რომელიც თქვენს გულსა და სულს სხვაზე უფრო მეტად იზიდავს და იმონებს?

— დიახ, არის, — უპასუხა ართურმა. — კამილარდის ქვეყნის მეფის მრგვალი მაგიდის* მფლობელის, მეფე ლოდებრანსის ასული გვინივერა მსიბლავს ყველაზე მეტად. როგორც თქვენ მითხარით, ის მრგვალი მაგიდა მეფე ლოდებრანსისათვის მამაჩემს უთრ პენდრაგონს მიუბოძებია. გვინივერა ალბათ უღამაზესი და უღირსეულესი არსებაა ამქვეყნად, ანდა, უკეთ თუ ვიტყვით, მათ შორის, ვისი ხილვა და შეფასება მე შევიძელი.

— სილამაზითა და კეთილი ზნით, — თქვა მერლინმა, — ის მართლაც ბევრს აღემატება. თქვენ რომ მასზე არა გქონდეთ გული შევარდნილი, სხვა ქალწულის შერთვას გირჩევდით. მაგრამ როს გულის რჩეული უკვე გყავთ, უკანდახევა აღარ ეგების.

— სრული სიმართლეა, — უთხრა ართურმა.

მერლინმა ბუნდოვნად გადაუკრა მეფე ართურს, გვინივერა შენთვის შესაფერი ცოლი არ შეიძლება იყოსო. ბოლოს გააფრთხილა, ის და ლანსელოტი ერთმანეთს შეიყვარებენ და მოგაყივნებენო. მერმე კი მერლინმა სიტყვა წმინდა ვრაალის თასზე ჩამოაგდო.

მერლინმა მეფე ართურს მაყრიონი გამოსთხოვა, რათა გვინივერას დასანიშნად გამგზავრებულიყო. მეფე ართურმა მერლინს მაყრებიც აახლა და ქალის

* მრგვალი მაგიდა — მერლინზე შექმნილ წიგნებში წერია, რომ მრგვალი მაგიდა მერლინმა მეფე უთრ პენდრაგონისათვის გააქეთა. ართურზე არსებული ლეგენდების ერთი ვერსიის მიხედვით მრგვალი მაგიდა „ადგილობრივი“ შუღლისა და სისხლისღვრის აღსაყვეთად იყო გამოგონილი. მრგვალი მაგიდა ინგლისურ ენაში დღემდე თანასწორუფლებიანობის გამოხატველი ცნებაა.

დანიშნის დასტურიც მისცა. მერლინი კამილარდის ქვეყანაში ჩავიდა, მეფე ლოდეგრანსს წარუდგა და მეფე ართურის სურვილი ამცნო.

— ჩემთვის, — უთხრა მეფე ლოდეგრანსმა მერლინს, — დიდი პატივი/და დიდად სასიხარულო ამბავია, რომ ასე ძლიერი, კეთილშობილი და სწავლულ-თქმული მეფე სიძედ მომეკიდოს და ჩემი ქალიშვილი შეირთოს, რომ სამკვიდრო აკლია, მზითვევში მამულების ჩუქებით გავახარებდი, მენდეთ. მიწებს არ დავიშურებდი, მაგრამ ყმა და მამული თვითონაც საკმარისი აქვს და აღარა სჭირდება. ჩემს სასიძოს არმალანად გავუგზავნი მრგვალ მაგიდას, ოაც, მისმა ღვიძლმა მამამ, უთრ პენდრაგონმა მაჩუქა. მას ეს საჩუქარი უფრო ეამება. მრგვალი მაგიდის გარშემო ას ორმოცდაათი კაცი ეტევა. ასი რაინდი მეცა მყავს, ის ორმოცდაათი კი ჩემი მეფობის წლებში ბრძოლებში შემომეძარცვა.

მეფე ლოდეგრანსმა მერლინს ჩააბარა თავისი ქალიშვილი გვინივერა, მრგვალი მაგიდა და ასი რაინდი. ისინი კამილარდის ქვეყნიდან სამეფო პატივით გააცილეს. სამეფო მაცრიონმა, სადედოფლომა და რაინდებმა ხმელზეც ბევრი იარეს და წყალზეც, დაბოლოს ლონდონს მიაღწიეს.

თავი მორა

ამა ამბავი, თუ როგორ მიიღეს ხელთდასხმა მრგვალი მაგიდის რაინდებმა, როგორ მიუჩინა მათ ალგილენი კანტიკარის ეპისკოპოსმა და როგორ დალოცა ისინი

როცა მეფე ართურმა შეიტყო, ჩემი სადედოფლო გვინივერა და ასი რაინდი ჩემკენ მოდიან და თან მრგვალი მაგიდა მოაქვთო, გულით გაიხარა. ართურს დიდად ეამა მათი ლონდონს მალე ჩამოსვლა და დიდებული საჩუქარიც, მეფემ ყველას გასაგონად თქვა:

— როგორი ნასიამოვნები ვარ, რომ ჩემკენ მოეშურება ასეთი მშვენიერი ქალწული. მე ხომ დიდი ხანია შევტრფი გვინივერას და მისი ჩამოსვლა გულით მიხარის. მრგვალი მაგიდა და ასი რაინდი უფრო ესალბუნება ჩემს სულს, ვიდრე ყველაზე დიდი საგანძური ამქვეყნად.

მეფემ ფიცხელი განკარგულება გასცა, რათა ქორწილიცა და დედოფლისათვის თავს გვირგვინის დადგმა მეყსეულად მომხდარიყო და ყოველივე სრული სადღესასწაულო ზარ-ზეიმით ჩაეტარებინათ.

— შენ კი, ძვირფასო მერლინ, — უთხრა მეფე ართურმა, — წადი და უკეთეს რაინდთა შორის უმამაცესი და ყველაზე სახელოვანი ორმოცდაათი რაინდი ამომირჩიე.

მერლინმა მოკლე ხანში შეასრულა მეფე ართურის ნაბრძანები და მეფეს ორმოცდარვა რაინდი მოჰგვარა, ძალიან ბევრს ეცადა, მაგრამ მეტი ველარიპოვა.

მერზე კენტერბერის ეპისკოპოსის მოსაყვანად წარგზავნეს კაცი. ეპისკოპოსმა უდიდესი ზარ-ზეიმით დალოცა თითოეული ადგილი. იქ კი ორმოცდარვა რაინდი იჯდა. დაბოლოს მერლინმა თქვა:

— ძვირფასო ბატონებო, თქვენ ყველანი უნდა წამოდგეთ და მეფე ართურს სცეთ თაყვანი, მაშინ იგი თავისი სურვილითა და მონდომებით თქვენი პატრონი შეიქნება.

რაინდები წამოიშალნენ და მეფეს თაყვანი სცეს. მერლინმა რაინდთა საჯდომ სკამებზე თვალი მოჰკრა ოქროს ასთებით ამოტვიფრულ მათ სახელებს. მხოლოდ ორად ორი ადგილი იყო წარწერის გარეშე.

ახალგაზრდა ვავეინი მიეახლა მეფეს და სთხოვა, ერთი სურვილი აღმისრულეო.

— მთხოვე, რაც გინდა, — უთხრა მეფემ, — და არ გინდა?

— სერ, ძალიანა გთხოვთ, იმ დღეს მაკურთხოთ რაინდად, რა დღესაც ქალბატონ გვინივერასთან ჯვარს დაიწერთ.

— თხოვნას დიდი სიამოვნებით შეგისრულებთ, ყმაწვილო, სათანადო პატივსაც მოვაგებთ, თქვენ ხომ ჩემი დისწული ხართ.

თავი მასამი

აქა ამავენი, თუ როგორ ვიხიდა ვიღაც ღარიბი და ითხოვა მოწყალება, რათა რაინდად ეკურთხებინათ გამგალობაზე მყოფი ცხენისა გადასჯდარი მისი თვრამეტი წლის შვილი

სად იყო და სად არა, მეფე ართურის კარზე სწორედ იმ დროს მოვიდა ვიღაც ღარიბი კაცი, თან ჯანდავ ცხენზე მჯდარი თვრამეტი წლის კაცი ყმა ახლდა. ღარიბი ყველა შემხვედრს მეფის ადგილსამყოფელს ეკითხებოდა.

— სადა ვნახო მეფე ართური?

— აი, იქ, — უპასუხებდნენ რაინდები. — მაგრამ შენ მისგან რას გამოელი?

— საქმე მაქვს მეფესთან და იმისთვისა ვარ აქ მოსული, — პასუხობდა ღარიბი კაცი და ნაჩვენები მიმართულებით მიდიოდა.

მეფეს რომ მიეახლა, მუხლმოდრეკილმა თაყვანი სცა და შეჰკადრა:

— მეფეო ართურ! ყველა მეფეთა შორის გამორჩეულო, გფარვიდეს იესო! სერ, ჩემს ყურთაც მოსწვდათ ამბავი, რომ ქორწინების დღეს ყველა მთხოვნელს, თუ სულელური არა მოიწადინეს რა, ნატვრასა და წადილს უსრულებ.

— ეგ მართალია, — უთხრა პასუხად მეფემ, — საქვეყნოდ განვაცხადე, ავრე ვიქმ-მეთქი, და სიტყვას არც გავტებ, თუ ქვეყნის საზარალო და ჩემი ღირსების შეურაცხყოფელი არა მთხოვეს რა.

— კარგად და მოწყალებდ ბრძანებთ, მეფევ, — უთხრა ღარიბმა კაცმა, — სწვა თქვენ მიმართ სათხოვარი არაფერი მაქვს, მეფევ, მხოლოდ ერთს გვედრით მუხლმოდრეკილი, რაინდად აკურთხეთ ჩემი შვილი.

— დიდია მოწყალება, რასაც შენ ითხოვ, — თქვა მეფემ. — რა გქვია?

— სერ, ჩემი სახელი არიესია და მენახირე გახლავართ.

— ეგ სურვილი შენ ღაგებადა თუ შენს შვილსა?

— ჩემმა შვილმა მოინდომა რაინდად კურთხევა, მეფევ! ხულახდილად გეტყვით, მე ცამეტი შვილის მამა ვარ და ამის ვარდა ყველა დიდი სიამოვნებით უძღვება იმ საქმეს, რაზედაც დავაყენებ ხოლმე. მხოლოდ მას ვერაფერი მოვუხერხეთ, ვერც მე და ვერც ჩემმა ცოლმა. ისრის სროლა, ლახვრის ხელმარჯვედ მოხმარება, შუბის ძგერება, ოთხაბრძოლის ცქერა და რაინდებით აღტყინება, ამისი გასართობები ესენი გახლავან, თქვენი კვნესამე დღედაღამ თავი გადამატა, რაინდად მინდა ვეკურთხოო.

— რა გქვია, ყმაწვილო? — ჰკითხა მეფემ.

— ჩემი სახელი ტორი გახლავთ, მეფევ მეფემ კარგად შეათვალიერა უცხო ჰაბუკი და შეამჩნია, რომ მოხდენილი და ბრგე მოყვანილობისა იყო.



— აი, რა. — უთხრა მეფემ მენახირე არიესს. — წადი და მოხედე აქ მომგვარე, რათა კარგად ავხედ-დავხედო.

მენახირემ თორმეტივე შვილი მოიყვანა მეფის კარზე. ყველანი მამის ხატს მიაგავდნენ, გარდა ტორისა. ის სახითაც და ბრგე ტანადობითაც გამოირჩეოდა მათ შორის.

— აბა, სად არის ხმალი. — მიმართა მეფემ მენახირეს. — რითაც ის რაინდად უნდა ვაკურთხო?

— აი, ისიც. — უპასუხა მეფეს მამის მაგიერ ტორმა.

— იშიშვლე ხმალი, — უთხრა მეფემ, — და მთხოვე, რაინდად ვაკურთხო. ტორი ცხენიდან ჩამოხდა, ხმალი იშიშვლა, მუხლებზე დაიჩოქა, მეფეს წესთხოვა, რაინდად ვაკურთხე და მრგვალი მაგიდის რაინდებს შორის ჩამრიცხეო.

— რაინდად კი ვაკურთხებ, — უთხრა მეფემ და თავისი ხმალი მის კეფას შეახო, — იყავი კეთილი რაინდი, რასაც მალალ ღმერთს გულითა და სულით შევთხოვ და თუ უმამაცესი და ღირსეული იქნები, მრგვალი მაგიდის რაინდთა შორის ჩაგრიცხავ.

— ახლა კი შენ გვარქვი, მერლინ, — მიმართა მერლინს მეფე ართურმა.

— ამ ყმაწვილისაგან დადგება თუ არა კაცური კაცი?

— უცილობლად, სერ, და როგორ შეიძლება კარგი ყმა არ დადგეს როცა მის ძარღვებში წარჩინებულთა და მეტსაც გეტყვი, მეფური ჩამომავლობის სისხლი მგზნებარებს.

— როგორა თქვით, სერ? — იკითხა მეფემ.

— მის საიდუმლოს მე გამცნობთ, სერ, — უთხრა წყნარად მერლინმა, — ეს ღარიბი მენახირე კაცი ამისი მამა არ გახლავთ, ნათესავიც კი არაა ამისი, რადგან ეს ყმაწვილი მეფე პელინორის ნაშიერია.

— ამისი სიტყვა სარწმუნო არაა, მეფევ, — მიმართა ართურს მენახირემ.

— შენი ცოლი მოიყვანე აქ და ის არ უარყოფს სინამდვილეს. — უთხრა მენახირეს მერლინმა.

მომგვარეს მეფეს მენახირის მშვენიერი შესახედაობის ცოლი. ქალური კდემით აღსავსე მანდილოსანმა მეფესა და მერლინს მოუთხრო, თუ ერთხელ, ქალიშვილობაში, ძროხების მოსაწველად წასული როგორ გადაეყარა ვიღაც უცნობ ფიცხ რაინდს, რომელმაც სიქალწულე წაართვა — და ძალით დაამრია. სწორედ მაშინ ჩამესახა ჩემი ვაჟიშვილი ტორი. იმ რაინდმა კი ჩემთან მყოფი ძალღი წამგვარა და მითხრა, ეს შენი სიყვარულის სამახსოვროდ მუდამ თან მეყოლებათ.

— ოჰო, — წამოიძახა მენახირემ. — მე ამ ამბისა არა ვიცოდი რა. მაგრამ ღრმად მწამს და მჯერა, რომ ნამდვილად ეგრე იქნებოდა, რადგან ტორს ჩემი არა სცხია რა.

სერ ტორმა კი მერლინს მიმართა:

— დედას ნუ მირცხვენთ!

— სერ, — მიმართა ტორს მერლინმა, — ეგ ამბავი უფრო პატივსა გდებთ.

ვიდრე გამცირებთ, რადგან მამათქვენი სახელოვანი რაინდი და მეფე გაა-
ლავთ. მას შეუძლია თქვენცა და დედათქვენიც აღამაღლოს. თქვენს ჩაისახეთ
დედის საშოში პელინორისაგან მანამდე, ვიდრე დედათქვენი ამ კაცის ჩეუღლე
შეიქნებოდა.

ეროვნული

- ნამდვილად აგრეა, — დაუდასტურა მენახირისმცოდნეობა
- ეგ ამბავი ახლა აღარც ისეთი საწყენია, — თქვა მენახირემ.

თავი მეოთხე

აქა ამბავი, თუ რომორ აღიარეს ტორის ღვილ ვამად პელინორი
და რომორ ააშრთეს კაინაჯაჯ ბავინი

მეორე დღეს ართურ მეფის კარა მიღვე პელინორი მოადგა. მეფე ართურ-
მა გულწრფელად გაიხარა მისი ხილვით და იმწამსვე უამბო მისი შეილას ამ-
ბავი.

— სერ ტორის ამქვეყნად ჩასახვა საიდუმლოს აღარ წარმოადგენს და ჩვენ
იგი მენახირის თხოვნით უკვე რაინდად ვაკურთხეთ, — უთხრა პელინორს არ-
თურმა. როცა მეფე პელინორმა სერ ტორი იხილა, ძალზე მოეწონა. მეფემ გა-
ვეინიც აკურთხა რაინდად, მაგრამ იმ სადღესასწაულო დღეს პირველად ტო-
რის ხელდასხმა მოხდა.

— რა მიზეზია, რომ მრგვალი მაგიდის გარშემო ორი ადგილი თავისუ-
ფალი ჩანს. — იკითხა მეფე ართურმა.

— სერ, — წამოიწყო მე-ლინმა, — იმ ორ ადგილზე დაჯდომის უფლება
არავისა აქვს. იმ ადგილებზე ყველაზე უფრო სახელგანთქმული რაინდები უნდა
დასხდნენ. იმ ორიდან ერთი სასიკვდილო ადგილია და იქ მხოლოდ ერთ კაცს
შეუძლია დაჯდეს. ვინც იმ ადგილზე დაჯდომას გაბედავს, ატყვილებლად დაი-
ღუპება; მაგრამ, ვინც დაჯდება, მისი ტოლი და ფარდი არავინ იქნება.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, მერლინმა პელინორს მოჰკიდა ხელი. წაიყ-
ვანა, დასაღუპ ადგილთან მარჯვნივ დააყენა და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

— ეს თქვენი ადგილი გახლავთ. რადგან აქ მყოფთა შორის ყველაზე ღირ-
სეული თქვენა ხართ.

ამ სიტყვებმა შურით შეძრა გავეინი და მან თავის იმას — გაპერისს გა-
დაულაპარაკა:


— იმ რაინდს წილად ხვდა უზარმაზარი პატივი, რაც მე სულხორცი-
ანად შეურაცხმყოფს. სწორედ მაგან მოკლა მამაჩვენი ლოტი. მე მაგას ახლავე
მოვუღებ ბოლოს იმ ბასრი მახვილით, რითაც რაინდად მაკურთხეს.

— მაგის ახლა მოკვლა არ ეგების, — უთხრა ძმას პასუხად გაპერისმა —
მე ახლა თქვენი მხოლოდ საჭურველმტვირთველი ვარ, მაგრამ, რაწამს რაინ-
დად მაკურთხებენ, შურს ვიძიებ მამაჩვენის მკვლელებზე. ჩვენ უნდა შევიცა-
დოთ, ვიდრე მაგ რაინდს სასახლის გარეთ სადმე შევხვდებოდეთ, თორემ ახლა
სადღესასწაულოდ მოწვეულ ამოდენა ხალხს ნადიმს და საზეიმო განწყობი-
ლებას ჩავამწარებთ.

— აგრე იყოს, — დაეთანხმა ვავეინი.

ლად გეშურა. მაგრამ მათ შორის დავალება პირველმა სერ გავეინმა მიიღო და ჩვენც მას მივყვეთ.

ეს იქნება პირველი ბრძოლა მას მერმე, რაც სერ გავეინი რაინდად აკურთხეს.



თავი მეთხუთსე

როგორ დაეღვინა სერ გავეინი ირემს და როგორ ებრძოდა ირემს გამო ერთუროს ორი ძმა

სერ გავეინს ტაიტი დაოთხილი მიჰყავდა. მას თან საჭურველმტვირთველად საკუთარი ძმა გაპერისი გაედევნა. გზად მიმქროლავმა ძმებმა იხილეს, როგორ ებრძოდა ერთუროს ორი მხედარი. სერ გავეინი და მისი ძმა გაპერისი ორთა მებრძოლთა შუა ჩადგნენ, ბრძოლა შეაწყვეტინეს და უცნობ მხედრებს გამოჰკითხეს, ასე უწყალოდ რის გამო იბრძვიით.

ერ თმა მათგანმა უპასუხა:

— სულ ტყუილუბრალოდ ვებრძვით ერთმანეთს, ერთი დედისა და ერთი მამის შვილები კი ვართ.

— ჰოი, საკვირველებავ, — წარმოთქვა გავეინმა.

— სერ, — მიმართა გავეინს მეორე ძმამ, — თქვენს გამოჩენამდე აქ ძაღლებისაგან დევნილი თეთრი ირემი ვიხილეთ. ყველაზე უფრო ახლო თეთრი ირემს თეთრი ძუენა ძაღლი მისდევდა. მივხვდით, რომ ეს ნადირობა მეფის, ართურის ქორწინების დღესასწაულთან იყო დაკავშირებული. მინდოდა ირემს დავდევენებოდი, დამეჭირა და სახელი და დიდება მომეხვეჭა, მაგრამ ჩემმა უმცროსმა ძმამ მითხრა, ირემის გამოდევნება და კვალში ჩადგომა მე უფრო შემფერისო, შენზე უკეთესი რაინდი ვარო. ამაზე წავკინკლავდით და მერმე იმისი გადაწყვეტა მოვიწადინეთ, ჩვენ ორში რომელია უმჯობესი.

— მართლაც უმიზეზოდ წაჰკიდებიხართ ერთუროს, — უთხრა გავეინმა. — ბრძოლა უცნობთა საქმეა და ძმათა შორის ბრძოლა რა რიგია. მე კი უნდა გითხრათ: ან ორივენი უნდა შეემებრძოლოთ, ანდა დამმორჩილდეთ, ართურ მეფის სასახლის კარზე გამომყვეთ და მის მოწყალეებას მიენდრთ.

— ბატონო რაინდო, ბრძოლით, კინკლაობით და სისხლის დაღვრით ერთმანეთი მივასიკვდილეთ და თქვენთან შებმა ჩვენ ახლა ხელს არ მოგვცემს.

— მაშ ისე მოიქეცით, როგორც მე გითხარით, — შესთავაზა გავეინმა.

— თანახმანი ვართ, თქვენი ნება აღვასრულოთ, მაგრამ რა სახელი ვუთხრაო სასახლეში, ვისგან გამოგზავნილები ვართო?

— განაცხადეთ, რომ თეთრი ირემს დადევნებულმა რაინდმა გაგავზავნათ, რა გქვიათ?

— ჩემი სახელი სორლუზ-ტყისშვილია, — თქვა უფროსმა.

— ჩემი კი ბრიან-ტყისშვილი, — დაუმატა უმცროსმა.

მერმე ერთმანეთს დაემშვიდობნენ. სორლუზმა და ბრიანმა ართურ მეფის სასახლისაკენ აიღეს გეზი, ხოლო გავეინი ირემის კვალს მიჰყვა.

გავეინი მეძებრების ყეფის ხმაზე ედგა კვალში ირემს, რომ დაინახა: წინ უდიდესი მდინარე მიაპობდა ზვირთებს. ირემმა გადალახა მდინარე. ის იყო

გავეინი წყალში ჩასახტომად მოემზადა, ირემი თვლიდან არ დავეკარგო. რომ ნაპირს ვილაც რაინდი მოადგა და გავეინს უთხრა:

— ბატონო რაინდო, გირჩევ, ნუ გადასცურავ მდინარეს ირმის კვალდა-კვალ და თუ მაინც შენსას არ დაიშლი მაშინ მე უნდა შემეძრებოდეს.

— ასეთი მცირე რამის გულისათვის, — უპასუხა სერ ვაჭვინმა, — მამაკაცი-როს საქმის შესრულებაზე უარს როგორ ვიტყვი.

რაინდებმა შუბები მოიმარჯვეს და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. გავეინმა მოწინააღმდეგე ცხენიდან ჩამოაგდო და უბრძანა, დამნებდიო.

— არ დაგნებდები, — იყო პასუხი, — მართალია, ცხენიდან ჩამომავდე და ცხენდაცხენ ბრძოლაში დამჩაგრე, მაგრამ, მამაკო რაინდო, გაფიცებ ყველაფერს, ხმალში შემები.

— ჯერ თქვენი სახელი მითხარით, — უთხრა გავეინმა.

— ბატონო რაინდო, ჩემი სახელი ორკნეელი ალარდინი გახლავთ.

რაინდებმა დარაკები იფარეს და ხმლები მოიმარჯვეს. გავეინმა ისეთი ძალით დაჰკრა ჩაფხუტზე ხმალი, რომ ალარდინს თავი შუა გაუხლიჩა და იგი მკვდარი დაეცა.

— ოჰო, — შესძახა გაპერისმა, — ეს ახალგაზრდა რაინდისათვის მეტად სასახელო დარტყმა იყო.

თავი მუხვი

ამა ამბავი, თუ როგორ შეამწყვდიეს ირემი ციხე-დარბაზში და მოკლეს. როგორ მოკლა გავინმა ძალი

სერ გავეინი და გაპერისი თეთრი ირმის კვალს მიჰყვნენ და სამი წყვილი ნეძებარი კიდევ დაადევნეს. ასე და ამრიგად, ირემი რომელიღაც ციხე-სიმაგრეში შეამწყვდიეს და იქ მთავარ დარბაზში მოკლეს. ციხე-დარბაზის შიგნითა ოთახიდან ვილაც რაინდი გაშიშვლებული ხმლით ხელში გამოვარდა, გავეინის იგალწინ ორი ნეძებარი აკუწა, დანარჩენები ხმლის ქნევითა და ყიყინით გარეთ გამოყარა და ციხე-დარბაზში დაბრუნებულმა ასე თქვა:

— ოჰ, ჩემო თეთრო ირემო, როგორ დამამწყუხრა შენმა სიკვდილმა! შენი თავი ხომ ჩემმა ქალბატონმა მაჩუქა. ცუდად მოგიარე, მაგრამ შენა სიკვდილისათვის მწარედ გადავუხდი ყველას, თუკი კოცხალი დავრჩი.

იგი რომელიღაც ოთახში შევიდა, საჭურველი აისხა და საბრძოლველად მომზადებული გამოვიდა. სერ გავეინმა რაინდს ასე მიმართა:

— რატომ მოკალით ჩემი ნეძებრები? ისინი ხომ მხოლოდ იმას სჩადიოდნენ, რაც ბუნებამ ძალლებს დაუწესა. ჯობდა თქვენი ჯავრი ჩემზე ამოგენტხიათ. ვიდრე უტყვ კმნილებებზე.

— მართალს ამბობ, — უპასუხა რაინდმა, — სწორია ისიც, რომ ჯავრი შენს ძალლებზე ამოვიყარე, მაგრამ შენც გადაგიხდი, ვიდრე აქედან გახვიდოდე.

სერ გავეინმა სასწრაფოდ ვეშაკი იფარა და მოწინააღმდეგენი ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ ვეშაკები დაემსხვრათ, მუზარადები დაუჩეხეს ერთერთს. ჯაჭვის საომარი პერანგები დახიეს და სისხლი თქრიალით სდიო-

დათ. საბოლოოდ სერ გავეინმა ისეთი დარტყმა აგემა უცნობ რაინდს, რომ ის მიწაზე დავარდა და იყვირა, გნებდები, ოლონდაც, როგორც კეთილშობილ რაინდთა წესია, სიცოცხლე შემინარჩუნეო.

— არა, შენ უნდა მოკვდე, — უპასუხა სერ გავეინმა, უკმეზღმეზღი მაძებრები იმქვეყნად გაისტუმრე.

— ზარალს როგორმე აგინაზღაურებთ, — უთხრა რაინდმა.

სერ გავეინს კი შენდობასა და პატიებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა, რაინდს მუზარადი შეხსნა, რომ თავი მოეკვეთა.

ამ დროს ციხე-დარბაზის პალატიდან აღელვებული ქალწული გამოვარდა და რაინდს ზედ გადაეფარა. გავეინმა მოქნეული მარჯვენა ველარ შეაჩერა და იმ მშვენიერ ქალიშვილს თავი მოჰკვეთა.

— ვაჰმე, — იყვირა გაპერისმა, — ეგ რა ჰქმენ, ძმაო, ეგ ხომ სააუგო, მომაცივნებელი, დამამცირებელი საქმეა და სირცხვილს ვერასოდეს ჩამოირეცხავ. როს შებრალებასა და პატიებას გევედრებიან, უნდა დაინდო, რადგან, ღინც შემწყალე არაა, ის ღირსეული რაინდი ვერ იქნება.

სერ გავეინი კი უდანაშაულო მსხვერპლის სიკვდილით ისე იყო გაოგნებული და თავგზააბნეული, რომ თავიც არ ახსოვდა. მერმე რაინდს უთხრა:

— ადექი, შენთვის სიცოცხლე მიჩუქებია.

— არა და არა! — იყვირა რაინდმა, — ახლა შენს მოწყალებას რა თავში ეიხლი, შენ უნამუსოდ მოკალი იგი, ვინც ქვეყანას მერჩია და ახლა შენი გულმოწყალება ვილას რად უნდა?!

— ვწუხვარ და ვდრტვინავ იმის გამო, რაც შემემთხვა, მაგრამ ის დარტყმა ხომ შენთვის იყო გამიზნული, ახლა კი წამოდექი, მეფე ართურს ეახელ და ყველაფერი წვრილად უამბე, რაც თეთრ ირემს დადევნებულ რაინდთან ორთაბრძოლაში შეგემთხვა.

— ახლა სიცოცხლე ჩალად მიღირს და აგრერიგად აღარც სიკვდილისა მეშინია.

ბოლოს და ბოლოს რაინდის გონებაში მაინც სიცოცხლისადმი სწრაფვამ ვაიმარჯვა სიკვდილზე. იგი წამოდგა და სერ გავეინს აღუთქვა, მეფე ართურს ეყახლებიო. სერ გავეინმა კი რაინდს დაავალა, მოკლული ერთი ძალღი უნაგირის წინ დაიდე, მეორე კი უკან დაამაგრე და გზას ისე გაუდექიო.

— და ვიდრემდე წახვალ, რაინდო, შენი სახელი გვაუწყე, — უთხრა სერ გავეინმა.

— ჩემი სახელი ბლამურ მარიზელია, — თქვა ესა და კამელოტისაკენ გაჰქუსლა.

თავი მარვე

აჰა ამბავი, თუ როგორ შეიბრძოლნენ სერ გავეინი და გავეინის ოთხ რაინდს და დამარცხდნენ. როგორ იხსნა მათი სიცოცხლე ოთხი ჯალბატონის თხოვნამ

სერ გავეინი ციხე-დარბაზის მყუდრო პალატაში შევიდა ღამის გასათევად და ჯავშნის გახდა გადაწყვიტა.

— თუ ბეგთარის გახდასა და საომარი ზუჩის თავიდან მოცილებას აპრ-

ებთ, მიუტევებლ შეცდომას ჩაიდნეთ. აქ ხომ მტრებითა ხართ გარშემორტყმული, — უთხრა გაპერისმა.

გაპერისს ეს სიტყვები დამთავრებული არა ჰქონდა, რომ უკვე დაწყებული კბილებამდე შეიარაღებული რაინდი შემოვიდა და სერ გავეინს კატყდა.

— ოპ, შე ახლად გამომცხვარო, — მიმართეს მათ გავეინს, — შენ შეუტრაცხავი რაინდის წოდება, გულმოწყალების გარეშე რაინდი — უნამუსოა და მეტი არაფერი. სირცხვილად და დასამცირებლად ისიც გეყოფა, რომ მშვენიერი ქალიშვილი მოკალი. აგერ ნახავ, სულ მალე შეწყალება და დანდობა თვითონ დაგჭირდება.

ამ სიტყვებზე ერთ-ერთმა მათგანმა სერ გავეინს ისე ძლიერ დაჰკრა, რომ ცოტას გადარჩა, მიწას არ განართხო. საპასუხო დაოცება რაინდს გაპერისმა აგემა. ოთხეული ხახ ერთი მხრიდან უტევდა ძმებს და ხან მეორე მხრიდან. ასე რომ, მათი სიცოცხლე აშკარა საფრთხეში იყო: ერთმა მოისარმა კი სერ გავეინს ხელში განუწონა ისარი და გაუსაძლისი ტკივილი აგემა.

როცა ძმების გავეინისა და გაპერისის სიკვდილი თითქოს გარდაუვალი იყო, მათ მხსნელებად მოევლინა ოთხი მშვენიერი ქალბატონი. იმ ლამაზმანებმა შესთხოვეს რაინდებს გავეინის შეწყალება-დანდობა. მათი თხოვნა შეწყნარებული იქნა, რაინდებმა გავეინსა და გაპერისს სიცოცხლე შეუნარჩუნეს და დაატყვევეს. ძმები მწარედ კმუნავდნენ და დარდობდნენ სასირცხჷო ტყვეობას.

— ვაჰმე, როგორა მტებს ხელი, მეშინია სულაც ხეიბარი არ გავხდე. — ასე მწარედ მოსთქვამდა გავეინი.

დილაადრიან, იმ ოთხ ქალბატონთაგან ერთ-ერთი, რომელმაც სერ გავეინის საწყალობელი კმუნვა და ურვა მოისმინა, მივიდა და უთხრა:

— როგორა ხართ, ბატონო რაინდო?

— ძალიან ცუდად.

— ცუდად რატომ უნდა იყოთ? ეგ ყოველივე ხომ თქვენი ბრალია, თქვენ ხომ ძალზე დამამცირებელი და ბედასლი საქციელი ჩაიდინეთ, მაგ სამარცხვინო ლაქას მთელ სიცოცხლეში ვერც მოიცილებთ. თქვენ მეფე ართურის კარის რაინდი ხომ არა ხართ?

— დიახ, — უპასუხა სერ გავეინმა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა ქალმა. — აქედან ისე ვერ გახვალთ, თუ თქვენ სახელს არ გაამხელთ.

— მშვენიერო ასულო, ჩემი სახელი სერ გავეინია, მე ორკნეის მეფის ლოტის შვილი და მეფე ართურის დისწული ვახლავართ.

— აჰა, თქვენ მეფე ართურის დისწული ხართ? მე დაგიდგებით ქომადგად და მეფე ართურის პატივისცემით აქედან თავს გააღწევთ.

ქალი წავიდა და იმ ოთხ რაინდს უამბო, რომ მათი ტყვე მეფე ართურის დისწული, ორკნეის მეფე ლოტის ვაჟიშვილი იყო და სერ გავეინი ერქვა. მაშინ რაინდებმა სერ გავეინი გაათავისუფლეს და თან თეთრი ირმის თავიც გაატანეს. გავეინის ამ მხარეში წამოსვლის მიზანი ხომ სწორედ ირმის ხელში ჩაგდება იყო. გავეინი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ მოკლული ქალის გვამს თან წაიღებდა. მოჭრილი თავი გავეინს ყელზე დაჰკიდეს, ხოლო ქალის სხეული წინ, უნაგირზე დაუმაგრეს.

ასე და ამრიგად დაბრუნდა სერ გავეინი კამელოტში. როგორც კი იგი სა-

სახლის კარზე გამოჩნდა, მერლინის შთაგონებით, მეფე ართურმა დააფიქრა, რომ თავის თავგადასავალზე სრულ სიმართლეს იტყოდა.

მეფე და დედოფალი განარისხა სერ გავეინის ნაამბობმა ქალის მოკვლის გამო. დედოფლის ბრძანებით სერ გავეინის საქმე ქალთა სასამართლომ გაარჩია და სასჯელიც მათვე გამოუტანეს. ვიდრე იცოცხლებდა, ყველა შეურაცხყოფილი ქალის გამო თავი უნდა გამოედო და გამოსარჩლებოდა. ყოველთვის თავაზიანი უნდა ყოფილიყო, და თუ ვინმე გულმოწყალებას შესთხოვდა, უნდა შეეწყნარებინა. სერ გავეინმა ოთხ სახარებაზე დაიფიქრა, რომ არც ერთი ქალის წინააღმდეგ არასოდეს ხელს არ აღმართავდა, თუ ორთაბრძოლის დროს შექმნილი მდგომარეობა არ აიძულებდა, რომ მას ერთი ქალის მხარე დაეჭირა და მის მოწინააღმდეგეს მეორისა.

ამით თავდება მეფე ართურის ქორწინების დროს სერ გავეინის თავს გადახდენილი ამბავი.

თავი მეცხრე

როგორ დაედევნა სერ ტორი იმ რაინდს, ვინც ძუკნა წაიყვანა,
და ზღაში მის თავს გადახდენილი ამბავი

როგორც კი საბრძოლველი საჭურველი აისხა, სერ ტორი ცხენს მოახტა და იმ რაინდს გამოედევნა, ვინც ძუკნა წაიყვანა, ცოტა იარა თუ ბევრი, უცებ ვეი ჯუჯას გადაეყარა, რომელმაც მის ცხენს თავში კვერთხი შემოჰკრა. ცხენი შუბის სიგრძის მანძილზე გადახტა უკან.

— რატომ დამიფრთხე ცხენი? — ჰკითხა სერ ტორმა.

— ვიდრე აი, იმ ჩარდახებში მყოფ რაინდებს არ შეებრძოლები, ამ გზაზე ვერ გაივლი.

სერ ტორმა ჩარდახებისაკენ გაიხედა. ჩარდახების შესასვლელებში მიწაზე დაყრილ უზარმაზარ შუბებს მოჰკრა ავალი. საბრძოლო ფარები კი ჩარდახების წინ ხეებზე ეკიდა.

— სარაინდო დავალების შესასრულებლად ვარ წამოსული და ჩემი დაყოვნება არ შეიძლება, — უთხრა ჯუჯას სერ ტორმა.

— ვერსადაც ვერ წახვალ, — უბრაუხა ჯუჯამ და რქის საყვირი აახმიანა. იმწამსვე ჩარდახიდან საჭურველდასხმული რაინდი გამოვარდა, ფარსა და შუბს დასტაცა ხელი და სერ ტორისაკენ დაოთხილა ცხენი წამოიყვანა. სერ ტორიც მოემზადა დასახვედრად. ისინი ისეთი ძალით ეძგერნენ ერთმანეთს, რომ ჩარდახიდან გამოსული რაინდი ცხენიდან გადმოვარდა და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სერ ტორის გადასაწყვეტი შეიქნა.

— აი, იმ კარავში ჩემი ამხანაგია, სერ, და მასაც თქვენთან შებმა სწადია, — უთხრა წაქცეულმა რაინდმა.

— ოღონდაც, მოწყალება მოიღეთ, — უთხრა ავღებით სერ ტორმა.

საუბარი ვინ აცალა. სერ ტორმა შენიშნა, რომ კარვიდან მისკენ შურდულივით გამოქანდა იარაღსხმული რაინდი. მათი შებმა მართლაც საოცარი სანახავი იყო. მერმე იმ რაინდმა სერ ტორს ფარის შუაგულში ატაკა შუბი. შედეგი ის იყო, რომ თავისივე შუბი დაამსხვრია, სერ ტორმა კი ფარს ქვევიდან აძგერა ლახვარი და რაინდი ფერდში დასჭრა. თუმცა ჭრილობა მომაკვდი-

ნებელი არ იყო. გაგულისებულმა სერ ტორმა იჩქარა და ახლა ჩაჩქარა დაპ-
კრა მოწინააღმდეგეს. მეორე რაინდიც დანებდა და შეწყალება ითხოვა.

— დიდი სიამოვნებით შეგიწყალებთ ორივეს. — უთხრა სერ ტორმა. —
მაგრამ ორივენი მეფე ართურთან უნდა გაემგზავროთ და თავი მოწინააღმდეგედ
გამოაცხადოთ.

— მერედა, რა ვუთხრათ, ვისგან გამოგზავნილები ვართო?

— გადაეცით, რომ თქვენთან ძუკნა ძაღლის გამტაცებელ რაინდს დადევ-
ნებულმა გამოგვაგზავნა-თქო. თვითონ თქვენ რა გქვიათ?

— ჩემი სახელი, — თქვა პირველმა, — სერ ფელოტ ლანგედოკელია.

— ჩემი კი სერ პეტრას უინჩელსელი გახლავთ. — უპასუხა მეორემ.

— აბა, მაშ წადით, — უთხრა სერ ტორმა, — და ღმერთი იყოს თქვენი
და ჩემი შემწე.

იმწამსვე სერ ტორთან ჯუჯა მივიდა და უთხრა:

— გთხოვთ, მოწყალეობა მოიღოთ.

— დიდი სიამოვნებით. — უთხრა სერ ტორმა, — ითხოვე და მიიღებ.

— მე ერთსა გთხოვთ. — უთხრა ჯუჯამ, — ნება დამრთეთ, თქვენ გემსახუ-
როთ, რადგან, ვინც იარაღსა ჰყრის და მოწინააღმდეგეს ნებდება, იმათი სამ-
სახური არ ძალმიძს.

— რა გაეწყობა. — უთხრა სერ ტორმა, — ცხენზე შეჯექი და უკან ვა-
მომყევი.

— ვიცი, იმ რაინდს მისდევთ უკან, რომელმაც თეთრი ძუკნა გაიტაცა,
მე კარგად ვიცი მისი სამყოფელი, და თუ გამომყევებით, მასთან მიგიყვანთ.

მათ ტყე-ტყე იარეს და მონასტერთან მივიდნენ. იქვე ახლო ორი კარავი
იდგა. კარვებს გარეთ საბრძოლო ფარები ეკიდა: ერთი თეთრი, მეორე —
წითელი.

თავი მათე

აჰა აგაპი, თუ როგორ იპოვა სერ ტორმა ერთ ძალთან თეთრი ძუკნა
და ძაღლის გამო სერ ტორს როგორ დაისჯა თავის რაინდი

სერ ტორი ჩქარობდა. თავისი შუბი ჯუჯას ვადასცა და თვითონ თეთრ
კარავში შევიდა. იქ ნახა, რომ საგები იყო გაშლილი და ზედ სამი ქალიშვილი
იწვა. მერმე მეორე კარავში შეიჭვირდა და იქ საწოლზე ვიდაც მანდილოსანი
ახილა. ქალის ლოგინთან სწორედ ის გამოტაცებული თეთრი ძუკნა იწვა, ძუკ-
ნამ რაინდას დანახვაზე ხმამაღლა დაიყეფა. სერ ტორმა ძაღლს ხელი დასტაცა,
აიტაცა, კარვიდან გამოვიდა და ძუკნა ჯუჯას ვადასცა.

ხმაურზე ქალიცა და ქალიშვილებიც გარეთ გამოეფინენ და ქალმა სერ
ტორს ასე მიმართა:

— სერ, ნუთუ ჩემთვის ძაღლის წართმევა გწადიათ?

— დიახ, — უპასუხა სერ ტორმა. — ამ ძაღლის საძებნელად მეფე ართუ-
რის სასახლის კარიდან აქამდე მოვედი.

— რაკი აგრეა, ბატონო რაინდო, ისიც მინდა იცოდეთ, რომ შორს ვერ წახ-
ვალთ. წამოგეწევიან და კადნიერებისათვის სასტიკად დაგსჯიან.

— მზადა ვარ, მოთმინებით აღჭურვილია შეგზვდე ღვთის მიერ წარმოგ-
ზავნილ ყოველგვარ განსაცდელს, — ესა თქვა, ცხენს მოახტა და კამელოტისა-

კენ ჰქნა პირი. იქიდან დიდი მანძილი არა ჰქონდა გამოვლილი, რომ ღამე ჩამოდგა.



— არ იცი სადმე სიახლოვეს ღამის გასათევი ადგილი? — იკითხა სერ ტორმა.

— აქ რაიმე ფუნდუკი არ მეგულება. — უბასუხა ჯუჯაბ, — მხოლოდ ახლოს განდევილის სახლი უნდა იყოს და ეს ღამე მისი მასპინძლობით უნდა გაათიოთ როგორმე.

ცოტა მანძილი გაიარეს და მართლაც მიადგნენ ვილიცის სახლს. განდევილს ცხენებისთვისაც აღმოაჩნდა შვრია და თივა. ვახშამი კი ძალზე ღარიბული და უხვდათ. ასე იყო თუ ისე, დილამდე მოისვენეს. დილას კი, როგორც ღვთისმოსავთ შეჰფეროდათ, წირვა მოისმინეს, განდევილს გამოემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ. სერ ტორმა განდევილს სთხოვა, ჩემი სულისათვის ილოცეო, იმანაც აღუთქვა. შენს სულს უფალს შევავედრებო, და მართლაც შეჰვედრა მათი თავი უფლის მოწყალებას. მერმე სერ ტორი ცხენს მოახტა და შორეული კამელოტის გზას გაუდგა.

კარგა ხანს იარეს და უცებ ცხენის ფლოქვების თქარათქური მოესმათ, ვილაც რაინდა მოჰკიოდათ და ეწეოდათ კიდეც.

— რაინდო, შეჩერდი! დამიბრუნე ძაღლი, რომელიც ჩემს ქალს წაართვი!

სერ ტორი შებრუნდა და მშვენიერ ცხენზე მჯდარი, კბილებამდე შეიარაღებული ჩაუქი რაინდი დალანდა. სერ ტორმა ვეშაკი იფარა და ლახვარი მოიმარჯვა. ისინი ისე ცქვიტად დაიძრნენ ერთმანეთისაკენ, თითქოს გრძელ შარას არც ერთი არ მოეღალა. ცხენებიცა და მხედრებიც შეტაკებისას მიწაზე დაცვივდნენ. ლომებივით ვალიად კი წამოხტნენ ფეხზე, ხმლები იშინვლეს. დარაკები იფარეს და ერთმანეთს ისე დაჰკრეს, რომ ნაპერწკლები აქეთ-იქით ცვიოდა. მუხარადები დაუჩვებეს ერთერთს, თბილი სისხლი ღვარად სდიოდათ სახეზე, და მიწას სწვდებოდა. ჭრილობებით ორავე მხედარი მრავალგან დაისერა და ორივეს არაქათი გამოეცალა.

რა სერ ტორმა ნახა, მოწინააღმდეგე დასუსტდაო, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, მახვილის ცემა გაახშირა და ისე შეუტია მოწინააღმდეგეს, რომ ამოსუნთქვის საშუალება მოუსპო. უცნობმა რაინდმა ველარ გაუძლო და მიწაზე დავარდა. სერ ტორი თავს წაადგა წაქცეულს და „დამნებდიო“, უყივლა.

— ეგ არ მოხდება, ვიდრე პირში სულა მიდგას და ჩემგან გაღმერთებულ ქალის ძუქნა არ დაგიბრუნებია, — უბასუხა აბელეუსმა.

— არც ეგ მოხდება, — უთხრა სერ ტორმა, — რადგან ჩემს სარაინდო საგმირო ღირსების საქმედ ჩემმა უფალმა მეფემ დამითქვა, ან ძუქნა ძაღლი უნდა მივიყვანო სასახლის კარზე, ან შენ და ან ორივენი ერთად.

თავი მათერთმეტი

აქა ამბავი, თუ როგორ დასჯაბნა სერ ტორმა მღვდარი რაინდი და როგორ დაჰარბა იმ რაინდმა თავი ერთი ქალიშვილის სიტყვის გამო.

უცებ სერ ტორმა შენიშნა, რომ მათკენ გამალებით მოჰქროდა ცხენოსანი ქალიშვილი და თან სერ ტორს ხმამაღლა რაღაცას ეძახოდა.

— რას ითხოვთ ჩემგან? — ჰკითხა სერ ტორმა.

— გემუდარებით, — უპასუხა ქალიშვილმა, — თუ თქვენ ნამდვილად და კეთილშობილი რაინდი ხართ, მეფე ართურის სახელს გაფიცებთ, აღმითქვით, რომ, რასაც გთხოვთ, შემისრულებთ!

— კარგაა, — უთხრა სერ ტორმა, — მთხოვეთ, რა გსურთ და მიიღებთ.

— წინასწარ გიხდით მადლობას, — უთხრა ქალიშვილმა, — ახლა კი ამ ცრუპენტელა რაინდი აბელეუსის მოჭრილი თავი მწადია. ეს ხომ მიწაზე მარეხ რაინდთა შორის უღირსი ადამიანი და მკვლელია.

— მიჭირს აღთქმული საბოძვრის მოცემა, — უთხრა ქალიშვილს სერ ტორმა, — იქნებ გამოისყიდოს ამ რაინდმა თქვენ წინაშე ჩადენილი დანაშაული.

— არა და არა! — წამოიკივლა ქალიშვილმა, — შეუძლებელია, ჩადვან ამ არჯალმა ჩემ თვალწინ პირუტყვივით დაკლა ჩემი ძმა, ათასჯერ უკეთესი რაინდი, გულმოწყალე და შემბრალე, ვიდრე ეს ვაჟბატონი ბრძანდება, მერედა, რამდენ ხანს ვიდეჭი ლაფში მუხლმოდრეკილი და ვემუდარებოდნი. სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის. იმას ხომ არაფერი დანაშაული არ მიუძლოდა ამ ბილწის წინაშე, გარდა იმისა, რომ ორთაბრძოლაში შეება და თავი საომარ ყისმათსა და საკუთარი მარჯვენის წარმატებას მიანდო. როგორ არ ვებვეწე, ვევედრე, ვემუდარე და მაინც მოჰკვეთა თავი. 'წორედ ამიტომ მოვიტხოვ შენგან აღთქმულის შესრულებას, თორემ მეფე ართურის კარზე ყველას წინაშე შეგარცხვენ, ჩადვან დედამიწის ზურგზე არ დადის ამაზე უფრო თალღითი და სახელოვან რაინდთა უბოროტესი მტერი.

აბელეუსმა რომ ქალიშვილის მართალი, მაგრამ მკაცრი სიტყვები მოისმინა, შეშინდა, დანებება გადაწყვიტა და შეწყალება ითხოვა.

— ახლა უკვე გვიანაა, — უპასუხა სერ ტორმა, — თქვენ რომ შეგინდოთ, აღთქმის დამრღვევი შევიქნები. მე თვითონ შემოგთავაზეთ, დამნებებლდით. მაშინ არ მოისურვეთ შეწყალების თხოვნა და წინასწარ მოთხოვნა და პირობაც კი წამომიყენეთ, რათა თქვენთვის თეთრი ძუქნა დამებრუნებინა.

ამ სიტყვებზე სერ ტორმა აბელეუსს მუხარადი მოხადა და თავი უნდა წარეკვეთა, მაგრამ აბელეუსი ფეხზე წამოიმართა და გაიქცა. სერ ტორი დაეწია ხმალი შემართა, მოუქნია და თავი წააგდებინა.

— სერ, — უთხრა ქალიშვილმა, — ხედავთ, სადაცაა დაღამდება. გთხოვთ, შინ მეწვიოთ და ღამე იქ, ჩემსას გაითენოთ.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა სერ ტორმა, — მე და ჩემმა ქურანა ცხენმა კამელოტიდან წამოსვლის მერე ბევრი რამ გადავიტანეთ და კარგი დასვენება არც ერთს არ გვაწყენდა.

სერ ტორი ქალიშვილს გაჰყვა და იმანაც მეტად კარგად უმასპინძლა. ქალიშვილს შინ ჰქარმაგი რაინდი ქმარი ესვა. მასაც ძალიან გაუხარდა სერ ტორის სტუმრობა, დატრიალდა და სტუმარსა და მის ცხენს, როგორც მასპინძელმა, არაფერი დააკლო. დილით სერ ტორი ადრინად ადგა, ლოცვა მოისმინა, ისაუზმა და, როს მასპინძლებს ემშვიდობებოდა, სახელი ჰკითხეს.

— გაგანდობთ ჩემს სახელს. სერ ტორს მეძახიან. დიდი ხანი არაა რაინდად მაკურთხეს და ეს ჩემი პირველი სარაინდო გმირობა იყო. მე დამავალეს მეფე ართურის სასახლეში დამებრუნებინა ის, რაც ჩემ მიერ თავმოკვეთილმა რაინდმა აბელეუსმა სასახლიდან გამოიტაცა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ძვირფასო რაინდო, — ამ სიტყვებით დაემშვი-

დობნენ მასპინძლები სერ ტორს, — თუ ოდესმე ჩვენს მხარეში მოგიხდებათ ყოფნა, ნუ დაგვაფიწყებთ, მართალია, დიდი შეძლებული ხალხი არა ვართ, მაგრამ თქვენთვის ჩიტის რძეს გავაჩენთ.

სერ ტორი გზას გაუდგა და სამი დღის მომქანცველი მგზავრობის მერე ამელოტში მივიდა. მეფე ართური, დედოფალი და მთელი სასახლე მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას. როცა მთელი და სალსალამათი იხილეს. ყველამ გულით გაიხარა. გამგზავრებისას მის დასახმარებლად მაინცდამაინც თავი დიდად არავის გამოუდვია. მხოლოდ მამა — მეფე პელინორმა არ დაინანა მისთვის ბრძოლაში გამოწრთობილი საბრძოლო ცხენი და მეფე ართურმა ხმალი და საომარი საჭურველი მიუბოძა. იგი დავალების შესასრულებლად მარტოდ-მარტო, უამხანაგოდ გაემგზავრა. მერლინის რჩევის თანახმად, მეფემ და დედოფალმა სთხოვეს სერ ტორს, დაწვრილებით ეამბნა თავისი თავგადასავალი. სერ ტორმაც არ დააყოვნა, ყოველივე მოუთხრო და ნათქვამის დასადასტურებლად საბუთებიც მოიშველია. მეფე და დედოფალი დიდი გულისყურით უსმენდნენ და ხარობდნენ.

— ეს კიდევ რაა! — თქვა მერლინმა, — რაც ჭერჭერობით მოიმოქმედა, წინ დიდი გზა უძევს და დიდი მომავალი ეციგლიგება. მალე თქვენ წინ წარმოსდგება უჩვეულო რაინდული თვისებებით შემკული, მამაცი, ზრდილი, ზნეკეთილი, თავისი სიტყვის პატრონი, პირმტკიცე და რაინდული ღირსებისა და მოვალეობის ერთგული ადამიანი.

მერლინის სიტყვებს მეფე ართურმა ის მთად ეგნა, რომ სერ ტორს გრაფობა უბოძა და ამის შესაბამისად მამულებიც აჩუქა. აქ თავდება მეფე პელინორის ვაჟის, სერ ტორის თავგადასავალი.

თავი მეთორმეტი

ამა ამბავი, თუ როგორ დაეღვენა მეფე პელინორი რაინდსა და ქალბატონს, როგორ სთხოვა ერთმა ქალმა დახმარება მეფე პელინორს, როგორ შეება იმ ქალისათვის მეფე ორ რაინდს და მოკლა ერთი მათგანი პირველივე დაკვრით

მეფე პელინორი შეიჭურვა თუ არა, იმ რაინდს გამოედევნა, ქალი რომ წაიყვანა. მისი გზა ტყე-ტყე მიდიოდა. ხედავს, დარტაფის სიახლოვეს ნაკადულის პირას ქალიშვილი ზის და მუხლებზე დაჭრილი რაინდი უწევს მეფე პელინორი ქალიშვილს მიესალმა. ახალგაზრდა ქალმა როგორც კი მეფე პელინორი დაინახა, მხურვალედ შესთხოვა და ევედრა — იესოს სახელისათვის, ღვთის გულისათვის, მიშველე! და შემწეობა აღმომიჩინეთ.

მეფე პელინორმა დავალების დროულად შესრულება ირჩია და ქალიშვილის თხოვნა და აჭა ყურად არ იღო. ამოდ ევედრებოდა ქალი, მიშველე და მომეხმარეო. როცა ქალიშვილი დარწმუნდა, რაინდი გაჭირვებაში მტოვებსო, ხელები მალლა აღაპყრო და ღრერთს შეპლადადა, უფალო, არ დაინდო ეგ რაინდი და ისეთ ყოფაში ჩააგდე, როგორშიაც მე ვარო, მშველელს უხმობდეს და დახმარების ხელი არავინ გაუწოდოსო. მერმე, როგორც ეს მოთხრობილია წიგნში, იმ დაჭრილმა რაინდმა სული განუტევა, ხოლო სიყვარულით გულდამწვარმა ქალიშვილმა სატანჯველს ვერ გაუძლო და რაინდის ხმლით მოისწრაფა სიცოცხლე.

მეფე პელინორმა ღარტაფი გადაიარა და დობილოზე გავიდა. გზად ერთი საწყალი მუშა-კაცი შემოეყარა. მეფე პელინორმა ჰკითხა:

— ამ გზაზე რაინდი ხომ არ გინახავს, ვისაც უნაგირზე ქალი ეჭდა?
 — დიახ, ვნახე, სერ, — უპასუხა იმ საწყალმა კაცმა, — ის რაინდიც ვნახე და ქალიშვილიც, უნაგირზე უკან რომ შემოესვა. ის ახალგაზრდა ქალის რაინდობაზე წუხდა, ჰმუნავდა, ტიროდა და ბედს ემდუროდა. იქ, დობილოს თბევში რაინდი კარავი დგას. იმ კარვებში ორი რაინდია. ერთმა მათგანმა შეაყოვნა მეორე, აი, ის შეაყოვნა, ვისაც ქალი მიჰყავდა. იმ რაინდმა უთხრა, ეგ ქალი ჩემი ახლობელი ნათესავია. უნდა მამამისის სახლში წავიყვანო, და ჩემს ნათესავებს ჩავაბარო. მეორე იმას გაიძახოდა, ქალი მე მოვიტაცე და მე მეკუთვნისო.

რაკი ვერ მორიგდნენ, შეიბნენ და ალბათ ახლაც ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ ებრძვიანო.

— თუ ჰენებით დასძრავთ თქვენს ცხენს ადგილიდან, ალბათ მათი ბრძოლის ნახვაც მოგიწევთ. ქალიშვილი კი საჭურველმტვირთველების ყურადღებითაა გარემოსილი და კარავში იმყოფება.

— ღმერთმა გადღეგრძელოს და ყველა საქმეში გაგიმარჯვოს, — უთხრა მეფე პელინორმა.

მეფე პელინორმა ცხენი ადგილიდან მოსწყვიტა და მანამდე ატენა, ვიდრე ორ კარავსა და ბრძოლაში ჩაბმულ რაინდებს წაადგებოდა თავზე. მან დანახა კარავში მჯდომარე ქალიშვილი; ცხენი კარავთან მიაგდო და უთხრა:

— მშვენიერო ასულო, თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ მეფე ართურის კარზე.

— ბატონო რაინდო, — მიმართეს მეფე პელინორს საჭურველმტვირთველებმა. — აი, იქ ორი რაინდი ებრძვის ერთერთს ამ ქალწულის გულისთვის. მიდით, გაახავეთ ისინი, მოელაპარაკეთ და ამ ქალის ბედი მერმე გადაწყდება.

მეფე პელინორმა ისმინა საჭურველმტვირთველების სიტყვა, მებრძოლი რაინდებისაკენ დაიძრა. ცხენი მოშულართა შუა ჩააყენა და ჰკითხა, რა ვაბრძოლებთო.

— ბატონო რაინდო, — წამოიწყო ერთმა, — მე გიპასუხებთ, ის ქალიშვილი, კარავში რომ ზის, ჩემი ახლობელი ნათესავია, როცა ვნახე, ძალით მიჰყავდათ, თავი გამოვიდეთ და ბრძოლაში ჩავები.

— ბატონო რაინდო, — მიმართა მეფე პელინორს მეორე რაინდმა, რომელსაც ვენტლენდელი ოუტლეიკი ერქვა, — ეს ქალიშვილი მეფე ართურის კარზე მე ბრძოლით მოვიპოვე.

— აი, ეგ კი სიმართლეს არ შეეფერება, — მკაცრად თქვა პელინორმა, — თქვენ სასახლის კარზე მოულოდნელად გამოცხადდით, ჩვენ მაშინ მაგიდას ვუსხედით და ვჭეიფობდით. თქვენ ეს ქალწული ისე სასწრაფოდ წამოიყვანეთ იქიდან, რომ ვერც ერთმა რაინდმა საბრძოლოდ მომზადება ვერ მოასწრო. სწორედ ამიტომ დამავალეს, დაგწოდით და ორივენი, ან ქალიშვილი მაინც უკანვე წამეყვანა. ალბათ რომელიმე ჩვენგანს ამ ველზე მოუწევს დარჩენა. ან გავიმარჯვებ და ამ ქალს თან წავიყვან ანდა თქვენთან ორთაბრძოლაში დავეცემი გულგანგმირული, ასე აღვუთქვი მეფე ართურს. შეწყვიტეთ ორთაბრძოლა, რადგან არც ერთს არა გაქვთ ხელი იმ ქალიშვილთან. თუ გსურთ იმ ქალისათვის შემებრძოლოთ, მზად გახლავართ.

— რა გაეწყობა, — უთხრეს რაინდებმა, — მოემზადეთ და ჩვენ ახლავე თავს დაგესხმით.

მეფე პელინორმა ცხენი შეაბრუნა, რომ რაინდებს გასცლოდა. სერ ოუტლეიკმა ამით ისარგებლა, მეფე პელინორის ცხენს მუცელში მახვილს ჩასცა, ფაშვი ერთიანად გამოლადრა და ასე უთხრა:

— ახლა შენც, ჩვენსავით, ქვეითად იბრძოლებ.

როს მეფე პელინორმა დაინახა, მუცელგამოფატრულ, მომაკვდავ ცხენზე ვზივარო, უნაგირიდან ცქვიტად გადმოხტა, ხმალი იშიშვლა, ვეშაკი იფარა და იყვირა:

— ჩემი ცხენის მოკვლისათვის კარგი დღე არ დაგადგება, რაინდო!

ესა თქვა და ისეთი ძალით დაჰკრა მუზარადში ხმალი, რომ თავი ნაკაპამდე გაუპო. მკვდარი რაინდი მიწაზე გაიშხლართა.

თავი მეცამეტე

ამა ამბავი, თუ როგორ იგდო ხალთ მეფე პელინორმა ის ქალიშვილი და როგორ მოიხვანა კამელოტში, მეფე ართურის სასახლეში

მეფე პელინორი საბრძოლველად მერმე მეორე რაინდისაკენ შებრუნდა. იგი მძიმედ დაჭრილი იყო. იმ რაინდმა კარგად დაინახა, რა საშინელი ძალის დარტყმა აგება მეფე პელინორმა აღრე მასთან მორკინალ რაინდს, და მეფე პელინორთან ბრძოლა აღარ ისურვა. იგი მუხლებზე დაეცა და მეფე პელინორს უთხრა:

— თუ მართლაც ასე გაქვთ დავალებული, წაიყვანეთ ეს ქალიშვილი, იგი ჩემი დაა, მაგრამ, გაფიცვებთ როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეჭფერის, ისე მოეპყრათ, არ შეარცხვინოთ მისი ლეჩაქი და ძალა არ იხმაროთ მასზე.

— რაო? — იკითხა განცვიფრებულმა მეფე პელინორმა, — თქვენ არ იბრძოლებთ მისი გულისთვის?

— არა, — უპასუხა დაჭრილმა რაინდმა, — ისეთ მხნე და გულოვან რაინდთან ბრძოლა როგორც თქვენა ხართ, აღარ შემიძლია.

— რა გაეწყობა, — უთხრა მეფე პელინორმა, — როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეჭფერის, სიტყვას გაძლევთ, რომ ამ ქალბატონზე ძალას არ ვიხმარ. ახლა კი ცხენი მჭირდება და ოუტლეიკის ცხენზე შევჯდები.

— სერ, მე მგონი, ოუტლეიკის ცხენზე შეჯდომა თქვენ არ დაგჭირდებათ, — უთხრა დაჭრილმა რაინდმა, — მე თქვენ ცხენს ამოგარჩევინებთ და ვაჩუქებთ, ახლა კი ღამდება და ეს ღამე ჩემს სახლში გაათიეთ.

— დიდი სიამოვნებით დავრჩები თქვენს სტუმართმოყვარე სახლში ღამის გასათევად, — უთხრა მეფე პელინორმა.

ასე ისტუმრა დაჭრილმა რაინდმა მეფე პელინორი. მან მეფეს მეტად კარგა უმასპინძლა, რაც ყველაზე ძვირფასი და ნუგბარი საკმელ-სასმელი ჰქონდა, ის მიართვა.

დილით მეფე პელინორმა ლოცვა მოისმინა და ისაუბმა. მერმე ქურანა ფეხმალის ცხენი მოჰგვარეს, უნაგირი კი მისი ედგა.

— რა გქვიათ? — ჰკითხა დაბოლოს დაჰკრილმა რაინდმა, — თქვენ ხომ თან ჩემი დაი მიგყავთ. როგორცა თქვით, სარაინდო დავალება გქონდათ, რომ იგი წაგეყვანათ.

— სერ, გიპასუხებთ: ჩემი სახელი პელინორია, კუნძულელისა და მრგვალი მაგიდის რაინდი.

— გულით მიხარია, რომ ასეთი სახელოვანი რაინდი ჩემს დას მფარველად მოევიდინა.

— თქვენი სახელი? — ახლა მეფე პელინორი ჩაეკითხა რაინდს, — თქვენი სახელი მინდა ვიცოდე.

— სერ, ჩემი სახელი მელიოტ ლოგრელია, ეს ქალიშვილი ჩემი დეიდაშვილია და ნინევა ჰქვია. კარავში კი კარგი რაინდი და ჩემი ძმადნაფიცია, კუნძულელი ბრიანი. იგი ავ საქმეს არავისთვის იზრახავს და არც შეებრძოლება ვინმეს, თუ არ აიძულეს.

— მართლაც საოცარი ამბავია, — სიტყვა ჩამოართვა მეფე პელინორმა, — მან ხომ ჩემთან ბრძოლა არ მოისურვა.

— სერ, იგი არავის შეებრძოლება, თუ პირდაპირ ბრძოლაში არ გაიწვიეს.

— ძალიანა გთხოვთ, ის თქვენი ძმადნაფიცი უახლოეს ხანში სასახლის კარზე მოიყვანოთ.

— ორივენი აუცილებლად გეახლებით.

— თქვენ მეფე ართურის კარზე დადი სიხარულით მიგიღებენ და უხვადაც დაგასაჩუქრებენ.

ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და მეფე პელინორი ქალიშვილთან ერთად კამელოტისაკენ გაემართა.

ველზე რომ მიჰქროდნენ, ქალიშვილის ცხენმა ქვას წამოჰკრა ფეხი, წაიბორძიკა და მხედარი ჩამოაგდო. ქალიშვილმა ხელი მოიტეხა და ძლიერმა ტკივილებმა ლამის გრძნობა დააკარგვინა.

— ვაჰმე — წამოიკვნესა დაზარალებულმა, — მე მგონია დაცემისას მხარიც ამოვადდე და ცხენზე ჯდომასა და მგზავრობას ველარ შევძლებ.

— რა გაეწყობა, უხდა დავუოვნდეთ, — თქვა მეფე პელინორმა.

მან ხის ძირს მიაშურა, სადაც ნოყიერი და ყუათიანი ბალახი მოჩანდა, ცხენი საბალახოდ მიუშვა, თვითონაც ხის ძირას მიწვა და სალამომდე არხეინად ეძინა. როცა გაეღვიძა, კამელოტისაკენ წასვლა მოინდომა, მაგრამ ქალიშვილმა უთხრა:

— ახლა გინდა წინ წავსულვართ და გინდ უკან, სულერთია, ისე დაღამდა, რომ აღარაფერი ჩანს.

ისინი იქვე დარჩნენ და დასაძინებლად მოემზადნენ. მეფე პელინორმა საჭურველი აიყარა.

შუალამე ჯერ კიდევ არ იყო ჩამომდგარი, როცა ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ.

— იყუჩეთ და ნუ გაინძრევით, — ჩუმად გააფრთხილა მეფე პელინორმა ქალიშვილი, — ჩვენ ახლა ვიღაცის თავგადასავალს მოვისმენთ.



როგორ მოიხდინა ლარტაფში დასასვენებლად მიწოდებული კვების საკვანძოები და სხვა სათავსოების მოწყობა

მეფე პელინორმა იარაღი აისხა. სწორედ მათ პირდაპირ ჩამოდგა ის იარი რაინდი. ერთი, როგორც გაიჩქვა, კამელოტიდან მოდიოდა, მეორე კი ჩრდილოეთის მხრიდან. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ და, როგორც წესია, იქითურაქეთური ამბები გამოიკითხეს.

— რა ამბებია კამელოტში? — იკითხა ერთმა.

— ჩემს თავს ვფიცავ, — უპასუხა მეორემ, — კარგა ხანს ვიყავა კამელოტში, ვნახე სამეფო კარი, ვნახე რაინდთა საძმო კავშირი, რასაც, ალბათ, ველარაფერი ველარ დაარღვევს. მეფე ართურის ირგვლივ მთელი ქვეყანა შემოკრებილა, სულ დარჩეული რაინდობა, დიახ, რჩეულთა შორის რჩეულნი ახვევია გარშემო. სწორედ ამიტომ მაქვს ჩრდილოეთისაკენ გეზი აღებული. რათა ჩვენს ბელადებს მეფე ართურის ირგვლივ შემოკრებილ ამ დიდ საბრძოლო კავშირზე წვრილად ვუამბო ყოველივე.

— ჰო, — წამოიწყო ისევ პირველმა, — სწორედ მაგ კავშირის ბოლოს მოსაღებად მიმაქვს ახლა ნამდვილი საიმედო საშუალება. ეს ძლიერმოქმედი შხამი გახლავს. ასეთი ძლიერი საწამლავი ჯერ მთელს დუნიაზე არავის გაუგონია. ახლა კამელოტისაკენ მივიჩქარი. იქ მეფე ართურთან დაახლოებულ პართა შორის ჩვენი კაცი გვყავს, ის, ვინც მეფე ართურს საწამლავს ჩაუყრის საჭმელში და მოაკვდინებს. მან მეფის მოწამვლა იკისრა, ჩვენს ბელადებს შეჰფიცა კიდევ და წინასწარ დიდი გასამრჯელოც მიიღო.

— მერლინს ერიდეთ, — გააფრთხილა მეორე რაინდმა, — მან ხომ ეშ. მაკური მანქანების წყალობით ყოველივე წინასწარ იცის!

— ეგ სრულიადაც არ მაშინებს, — თქვა უდარდელად პირველმა რაინდმა. ისინი ერთმანეთს დასცილდნენ და ცხენები სხვადასხვა მხარეს გააჭენეს.

მეფე პელინორიც ამხედრდა ცხენზე და ქალიშვილთან ერთად კამელოტისაკენ გაეშურა. როცა ისინი იმ ნაკადულს მიადგნენ, რომლის სიახლოვეს მეფე პელინორმა აქეთობისას დაჭრილი რაინდი და მისი სატრფო იხილა, მეფე პელინორი დარწმუნდა, რომ დაჭრილი რაინდიცა და მისი გულის მურაზიც ლომებსა და სხვა ნადირთ შეესანსლათ. მხოლოდ თავებიდა დაეტოვებინათ შეუჭმელი, დანარჩენი ყველაფერი დაეხრათ. მეფე პელინორი დიდად შეწუხდა. მწარე ცრემლებით დაიტირა შეყვარებულნი და თქვა:

— ვაჰმე, შემეძლო მათი ხიფათიდან დახსნა, მაგრამ სარაინდო დავალების საჩქაროდ აღსრულება მეწადა, საწყლები გასაჭირში მივატოვე და განვერიდე.

— რატომ სწუხართ ასე? — დაინტერესდა მისი თანამგზავრი ქალი.

— არ ვიცი, ლამისაა, გული გამისკდეს იმ ქალიშვილის საცოდაობით, ვისგანაც ახლა მხოლოდ ძვლებიდა დარჩენილა. იგი ნორჩი იყო და მშვენიერი.

— მაშინ ჩემს რჩევას ათხოვეთ ყური: მოაგროვეთ რაინდის შთენილი ძვლები, და უბრძანეთ, რომ განდევილის საცხოვრებლის გვერდით დაფლან. ქალის თავი კი მეფე ართურის სასახლეში წამოიღეთ.

მეფე პელინორმა რაინდის ძვლები თავის ფარზე დაყარა, განდევილის

საცხოვრებელთან მიიტანა და მიწისათვის მისაბარებლად განდევილს ^{განაბარა} იქვე განკარგულება გასცა, რაინდის სულის შესანდობარად ელოცათ.

— თქვენი შრომის საზღაურად კი მისი საჭურველი გქონდეთ.

— ყველაფერს ისე ვიქმ, როგორც მიბრძანეთ, ღმერთის ^{ქრისტე} ნებებით სისმგებელი.

თავი მეთხუთმეტი

როგორც აი აამალოთში ჩვიდა, მეფე კელინორმა ზიგნა დაიფიცა, ქველადმირი, რაც თავს გადახდა, დაუფარავად განიცხადებინა

მეფე პელინორმა განდევილს გამოეთხოვა და იქით გაეშურა, სადაც ნადირთაგან შექმული გოგონას ოქროსფერთმიანი თავი ეგდო. ქალიშვილის თავის ხილვაზე მეფე პელინორს კვლავ მწარედ შეეკუმშა გული.

ნაშუადღევს ისინი უკვე სასახლეში იყვნენ და მეფე-დედოფალმა ძალზე გაიხარეს მათი ხილვით. მეფე პელინორს უბრძანეს ოთხ სახარებაზე დაეფიცა, რომ თავაგადახდენილ ამბავს სრული სიმართლით მოპყვებოდა.

— ოპ, მეფე პელინორ, — მიმართა დედოფალმა გვინივერამ, — ძალზე დიდი დანაშაული ჩაგიდენიათ. განსაცდელში მყოფ ქალიშვილს უნდა დახმარებოდით და სიკვდილისაგან გეხსნათ.

— ჩემო ქალბატონო, — უპასუხა მეფე პელინორმა, — ყველაზე დიდი ცოდვა ამ საქმეში იმის მხრებს აწევს, ვისაც სიციცხლე შეეძლო და თავი სასიკვდილოდ გასწირა. თქვენი რისხვა არა მქონდეს, დედოფალო, მე ვისწრაფოდნი, სარაინდო დავალება, რაც შეიძლება ჩქარა აღმესრულებინა. ამიტომ კვლარ დავყოვნდი ქალიშვილის და დაჭრილი რაინდის სახსნელად. ახლა კი ვხანობ ჩემს საქციელს და აღსასრულამდე შესანდობად და სასინანულოდ მექნება საქმე.

— ანკი როგორ არ იდარდებთ. — წამოიწყო მერლინმა, — ის ქალწული რომ თქვენი ღვიძლი შვილი გახლდათ რულის ძეგლობელ ლედისთან შექმნილი, რაინდი კი მისი სატრფო იყო, ვისთანაც ჯვარი უნდა დაეწერა. მეჩვენა, რა სათნოებით აღსავსე რაინდი: ზრდილი, კეთილი, სახელოვანი დიდი გმირული მოძაველის მქონე. ის მეფე ართურის კარზე მოიჩქაროდა. მისი სახელი გახლდათ მილეს ლანდელი. მას ზურგიდან მიბარვით დაესხა თავს მშიშარა და ვერაგი ლორეინ მძვინვარე, რომელმაც შუბით სასიკვდილოდ დაჭრა იგი. დიდი მწუხარებისა და სიმწრისაგან გულდათუთქულმა თქვენმა შვილმა ალინამ სატრფოს ხმლით მოიკლა თავი. გასაჭირში მყოფთა ხვედრს რომ გულცივად აუარეთ გვერდი, არ შეყოვნდით და ალინას დახმარების ხელი არ გაუწოდეთ, თქვენ იმ დღეს მოესწრებით, როს განსაცდელში ჩავარდნილს, თქვენი საუკეთესო მეგობარი გიღალატებთ და თხასაღით გაგყიდით. დანაშაულისათვის, რაც თქვენ ჩაიდინეთ, ღმერთის სასჯელი წამოგეწევათ და მრისხანე ხელს შეგახებთ. უდადესი განსაცდელის ჟამს მიგატოვებთ სწორედ ის ადამიანი, ვისი იმედიც ყველაზე მეტი გექნებათ ამქვეყნად და მარტოდმარტო შეხვდებით სიკვდილს.

— სამწუხაროა, რომ ასეთ ბედს მიმზადებს ღმერთი, — თქვა პასუხად მეფე პელინორმა, — სამწუხარო და სავაგლახოა, გარნა უფალს ძალუძს ბედის განჩინებაში ცვლილების მოხდენა.

როს სურ ვავეინის, ვისაც თეთრი ირემი უნდა შეეპყრო, მეფე პელინორის ვაჟიშვილის სურ ტორის, ვისაც თეთრი ძუენა მეფის კარზე უნდა მოეყვანა და თვითონ მეფე პელინორის, ვისაც რაინდისაგან ძალით გატყვევებული უნდა მოეძებნა და სასახლის კარზე დაებრუნებინა. სარაინდო დეველები უნდა შეეპყრონ. მეფე ართურმა მრგვალი მაგიდის რაინდები შეკრიბა და მიბრუნებულა და საბოძვრით აავსო. ამასთან, ყველა დამოძღვრა: არავინ ეძარცვათ, არა კაც ეკლათ, არ ეორგულათ, არ ეცრუათ. თავი მოერიდებინათ ორპირობისათვის, შეეკრდომებინათ შეწყალების ყველა მოსურნე და მთხოვნელი. ამ პირობების დამრღვევნი სამუდამოდ კარგავდნენ კეთილ სახელსა და მეფე ართურის მფარველობასა და წყალობას. თავის რაინდებსავე დაავალა მეფემ, ყველგან და ყოველთვის თავი გამოედოთ: ქალების, ქალწულთა, კეთილშობილ ქალბატონთა და ქვრივთათვის, დაეცვათ უმწეონი და მათზე ძალადობა არ ეხმარათ. კიდევ ასეთი რამ შეაგონა მეფე ართურმა მრგვალი მაგიდის რაინდებს: არც ერთ მათგანს არ აღემართა მახვილი უსამართლო ომში, არც სახელისა და არც მიწიერის სხვა სარგებელისათვის. ახალგაზრდებმაცა და ქარმაგთაც შეჰფიცეს მეფეს, ყურად ვიღებთო შეგონებასა და დამოძღვრას. მის მერე ყოველ სამებობა ღღეს იმეორებდნენ რაინდები თავიანთ ფიცს.

IV

მერლინის სიკვდილი

თავი პირველი

როგორც სიხარულით შეუყვარდა ბაგის მფლობელის ქალიშვილი მერლინი, როგორ მოაპყრო იგი ბაგის უზარმაზარი ფილის, ბაგის ქალმა და როგორ აღესრულა მერლინი

როგორც უკვე ითქვა, მეფე ართურის კარზე დაბრუნდნენ სურ ვავეინი, სურ ტორი და მეფე პელინორი, რომელთაც სარაინდო საგმირო დავალება პირნათლად შეასრულეს. მოხდა ისე, რომ მერლინს მოეწონა და სიგიჟემდე შეუყვარდა მეფე პელინორის მიერ სასახლეში მოყვანილი, რაინდის მიერ ძალით გატაცებული ქალიშვილი. ის ქალწული ტბის მფლობელი ქალის ახლობელი იყო, სახელად ნინევა. მერლინი ქალწულს საშველს არ აძლევდა. სურდა, ერთთავად მის გვერდით ყოფილიყო. ქალწული თავიდან თათლივით დაუტკბა მერლინს, მიუალერსა, ყველა საიდუმლო გამოსტყუა, რაც ეწადა და გაიწაფა კიდევ მის ხელოვნებაში. მერლინს კი ისე სიშმაგემდე შეუყვარდა ქალწული, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო.

ერთხელ მერლინმა მეფე ართურს განუცხადა, ამქვეყნად დიდხანს სიცოცხლე აღარ მიწერიან, მართალია, ჯადოქრული ხელოვნების საიდუმლოს ვფლობ, მაგრამ მაინც მიწაში ცოცხლად ჩამარხვა არ ამცდებიაო. მერმე ბევრი რამ საიდუმლო ამცნო მეფეს, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო. ყველაზე მეტად კი ქარქაშისა და ექსკალიბურის ხმლის გამო გააფრთხილა, მაგ ხმალსა და ქარქაშს სწორედ ის ქალი მოგტაცებს, ვისაც ყველაზე მეტად ენდობიო. დაბოლოს,

ისიც დასძინა, მერლინის თავსაც ბევრჯერ დაისაჭიროებ, ინატრებ და ტყვეანდებიო.

— დადგება დღე და მთელ საბრძანებელს გაიმეტებთ, ოღონდაც მე კვლავ თქვენს გვერდით აღვჩნდე.

— რაკი თქვენი მომავალი წინასწარ უწყით, იზრუნეთ, რომ ბუნების ბაღი შემოაბრუნოთ და უბედურება თავიდან აიცილინოთ, — უთხრა მეფემ.

— არა, მეფეო, ეგ შეუძლებელია, — უპასუხა მერლინმა.

მერლინი გამოეთხოვა ართურ მეფეს. მალე იმ ქალიშვილმაც დატოვა ართურ მეფის სასახლე და მას თან მიჰყვა მერლინიც, იგი ჩრდილივით დაჰყვებოდა კუდში ქალწულს.

მერლინმა გზაზე არაერთხელ იფიქრა ჯადო-თილისმის შეოხებით დაუფლებოდა ქალწულს. გარნა ქალწულმა აიძულა მერლინი დაეფიცა, რომ მის მიმართ გრძნებას არ მიმართავდა და თავის სურვილს ჯადოს წყალობით არ შეისოულებდა.

ქალწულმა მერლინთან ერთად გადალახა ზღვა და ბენვიკის ქვეყანა მოინახულა, რომელსაც მეფე ბანი მართავდა. იმუამად მეფე ბანს მეფე კლაუდასთან ჰქონდა დიდი ომი. მერლინი იქ ესაუბრა მეფე ბანის თანამეცხედრეს, მშვენიერსა და კეთილ ელეინას. იქვე იხილა ჭაბუკი ლანსელოტი. დედოფალი მწარედ დარდობდა სისხლისმღვრელი ომის გამო, რასაც მეფე კლაუდასი მათი საქვეშევრდომოს წინააღმდეგ ეწეოდა.

— ნუ დარდობთ, — დაამშვიდა დედოფალი მერლინმა, — ოცი წელიწადი არ გაივლის და ეს ყრმა, — მერლინმა ხელი ლანსელოტს დაადო, — სამაგიეროს მიუზღავს მეფე კლაუდასს. მთელი საქრისტიანო ალაპარაკდება მაშინ. ეს ყრმა კი მთელს დუნიაზე უმამაცესი და უსახელოვანესი რაინდი შეიქნება. მიმრჩმელებს მისთვის ლანსელოტზე აღრე გალაპადი შეურჩმევიათ, დაბოლოს კი ლანსელოტად მონათლეს.

— სრული სიმართლეა, — უპასუხა მერლინს დედოფალმა, — წინათ გალაპადი შევარჩვით. ოჰ, მერლინ, ნუთუ შევესწრები იმ დღეს, რომ ჩემი შვილი სახელოვანი კაცი გახდეს.

— ჭეშმარიტად, დედოფალო, მაგის ვაჟკაცობას და სახელსაც მოესწრებით და მას მერმეც დიდხანს იცოცხლებთ.

მალე მერლინმა და მისმა სატრფომ ბენვიკიდან გუდა-ნაბადი აიკრეს. გზაზე ქალწულს მერლინმა ბევრი საოცარი რამ აჩვენა. დაბოლოს კორნუელში ჩამოვიდნენ. მერლინი ერთთავად იმის ფიქრში იყო, როგორ დაუფლებოდა სატრფოს სიქალწულეს, მის ნორჩ სხეულს და ქალიშვილს თავი მოაბეზრა. ქალწულს ეშინოდა მერლინისა, რადგან ეშმაკის ნაშიერად მიაჩნდა იგი, მაგრამ ვერა საშუალებით ვერც თავს ანებებდა. ერთხელ მერლინი ქალწულს უდიდეს სასწაულს უჩვენებდა. ეს გახლდათ კლდეში გამოკვეთილი ჯადოქრული გამოქვაბული, რომლის შესასვლელს ქვის მძიმე ფილა იფარავდა. ქალწულმა მერლინის ჯადოსნური ძალის გამოცდა მოიწადინა და სთხოვა მერლინს, ქვის ქვეშ დაწეკით. სინამდვილეში, ქალმა თვითონ მოაჯადოვა მერლინი ისე, რომ კაცს ჯადო-თილისმაში თავისმა გაწაფულობამ ველარ უშველა და ქვის ქვეშიდან ველარ გამოძვრა. ქალწულმა მერლინი ქვის ქვეშ გართხმული დატოვა, დრო იხელთა და თავის გზას გაუდგა.

თავი მეთხუთმეტი

როგორ ჩამოვიდა ხუთი ვეფე ჩვენს მიწაზე ვეფე ართურის წინააღმდეგ
საბრძოლველად და რა რჩევა იყო უშუალოდ ვეფემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასობაში მეფე ართური კამელოტში გაემგზავრა, იქ ყველას საამოდ დი-
დი ლხინი გამართა და შემდეგ კარდალში შემოიქცა. იქ ესმა მეფის ყურს,
რომ დანიის მეფე და მისი ძმა ირლანდიის ხელმწიფე, უელსის მეფე, სურლუზის
მეფე და შორეულ კუნძულთა მბრძანებელი თავიანთი ველური ჯარებით მის
ქვეყანას შემოესივნენ, გადაწვეს და გადაბუგეს ყოველივე, ანგრევდნენ და
ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც გზაზე ხედებოდათ, ციხე-კოშკები იყო, ქა-
ლაქები, თუ სოფლები, ისე რომ სასმენადაც კი საშინელი იყო ყოველივე.

— ვაჰმე, რაც ამ ქვეყნის მეფედ ვეკურთხე, ერთი თვის მოსვენებაც არა
მქონია! — წამოიძახა ართურ მეფემ. — ახლა მანამდე ვერ დავმშვიდდები,
ვიდრე იმ მეფეთ ბრძოლის ველზე პატიოსან ბრძოლაში არ შევებმი, ამის აღ-
თქმასა და ფიცსა ვდებ. ჩემს ერთგულ ქვეშევრდომთ ჩემის მიზეზით გაკირვე-
ბისა და სიკვდილისათვის ვერ გავიმეტებ. ვისაც ბრძოლა სურს, თან გამომყვეს,
ვისაც არა და შინ დარჩეს.

მეფე ართურმა ინება მეფე პელინორისათვის წერილი მიეწერათ და ეთ-
ხოვათ დაუყოვნებლივ მომზადებულიყო სალაშქროდ, მხოლოდ იმ ხალხით ვის
შემოკრებასაც მოასწრებდა, ოღონდაც მეფე ართურის კვალზე გამგზავრება
დაეჩქარებინა. მეფის ასეთი სასწრაფო ლაშქრობის გამო ბარონები იღუმალ
შფოთავდნენ და ბრაზობდნენ. მაგრამ მეფემ არასგზით არ ინება ლაშქრად წას-
ვლის დაყოვნება. ამასთან განკარგულება გასცა, ვინც იმ დროს სამეფო კარზე
არ იმყოფებოდა, ყველას შეატყობინეთ ჩვენი სალაშქროდ წასვლა და უკან მოგ-
ვეყვნენო. მერმე დედოფალ გვინივერას მიეახლა.

— ჩემო მეუღლე, დედოფალო, მოემზადეთ სალაშქროდ ჩემთან ერთად
წამოსასვლელად. მე დიდი ხნით თქვენთან განშორება არ ძალმიძს.

— თქვენი სიახლოვე მხნეობას მომიმატებს და ყოველგვარ განსაცდელს
ვძლევი, რათა ჩემი ქალბატონი ჩიფათს ავაცდინო.

— სერ, — უპასუხა დედოფალმა, — თქვენი ნების მონა-მორჩილი ყოველ
წუთას მზად ვახლაგართ წამოსასვლელად.

დილით მეფე და დედოფალი, იმ მებრძოლებით გარშემორტყმულნი, ვისი
შემოკრებაც მოასწრეს, ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ. ბანაკი ჰუმბირში დასცეს.
როცა ხუთ მეფეთა ყურამდე მიაღწია ცნობამ, რომ ართური ჰუმბირთან ახლო
ტყეში იდგა, იქ აღმოჩნდა ერთი რაინდი, რომელმაც მეფეთ ასეთი რჩევა
მისცა:

— თქვენ კარგად უწყით, რომ ართურის კარზე მთელი ქვეყნაერების
უკეთეს რაინდთა შორის უკეთესნი არიან თავმოყრილნი. ამის საბუთად თერთ-
მეტ მეფეზე მისი ბრწყინვალე გამარჯვებაცა კმარა. ამიტომ დღითა და ღამით
არ უნდა მოისვენოთ და იჩქაროთ მასთან ბრძოლის ველზე პირისპირ შეყრა.
რაც დრო გავა, მით უფრო მეტი მაშველი ძალა მოუვა და თანდათანობით
გაძლიერდება, ჩვენ კი დავსუსტდებით. იგი ისეთი გულოვანია და ისეა დარწ-
მუნებული თავის სიმამაცეში, რომ ჰუმბირთან მცირერიცხოვანი მებრძოლებით

მოვიდა. ახლა გვმართებს აჩქარება და, თუ თავს დროულად დავესხმით, ერთმა-
ნეთის მიშველებას ვერ შეიძლებენ. ისე ცალ-ცალკე ავკუწავთ სუყველას.



თავი მესამე

როგორ შეიპოვლა მღვთა ართური ხუთ მღვთს, როგორ დახმოცა ისინი,
დანარჩენი კი აოტა

მეფეთა ხუთეულმა ყურად ილო იმ რაინდის შეგონება, ვინც მეფე არ-
თურზე უეცარ თავდასხმას ურჩევდათ. მათ თავიანთი ლაშქრით ჩრდილოეთ
უელსი ელვისებურად გამოვლეს, ლამე იფარეს და მეფე ართურის მოლაშქრე-
ები რომ თავიანთ კარვებში წავიდ-წამოვიდნენ მოსასვენებლად, მაშინ დაატყ-
დნენ თავს მეფე ართურს მოულოდნელად. მეფე ართურმა საომარი საქურველი
გვერდზე მიაწყო, ზუჩი მოიძრო, ბეგთარი გაიხადა და დედოფალ გვინივერას
მიუწვა.

— ბატონებო, — თქვა სერ კეიმ, — ხმალშეუვალი თორნი არ უნდა
გაგვეძრო.

— არა უშავს, — დაამშვიდეს სერ კეი სერ გავეინმა და სერ გრიფლეტმა,
რომელთა მოსასვენებლადაც მეფის კარვის გვერდით მიდგმული მომცრო კა-
რავი იყო ნაგულისხმევი.

უცებ მათ ყურთასმენას დიდი ხმაური და კვირილი — „ლალატიანო“, მის-
წვდა.

— ვაჰ! — წამოიძახა მეფე ართურმა, — ვგონებ, ვიღაცამ გვიმუხთლა!
მეგობრებო, იარაღს მოჰკიდეთ ხელი!

იმწამსვე ყველა ჯაჭვითა და ბეგთარით შეიმოსა, იარაღს წამოავლეს ხელი
და საომრად მოემზადნენ. უცებ მეფესთან რომელიღაც დაჭრილი რაინდი მი-
ვიდა და შეევედრა:

— მეფეო, თავს უშველეთ და იხსენით დედოფალიც, ჩვენი ჯარი უკვე
ვანადგურებულია, ჩვენს მომხრეთაგან ბევრი აკუწეს.

მაშინ მეფე-დედოფალი და სამი რაინდი ცხენებზე შესხდნენ და ჰუმბირი-
საკენ გაქუსლეს. იქ მდინარის გადაცურვა და გაღმა გასვლა ეწადათ, მაგრამ
მდინარე აღიდებულყო, მრისხანედ მოაგელვებდა მღვრიე ტალღებს და ლტოლ-
ვით წყალში შესვლა ვეღარ გაბედეს.

— თქვენ ახლა არჩევანის წინ დგახართ, — მიმართა მეფემ დედოფალს, —
დარჩით აქ ჩვენთან ერთად და ბედის განჩინებას დაელოდეთ, ან მდინარის
მღვრიე ტალღებს მიანდეთ თქვენი სვე. თუ მტერს ჩაუვარდით ხელთ, აუცი-
ლებლად მოგკლავენ.

— თქვენი მტრების ხელში მოხვედრასა და წამებას მდინარის ტალღებში
სიკვდილი მირჩევნია, — თქვა მტკიცედ დედოფალმა გვინივერამ.

ვიდრე ისინი იქ იდგნენ და ბჭობდნენ, სერ კეიმ შენიშნა, შუბებმომარჯვე-
ბული ხუთივე მეფე, მხლებელთა გარეშე, მათ მხარეს მოაქენებდა ბედაურებს.

— აბა, კარგად შეხედეთ, — იყვირა მან უცებ, — აი, ის ხუთივე მეფე,
გზა გადავუჭრათ და ძალები მოვსინჯოთ!

— ეგ გონივრული არ იქნება, — შეედავა სერ გავეინი. ისინი ხუთნი არიან, ჩვენ კი — ოთხნი.

— მართალია, — დაუდასტურა ნათქვამი სერ გრიფლეტმა.

— არაა აუცილებელი ჩვენც ხუთნი ვიყოთ. მე ჩემი მზრუნველნი მკლავ-ლები, თქვენ სამნი კი სამს შევბმით. — ამ სიტყვებზე სერ კეიმ ცხენი ადგილიდან მოსწყვიტა, მთელი ძალით გააქენა, იმ ხუთთაგან ერთ-ერთს შუბი აძგერა, ფარი გაუგლიჯა, მახვილი სხეულში გაუტარა და მკვდარი მეფე მიწაზე ჩამოაგდო. ეს რომ სერ გავეინმა იხილა, თვითონაც მიეჭრა გადარჩენილ ოთხთაგან ერთს და ისეთი ძალით აძგერა ლახვარი, რომ ლახვარის წვერმა ცხენზე მჯდომს გულამდე უწია და მკვდარი მიწას განართხო. აღარც სერ გრიფლეტმა დააყოვნა ბრძოლაში ჩაბმა და ისიც ისეთი ძალით ეკვეთა ერთ-ერთ მეფეს, რომ კისერი და კინჩხი გადაუმტვრია. მერმე მეფე ართურმა გამოიღო თავი, ერთ-ერთ მეფეს ჰოროლი სცა და გულგანგმირული ცხენიდან ძირს ჩამოაგდო, ამასობაში კი, სერ კეი ცოცხლად გადარჩენილ მეხუთე მეფეს მიეტევა და ისეთი ძალით დაჭრა მახვილი, რომ მუზარადიანი ვაჟკაცი ორად გაჰკვეთა.

— დარტყმაც ამასა ჰქვია, — წამოიძახა აღფრთოვანებულმა მეფე ართურმა. — შენ პირმტკიცედ შეასრულე შენი სიტყვა, რის გამოც მთელს სი-ცოცხლეში პატივისცემა არ მოგაკლდება.

მერმე დედოფალი ორჩხომელში ჩასვეს. დედოფალმა გვინივერამ სათანადოდ შეაქო სერ კეის გმირობა:

— თუ ქვეყნად მოიძებნება ისეთი ქალი, ვისაც თქვენ შეტრფით, ხოლო ის არ თანაგიგრძნობთ, იგი ქეშმარიტად გაკიცხვის ღირსია. მთელს საქალეთს მოვფენ თქვენი შემართებისა და გმირობის ამბავს. თქვენ სიტყვით თქვით და საქმითაც აღასრულეთ ყოველივე.

სათქმელი რომ დაამთავრა, დედოფლის ორჩხომელი მდინარის მეორე ნაპირისაკენ დაიძრა. მეფე ართური და სამივე რაინდი კი ტყეში შევიდნენ, რათა თავის მოლაშქრეთა ადგილსამყოფელი დაეზუსტებინათ და შეეტყობთ, ვინ გადაურჩა უეცარ განსაცდელს. მეომართა უდიდეს ნაწილს ერთად მოეყარა თავი. მეფე ართურმა და მისმა რაინდებმა მოლაშქრეთ აცნობეს ხუთი მეღას დაღუპვის ამბავი.

— ახლა კი დილამდე ყველანი ერთად უნდა თანავდგეთ. როს გათენდება და მტრის ლაშქარი წინამძღოლთა დაღუპვის ამბავს შეიტყობს, დაიბნევიან, ვაივისს მოჰყვებიან და ბრძოლის თავი აღარ ექნებათ, — უთხრა ართურმა.

როგორც მეფემ იწინასწარმეტყველა, ყველაფერი ისე ასრულდა. როცა მტრის ლაშქარმა დახოცილ მეფეთა გვამები იხილა, ისეთ მწუხარებას მიეცნენ, რომ ცხენებზე ჯდომის თავიც აღარა ჰქონდათ. მეფე ართური კი თავისი მცირე ლაშქრით არწივივით დაჰჭროდა მათ შორის და მარჯვნივ და მარცხნივ სიკუნდილს თესავდა. ასე რომ, ოცდაათი ათასი კაციდან თითქმის ამბის წამლებიც არ გაუშვიათ. ომის დასასრულს მეფე ართური მუხლებზე დაემხო და უფალს მორჩილი მორწმუნის ხოტბა აღუვლინა. მერმე დედოფლის მოსაყვანად აფრინა ხალხი. დედოფალი მობრძანდა და გულით გაიხარა, რა გამარჯვების ამბავი ეუწყა.

თავი მათუა

როგორ დასრულდა ბრძოლა და როგორ დააარსა მუხე ართურმა
საბატო სწორედ იმ ადგილზე, სადაც ბრძოლა მოხდა



ქრონოლოგია

მერმე მეფე ართურთან ვილაც მაცნე მოვიდა და უთხრა: — ~~სამეფე~~ ~~ქვეყნე~~ —
ი დიდძალი ჭარით აქედან სამი მილის დაშორებით იმყოფება, იჩქარე და
აუწყე, მეფევ, როგორ გავიმარჯვეთო. მალე თვითონ მეფე პელინორი გამოც-
ნადდა მეფე ართურის წინაშე, მოლაშქრეთ და მეფე ართურს თავმდაბლად
მიესალმა და ლაშქარიცა და მეფენიც დიდ სიხარულს მიეცნენ. მერმე მეფე
ართურმა ბრძანა, გამოეკვლიათ, ვინ დააკლდათ ბრძოლაში. ორას კაცზე მეტი
დახოცილთა შორის ვერ იპოვეს, მრგვალი მაგიდის რაინდთაგან რვა კაცი აეკუ-
წათ და მათი გვამები კარვებში უყარა.

მეფე ართურმა ბრძანა, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ბრძოლა მოხდა, ბა-
ლავარი ჩაეყარათ „კეთილი გამარჯვების საბატოსათვის“. ართურმა საბატოს
ბევრი მიწები შესწირა.

როცა დახოცილ მეფეთა საბრძანებელში გადარჩენილი რაინდები კანტი-
კუნტად დაბრუნდნენ და განაცხადეს, ხუთივე მეფე ბრძოლის ველზე დავკე-
დუბაო, მათმა ქვეშევრდომებმა ერთი ვაი-უშველებელი შექმნეს. მეფე არ-
თურის მტრებმა ჩრდილოეთ უელსის მეფემ და ჩრდილოეთის სხვა ხელმწიფე-
ებმა, როგორც კი ამ ბრძოლას ამბები შეიტყეს, დადარდიანდნენ და კმუნვას
მიეცნენ. ართურმა კამელოტს მიაშურა. როს მეფე კამელოტში ჩავიდა, მეფე
პელინორი იხმო და უთხრა:

— კარგად უწყით, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ რვა შესანიშნავი რაინდი დავ-
კარგეთ. ახლა თქვენი რჩევით მათ ადგილზე რვა რაინდი უნდა ავირჩიოთ. რა-
ლა თქმა უნდა, უკეთესთა შორის უკეთესნი, ვინც კი სასახლის კარზე გვეყავს.

— სერ, — წამოიწყო მეფე პელინორმა, — თუკი რამ ვიცი, თავს არ
დავზოგავ და გამორჩეულ თათბირს შემოგთავაზებთ. თქვენს სამეფო კარზე
ბევრი ძველი და ახალგაზრდა სახელოვანი რაინდი რიალებს. ჩემი თათბირი და
ვაზირობა ის აქნება, მრგვალი მაგიდის რაინდთა შესავსებად ნახევარი ძველ-
თაგან აარჩიოთ და ნახევარი ჭაბუკთაგან.

— ძველებიდან ვის დაასახელებ? — ჩაეკითხა მეფე ართური.

— ჩემის აზრით, სერ, პირველს — თქვენი დის ლი ფვა მორგანის ქმარს —
მეფე ურიენსს დავასახელებ, მერმე ტბათა მეფეს შემოგთავაზებთ, მესამედ
კეთილშობილ ჰერვის დე რეველს გირჩევთ, მეოთხე კი სერ გალაგარი იქნება.

— კეთილი და გონივრული სჯა და ბჭობაა, — თქვა ართურმა, — სწორედ
აგრე ვიქმ. ახლა კი ყრმათაგან შეგვირჩიე ოთხეულს.

— სერ, უპირველესად, თქვენი დის შვილას სერ გავეინის სახელს ვიტყვი,
ჩვენს დროში, ამ მიწაზე მისი ბადალი არვინ გვივის. მას მერმე, ჩემის ღრმა
რწმენით, მჯობნის მჯობნთა შორის, გამორჩეული სერ გრიფლეტია, მეტსახე-
ლად ღვთას შვილი, კარგი რაინდი, ომში ცეცხლივით მგზნებარე და ვისაც დიდი
ხნის სიცოცხლე უწერია, ნახავს, როგორ გამართლდება ჩემი სიტყვები და რო-
გორი სახელოვანი კაცი შეიქმნება იგი. მესამე, ჩემის აზრით, ვინც ღირსეულთა
შორის ღირსეულია, მრგვალ მაგიდას შემოუჭდეს, ბევრი საგმირო საქმის ჩამ-

დენი, სერ კეი სენეშალია. ამ ბოლო ომშიც ხომ ისახელა თავი, ორ მეფესთან იკისრა პირდაპირ შებმა და ორივენი იმქვეყნად გაისტუმრა.

— ჩემს თავს ვფიცავ, მართალს ამბობთ!, — უთხრა მეფე ართურმა. — თქვენგან დასახელებულთა შორის ის ყველაზე უფრო ღირსეულია და სწორად მიმაჩნია მრგვალ მაგიდას ეჯდეს, თუნდაც დანარჩენ ქვეყნებში სასახელო და თავის გამოსაჩენი აღარაფერი ჩაიდინოს.

თავი მახუთა

როგორ შეიკმნა სარ ტორი მრგვალი მაგიდის რაინდად და ბაგდემაგუსის შკაპოფილავა

— ახლა კი, — წამოიწყო ისევ მეფე პელინორმა, — ორ რაინდს — სერ ბაგდემაგუსსა და სერ ტორს შუა უკეთესი თქვენ თვითონ აღარჩიეთ. მოგვბნენებათ, სერ ტორი ჩემი შვილი გახლავთ, მისი ქება მე არ შემშვენის. ვარნა სერ ტორი ჩემი ძე რომ არ ყოფილიყო, მაშინ გეტყოდით, თავის ტოლ-სწორთა შორის მისი ბადალი რაინდი ქვეყნად არ მოიძვევება, ზნეკეთილი გახლავთ იგი, უკადრის საქციელს არაოდეს ჩაიდენს და ბოროტსა და ავ საქმეს თავდადებით შეებრძოლება.

— თავს ვფიცავ. — თქვა მეფე ართურმა, — თუ ის იმათზე ნაკლები იყოს, ვინც თქვენ დღეს აქ დაასახელეთ და, რასაც ვამბობ, კარგად ვუწყვი, რადგან მისი ქველი საქმენი საკუთარი თვალით ვიხილე. იგი ძალზე ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. ჩამომავლობით მის ძარღვებში ორივე მხრიდან კეთილშობილი სისხლი მდინარებს, შემართებითა და შეძლებით კი ტოლი არ უვის. ამის გამოა, რომ ამჯერად ჩვენი რჩეული ის იქნება, ბაგდემაგუსი კი უკეთეს დროს დაელოდება.

ბარონთა თანხმობით დასახელებული რაინდები არჩეულ იქმნენ. მრგვალი მაგიდის გარშემო შემოდგმულ სკამებზე მათი სახელები უკვე ამოეტვიფრათ და რაინდები მათთვის მიჩენილ ადგილებზე ჩამოსხდნენ. სერ ბაგდემაგუსის აღმფოთებასა და რისხვას საზღვარი არა ჰქონდა, რაკი სერ ტორს უპირატესობა მიეცა. ამის გამო იყო, რომ სასახლე საჭურველმტვირთველთან ერთად უეცრად მიატოვა და თავი ტყეს მისცა. ბევრი ხეტიალის შემდეგ იდუმალი ლტოლვილები წარწერიან ჯვარს გადაეყარნენ. სერ ბაგდემაგუსი ლოცვად დადგა და უფალს გულწრფელად შეპლაღებდა. ამასობაში მისმა საჭურველმტვირთველმა წარწერა აღმოაჩინა და ამოიკითხა, რომ ბაგდემაგუსს ართურ მეფის სასახლეში დაბრუნება მანამდე აღარ ეწერა, ვიდრე მრგვალი მაგიდის წევრ რაინდს პირისპირ ბრძოლაში არ შეეყრებოდა და მასზე გამარჯვებას არ მოიპოვებდა.

— აბა, შეხედეთ, — უთხრა საჭურველმტვირთველმა, — ჯვარზე თქვენს შესახებ წარწერას წავაწყდი და გირჩევთ ახლავე მეფე ართურის სასახლეში დაბრუნდეთ.

— ეგ მანამდე არ მოხდება, ვიდრე მავანნი და მავანნი არ იტყვიან ჩემზე, ქეშმარიტად მამაცი და ღირსეულიაო. როს ვაჟკაცი იტყვიან, სრული უფლება აქვს, მრგვალი მაგიდის რაინდი იყოსო, მეფე ართურის სასახლეში მაშინ დავბრუნდები.

ბაგდემაგუსმა გზა განაგრძო. მალე მან სამღვთო წმინდა შტო იპოვა. ეს წმინდა გრაალის გამორჩეული ნიშანი გახლდათ. ასეთი ნიშნის პოვნა კი მხოლოდ იმ რაინდთა ხვედრი იყო, ვინც თავისი სათნო ცხოვრებითა და უაღრეს სიმამაცით გამოირჩეოდა.

სახიფათო თავგადასავალთა მძიებელმა სერ ბაგდემაგუსმა მალე განაგრძო. მან იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც ტბის მფლობელის ახლობელმა მერლინი ჰყავდა გამომწყვდეული. სერ ბაგდემაგუსმა გადაწყვიტა ეშველა მერლინისათვის და ტყვეობიდან დაეხსნა. იგი უზარმაზარი ლოდის ქვეშ შეძვრა და პოინდომმა აეწია ის ტინი, რისი აწევა ას კაცს არ შეეძლო. როს მერლინმა შეიტყო მისი მოწადინებისა და შრომის ამბავი, უთხრა: გარდა იმისა, ვინც ამ დღეში ჩამაგდო, ჩემი შველა და დახსნა არავის შეუძლია და შენ ამოდ ნუ ირჩებიო.

ბაგდემაგუსი ისევ გზას დაადგა. მან ბევრი ხიფათი და განსაცდელი გამოვლო, მამაცი და კეთილშობილი რაინდის სახელი მოიხვეჭა. მეფე ართურის სასახლეში დაბრუნდა და მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხეს. მეორე დღეს კი სასახლეში ახალი სათავგადასავლო ცხელ-ცხელი ამბები დატრიალდა.

თავი მამაკმა

ამა ამბავი, რომორ გამოადევნენ ირემს კეფე ართური, მამა შრიმსი, სერ აკოლონ ჯალიელი და მათი შვიკო და უცნაური თავგადასავალი

მეფე ართური და მისი მრავალი რაინდი სანადიროდ დიდი ტყისკენ გაემართნენ. მოხდა ისე, რომ მეფე ართური, მეფე ურიენსი და სერ აკოლონ გალიელი ერთ მოზრდილ ირემს გამოედევნენ. სამივენი მშვენიერ ცხენებზე ისხდნენ, ფეხმალმა ტყიურმა მონადირენი შორს გაიტყუა და მხლებლებს კარგი ათი მილი მანძილით ჩამოაშორა. გახლებული მონადირენი ისე დაუზოგავად მიერეკებოდნენ ცხენებს, რომ საწყალ პირუტყვებს სული ამოხდათ. არც ირემს ადგა კარგი დღე, სირბილისაგან არაქათგამოღებული ტყიური ოფლში ცურავდა და უცხენებოდ დარჩენილ ყოფილ მხედრებს შორიდან საწყალობლად შესცქეროდა.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა მეფე ართურმა, — ძალიან ცუდ დღეში კი ჩავცვივდით.

— ფეხით ვიაროთ, ვიდრე რამე თავშესაფარს გადავაწყდებით, — შესთავაზა მეფე ურიენსმა. მალე ნირწამხდარმა მონადირეებმა შენიშნეს, რომ მდინარის პირად, მიწაზე გართხმულ ირემს მონადირე ძალი მივარდნოდა და უელს ღადრავდა. მათ ისიც კარგად დაინახეს, რომ სხვა ძაღლებიც ირმისაკენ მიისწრაფოდნენ. მეფე ართურმა საყვირს ჩაჰბერა და ირემს მახვილით გაული გაუგმირა.

როს მეფე ართური ფეხზე წამოიშართა და მიდამოს გაჰხედა, დაინახა, რომ ფართო მდინარეს, აბრეშუმის ქსოვილით ერთიანად მორთულ-მოკახმულ პატარა გემი დაბლა მოუყვებოდა. გემი სამეულს გაუპირისპირდა თუ არა, მდინარის ნაპირას სილაზე შეჩერდა. მეფე ართური გემისაკენ გაემართა, შიგ შევიდა, მაგრამ ძეხორციელი გემზე და მის შიგნით ვერავინ იხილა.

— ბატონებო, — გასძახა თანამონადირეთ მეფე ართურმა, — ერთი თქვენც მოდით და ერთად დავათვალიეროთ ეს უცნაური გემი. სამივემ კარგა ხანს უკირკიმალა გემს, რომელიც შიგნითა მხრადანაც სულ აბრეშუმის ქსოვილით იყო აკრული.

ამასობაში ძალზე ბნელი ღამე ჩამოდგა. უეცრად უკუნჩქვნიან კედლებთან ანთებულმა ასმა მოგიზგიზე ჩირაღდანმა გაანათა. მერმე ნაიღანლაც მოვლენილი თორმეტი ულანაზესი ასული მიუახლოვდა მეფე ართურს, მუხლებზე დამხობილებმა თაყვანი სცეს, სახელით მიმართეს, კეთილი იყოს თქვენი ბილვაო, უთხრეს და ყველაზე ნუგბარ სასმელ-საჭმელზე მიიპატიყეს. მეფემ დიდსულოვნად მადლი მოახსენა ქალიშვილებს. მერმე ქალწულები მეფე ართურსა და მასთან მყოფებს წინ წარუძღვნენ და უმშვენიერეს საწოლში შეიყვანეს. იქვე იყო ნაირ-ნაირ საჭმელ-სასმელით გაწყობილი მდიდრული სუფრა. მეფე გაოცებული დარჩა, რადგან ამაზე უფრო უხვი და მდიდრული სუფრა თვითონ მას, მეფე ართურსაც კი, თავის ცხოვრებაში არ ენახა.

ვახშამი რომ მოათავეს, მეფე ისეთ ზღაპრულად მორთულ საწოლში შეიყვანეს, რომ არც ასეთი სიმდიდრე ჰქონდა ნანახი. ასევე დიდებულად მოემსახურნენ მეფე ურიენსსა და სერ აკოლონსაც. ისინიც ცალ-ცალკე ოთახებში მოათავსეს, მდიდრულად მორთული საწოლები გაუშალეს და შიგ ჩააწვინეს. მთელა ღამე დაღლილ-დაქანცულმა მონადირეებმა ღრმა და მოსვენებული ძილით იძინეს.

დილით გაღვიძებულმა მეფე ურიენსმა ნახა, რომ კამელოტში იყო საკუთარი ცოლის ფეა მორგანის მკლავებში. მეფე ურიენსი ყველაზე უფრო იმან გააოცა, როგორ მოხვდა სახლში ის ხომ დაძინებისას კამელოტიდან ორი დღის სავალზე იმყოფებოდა.

როს მეფე ართურმა გაიღვიძა და თვალი აახილა, ნახა, რომ ბნელ საკანში იყო ჩამწყვდილები, მის ირგვლივ კი სასოწარკვეთილ და განწირულ რაინდთა ხმები გაისმოდა.

თავი მუხვიდა

ტავიოტიდან რომ თავი დაიხსნა, როგორ ჩაიხა ორთაბრძოლაში მეფე ართური და როგორ გამოიხსნა კიდეც თავისთან ერთად დატყვევებული ოცი რაინდი

— ვინა ხართ, რას გოდებთ და ვავალებთ? — იკითხა მეფე ართურმა.

— ჩვენ აქ ოცი დატყვევებული რაინდი ვსხედვართ, ზოგიერთი რვა წელზე მეტია, ამ ყოფაშია, — ზოგი მეტიც, აღსასრულს ველოდებით, მეტი რა დაგვრჩენია.

— მიზეზი თქვენი ტყვეობისა? — იკითხა მეფემ.

— ყოველივეს წვრილად გაიმბობთ, — უპასუხეს რაინდებმა.

ამ ციხე-კოშკის პატრონი სერ დამასი გახლავთ, კაცი ლიზლი, რაინდთა შორის უფლიდესი, მოღალატე და თან კურდღელივით მხდალი-ლაჩარი. დამასს ერთი უმცროსი ძმა ჰყავს — სერ ოუტლეიკი. სახელოვანი და მამაცი რაინდი. უფროსი ძმა — მოღალატე დამასი მის კუთვნილ მიწებს თვითონ დაეპატრონა. ძმას მფლობელობაში წილი არ ჩაუდო და ასე სჯის: მაგისი მხოლოდ ის იქნება, რასაც თავისი მარჯვენიტ მოინაგრებსო. სერ ოუტლეიკს თავისი მტკიცე მარ-

ჩვენის წყალობით მდიდარი და მშვენიერი მამული უბყრია. იქ ცხოვრობს იგი მორკმული და სამართლიანი, კაცი სათნო და კეთილი, ყველასაგან სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი. ჩვენი მბრძანებელი სერ დამასი კი, როგორც აღრევე გითხარით, ყველასაგან მოძულეებული, უმადური და ლაჩარი გახლავთ. ძმებს შორის თავიდანვე მუდმივი ქიშპი, მტრობა და ბრძოლაა ჩამოკარდნილი. ამ ბრძოლაში ბედის სასწორი მუდამ მამაცი ოუტლეიკის მხარეს იხრება. იგი ორთაბრძოლაში იწვევს თავის ღვიძლ ძმას, მაგრამ მხდალი მამაცს ბრძოლაში როგორ გაპყვება. მაშინ ოუტლეიკმა შესთავაზა, შენს მაგიერ, ვინც შენთვის თავს გამოიდებს, იმ რაინდს შევებრძოლებიო. სერ დამასმა ყოვლისმონწყალედ ბრძანა და მას მეტე ეძებენ რაინდს, ვინც მის მაგიერ ოუტლეიკს შეებრძოლება. მაგრამ ისეთი ბოროტი. ავი, საძულველი ადამიანის გამო, როგორც სერ დამასი გახლავთ, განა იბრძოლებს ვინმე?

— როს სერ დამასი დარწმუნდა, ჩემი გულისათვის არც ერთი რაინდი არ იბრძოლებსო, თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული ხალხი და მათი დახმარებითა და შექმნობით, მთელი ქვეყნის რაინდებს, ვინც კი ხელთ ჩაუვარდება, განურჩევლად აპატამრებს. ასეთი ძალმომრეობით ჩაყარა მრავალი რაინდი ციხეში. ასეთივე ბედი გვეწვია ჩვენც, ფათერაკებისა და თავგადასაღლების მამებართ. აქ ტყვეობაში ბევრნი გამოეთხოვნენ თვალის ჩინსა და შიმშილით ამოსძვრათ სული. ჭერჭერობით თვრამეტი კაცი დაიღუპა, რომელიმე ჩვენგანს, ან ჩვენზე აღრე ჩვენს ბედში მყოფს, რომ თავი გამოედო და მის ძმას ოუტლეიკს — შეებრძოლებოდა, იგი ყველა ტყვეს თავისუფლებას მოგვანიჭებდა, მაგრამ ლიზდი, ბოროტი და ვერაგი კაცის გულისათვის ორთაბრძოლაზე ყველამ უარი თქვა, შიმშილით სიკვდილის საფრთხეც კი არად მივიჩნიეთ და მილასლასებულნი ფეხზე ძლივსლა ვდგავართ.

— სამაგიეროს ყოვლად მონწყალე მოგაგებთ უმალო!

უცებ საკანში ვილაც ქალიშვილი შემოიჭრა და პირდაპირ მეფე ართურს მიმართა:

— როგორ ცხოვრობთ, მეფევ ბატონო?

— მაგ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემო, — უპასუხა მეფემ.

— სერ, — წამოიწყო ქალიშვილმა საუბარი, — თუ თქვენ ჩემი ბატონის, გულისათვის იბრძოლებთ, ტყვეობიდან დაუყოვნებლივ გაგათავისუფლებენ, აუ არადა, აქედან ცოცხალი ვერ ვააღწევთ.

— მძიმე საქმეა, — თქვა მეფე ართურმა, — მაგრამ ტყვეობაში სიკვდილს მაინც რაინდთან შეებრძოლება სჯობს, მით უმეტეს, თუ ჩემთან ერთად ამ საწყალებსაც ვანსაცდელისაგან დავიხსნი.

— ძალიან კარგი, — წარმოთქვა ქალიშვილმა.

— მაშ, ცხენისა და საჭურველის გარდა სხვა აღარაფერია საჭირო, — უთხრა მეფემ.

— არაფერი მოგაკლდებათ, რაც ბრძოლაში იქნება საჭირო, — უთხრა ქალიშვილმა.

— მგონი, მეფე ართურის კარზე მინახიხართ, — უთხრა ქალიშვილს მეფემ.

— არა, მე იქ არასოდეს ვყოფილვარ, მე ამ ციხე-დარბაზის პატრონის ქალიშვილი ვახლავართ.

ქალიშვილმა იცრუა. იგი ფეა მორგანის ერთ-ერთი პირისფარეშთაგანი იყო.

ქალწული წავიდა და სერ დამასს უთხრა, ართური მზადაა თქვენს მაგიერ თქვენი ძმის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ჩაებასო. სერ დამასმა ართური თავისთან იხმო. როცა ტანად და პირად მშვენიერი ართური სერ დამასსა და მის ახლობელთ წარუდგა, ყველამ ერთხმად აღიარა, ასეთი მშვენიერება რაინდის ბნელ საკანში შემშლილ სიკვდილი საცოდაობა იქნებოდა. სერ დამასი და ართური შეათხმდნენ, რომ ორთაბრძოლა დანარჩენ ტყვეებსაც თავისუფლებას მიანიჭებდა. მერე ერთმანეთს დათქმულ პირობაზე ფიცი მისცეს. მეომე ის ყო, ოცივე რაინდი ბნელი საკნიდან მალლა აიყვანეს და სერ დამასმა ისინი გაათავისუფლა. არც ერთ რაინდს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, ყველანი მომავალი ორთაბრძოლის საცქერად დარჩნენ.

თავი მხრვი

აქა ამავენი თუ როგორ აღმოჩნდა აკოლონი წყლის პირას და როგორ აღმართა მახვილი მთვე ართურის წინააღმდეგ

ახლა კი ისევ წამოწყებულ ამბავს მივუბრუნდეთ. აკოლონი გალიელმა გაიღვიძა თუ არა, ნახა, რომ ძალიან ღრმა ჭიდან სულ ნახევარი ფუტის დაშორებით იწვა და მის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ჭის სიღრმიდან ვერცხლის მილი მოემართებოდა, იმ მილიდან შადრევანი კარგა მალლა ჩქეფდა და მარმარილოს აუზში იღვრებოდა. როს აკოლონმა ეს სურათი იხილა, პირჯვარი გადაიწერა და იესოს სახელზე წარსთქვა: „ყოვლად სახიერო! გადამირჩინე ჩემი მეფენი ართური და ურიენსი, რაკილა გემში მსხდომარე ქალები მოლაღატენი აღმოჩნდნენ, ისინი ქალები კი არა, ეშმაკეულნი ყოფილან. თუ ამ უბედურ განსაცდელს თავი დავალწიე, ყოველ მათგანს სასტიკად დავსჯი, მოვსპობ. ისინი ხომ თავიანთ სილამაზესა და ხიბლს სხვათა დასალუბადა და ავად იხმარენ“. სწორედ იმ დროს გამოეცხადა აკოლონს ლაშებმოხეული და ცხვირბრტყელა ქონდრის კაცი, მიესალმა და აუწყა, ფეა მორგანისგან მოვდივარო. „ფეა მორგანმა გულთბილად მოგიკითხათ, მისი სურვილია, გული გაიმამაცუროთ, რადგან ხვალ ალიონზე ერთ რაინდთან შერკინება მოგიწევთ. სწორედ ამიტომ ჩემი ხელით გაახლათ მეფე ართურის ძვირფასი ხმალი ექსკალიბური ქარქაშიანად, თავისი სიყვარული დაგაფიცათ, და შემოგევედრათ იმ რაინდთან ორთაბრძოლაში იყო დაუნდობელი, როგორც ბოლო შეხვედრისას შეთანხმებულხართ. იმ ქალწულს კი, ვინც თქვენთან მებრძოლი რაინდის თავს და ფეა მორგანს მიართმევს, დედოფალად ვაქცევო, აოგითქვათ.“

— ყველაფერს მიგიხვდით და ყოველივეს შევიძლებ, რასაც ფეა მორგანს შევპირდი, რაკი ეს ხმალი ხელთა მაქვს, — უთხრა აკოლონმა ჯუჯას — მხოლოდ ეს მინდა გკითხოთ, ჩემო ძვირფასო სერ, უკანასკნელად როდის იხილეთ ჩემი ქალბატონი?

— სწორედ ახლა მისგან გეახელით, — უთხრა ქონდრის კაცმა.

აკოლონმა ხელები შემოჭხვიაა ჯუჯას და უთხრა: ჩემი მდაბალი სალამი გადაეცი ჩემს ქალბატონს და მოახსენე, ან ბრძოლაში დავიღუპები, ან რასაც შევპირდი, აღვასრულებ. დარწმუნებული ვარ, ჩემი გულის მეუფემ ჯადო და თილისმა არ დაიშურა, რათა ხვალინდელი ბრძოლა მოვიგო.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სწორედ აგრე გახლავთ, სერ
 ამ დროს ექვსი საჭურველთმტვირთველის თანხლებით რაინდი და ქალ-
 ბატონი გამოჩნდნენ, აკოლონს მიესალმნენ და სთხოვეს, პატივი დაგვდეთ,
 ჩვენთან ერთად წამობრძანდით და ჩვენს ციხე-კოშკში მოისვენეთო. აკოლონი
 ცხენს მოახტა, რაინდსა და მის ქალბატონს მონასტერთან სიანლოვეს მდგარ
 მშვენიერ ციხე-კოშკში გაჰყვა, სადაც მეტად კარგად უმასპინძლეს.

ამასობაში სერ დამასმა თავის ძმა ოუტლეიკს მაცნე აახლა და შეუთვალა,
 ვამთენიისას ორთაბრძოლაში ჩასაბმელად მზად იყავი, რაკილა შენთან საასპა-
 რეზოდ ისეთი რაინდი გამოვძებნე, რომელიც ყველა წესების დაცვით იბრძოლებ-
 სო. ამ ამბავმა ოუტლეიკი ძალზე დაანაღვლიანა, რადგან სულ ცოტა ხნის
 წინ მისთვის ორივე ბარძაყი ლახვრით გაეგმირათ, თუმცაღა დაჭრილმა ურყე-
 ვად განაცხადა, მაინც ავმხედრდები და ვიბრძოლებო.

ლი ფეა მორგანის ჯადოს წყალობით ისე მოხდა, რომ აკოლონი და ოუტ-
 ლეიკი ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდნენ. როცა სერ აკოლონმა ორთაბრძოლისა და
 ოუტლეიკის ჭრილობების ამბავი შეიტყო, გულწრფელად განაცხადა, ოუტლეი-
 კის მაგიერ ზვალ ვამთენიისას მე ვიბრძოლებ, რადგან ლი ფეა მორგანმა ხმა-
 ლი ექსკალიბური ქარქაშიანად სწორედ მაგიტომ გამომიგზავნაო. ეს გახლდათ
 ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, თუ რატომ გამოიდო თავი სერ აკოლონმა და სხვის
 მაგიერ ჩაება ორთაბრძოლაში. უზომოდ გახარებული სერ ოუტლეიკი კი მად-
 ლობის თქმას ველარ აუდიოდა. ასეთმა თავგამოდებამ და თანადგომამ იგი სუ-
 ლით ხორცამდე შეძრა. მერმე თავის ძმას, სერ დამასს მაცნე გაუგზავნა და
 შეუთვალა, ზვალ ალიონზე, ბრძოლის ველზე საასპარეზოდ გამოსასვლელად
 რაინდი მზად მყავსო.

ვამთენიიას მეფე ართური შეიჭურვა, შესანიშნავ ბედაურზე შეჯდა და
 სერ დამასს შეეხმიანა: — როდისღა გავეშუროთ ბრძოლის ველისაკენ?

— ჯერ ხომ წირვაზეც არ ვყოფილვართ, — უპასუხა სერ დამასმა.

წირვა მოისმინეს, გარეთ გავიდნენ თუ არა, უზარმაზარ ცხენზე მჯდარი
 მხედარი სერ დამასს მიეახლა და ჰკითხა: თქვენი რაინდი მზად არის თუ არა
 საბრძოლველად. ჩვენი ბრძოლის ველი ელოდებო. მეფე ართური ცხენს
 მოახტა. თითქმის იმ ქვეყნის ყველა რაინდსა და უბრალო ხალხს იქ, ბრძო-
 ლის ველზე მოეყარათ თავი. მათი წანადადებითა და თანხმობით, ასპარეზობის
 ნთავარ მსაჯულებად თორმეტი რჩეული დაასახელეს.

როგორც კი ართურ მეფე საასპარეზოდ გამოვიდა, ლი ფეა მორგანის გა-
 მოგზავნილი ქალიშვილი მიეახლა, ექსკალიბურის ტყუპის ცალი ხმალი ქარქა-
 შიანად მიართვა მეფეს და ლი ფეა მორგანის დანაბარები აუწყა. — იგი სიყ-
 ვარულით გიგზავნით თქვენს ხმალს. მეფე ართურმა მხურვალე მადლობა მო-
 ახსენა ქალიშვილს გაწეული სამსახურისათვის. ვაგლახ, რომ არ იცოდა მისი
 თითლიბაზობა, სიცრუე და ორპირობა, რადგან ხმალიცა და ქარქაშიც ყალბი
 მიართვეს.

თავი მესხრა

მუჟა ართურისა და აკოლონის ორთაბრძოლა

რაინდებმა მინდვრის სხვადასხვა მხრისაკენ გაჰქუსლეს, მერმე შემობრუნ-
 დნენ და ერთმანეთისაკენ დაძრეს დაოთხილი ბედაურები. ისინი ერთურთს და-

ეტაკნენ, მომარჯვებული შუბები აძგერეს, ფარები დაუხვრიტეს ერთმანეთს, შუბების ფარებიდან ამოღება ველარ მოასწრეს, ცხენები მხედრებიანად მიწას განერთხნენ. თუმცა იმწამსვე წამოხტნენ და ხმლები იშიშვლეს.

რაინდები ისევ ბრძოლაში იყვნენ გართულნი, როცა ბრძოლის ველზე ის ქალწული ბრძოლის ველზე ართურის სიყვარულმა მოიყვანა, ვეღვან იცოდა, ქალწული ბრძოლის ველზე ართურის სიყვარულმა მოიყვანა, ვეღვან იცოდა, ლი ფეა მორგანმა რომ სასიკვდილოდ გაიმეტა იგი. დიან, ართურის სიცოცხლის გადასარჩენად მოიჭრა იგი ბრძოლის ველზე.

მსპარაზნობელნი კი უწყალოდ სცემდნენ ერთმანეთს ხმალს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მოწინააღმდეგე სასიკვდილოდ დაეშავებინათ. გარნა მეფე ართურს ხმალი თითქოს არ უჭრიდა. აკოლონი კი დაჰკრავდა, დაჰკოდავდა და საოცარი ის იყო, ამდენ ჭრილობამიღებულნი და სისხლდადენილი მეფე ცხენზე თავს როგორღა იმაგრებდა. სისხლი თქრიალით მოსდიოდა სახეზე. როს ართურმა შენიშნა, როგორ გაიყვინთა მიწა მისა საკუთარი სისხლით, შეცბა და შეძრწუნდა. მაშინღა იაზრა, ხომ არ მიღალატეს და ხმალი რომ არ გამომიცივალეს, ექსკალიბური ფოლადს რატომ ძველებურად ვერ ჰკვეთავსო, შეფიქრიანდა და შეშინდა მეფე, ალბათ აღსასრული მესტუმრათ. ისე მოეჩვენა, ექსკალიბური მის მოსისხლე მტერს ეპყრა ხელთ, რაკიღა ყოველ დაკვრაზე სისხლს აღენდა მეფეს.

— აბა, რაინდო, — მიმართა აკოლონმა ართურს. — მიფრთხილდა-მეთქი, მითქვამს! — ართურმა გამომწვევ შეძახილზე არ უპასუხა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ისეთი საშინელი ძალით დაჰკრა მუზარადზე ხმალი, რომ ცოტას გადარჩა, რაინდი მიწაზე არ ჩამოაგდო. სერ აკოლონმა იმარჯვა, დარტყმას გაუძლო, უკან დაიხია, ექსკალიბური მოწინააღმდეგის თავზე შეათამაშა და ისეთის ძალით დაარტყა, ლამის ცხენიდან გადმოაგდო მეფე. მერმე ორივე რაინდი გაფიცხდა ბრძოლაში, ერთმანეთს საშინელი ძალით უტევდნენ და ურტყამდნენ.

მეფე ართურმა ამ ბრძოლაში იმდენი სისხლი დაკარგა, საკვირველი იყო, ცხენზე როგორღა იჯდა. მაგრამ ის ხომ კემმარტი რაინდი იყო, აღსავსე რაინდული სულითა და მხნეობით, ამიტომ იტანდა ალბათ ყოველგვარ ტკივილსა და განსაცდელს. სერ აკოლონს კი წვეთი სისხლი არ დაკარგვია, იგი დაუცხრომელი იყო, სულ ახალი და ახალი ძალით უტევდა. მეფე ართური დასუსტდა, ერთთავად იმას ფიქრობდა, აღსასრული მომიახლოვდაო. თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევდა და შემართებით იბრძოდა. აკოლონს კი ხმალი ექსკალიბური ამხნევებდა და მოწინააღმდეგეს დაუცადებლად ავიწროებდა. ამ ორი რაინდის შერკინების მაცქერალი, ყველა ერთხმად გაიძახოდა ართურზე, ასეთი გამორჩევით მქმნელი და შემმართებელი მებრძოლი არ გვინახავს, ამდენი სისხლი დაკარგა, თითქმის დაიწრიტა სისხლისაგან და მაინც როგორი შეუპოვრობით იბრძვისო. შათი ასპარეზობის მაცქერალთ გულით ეწადათ, ეს ორი რაინდი როგორმე შერიგებულყო. და ერთმანეთი არ ამოეხოცათ.

ასე მრისხანედ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ და გააფთრებით უტევდნენ რაინდები ერთიმეორეს, ვიდრე ართურმა სულმოსათქმელად ოდნავ უკან არ დაიხია. ამის დანახვაზე გულმოცემულმა აკოლონმა შესძახა: „მე შენ ვერ დაგელოდები, ვიდრე შეისვენებდე“. — თქვა ესა და მეფე ართურს მიექრა. ბევრი სისხლის დაკარგვით ისედაც განრისხებულმა ართურმა ხმალი მოუღერა და ისეთი ძალით დაჰკრა მუზარადში, რომ ლამის ცხენიდან ჩამოაგდო. ამ დარ-

ტყმას შედეგად ის მოჰყვა, რომ მეფე ართურს ხმალი გადაუტყდა, მარჯვენაში მხოლოდ ხმლის ვადა შერჩა და გასისხლიანებული ბასრი იარაღი სისხლით მოთხვრილ ბალახებში ჩავარდა. მეფე ართურმა იგრძნო, რომ მის წინ-სიკვდილის ცელი აღიმართა, მაგრამ სულით არ დაცემულა, ნაბიჯი უკან-არ-მოდგამს. უფრო მალლა შემართა ფარი და საფრთხეს გულდაგულ დაუხვდა.

თავი მათა

ამა ამბავი, თუ როგორ გადაუტყდა მეფე ართურს ვადაში ხმალი, როგორ წაართვა სააუთარი ხმალი — მასკალიბურნი აკოლონს და დააპარცხა მოწინააღმდეგე

რაინდმა აკოლონმა სალაპარაკო დრო იშოვა და მოწინააღმდეგეს უთხრა:

— რაინდო! ბრძოლის თავი აღარა გაქვს, ხმალი ვადაში გადაგიტყდა, სისხლიდან იწრიტები, შენი მოკვლა ნამდვილად არ მინდა, მაგრამ თუ არ დამნებდი, იცოდე, კარგი არაფერი მოგელის.

— არა და არა, — შესძახა ართურმა, — საკუთარი თავის წინაშე აღთქმა მქონდა დადებული, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მებრძოლა, მირჩვენია, მოგვკვდე, ვიდრე სირცხვილნაჭამმა ვიცოცხლო. ასჯერ რომ შემძლებოდა სიკვდილი და სიცოცხლესთან გაყრა, ასჯერვე იმას ვამჯობინებდი მოვმკვდარიყავი, ვიდრე შენთვის მეთქვა სიტყვა — გნებდები. მართალია, ხმალი ვადაში გადამიტყდა, მაგრამ ღირსება და პატივი არ დამიკარგავს, თუ უიარაღოს მოჰკლავ, სირცხვილადა და თავმოსაჰკრელად ეგეც გეყოფა.

— შენი ნათქვამი სირცხვილსა და თავის მოჭრაზე ვერ შემაკრთობს და გერც შემაჩერებს. შენი საქმე თითქმის მოთავეებულია.

ამ სიტყვებზე აკოლონმა ისეთი ძალით დაჰკრა მუზარადში ართურს ხმალი, რომ, ცოტას გადარჩა, ცხენიდან მიწაზე არ ჩამოაგდო. აკოლონი მოწინააღმდეგისაგან შეწყალების ვედრებას ამოდ ელოდა. მეფე ართური უფრო გამამაცურდა, შეუტია და თავისის ღარით ისერიგად შეავიწროვა მოწინააღმდეგე და ხმლის ვადა ისეთის ძალით დაჰკრა, რომ აკოლონი დაბარბაცდა და სამი ნაბიჯით უკან დაიხია.

ტბის მფლობელისაგან გამოგზავნილ ქალწულს კი (რა მეფე ართურის ძლიერ სხეულს ჰკიდა თვალი, მისი შემართება და მამაცობა იხილა, მერმე ისიც გაითვალისწინა, რა მდაბალი ღალატის ფასად უნდა განგმირულიყო ასეთი ძლიერი ვაჟკაცი რაინდი) გულით შეებრალა დასაღუბად განწირული. ისევ შემართა აკოლონმა მახვილი, მოწინააღმდეგის გასაგმირად განემზადა, მაგრამ ქალწულის ჯადომ დააბნია იგი და ექსკალიბური ხელიდან გააგდებინა. მეფე ართური ელვის სისწრაფით ჩამოხტა ცხენიდან, ხმალს ხელი დასტაცა და იმწამსვე იგრძნო, რომ მარჯვენაში საკუთარი ხმალი — ექსკალიბური ეპყრა.

— ოჰო, რამდენი ხანია ჩემს ხელთ აღარა ხარ და რამდენი ვნება მომაყენე! — მიმართა მეფემ საკუთარ ხმალს.

მერმე ისიც შეამჩნია მეფემ აკოლონს, რომ გვერდზე ქარქაში ეკიდა. მეყსეულად მიექრა, ქარქაში წელიდან ჩამოგლიჯა, შორს მოისროლა და რაინდს მიმართა: — აი, რა უნდა მოგახსენო, ბატონო რაინდო! დღეს ამ ხმლით თქვენ უდიდესი ვნება მომაყენეთ. ახლა კი ეს ხმალი თქვენ სიკვდილს მოგი-

ტანთ. ვიდრე გავიყრებოდეთ, მინდა უხვად დაგაჯილდოვოთ ისეთივე კრილობებით, ჩემთვის რომ გამოიმეტეთ. თქვენი ხელით დაჭრილ-დასახიჩრებული ვარ, ვევენე, ვეწამე ლამის არის სისხლისაგან ერთიანად დაფიწრიტო.

თქვა ესა, რაინდს მიეჭრა, მოუქნია, დაჭრა, მიწას განაყრდნობდა და ცემულს მუზარადი მოჰხადა, მერმე ბრტყლად ისეთი სიძლიერის დასტყვევება თავეში, რომ რაინდს ცხვირ-პირიდან და ყურებიდან სისხლი წასკდა.

— ახლა კი ბოლოს მოგიღებ, — მიმართა ართურმა.

— მომკალი, შენი ნებაა, — ამოიღულულულა დაჭრილმა, — შენ ყველაზე უკეთესი რაინდი ხარ, ვისთანაც კი მიბრძოლია. იმასაც ვხედავ, ღმერთიც შენკენაა. მაგრამ ალთქმა დავდე, დღევანდელ დღეს სულის ამოსვლამდე უნდა მებრძოლა და ცოცხალი თავით არ უნდა დავენებებულიყავი. ამიტომაც შეწყალეების თაობაზე ჩემს ბაგეს სიტყვა არ დასცდება, მიჯობს, რაც მიწერია, მომივიღეს.

მეფე ართური დააკვირდა დაჭრილს, მოეჩვენა, რომ აღრე სადღაც ენახა და იცნობდა.

— ვიდრე ბოლოს მოგიღებდე, მითხარი, რომელი ქვეყნიდანა ხარ და ვის ემსახურები?

— ბატონო რაინდო, — წამოიწყო აკოლონმა, — მეფე ართურის სასახლის კარის რაინდი გახლავართ და აკოლონ გალიელად მიხმობენ.

სასიკვდილოდ განწირული რაინდის სიტყვებმა უფრო გაამწარა და მოშხამა მეფე. მას იმწამსვე გაახსენდა თავისი და ლი ფეა მორგანი, რომელსაც ექსკალიბური მიანდო, და მოჯადოებული ორჩხომელი.

— გულითა გთხოვთ, ბატონო რაინდო, მითხარით, ეს ხმალი ვინ მოგცათ და ვისი ხელიდან მიიღეთ?

თავი მეთერთმეტე

როგორ აღიარა აკოლონმა მეფის დის ღალატის ამბავი, რომელსაც სააღთარის მის, ართურის სიკვდილი ეწადა

ყურჩამოყრილმა აკოლონმა თავის თავს ძალა დაატანა და, თითქოს გაიხსენაო, ისე თქვა: — წყეულიმც იყოს ეგ ხმალი, მაგით მე სიკვდილი მოვიმკე.

— რასაც დასთეს, ის უნდა მოიმკო, ჩემო კარგო.

— ახლა მომისმინეთ, სერ, და ყველაფერს წვრილად გიამბობთ. ეგ ხმალი ნახევარ წელზე მეტია, რაც ჩემთან ინახება. გუშინ მეფე ურიენსის ცოლმა ფეა მორგანმა ეგ ბასრი იარაღი ჯუჯა მსახურის ხელით გამომიგზავნა, რათა მისი ძმა მეფე ართური მომეკლა. მისი სისხლითა და ხორციტ ნათესავეებში ხომ მეფე ართურზე უმამაცესი და კეთილშობილი ბუნებისა არავინაა. სწორედ ამიტომ შეიზიზღა იგი საკუთარმა დამ და მასზე მეტად ამ ქვეყანაზე არც არავინა სძულს, მე კი სიცოცხლეზე მეტად შემიტკბო, დამიახლოვა და შემიყვარა. სამაგიეროდ, მეც უსაზღვროდ მიყვარს იგი. თუ თვალთმაქცობითა და ეშმაკობით ან სხვა რამ ხრიკით ფეა მორგანი მოახერხებდა და ართურს მოკლავდა, ქმარს, მეფე ურიენსს, უფრო იოლად გაისტუმრებდა მოუსაველეთში. მერმე ტახტზე თავის გულის რჩეულს, მე, დამსვამდა და თვითონ, ვითარცა დედოფალი,

გვერდს დაამშვენებდა. ახლა კი ყველაფერი ეგ ზღაპარსა ჰგავს, რადგან კარგად ვხედავ, აღსასრული მომიახლოვდა და სიკვდილი აღარ მაცდის.

— შენი მონათხრობი კარგად ამტკიცებს, რომ ამა ქვეყნის მეფობა გულით გეწადა, მაგრამ ხელმწიფის მოკვლა ხომ დიდი ცოდვაა.

— სრული ჭეშმარიტება გახლავთ, — თქვა აკოლონმა, — მისწავლინის წინ სიმართლე გაგანდეთ, ახლა კი თქვენა თქვით, ვინა ხართ და რომელი კარის რაინდი ბრძანდებით.

— თვითონ მეფე ართური ვარ, ვისაც შენ დიდი ვნება მიაგე, დააშავე და დააზიანე.

ამის გაგონებაზე აკოლონმა იყვირა: — შემინდე, ძვირფასო და კეთილშობილო ბატონო მეფე! შემინდე და მაპატიე, რამეთუ ვერ გიცანი.

— შენდობით კი შეგინდობ, ჩემო ბატონო, რაინდო აკოლონ, რამეთუ შენი ნათქვამიდან მივხვდი, მართლაც ვერ შემიცანი, გარნა შენი ბაგიდან შევიტყვე. რომ ჩემ წინააღმდეგ ხელი აღმართე, რაკი ჩემი მოკვლის განზრახვა აღსასრულებლად შენ მოგანდეს და შენც დასთანხმდი. ეგ კი ფიცის გატება და დალატია. შენს დანაშაულს ჩემი დის წაქეზება, ჯადო-თილისმა და ხრიკები ანელებს და იძულებულს მხდის, ავკაცობისთვის ნაკლებად გაგკიცხო. მაშ, ფეა მორგანმა საკუთარი ბილწი გულისთქმა განდო და შენც დასთანხმდი. სანაცვლოს ისეთს მივაგებ და ესე მწარედ გადავუხდი, რომ მთელი საქრისტიანო ავალაპარაკო, ღმერთმა ხომ იცის, მთელ საგვარეულოში გამორჩევით მიყვარდა და ყველაზე მეტად ვაფასებდი; ჩემს თანამეცხედრეზე და სხვა ახლობლებზე მეტად მაგას ვენდობოდი.

მეფე ართურმა მზირნი იხმო და უთხრა: — ბატონებო, ახლოს მოდექით, აი, თქვენ წინ ორი რაინდი ვართ, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო შევებით ერთუროს და ლამის სული ამოვხადეთ. ერთმანეთი რომ გვეცნო, არც ეს ორთაბრძოლა მოხდებოდა არც ბასრი ხმლებით მიყენებული ჭრილობები იქნებოდა.

უცებ აკოლონ გალიელმა მთელი ხმით იყვირა:

— ლორდებო! რაინდი, ვისაც მე ვებრძოდი, მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო ღირსეული და კეთილშობილი გახლავთ, რადგან იგი თვითონ მეფე ართურია, ლორდთა შორის ყველაზე მალალ საფეხურზე მდგომი და უპირველესი. მე უბედური კი, ჩემდა ჭირად, ორთაბრძოლაში ჩემს მეფესა და უზენაეს ბრძანებელს შევები, მე საცოდავს ხომ მისი მორჩილება და ქვეშევრდომობა მმართებდა!

თავი მეთორმეტე

როგორ შეაკრიბა მეფე ართურმა ორი ქმა და ბაათავისუფლა ოცი რაინდი, როგორ მოკვდა სარ აკოლონი

როგორც კი ყური მოჰკრეს, აკოლონთან მებრძოლი რაინდი მეფე ართური ყოფილაო; ყველანი მუხლებზე დაემხნენ და შეწყალება ითხოვეს. შეწყალებით კი შეგიწყალებთ, — უთხრა მეფე ართურმა, — მაგრამ ერთი რამ მინდა გულისხმაპყოთ. თქვენი თვალით იხილეთ, რა მოულოდნელი, ხიფათიანი თავგადასავალი შეიძლება გადახდეს თავს მოხეტიალე რაინდს, როგორ შევები საკუთარ რაინდს და ორივენი როგორ დავიკერით და დავზარალდით. ბა-

ტონებო, ჩვენი ჭრილობები საკმაოდ მძიმეა, ორთავეს კარგი მკურნალობა, მოსვენება და სიმშვიდე გვჭირია, რის გამოც მოდავე ძმებს შუა თათარიხნად ასეთი სამართალი უნდა გავაჩინოთ:

— შენ, სერ დამას, ვისთვისაც თავი გამოვიდე, ვებრძოლები კვევიმარჯვე, ასეთი განაჩენი უნდა გამოგიტანო. ხალხს შენ ავგულა, თავგასულ, ბოროტმოქმედ, საკუთარი ძალგულოვნებისა და მებრძოლური შემართების არა მქონედ მიაჩნებარ. ამიტომ შენი საკუთარი ძმის სასარგებლოდ გართმევ მამულს, ჩინსა და ყოველგვარ ნაბოძებ ღირსებას. ერთი კია, შენს ძმას დაევალება ყოველწლიურად გამოგიზარდოს საჯდომი ცხენი და არა ტაიჭი და ბედაური. შენ საჯდომი ცხენი უფრო შეგეფერება. კიდევ ერთს გავალებ, სერ დამას, არც ერთ მოხეტიალე რაინდს ბუზს არ აუფრენ და ვნებას არ მიაყენებ, თორემ სიკვდილი არ აგცდება. იმ ოც რაინდს კი, რომლებიც ბნელ დილეგში დაამწყვდიე და გამოჰკეტე, ყოველივეს უკლებლივ აუნაზღაურებ და აქედან სრულიად კმაყოფილთ გაუშვებ. ერთი მათგანიც რომ მეახლოს სასახლეში და შენზე საყვედური დასცდეს, თავს ვფიცავ, სიკვდილი არ აგცდება. თქვენ კი, ოუტლეიკა, ხალხში სახელი და დიდება არ გაკლიათ, ყველანი ერთხმად გაქებენ და გადიდებენ, კეთილშობილ, ერთგულ და შემმართველ მებრძოლად გთვლიან, სასახლეში გვეახელი და ჩემს რაინდთა შორის ჩაგრიცხავ, ხოლო, თუ ღვთის წყალობით, თქვენი საქმენი ჩვენს წესრიგს შეესატყვისა და მიესადაგა, განგებას ვფიცავ, წყალობით აგავსებთ და თქვენს ძმაზე უკეთესად იცხოვრებთ.

— ღმერთმა მოგაგოთ სანაცვლო თქვენი გულმოწყალების, სიკეთისა და უშურველობისათვის. ამიერიდან ყოველ წამს თქვენს სამსახურად მზად მყოფი მიგულვეთ, მეფევ. ახლა კი, განგების ნებით, ორსავ თედოში დაჭრილი გახლავარ და თავს უნდა მივხედო.

— განგების ნება რომ მართლაც ისეთი ყოფილიყო, როგორც თქვენა თქვით, ჩემი ჭრილობებიც ნაკლებად მძიმე იქნებოდა. ჩემი ხმლით რომ მებრძოლა, მოწინააღმდეგეს უფრო იოლად დავამარცხებდი. ლალატმა და შურმა იგი სხვას ჩაუგდო ხელში. მოლალატეთ პირი შეუკრავთ ჩემ წინააღმდეგ. საშველად ჯადო-თილასმაც მოუხმიათ და ეს ორთაბრძოლა წინასწარი განზრახვით ჩემს დასაღუბად დაუგეგმავთ.

— ძალზე სამწუხარო და სავაგლახო ისაა, — წამოიწყო ოუტლეიკმა, — რომ ისეთ კეთილშობილ და თავისი რაინდული შემართებითა და სიმამაცით სახელგანთქმულ კაცს მაინცა ჰყავს ქალთა და კაცთა წრეში თავისი მოწინააღმდეგენი, ისინი, ვინაც თავიანთ გულებში ლალატის თესლს ახარებენ.

— მე მათ სამაგიეროს მალე მივუზღავ, — თქვა ართურმა, — ახლა მხოლოდ ის მომახსენეთ, აქედან კამელოტამდე რა მანძილია?

— კამელოტი ორი დღის სავალზეა.

— მანამდე იქნებ სადმე ჭრილობები მომეშუშებინა, ჯანი აღმედგინა და დამესვენა.

— სერ, — მიმართა მეფეს ოუტლეიკმა, — აქედან სამი მილის სავალზე ერთი ქალთა მდიდრული მონასტერი გახლავთ, თქვენს წინაპართაგან აღმენებულ-დამშვენებული.

მეფე შემოკრებილთ დაემშვიდობა, ცხენზე შეჯდა და მხლებლებთან ერთად გეზი მონასტრისაკენ აიღო, აკოლონიც უკან დაედევნა.

მონასტერში მისულმა მეფემ მკურნალი მოითხოვა, რათა მისი და აკო-

ლონის ჭრილობები ენახათ და მალამო-წამლები არ მოეკლოთ. სისხლისაგან დაწრეტილმა აკოლონმა ოთხი დღე იცოცხლა და მერე სული უფაღს მიიბარა. მეფე ართური კი მთლიანად გამოჯანსაღდა. მიცვალებულის გვამი, მეფის ბრძანებით, ოთხთვალას დაუდეს და ექვსი რაინდის თანხლებით ლოტში გაგზავნეს. მეფის განკარგულებით რაინდებს გვამი მძიმე ჭრილობებით მორგანისათვის უნდა მიერთმიათ საჩუქრად. სიტყვიერად კი მეფე ართურმა საკუთარ დას ასე შეუთვალა:

„ექსკალიბური ქარქაშიანად ჩემს ხელთაა“.

ისინი გაემგზავრნენ და წაიღეს აკოლონის ცხედარი.

თავი მეთექვსმეტი

როგორ უნდოდა ლი ფეა მორგანს თავისი ძმის მისი ურინის მოკვლა და როგორ იხსნა მხოლოდ მათა განსაცდელისაგან სარ ივეინმა

რაკილა სასწაულმოქმედი ხმალი ექსკალიბური თავის საყვარელს სერ აკოლონს გაუგზავნა, ფეა მორგანმა იფიქრა, ჩემი ძმა ართური ალბათ ცოცხლებში აღარ წერიაო. ერთ მშვენიერ დღეს დედოფალმა მეფე ურინის თავის საწოლში მოსვენებით მძინარი იხილა, იმწამსვე განდობილ მოახლეს უხმო და უთხრა: — ახლავე გასწი და ჩემი ქმრის ხმალი აქ მომიტანე. ამაზე უფრო კარგ დროს მის სულის ამოსახდელად მე ვეღარ ვიშოვი.

— მაგას კი მოჰკლავთ, დედოფალო, მაგრამ სანაცვლო შურისგებას ვერსად წაუხვალთ, — გააფრთხილა მოახლე გოგომ.

— შენ არავინ გეკითხება, რას რა მოჰყვება. ნამდვილად ამაზედ კარგი დრო და მეყი ამ საქმის აღსასრულებლად აღარ დამიდგება, გასწი და ახლავე ჩემი ქმრის ხმალი აქ მომიტანე!

მოახლე გოგო ვითომ დავალებია შესასრულებლად ჰაიპარად გაილალა. სინამდვილეში მეფის ძის სერ ივეინის საწოლ ოთახისაკენ გაიქცა. იგი ლოგინში მძინარე ნახა, გააღვიძა და უთხრა:

— წამოდექით და ჩემს დედოფალს, დედათქვენს, იქნებ როგორმე განზრახულის შესრულებაში ხელი შეუშალოთ, რადგან ალესილი ხმლის მოტანა მიბრძანა, რითაც მძინარე მეუღლის მოკვლა სწადია.

— ხმალი მიუტანე და დანარჩენი მე დამაცადე, — უთხრა მოახლეს სერ ივეინმა.

მალე მოახლემ მოცახცახე ხელებით ხმალი მიუტანა დედოფალს. ლი ფეა მორგანმა, თითქოს ხელთ რაიმე სათამაშო იპყრაო, ისე უღარდელად ჩამოართვა სიკვდილის იარაღი მოახლეს, ხმალი გააშიშვლა, გაბედულად მიეახლა მძინარე ქმრის საწოლს, და იმას არჩევანში იყო, სად და როგორ დაეკრა ხმალი, რომ მსხვერპლისათვის ბოლო იმწამსვე მოეღო. ქალმა არჩევანი მოახდინა, ხმალი აღმართა და ის იყო უნდა დაეკრა, რომ სერ ივეინი მიეჭრა, მაჯაში სტაცა ხელი, ხმალი ჩამოართვა და უთხრა:

— ბოროტო სულო! რას სჩადი? ჩემი მშობელი დედა რომ არ იყო, აი, ამ ხმლით შენ თვითონ წაგაცლიდი მაგ თავს! ამბობენ, მერლინი ბოროტი სული-საგან იშვაო, იმისი არ ვიცი, მაგრამ კარგადა ვხედავ, მე ნამდვილად ბოროტი დიაცისაგან ვარ ნაშობი.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო შვილო, ივეინ! შემინდე და შემიწყალე! ეშმაკმა მაცთუნა და სწორედ ამიტომ გვედრი შემინდო და შემიწყალო. ცუდ განზრახვას გულში აღარ გავივლებ, ნამუსი შემინახე, ჩემი ღირსება დაიცავი და ნუ გამცემ.

— იმ პირობით ვაპატიებ, შეგინდობ და შეგიწყალებ, თუ ლალატი ზურგში მახვილის დაცემას გულში აღარ გაივლებ.

— გარწმუნებ, შვილო ჩემო! ეს აღარასოდეს არ განმეორდება.

თაზი მათოთხვაბა

როგორ მზარად გამოიგლოვა დედოფალმა ფეა მორგანმა აკოლონი და როგორი ცდუნებით იბდო ხალთ მასაალიბურის ძარძაში

ფეა მორგანამდეც მოაღწია ამბავმა, აკოლონი მოკლეს, მისი ცხედარი საყდარში ასვენია, ხოლო ექსკალიბური ისევ პატრონს დაუბრუნდაო. საყვარლის სიკვდილმა დედოფალს ლამის გული გაუპო, მაგრამ შუბი ხალთაში დამალა და ძეხორციელს არ შეამჩნევინა თავისი მწუხარება. ფეა მორგანმა კარგად უწყოდა, ვარამი თუნდაც ღრმად ჩაემარხა გულში, მისი ძმა მეფე ართური რომ დაბრუნდებოდა სასახლეში, ველარც თვალთმაქცობა უშველიდა და ველარც ოქროს გამოსასყიდი, ხიფათი გარდუვალი შეიქნებოდა.

ფეა მორგანი დედოფალ გვინივერასთან მივიდა და თავის ქვეყანაში წასვლის ნება გამოითხოვა.

— თქვენს ძმას დალოდებოდით, მე მგონია, ასე აჯობებდა, — უთხრა დედოფალმა.

— ნამდვილად აღარ შემიძლია დაყოვნება, დედოფალო, ისეთი საჩქაროდ გადასაწყვეტი ამბები შემატყობინეს.

— რაკი აგრეა, როდესაც გენებოთ, მაშინ წაბრძანდით.

დილაუთენია ფეა მორგანი ცხენზე შეჯდა, მთელი დღე და ღამე თითქმის შეუსვენებლივ იარა და მეორე დღეს, მზე რომ შუბისტარზე იდგა, იმ მონასტრის სანახებს მიადგა, სადაც მისი ძმა მეფე ართური იმყოფებოდა. ფეამ თუმცა კარგად უწყოდა ძმის სამყოფელი ადგილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცხენზე მჯდარმა მაინც იკითხა, ჩემი ძმა მეფე ართური სად არისო. სამი ღამეა წესიერად არ უძინია და მოღლილ-მოქანცულს თავის საწოლში სძინავს, — უპასუხეს მსახურმა ქალებმა.

— გაფრთხილებთ, ძილი არ დაუფრთხოთ, ვიდრე თვითონ არ მოვისურვებ მის გაღვიძებას.

ფეა მორგანი ცხენიდან ჩამოხტა, გულში ავი განზრახვა ედო, ექსკალიბურის ისევ ხელში ჩაგდება ეწადა. მან პირდაპირ ძმის სამყოფელისაკენ აილოგეზი. წინ გადადგომა და წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაუბედა. ხელშეწყობის საწოლ ოთახში შესულმა ფეა მორგანმა ნახა, რომ მეფე ართური ღრმა ძილში იყო, გაშიშვლებული ხმალი ექსკალიბური კი მარჯვენა ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული. ქალი მიხვდა, მისი ძმა ისე მტკიცედ ჩასკიდებოდა ვადაში ექსკალიბურს, რომ წმლის შეუმჩნევლად ხელიდან გამოცლა ძეხორციელს არ შეეძლო; იგი შეაძრწუნა იმის გაფიქრებამაც კი, რომ თუ იგი ხმალს დაეჯაჯგურებოდა, შეიძლებოდა მეფე ართურს გამოღვიძებოდა და მაშინ ფეა მორგანი

წირვაგამოსული იყო. ეშმაკმა ქალმა ხმლის ქარქაშს წამოავლო ხელი, გარეთ გამოვარდა, ცხენს მოახტა და გაუჩინარდა.

როს მეფემ გაიღვიძა, ქარქაში მოისაკლისა, განრისხებულმა იკითხა, რა იქნა, მიწამ უყო პირი თუ ცამ ჩაყლაპა, აქ ჩემს საწოლში თუ შეძრწინდა ვინმე და ქარქაში აწაპნესო. მსახურმა ქალებმა უპასუხეს:—თქვენი და, დედოფალი ფეა მორგანი იყო თქვენს საწოლ ოთახში, ექსკალიბურის ქარქაში წამოსახამის ქვეშ დამალა, ცხენს მოახტა და გაუჩინარდაო.

— ვაი, რა ცუდად ემსახურებით და უვლით თქვენს მეფეს, — ამოიგმინა ართურმა.

— ბატონო მეფევ! თქვენს დას ვერ გავუბედეთ წინ გადალობება.

— აბა, ცოცხლად მომგვარეთ ბედაური, ტაიჭი ან ფრთოსანი რაში, ოუტლეიკმა სასწრაფოდ აისხას იარალი, ამხედრდეს და უკან გამოყვეს.

მეფე ართური და ოუტლეიკი შეიარაღდნენ, დარჩეულ ცხენებზე შესდნენ და ფეა მორგანს კვალში ჩაუდგნენ. გზაჯვარედინს რომ მიაღწიეს, მეძროხეს გადაეყარნენ და ჰკითხეს, ამ არემარეში ვინმე მხედარი ქალბატონისათვის ივალა ხომ არ მოგიკრავსო.

— სერ, — უპასუხა საწყალმა მეძროხემ. — სწორედ ახლა ჩამიკროლა წინ ვიღაც მხედარმა ლედიმ, თან ორმოცი ცხენოსანი ახლდა. ისინი სულ ახლახან მიეფარნენ თვალს. აი, იმ ტყისაკენ მიჰკროდნენ.

მეფე ართურმა და ოუტლეიკმა ცხენები კიდევ უფრო ააჩქარეს. მალე მეფე ართურმა თავის დას ჰკიდა თვალი. სადავე სულ მთლად მიუშვა, ცხენს დეზები უთავაზა და მერანიც გაფრინდა. ფეა მორგანმა მდევრები დალანდა, ტყეში შევარდა და მინდორზე გაიჭრა. მერმე ისიც შენიშნა, რომ მდევარს თავს ვერ დააღწევდა. ტბის ნაპირას მიაგდო ცხენი და ბოლმიანად წამოიძახა: — რაც უნდა მომივიდეს, ექსკალიბურის ქარქაშს ჩემი ძმა ხელში ვეღარ მოიგდებს! — თქვა ეს სიტყვები, ქარქაში მოიქნია და ტბაში გადაისროლა. ქარქაში იმწამსვე ჩაიძირა, რაკი ოქროთი იყო შეჭედილი და ძვირფასი ქვებით დამშვენებული. დედოფალი კი წინ გაიჭრა, უზარმაზარი ლოდებით მოფენილ ველს მიაღწია. და როცა ნახა, მდევრები მეწევიანო, ცხენიანად, თავის თავიცა და ორმოცივე მხედარიც უტყვ ქვებად აქცია.

როს მეფე ართური და ოუტლეიკი ისევ მიუახლოვდნენ ლტოლვილთ, რომ აღამიანთა გარჩევა და ცნობა შეეძლოთ, მათ თვალწინ გაქვავებული მხედრები აღიმართნენ. — აი, ხედავ, როგორი ღვთის რისხვა დასტყდომიათ თავს. — თქვა მეფემ, — ძალიან ვწუხვარ, რომ ყოველივე ასე დასრულდა. მერმე კარგა ხანს ეძია ექსკალიბურის ქარქაში, მაგრამ ამოდ დაშვრა. დანადგლიანებულმა მეფემ ცხენი ისევ საქალებო მონასტრისაკენ მიაბრუნა და გაქუსლა. როგორც კი მეფე და რაინდი ოუტლეიკი თვალს მიეფარნენ, ფეა მორგანმა თავისი ჯადო-თილისმით საკუთარი თავიცა და მხლებელნიც ისევ გააცოცხლა და ასე უთხრა:

თავი მათხოთავა



როგორ დაიხსნა ფეა მორგანმა რაინდი, მისი წყალში ჩახრჩობაც მწაფათ. როგორ დაბრუნდა შინ მფე ართური ერეკუნეული ზიზღიქითა

— ბატონებო! ახლა კი, საითაც მოგვესურება, ოთხივე კუთხით შეგვიძლია წავიდეთ, — მიმართა ფეა მორგანმა თავისიანებს, — ჩემი ძმა მეფე ართური ხომ ნახეთ?

— ვნახეთ, შევიცანით და გასაქცევადაც მზად ვიყავით, მეფეს ისეთი მრისხანე და საშიში გამომეტყველება ჰქონდა, რომ მასთან შებრძოლებას ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა.

— მჯერა თქვენი გულწრფელი სიტყვებისა, — უთხრა მათ დედოფალმა. მალე გზაზე ერთი რაინდი შემოეყარათ, რომელსაც ვიღაც თვალეზანეული და ხელ-ფეხ დაბორკილი რაინდი ცხენზე შეესვა და წყალში დასახრჩობად მიჰყავდა. ფეა მორგანმა რომ აგრერიგად დაბორკილი რაინდი დაინახა, მის დამხუნდველს ჰკითხა: — რას უპირებთ მაგ დაბორკილ ტყვეს?

— წყალში უნდა ჩავახრჩო, ქალბატონო.

— რა მიზეზით და რის გამო დაიმსახურა თქვენი წყრომა?

— ჩემს თანამეცხედრესთან სარეცელის გაყოფისათვის, ძვირფასო ლედი! ამას რომ წყალში ჩავახრჩობ, ჩემს მეუღლესაც ამის გზას გავუყენებ.

— ძალზე სამწუხარო ამბავია, — თქვა ფეა მორგანმა, — თქვენ რაღას იტყვით, რაინდო, რაც თქვენზე ითქვა, სრული სიმართლეა თუ არა?

— არა და არა, ქალბატონო, არც ერთი მართალი სიტყვა ჩემზე არა იქმულა.

— საიდან ხარ, ვის ემსახურები, რომელი ქვეყნის მკვიდრი ხარ? — ჰკითხა ფეა მორგანმა.

— მეფე ართურის კარის რაინდი ვარ, ჩემი სახელი მანესენია, აკოლონ გალიელის ბიძაშვილი ვახლავართ.

— ყოველივე კარგი თქვი და მაგის გულისთვის შენ თავისუფალი იქნები, ხოლო შენი დამბორკველ-დამხუნდველი შენი ტყვე შეიქნება.

ასე რომ, მანესენი გაათავისუფლეს და მისი დამატყვევებელი რაინდი დაბორკეს. მანესენმა თავისი დამბორკველის საჭურველი აისხა, ცხენზე შეჭდა, რაინდი წინ გაიგდო და წყალში ჩაახრჩო. მერმე უკან შემოიქცა, ფეა მორგანს მიეახლა და ჰკითხა:

— მეფე ართურისათვის გადასაცემად ხომ არაფერს დამავალებთ?

— შენს მეფეს სიტყვა-სიტყვით ასე უთხარი, რომ შენ გაგათავისუფლეს არა მისი, არამედ აკოლონის სიყვარულისათვის. დაურიღებლად უთხარი, რომ იმისი არ მეშინია, რაკილა საკუთარი თავის და ჩემი ხალხის ქვად და ლოდად გადაქცევა შემძლია. დაე, იცოდეს, ჩემი დრო რომ დადგება, უფრო მეტსაც გავაკეთებ!

მერმე ცხენს დეზი ჰკრა და გოგოის ქვეყნისაკენ გაემართა. იგი დიდებულადა და მდიდრულად მიიღეს. იქ გაამავრა დედოფალმა ციხე-სიმაგრენი და ქალაქნი, რადგან თავისი ძმის დიდი შიში ჰქონდა.

მეფე ართურმა საქალებო მონასტერში კარგად დაისვენა, მოიკეთა და კამელოტში დაბრუნდა. დედოფალი, ბარონები და მსახურნი მეფის დაბრუნებას

დიდი სიხარულით შეხვდნენ. როცა მათ მეფის თავს გადახდენილი უცნაური ამბები მოისმინეს, ფეა მორგანის უმადურობამა და ლალატმა ძალზე აღაშფოთათ. რაინდები ფეა მორგანის ცეცხლზე დაწვას მოითხოვდნენ. მალე სასახლეში რაინდი მანესენი გამოცხადდა და მეფეს თავისი თავგადასჯადი უამბო.

— ოჰ, რა სათნო და კეთილი დაი მყავს, — ნართაულად თქვენი მეფე — თუ ცოცხალი დავრჩი, ისეთი სამაგიერო უნდა მივეზლა, რომ მთელი საქრისტიანო შეიძრას.

დილაადრიან სასახლის კარზე ფეა მორგანისაგან მეფესთან წამოგზავნილი ქალწული გამოცხადდა, თან ისეთი უძვირფასესი თვლებით შემკული და ძვირფასი ქვეებით თანა შექსული წამოსასხამი მოიტანა, რომლის მსგავსი სასახლეში ჯერ არ ეხილათ. თვითონ გვირგვინოსანის უნახავი კი, აბა რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

— თქვენმა დამ გაახლათ ეს ძვირფასი რიდე, მეფევ, და შემოგვედრათ. მიიღოთ მისგან ეს საჩუქარი. მეფის წინააღმდეგ ხელის აღმართვისათვის კი მზადაა თქვენი სურვილის მიხედვით მიიღოს სასჯელი და საზღაური, — მშვიდად წარმოთქვა პირმშვენიერმა ელჩმა. გვირგვინოსანს ეამა ესოდენ ძვირფასი საჩუქრის ხილვა. პასუხად კი არა უთქვამს რა.

თავი მეთექვსმეტი

როგორ გადაარჩინა ქალწულმა მამა ართური საფაშლავით გაშლენილი წამოსასხამისაგან დაფერფლვას

ამასობაში სასახლის კარზე ტბის მფლობელისაგან წარმოგზავნილმა ქალწულმაც მოაღწია და მეფეს მოახსენა: საიდუმლო დანაბარები უნდა გაუწყოთ და თქვენი ნახვა განმარტოებით მწადიანო.

— აბა თქვი, როცა გაქვს სათქმელი, — უთხრა მეფე ართურმა, როცა მარტონი დარჩნენ.

— სერ, — წამოიწყო მღელვარედ ქალწულმა, — ვიდრე კარგად არა განსცადოთ, ნუ წამოისხამთ თქვენი დისგან გამოგზავნილ რიდეს, ნურც თქვენს რომელიმე რაინდს დართავთ ნებას ის წამოსასხამი მხრებზე მოიგდოს. უბრძანეთ და მორთმეული საჩუქრით ჯერ მომტანმა დაიმშვენოს მხრები.

— ძალიან კარგი, — წყნარად თქვა მეფე ართურმა, — როგორც თქვენ მირჩევთ, ისე მოვიქცევი.

მეფე ართურმა თავის დისაგან წარმოგზავნილი ქალწული ახმობინა და უთხრა: — თქვენგან მორთმეული რიდე მინდა თქვენს მშვენიერ ტანზე წამოსხმული ვიხილო!

— მეფეთა კუთვნილი სამოსით მე არ შემფერის მორთვა-მოკაზმვა, უფალო მეფევ, — წარმოთქვა მორჩილად ქალწულმა.

— ჩემს თავსა ვფიცავ, ეგ წამოსასხამი უმალ შენს ტანზედ უნდა ვიხილო. ამ სიტყვებით აიძულა მეფე ართურმა ქალწული და რიდე მხრებზე წამოსხმევინა. იმწამსვე ქალწული მიწას განერთხა, სული დალია და დანახშირდა.

ამ ამბავმა მეფე ართური კიდევ უფრო განარისხა. იგი თავის სიძე მეფე ურიენსს მიუბრუნდა და უთხრა: — ჩემს დასა და თქვენს მეუღლეს სული ერთთავად ჩემს მტრობაში ამოსდის. იქნებ თქვენცა და თქვენი შვილიც მას-

თან ერთად ხართ შეფიცულნი და ჩემს დასამხობად გეგმებს აწვობთ. თუმცა აკოლონისაგან მე თვითონ მოვისმინე, რომ ჩემს დას პირადად თქვენს დალუბვაც უნდოდა. ამის გამო თქვენს ერთგულებაში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ თქვენი შეილის ივეინის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვი. სწორედ ამიტომ ვთხოვთ, ივეინი სასახლესა და სამეფოს კარს განარიდოთ.

ასე განდევნეს ივეინი მეფე ართურის სამეფო კარიდან.

როს სერ გავეინმა შეიტყო, ივეინი სასახლიდან დაითხოვესო, გუდა-ნაბადი აიკრა და თქვა:— ვინც ჩემი კუზენი განდევნა სამეფო კარიდან, ის მეც მძევებსო. ასე წავიდნენ სასახლიდან ივეინი და გავეინი, მათ დაბურულ ტყეში ერთი მონასტერი ნახეს და ღამის გასათევად შავი შევიდნენ. როცა მეფე ართურის კარზე შეიტყვეს, სასახლიდან სერ გავეინიც წავიდაო, ყველამ ძალიან მოიწყინა. სერ გავეინის გულდაწყვეტილმა ძმამ სერ გაჭერისმა კი თქვა:

— ახლა ჩვენ ორი შესანიშნავი რაინდი დავკარგეთ ერთის გამო.

მათ კი მეორე დილით სააბატოში წირვა მოისმინეს, გზას გაუდგნენ და უფრო დიდსა და დაბურულ ტყეში შევიდნენ. სერ გავეინმა, შუაგულ ტყეში, პატარა ველზე ნაშენი ციხე-კოშკის ირგვლივ მორიალე თორმეტი მშვენიერი ქალიშვილი და ორი, ბედაურებზე ამხედრებული, საომრად აღჭურვილი რაინდი დალანდა. ქალიშვილები ერთ რომელიღაც ხეს გარშემო უტრიალებდნენ. კარგად რომ დააკვირდა, სერ გავეინმა ისიც შენიშნა, რომ იმ ხეზე უზარმაზარი თეთრი ფარი ეკიდა. ხის გარშემო მორიალე ქალწული ფარს აფურთხებდნენ და ზოგიერთი ტალახის გუნდასაც ესროდა.

თავი მარცხეული

როგორ შეხვდნენ სერ გავეინი და სერ ივეინი თორმეტ ქალწულსა და როგორ ჩიოდნენ და ბუზღუნებდნენ ისინი სერ მარკაუსზე

სერ გავეინი და სერ ივეინი ქალიშვილებს მიესალმნენ და მერმე იკითხეს, მაგ ფარს რას ერჩითო.

— ბატონებო, — ერთხმად აღმოხდათ გოგონებს, — ყოველივეს წვრილად გიამბობთ. ჩვენს მხარეში არის ერთი რაინდი, ვისაც ეს უზარმაზარი თეთრი ფარი ეკუთვნის, იგი ბრძოლაში გამოწრთობილი, სახელოვანი რაინდია, მაგრამ მთელი საქალეთი სძულს. სწორედ ამიტომ, რითაც შეგვიძლია, ჩვენც სამაგიეროს ვუხდით მის საომარ ფარს.

— მე ვეტყვით ჩემს სათქმელს. — წამოიწყო სერ გავეინმა. — ქალებისა და მით უფრო ქალწულთა სიძულვილი კარგი ყმისა და რაინდის საქმე როდია. მაგრამ რატომ სძულხართ? ან რატომ გულისყურსა და ყურადღებას არ იჩენს თქვენ მიმართ? იქნებ ამას თავი ახსნა და საპატიო მიზეზი გააჩნდეს. იქნებ უყვარს კიდევ და სიყვარულითვე პასუხობენ სხვა მხარეში. თუ ისეთი სახელოვანი რაინდია, როგორც თქვენ ამბობთ, ქეშმარიტად ასე იქნება. რა ჰქვია თქვენს მოძულე რაინდს?

— მისი სახელი მარკაუსი ვახლავთ, იგი ირლანდიის მეფისწულია.

— მე კარგად ვიცნობ მარკაუსს. — თქვა სერ ივეინმა. — ცოცხალთა შორის ძნელია ბადალი დაეძებნოა. ერთხელ ვნახე რაინდთა ასპარეზობაზე, სადაც

უამრავი რაინდი იყო თავმოყრილი, იმჯერად მისი ტოლისა და ფარდს გამო-
ნახვა არ მოხერხდა.

— მიგიხვდით, რაცა გსურთ, ტურთა ქალწულნო, — მიმართა ქალიშვი-
ლებს სერ გავეინმა, — ვისიც ეგ ფარია, ალბათ სულ მალე აქაქანტუქში და
ეს ორი რაინდი მას თავს დაესხმის. კი მაგრამ რაინდის აბუქანტუქში და
დამცირება რომ თვითონ თქვენს ღირსებას არ შექტერის? ისიც მინდა გითხრათ,
თქვენს ამდაგვარ საქციელს მე ვერ მოვითმენ.

სერ გავეინი და სერ ივეინი ოდნავ გვერდზე მიდგნენ თუ არა, უცუა დაი-
ნახეს, რომ სერ მარჰაუსი პირდაპირ მათკენ მოაჭენებდა შესანიშნავ ბედაურს.
ქალიშვილებმა მარჰაუსი რომ დაინახეს, დაფრთხნენ და ციხე-კოშკისაკენ მოჭ-
კურცხლეს. შიშისაგან დამფრთხალი ზოგიერთი მათგანი გზაზეც კი გადაეყარა
მარჰაუსს. უცუებ ქალიშვილების მხლებელმა ერთ-ერთმა რაინდთაგანმა თავი
ფარი მალა ასწია და მარჰაუსს შესძახა: — სერ მარჰაუს, დამხვდი, თუ ვაუ-
კაცი ხარ!

შეიბნენ. დამხდურმა რაინდმა შუბი შეაღწია მარჰაუსს, სერ მარჰაუსმა
კი ისეთი ძალით დაჭრა, რომ რაინდს კისერი მოსტეხა და რაინდის ცხენსაც
არ დასდგომია კარგი დღე. ციხე-კოშკელმა მეორე რაინდმა ეს სურათი რომ
იხილა, ცხენი ველზე გამოაბტუნა და მარჰაუსისაკენ დაიძრა. ისინი ისეთი
ძალით შეასკდნენ ერთმანეთს, რომ კოშკელ რაინდს მიწამდე სული არ დაჭ-
ყოლია. მისმა ცხენმაც იქვე გაფშოკა ფეხები.

თავი მეთვრამეტე

როგორ უბეზა სერ მარჰაუსი ჯამბის და ივეინს და როგორ გადმოჰარა ორივენი
ცხენებიდან

მერმე სერ მარჰაუსმა ხეზე ჩამოკიდებული თეთრი ვეშაკისაკენ დაჭრა
ციხენი. ტალახიანი და დაბინძურებული ფარი რომ იხილა, ეწყინა და თქვა:
„გადახდილ ორთაბრძოლაში დახოცილი რაინდების სისხლი ნაწილობრივ
ანაზღაურებს შეურაცხყოფას და შური ნაძიები მაქვს. მისდამი სიძულვილის
დასტურად კი, ვინც ეს თეთრი ფარი მაჩუქა, ამიერიდან ეს თეთრი საომარი
დარაკი ჩემი განუყრელი საომარი საჭურველი იქნება, ჩემს ძველ ფარს კი
მის ადგილზე დავკიდებ“. მარჰაუსმა თეთრი დარაკი ჩამოხსნა და კისერზე ჩა-
მოიკიდა. მერმე ბედაური შემოაბრუნა, გააჭენა, თითქოს პირდაპირ მათზე მი-
დიოდაო, სერ გავეინსა და სერ ივეინს გადაეყარა და შეუყვირა: — აქ რას
აკეთებთ, ჩასაფრებულებით რომ აყუდებულხართ?

— ართურის კარის რაინდები ვართ, მეფის სასახლიდან მოვდივართ და
თავგადასავალს ვეძიებთ. — უბასუხეს სერ გავეინმა და სერ ივეინმა.

— ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ. უთქვამთ, ხიფათის ძებნა დიდხანს არ დაგჭირ-
დებათ, მე მზად გახლავართ და თვითონაც თავგადასავალსა და ხიფათს ვე-
ძიებ. — მერმე ცხენი უკან მიაბრუნა და გააჭენა. რათა ლახვარის დასაცემად
მახდილი ჰყოფნოდა.

— გავუშვათ, თავის ბედს ეწიოს, — უთხრა სერ ივეინმა სერ გავეინს. —
ეგ ხომ ცოცხალთა შორის უკეთილშობილესი რაინდია. ჩემი ნებით არ მინდა
სერ მარჰაუსს შევებათ.

— არა, აგრე არ იქნება, — უპასუხა სერ გავეინმა. — მან ბრძოლაში გავეინმა და ჩვენი არგასვლა საასპარეზოდ სარცხვილი და თავის მთქრა იქნება. რაგინდ კარგი რაინდი იყოს, უნდა შევებათ.

— რა გაეწყობა, მაშინ პირველი შე შევებრძოლები, მე თქვენზე სუსტი ვარ, თუ დამამარცხა. სამაგიეროს თქვენ მიუზღავთ და თქვენს მხარეს იქნებით.

ორი რაინდი თავგამოდებული ეკვეთა ერთმანეთს. სერ ივეინმა ისე მაგრად აძგერა შუბი, რომ რაინდთა ძირითადი საომარი იარაღი მარჰაუსის ფარზე მიამსხვრია. სერ მარჰაუსმა კი ისეთი ძალით დაჰკრა, რომ ცხენიცა და კაციც მიწას განართხო. წაქცევისას სერ ივეინი მარცხენა ფერდში დაიჭრა. სერ მარჰაუსმა ცხენი მიაბრუნა და ისევ იმ ადგილისაკენ დაიძრა, საიდანაც სერ ივეინის წინააღმდეგ გამოეჭანა. იგი ავლავ ლახვარის საძგერებლად მოემზადა. სერ გავეინმა რომ მარჰაუსის საბრძოლო სამზადისი შენიშნა, ფარი გადმოიღო, უნაგირს მიამაგრა, თვითონაც პოროლი შემართა და რაინდები ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. ისინი ერთნაირი ძალით შეეჯახნენ ერთურთს, თანაბარი ძალით აძგერეს სათხედები ერთიმეორეს, მაგრამ სერ გავეინის აღმანმა ვერ გაუძლო კვეთების ძალას, დაიმსხვრა და მხედარიცა და ცხენიც წაიქცნენ.

მარჰაუსი კი გამართულად იჯდა ბედაურზე და აკინაკიც უვნებლად ჰჭონდა.

სერ გავეინმა უზანგებს იოლად დააღწია თავი, ფეხზე ელვისებურად წამოიმართა, ხმალი იშიშვლა და მარჰაუსს მიუხტა. მარჰაუსმა რომ ეს დაინახა, ცხენი შემოაბრუნა და სერ გავეინს ზედ მიაგდო.

— ბატონო რაინდო! — ისძახა სერ გავეინმა მარჰაუსს, — ჩამოქვეითდიო, იორემ ცხენს მოგიკლავთ.

— დიდსულოვნებისათვის მაღლი მომიხსენებია! რაინდული ბრძოლის მაგალითი კი მომეცით. ხომ არ შეიძლება მართლაც ერთი რაინდი ცხენზე ამხედრებული იბრძოდეს, ხოლო მეორე ქვეითად.

ამ სიტყვებზე რაინდმა მარჰაუსმა ზუფანა ხეს მიაყუდა, ჩამოქვეითდა, ცხენი ხეზე მიაბა, ვეშაკი იფარა და სერ გავეინისაკენ გამოემართა. მათ ისე მრისხანედ შეუტოეს ერთურთს, ისე უწყალოდ დაჰკრეს მახვილი, რომ ფარებმა და ჩაჩქნებმა სულ ნაპერწკლები ჰყარეს. რაინდებმა ხმლებით დაუჩეხეს ერთმანეთს ჩაჩქნები, მუზარადები და ერთმანეთი ღრმა ქრილობებით დასერეს.

სერ გავეინს დილიდან, ვიდრე მზე შუბის ტარზე დადგებოდა, ძალა სულ ემატებოდა და ემატებოდა. შუადლისას იგი სამჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დილით, როცა ბრძოლაში ჩაება. ამ ამბავს მარჰაუსი ჰკვირვობდა და გაოცებას ვერ ფარავდა. გამზავებული არავინ ჰყავდათ და რაინდებმა ქანცის მილევაძლე იბრძოდეს. როგორც კი შუადღე გადავიდა, სერ გავეინს თანდათან ძალა გამოეცალა, დასუსტდა, დაუძლურდა და მარჰაუსისათვის წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. ამის შემხედვარე მარჰაუსმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და გამხნევდა.

— ბატონო რაინდო, — მიმართა სერ გავეინს მარჰაუსმა, — საკუთარ თავზე გამოვცადე თქვენი საარაკო ძალ-ღონე. ვგრძნობდი თქვენს ძალმოსილებას, ვიდრე ქანცი გაგიწყდებოდათ, დიდი სადავო და გასაყოფი ჩვენ არაფერი გვაქვს, თქვენი, როგორც რაინდის, წახდენა ცოდვა იქნება და მე ეს არცა მსურს. თუ ბრძოლას გავაგრძელებთ, ამ ამბავს სამწუხარო შედეგი მოჰყვება.

— კეთილშობილო რაინდო, თქვენ სწორედ ის სიტყვები თქვით, ^{დაც მე} ადრე უნდა მეთქვა.

მერმე რაინდებმა მუზარადები მოიხადეს, ერთმანეთი გადაკოცნეს და ფიცი დადეს, ძმურად ჰყვარებოდათ ერთურთი. სერ მარჰაუსმა სერ გავეინის შინ მიიპატიჟა, ისინი ცხენებზე შესხდნენ და მარჰაუსის სახლისაკენ გასწიეს.

— ბატონო რაინდო, — წამოიწყო საუბარი სერ გავეინმა, — ძალიან მიკვირს, ისეთ მამაც, ძლიერსა და კეთილშობილ რაინდს, როგორიც თქვენ ხართ, რატომ გთვლიან ქალთა მოძულედ?

— სერ, — უპასუხა მარჰაუსმა, — ცუდუბრალოდ შემარქვეს ქალთა მოძულე. ეგ სახელი კოშკში მოსახლე ქალებმა და მათმა მსგავსმა აღქაჯებმა მიწოდეს. ახლა იმასაც გეტყვით, თუ რა მიზეზით შევიძულე ისინი: მათ შორის ბევრია კუდიანი, ჯადოსანი და გრძნეული. კაცთა შორის გამორჩეული, გულადა და მამაცი რაინდი მათ შეუძლიათ ლაჩრადა და მხდლად აქციონ, რათა დაიმონონ და თავის ნების მორჩილი გახადონ. აი, ესაა ჩემი მათდამი სიძულვილის მთავარი მიზეზი. რაც შეეხება მანდილოსნებსა და ქალიშვილებს, როგორც კეთილშობილ რაინდს შეჰფერის, მუდამ მათი პატივისმცემელი და თავგამოდებული დამცველი გახლავართ.

ფრანგულ წიგნში ჩამოთვლილი არიან ის რაინდები, ვინც სერ გავეინს (მიუხედავად მისი ძალამოსილებისა) სძლიეს და დაამარცხეს. მათი სახელებია: სერ ლანსელოტ ტბელი, სერ ტრისტრამი, სერ ბორს განელი, სერ პერსივალი, სერ პელეასი, სერ მარჰაუსი. ამ ექვსმა რაინდმა ბრძოლაში სძლია სერ გავეინი.

მცირე მანძილი სწრაფად გაიარეს და პატარა მონასტრის ახლოს, სერ მარჰაუსის საბრძანებელში აღმოჩნდნენ. აქ ისინი ჩამოხდნენ ცხენებიდან. მანდილოსნები და ქალიშვილები დაეხმარნენ, საბრძოლო აღჭურვილობა გააძრეს, ტანსაცმელი გახადეს და კრილობები გაუსინჯეს. სამივენი დაჭრილები იყვნენ. ასე აღმოჩნდნენ სერ გავეინი და სერ ივეინი სერ მარჰაუსის სახლში. მასპინძელმა ისინი ძალზე გულთბილად მიიღო. ხოლო როცა შეიტყო, მეფე ართურის დისშვილები არიანო, თავახსა და გულუხეობას კიდევ უფრო უმატა. სტუმრები უშურველ მასპინძელთან ერთ კვირას დარჩნენ, იარები კარგად მოიშუშეს და წასასვლელად მოემზადნენ.

— არა, ჩვენი ასე ნაუცბათევი დაცილება არ შეიძლება, — უთხრა მათ მარჰაუსმა, — ჩვენი ტყე უნდა გადაგატაროთ და გაგაცილოთ.

ასე და ამრიგად, სამივენი ცხენებზე შესხდნენ და ტყეს მისცეს თავი, სერ მარჰაუსმა თან თავისი ყველაზე გრძელი ჰოროლი წაიბძვანა. მხედრებმა წვიდი დღე ისე იარეს, არავითარ ხიფათსა და თავგადასავალს არ გადასწყდომიან.

ბოლოს დიდი ტყეს მიაღწიეს. ამ ადგილს ართი ერქვა. ეს გახლდა საოცარი თავგადასავლების ადგილად წოდებული მხარე. — მას მერმე, რაც ამ ქვეყანაში ქრისტიანობა გავრცელდა, — უთხრა თანამგზავრებს მარჰაუსმა, — არც ერთ რაინდს აქ ისე არ გაუვლია, თავს რაიმე უცნაური თავგადასავალი არ გალახდენოდა. რაინდებმა ვზა განავრძეა, წინ ვეებერთელა ქვებით მოთენილი მინდორი გადაეშალათ. ველზე ანკარა ნაკადული მაჩუხჩუხებდა, და მის სათავესთან სამი ქალწული იჯდა. რაინდები მიუახლოვდნენ უმშვენიერესი სქესის წარმომადგენელთ და მიესალმნენ. ქალწულთაგან ყველაზე უფროსს თავზე ოქ-

როს გვირგვინი ედგა, თმა თეთრი ჰქონდა და დაბადებიდან სამოქალაქის ან ცოტა მეტი ხნისა იქნებოდა. მეორეს ქვეყნად მხოლოდ ოცდაათი წელიწადი და ოცდაათი გაზაფხული ექნებოდა მოთეული და თავზე ოქროს გვირგვინი ედო, მესამე ქალიშვილი, თავს რომ ყვავილწული გვირგვინი ედგა, მესამე თხუთმეტისა თუ იქნებოდა.

რაინდებმა კარგად შეათვალიერეს ქალიშვილები და ნაკადულის სათავესთან ჯდომის მიზეზს ჩაეძიენ. „ჩვენ აქ იმიტომ ვსხედვართ, თუ მოხეტიალე რაინდები გადაგვაწყდნენ, ვასწავლოთ, რომელ მხარეს უფრო ხიფათიან დაგვადსავალს გადაეყრებიან. აი, თქვენ ხომ თავგადასავლის მაძიებელი სამი რაინდით, ჩვენც სამივე ქალიშვილები გახლავართ. თითოეულმა თქვენგანმა სურვილის მიხედვით თითოეული ჩვენგანი უნდა ამოირჩიოს, მერმე ჩვენ გაგიძღვებით და იმ ადგილას მიგიყვანთ, სადაც გზა სამად იყოფა. იქ თქვენ მიმართულების არჩევანს მოახდენთ და შემდგომ გზას თქვენ მიერ არჩეულ ქალიშვილთან ერთად გაუყვებით. თუ ღმერთმა თორმეტ თვეს თქვენი სული თავისთან არ მიიხმო და აშქვეყნად გაგაძღვებინათ, სწორედ ერთი წლის თავზე იმავე ადგილას შეიყრებით. ახლა კი რაინდის ფიცი და მტკიცე უნდა დასდოთ, რომ ყველაფერ ამას აღასრულებთ“.

თავი მესამე

აქა ამავენი, თუ როგორ გადაეყარნენ სამ ქალიშვილს სერ მარკაუსი, სერ გავინი, სერ ივეინი და როგორ ამოირჩია თითოეულმა მათგანმა თავისი გზისსწორი

— კარგადაა ნათქვამი, — თქვა სერ მარკაუსმა, — ახლა კი ქალები ავირჩიოთ.

— მინდა გითხრათ, — წამოიწყო სერ ივეინმა, — რომ ორივეზე უმცროსიცა ვარ, უფრო სუსტიც, და მე უფრო მჭირდება დამხმარე. ნება მომეცით, ქალიშვილებში ყველაზე უფროსი ავირჩიო. იგი ცხოვრებაში გამოჩეკილი იქნება, ჩემთვის მეტი სარგებლის მომტანი აღმოჩნდება, დამხმარება და გასაჭირში შემწე მეყოლება.

— მაშინ მე ოცდაათი წლისას ავირჩევ, ის უფრო მომივიდა თვალში, — თქვა მარკაუსმა.

— რა გაეწყობა, — მიმართა ძმად შეფიცულთ სერ გავინმა, — მადლობას გწირავთ, რაკილა ყველაზე ნორჩი ქალწულთაგანი მე მაკუთვნეთ, იგი ლამაზიცაა, მოსაწონიც და, თუ თანასწორი არჩევანი იქნებოდა, მაშინ სწორედ მავას ავირჩევდი.

ქალიშვილებმა რაინდების ცხენებს აღვირებში ჩაავლეს ხელი და იქით წარუძღვნენ, სადაც გზა სამად იყოფოდა. იქ სამივე რაინდმა ფიცი დადო, აუ ღმერთი სიკვდილს არ მოუვლენდათ, სწორედ ერთი წლის თავზე მოჩუჩჩუხე ნაკადულის სათავესთან შეყრილიყვნენ. მერმე ერთმანეთი გადაკოცნეს, თითოეულმა თავისი რჩეული შემოისვა უკან და გზას გაუდგნენ. სერ ივეინი დასავლეთის მხარეს გაემართა, სერ მარკაუსმა სამხრეთის გზა აირჩია. სერ გავინი კი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ჩვენ ახლა სერ გავინის გზას მივყვით. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს და ბოლოს ერთ მშვენიერ სახლს მიადგა. ამ სახლში ცხოვრობდა მოხუცი

რაინდი, იგი გახლდათ მუყაითი მეურნე და ოჯახის თავი. სერ გავეინმა მოხუც რაინდს ჰკითხა: ახლომახლო რაიმე სათავგადასავლო ამბავი ხომ არ გეგონებაო.

— თუ აგრე გწადია ასეთი ამბის ხილვა, ხვალ დილით გიჩვენებ სასწაულ სათავგადასავლო ამბავს. — მიუგო მოხუცმა რაინდმა.

სისხამ დილით სერ გავეინი და მოხუცი რაინდი ცხენებზე მსუსხდნენ ქადატყის იმ ადგილს მიაშურეს, რომელიც სასწაული სათავგადასავლო ამბებით იყო განთქმული. ისინი ერთ განაკათ ველზე გავიდნენ, სადაც აღმართულ ჯვარს წააწყდნენ. ერთხანს იდგნენ ჯვრის წინ გარინდებულნი. უეცრად მათ წინ ულამაზესი გარეგნობის რაინდი აღიმართა. ასეთი მშვენიერი აღნაგობის რაინდი იშვიათად თუ ენახათ სადმე. რაინდი ცხარე ცრემლით ტიროდა და ხმამაღლა ჰგოდებდა. როს სერ გავეინი დაინახა, მიესალმა და, ღმერთმა დიდება და პატივი არ მოგაკლოსო, უსურვა.

— კეთილი სურვილებისათვის მადლი მომიხსენებია, — უთხრა თავის მზრივ სერ გავეინმა, — ნუმც შენ მოგკლებოდეს სახელი, პატივი და დიდება.

— ოჰ, — მწარედ ამოიოხრა რაინდმა, — პატივი და სახელი წყალსაც წაუღია, მაგან დამანელა, მაგის გამო მომაგო ღმერთმა მწუხარება და შერცხვენა.

თავი მათა

აქა ახავი, თუ როგორ შეიგნან ლეღის ბავო რაინდი და ჯუჯა

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, რაინდი თვალწინ გადაშლილი ველის ერთ-ერთი კუთხისაკენ გაეშურა. ასპარეზის მეორე მხარეს კი ათი აღჭურვილი ცხენოსანი რაინდი აღჩნდა. მათ ლაგამებს მოსწიეს, ცხენები შეაჩერეს, ფარები მოიმარჯვეს. პოროლები უნაგირებზე დაამაგრეს და, სერ გავეინს რომ წინ ჩაუარა, იმ რაინდთან საბრძოლველად განემზადნენ. ის რაინდიც მოემზადა საბრძოლველად. უზარმაზარი შუბი უნაგირს მიამაგრა, ცხენი გამოაქენა და იმ ათთავან ერთ-ერთს ისეთი ძალით აიგერა ლახვარი, რომ ის უბედური უნაგირს მოსწყდა. პაერში ავარდა, თავისივე ცხენის გავას გადაევილო და იქვე ცოცხალ-მკვდარი დაეცა. ასე გაუსწორდა მწუხარე სახის რაინდი ათივე მხედარს. ზოგისა ცხენი დასცა მიწაზე და ზოგიც ცხენიდან ჩამოაგდო. ყოველივე ეს მხოლოდ პოროლით მოიმოქმედა. როს ათივე უკლებლავ ცხენებიდან ჩამოყარა და მხედრები ქვეითებად აქცია. ათივენი იმ ერთს მიუხდნენ. ის კი ცხენზე ქვის ქანდაკივით გაუნძრევლად იჯდა, თავისაგან დამარცხებულ რაინდებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაანება ცხენიდან გადმოეთრიათ, მაგრად გაეკოჭა და ცხენის მუცელზე ქვევიდან ამოეკრათ. ასე წაიყვანეს მწუხარე სახის რაინდი მასთან ბრძოლაში დამარცხებულმა რაინდებმა.

— ოჰ, იესო! — წამოიძახა სერ გავეინმა, — ჭეშმარიტად უბედური სახანაობაა. ია საწყალი ხომ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდათ და დაანებათ კიდევ გათოკვა.

— სწორედ აგრე იყო. — უთხრა სერ გავეინს თავისმა მასპინძელმა. — თორემ ისინი მაგასთან ვერას გახდებოდნენ.

— სერ, — მიმართა სერ გავეინს ქალიშვილმა, — თქვენთვის პატივი იქ-

ნება, თუ იმ მწუხარე სახის რაინდს გამოესარჩლებით და მისთვის თავს გამოიღებთ, მე მგონია, მაგაზე კარგი ვაჟკაცი და კეთილშობილი რაინდი სხვა არც შემხვედრია.

— მე კი გამოვექომაგებოდი, მაგრამ, ვატყობ, არაფერი მიხმარებდა, არ უნდა, — უბასუბა ქალიშვილს სერ გავეინმა.

— მე კი მგონია, თქვენ თვითონ არ გინდათ უშველოთ, — უთხრა სერ გავეინს ქალიშვილმა.

ვიდრე სერ გავეინი და ქალიშვილი საუბრობდნენ, ასპარეზის მეორე მხარეს აბჯრით შეჩავშნული, თავშიშველი რაინდი გამოჩნდა. მოპირდაპირედ ასპარეზზე ჯუჯა გამოვიდა, იმასაც ჯაჭვის თორანი ეცვა, ისიც თავშიშველი იყო, ლაშები იმოდენა ჰქონდა, ყურებამდე უწევდა, ცხვირი კი მოჭრილივით მოუჩანდა. უცებ ქონდრისკაცი მიეახლათ და ჰკითხათ: — სადაა ის ქალი. აქ რომ უნდა შეგვხვედროდა? სწორედ იმ დროს გამოჩნდა ტყიდან მომავალი ქალი. მათ შორის იმწამსვე ატყდა დავა, რადგან რაინდმა ქალის დასაკუთრება მოინდომა.

— განა სამართლიანი იქნება, ქალს რომ თქვენ დაეპატრონოთ? — თქვა ჯუჯამ, — აი, იქ, ჯვართან ერთი რაინდი დგას, დავეკითხოთ და, როგორც ის გადაწყვეტს, დავემორჩილოთ.

— მე თანახმა ვარ, — მიუგო რაინდმა.

მალე სამივენი სერ გავეინს მიადგნენ და გულახდილად მოახსენეს, რაზეც დავობდნენ.

— თქვენ რა, ბატონებო, გინდათ მე გავაჩინო სამართალი და თქვენი დავა გადავწყვიტო? — ჰკითხა მათ სერ გავეინმა.

— დიახ, სერ, — მიუგეს ჯუჯამ და რაინდმა.

— თუ ასეა, — წამოიწყო სერ გავეინმა და ქალიშვილს მიმართა: — მოდავეთა შუა ჩადექით, საითაც გული გაგიწევთ, იქით წასვლა ირჩიეთ, და ვისთანაც თქვენ მიხვალთ. იმისი საკუთრება შეიქნებით. — როს ქალიშვილი ორთა შუა ჩააყენეს, მან რაინდს ზურგი აქცია და ქონდრისკაცისაკენ წავიდა. ჯუჯამ ქალი უკან შემოიხსვა და სიმღერ-სიმღერით გაქუსლა, თავჩაქინდრული, დამწუხრებული და გულსაკლავად მტირალი რაინდი კი თავის გზას გაუდგა.

ამ დროს სარბაელზე ორმა საბრძოლველად შეჩავშნულმა რაინდმა ასკუბა ცხენი. ერთ-ერთმა ხმამალლა მიმართა სერ გავეინს: — ართურის კარის რაინდო, სერ გავეინ! მოემზადე, თუ ბიჭი ხარ, და დამიხვდი! — ისინი ერთმანეთისაკენ შუბებმომარჯვებულნი დაიძრნენ და შუბთა ძგერების მერმე ორივენი დაბლა ჩამოყრილები აღმოჩნდნენ. მერმე ხმალზე მიდგა საქმე. შეიბნენ და თავდაუზოგავდა იბრძოლეს. ამასობაში მეორე რაინდი ქალწულს მიეახლა და სამსახურად თავისი გული და ხმალი შესთავაზა: — რა საერთო გაქვთ მაგ რაინდთან, თუ ჩემთან ერთად წამოსვალთ, თქვენი უერთგულესი ყმა ვიქნები.

— თქვენთან წამოსვლას დიდი სიამოვნებით ვთანხმდები. — უთხრა ქალიშვილმა. — ან რა გულით უნდა დავრჩე რაინდთან, რომლის თვალწინ ერთმა რაინდმა ათი დაამარცხა, მერმე დამარცხებულებმა გამარჯვებული გათოკეს, ცხენის მუცელქვეშ გამოაქრეს და თან წაიყვანეს. ყოველივე ეს თავისი თვალით ნახა ჩემმა მზლებელმა რაინდმა და უსამართლობის წინააღმდეგ ხმა არ აღუმაღ-

ლებია. სწორედ ამიტომ, ვიდრე ეგენი ბრძოლაში არიან გართულნი, აქაურობას გავეცალოთ.

სერ გავეინი და ის უცნობი რაინდი კი კარგა ხანს იბრძოდნენ. ვინც/ერთმა ვერა სძლია და ბოლოს შერიგდნენ. მერმე მოწინააღმდეგეებმა კვეთეს გავეინი შინ დაჰპატიჟა, სტუმრად მეწვიე და ერთი ღამე ჩემს ჰერტვეშტაინში დასაწყობდა.

სერ გავეინი დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას და გაჰყვა.

— ვინ არის ის ათი რაინდის დამამარცხებელი რაინდი? — ჰკითხა თავის მასპინძელს სერ გავეინმა, — ანდა რატომ დაანება ასეთი გმირული შემართების მერმე, რომ გაეთოკათ და ტყვესავით წაეყვანათ?

— ის, მე მგონი, მთელ დუნიაზედ უკეთილშობილესი და უმამაცესი რაინდი გახლავთ. ერთსა და იმავე დროს საცოდავი და შესაბრალებიცაა. ის, რაც დღეს თქვენ იხილეთ, მაგას უკვე მეათედ გადახდა თავს. მაგისი სახელი სერ პელეასი გახლავთ. ამ მხარეში ცნობილი ერთი ქალბატონი მოსწონს. ლედი ეტარდასადმი აქვს შენამსჭვალეები გული. ერთხელ, სამდღიან შეჯიბრზე მთელი ჩვეყნიდან იხმეს რაინდები და მანდილოსნები. ვინც გაიმარჯვებდა, საჩუქრად ხმალი და ოქროს გვირგვინი აღუთქვეს. ის გვირგვინი გამარჯვებულს შეჯიბრზე მყოფ მანდილოსანთაგან ულამაზესისათვის უნდა მიერთმია.

იმ ხუთას რაინდთაგან უპირველესი სერ პელეასი იყო. ხუთასთაგან არ დარჩენილა ერთი რაინდიც კი, ისეთი, ვინც სერ პელეასმა ან ცხენიდან არ ჩამოაგდო ორთაბრძოლაში და ან ძლეული მიწას არ განართხო. ყოველ ცისმარე დღე ოც კაცს სჯაბნიდა. სწორედ ამიტომ ჯილდოდ დათქმული ოქროს გვირგვინი სერ პელეასმა მოიპოვა. როგორც კი გვირგვინი ხელთ იპყრა, სერ პელეასმა იმ მხარეს გააქენა ცხენი, საითაც ლედი ეტარდა ეგულეობდა. იგი მიეახლა თავის გულის მურაზს, დამსწრეთა შორის ულამაზესად აღიარა და გვირგვინი გაუწოდა. თავისთავად ცხადია, ვინც ლედი ეტარდა არ მიიჩნია ქალთა შორის ულამაზესად, ისინი სერ პელეასმა ბრძოლაში გაიწვია. რათა იარაღით დაემტკიცებინა თავისი რჩეულის უპირატესობა სხვებზე.

თავი ოცდაათე

აჰა აზგაპი, თუ როგორ ჩაბარდა ტყვედ მიწა პელეასი, ოღონდაც თავისი გულის რჩეული მხილა

ასე და ამრიგად, სერ პელეასმა თავისი გულის მურაზად, ქალბატონად ლედი ეტარდა აირჩია და ფიცის ქვეშ თქვა, სხვას არავის შევიყვარებო. ქალბატონი ეტარდა ამაყი, ამპარტავანი, თავნება ქალი იყო. მისთვის გულმკვდარი მიჯნურის ცხოველ გრძნობას ცივი წყალი გადაასხა და ქედმაღლურად განაცხადა, თუნდაც ვიცოდე, რომ ჩემი გულისთვის მოკვდება, მაინც არ შევიყვარებო. ქალებმა და ქალიშვილებმა, რომელთა შორის ბევრი ლედი ეტარდაზე ლამაზიც იყო და შნოიანიც, ერთხმად გაკიცხეს და დაგმეს მიაი მზვაობარი ბუნება და ქედმაღლური ხასიათი. სერ პელეასს რომ მოეწადინებინა და რომელიმე მათგანისათვის თავისი ხელი შეეთავაზებინა, ის ისეთი კეთილშობილი, მამაცი და სახელოვანი რაინდი იყო, რომ არც ერთი ქალბატონი საპასუხო გრძნობაზე უარს არ ეტყოდა. ვაგლახ, რომ სერ პელეასს წარმოთქმული ჰქონ-

და საშინელი ფიცი, ვიდრე პირში სული მიდგას, ეტარდას ტრფობის ერთგული ვიქნები და ამქვეყნად მანამდე არ მოვისვენებ, ვიდრე თავს არ შევაყვარებო. ამიტომ იყო, რომ ღამეს მონასტერში ათევდა, ხოლო დღე თავისი გულის რჩეულის საცხოვრებელ ადგილს არ სცილდებოდა.

ეტარდა კი ყოველ კვირა ორთაბრძოლების გასამართლად სერ პელეასს რაინდებს უგზავნიდა. სერ პელეასი ყველას სჯაბნიდა, მაგრამ დაბოლოს ტყვედ დანებდებოდა ხოლმე, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლო სატრფოს სახის ხილვა. ურჯუც ქალს სძაგდა სერ პელეასი და რაინდებს ხან ცხენის კუდზე გამოაბმევიანებდა, ხანაც ცხენის მუცელზე. ასე სამარცხვინო სასჯელს ქალი იმიტომ მიაგებდა ხოლმე, რომ როგორმე აეძულებინა, უარი ეთქვა თავის ნათქვამ ფიცსა და სიყვარულზე. სერ პელეასი კი ჯიუტად ადგა თავისას. სერ პელეასს ქალის მიერ მიგზავნილ რაინდებთან საბრძოლველად ცხენი არც კი სჭიროდა. მას ქვეითად მყოფსაც შეეძლო ორთაბრძოლაში ეძლია ისინი. მისთვის სულერთი იყო, რაინდები ცხენებზე ამხედრებულნი შეებმოდნენ თუ ქვეითად.

— ძალიან მეცოდება, — თქვა სერ გავეინმა. — ხვალ დილით გავალ ტყეში, ვიპოვი სადმე და, რითაც შემიძლია, დავეხმარები.

დილაადრიან სერ გავეინი მასპინძელს, სერ კარადოსს გამოემშვიდობა ია თავი ტყეში შერგო. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სერ პელეასს გადაეყარა. უბედური რაინდი თავის უიღბლო სიყვარულზე ჰგოდებდა და ოხრავდა. რაინდები ერთმანეთს მიესალმნენ და სერ გავეინმა ჰკითხა, რაზე დრტვინავ და ოხრავ, ეგეთი რა გაწუხებსო. სერ პელეასმა ყოველივე ისე უამბო სერ გავეინს, როგორც ზემოთ აღვწერეთ.

— როგორც გუშინ საკუთარი თვალით იხილეთ, მე ვნებდები ხოლმე მისგან მოგზავნილ რაინდებს და ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ ბოლოს და ბოლოს ლედი ეტარდას გული მოვინადირო, თორემ თვითონაც მშვენივრად იცის, მე რომ ხელი მართლა გამოვიღო მათზე, ეგენი აგრე ადვილად ვერ გადამირჩებიან. ნამდვილად რომ არ მიყვარდეს. ასჯერ სიკვდილს ვამჯობინებდი ამდენ სირცხვილსა და დამცირებას. მაგრამ მჯერა, ბოლოს და ბოლოს ჩემი ქალბატონი შენიბრალებს და მოწყალეებას მოიღებს. ქალის სიყვარული ბევრ სახელოვან რაინდს მოუპოვებია ტანჯვისა და წამების შედეგად, მე კი უბედური და უბედო გამოვდექი, — თქვა ესა და ისე მწარედ ატირდა, ლამის ცხენიდან ჩამოვარდა.

— ახლა გოდებასა და ტყებას თავი ანებეთ, — მიმართა სერ პელეასს სერ გავეინმა, — თავს ვფიცავ და აღთქმას გაძლევთ, ყოველივე ვიღონო, რათა თქვენი სატრფოს სიყვარული მოგიპოვოთ, მანამდე კი ჩემი პატიოსანი სიტყვისა გწამდეთ და გჯეროდეთ.

— თქვენ ვის ემსახურებით და რომელი სასახლის კარის რაინდი ბრძანდებით?

— მეფე ართურის კარის რაინდი ვახლავართ, მისი დისშვილი, მეფე ლოტორკნის ვაჟიშვილი და სერ გავეინად მიხმობენ.

— ჩემი სახელი სერ პელეასი ვახლავთ. კუნძულზე ვავჩნდი, ბევრი კუნძულის გამგებელი და ბატონიცა ვარ. აქამდე არც ქალი და არც ქალწული ვინმე არ მყვარებია. ძვირფასო რაინდო, რაკი მეფე ართურის სისხლიერი ახლო ნათესავი და თვითონ მეფის შვილი ბრძანდებით, განსაცდელში ნუ მიმატოვებთ.

ნუ მილატებთ, დამეხმარეთ, თორემ, თუ ვინმე კეთილმა რაინდმა არ მძებნე-
 ლა, ჩემით ვერას გავხდი, ჩემი გულის მურაზი აქვე ახლოს, ოღონდ მიწას და-
 შორებით, მიუდგომელ, დაუძლეველ ციხე-კოშკში ცხოვრობს და აქაურობის
 ბატონ-პატრონი გახლავთ. რაკი მისი პირის სანახავად საშველი სხვა ვერა-
 ფერი გამოვნახე, მის მიერ გამოგზავნილ რაინდებს ტყვედ ვხებდები ხოლმე.
 მისი შეხედვა, შორით აღვა და შორით ტრფობა მასულდგმულებს აიღვე,
 თორემ ამდენ ხანა თქვენს ჭირს წავიღებდი. მისგან კი ჭერჭერობით ერთი
 თბილი სიტყვა რაა. ისიც არ მსმენია. როს დაბორკილი მასთან მივყევარ.
 მწარე დაცინვია გარდა ჩემთვის არათერს იმეტებს. საკმელ-სასმელზე აღარას
 ვაძბობ, სიტყვა რაა, ერთი კეთილი სიტყვა, ისიც არ დასცდება, ცხენსა და
 საჭურველს დამიბრუნებენ ხოლმე და ალაყაფის კარს მაგრად მომიგულავენ. მე
 კი ყოველ ნახვაზე ვევედრები, თავისთან ტყვედ მაინც დამიტოვოს, რათა ყო-
 ველ ცისმარე დღე შემეძლოს მისი სახის ხილვა.

— მე ვიცი, რითაც მოვინადირო თქვენს სასარგებლოდ ქალის გული.
 ოღონდაც ჩემი რჩევა უნდა მიიღოთ. თქვენს ტალავარსა და საჭურველს ჩა-
 ვიცვამ, თქვენს გულის მურაზს ციხე-კოშკში გამოვეცხადები და ვეტყვი, რომ
 მოგკალით. ამის გამო აღბათ დამიყვავებს და მომიალერსებს. მერმე კი შევეც-
 დები მისი გული მოვინადიროთ და თქვენი თავი შევაყვარო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



თარგმნა ანზორ აბულაშვილმა

გვ. 1

სიფს.

8.

1962

1962

1962

მწირის სიმღერა

ვხედავ აყვავებულ ხეებს,
 ირგვლივ სურნელი დგას მტკბარი,
 წყარო მოხტის, ბუღბული ჰყეფს
 და ჭრიჭინიც ისმის წყნარი.
 მე კი უხალისოდ ვფიქრობ:
 ნათელს გაზაფხულის დღეთა —
 ამ ობოლი გულის სითბო
 ეზიაროს ვისთან ერთად.
 მღერენ მუსიკოსნი ეშხით,
 მთვარეს ზე უღიმის პირი,
 ღღერა გიტარისა მესმის,
 ვალებ ფანჯარას და ვსტირი.
 უმღერთ შეყვარებულთ გული,
 სატრფოს სარკმელთანა მღერენ,
 სმენა თუმცა მათი მწყურის,
 სევდის საბურველშიც მხვევენ.
 რათით დავტკბე ვისთან ერთად?
 გავეცლები ამ ჩემს სახლ-კარს,

ჩემი ვის შევჩვილო სევდა,
 როცა ქვეყნად არვინ არ მყავს
 გულხელს ვიკრებ, სანთელს ვუცქერ,
 მერე სულში სევდისფერი
 ბგერა დაიძვრება უცებ
 და კალამიც ნალვლით მღერის.
 გულმომტაცია ჩნდება აზრი,
 ვწერ და გრძნობის ჩნდება წყარო,
 მაგრამ სული ცალად არის, —
 სიმღერა ვის ვუზიარო?
 სიტყვას ვქმნი და მერე როგორს!
 მაინც ვერ გავეძევ სევდას,
 რადგან სული უმეგობრო
 ამდენ დაობლებულს ხედავს.
 მაისს შეეცვლება სახე,
 მარტი შესცვლის ზამთრის ტირილს,
 არარა სცვლის მხოლოდ ნალველს
 სულით დაობლებულ მწირის.

მეგობრებს

ირგვლივ სიჩუმე შუალამისა,
 ქარი მონასტრის კედლებში კვნესის,
 რევავს საათი, გამხდარა სამი,
 ძაღლების ყეფა შორიდან მესმის.
 სანთელიც აი, აქამდე იწვის.
 ხოლო ამ ცეცხლის მოღლილი ალი —
 ხან მიიღვება და ხან — ზე იწევს,

ხან — ბრწყინავს,
 ხანაც — ეხუჭვის თვალი.
 შიში მძლევს...
 შიში რას ერქვა ამ დროს,
 როს ცის მეფარა წყალობის კალთა
 წუთებს ვიგონებ უუტკბესს —
 რამდენს,

რაც სამუდამოდ გამქრალა მართლა.
ბედნიერებას ვეძებლა წიგნში,
მაგრამ ეს წიგნიც მბეზრდება

ბოლოს,

ძვირფას აჩრდილებს მოვუხმობ

ფიქრში

და ოცნებების მხარვში ვცხოვრობ,
სად ზოგჯერ ძმების ვიხილავ სახეს,
წამით ზმანება ემსგავსის ნამდვილს,
მაგრამ ვფხიზლდები და მოცახცახე
კედლებს აჰკვრია ჩემივე ლანდი.

ისევ მოვძებნი კალამს და მელანს,
ჰა, შევუპყრივარ არეულ ფიქრებს,
მეგობართათვის დავინწყებ წერას,
არ დავასრულო რომელიც იქნებ...

იქნებ გარდასულ მაისის ფერით
გავათბო ცივი ლექსის სინაზე,
მსურს გახელებულ ტრფიალით

ვწერო,

ვწერო შიშზე და მარილიაზე.

ვისაც სურს ფუნჯით სახელის

განთქმა,

დაე, მან მისი თვალები ხატოს,
ნიჭსა და გრძნობას დაეყრდნოს

რიტმა,

გონებით ჭვრეტა არ შემსრინებო.

ის, რაც მებოძა ზეცით და რითაც

სახელს კი არა, გართობას ვეძებ, —

მარილიაზე სჯობია გითხრათ,

თუ გახსენება რისიმე შევძელ.

ის ტრფობის სიტყვებს გასცემდა

წვეთ-წვეთ,

ღირდა მხურვალე სიტყვის შებედავად,

მაგრამ — ასჯერ რომ გეთქვა: —

„გაღმერთებ!“ —

ულმერთო დუმილს მოგაგფებდა.

სწორედ მას, — როცა სხვებს ღამე

გაშლილ

სიზმრების მხარეს გაილაღავდა, —

მე ვუკითხავდი გაყრის ჟამს

საშიშ

და ჟრუანტელის მომგვრულ

ბალადას,

ცრემლები

ვასველე ცრემლით სიყრმის დღე

ჩემი, —

ანგელოსური ბავშვობა ამო

და სიჭაბუკეც ამჰართავნული...

წელთა სიმრავლის და მარცხთა

გამო —

ასევე ცხარით ვინამე ცრემლით.

ხვედრი მოღალატისა

მცველთა თანხლებით ალაცაფის კარიდან ციხის —

გამოაქვთ კუბო, — ოთხი თეთრი ფიცრით შეკრული...

სდებენ ურემზე, მიაქვთ სადღაც ქალაქის იქით, —

გვამი ტუსაღის, გვამი ბედკრულის.

იქნება ღმერთმა დაამთავრა წამება მისი

და გაითხოვა სამოთხისაკენ ნატანჯი სული?

არა, არ ჰქონდა მას ღვთის რწმენა და უფლის შიში,

იგი მკვლელია, თვით მოისპო სიცოცხლე თვისი.

არ ზრიალებდა სიკვდილის ჟამს გლოვის ხმით ზარი,
 უბოხ არ მისდევს ნათესავთა ცრემლების ღვარი,
 არ ახვევია იმის ცხედარს მეგობართ ჯარი,
 ეკლესიაში მისი სული ღმერთს არ ავედრებს.

სიმღერის
 ბიზლიქთა

მან, შეწყალემა ხელმწიფისა მიელო რათა,
 ხალხის წინაშე სცოდა მართლაც ცოდვითა დიდით
 და გასცა ძმანი... დღეს გამცემი საკუთარ ძმათა, —
 თავისუფალი მოლაღატე კუთვნილ გზით მიდის.

ზამთარი ქალაქი

გადაიქუხა გაზაფხულის ოქროს შხაპუნამ,
 ზაფხულიც ჩაცხრა და ოქტომბრის ნიაღვრის ზარიც.
 ახლა ქუჩაზე ყინვა ისე გადასარკულა,
 ვერ დასტყობია ცხენთა მძიმე ნალების კვალიც.

შინ შემწყვდეული, აქამომდე მიზეზით წვდომის,
 სუფთა ჰაერზე დღეს გამოვალ, ყინვა დგას ოდეს,
 ლონდონურ ეტლთა აქ გრიალი არსიდან ისმის,
 შიში ბორბლებქვეშ ჩავარდნისაც არ უნდა გვექონდეს.

ნანატრი დროა, აქაურნო, სალამი თქვენდა!
 სინყნარე ეძებს, ის სიმშვიდე გულებს გაუხსნის
 ყველას — მეზობელ ღიახეობსაც და ნემანელთაც —
 ღიმილში „ათას დრიადას“¹ და ათას ფავნუსის².

მხიარულია და წარმტაცი აქ ყველაფერი,
 ცივი ჰაერი სასიცოცხლოდ ფილტვებს ეღება.
 ხან — ციურ სივრცეს მეოცნების ავხედავ მზერით,
 ხან — იგივე მზერა ფიფქთა ფრენას შეაცქერდება.

ერთი ფიფქი რომ გაურკვეველ ქაოსში ცურავს,
 მეორეს ცხადად ქვე ეწევა სიმძიმე თვისი,
 სხვა — ქარს მიჰყვება მინდვრისაკენ,

აქ
 იქ
 მხ

ან იქნებ სულაც
 ვილდისკენ, რათა ზედაპირი მოსარკოს მისი.
 ხოლო სოფელში, შეკეტილა ვინც სახლში ახლა
 და იძულებით ვინაც უმზერს სახებას ზამთრის,
 მოლიპულ გუბებს, შიშველ ტყეებს, — ატოტვილთ მაღლა, —
 როცა თოვლისგან დადრეკილა რტოები მათი, —
 მისთვის წუთიც კი, ნალვლით სავსე, ტაატიტ მიდის,

ამიტომ სტოვებს სოფელს თვისას, შეჩვეულ ალაცს,
სიამოვნებით სცვლის პლუტოსზე³ ცერერას⁴ იგი
და სავსე ურმით მოიჩქარის, მოელტვის ქალაქს.



ქართული
საბჭოთაო

მას აქ მოხატულ დარბაზებში სხვა მასპინძლობით⁵
სხვაგვარ ხელგაშლით ღებულობენ, სხვაგვარ იერით,
ის აქ ივიწყებს სოფლურ ნაღველს, საზრუნავს სოფლის,
თვალისმიმტაცი ქარიტების⁶ სიმშვენიერით.

იქ დილაბნელზე ცერერასთან დგებიან ერთად,
ფეხზე ხვდებიან, ოდეს დგება სისხამი დილის,
აქ — შუადღემდე — მზე რომ ზენიტს მიაღწევს ზეცად,
ისევე მიინავს, მცემს ატლასის ფარდების ჩრდილი.

როს წამოვდგები, წამოვისხამ როს ჩინურ ნანკინს,
ვინვევ ჭაბუკებს — წრეს მოდური ამფსონებისას,
თან ვირთვები და ვიკაზმები, გავხედავ სარკეს,
და თანაც ვლალობთ მხიარულად, ტკბილად, ნებისად.

ბაასში ერთი რომ იხედვის სარკეში ბროლის,
ვის ოქროს ქოჩორს ეფერება ბჰლზამი თითქოს,
მეორე — მწარე თამბაქოს კვამლს ყლაპავს სტამბოლის,
სხვა — თავს ბალახის, — ჩინურ ჩაის ნაყენით ირთობს.

თორმეტი რეკავს და მარხილში ვსხდებით ხმაურით,
მერე ქალაქის ქუჩებს ვსერავთ სრიალით, ქროლვით,
მათბუნებს ქურქი წავისა თუ სიასამურის
და ვერას მაკლებს ზამთრის სუსხი, ყინვა და თოვლი.

და რჩეულთა წრეს ვესალმებით დარბაზში ბოლოს,
ჩვენს მოსალხენად უხვი სუფრა გაშლილა სადაც,
აქ ფაიფურზე თავს იწონებს ნუგბარი მხოლოდ,
გვიღიზიანებს ათასგვარი საჭმელი მადას.

უნგრულ ღვინოთი — ასწლოვანით — შევავსეთ ჭიქა,
მერე პუნშიც და კონიაკიც მჩქეფარე — შევსვით,
ამხიარულებს, კი არ ბანგავს, და წყურვილს იკლავს,
სწორედ მუსკატით ამიტომაც ლამაზთა სქესი.
და ღვინო ოდეს თვალთ აგვინთებს თვისსავე ფერად,

გადმოიღვრება მოსწრებული სიტყვაც თავისით,
სახეებს ვნება შეგვიფაკლავს და ჩვენი მზერაც
შეიფერება სხვა სინაზით, სხვაგვარ ხალისით.
მერე ჩაქრება შუქი ნელ-ნელ ჩასული მზისა, —
ზამთრის სიბნელე ეფინება კიდიდან-კიდეს.

და ქალღმერთებიც განშორების მოგვეცემენ ნიშანს.
 და ვტოვებთ დარბაზს და ხმაურით ჩავდივართ კიბეს.
 ბრმად მინდობილა ვინც თავის ბედს, მხოლოდღა იგი/
 მაშინ დაიძვრის, ფარაონი როს ნიშანს აძლევს, —
 და ისიც — ვით შუბს ვინაც ხმარობს ჯიქს, ბილიანდის, —
 სპილოს ძვლის ბურთებს დააგორებს მაუდზე მარჯვედ.

დღე მხიარული, თმას გაიშლის როს ღამე ბნელი,
 როს სასახლეში გაფანტავენ სანთლები ნკვარამს,
 მაშინ მთავრდება და ქუჩებში მერე უთვლელი
 მარხილი რანდავს გაყინულ გზას ხუშტარის დარად.

შენიშვნები

- 1 დრიადა — ბერძ; ხეთა დამცველი ფერია. ძველი ბერძენთა წარმოდგენით ყოველ ხეს თავისი დრიადა ჰყავს. ამ კულტის წარმოშობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მეხილეობა-მევენახეობის განვითარებასთან.
2. ფავნუსი — ლათ; ტყეთა და მინდორთა რომაული ღვთაება, მწყემსთა და ფარათა, აგრეთვე მიწის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის მფარველი.
- 3 პლუტოსი — ბერძ; სიძლიდრის ბერძნული ღვთაება.
- 4 ცერერა — ლათ; მინდვრების, მიწათმოქმედებისა და ხორბლის მარცვლის მფარველი რომაელი ღმერთქალი.
5. ქარიტები — ბერძ; თავიდან ნაყოფიერების ღმერთქალებად ითვლებოდნენ, მოგვიანებით კი სილამაზის, მხიარულებისა და მიმზიდველობის ღმერთქალებად აღიარეს.





თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

მე მებრალება ის ფანჯრები, ქარაშოტის ჟამს
რომ ზრიალებენ და ყველაზე უფრო უადრეს
რომ გრძნობენ, ელვამ თაღზე რკალი როგორ მონიშნა
და მეხთატეხამ რაფებს როგორ გადაუარა.

ყველაზე ადრე იმათ მინის გაკანრულ ღანვებს
სცვივა ცრემლი და სეტყვა უშენს მწარე შოლტივით,
და ვიდრე წვიმა აცეკვდება ფრიალა ქარზე,
ქარი გარბის და ფანჯრის მინა უკან მოსტირის.

ო, მათ უწყიან ქარაშოტთა წყვეტილი რიტმი,
წყვდიადის ღელვა, ვით სულთმობრძავ კაცის ყვირილი,
უწყიან ენა სტიქიისა, ზემოთ და ირგვლივ,
და ღამის ნესტი აჰკრობიათ თვალზე ლიბრივით.

მაგრამ როდესაც ქარაშოტი დაუძრახველი
წალექავს რისხვით თავის შავბნელ, პირქუშ ამაღას,
მათ ველარ იცნობთ — უსუსურთ და სევდაგამხელილთ,
მათი თვალები ქარაშოტმა დაასამარა.

ჩემო ლექსებო, ამ ფანჯრების ზედმინწევითი
ასლი ხართ, რადგან ამ ქარიშხლებს და ქარაშოტებს
ჩემი არსების ღრმა წიაღში მეც მივდენიდი
და ჩემი სული მათ გალოპრეს და გადაშოლტეს

ინვით და თრთიხართ და ესწრებით ქართა დღეობას,
მაგრამ ეს თრთოლვა გასრულდება, როგორც ზღაპარი,
და ის კი, ვინაც თავად მოკვლით გექადნებოდათ,
დაეკიდება თქვენს კისერზე სულის მღაფავი.

უკვე ქალღმერთს გადასულნი, ურიცხვ სიმრავლეს
ადამიანთა თქვენ გახედავთ თქვენივ ჭამზერით,
თითქოს ღრუბელნი უშავესი სადღაც მილალეს
ქარიშხლებმა და აღარ ქრიან ქარნი ავზნენი.



ქველპარქნულიდან თარგმნა ვიორგი ხოხარიკია

წინასიტყვა

როდესაც 90 წელს მიღწეული სოფოკლე მშვიდად მიეხარა ქალაქში და ისევ სცემდნენ მას თაყვანს, როგორც თავიანთ მფარველ ღვთაებრივ გმირს.

პოეტის ამგვარი გაღმერთება ერთობ იშვიათი იყო ძველ საბერძნეთში. ასეთი ხვედრი მხოლოდ რანდენიმე პოეტს ერგო წილად: ჰომეროსს, არქილოქოსსა და ესქილეს. სოფოკლეს შემთხვევაში ამ ფაქტს თავისი მიზეზი ჰქონდა საფუძვლად. საქმე ის გახლავთ, რომ იგი თავისი ღრმა რელიგიურობითა და შემოქმედებით ფრიად გამორჩეული და განსაკუთრებული პიროვნება იყო ბერძენთათვის. სოფოკლეს სულიერი სიდიადის უთუო დასტურია ის შვიდი ტრაგედია და მრავალი მცირე ფრაგმენტი, მისი 120-ზე მეტი დრამიდან რომ შემოგვრჩა დღესდღეობით. ამისივე საბუთია სოფოკლეს ცხოვრებაც.

სოფოკლე, ძე სოფილოსისა, დაიბადა დაახლ. 496 წ. ქრისტეს დაბადებამდე. დაიბადა იგი ათენის განაპირა დემოსში, რომლის სახელი კოლონოსი გახლდათ. თავისი მაღალი არისტოკრატიული ჩამომავლობით სოფოკლე ასკლეპიოსის ქურუმთა კასტას ეკუთვნოდა. როგორც ამ მკურნალი და განმარდებელი ღმერთის ქურუმი, იგი ჰერაკლეს კულტსაც დაუახლოვდა. ამდენად, სოფოკლეს უშუალო საკრალური მიმართება აკავშირებდა ორ ღმერთთან, რომელთა უზენაესი ფუნქცია აღამიანთაგან სიკვდილისა და ბოროტი ძალების განრადებაში მდგომარეობდა. ერთიცა და მეორეც ელინთა უმთავრესი ღმერთების ძენი იყვნენ: პირველი — აპოლონისა, მეორე კი — ზევსისა, ამდენად, სოფოკლეს სულისა და გონების გზა ზევსისა და აპოლონის სიბრძნეში იღებს დასაბამს.

ყოველივე ამის შემდეგ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ბერძნებმა თავიანთი დიდი პოეტი, მისი უდრტვინველი, საოცრად პარმონიული ცხოვრებისა და შემოქმედების გამო, ქეშმარიტად ღმერთშემოსილ და წმინდან აღამიანად შერაცხეს. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც — ამქვეყნიურ უბედურებათაგან განრიდებულსა და სვებედნიერ ცხოვრებას ხელი არ შეუშლია სოფოკლესათვის, რათა იგი თავისი ზეგანბრძნობილი გონების წყალობით აღამიანის სულიერი დისპარმონიისა და ტრაგიზმის უშინაგანეს შრეებსა და მიზეზებს ჩასწვდომოდა. ამას მოწმობენ სოფოკლეს ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიები, რომელნიც აკროპოლისისა და დელფოს ნანგრევებივით შემოგვრჩა მისი გრანდიოზული შემოქმედებიდან. ამას მოწმობს უპირველეს ყოვლისა ტრაგედია „თიღიპოს ტირანი“ და, რაღა თქმა უნ-

და „ოიდიპოსი კოლონოსში“, რომელიც ამ პირველი ტრაგედიის აუცილებელ გაგრძელებას წარმოადგენს (ჩვენში გავრცელებული აზრის საპირისპიროდ).

„ოიდიპოსი კოლონოსში“ სოფოკლეს ბოლო ტრაგედიაა. ეს მართლაც დადებული ქმნილება 90 წლის ასაკში დაწერა სოფოკლემ და დაწერა იგი სკვდოლის პირისპირ მდგარი ბრძენკაცის დაწმენდილი გონებით. პირდაპირ უნდა ეთქვას, დრამატული განვითარებით ეს ტრაგედია მართლაც ჩამორჩება „ოიდიპოს ტირანსა“ და ზოგიერთ სხვა ტრაგედიას, სამაგიეროდ, იგი ბევრად აღემატება მათ თავისი ღრმა რელიგიური სულისკვეთებით, იდეალური სიბრძნისაკენ მისწრაფებითა და მისტერიული ტექტონიკით.

თუკი კათარზისის არისტოტელესეულ თეორიას გავიხსენებთ, ერთი რამ უნდა აღინიშნოს უთუოდ: სოფოკლეს ჩვენამდე მოღწეული შვიდი ტრაგედიიდან ამ ტრაგედიას ყველაზე მეტად შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის კოსმიური კათარზისის ტრაგედია. „ოიდიპოსი კოლონოსში“ მთლიანად მისტერიათა კათარტიკული რიტუალის პრინციპზეა აგებული. მასში იწმინდება არა მარტო თეოდიპოსი (მამის-მკვლელიდან წმინდანამდე), არამედ კაცობრიობის უდიდესი იდეები, მამისმკვლეელი და ღმერთს შეურჩეული თეოდიპოსი ამ ტრაგედიაში უძღვები შეილივით უბრუნდება თავის ზეციურ მამას და ჩვენ წინაშე ტრაგედიის იდეალურ სიმბოლოთა ენაზე ხდება ადამიანის ღმერთთან შერიგების საკრალური აქტი. აქედან, ჩვენი აზრით, უფრო მეტად არის გასაგები, თუ როგორ განიცდიდა სულიერ კათარზისს ამგვარი ტრაგედიის მოწმე ბერძენი მაყურებელი. ალბათ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ სოფოკლეს ეს ტრაგედია თავის იმაგინაციურ პლანში სიმბოლოთა ამოკითხვის ისეთივე გზით უნდა იქნეს აღქმული, როგორც თავად ძველი აღთქმის წიგნები. თეოდიპოსის მთელი დრამატული მითი აგებულია მიკრო- და მაკროკოსმოსის მეტამორფოზული განვითარების უზოგადეს სტრუქტურაზე: ქაოსი — კოსმოსი — ლოგოსი. ეს უნივერსალური მოდელი მითის თვით უმცირეს ნაწილებშიც იჩენს თავს. ხოლო ეს უკანასკნელი ელემენტები ერთმანეთს ეხმიანებიან, მოტივთა რეზონანსში მოპყავთ ერთმანეთი და თავიანთი ავტონომიური მთელის სპირალურ გზაზე ქმნიან მითის ერთიან აკორდულ სტრუქტურას.

მეტად მნიშვნელოვანია ის საკითხიც, თუ რა როლი ენიჭებოდა მითს სოფოკლეს შემოქმედებაში. ამაზე ორიოდ სიტყვით შემდეგს ვიტყვით: სოფოკლეს როლი იყენებს მითს, იგი თავად მონაწილეობს მითის დრამატულ ქმნალობაში და როგორც გარკვეული იმპერსონალური მითო-პოეტური სათქმელის მატარებელი ქურუმი-პოეტი, თავისი პოეტური იმაგინაციებით მითში არსებული მეტამითოლოგიური და იდეალური სიბრძნის ესთეტიკური გახსნისათვის იღწვის.

„ოიდიპოს ტირანსი“ (ანუ, როგორც ამბობენ, „ოიდიპოს მეფე“) სამგზის ითარგმნა ქართულად. უფრო მეტგზის იგი ქართველი რეჟისორების მიერ დაიდგა საქართველოში. ეს მეტად გასაგები და სასიხარულო ფაქტი მეორე, მეტად გაუგებარი და სამწუხარო ფაქტის წინაშე გვაყენებს დღეს. საქმე ის არის, რომ თეოდიპოსზე დაწერილი სოფოკლეს მეორე ტრაგედია, „ოიდიპოსი კოლონოსში“ დღემდე არ მოქცეულა ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების სფეროში. აქედან უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ ვართ იძულებულნი ამ დადგმებს „უქმარი“ დადგმები ვუწოდოთ. „ოიდიპოსი კოლონოსში“ იმ ტრაგედიას წარმოადგენს, რომლის გარეშედაც ყოველად შეუძლებელია „ოიდიპოს ტირანსისა“ და „ანტიგონეს“ გაგება და დადგმა. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ტრაგედიები როდია მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური ნაწარმოებები, ისინი ბიბლიური ტექსტების დარი აზრისეული სიღრმითა და სიმბოლურობით არიან განმსჭვალული და თვითიველი მათი სიტყვისა და პასაჟის გასაგებად, სულ ცოტა, სხვა ტრაგედიების დაწვრილებითი ცოდნა არის საჭირო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ ტრაგედიაში თეოდიპოსის ამქვეყნიური აღსასრულია გადმოცემული. ხოლო თეოდიპოსის აღსასრული ის აუცილებელი გასაღებია, რომელმაც მის დასაბამთან ერთად უნდა გავიხსნას მისი ფუნდამენტის არსი. ჩვენი აზრით, დროსა და სივრცეში არსებული ყოველი მოვლენის არსი ამ მოვლენის დასასრულითა და დასაბამით უნდა შეიცნოს ადამიანმა.

განა შეიძლება ქრისტეს ღვთაებრივი არსის აღქმა, თუკი მისი დაბადების, ჯვარცმისა და აღდგომის აქტს დავივიწყებთ?

„ოიდიპოსი კოლონოსში“ სოფოკლეს შემოქმედების სტიქიური წყალობა და მისი პოეტური გზის ერთგვარი გასაღებია.

ჩვენ შევეცადეთ ზუსტად და ნათლად გადმოგვეცვათ მისი მხატვრული აზრობრივი სპეციფიკა.



ბ. ხოშორიაძე

დრამის მოქმედი პირობი

ოიდიპოსი	თესევსი
ანტიგონე	აკომნტი
უცხო	პოლინიკა
ახიკელ უხუცესთა კორო	მაცნე
ისმენე	

პ რ ო ლ ო ბ ი

- ოიდიპოსი — ო, ანტიგონე, უსინათლო მოხუცის შვილო, სადა ვართ ნეტავ ან რომელი ხალხის ქალაქთან?
- ანტიგონე — ნეტავ დღეს ვინღა შეივრდომებს მცირე წყალობით მწირ ოიდიპოსს, მცირეოდენს მოითხოვს იგი უცხო ხალხისგან, უფრო მცირეს ღებულობს მათგან, თუმცაღა ჩემთვის ეს მცირედიც კმარა სრულიად. მე ხომ სიყვარულს და დათმენას მასწავლის ტანჯვა, ხანგრძლივი უამი და მესამეც — დიდგვაროვნება. თუმცაღა, შვილო, თუკი ახლო ან კიდევ სადმე წმინდა ქალაში ჩამოსაყდომს ხედავ რამეს, შემარჩერე და იქ ჩამომხვი, უნდა გავიგოთ, სად ვიშყოფებით; უცხონი ვართ და საჭიროა ვიკითხოთ, როგორ აღვახრულოთ ამ ქვეყნის წესი.
10. ანტიგონე — მრავალტანჯულო ოიდიპოს, ძვირფასო მამა, შორიდან ვხედავ, გოდოლები არტუია ქალაქს, ეს ადგილი კი, ცხადი არის, წმინდაა მართლაც, წეთისხილითა, დაფნითა და ვაზით მდიდარი, და ბუღბუღლებიც საამურად გალობენ უველგან, ამ მჭიხე ქვაზე აჭობებდა როგოთქვა ხული, მოხუცინათვის მეთისმეტად გრძელი გზის შემდეგ.
20. ოიდიპოსი — ახლა დამხვი და თვალდაშრეტილს მცველად დამიდექ. ანტიგონე — კარგა ხანია არ მჭირდება ამის სწავლება. ოიდიპოსი — მაინც სადა ვართ, შევიძლია გამაგებინო? ანტიგონე — თუმც ვხედავ ათენს, ამ ადგილის სხვა არრა ვიცი.
25. ოიდიპოსი — ამას ხომ უველა მოგზაურიც გვეუბნებოდა? ანტიგონე — წავიდე სადმე, გავიკითხო, რა ადგილია? ოიდიპოსი — მთ, ჩემო შვილო, თუკი სახლობს ვინმე მახლობლად. ანტიგონე — სწორედ აგრეთა; არ გვჭირდება არავის ძებნა; ვხედავ, რომ ვილაც უცხო კაცი გვიახლოვდება.
30. ოიდიპოსი — აქეთკენ მოდის? თანაც უკვე ახლოა ჩვენთან? ანტიგონე — ის კაცი უკვე ჩვენთან არის, ასე რომ, მამა, რაიმე თუ გაქვს საკითხავი, აგერ დგახ, — ჰკითხე. ოიდიპოსი — ო, უცხო კაცი, შვილისაგან, რომლის თვალები ჩვენ ორის ნაცვლად ქვრეტენ ნათელს, მე გავიგონე.



- 35 რომ აქ მოსულხარ ჩემდა ბედად, იქნებ გვაუწყო...
 უცხო — ხანამდის რამეს შეიტყობდე, მანდედან ადექ,
 ნება არა გაქვს, რომ ამ წმინდა ადგილს შეებო.
 რიდიკოსი — რა ადგილია ეს ადგილი ან რომელ ღმერთის?
 უცხო — წმინდა არის და უკაცური, რადგან გეას და
- 40 სკოტოსის სასტიკ ქალიშვილებს უბურია იგი.
 რიდიკოსი — თქვი, უცხო კაცო, რა სახელით ვევედრო უკვდავთ?
 უცხო — ყველაფრის მცოდნე ევმენიდებს უხმობენ იმათ
 აქაურები, სხვა სახელით უხმობენ სხვებიც.
 რიდიკოსი — მაშ, გულმოწყალედ მიმიღებენ მათ მავედრებელს,
 და არც არასდროს წამოვდგები ამ ადგილიდან.
- 45 უცხო — რად ამბობს ამას?
 რიდიკოსი — ასეთია ბედის ნიშნება.
 უცხო — არა, მართლაცდა ვერ გავბედავ მე შენს გაგდებას,
 მოქალაქეებს თუ არ ვკითხე, როგორ მოვიქცე.
 რიდიკოსი — გაფიცებ ღმერთებს, უცხო კაცო, ეგზოს უპოვარს
- 50 ნუ დამჩაგრავ და ერთ კითხვაზე გამეც პასუხი.
 უცხო — კითხე, არაფრით არ შევლახავ მე შენს ღირსებას,
 რიდიკოსი — რა ადგილია ეს ადგილი ან რომელ ღმერთის?
 უცხო — ყველაფერს წვრილად მოგახსენებ, რაც თავად ვიცი,
 წმიდათაწმიდად იწოდება ადგილი ესე —
- 55 დიდი ტიანის, ცეცხლოსანი პრომეთესის და
 პოსეიდონის წილხვედომილად ხმობილი მიწა.
 ადგილი, შენ რომ ფეხით თელავ, რვალის ზღურბლია
 ჩვენი მიწისა და დიადი ათენის ფუძე.
 დიდად ამაუობს გარეშემო ყოველი ველი
 მათი მფარველი კოლონოსით, ცხენთა მბედნელით,
- 60 ამდაც მისას ატარებენ სახელს ყველანი.
 აი, სადა ხარ, უცხო კაცო, ეს ჩვენი მხარე
 სიტყვით კი არა, საქმითაა პატივგებული.
 რიდიკოსი — სახლობს თუ არა კაცის ტომი ამ ადგილებში?
 უცხო — რაღა თქმა უნდა, და სახელიც ამ ღმერთისა მქვია.
- 65 რიდიკოსი — მეფე ვინაა, იქნებ ძალა ხალხსა აქვს თავად?
 უცხო — ქალაქში მყოფი ბახილევსი მართავს ამ მხარეს.
 რიდიკოსი — ვინ არის იგი, ვინაც მართავს სიტყვით და ძალით?
 უცხო — თესვესს უხმობენ დიდებული ეგევსის ნაშობს.
- 70 რიდიკოსი — იქნებ მალემსობოლს გაგზავნიდით იმასთან ვინმეს?
 უცხო — მო, მაგრამ რისთვის, იმისთვის, რომ შენთან მოვიდეს?
 რიდიკოსი — მცირედით შემწემ სარგებელი რომ ნახოს დიდი.
 უცხო — რა სარგებელი უნდა ნახოს ბრმისაგან მეფემ?
 რიდიკოსი — რასაც კი ვამცნობთ, მიუმცდარად ვეტყვით ყველაფერს.
- 75 უცხო — რომ არაფერი არ შეგემთხვეს, აქ დამელოდე,
 ბედკრულო კაცო, თუშც, როგორც ჩანს, კეთილშობილო.
 სადაც მე გნახე, მანდვე დარჩი, მე კი წავალ და
 განა თუ თავად ათენელებს, ჩემსავე სოფლელთ
 ვეტყვი ყველაფერს, ისინი კი უკეთ განსჯიან,
- 80 აქ დაგტოვონ, თუ გაგაბრუნონ კვალადვე უკან.
 რიდიკოსი — წავიდა ჩვენგან უცხო კაცი? მითხარი, შეილო,
 ანტიპონა — წავიდა იგი, ყველაფერი რიგზეა, მამა,
 თქვი, რაც გენებოს, შენთან ისევ მხოლოდ მე დავრჩი.
 რიდიკოსი — მწერასასტიკნო შეუფენო, უპირველესად
- 85 თქვენდამი ღოცვად მოვდრეკილვარ მე ამ მიწაზე,
 ნურც ფეხოსის და ნურც ჩემ მიმართ იქნებით მკაცრნი;
 სწორედ მან მითხრა, დაითმენო მრავალ სატანჯველს,



და აღსახრულიც ამნაირი მითხრა წინასწარ.
 მითხრა, რომ ბოლოს მივალწივდი ქვეუანას, ხადაც
 90 წმინდა ლოდებზე დავჭდებოდი და ქვეუანის მკვიდრთა
 თავშესაფარსაც ვიპოვიდი. აქ მოვრჩებოდი
 ტანჯულ სიცოცხლეს. შევმრდომებელს მადლს მივაგებდი,
 იმით კი, ვინაც გამაგდებდა — ათას სიავეს.
 მომასწავებნი ეგ ნიშნებიც აღმითქვა ღმერთმა:
 95 მიწისძვრა ანდა მუხის გრგვინვა ან ზევსის ელვა.
 ახლა კი მართლაც კარგად ვხვდები, რომ ამ ჩემს გზაზე
 განა სხვარიგად. ისევ თქვენი წმინდა ნიშნებით
 შემომიყვანეთ დვთაებათა ამ წმინდა ტევრში,
 დვინის მოძულეთ არასოდეს არ შეგხვდებოდით
 100 მე თქვენ პირველებს, მე — თავადაც მუდამ ფხიზელი,
 ო, არც ან ქვაზე დავჭდებოდი, მაგრამ, ღმერთქალნო,
 დეე, მიბოძეთ აპოლონის მიერ აღთქმული
 აღსახრული და იღუმალი გარდაცვალება,
 უკეთუ ნაკლებ ღირსეულად არ მთვლით ამისთვის
 105 მე კაცთა შორის უსასტიკეს ტანჯვათა მნახველს.
 ძველი სკოტოსის ტკბილო შვილნო, შემიბრალებდეთ,
 შემიბრალებდეთ შენც, პალლასით სახელდებულო
 ყველა ქალაქზე უწმინდესო დიდო ათენო,
 შემიბრალებდეთ ოიდიპოს მეფის საბრალო
 110 აჩრდილს; რამეთუ არსადღაა ძველი სხეული.
 ანტიპონე — იუუჩე, მამა, კარგად ვხედავ, შენს სანახავად
 აქეთკენ მოდის უხუცესთა უცხო კრებული.
 ოიდიპონი — მე გავჩუმდები, შენ კი, მოდი, გადამიყვანე
 გზიდან ჭალაში, ვიდრე მათგან არ გავიგონებ,
 115 თუ რას იტყვიან, აკი სწორედ ცოდნა იძლევა
 იმის პირობას, ფრთხილად ვიყოთ ყოველ საქმეში.

კ ა რ მ დ ო ს ი

ს ტ რ ო ფ ი

კორკო — შეხედე. ნეტავი ვინ იყო, სად გაქრა?
 120 აქედან ნეტავი საითკენ წასულა იგი — კადნიერთა
 შორის ყველაზე კადნიერი?
 ეძებე იგი თვალებით,
 ყოველგან მიაპყარ სმენა,
 უარიბი,
 125 ვილაც მოხუცი უარიბი — იგი
 უცხოა ალბათ; ამ წმინდა ტევრში
 ვერ შეხედავდა შესვლას ჩვენგანი,
 ამ დაუძლეველ ასულთა შორის,
 რომელთა სახელის გვაშინებს ხსენებაც.
 130 გვერდს ვუვლით რომელთ და თვალსაც ვერ ვუსწორებთ,
 უხმოდ, უსიტყვოდ ჩავუვლით მხოლოდ,
 ხულში კრძალული აზრით სავსენი,
 ახლა კი ვილაც მოსულა აქ და
 წესი შეუღაზავს,
 135 თუმც უველგან ვეძებე მე იგი თვალებით,
 აქამდე არ ძალმიძს,
 გაგება იმისა, სად არის იგი.

სისტემა ა



- მილიკოსი — აქა ვარ ის კაცი, რამეთუ ხმით ვხედავ:
როგორც ამბობენ.
- 140 ქორთ — ვაგლახ, ო, ვაგლახ!
ეგზომ შემზარავი ხილვად და სასმენად.
მილიკოსი — ამას გთხოვთ, უცხოხო, ნუ ჩამთვლით მკრეხელად.
- 145 ქორთ — მფარველო კრონიდოს, ვინ არის ეს კაცი?
მილიკოსი — ისა ვარ, ვის ხვედრსაც არავინ ეტყოდა
კარგსა და ბედნიერს, ამ მიწის პატრონო,
ხონ ცხადზე ცხადია, ხომ აღარ ვივლიდი
მე სხვისი თვალებით.
ან თავად წლოვანი ამ ბაღლის წყალობით?

ანტიკროფი ა

- 150 ქორთ — ვაგლახ, ო, თვალებით სინათლე-დამქრალო,
ო, ნუთუ ეგეთი ბედშავი შობილხარ? ვხედავ, ცხოვრება
გრძელი გაქვს განვლილი და მძიმეც
თუმცაღა რამდენადაც ძალშიც,
ვინცდები არ შეგმატო ტანჯვა.
- 155 შედიხარ,
შედიხარ, მაგრამ ჯობს არ შეხვიდე
მდუმარე ტევრის სიღრმეში, სადაც,
მწვანე ბალახით მორთულ მდელოზე
წმინდა კურკელი ერთურთს შეურევს
- 160 თაფლიან სასმელს და წყალს ნაკადულისას.
ო, იმათ ერიდე, ბედშავო უცხოვ,
განვედ, გაშორდი ამ ადგილს ჩქარა,
დიდი მანძილი იქმნას ჩვენს შორის.
- 165 ხომ გაიგონე, ტანჯულო მწირო?
ან იქნებ ის გინდა,
ქასუხი მომიგო, მაშ მოდი აქ დადექ,
იქ, სადაც ყველას აქვს
უფლება დგომისა, მანამ კი დადუმდი.

სისტემა ბ

- 170 მილიკოსი — რა მოვიფიქროთ, რაღა ვქნათ, შვილო?
ანტიკონე — რაც ამათ სწადიათ, ისა ვქნათ, ძვირფასო,
დავუთნოთ, რაცა ხამს, ვისმინოთ ამათი.
მილიკოსი — მაშ, ხელი მომკიდე.
- 175 ანტიკონე — მე უკვე გეხები.
მილიკოსი — თქვენდამი დანდობილს და თქვენთან გადმოხუღს,
ნურაფერს დამაწევთ, უცხოხო, უკეთურს.

სტროფი ბ

- 180 ქორთ — ვერვინ, ვერასდროს ვერ განგდევნის ძალმომრეობით,
მოხუცო კაცი, ამ ლოდებიდან.
მილიკოსი — კმარა თუ არა?
ქორთ — უფრო წინ მოდექ.
მილიკოსი — კიდევ...
ქორთ — ქაღწულო, წინ გამოუძებ.



შენ ხომ უველაფერს კარგად ხედავ.
 ანტიგონე — მომენდე, მამა, გაგიძღვები და
 ბრმა ნაბიჯებით გაშომე უკან.
 ოიდიპოსი —
 ანტიგონე —
 ოიდიპოსი —
 ქორო — უცხოვ უცხოთა შორის, ტანჯულო,
 გადაწყვიტე და ზიზლით განაგდე
 ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი,
 ხოლო მისაღები შეიყვარე.

185

ს ი ს ტ ე მ ა ბ

ოიდიპოსი — იქ, წამიყვანე, ჩემო ძვირფასო,
 სადაც ღვთისმოსავ ზრახვით განმსჭვალულთ თქმაც შეგვეძლება
 და საძახუბო სიტყვის მოსმენაც.
 ნუ შევეურჩებით უცილოდ მოსახდენს.

190

ა ნ ტ ი ს ტ რ ი თ ე ბ

ქორო — აქეთ წამოდი, შეჩერდი და ამ ლოდის ძგიდეს
 ნულარ გახცდები, ბედკრულო კაცო.
 ოიდიპოსი — აქ ვიყო?
 ქორო — აკი, გითხარი, კვარა!
 ოიდიპოსი — ვიდგე თუ დავჯდე?
 ქორო — ლოდზე დაჯექი.
 და დაბლა გვერდზე დაიხარე.
 ანტიგონე — მამა, მომენდე, მშვიდად და წყნარად
 ნაბიჯი შენი მიადგი ნაბიჯს.
 ოიდიპოსი — ვაგლახ, ო, ვაგლახ.
 ანტიგონე — შენი ხუსტი და მოხუცი ტანით
 ხელებს მიენდე მოხიყვარულეს.
 ოიდიპოსი — ო, შიშიე ხვედრო!
 ქორო — ბედკრულო, ახლა, როცა დამშვიდდი,
 გაბედე, გვითხარ, ვინ გშობა ქვეყნად,
 აქ რამ მოგიყვანა აგრერიც ტანჯული,
 რას მოგვიყვები შენს სამშობლოზე.

195

200

205

ე პ ო დ ო ს ი

ოიდიპოსი — ო, უცხო კაცო,
 გამომაძევეს, ოღონდ... ო, ოღონდ...
 ქორო — მაინც რას გვიკრძალავ, მოხუცო კაცო?
 ოიდიპოსი — ო, მეტად ნულარ, ნულარ ეცდები,
 ვინაობაზე მკითხო რაიმე.
 ქორო — ვინა ხარ მაინც?
 ოიდიპოსი — ჩემი მოდგმა შემზარავია.
 ქორო — გვითხარი!
 ოიდიპოსი — ღმერთო, რა ვუთხრა, შვილო?
 ქორო — თქვი, უცხო კაცო, ვისი თესლის ხარ.
 იხიე გვითხარი, ვინ გშობა ქვეყნად.
 ოიდიპოსი — ვაიშე, ბედშავს, რაღა ვქნა, შვილო?
 ანტიგონე — უკვე ზღურბლზე ხარ, უთხარი, მამა.

210

215



- 220 რიდიკოსი — კეთილი, ვეტყვი, ველარც მე ვმაღავ.
 ძორო — ნულარ აუოვნებ, ჩქარა გვითხარი.
 რიდიკოსი — ლაიოსის ძე თუ იცით?
 ძორო — ვაგლახ!
 რიდიკოსი — ძე ლაბდაკიდთა გვარისა?
 ძორო — ვაგლახ!
 რიდიკოსი — ოიდიკოსი?
 ძორო — ზენ ხომ არა ხარ?
 რიდიკოსი — ნუ შეგაშინებთ, რასაც მე ვეტყვით.
 ძორო — ვაგლახ, ო, ვაგლახ!
 რიდიკოსი — მე ბედშავს.
 ძორო — ვაგლახ!
- 225 რიდიკოსი — ახლა რაღა ვქნათ, მითხარი, შვილო?
 ძორო — წადით, გაშორდით ამ მიწას ჩქარა.
 რიდიკოსი — ვით აღასრულებ, რასაც შემპირდი?
 ძორო — ბოროტ წუენაზე შურისძიებას
- 230 აროდეს დასჯის, იცოდე, ბედი.
 ტუილს სანაცვლოდ ტუილშიგებულს,
 ტანჯვა თუ მოაქვს მისი მთქმელისთვის.
 ადექ, გაშორდი მაგ ადგილს ჩქარა,
 განვედ, შორს წადი ჩვენი მიწიდან;
- 235 რამე ახალი კირი
 თავს არ დაატეხო ქალაქს.
 ანტიპონი — წყალობით სავსე უცხოტომელნო,
 ბოლომდე აღარ მოისურვეთ, არ მოუსმინეთ
 ჩემს მოხუც მამას. არ ისურვეთ, რადგან შეიტყვეთ,
 შეიტყვეთ ეგზომ უნებლიე მისი ცოდვები.
- 240 და აი, ახლა მე შეგთხოვთ ბედკრული,
 მე მაინც შემიხედეთ, ამ ერთის მთხოვნელი,
 მამა შეიბრალოთ ჩემი.
 ო, გვედრებით. თავად შენ კი ჩემი თვალებით
 ისევ გიცქერ მაგ თვალებში, თითქოს თქვენივე
 სისხლისა ვიყო რომელიმე, შეიწყალებ
 საბრალო მამა, ვით ღვთის ხელებში,
 სწორედ ისე ვართ თქვენს ხელში ახლა.
 თუმც არც კი ველით, გადმოგვხედეთ წყალობის თვალით.
- 250 გავედრებ შენთვის უსაუვარლეს ბავშვს და მეუღლეს,
 ქონებასა და კერის ღმერთსაც გავედრებ ცრემლით,
 გიხილავს განა, მოკვდავი კაცი
 ღმრთისგან მონიშნულ
 ბედს გამქცეოდეს?

პირველი ეპისოდირი

- 255 ძორო — ოიდიკოსის ქალიშვილო, კარგად იცოდე,
 ეგზომ ბედშავნი, გვებრალები შენაც და ისიც.
 მაგრამ დიადი და უკვდავი ღმერთების შიშით,
 რაიც გითხარით, იმაზე მეტს ვერაფერს ვეტყვით.
 რიდიკოსი — რა სარგებელი შეუძლია რომ მოიტანოს
 ხალხში დარბეულ დიდებას და მშვენიერ სახელს?
 260 ამბობენ თითქოს ქალაქებში ათენიანო
 უველაზე მეტად ღვთისმოსავი, მას თუ ძალუძსო,
 შეიფაროს და მიეშველოს ბედკრულ უცხოელს.



- ნეტა სად არის ჩემდა მომართ ეხე ყოველი.
 თუკი ამ წმინდა ფუძეთაგან მაყენებთ ახლა
 და შორს მადევრებთ სახელისგან შეშინებულნი.
 245 განა საქმისგან ან თვით ჩემგან. მე ჩემ საქმეებს
 დათმენილს უფრო დავარქმევდი, ვიდრე ჩადენილს,
 თქვენ რომ ის გსურდათ დედ-მამაზე შეთქვა რაიმე.
 მე კარგად ვიცი. მათ გამოა ეგ თქვენი შაში.
 270 მაინც, როგორ ვარ მე ბუნებით ბოროტი ნეტავ,
 თუკი საქმიითვე ვუპასუხე ჩადენილ საქმეს?
 გააზრახ რომ მექნა, ამგვარადაც არ ვიქმდი ბოროტს.
 თქვენთა მოსული — არრასმცოდნე მოვსულვარ ხულაც,
 ნათგან კი, სწორედ მცოდნეთაგან, ვევენე ესოდენ.
 275 სწორედ მათ ვაწო ვდგავარ ენლა თქვენს წინ, უცხოონო.
 ღმერთებს ვაფიცებთ, დამიცავით, რაკი შემპირდით.
 ღმერთების წიშით ნურასოდეს შელახავთ მეტად
 უცვდავთა პატივს რამე საქმით; გწამდეთ, ღმერთები
 მოკვდავთა შორის ღირსეულსაც ხედავენ მუდამ
 290 და უღირსებსაც ქვრეტენ მათში. მათგან გაქცევას
 ვეროდეს შეძლებს უსამართლო ვინმე მოკვდავი.
 დე, ნუ ჩაიდენ, ნუ შელახავ უღირსი საქმით
 სვეკეთილი და დიდებული ათენის სახელს,
 არამედ ისე, ვით წიმიღე — ხელშეუხებნი
 285 მავედრებელი — დამტოვე და დამიცავ კიდეც.
 ნუ დამამცირებთ სახილველად ენჯომ შემწარავს;
 ღმერთშემოსილი და წმინდანი მოვსულვარ თქვენთან
 და სარგებელიც დიდი მომაქვს ათენელთათვის.
 როცა მეუფე მოვა ვინმე, თქვენი პატრონი,
 290 მაშინ მოისმენ, ყოველივეს მაშინ გაიგებ,
 ხოლო მანანდე არაფერი არ ჰქმნა ბოროტი.
 ქორო — მოი, მოხუცო, უეჭველი მოწიწების და
 კრძალვის ღირსია შენი აზრი, შენი სიტყვები
 როდი არიან უსრულონი, ისე ვით აღრე.
 295 დე, ამ ქვეყნის მეუფეთა განბჭონ ისინი.
 ოილიკოსი — მაგრამ სად არის ქვეყნის მეფე, უცხოტომელნო?
 ქორო — თავისი მამის და წინაპრის დიად ქალაქში,
 მასაც ეტყოდა მაცნე იგი, ჩვენ რომ შეგვეყარა.
 ოილიკოსი — ო, ნუთუ მართლა მიწყალობებს ეგოდენ ზრუნვას,
 300 რომ ბრმა ბერიკაცს აქ შეახლოს თავისი უცხით?
 ქორო — ძალზე უხვადაც, თუ სახელი უხხენეს შენი.
 ოილიკოსი — მო, მაგრამ ნეტავ ვინ აუწყებს ამ ამბავს მეფეს?
 ქორო — გზა გრძელი არის მტრისმეტად, მაგრამ მგზავრები
 საქმოდ სწრაფად ავრცელებენ სამეფოს ამბებს,
 305 ეტყვიან მას და უმაღლ შენსკენ გამოსწევს იგი.
 შენს სახელს უველა კარგად იცნობს, რაწამს ამცნობენ
 შენ მოგაშურებს, ნებებრად ეძინოს თუნდაც.
 ოილიკოსი — მისი ქვეყნის და თავად ჩემდა საბედნიეროდ
 მოვიდეს იგი — ვინ არ არის თავის მოკეთე.
 ანტიგონა — ო, კრონიდესო! რა ვიფიქრო, ან რა ვთქვა, მამა?
 ოილიკოსი — რა მოხდა, ჩემო ანტიგონე?
 ანტიგონა — ვილაცა ქალი
 აქეთკენ მოდის ეტნურ კვიცზე ამხედრებული,
 თესალიური ქუდი მალავს ქალის პირსახეს
 თავისი ფართე ფარფლისაგან მომდგარი ჩრდილით.
 315 რა ვთქვა?



მართლა ის არის, თუ არ არის, ხომ არ ვტყუვდები?
ხან ამას ვფიქრობ, ხანაც იმას. ვერაფერს ვამბობ.

ბედშავი...

- 820 არა, არ ვცდები. შორიდანვე შეაღებებსა
გაბრწყინებული მისი სახე და მისი მწერა,
ეჭვი არ არის, ჩემს სანუკველ ისმენეს ვხედავ.
ოილიკოსი — როგორ თქვი, შვილო?
ანტიპონა — შენ შეილს ვხედავ, ძვირფასო მამა,
შენ შეილს და ჩემს დას, უკვე ხმებიც გარკვევით მესმის.
ისმენა — ო, რა ტკბილია და ძვირფასი ეს თქვენი ხმები,
- 825 დისა და მამისი ძლივს გიბოვებთ და აი ახლაც
გიუფრებთ თქვენ და ძლივსღა გარჩევთ მწუხარებისგან.
ოილიკოსი — მონვედი, შვილო?
ისმენა — რა ბედშავი უოფილხარ მამა!
ოილიკოსი — შვილო, აქა ხარ?
ისმენა — ჰო, აქა ვარ. ძლივს მოგაღწიე.
ოილიკოსი — ხელი მომკიდე!
ისმენა — შა, ორთავეს გეხვევით, მამა.
- 830 ოილიკოსი — დამ და შვილო!
ისმენა — ცხოვრებამ ეგზომ მძიმეო!
ოილიკოსი — ჩვენ ორზე ამბობ?
ისმენა — და აგრეთვე ჩემს ბედშავ თავზე.
ოილიკოსი — რამ მოგიყვანა მაინც, შვილო?
ისმენა — შენს გამო ზრუნვამ.
ოილიკოსი — ნახვა მოგწყურდა?
ისმენა — ჰო, და თანაც ამბები მომაქვს
ან კაცთან ერთად, უერთგულეს მონად რომ შემრჩა.
- 835 ოილიკოსი — თქვი, შენი ძმები რას იქმონან ან ხად არიან?
ისმენა — სადაც არიან. საშინელი რამ სჭირს ორთავეს.
ოილიკოსი — ჰოი, რაოდენ მსგავსი არის მათი ყოფა და
მათი ბუნება ეგვიპტური ადათ-წესების.
ამ ქვეყნის კაცნი ჩვეულებრივ სახლში სხედან და
ქსელსა ბეჭავენ. ცოლები კი ამნაირ კაცთა
ნიადაგ კარში ირჩებიან სარჩოს ვულისთვის.
- 840 თქვენაც აგრე ხართ; ჩემზე ზრუნვა შეჭფერის ვისაც.
ქალწულებივით ჩაკეტილან თავიანთ სახლში,
თქვენ კი მათ ნაცვლად აზიარებთ ესოდენ მძიმე
ჩემს კუთვნილ ტანჯვას. ამა იგიც — რაწამს ურმობიდან
გამოვიდა და მოიშაგრა ნორჩი სხეული —
ბედშავი მუდამ თან დამყვება და უსინათლოს
მუდამ ერთგულად დამატარებს ტყვისა და ღრეში,
ხშირად ატყდება უხამურს და ულუკმაპუროს
- 850 წვიმების თქეში, ხშირად ტანჯავს მზის სიმბურვალე,
საოცრად მტკიცე — არად აგდებს იგი მშობლიურ
სახლში არყოფნას, ლუკმაპური თუ ექნა მამას.
შენ კი, ო, შვილო, ჭერაც ადრე შენს ბედკრულ მამას
კადმოსეღთაგან იდუმალად რომ მომიტანე
ჩემს ცხოვრებაზე ნამისნევი ქურუმთა სიტყვა, —
ერთგული დარჩი, თებედან რომ გამომაძევეს.
და, აი, ახლა მამისათვის ნეტავ რა სიტყვა
მოგაქვს, ისმენე, სამშობლოდან გრძელი გზით მოსულს?
ტყუილუბრალოდ არ მოსულხარ, მე კარგად ვაცო
ან იქნებ მართლაც არ აპირებ ავის უწყებას?
- 860 ისმენა — თუ რანაირი ტანჯვა ვნახე, ძვირფასო მამა,



- როდესაც შენსას ვეძიებდი ადგილსამყოფელს,
 არ ვეძებო, რადგან აღარა მსურს, გავიხსენო და
 კვლავ განვიცადო ერთგვის უკვე განცდილი ტანჯვა
 მე იმ ამბავთა საუწყებლად მოვსულვარ შენთან,
 შენს ბედუკუღმართ ვაფიქვილებს რომ სჭირთ ამჟამად.
 ჯერ აგრე სურდათ, კრეონტისთვის დაეთმოთ ტახტი
 და მით ახალი ბიწისაგან ეხსნათ ქალაქი.
- საგვარეულო წუევლას კვრეტდნენ და ავბედობას,
 წუევლას, რომელიც გაუხარელ შენს სახლში მკვიდრობს.
 ახლა კი ღმერთთა ნებითა და თვით მათი ავი
 გონების ძალით შულღს მიეცნენ სამგზის ბედშავნი, —
 მმართველობა სურთ და ტირანის ძალაუფლება.
- და, ჰა, ასაკით უმცროსი და გვიან შობილი
 ტახტს ართმევს აღრე დაბადებულ პოლინიკეს და
 შორს განაძევებს სამშობლოდან. და ის კი თურმე,
 ასეთი ხმები გავრცელდა და დაირბა ჩვენში.
 შორეულ არგოსს გაქცეულა. ახალ მოყვრებს და
 ახალ მცგობრებს იძენს თურმე. აგრე ჰგონია,
 ან დაიპყრობსო თვით არგოსი კადმეის დაბლობს,
 ან ისევ თვით მას ატყორცნისო შალალ ზეცაში.
 ფუჭი სიტყვები როდი არის, რაც მე გითხარი,
 არამედ საქმე საშინელი, არ ვიცი, მამა,
 ვით მოუღბებათ შენს ტანჯვაზე გული უკვდავებს.
- ოიდიპოსი — ნუთუ ისევ გაქვს ნუგეში და იმედი, ღმერთებს
 ჩემი თავი აქვთ, რომ ესოდენ ბედშავს მიშველონ?
 ისმენე — უცილოდ, მამა, თუკი ახალ ნამისნს ვენდობით.
 ოიდიპოსი — ჰო, მაგრამ რომელს. რას გვაუწყებს ეს ნამისნევი?
 ისმენე — მას, რომ ოდესმე, თავისათვის საკეთილდღეოდ,
 მკვდარს ანდა ცოცხალს დაგიწყებენ ძებნას თებელნი.
- ოიდიპოსი — ამგვარი კაცი რა სიკეთეს მოვუტან ვინმეს?
 ისმენე — მისნობა ამბობს, შენშიაო იმათი ძალა.
 ოიდიპოსი — ოდეს არცა ვარ, ნუთუ სწორედ ამ დროს ვარ კაცი?
 ისმენე — აღრე დაცემულს კვლავ გაღწევებს უკვდავთა მოდგმა.
- ოიდიპოსი — ურმად დაცემული, მოხუცი სურთ რომ ამაყენონ?
 ისმენე — იცოდე, მამა, რომ კრეონტი განა თუ გვიან, —
 ხულ მცირე ხანში გვახლება ამ საქმისათვის.
 ოიდიპოსი — რა განზრახვა აქვს, რას მიპირებს, ნეტავი, შვილო.
 ისმენე — სურთ, რომ კადმოსის მიწის ახლოს გაცხოვრონ შენ და
 მათ ბელში იყო, ქალაქში კი არროს შეგიშვან.
- ოიდიპოსი — რაც გარეთაა, სარგებელი რაქონის მახში?
 ისმენე — ავი იქნება მათთვის შენი სამარის ტვირთი.
 ოიდიპოსი — ღმრთის გარეშედაც, გონებიოც მისწვდებო ამას.
 ისმენე — ამის გაშლა, ქალაქის წინ რომ სურთ ცაცხოვრონ,
 სურთ, რომ პატრონი აღარ იყო შენი თავისა.
- ოიდიპოსი — მიწას თუ მაინც დამაყრიან ჩემს ქალაქის?
 ისმენე — არ შეიწყნარებს ამას, მამა, დადვრილს ხიხხლი.
 ოიდიპოსი — მაშინ ისინიც ვერ დამძლიებენ ვეღარასოდეს.
 ისმენე — ოდესმე ტვირთად დააწვებათ კადმოსელთ ეგე.
- ოიდიპოსი — ჰო, მაგრამ როგორ, მაინც რისგან, ჩემო ასულო?
 ისმენე — შენი რისხვისგან, შენს საფლავთან რომ დადგებიან.
 ოიდიპოსი — ვისგან შეიტყვე უველაფერი, რაც მე მითხარი?
 ისმენე — დელფოს კერიდან დაბრუნებულ მლოცველებისგან.
 ოიდიპოსი — ფიიბოსმა თქვა, რომ ასეთი მომელის ზეედრი?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- 415 ისმინე — აგრე ამბობდნენ თებეს დაბლობს დაბრუნებულნი.
 თიდიკოსი — ჩემმა ვაჟებმა თუ გაიგეს ამაზე რამე?
 ისმინე — მათაც შეიტყვეს და ორივემ მშვენივრად იცის.
 თიდიკოსი — და მას შემდეგაც, უკეთურთა რა ეს შეიტყვეს,
 ტირანის ტახტზე გადაცვალებს მამაშვილობა?
 420 ისმინე — ტკივილით ვაძბობ თუმცა ამას, მე ზაინც ვაძბობ.
 თიდიკოსი — დაე, ნუროდეს დააქრობენ უკვდავი ღმერთნი
 მათ ბედისმირ შუღლს და მტრობას, დე, თავად ჩემით
 მოცდოს ბოლო მათ შუღლსა და მათ ორთაბრძოლას.
 ბრძოლას, რომელშიც შუბით ლეწვენ ერთმანეთს ძმები.
 425 ისე, რომ არც ის არ გადარჩეს, ვინაც კვერთხსა და
 ტახტსა ფლობს ახლა და არც იგი დაბრუნდეს როსმე,
 ვინც გააძევებს: მათ ხომ ორთა მე — მათი მამა —
 არც კი დამიკვებს, სამშობლოდან მაგლებდნენ ოდეს,
 არამედ სწორედ მათგან ვარ და მათი სიტყვით ვარ
 გაძევებული სამშობლოდან ასე უღირსად.
 430 ეგებბის თქვა, რომ თვით მე მსურდა ეს და ქალაქიც
 ჩემი სურვილის თანახმადვე მოიქცა აგრე.
 არა და არა, სწორედ იმ დღეს და სწორედ მაშინ,
 როდესაც სული მიდუღდა და ოდეს ბორჯნეულს
 დაქოლვა მწადდა და სიკვდილი მიჩნდა საამოდ, —
 435 მაშინ არავინ ამისრულა ეგ ჩემი ნატვრა.
 მერმე კი, როცა დამიამდა მწარე ტკივილი,
 და როცა მოხვდი, რომ უზომო ამ ჩემმა რისხვამ
 უფრო სასტიკად მაზღვევინა, ვიდრეღა ამას
 440 იმსახურებდა შეცდომები, — ქალაქმაც სწორედ,
 სწორედ მაშინღა ნოინდომა ჩემი განკვეთა.
 მათ კი — ღვიძლ შეიღებს, თუმც შეეძლოთ დამხმარებოდნენ,
 არც კი ისურვეს მამისათვის ელონათ რამე.
 სიტყვაც არა თქვეს და მათხოვრად გაჰწირეს მამა.
 445 და, ამა, ჩემი ასულები, რამდენადაც კი
 ბუნება აძლევთ ამის ძალას, მუდამ ცდილობენ,
 ხაფრთხეს მარიდონ და საზრდელი მიშოვნონ მოხუცს.
 ჩემმა ნაქებმა ვაჟებმა კი მშობლის მაგივრად
 ტახტსა და კვერთხს და მიწის მართვას დაადგეს თვალი.
 450 ისინი ვერროს იხილავენ ჩენში თანამდგომს,
 არც კადმეაზე მმართველობა მისცემს სარგებელს
 ოდესმე ისათ, განა მხოლოდ ისმენეს მიერ
 აქ მოტანილი მისნობაა ამის დასტურის
 455 ტერ კიდევ აღრე ფოიბოსმა მამცნო იგივე.
 ახლა კი, დაე, მოშიგზავნონ თუნდაც კრეონტი,
 ანუღა ვინმე სხვა ძლიერი მამრი თებესი,
 რადგან, უკეთუ ისურვებთ და ო, უცხო კაცნო,
 პატიუმოსილი ღმერთქალების კრებულთან ერთად
 460 მოიკრებთ სიმხნეს, დიად მხსნელად აღმავლენთ მაშინ
 ამ მიწისათვის, და მტერთათვის ჩემთა კი — ტანჯვად.
 კორო — მართლაც ღირსი ხარ, თიდიკოს, და შენთან ერთად
 ღირსი არიან სიბრალულის შენი ასულნიც.
 და რაბან სიტყვით გვევლინები ამ მიწის მხსნელად,
 მეც მიხდა ერთი სასარგებლო რჩევა რამ მოგცე.
 465 თიდიკოსი — ჩემო ძვირფასო, უველაფერზე მზადა ვარ ახლა,
 კორო — დაე, განწმენდა აღასრულე ქალღმერთებისთვის,
 ვისთანაც მოხვედ და პატივი შეღაბე ვისიც.
 თიდიკოსი — მო, მაგრამ როგორ, ო, მასწავლეთ, უცხოტომელნო.



- 470 **ჰმრო** — უპირველესად, მარად მედინ წყაროსთვლიდან
საკურთხი წყალი ამოიღე ხუფთა ხელებითა.
მიდიკოსი — მერმე რაღა ექნა, წმინდა ნაკადს ავიღებ ოდეს?
ჰმრო — კრატერებს ნახავ კაცის ხელით მარჯვედ ნაკეთებს,
დაე, თავები და ხურები შეამკე მათი.
მიდიკოსი — შალის ბაბთებით, რტოებით თუ კიდევ სხვა რამით?
475 **ჰმრო** — ახლად შეჭრილი კრავის მატყლით შეამკე მხოლოდ.
მიდიკოსი — კეთილი, მაგრამ ამის შემდეგ რა აღვასრულო?
ჰმრო — წყალი დაღვარე აისისკენ პირშექცეულმა.
მიდიკოსი — იმ კურჭლებიდან გადმოვღვარო, შენ რომ მითხარი?
ჰმრო — საშივეთაგან, მესამე კი სრულად დასცალე.
480 **მიდიკოსი** — რითი შევავსო ის კრატერი, მასწავლე ეგვიტ-
ჰმრო — წყლითა და თაფლით, ოღონდ ღვინოს ნუღარ გაურევ-
მიდიკოსი — და როცა სითხით გაჭერდება მუქ-მწვანე მიწა?
ჰმრო — ორივე ხელით ზეთისხილის სამეზის ცხრა ტოტი
ზედ დააწყვე და ამნაირით ილოცე ღოცვით.
485 **მიდიკოსი** — სწორედ ეგ მინდა მოვისმინო უველაზე მეტად.
ჰმრო — „მათ, ვისაც ვუხმობთ გულმოწყალებთ, დაე, გულით და
დაე, წყალობით შეიწყნარონ მავედრებელი!“
გინდ შენ მავედრე ან შენს ნაცვლად სხვა იყოს თუნდაც,
ხმის აუწევლად, ჩუმად წართქვი ღოცვის სიტყვები.
490 ნუ მოიხედავ, ასე ჩუმად წამოდი უკან.
შეგწედ გეგწნები, ადასტულებ უკეთუ უოველს.
სხვარიც კი, შეში თუ შეგწნება შენს გამო მხოლოდ.
მიდიკოსი — გესწით, შეიღებო, რა გვაუწყებს აქაურებმა?
ანტიგონე — გავიგეთ, მამა, მამ, გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ.
495 **მიდიკოსი** — თვით მე ვერ წავალ, რადგან ორი უბედურება —
უსინათლობა და სისუსტე — თან ნახლავს მუდამ.
დეე, თქვენგანმა აღასრულოს იგი ერთ-ერთმა,
რამეთუ ეფიქრობ, რომ ათასის ნაცვლად თვით ერთი
სულიც იკმარებს, თუ ერთგული იქნება საქმით.
500 თუმცაღა ახლა აქობებს, რომ ვიჩქაროთ, მე კი
ნუ მიმატოვებთ მარტოდმარტო; არ შეუძლია
ჩემს უძღურ სნეულს მოძრაობა დაუხმარებლად.
ისმენე — დე, იყოს ასე, უოველივეს მე აღვასრულებ.
მაგრამ მასწავლეთ, როგორ უნდა წავიდე, რა გზით.
505 **ჰმრო** — ტევრის მადშაა ის ადგილი, უცბო ასულა,
თუ რამ დაგჭირდეს, დარაჯს ჰკითხე იქავე მცხოვრებს.
ისმენე — ამა, მიედივარ, ანტიგონე, შენ კი დარჩი და
მამას შეხედე, შეიღს, რომელიც მშობლებზე წარუწავს,
ანგვარი გარჯა არც კი უნდა მიაჩნდეს გარჯად.

ჰმროსი

სტროფი ბ

- 510 **ჰმრო** — საშინელია თუმც, უცბო კაცო, კვლავ გაღვიძება
იმ დამარბული ძველი ცოდვის, —
ძლიერ მწაღია, რომ შევიტყო...
მიდიკოსი — რა გწადს შეიტყო.
ჰმრო — სავალალო და გარდაუვალი
ტანჯვა განმიცხადე შენი.
515 **მიდიკოსი** — სტუმარ-მასპინძლობის გამო



526

ნუ გამაძხვლინებ ცოდვებს.
 ქორო — უველგან რომ ისმის და რომ არ ცხრება, —
 მართლის გაგება მწადია მასზე.
 თიღვიკოსი — ვაგლახ. მე ბედშავა!
 ქორო — გთხოვ, დამიჯერე, ნებას დამუევი.
 თიღვიკოსი — ვაგლახ. თ. ვაგლახ!
 ქორო — ნებას დამუევი. ავი თავად გისრულე წადილს.

ანტიტროფი ბ

525

თიღვიკოსი — თ, ჩავიდიხე. ჩავიდიხე ის ავი საქმი,
 თუმცა ღმერთია ამის მოწმე —
 ჩემი ხურვილით არ მიქნია.
 ქორო — მაშ. როგორ მოხდა?

530

თიღვიკოსი — ავბედ ქორწილით შემკრა ქალაქმა
 სრულიად არაფრის მცოდნე.
 ქორო — ნუთუ დედაშენის ბედშავ
 ხაწოლზე იწეკი მართლა?
 თიღვიკოსი — აჰ. სიკვდილია ამის მოსმენა,
 უცხოვ. ესენი ორივე ჩემი...
 ქორო — რისი თქმა ვინდა?
 თიღვიკოსი — ახუღნი. ორი სატანჯველი...
 ქორო — ზევსო. თ. ზევსო!
 თიღვიკოსი — ჩემივე დედის ტკივილებით იშენენ ისინი.

სტროფი ბ

525

ქორო — ახუღნი არიან?
 თიღვიკოსი — და... ორი ღვიძლი და...
 ქორო — ვაგლახ!
 თიღვიკოსი — თ, ვაგლახ, ათასი სიავის ვიწვნივ კვეთება.
 ქორო — შენ განიცადე...
 თიღვიკოსი — განიცადე აუტანელი.
 ქორო — შენ ჩავიდიხე...
 თიღვიკოსი — მე, თ, არა!
 ქორო — მაშ. ვინდა?
 თიღვიკოსი — ძღვენი

540

ავიღე, რომელიც აროდეს არ უნდა
 ამელო ბედშავს ვალში მყოფი ქალაქისაგან.

ანტიტროფი ბ

545

ქორო — ბედკრული მოჭკალი...
 თიღვიკოსი — ვინ? რა გხურს უწუოდე?
 ქორო — მამა?
 თიღვიკოსი — თ, ვაგლახ, პირველზე მეორეს მაყენებ ქრილობას.
 ქორო — ავი მოჭკალი...
 თიღვიკოსი — თ, მოჭკალი, მაგრამ მე მქონდა...
 ქორო — რა გქონდა?
 თიღვიკოსი — ის რაც გამამართლებს.
 ქორო — და მაინც?
 თიღვიკოსი — გიბუვი.
 განა თუ განზრახ მოჭკალი და დავღუბე იგი?



- კანონით სუფთა არჩასპიკოდნე ვაქმდი ამ საქმეს.
 550 **ჰმრო** — და. ამა. ისიც. ეგვესას ძე, მეუფე ჩვენი
 უკვე აქ არის. აქ მოხუცა შენგან ხმობილი.
თესევისი — აღრეც მსმენია მრავალთაგან, აღრეც ვიცოდი,
 ვით დაისიხსნენ და შენივე ხელით დაიქრე
 ეგ შენი თვალნი, დაიოსის ძეო, გზაზედაც
 მამცნეს შენზე და უფრო მეტად შეგიცან ახლა,
 555 **ოდეს სამოსი და საზარი ეგ შენი სახე**
 ცხადს ხდის ჩემთვის, თუ ვინა ხარ. მე მებრალეები
 და ანიტომაც, თიდიბოს, შინდა შევიტყო.
 თუ რა გსურთ ჩემი ქალაქისგან ან თავად ჩემგან.
 შენ და შენსავით სვეუბედურ მაგ შენს თანამდგომს.
 560 **მითხარ, რამეთუ ეგზომ შიძიმეს.** რას მეტყვი მაინც,
 მე რომ უარით გაგისტუმრო. მე, ვინაც თავად
 უცხოობაში ვიჭრდებოდი აღრე შენსავით
 და სამშობლოსგან მოცილებულს უველაზე მეტი
 განსაცდელი და უბედობა დამატუდა თავზე.
 565 **სწორედ ამიტომ არც ერთ უცხოს — შენის არ იყოს —**
 უარს არასდროს არ ვეტყოდი დახმარებაზე.
 რამეთუ ვიცი, რომ კაცი ვარ და რომ ამიტომ.
 ხვალინდელ დღისგან შენსაზე მეტს არაფერს ველი.
 570 **რიდიკოსი** — მოკლედ სიტყვაშიც სულელი და კეთილშობილი
 გამოჩნდი, თესევს, და ამიტომ არც მე შემრცხვება.
 მოკლედ რომ გითხრა. შენ თავად თქვი, ვინა ვარ მე და
 ვისი შვილი ვარ ან რომელი ქვეყნით მოხული.
 ამადაც სხვას მე არჩას გეტყვი. მას გეტყვი მხოლოდ,
 შენგან რომ ვითხოვ და სათქმელსაც ამით მოვრჩები
 575 **თესევისი** — მაშ, სწორედ ეგ თქვი, რათა კარგად გავიგო იგი.
რიდიკოსი — მოგსულვარ, რათა უბედური ჩემი სხეული
 ძღვნად მოგიბოძო. ღარიბია თუმც ხილვად იგი.
 ხარგებელს მასში მეტს იპოვი, ვიდრე მშვენებას.
თესევისი — მო, მაგრამ მაინც რა სარგებლით მოხვედი ჩემთან?
 580 **რიდიკოსი** — მოვა ამის დრო და გაიგებ, ჯერ ნურას მკითხავ.
თესევისი — მაინც როდისთვის განცხადდება ეგ სარგებელი?
რიდიკოსი — როცა მოვკვდები და შენს მიერ დავიმარხები.
თესევისი — შენ აღსახრულზე შევედრები, ცხოვრების გზას კი
 ან ივიწყებ და ან არაფრად აგდებ სრულიად.
 585 **რიდიკოსი** — მო, რადგან იგი თავს მანდ იყრის, მანდ იყრიბება.
თესევისი — მაგრამ წყალობას მეტიხნეტად მცირეს მთხოვ მართლაც.
რიდიკოსი — კარგად იცოდე, საშინელი იქნება ბრძოლა.
თესევისი — რა ბრძოლა? შენი ვაჟებისა? ან იქნებ ჩემი?
რიდიკოსი — შეილება ძალას მოიხმარენ ჩემს წასაყვანად.
 590 **თესევისი** — უკეთუ ეგ ხურთ, არც შენ გარგებს, რომ განერადო.
რიდიკოსი — როცა მე ვთხოვდი, სწორედ მაშინ გამოგდეს მათაც.
თესევისი — უბედობის ეამს არას გარგებს, ბედშავო, რისხვა.
რიდიკოსი — მაშინ მიჩჩიე, როს გაიგებს; ახლა — მისმინე.
თესევისი — მაუწყე, რადგან არ შემიფერის ზრახება უცებს.
 595 **რიდიკოსი** — უველაზე დიდი ბოროტება დამატუდა თავზე.
თესევისი — ძველ ავბედობას ხომ არ აქბობს შენი გვარისას?
რიდიკოსი — არა! ამას ხომ ელინთაგან უველა გაჰყვირის
თესევისი — ამაზე უფრო საშინელი რა გელის მაინც.
რიდიკოსი — აი, თუ რა მჭირს: — უმოწყალოდ გამომაძევებს
 600 ჩემი მიწიდან სვით ჩემივე ვაჟიშვილებმა
 და ვერც ოდესმე დავბრუნდები, ვით მაშისმკვლელი.



- თინავესნი — რადლა გიხმობენ, თუკი ცალკე იცხოვრებთ კვლავაც?
 თიღიკოსი — ღვთიური ბაგე აიძულეებს, ასე მოიქცნენ.
- 605 თინავესნი — რა შიში არის, მათ რომ ტანჯავს ამ მისნობიდან?
 თიღიკოსი ის, რომ უცალოდ ეს ქვეყანა დაღუპავს იმათ.
- თინავესნი — მაინც რამ უნდა ჩამოაგდოს ჩვენს შორის მტრობა?
 თიღიკოსი — ჰოი, ეგვესის ხანუკვარო ძეო, მარტოდენ ღმერთებს არ უწევთ მოხუცება ანდა სიკვდილი. სხვას კი უველაფერს უამო მუხრავს ყოველისმძლეველი.
- 610 ილევა ხოლმე მიწის ძალაც, ძალაც სხეულის, კვდება წდობა და უნდობლობა იწვის იმის წილ. არც მეგობრებში, არც ქალაქთა შორის არ მკვიდრობს კეთილგანწყობა ურყევი და შეუქცეველი, ზოგისთვის ადრე, ზოგისთვისაც მოგვიანებით ამო სიყვარულს კვლავ სიმწარე შეცვლის რაიმე. და თუკი თებებს ნათელი დღე ადგას ამჯერად და კარგად არის იგი შენთან, ხანგრძლივი უამო დღეთა კვალდაკვალ აურაცხელს წარმოშობს ღამეს და მათ სრბოლაში ამუამინდელ ამ მეგობრობას მცირე სიტყვისთვის გაფანტავენ მძლავრი შუბბები; და მაშინ ჩემი ცივი გვამი, მიწად დაფლული, მათ ცხელ სისხლს შესვამს, თუკი ზევსი ზევსია კვლავაც და ნათელია აპოლონიც მისგან ნაშობი.
- 625 თუმცაღა არ ხამს, იღუმალზე ვიუბნო ახლა, მომეტე ნება, არ გაუწუო და შენგან მხოლოდ წდობას ვითხოვდე ძველებურად, და თუკი ღმერთნი არ მატყუებენ, არც შენ იტყვი, რომ თიღიკოსს ამაოდ მიეცე შესაფარი ამ შენს მიწაზე.
- 630 მორკო — მეფეო, იგი ადრეც აგრე ამბობდა, თითქოს ამგვარ ხარგებელს მოუტანდა ამ ჩვენს ქვეყანას.
 თინავესნი — განა კი ვინმე უკუაგდებს ამგვარი კაცის კეთილგანწყობას, რომლისთვისაც, ვით მეგობრისთვის, ზიარი არის დასაბამით ეს ჩვენი კერა?
 ეხეც არ იყო, თვით ღმერთქალთა მავედრელია და ძღვენსაც მცირეს არ გვპირდება მე და ჩემს მიწას. მეც უოველივე ამის გამო არ უკუაგდებ მადლს ამ კაცისას, დე, იცხოვროს ამ ჩვენს მიწაზე. თუკი აქ ნებავეს სტუმარს მოცდა, მაშინ შენ დარჩი მასთან დარაჯად. ან, თუ უნდა, თვით მე წამომხვეს.
- 640 ამოირჩიე, თიღიკოს, რა გიჩქევნია, მე კი უველაფერს აგისრულეებ, რასაც ინებებ.
 თიღიკოსი — მაღალო ზევსო, მაღლი მიეცე უველა ამნაირს.
 თინავესნი — და მაინც რა გსურს? ჩემს პალატაში წამოხვეალ იქნებ?
 თიღიკოსი — ნეტავ შემეძლეს, მაგრამ ეს ხომ ის ადგილია...
 თინავესნი — რა განგიზრახავს ამ ადგილას? თქვი, არ დაგიშლი.
 თიღიკოსი — სადაც ისინი, აქნა ვძლიო, ვინც გამაძევა.
 თინავესნი — აკი აქა ხარ, იქნებ მართლაც დიდ ძღვენს მპირდება.
 თიღიკოსი — უკეთუ საქმიით, უერთგულეებ შენსავე სიტყვებს.
 თინავესნი — გჭეროდეს ჩემი ადგილი, მომენდე; არ გიღალატებ.
- 650 თიღიკოსი — ფიცი რომ გუთხოვო, როგორც უღირსს, ვერ გკადრებ ამას.
 თინავესნი — ამ სიტყვაზე მეტს შენ ის ფიცი არრას მოგცემდა.
 თიღიკოსი — მაშ, რას მიპირებ?
 თინავესნი — რა გაშიწებს უველაზე მეტად?
 თიღიკოსი — ისინი მოვლენ.
 თინავესნი — დე, ამაზე ამათ იზრუნონ.



- 655 ოილიკოსი — მიმატოვებ და...
თესავსი — ნუ მასწავლი, რა გავაკეთო.
ოილიკოსი — და შინც ვშიშობ.
თესავსი — გული ჩემი არ შიშობს სულაც.
ოილიკოსი — არ იცი მათი დანაქადნი...
თესავსი — მე ვიცი, ჩემი
ნების გარეშე ვერ წაგიყვანს აქედან ვერცინ.
ანაო არის ქადება და ცხელ გულზე თქმული
გრძელი სიტყვები მუქარისა. დაუბრუნდება
660 გონება მთქმელს და განქარდება ის დანაქადნიც.
დაც, იმათაც დაგემუქრონ და დაგექადნონ
შენი წაყვანით. მე კა ვიცი — აქეთ წამოსულთ
ძნელად სავალი და ვრცელი ზღვა დახედება გზაზე.
ასე რომ, მხნედ და მშვიდად იუაე ჩემ გარეშედაც.
665 უკეთუ მართლაც ფოიბოსმა მოგგგზავნა ჩემთან.
მე ისიც ვიცი, როცა შენთან აქ არ ვიქნები,
ჩემი სახელიც კი დაგიცავს სიავისაგან.

პირველი სტასიმონი

ს ტ რ ო ფ ი ბ

- 670 ემრო — ცხენებგანთქმული ამ დიად ქვეყნის
საუკეთესო კუთხეს მოსულხარ
თეთრ კოლონოსში, უცხოტომელო.
აქ ხომ ნიადაგ გაღობს ბუღბული,
ამ მწვანე ტევრში, ამ წმიდა ტევრში,
ხმაწკრიალა და სეედიანი,
შეფარებული მუქ-მწვანე სუროს.
675 ანდა კრძალულ და ღმერთისთვის შეწირულ
ნაყოფით მდიდარ, მარად უბზეო,
ქართა არმცოდნე
უსიერ ტევრში, იქ, სადაც დაღის
აღტყინებული დიონისე, მიხი გამზრდელი
680 ქალღმერთებისგან თანხლებული.

ს ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

- 685 ყოველდღე ზეცის ნამით ნაბკური —
აქვე ნიადაგ ჰყვავის ნარცისიც
ლამაზმტევნება; ორი დიადი
ქალღმერთის ძველი გვირგვინი. აქვე
ოქროცხვარე ჰყვავის ზაფრანაც,
აროდეს სძინავთ და არ შრებიან
მარადმედინი შენაკადები
კეფისოსისა, მარად დის იგი — კეფისოსი —
და კამკამა წყლით
690 ანოყიერებს
მკერდფართო მიწას; ის არც მუზათა
ფერხულებს სძულთ და არც ხედებში ოქროს ადვირის
მკურობელ ღვთაებრივ აფროდიტეს.

ს ტ რ ო ფ ა ბ



- 695 ის ხეც აქვეა, რომლის სადარი
არა მხნენია, აზიაში ხარობდეს სადმე,
ანდა პელოფსის დიად დორიულ
კუნძულზე იწრდებოდეს იგი —
ხელითურგავი, თვით — ამოსული,
მტრის იარაღთა ელდა,
700 იგი დიდად ხარობს ამ ჩვენს ქვეყანაში —
ზეთისხილის ხე, ბავშვთა მწრდელი, ფოთოლნათელი,
ვერც ახალგაზრდა ხელუფს მეუფე,
ვერც უხუცესი ქვეყნის მეფე შემუსრავს იმას.
აგრეა, რადგან ზევსის თვალი დასცქერის ხოლმე;
705 თვალი — ყველაფრის მხედველი და ყოველის მცნობელი,
ათენაც მას ქვერტხ თვალსხივოსანი.

ანტი ს ტ რ ო ფ ა ბ

- 710 თუმცაღა სხვაც მაქვს, უდიადესა
ქება-დიდება მშობლიური ჩემი ქვეყნისთვის;
ძღვენი დიადი დაიმონისა,
მიწის დიდება: ტაიქები და
ვიცხი კვიცები, ზღვაცა დიადი.
კრონოსის ძეო,
ო, პოსეიდონ, შენ მიანიჭე
ჩვენს ქალაქს ეგზომ დიდი სახელი, რადგან პირველად
715 სწორედ აქ შებქმენ ცხენის აღვირი,
შენივე ნებით მისრიალებს ეხოდენ სწრაფად
მძლავრი ნიჩბებით გაწყობილი ხომალდი ზღვაზე,
მიჭქრის და გვერდით ახლავს ასფეხა
ნერვიდების გუნდი.

მეორე ეპისოდირანი

- 720 ანტიგონე — მხარეო, ეგზომ ქებულო და ქებაშესხმულო,
შენ ახლა უნდა გაამართლო შენი სახელი.
რიდიკოსი — ახალი მოხდა, ზვილო, რამე?
ანტიგონე — კრეონტი მოდის
აგეთყენ, მამა, კრეონტი და მისი ამაღა.
რიდიკოსი — პოი, ძვირფასო უხუცესნო, გამოაჩინეთ,
725 რომ ამ ერთხელაც დამიფარავთ ავბედობისგან.
ჰორო — მერწმუნე, კვლავაც შეგეწევი; მე თუ დავბერდი,
როდი მიხრწნილა ძლიერება ჩემი ქვეყნისა.
კრეონტი — სამეფოს კეთილგვაროვანო უცხო მოხუცნო,
თითქოსდა რაღაც ანაზღერულ შიშს ვხედავ ახლა
730 მაგ თქვენს თვალეებში, ჩემი მოსვლის გამო ანთებულს.
ნუ გეშინიათ, ნურც ავ სიტყვას შეტყვით რაიმეს,
თქვენთან იმიხთვის როდი მოველ, თქვენ რომ გგონიათ.
მოხუცი ვარ და კარგად ვიცი, რომ ეს ქალაქი
ძლიერია და უდიდესი მთელს ელადაში.
735 ასაკით ამის თანატოლი გამომავგზავნეს,
რომ დავარწმუნო, კვლავ თებში დაბრუნდეს ივი.
განა თუ ერთმა იმათგანმა, მთელმა ქალაქმა
გამომავგზავნა ამისათვის. — მე მის ნათესავს —



- 740 უცვლელად მეთად შაწუხებდა მისი ვარამი.
მაგრამ, ბედკრულთა ოიდიპოს, დამიჯერე და
დაბრუნდი ჩვენთან, მთელი ხალხი შენი ქვეყნისა
სამართლიანად გიხმობს უკან, მე კი — მეტადრე,
უბოროტესი თუ არა ვარ მოკვდავთა შორის,
ტანჯვას როგორღა არ მომგვრიდა შენი სიმწარე,
745 ახლა, როდესაც შენ გიუუტრებ სვედამწარებულს,
ნარად სხვის კარზე მოწანწალეს და ამ ერთადერთ
მსახურთან ერთად ლუკმაპურის საბრალო მთხოვნელს,
განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ ამდენ ვარამს
ნახავდა იგი, ტკივილსა და ასეთ შერცხვენას?
750 მათხოვრად იქცა შენი შვილი შენზე ზრუნვაში.
მას, ამ ასაკში გაუთხოვარს, აგრე უმწეოს,
ადვილად აშურის პატივს ვინმე ამ ხეტიალში.
ბედშავმა, განა ამ სირცხვილით, მე არ მოგჭერი
თავი შენა და შენს ოჯახსაც, აგრეთვე ჩემს გვარს?
755 ვერხად დამალავ ამ სიმართლეს, მაგრამ ამჯერად
დამიჯერე და შენ დამალე იგი მშობლიურ
ღმერთთა გულისთვის, დამიჯერე, კვლავ დაუბრუნდი
მშობლიურ თებებს, მეგობრულად დაემშვიდობე
ამ ქალქს იგი ღირსი არის, მშობლიური კი
760 უფროა ღირსი, დამბადებელს რომ სცე პატივი.
ოიდიპოსი — შენ, ო. უცვლელის მკადრებელს, შენ, ვისაც ძალგობს,
მართალი სიტყვით გაამწადო ჭრელი ხაფანგი.
შინც რას ცდილობ, ხომ არ გინდა კვლავ შემიპურო და
მეტი ტანჯვისთვის შეორედაც ჩამიგდო ხელში?
765 ჯერ აგრე გსურდა, ოჯახური უბედურებით
მეტანჯა ბედშავს, და როდესაც განკვეთა გთხოვე,
არ მოიხურვე მთხოვნელისთვის მადლი მოგემღვნა.
ხოლო როდესაც მოვიჯერე ამ რისხვით გული
და ისევ ამოდ მომეჩვენა სახლში ცხოვრება,
770 შენც სწორედ მაშინ გამაძვეე ჩემი თებედან,
ჩვენს სიახლოვეს როდი თვლიდი საამოდ მაშინ!
ახლა კი, როცა კვლავ იხილე, რომ მთელი ოებე
და მთელი ერი კვლავ ერთილი თვალით გიცქერის,
გსურს გამიტყუო ავ საქმეზე ტკბილად მოუბარს.
775 ძალად სიყვარულს რა სიამე ახლავს ნეტავი?
ეგ იმასა მგავს, ვინმეს რამე სთხოვო და იმან
არც მოიხურვოს შენი შველა, შერმე კი, როცა
აგისრულდება ის ნატვრა და ხავსე ხარ მისით,
მანაც გიბოდოს, მადლი არის განა ეს მადლი?
780 უაზროს განა მიიღებდი ასეთ სიკეთეს?
ცხადზე ცხადია, ამგვარ რამეს შთავაზობ შენაც,
სიტყვით ჩინებულს, ხოლო საქმით მეთადრე ბოროტს.
ამათაც ვიტყვი, რომ გამოჩნდეს შენი სიამე,
განა თუ მართლა შინ გწადია ჩემი წაყვანა,
785 გინდა თებესთან დამასახლო, რათა შენს ქალაქს
ღიადი ძლევა ააშურო ამ ქვეყნისაგან.
შენ ვერ მიიღებ ამას ჩემგან, სამაგიეროდ
შურისმგებელი ჩემი სული მარად იცოცხლებს
ჩემს ქვეყანაში, ჩემს ვაჟებს კი, დე, ჩემი მიწა
79 იმდენი შეხვდეთ, სამარისთვის რომ ეყოთ მხოლოდ,
თებებს რა ხდება, შენზე უკეთ არ ვიცი განა?
იმდენად უკეთ, რამდენადაც უკეთვე შესმის



- ფრიბოსისა და იშისი შამისა ზევსის,
ფარისევლური და ცსოდენ გაქნილი ვნით
- 795 მოსულხარ ჩემთან. მაშ, იცოდე ემაგ სიტყვებით
სიაცეს უფრო მეტს ეწევი, ვიდრე ხარგებელს.
თუმცაღა ვიცი, დარწმუნებას ვერ შევძლებ შენსას,
მაშ, განვედი ჩვენ კი აქ გვაცხოვრე; თუკი არა გვძულს,
არც აქ იქნება ავბედითი ჩვენთვის ცხოვრება.
- 800 კრემლში — როგორ გგონია, ეგ კამათი ვისთვის მოიტანს
მეტ სიაცეს და უბედობას, ჩემთვის თუ შენთვის?
რიდიკოსი — უველაზე მეტად ის მაამებს, რომ ვერც ჩემი და
ვერც ამ მოწმეთა მოახერხო გადარწმუნება.
კრემლში — შე უბედურო, უამთან ერთად არ მოდის განა
კაცთათვის ტყუა? ასაკისა გრცხვენოდეს მაინც.
- 805 რიდიკოსი — ბასრი გაქვს ენა; მე არავის ვიცნობ მართალ კაცს.
სუველაფერზე კარგ ლაპარაკს რომ ახერხებდეს.
კრემლში — ბევრს ლაპარაკობ, საქიროს კი არაფერს ამბობ.
რიდიკოსი — შენ კი უველაფერს მოკლედ ამბობ და მუდამ დროზე.
კრემლში — განა თუ მათთვის, ვინც გონებით შენი სწორია.
რიდიკოსი — ჩემი და მათი სახელითაც გეტყვი, ო, განვედი,
ნურც თვალს მადევნებ, თუ სად უნდა ვიცხოვრო თავად.
კრემლში — მათ ვუხმობ მოწმედ — შენ კი არა — თუ რა სიტყვებით
უმასპინძლდები შენს მტეობრებს, მაშინ შეგიპყრობ...
- 815 რიდიკოსი — როგორ შემოიპყრობ, თანამდგომნი მიცავენ თუკი?
კრემლში — გარდა ამისა სხვა რამითაც მოგგვრი სატკივარს.
რიდიკოსი — მაინც რა საქმე ახლავს ნეტავ მაგ შენს მუქარას?
კრემლში — შენს ასულთაგან შევიპყარა უკვე ერთი და
შორს გავაგზავნე, მეორეს კი მალე წავიყვან.
- 820 რიდიკოსი — ვაიმე, შვილო!
კრემლში — შეიცხადებ სულ მალე მეტად.
რიდიკოსი — ხელში ჩაიგდე?
კრემლში — მალე ესეც მე შეყოლება.
რიდიკოსი — უცხოტომელნი, რას აპირებთ? ნუთუ გამყიდით?
ნუთუ ამ მკრებელს არ გააგდებთ თქვენი მიწიდან?
- 825 მორი — განვედი, საჩქაროდ გავვიცალო; უცხოტომელო,
შენ არც ახლა იქმ და არც აღრე იქმდი ხამართალს.
კრემლში — მაშ, ისევ თქვენვე შეიპყარით, თქვენ წაიყვანეთ,
მსახურნი, იგი, რაბან თავად არ სურს წამოსვლა.
რიდიკოსი — ვაიმე ბუდკრულს, სად გავიქცე? ვის ეთხოვო შეველა —
ღმერთებს თუ მოკვდავთ?
მორი — რას სჩადიხარ, უცხოტომელო?
- 830 კრემლში — მე ამახ არც კი შევხვებივარ, მე ჩემი მიმყავს.
რიდიკოსი — მიწის პატრონნი!
მორი — უცხო კაცო, არ იქმ სიმართლეს.
კრემლში — მე სიმართლეს ვიქმ.
მორი — შენ? სიმართლეს?
კრემლში — ჩემები მიმყავს.

კ მ მ ს ი

ს ტ რ ო ფ ი

- 835 რიდიკოსი — კოი, ქალაქო!
მორი — არ გაუშვებ განა? ძალას გავცემებ.
კრემლში — შეჩერდი!
მორი — არა, შენ ხომ მკრებელნი.



პრემონტი — თავად ჩემ ქალაქს შეებმები, თუ რამეს მავნებ.
 ოიდიკოსი — განა მეც ამას არ ვამბობდი?
 ქორო — ჩქარა გაუშვი ბავშვი.
 პრემონტი — იმაზე ნუ მბრძანებლობ, რასაც არა ფლობ.
 840 ქორო — გაუშვი-მეთქი.
 პრემონტი — მე კი ვამბობ, შენს გზაზე წადი.
 ქორო — მოდიო, ო, მოდიო, ადგილის მკვიდრო,
 ქალაქს, ჩემს ქალაქს ანგრევენ ძალით,
 ო, მომაშურეთ

ანტიგონე — ძალით მივყავარ, მომეშველეთ, უცხოტომელნი!
 ოიდიკოსი — სად ხარ, შვილო, ო, სადა ხარ?
 ანტიგონე — ძალით მივყავარ.
 ოიდიკოსი — გამომიწოდებ ხელი, შვილო.
 ანტიგონე — არ შემიძლია.
 პრემონტი — აღარ წაიყვანთ?

ოიდიკოსი — უბედური, მე უბედური!
 პრემონტი — დღეიდან უკვე ვეღარ ივლი ასე გზადაგზა
 850 იმ ორი კვერთხით, შენ თუ ის გსურს, შენი სამშობლო
 და მგლობრები დაამარცხო, რომელთა მიერ
 ნაბრძანითა ექნენ ეს უოველი მათმა ტირანმა,
 დე, დაამარცხე, გაეა ღრო და, ეიცო, შეიგნებ,
 შენი თავისთვის არც ახლა იქმ სიკეთეს შენ და
 არც აღრე იქმდი, მოყვასთაღმი მუდამ ექვით და

855 რისხვით აღძრული, ეს რისხვაა, მუდამ რომ გღუპავს.
 ქორო — შეჩერდი, უცხოვ.
 პრემონტი — მე კი ვამბობ, არ მომეკარო.
 ქორო — არსად გაგიშვებ, ხანამ იმათ არ დააბრუნებ.
 პრემონტი — სულ მალე, ალბათ, უფრო დიდხაც მომცემს მუქათას

860 თქვენი ქალაქი, განა მხოლოდ იმათ მოგტაცებთ.
 ქორო — სხვას რას აპირებ?
 პრემონტი — შევიპყრობ და წავიყვან მასაც.
 ქორო — საშინელს ამბობ.

პრემონტი — აღვასრულებ კიდევაც ნათქვამს.
 ქორო — თუკი ამ კვეყნას მეფე მოგცემს ამის უფლებას.
 ოიდიკოსი — ო, ურცხვო ხმაო, გაბედავ და მეც შემეზებნი?
 პრემონტი — შენ კი გაჩუმდი, გეუბნები.
 ოიდიკოსი — პოი, ღმერთქალნო,

865 ნუ განბლით უტყვს და მათქმევინეთ ეს ჩემი წუევლა.
 უბოროტესო კაცთა შორის, ჩემს დამქრალ თვალებს
 ეს ერთი თვალის წარსტაცე და წახელას აპირებ.
 დე, თვით შენც და შენს მოღვმასაც ისეთი მისცეს
 უოველისმხედველმა მელიოსმა სიცოცხლე სწორედ
 როგორც თვითონ განვიცადე ჩემს სიბერეში.

პრემონტი — ხომ უველაფერი დაინახეთ, ამ მიწის მკვიდრო?
 ოიდიკოსი — მეც მხედავენ და თავად შენაც და აგრე სჯიან —
 საქმით ვნებული სიტყვებითდა თუ ვიცავ ჩემს თავს.
 პრემონტი — მე არ დავიცბრობ მრისხანებას, ძალით წავიყვან,
 870 თუმცა მარტო ვარ და უამითაც დასძიმებული.

ანტისტროფი

ოიდიკოსი — ვაგდაბ, მე ბედმავს.
 ქორო — რა თავნული ხარ, ამას თუ ფიქრობ.



პრემიერი — ვფიქრობ.

პრემიერი — არაფრად არ ჩავთვლი ათენს.

880 ორივენი — თვით პატარაც კი დაამარცხებს სიმართლით დიადს.

ორივენი — ო. გეხმით განა, თუ რას ამბობს?

პრემიერი — ვერ აზამს ამას.

პრემიერი — ეგ ზევსმა იცის ერთადერთმა, განა თუ შენა.

პრემიერი — თავზედობ განა?

პრემიერი — მთ. ვთავზედობ, შენ კი დაითმენ.

პრემიერი — ხალხთ. ო. ვველავ, ქვეყნის რჩეულნი.

890 საჩქაროდ მოდიო, მოდიო: მართლაცდა
სწავლიან თვისას.

თესმისნი — რა შევითია? რა მახილი? რად მომიხმეთ ბორონთაგან,
ოღეს ხარებს შეეწირავდი კოლონიის დიად მფარველს,
დიადი ზღვის დიქრთს და მეფეს? თქვით. მაუწყეთ უოველივე,
რის გამოა. აქ რომ მოველ ქვეითად და ეგზომ ჩქარა?

900 ორივენი — ჩემო ძვირთახო — მე გიცანი შენივე სიტყვით —
საშინელი რამ დავითმინე მიხგან აბლახან.

თესმისნი — მაინც რა მოხდა? ო. მოხარო, ვინ გავნო მაინც?

910 ორივენი — კრეონტი იყო, შენ მას ხედავ, ის უკვე მიდის,
ბოლო ზუგეში — ასულეები წამართვა ვინაც.

თესმისნი — ამას რას ამბობ?

ორივენი — რაც გარდაამბდა, ის მოისმინე.

920 ორივენი — ხაკურთხეველებს შიამუროს დაუყოვნებლივ
შეაღწევა ვინმემ და სუვევლას, ვინც კი იქ არის,
ქვეითებსაც და ცხენოსნებსაც, აგრე უბრძანოს,
მოვლი სისწრაფით გაეშურონ იმ ადგილისკენ.
ორი საფაქრო გზა რომ ერთვის ერთიმეორებს.
ვინც ასულეები გაიტაცოს იმისმა ხალხმა
და არც მე გავხდე დასაციინი უცხოელისთვის.
მან, როგორც ვბრძანე, ჩქარა! მას კი, უკეთუ მისი
930 შინაფერიის მჩისხანებით აღვიძრებოდი,
უფლებელს არც კი გავუშვებდი ჩემი ხელიდან.
ახლა კი სწორედ იმ წესითვე მივიღებ ამას,
რა წესითა და რა კანონით თვითონ მოსულა.
ველაოასოდეს მოატოვებ ამ მიწას შენით,
940 ხანამდის ასეც აქ არ მომგერი გატაცებულებს.
ლორსი არც თავად ჩემი იყო. რაც შენ მაკადრე,
არც შენი მიწის და არც მათი ვინაც შენ გშობა,
როცა მოსული სამართალით მოსილამ ქალაქს,
ხალაქს. რომელიც უკანონოდ არაფერს სწადის,
950 არაფრად აგებდ მის ადათებს და ეთი მძარცველი
ხალას ხმარობ და, ვინაც გინდა, იტაცებ კიდევ!
უკანონოდ რომ არ თვლიდი ჩემს ქალაქს ანდა
მოძებნიო სავსედ, მეც არაფრად შეგაწმენდი იქნებ?
ახლა თუ თებე გახწავლიდა ამჯერ სიავეს,
960 არც იქ არ უშვარო. არც იქ ჩრდამს უქვეითურ ვაფრავო.
ვინდლო თუ არც შენ შეგაკებდა: რა შეიკუობდა,
ღმერთებისას და თვით ჩემივე კუთვნილს რომ ძარცვავ
და ძალით მიგუავს საცოდავი მადურებლებო.
ოღესმე მეც რომ მოვსულიყავ იმ შენს მიწაზე,
970 უწინაფეხაც რომ მქონოდა რაღე უფულებო:
ვინც ქვეთის გამგე იქნებოდა, ანდა გარეშე
გავიტაცებდი განა ვინმეს? შენსოკებოდა
თუ ჩემგან უნდა იქცეოდეს ქალაქში უცხო.



- 930 შენსავე ქალაქს არცხვენ ამით, ქალაქს, რომელიც არ იმსახურებს ამგვარ რამებს; ხანგრძლივმა უამმა დაგაბერა და გონება კი გაკლია ერთობ.
- 935 ადრეც ვამბობდი, ამჯერადაც ამასვე გიტყვი, საჩქაროდ აქვე მომიყვანოს ასულნი ვინმემ. უკეთუ არ გხურს, უნდომლად და ნაძალადევადა ამ ჩვენს მიწაზე დაგასაბლონ შე ამას ვამბობ გონებითა და ამ გონების თანაზმა ენით.
- 940 მორი — ხედავ, სანამდის მიხვედ, უცხოვე? კეთილშობილმა ავისმოქმედად დაგვანახვე ეს შენი თავი.
- 945 კრემლი — არც უკაცურად არ მივიჩნევ, როგორც შენა თქვი, და არც უგნურად შე შენს ქალაქს, ეგვესის ძეო, აგრე იმითომ გაუკეთე, რომ მტკიცედ მწამდა, ამათზე არცინ დაიწყებდა იმნაირ ზრუნვას. — მათ დასაცავად თვით ძალაც კი ებმარათ ჩემზე.
- 950 აგრე ვიცოდი, მამისმკვლელს და ბოროტის მოქმედს, კაცს, ვინაც ეგზომ ბაჩიერი ცოლქმრობით შობა ბოლნი შეილდები, არ მისცემდით ადგილს თქვენს შორის, ისიც ვიცოდი, ბრძენთაბრძენი არეოპაგი.
- 955 მსაჯული თქვენი, არასოდეს მოგცემდათ ნებას, ამ მიწანწალებს თქვენთან ერთად დაედოთ ბინა.
- 960 სწორედ ამ რწმენით დავეუფლე შე ჩემ ნადავლსაც, თუმცადა ამას არც ვიზამდი, მას რომ ჩემზე და ჩემს გვარზე ეგზომ საშინელი წყევლა არ ეთქვა ვთვლიდი, რომ ვნებულს შური უნდა მიძია მასზე.
- 965 რისხვისთვის განა სხვა სიბერე არსებობს ქვეუნად სიკვდილის გარდა! მკვლარს არ შეძრავს ტანჯვა მარტოდენ, მაშ, რაც ვენებოს, ის ირჩიე, თუმც მართალს ვამბობ, მარტო ვარ ახლა და ადვილად ძალგის დაშლიო, ნაგრამ იცოდე, იმ საქმისთვის, შენ რომ ჩაიდენ, თუმც ხნიერი ვარ, შევეცდები ქუქაუა გიზღო.
- 970 **ნიკოლოზი** — ო, უსირცხვილო თავხედობავ! მაინც ვინ გინდა, რომ დაამდაბლო — შე თუ ისევ შენივე თავი? მკვლელობაცა და ქორწინებაც, სხვა სიავენიც. — ეგ შენი ენა რომ შაბრალებს აგრე უსირცხვოდ. — შე ბედშავს აკი უნებურად დამატყდა თავზე; თვით ღმერთებს სურდათ ამნაირად რომ მოშხდარიყო, ჩვენს მიმართ რაღაც ძველისძველი რისხვა აქვთ ღმერთებს.
- 975 ჩემში რას ნახავ იხეტნაირს, რის გულახთვისაც აგრე სასტიკად შევეცოდავდი თავსა და ჩემებს? ამა განსაჯე, თუკი მამას დედურში უთხრეს, რომ შეილის ხელით სიკვდილია იმასო ხვედრა, არ არის განა უსამართლო — ცოდვა დამწანო შე, ვინაც მაშინ არც კი შეავდი დედა და მამა და ქვეყანაზე არც კი ვიყავ დაბადე უღა.
- 980 და როცა ეგზომ უნებდური ვიწვი ამქვეყნად, რომ მამის ხელში ჩავარდნილი მამას ვკლავდი და არც კი ვიცოდი, თუ ვის უკლავდი ან ვისი ნებით, ვით გამამტყუნებ ამ უნებურ საქმეში ნეტავ? შენც არც ის გაფრთხობს, დედჩინის და მენი დეიძლა დის ქორწინებულა; რომ ნაძალად თავის მართლებას, ამასაც ნაღვ მოგასცენებ, არ გაგჩუმდები.
- 985 რაკილა სინდისგარეცხილი აღმოჩნდი თავად, მშობა, ო, მშობა, უბედურო, — ჩემო თავო.



885 შშობა არმცოდნემ არრასმცოდნე, შშობა და შერზე მის ნაშობს მიხდა სამარცხვინოდ შვილებიც მიშვა. ეს კი მტკიცედ მწამს, მაგ სიავეს შენ განზრახ ამბობ, მე კი არც მაშინ არ მინდოდა მისი შერთვა და არც ახლა მინდა ღაპარაკი შენთან იმაზე.

890 მე ვერვინ მეტყვის იმ ქორწილზე რაიმე ბოროტს, ვერც მკვლელობაზე მეტყვის რამეს, შენ რომ მამბრალე და გამუდმებით რომ მაუკვდრი ბოროტი ენით. თუმც მინასუბე ამ კითხვაზე ვინმე რომ აქვე ბრალის არმქონეს მოსაკლავად დაგხსმოდა თავზე, მკითხავდი განა, მამა არის იგი თუ მკვლელი, თუ უმალ იმას მიუზღავდი, რაც ერგებოდა?

895 ვფიქრობ, სიცოცხლე თუკი გიუვარს, არად ჩათვლიდი წესსა და კანონს. უმალ იქვე დასჯიდი მომხდურს, უბედურება მეც ასევე დამატუდა თავზე, მე ღმერთთა ნება წარმმართავდა, გატოცხლებული თვით მამის ხელეც ამგვარადვე მეტყოდა ამას.

1000 შენ კი მკრცხელი, ვინაც ფიქრობ, სწორად ვამბობო უვლელაფერს, რაიც სათქმელია და რაიც არა, ჩენს დამციობებს ცდილობ ახლა, ხალხის წინაშე. თესვისის კეთილ სახელს ლიქნი ამჯერად შენ და მის ათენს აქებ სენიმუშო წესრიგით მცხოვრებს, ეგზოში ქებით გარჯილხარ და ის კი არ გახსოვს, რომ თუკი სადმე რომელიმე მიწა დიდ ღმერთებს მიაგებს პატივს, ათენია მათში პირველი.

1005 შენ კი აქედან გაიტაცე ჩემი შვილები და მოხუც მვედრელს მეც აქედან მიტაცებ ახლა. ამის გამო ამ ქალღმერთებს რომ ვუხმობ სწორედ, თავს ვავედრებ და გულმხურვალედ ვლაღადებ ამას, შემწეოდ მექმნენ და თანამდგომად, რათა შეიგნო, ქალაქსა ამას თუ რაგვარნი იცავენ მამრნი.

1010 ქმრო — მეფეც წმინდაა ეგ მოხუცი: მისი ვარამი დამლუპველია მაგრამ იგი ღირსია შველის. მისევესი — კმარა სიტყვები: იქარიან გამტაცებლები. მაღაჩ ვნებულნი — ჩვენ კი ისევ ადგილზე ვდგავართ კრემონტი — რაღას მიბრძანებ შენს წინაშე უძალოდ შთენილს?

1020 მისევესი — პირველი წადი, წინ გამიძებ შენს უკან მავალს, და თუ ახლო გყავს დამალული სადმე ისინი, თვითონ მიდი და მიმაჩვენე, და თუკი იმათ მიპრობებენ ავაზაკნი, ვილონებთ რასზე. — უკან ბრძელება მათ მდევარი, ვერ შეიძლებენ ჩვენ გაგვეძკნენ და მადლი უთხრან ამ ქვეყნის ღმერთებს.

1025 ახლა კი წადი და იცოდე, მათი შემპყრობი ჩვენვე გვიპყრიხარ, მონადირეც თვით შენმა ბედმა ნოჯიხადირა ვით ნადირი ვეროდეს შეძლებ უსამართლობით შეძენილის შენარჩუნებას. ვერვინ გრწმენის, მე რომ ვიცი, ვერც გაბედავდი ამ თავხედობას შენ მარტოცა, უიარაღო სხვეების იმედით ხნადიოდი უვლელაფერ მშას. სიავნილდე არის ჩემი ვალი, რომ ეს ქალაქი ერთ კაცზე სუსტი არ აღმოჩნდეს, მიმიბუღა განა? ან იქნებ ახლაც არად გვაგდებ მე და ჩემს ხიტუვას.

1030 ისევ არად, როცა მაშინ, აქ რომ მოხვედი. არმწინტი — აქ თქვენთან მყოფი არრას გეტყვი, დაბრუნებულს კი

- მეცოდინება, თუ რისი კმნა აქობებს ჩემგან.
 თესავსნი — იქადნე, მაგრამ გაგვიძეხი. შენ კი აქ დარჩი
 და მშვიდად იუავ, რიდიპოს, გჭეროდეს ჩემი —
 1040 თუკი არ მომკლეს, ვერ მონახავს სიმშვიდე ჩემს გულს,
 ვიდრე უკანვე არ მოგიყვან შენს ქალიშვილებს.
 ოიდიპოსი — ბედნიერება მოგენიჭოს შენი ჩვენი
 სამართლიანი ზრუნვისათვის, კეთილთ თესევს.



ამირა სტასიზონი

სტროფი ა

- 1054 ქორი — ნეტავ იქ ვიყო, სადაც
 რვალის ხმობან არესს აღძრავს
 მალე მამრთა იერიში
 მითიის დიად სანაპიროზე
 ან ლამპრებიან წმინდა ნაპირზე.
 1050 იდუმალ წესებს ასრულებენ ქალღმერთები
 კაცთა ტომისთვის, ხოლო მათი მონა-ქალები —
 ევმოლიდები — ოქროკლიტით უბამენ ენას.
 აგრე მგონია, რომ ბრძოლაში შეუპოვარი
 1055 დიდი თესევსი და უბიწო
 ორი ასული
 ბრძოლის ეიფინით, გლოვის ზარით შეძრავენ მალე
 მთელს ამ მიდამოს.

ანტისტროფი ბ

- 1060 დასავლეთით რბიან ეგებ
 და დათოვლილ კლდეთა მხარეს
 ეატისის ველებიდან.
 იქნებ ცხენებით ან იქნებ სწრაფი
 ეტლებით უნდათ გაეჭენენ მდედვარს.
 1065 შევიპყრობთ იმათ; სასტიკია ჩვენი არესი,
 სასტიკი არის თესვიდთა მრისხანე ძალა,
 უელვარებენ უზანგები მეომარ ვაჟკაცთ,
 და ქენებაში მიუშვი ყველას აღვირი,
 მხედრობა მიჰქრის, მიჰქრის ყველა,
 1070 ვინც კი თაყვანს სცემს
 ცხენების მფარველ ათენას და ზღვათა მეუფეს,
 რვას ძვირფას ძეს.

სტროფი ბ

- 1075 აბრძვიან თუ ჯერაც არა?
 თითქოს გული შეტყვისა,
 დავიხსნიით მალე
 ასულთ ეგზომ გატანჯულთ და ნათესავთა გამო ვნებულთ.
 დღეს აღასრულებს რაღაცას ზევსი.
 1080 დიად ძღვევათა ვარ მე მიხანი,
 ნეტავ ქარივით სწრაფ და ფრთამალ გარეულ მტრედად
 ეთერში მალლა ავჭრილიყავ ღრუბელთა შორის.
 ჩემი თვალებით ვნახავდი ბრძოლას.

ანტიკროფი ბ



- 1085 ზევსო, ღმერთთა შორის უოვლის
მპყრობელო და მხედო,
მიეც ქვეუნი მცველებს
იმის ძალა, უოვლისმძლევი იერიშით რომ აღიძრან.
- 1090 და ათენასაც ვუხმობ ხანუკველს
და მონადირე დიად აპოლონს,
მის დასაც ვუხმობ, ხშირწინწყლება და ფეხებმარდი
ირმის ჯოგებზე რომ ნადირობს. შევლას ვთხოვ იმათ
ამ მიწისა და მისი ხალხისთვის.

მესამე ეპისოდონი

- კორო — ო, უცხო მწირო, ნულარ იტყვი, თითქოსდა შენთვის
ცრულ მიხნობდაო შენი მცველი; ამა, ასულნი
ისევ აქეთკენ იჩქარიან მსახურებითურთ.
- რიდიკოსი — სად? რაო, რა თქვი? როგორა თქვი?
ანტიპონე — მამა, ო, მამა.
- 1100 ნეტავი ღმერთებს იმის ძალა მოეცათ შენთვის
გეხილა კაცი, ჩვენი თავი მოგგვარა ვინაც.
რიდიკოსი — ო, შეილო, ნუთუ აქა დგახართ? ნუთუ აქა ხართ?
ანტიპონე — თესვესმა გვიხსნა და დიადმა მისმა ამალამ.
- რიდიკოსი — რომ მოგეხვიოთ, მოეხლებო, შეილებო, მამას,
1105 აღარ ელოდა იგი უკვე თქვენს დაბრუნებას,
ანტიპონე — მისაღებს ითხოვ; ძლიერ წადილს მადლიც თან ახლავს.
რიდიკოსი — სად დგახართ? სად ხართ?
ანტიპონე — ორივენი გიახლოვდებით.
რიდიკოსი — ჩემო ძვირფასნო!
ანტიპონე — ძვირფასია მშობლისთვის შეილი.
რიდიკოსი — ო, მამის კვერთხნო!
ანტიპონე — უბედურნი უბედურისა.
- 1110 რიდიკოსი — უძვირფასესნო უველას შორის, ისევ მე მყავხართ,
რახან ჩემთან ხართ, არ დავხვდები სიკვდილს ბედშავად.
ამომიდექით, მომეკარით ორივე მხრიდან,
ჩემო შეილებო, ამარიდეთ ტანჯვა, რომელიც
მართოდ უოფნისას მომელოდა ეულად შეთნილს.
- 1115 მომყევით, რაც კი თავს გარდაგხდათ, მოკლედ მიამბეთ;
მაგ თქვენს ასაკში მცირე სიტუვაც არის საკმარი,
ანტიპონე — მხსნელი ის არის, იმისი სჯობს მოსმენა, მამა;
ცოტა წვლილი გვაქვს ამ საქმეში შენაც და ჩვენაც.
რიდიკოსი — სიტუვა რომ აგრე გავუგრძელებ ჩემს ქალიშვილებს,
1120 ნუ გიკვირს, მეფევა, არ ველოდი მე იმათ უკვე
მე კარგად ვიცი, რომ ამ შეებას და ამ სიხარულს
არვის არ უნდა ვუმაღლოდე შენ ერთის გარდა,
ჯანა სხვა ვინმემ, შენ იხსენი ჩემი შვილები.
დეე, რაც მე მწადს, ის გისურვონ დიდმა ღმერთებმა
1125 თავად შენაც და შენს მიწასაც, რადგან მე მხოლოდ
თქვენთან ვიპოვე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა,
კაცთმოყვარება და ურყევი პირის სიმართლე,
ჩემსავე თავზე გამოვცადე ეს უველაფერი,
რადგან რაცა მაქვს, შენგანა მაქვს და არა სხვისგან.
- 1130 მამ, მომეც ხელი, მეუფეო, ჩამოგართვა და



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- უკეთუ ამის უფლება მაქვს, შუბლზეც გემთხვიო.
ამას რას ვამბობ, ეგზომ ბედშავს სადა მაქვს ნება,
შევებო ვაგაკცს, ვისაც ბიწი არანაირი
არ შეძებია. ვერ გავბედავ, ვერ შეგებები
- 1135 და არც შენ მოგცემ ამის ნებაშ; მოკვდავთა შორის
ისევე ჩემდენი ტანჯვის მნახველს თუ ძალუძს მხოლოდ
ჩემი ამგვარი თანაღმობა. აქედან გეტყვი:
დე, გაიხარე, დე, ასევე გეზრუნოს ჩემთვის.
თესემსნი — როდი მაკვირვებს ვრცელი სიტყვა შენი, რომელმაც
- 1140 შეიღების ნახვით გაიხარე, არც ის მაკვირვებს,
ჩემამდე იმათ რომ მიაგე შენი სიტყვები.
გულგახანაწკენს არვიან ხედავს ამაში რამეს,
არა სიტყვებით ვცდილობთ ხოლმე, ჩვენი ცხოვრება
დიდების ნათლით რომ შევმოსოთ, არამედ — საქმით.
- 1145 აბა, დასტური: რაც შეგფიცე, მოხუცო, სიტყვით,
არ გაცრუე და საქმით ვქმენი: უვნებელნი და
გადარჩენილნი აქ მოგგვარე შენი შეილები.
თუ ვით ვიხსენი შე ისინი, რა ხაჭირთა
ამაზე კვებნა, გოგონები გეტყვიან ამას.
- 1150 ჯობს იმ ამბავზე მომაწოდო რაიმე რჩევა.
აქეთ მომავალს რომ მაუწყეს გზაზე ახლახან.
მოკლეა იგი, მაგრამ დიდად ვასაოცარი.
ოიდიკოსნი — მაინც რა არის, აჰიხსენი, ეგევსის ძეო,
- 1155 მე არა ვიცი იმ ამბისა, შენ რომ გსმენია.
თესემსნი — მითხრეს, თითქოსდა ვიღაც კაცი, არა თებელი
და მაინც შენი ნათესავი, პოსეიდონის
საკურთხევლებთან ჩამომჭდარა ხავედრებულად.
მაშინ ვისულა, მე რომ აქეთ მოვიჩქაროდი.
- 1160 ოიდიკოსნი — საიდან არის იგი ან რას ითხოვს თვისი უედრებით?
თესემსნი — ეს ვიცი მხოლოდ, სწადია, რომ რაღაც გაუწყოს.
მცირეოდენი, თანაც თურმე არასამძიმო.
ოიდიკოსნი — მცირეო? განა მცირედიისთვის შესთხოვდა ბომონს?
- 1165 თესემსნი — შენთან საუბნოდ აქ მოსული, იგი, ამბობენ,
ითხოვს, რომ მერმე უვნებლადვე გავუშვათ უკან.
ოიდიკოსნი — ვინ უნდა იყოს იგი მაინც, ბომონთან მჭდარი?
თესემსნი — აბა, დაფიქრდი, ნათესავი ხომ არ გყავს ვინმე
სადმე არგოსში, ან წუალობას მოგთხოვდა ვინაც?
ოიდიკოსნი — ჰოი, ძვირფასო, მანდ შეჩერდი!
თესემსნი — რა დაგეშართა?
- 1170 ოიდიკოსნი — არა, არ მთხოვო!
თესემსნი — რა არ გთხოვო, გამაგებინე.
ოიდიკოსნი — მე უკვე ვიცი, თუ ვინ არის იგი მთხოვნელი.
თესემსნი — ვინ არის იგი, ჩემი რისხვის ღირსი რომ იყო?
ოიდიკოსნი — მეფერო, იგი საძულველი შეიღია ჩემი,
სწორედ მის სიტყვებს ვერ ავიტან უველიაზე მეტად.
- 1175 თესემსნი — არ შეგიძლია მოუსმინო და რაც არ გინდა,
არც შეუსრულო, მაშ, რად გიმძიმს მისი მოსმენა?
ოიდიკოსნი — საძულველია ხმაც კი მისი, მეფერე, მამისთვის,
მას რომ დავუთმო, ნუ დამატან ამაზე ძალას.
თესემსნი — მაგრამ თუ ამას გაიძულდებს საკურთხეველთან
- 1180 მჭდომის უფლება, გვერდს აუვლი განა ღმრთის ნებას?!
ანტიგონა — თუმცე უმადვილი ვარ, მამაჩემო, რჩევას მოგცემ და
გთხოვ დამიჭერო, აღასრულოს, დაე, შეუფერე
საკრთე, რაიც სულთხათვის უნდა და ღმრთისთვის.



- 1186 დაგვიტყვი ჩვენაც: დე. მოუხდეს ჩვენთან ჩვენი ძმა.
გაბედე, მამა! დაშიქვრე, ვერ გამოგძალავს
იგი ისეთ აზრს, საზიანო რომ იყოს შენთვის.
მაინც რას გავნებს, თუ მის სიტყვებს მოისმენ მხოლოდ?
აგი ზრახვები სიტყვებშივე ჩანან უოველთვის.
შენი შეილია იგი, მამა, და ამიტომაც
- 1190 თვით უარესი ბოროტების გამოც არა გაქვს
უფლება, მასაც ბოროტითვე გადაუხადო.
მიუცე ნება, სხვებსაც ტანჯავს მწველი რისხვა და
სხვებსაც ჰუავთ ავი და უღირსი შვილები, მაგრამ
მათ ბუნებასაც მოდრეკს ხოლმე მოუვასთა რჩევა.
- 1195 განა ახლანდელს, ძველ სიმწარეს გაბედე შენსას,
მშობლებისაგან რომ იწვნიე ეგზომ სასტიკად.
თუკი იმათაც გაიხსენებ, მიხვდები, მჭერა.
ბოროტი რისხვა რა სიადვს შეიქმს ბოლოსთვის,
მცირედი გაზღავს განა ამის საბუთი, თავად
- 1200 შენ რომ თვითონვე დაითხარე შენი თვალები?
ო, დაშიქვრე, ცუდი არის, სიმაართლის მძებნელს
დიდხანს რომ უწევს მისი ძებნა, არ გვარგებს, მამა,
მეფის სიკეთეს სიკეთითვე რომ არ მივუზღოთ
მიდიანისი — თქვენთვის საამოდ, ხოლო ჩემთვის ეგზომ საშიშოდ
- 1205 თქვენმა სიტყვებმა მძლიეს, შვილო, დე, იყოს აგრე.
მაგრამ, მეფეო, თუკი იგი მართლაც აქ მოვა,
არვინ იუფლოს ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე.
მისევესი — ერთხელ ხომ მთხოვე, მეორეჯერ ნუღარას ამბობ,
მე არ ვიქადა, მაგრამ გწამდეს, სანამდის ღმერთი
მფარველობს ვინმეს, უვნებელი იქნები შენაც

მესამე სტასიმონი

ს ტ რ ა უ ი ბ

- 1215 მორი — ის ვისაც უნდა, მეტხანს იცოცხლოს,
ვიდრე პედისგან ერგება ვაში. —
შეუფერებელს ესწრაფვის მხოლოდ,
ცხადზე ცხადია ჩემთვის მართლაცდა,
სატანჯველთათვის მრავალგზისი და
გრძელი დღეების რიგია ხვედრად,
ხოლო საამოს ვერაფერს ნახავ
შენს წადილსა და შენს სურვილებს
- 1220 მოჭიდებულა, და ოდეს გაბმობს ჰადები, ვინაც
არც ცეკვა იცის და არც სიმღერა,
ყველას ერთურთთან გაახწორებს, ყველას დაიხსნის
ბოლოს სიკვდალი.

ს ტ რ ა ს ტ რ ა უ ი ბ

- 1225 არ დაიხადო, — არ რა არის
ყველაზე სარგი და მერე ის, რომ
უკეთუ იმყო, საჩქაროდ ისევ
იქვე დაბრუნდეს, სიდანაც მოხვედ
როცა გაივლის ახალგაზრდობა
უზრუნველი და ქარიფანტია.



- 1230 რა ტანჯვა არის, შენ არ გეწყვიოს,
რა ჯაფა, შური ანდა წვაობა.
შუღლი, კაცთა კვლა, ომი და ბრძოლა?
ბოლოს კი შოდის საძულველი, ძალადამცლელი,
მარტოდ მშთენელი და უამური
- 1235 სიბერე, რათა სიკვითა უველა სიკვე
ერთად აცხოვროს.

ე. კ. დ. მ. ს. ბ

- 1240 ბნრნ — ბედშავი იგიც ამ ხნისაა, განა მარტო მე.
ვით უოველ მხრიდან ჩრდილოეთის ციყაბო ნაპირს
ატყდება ხოლმე ცივ წამთარში და არუევს ტალღა,
აგრე ბორგავენ მოხუცის თავზე
შეშხარავი და მძიმე ცოდვები.
მას ეხლებიან ისინი მუდამ,
1245 ზოგი იქიდან, სქდაც მზე ჩადის,
ზოგიც იქიდან, მზე რომ ამოდის,
ზოგი შუადღის სამხრეთ ქვეუნიდან
და ზოგი სულაც ჩრდილოეთით, ღამის რიპედან.

მომთხე ეპისოლიონი

- 1250 ანტიპონე — სწორედ ის უცხო კაცი არის, როგორც ჩანს, მამა,
უამალოდ და მარტოდმარტო რომ შოდის აქეთ,
ცრემლის ნაკადი ღვარად დასდის ბედშავს სახეზე.
ნილიკონი — ვინ არის იგი?
ანტიპონე — სწორედ იგი, ვისზედაც ადრე
თავად ვფიქრობდით: პოლინიკე შოდის აქეთკენ.
1255 კოლინიკე — ვაგლახ, ჩაღა ვქნა, რა ვატირო, დებო, პირველად
ჩემივე თავის უბედობა? თუ უბედობა
მამაჩემისა? სამშობლოდან გაძევებულა
უცხო მიწაზე მოვიძიე შეილებთან იგი.
ეს რა ტანსაცმლით შეუშოსავს ბებერი ტანი,
მოხუცის კლჭვილ ვალესილი ტანისამოსი
1260 ტანზე იკვრის და ნახუცებულს გვერდებს უფიტავს.
თვალვებდავსებულს ქარისაგან აშლია თმები,
აღბათ ჩანთაშიც ასეთივე უდევს საგზალი
და იმით კვებავს სიბრალობელ, გატანჯულ სხეულს.
გვიან ვგებულობ მე ბედშავი უველაფერ ამას.
1265 თავადვე გეტყვი კაცთა შორის უბოროტესი
ვყოფილვარ მარტლაც, ამგვარ დღეში რომ გჭრდავ მაშას.
მაგრამ ხომ მუდამ გვერდით უზის ტახთან დიად წყნას
ღმობიერება უოვლის მიმართ, დაღ. შენთანაც
ის დადგეს, მამა, აღბათ შევძლებ გამოგვისყიდო
1270 ჩემი ცოდვები, გამრავლებას ვერ შევძლებ ვათხას,
რად ღუმბარ?
მითხარი რამე, ნუ იბრუნებ პირს ჩემგან, მამა.
არ შეტყვი რამეს? ნუთუ ასე პატივშეღახულს
გამიშვებ უკან და არ შეტყვი რაზე მრისხანებ?
1275 თქვენ, ო, შეილებო ამ კაცისა, ძვირფასო დებო,
თქვენ მაინც სცადეთ მამაჩემის ბავის შერხვეა,
უპარებელი რომ არის და ეგზომ სასტაყი.
სცადეთ, რამეთუ ღმრთის წინაშე ვედრებად მდგარი



- 1280 არ გამაბრუნოს უსიტყვოდ და აგრე უღირსად.
ანტიკონი — რისთვის მოხვედრი, ამაზე თქვი, ბედკრულო, რამე,
რადგან სიტყვები სიხარული რომ მოაქვთ ჩვენთვის.
ან რამე წყენა, სიბრალულს რომ აღძრავენ ჩვენში. —
თავად მუნჭებხაც კი ამოგლეჯს რაივე ბგერას.
კოლინიკა — მაშ. კარგი, ვიტყვი, მართლაც სწორად მითხარი, დამ.
- 1285 უპირველესად იმ ღმერთს ვუხმობ დახმარებისთვის,
საკურთხევლებთან რომ ვიდეკი, ვიდეკი, რათა
აქ მოვსულიყავ და ამ ქვეყნის მეფის ნებართვით
სათქმელი მეთქვა, მომესმინა მამის პასუხი
და მერმე მშვიდად წავსულიყავ. მეც ამას ვითხოვ
- 1290 თქვენგან, უცხოონო, თქვენგან, დებო, და შენგან, მამა,
ეხლა კი გეტყვი, რის გულისთვის მოვსულვარ შენთან.
განდევნილი ვარ სამშობლოდან, და ეს იმიტომ,
რომ შენი ტახტი მოვისურვე უოვლისმპყრობელი,
ტახტი, რომელიც შენს უფროს ძეს მეკუთვნის წესით.
- 1295 ეტოკლემ კი, შენმა შვილმა, ჩემზე უმცროსმა
თებეს ქვეყნიდან გამაძევა, პირველობა კი
განა თუ სიტყვით დამიმტკიცა ან კიდევ საქმით, —
უბრალოდ — ხალხი შემოიმხრო, მე ახლა ვხედავ
ამის მიზეზიც ერინისი უოფილა შენი:
- 1300 მისნებიც სწორედ ამნაირად ამბობდნენ ამას,
რადგან არგოსში რომ მოვედი, მეფე აღრასტოსს
ხიძედ გავუბდი და ურყევი ფიცი შევეკარი
ყველა იმასთან, აქაში პირველებსა და
იარაღგანთქმულთ რომ უხმობენ, შევკარი, რათა
იმათი ლაშქრის შვიდი რაზმით ვეკვეთო თებეს.
- 1305 ვეკვეთო, რათა ამ ბრძოლაში ან თავად მოეკვდე,
ან გავაძევო იგი, ვინც მე გამაძევა.
იქნებ იკითხო, შენთან რისთვის მოვსულვარ მაინც?
ფრიად მდაბალი თხოვნა გვაქვს და სავედრებელი
შენდამი, მამა, თავად მე და ჩემს თანამდგომებს,
ახლა ისინი შვიდი აღმით და შვიდი რაზმით
ქალაქის ირგვლივ შემომდგარან ბრძოლად აღძრულნი.
პირველი არის შუბოსანი და ფრინველებით
სკითხავი ამჟიაროსი, ხოლო მეორე
- 1315 ტიდევსი არის, ეტოლიელ ენევსის ვაჟი,
ეტოკლე კი მესამეა, არგოსს შობილი,
მშობელმა მამამ, ტალაოსმა რომ წარმოგზავნა,
მეპომედონტი მეოთხეა, კაპანევსი კი,
რიგით მეხუთე, დაწვასა და მიწად დამხრხანა
- 1320 უქადის თებეს, მიექვსე კი არვადიელი
პართენოპაიოსი არის. — ატალანტეს ძე
დედის ხანგრძლივი ქალწულობით აგრე უხმობილი,
თვით მე კი — შენი, და თუ არა შენი, აჯობდა
ხვედრის ნაშობი — მაინც შენად მიხმობუნ ვიხაც.
- 1325 — თებესკენ ვუძღვი არგოსელთა გულმამაც ლაშქარს.
შენს ასულებს და შენს სიცოცხლეს გავუძღვრებთ, მამა,
მათ გავედრებთ და ამ ერთადერთ მადლსა გთხოვთ მხოლოდ,
მე გადმომეცი შენი რისხვა ახლა, როდესაც
ჩემს ძმაზე შურის საძიებლად მივდივარ თებეს,
ძმაზე, რომელმაც მშობლიური მიწა წამართვა,
გადმომეცი, რადგან, თუ მისანთა სიტყვებს ვენდობით,
ვისიც შენ იყო, გამარჯვებაც ამას დარჩება.



ქართული
საქმიანობა

- 1335 თებებს ამბობენ და მის წყაროებს გაფიცებთ. მამა და მამა და და მამა ხედას. ჩვენ რომ არ ვიცო
მათხოვრები ვართ სამშობლოდან დაბრუნდნის
სხვათა წყალობის შემუშავების უცხოველობა არავე
და ზვედროც სწორედ ერთნაირი შეგვხვდა მამა-მკვიდრს
ის კა, ტიჩანი. ხაჩლში აჩის — მთი, შე ბედმავეს —
დაგვიცინის ჩვენ და შეიადობა რკობს თავისა.
- 1340 თუცა გადაწყვეტ და ჩემს მხარეს დაიქვრ. მამა,
სწრაფად და ერთობ უტყუარად დაგამხობ ამას.
წაგაუვან. მამა, და გაპოფებ შენივე სახლში.
მეც დავბრუნდები, გადაძვევ რაკილა მამს.
შენი შეწვევით აღვასრულებ ამას კველაფურს.
- 1345 ზოლო უშენოდ. ვიცო, თავსაც ვერ გადავირჩინ.
ქმრ(ი) — ვინაც ას შენთან მოიყვანა, იმ კაცის რიდით
უთხარა რამე და უჯანვე გაუშვი იგი.
მიიღიარონ — არა, მოხუცნი, ის რომ მართლაც ამ მიწის მპყრობელს
არ მოეუვანა ჩემთან ახლა და თავად თესვებს
1350 არ მოესურვა, რომ ხახუხი მამეგო მოსთვის.
მართლაც ვერასდროს მოიხმენდა ჩემს სიტუვას იგი.
ახლა კი ღირსი შეიქნება იმ სიტუვებისა.
არაფრით რომ არ გააბარებს იმის ცხოვრებას.
ბოროტო, ავი შენ იყავი იგი. — კვერთხის და
1355 ტახტის მპყრობელი. ის შენი ძმა რომ უფლობს ახლა,
მშობელია მამა რომ განდევნე ქალაქიდან და
ამ სამოსელის რომ არგუნე წილად ტარება.
ახლა დასტირი ამ სამოსელს, ახლა, როდესაც
აგრე ნატანჯი ჩემი სწორი მოჩანხარ თითქმის
1360 განა საგლოვი, — ისევე ჩემი სატარება:
ის, სახამ ვარ და მუხსომები, ვითარცა მკვლელი.
ავიდა სწორედ შენ ჩამაგდე ამ გასაჭირში,
შენ გამაძვევ შენს გამოა, მოხუციალურ
სხევებს რომ გამოვთხოვ უოველდღაურ ჩემს რსებობას
1365 ეს გოგონები რომ არ მეშვა, ჩემი მრჩენელი.
დღეს უკვე მკვდარი ვიქნებოდი შენი წყალობით.
ჩემი მრჩენელი, ისინია, მე რომ მშველიან,
კაცნი არიან ისინი და არა ქალები.
ჩემზე ზრუნავენ, — თქვენ კი არ ხართ ჩემგან შობილნი.
1370 ამადაც გიციქვართ ბედისწერა, თუმც გან, ისე.
როგორც ამხანად როცა მარ ლაც დაიძურებოდა
შენი რაზმები თებებსავენ, ვეროჯეს დასცე
შენ ეს ქალაქი, უფრო ადრე შენი ღვიძლი ძმის
სისხლით შეღებულ შენს თავს დასცემ შენს ძმასთან ერთად.
1375 ეს წვევლა ადრეც მოთქვამს თქვენზე, ზოლო ამჯერად
მთარველ ქალმშობლებს თანადგომას მე შევთხოვ, რათა
თქვენი მშობლების დაფასება შეიგნოთ თქვენაც
და უკადრისად არ განდევნოთ დაბრმავებული
მშობელი მამა, როდი იქმდნენ ამას ესენი.
1380 ამადაც სწორედ მათ იუფლონ შენი კვერთხი და
შენი დარბაზნი, თუცა კველავაც კრონიდთან მგინს
კანონთა მკველი სამართალი თავდაპირველი,
შენ კი, ო, განვედ, საძულველო, შენ არ გვავეს მამა,
უბოროტესო ბოროტთაგან, მუდამ თან გდევდებ
1385 წვევლა, რომელსაც მე აღვაყვლებ: არცთუ მშობელი
მამა დაიძურა შენი შუბლით და არც ოდესმე



- 1390 უკან დაბრუნდუ შენს არგოსში, დაე, შენივე ძმის ხელით მოკვდე და თვით მოკლა, ვინც გაგაძვეა. აგრე გწყველი და ტარტაროსის შზარავ ნათესავს —
ერებოსს ვუხშობ, შენც თავისთან დაგიდოს ბინა, ამ ქალღმერთებსაც შევლაღადებს, არესაც ვუხშობ, არესს, თქვენს შორის საშინელი შუღლის ჩამომგდებს, ხომ მოისმინე, მაშ, გამშორდი და მოახსენე ყველა კადმოსელს და შენდამი ეხოღენ ერთგულ იმ შენს მეგობრებს, თუ რად მისცა თიღიპოსმა ახეთნაირი საბოძვარი თავის ვაჟკაცებს.
- 1400 ძმონ — რადი ვხარობდი, პოლინიკე, აქეთ მომავალ შენი გზის გაშო — ო, ახლა კი გახწი ხაჩქაროდ! კოლინიკამ — ვაიმე, გზაო, ვაი, ჩემო უბედურებავ, ო, მეგობრებო, როგორია ჩვენი გზის ბოლო, ჩვენი, ვინც არგოსს ვეშურებით, — ჰოი, მე ბედშავს, — როგორია და — მე არ ძალმიძს, ჩემს თანამდგომებს მოვუთხრა მასზე, ველარც უკან დავიხვე უკვე, — დაუნჯებული უნდა შევხვდე ჩემს ბედისწერას.
- 1405 ო, ჩემო დებო, ო, თქვენ მაინც, ვინაც შშობელი მამის წყველანი მოისმინეთ უსახტიკესი, — უკეთუ მართლა აღსრულდება ეს შეჩვენება და თუკი ხაზლში დაბრუნდება ვინმე თქვენგანი, — დაე, თქვენ მაინც ნუ შელაზავთ, დებო, ჩემს პატრეს, საფლავში ჩამდეთ და დაკრძალვის მომავთ წესი, მაშინ დღევანდელ სახელსა და შაგ თქვენს დიდებას, რომელიც მასზე შზრუნველობით მოგიხვეჭიათ, ჩემზე ზრუნვითაც არანაკლებს შეპმატებთ სახელს.
- 1415 ანტიგონე — ო, დამიჯრე, პოლინიკე, გემუდარები. კოლინიკამ — რისი თქმა გინდა ანტიგონე, ჩემო ძვირფასო? ანტიგონე — ხანწრაფოდ არგოსს მოაბრუნე შენი ლაშქარი, ნურც თავს დაღუპავ და ნურც ქალაქს დაღუპავ შენსას. კოლინიკამ — არ შემოძლია; რადგან მერმე როგორ გავუძღვე ლაშქარს, რომელსაც დავაბრუნებ შიშისგან ერთხელ.
- 1420 ანტიგონე — რა საჭიროა ხელმეორედ აღიძრა, ძმაო? რა შადლს მოიგებ, თუ შენივე ქალაქს დაანგრევ? კოლინიკამ — საშარცხვინოა გაქცევა და აგრეთვე ისიც, ჩემზე — უფროსზე — უმრწემესმა ძმამ რომ იცინოს.
- 1425 ანტიგონე — ხედავ თუ არა, რა სწორია მისნობა იგი, ერთმანეთისგან რომ აღვითქვამთ სიკვდილს ერთავეს? კოლინიკამ — მის ზომ აგრე სურს, და დათმობა აღარც ჩვენ ძალგვიძს, ანტიგონე — ვაი, მე ბედშავს, ვინ გაბედავს შენ რომ გამოგყვეს მის მიერ აგრე ნამისნევი სიტყვების შემდგე? კოლინიკამ — ცუდს არას ვიტყვით, კარგი სარდლის მოვალეობა მუდამ ხაამოს უწყებაა და არა ავის.
- 1430 ანტიგონე — მაშ, მართლა ასე გადაწყვიტე, ბედშავო ძმაო? კოლინიკამ — ნუღარ მაკავებ, ანტიგონე, ნუღარ მაყოვნებ, უბედურია ეს ჩემი გზა, ეგზომ სასტიკი, და წყველაც აწევს მამისა და ერინისების.
- 1435 თქვენ კი, უკეთუ წესს ამიგებთ, სიკეთე მოგცეთ მალაღმა ზევსმა; განა ცოცხალს, მკვდარს მომებვევით ოდესმე ისევ, მაშ, გამიშვით, მშვიდობით, დებო, ველარ მიხილავთ ცოცხალს შეტად.
- ანტიგონე — ჰოი, მე ბედშავს! კოლინიკამ — ნუ მგლოვობ, დაო.



- 1440 ანტიპონე — ვინ შეიძლოს, რომ არ გიგლოვოს, შენ. ვინაც, ძმაო, ასე ცხადად ჩადიხარ მადესს? კოლინიკა — თუ სიკვდილია, დაე მოვკვდე.
- ანტიპონე — ეური დაშიგდე.
- კოლინიკა — რაც არ შემფერობ, ნურც შენ შეტყვი.
- ანტიპონე — შენ თუ დაჯარგე, რა უბედური შევიქნება.
- კოლინიკა — ღმერთის ნებაა —
- 1445 აგრე იქნება თუ სხვარიგად. ოქვენ კი, ორივეს, ღმერთებს ვთხოვ ამას, არასოდეს შეგხვდეთ სიავე. ცხადია მართლაც, ავბედობის არა ხართ ღირხნი.

კოლინიკა

სტროფი ბ

- 1450 ძმრო — თუ ბედისწერა არ მისწვდება და თუ არ შეცვლის, მრავალ ხელახალ ავბედობას დამაწევს თავზე ეგ უსინათლო უცხო კაცი.
- ღვთაებათაგან წინახწარტქმულს ვერაფერს ჩავთვლი ცრულ და ამაოდ.
- ხედავს. ო. ხედავს. უველაფერს ხედავს მარადიული ეამი, რომელიც
- 1455 უოველდღიურად ამრავლებს ვარამს.
- შეირყა ეთერი, ო. ზევსო!
- მიდიკოსი — ჩემო შეილებო, ო, შეილებო, ხომ ვერ მოიყვანს აქაურთაგან რომელიმე დიდებულ თესვესს?
- 1460 ანტიპონე — რა განვიზრახავს მაინც, მამა, რად უხმობ მეფეს? მიდიკოსი — მალე ჩამიყვანს ფრთამოსილი მები ზევსისა მადესში... თუმცა, ო, გაგზავნეთ ვინმე საჩქაროდ.

ანტი სტროფი ბ

- 1466 ძმრო — შეხედე, გრგვინავს და გრიალებს ზევსის ნატყორცნი ვენება მენი, ყალუზე მიდგას შიშისგან თმები, ო. ყალუზე მიდგას.
- ართის და ცახცახებს ჩემი სული, გარდამოსული, კლავ იწვის ელვა.
- რა აღსასრული მოდის ნეტავ, ძრწოლამ შემშიყრო, მუდამ სიავე ახლავს მის გრგვინვას.
- 1470 ო, დიდო ეთერი, ო, ზევსო!
- მიდიკოსი — ღვთისაგან კაცზე ნამისწევი აღსასრულია მომდგარი, შეილნო, განრიდება აღარ ეგების.
- 1475 ანტიპონე — საიდან უწყი და საიდან დაახკვენ, მამა? მიდიკოსი — ვიცი ნამდვილად, მაგრამ ნეტავ წავიდეს ვინმე და ჩქარა ჩემთან მოიყვანოს ამ მიწის მეფე.

სტროფი ბ

- 1480 ძმრო — მთი, შეხედე, როგორ გრგვინავს შორს მომქუხარი მები ზევსისა, ო, შეგვიწყალე, შეგვიწყალე, მაღალო ღმერთო, ნეტავ წყვდიადი ხომ არ მოგაქვს დედამიწაზე.



- 1480 დე, სასიკეთოდ მოგვეხერხდეს შენი ნიშნება,
დაე, სამადლოდ მოხუციუკოს ჩვენთან ეს კაცი,
მალალო ზევსო, შენდა ვადადებ.
რიდიკოსი — ახლოა უკვე? ნუთუ ისევ ცოცხალს მოძინწრებს,
შვილებო, იგი და გონებით ჯერაც დაწმენდილს?
ანტიპონი — რა ანდერძი გასურს დაუტოვო იმის ხელს ნეტავ?
რიდიკოსი — ჯემგან აღტყმული მადლი მინდა მივაგო იმას,
1490 მის კეთილ საქმეს საქმიოვე მსურს გადავუხადო.

ინტერსტროფი ბ

- ვაგლახ, ვაიმე, ზემო შვილო, მოვედ, ო. მოვედ,
მოვედ, თუნდაც რამ —
ჩვენი სამშობლოს განსაწმენდად სწირავდე ზვარაკს
1495 ზღვათა მეუფე პოსეიდონს, მოვედ, ო. მოვედ.
ან უცხო მოხუცს გამოზრახავს, — შენ და შენს ქალაქს,
შენს მეგობრებსაც მადლი უზღოს სამართლიანი
გამოეშურე სწრაფად, პატრონო.
1500 ტისემისი — რა მიზეზია, რა ხმაურით მოცულებართ უველა
და ამ ხმაურში რატომ ისმის ხმა უცხო კაცის?
შეციდან რომ არ დაგტუდომიათ დიადი ზევსის
ელვა ან სეტყვა: ევლათერი ძალუძს ღვთაებას,
უგზომ ძლიერი კარაშოტი ადაგზნო ვინაც.
1505 რიდიკოსი — გნატრობდი, მეფეც, და მოხვედი, ამ გზაზე აღბათ
ვიდაც უკვდავმა დაგაუნა შენს სასიკეთოდ.
ტისემისი — ახალი არის რამე, ძეო ლაიოსისა?
რიდიკოსი — ჩემი სიცოცხლას გარდატეხა, არ მინდა მოგვედე
და დანაპირი გავიცრუოთ შენ და შენს ქალაქს.
1510 ტისემისი — რაზე ნიშნებით განვიცხადდა ამგვარი ხვედრი?
რიდიკოსი — მაცნე ღმერთები მაუწყებენ ამას უცდომლად,
ნათი ნიშნება არასოდეს გვატყუებს მოკვდავთ.
ტისემისი — მაინც რა იყო ეს ნიშნები, მოხუცო კაცი?
რიდიკოსი — გრგვინვა მენისა მრავალგზისი და უძლეველი
1515 ხელით ნატურცნი მრავალგზისი ელვის ისრები.
ტისემისი — მე მჯერა შენი: რაც წინასწარ გვითხარი ადრე, —
უველა აღსრულდა, თქვი, რას მირჩევ, როგორ მოვიქცე.
რიდიკოსი — ეგევსის ძეო, მე გასწავლი სიბრძნეს, რომელიც
შენს ქალაქს მარად უბერებელ ქალაქად აქცევს,
1520 იმ ადგილს, სადაც უნდა მოგვედე, თავად გაჩვენებ.
თვით წარგიძღვები, არვის შეველა არ დამჭირდება.
შენ კი კაცთაგან ნურასოდეს ნუ ეტყვი ვინმეს,
სად იმყოფება, დაფარული სად არის იგი,
რათა, მრავალი ფარისა და შუბის სანაცვლოდ,
1525 მეზობლებიდან იგი იყოს თქვენი მფარველი.
იმას, რისი თქმაც მკრებელობა არის ამქერად,
თავად შეიტყობ, როცა ჩემთან მოხვალ მარტოც,
ქალაქელთაგან მე არავის არ ვეტყვი იმას,
არც შვილებს ვეტყვი, ძლიერ მიუვარს თუმცა ისინი.
1530 დაფარე იგი თავად შენაც და როცა მოვა
სიკვდილის ეამი, შენს მეშვეიღრეს გაანდე მხოლოდ
მეუდიდან მეუფს გადაეცეს ნიადაგ იგი
და ასე დარჩეს შენს ქალაქში სპარტელთა მოდგმას,
მარად უძლეველ დიდ ათენში, ქედმაღლობა კი
1535 ქალაქთა შორის ბევრს სჭირს ზოლზე კეთილად მცხოვრებს.



- გვიან აპრობენ თავის მზერას ღმერთები იმას, ნათ წესს განუდგა და ზვაობას მიეცა ვინაც. არ დაგემართოს შენაც ასე, ევგენის ძეო. უჩემოდ იცი ყველაფერი, ეხლა კი როცა ღმერთის ნიშნება აჩქარებას მაუწყებს უკვე, ნულარ ვაყოვნებთ, მივაშუროთ იმ ადგილს ჩვენაც. წვილებო, უკან გამომხვევით, მე გაგიბდებით ჰერ გაუგონარ წინამძღოლად, მე ვინაც ადრე თქვენვე დაგყავდით. გამომხვევით, ნუ შემეხებით.
- 1540 მევე მომანდეთ ჩემი წმინდა სამარის პოვნა, სადაც ამ მიწით მიწერია რომ დავიფარო. აგრე, აქეთკენ გამომხვევით; აქეთ მივყავარ სულლების შეგზურ ჰერმესსა და ქვესკნელსა ღმერთქალს. ჰოი, შენ, ბნელო სინათლეო, ოდესღაც, სადღაც
- 1545 ჩემი იყავი, ამჟამად კი უკანასკნელად შეხები ტანზე, მივალ, რათა აღსრულებული სიცოცხლე მადესს ჩავაბარო. ო, სანუკველო, თავად შენაც და შენი მიწაც, შენი მსახურნიც ყავით მარად ბედნიერნი და სიმართლეში მარადის ნეტართ მეც გახსოვდეთ, როცა მოვკვდები.
- 1550

მეოთხე სტასიმონი

ს ტ რ ო ჟ ი ბ

- ქორო — თუკი ნება მაქვს, ჩემი ლოცვებით თავიანი რომ გცე, უხილავო დიდო ქალღმერთო, და შენც აჩრდილთა საბრძანისის დიდო მეუფევე, შენ, ო, აიდონევს, აიდონევს,
- 1560 გემუდარები, უღრტვინველი სიკვდილით ჩაპხდეს მოხუცი იგი სტიქსისა და აჩრდილთა სახლში, რათა მართლაცდა უსამართლო და უთვალავი უსასტიკესი სიმწრის შემდეგ,
- 1565 თავს რომ დაატყდა, ვლავაც ალავსოს იგი ღმერთმა სამართლიანმა.

ანტი სტროფი ბ

- მიწის ქალღმერთო, და უძლეველო ნბეცო, მადენის სტუმარმრავალ ბქესთან, რომ წევხარ და შენს ქვაბულში იღრინები გულისწამლებად, ბრდღვინავ, რამეთუ, როგორც ჩვენ ვაჭობთ, ბნელი მადენის დარაჯი ხარ მარადიული, შენაც, გეას და ტარტაროსის ბნელო ასულო, მკვდართა საუფლოს ჩაიყვანო, გვედრო, ქვესკნელში შენს კართან მდგარი სამართლიანი უცხოტომელი,
- 1570
- 1575 შენ, ვინაც გიხმობ მარადისად მიმადინებელს.

ექსოდოსი ბ

- მაცნე — ქალაქის მკვიდრო, თუკი მოკლე სიტყვით ვიტყოდი, ამას გამცნობდით: — აღარ არის ოიდიპოსი.
- 1580



- ხოლო ამ ამბავს, რაც იქ მოხდა ცოტა ხნის წინათ,
ვერავინ შეძლებს მოკლე სიტყვით მოუთხროს ვინმეს.
მორი — მაშ, დაიღუპა, უბედური?
მაცნე — ეჭვიც არ არის,
სამარადისოდ მიატოვა მან ეს ცხოვრება.
- 1585 მორი — და მაინც როგორ? — ღვთის ნებით და უმტკივნეულოდ?
მაცნე — ესე ამბავი გაოცების ღირსია მართლაც.
აქ იყავი და თავად ნახე, როგორ წავიდა
აქედან იგი — არ უძლოდა მას წინ არავინ.
პირიქით მოხდა: თავად იმას მივყავდით ყველა.
- 1590 მერმე კი, როცა მიაღწია ციციბოო დაღმართს,
სპილენძის კიბედ რომ ეშვება მიწის წიაღში.
გზაჯვარედინთან, ერთ-ერთ გზაზე შედგა მოხუცი
უფსკრულის პირას, — ძმობის ნიშნად სწორედ აქ დგანან
პერიოტოსის და თესევის ქანდაკებები.
- 1595 შუაში დადგა იგი მათგან, თორიკულ კლდისგან,
გულტარული მსხლის ხისა და ქვის სამარისგან.
დაქდა, გაიძრო კუჭყიანი თვისა სამოსი,
მერმე ასულეებს მოუხმო და განსაბანელად
და ხაკურთხევლად წყლის მოტანა უბრძანა შვილებს.
- 1600 მათაც უმაღლვე მიაშურეს მწვეანით შემოსილ
დემეტრეს გორაკს, იქიდანაც კარგად რომ ჩანდა.
მსწრაფად მოიტანეს ნაბრძანები, განბანეს იგი,
როგორც წესია და სამოსით შემოსეს თეთრით.
და ბოლოს, ოდეს განიხარა ყოველითა ამით
- 1605 და აღარ დარჩა არაა ხაკმე, რაც იმას ხურდა,
მიწისმიერმაც სწორედ მაშინ იგრგვინა ზევსმა.
რა ესმათ მისი, აცახცახდნენ შიშით ქალწულნი,
მამას მუხლებში ჩაუფარდნენ და გლოვის ზარით
დიდხანს იცემდნენ ხელებს მკერდში ცრემლდადენილნი.
- 1610 და მან კი, ოდეს გაიგონა მათი გლოვის ხმა,
მშვიდად მომხვია ხელები და უთხრა: „შვილებო,
დღეს უკვე შეტად აღარა გყავთ მშობელი მამა,
მოკვდა ყოველი ჩემეული და თქვენაც უკვე
აღარ გეჭნებათ ჩემი რჩენა ჭაფად და ზრუნვად.
- 1615 მე ვიცი, იგი მძიმე იყო, შვილებო, თქვენთვის,
მაშ, დე, ამ სიტყვამ განაქარვოს ეს თქვენი ტანჭვა.
არ არის ქვეყნად სიუვარული უფრო ძლიერი,
ვით სიუვარული ამ კაცისა, დაობლებულნი
აძიერიდან კეთილადვე იცხოვრებთ ისევ“.
- 1620 აგრე ურთიერთს ჩაკონილნი დიდხანს ტიროდნენ
გულამოსკენილად სამივენი, და ბოლოს, როცა
იყუჩეს სამთა და ტირილი და მათი გლოვა
აღარ არღვევდა დაბდგარ დუმილს, ანაზღად რაღაც
ხმაგ მოუწოდა ლილიასს და მაშინ მათაც
- 1625 ქალწულ დიდგვან შიშისაგან ზარგანხდილთ თმები,
რადგან ბევრგზის და ბევრი მზრიდან უხმო მას ღმერთმა:
„ო, ლილიას, ლილიას, რად ვაგვიანებთ
შენს წასვლას ნეტავ? შერ ისედაც დიდად დაუოვნდი“.
და როცა მიხვდა, ღმერთისაგან ვარო ხმობილი,
დიდი თესევის, მიწის მეფე იხმო თავისთან.
- 1630 და როს მივიდა იგი მასთან, უთხრა: „ძვირფასო,
მომეცო ხელი იმის ნიშნად, რომ არ უმტყუნებ
ასულეებს ჩემსას — თქვენც მიეცით, შვილებო, ხელი —



- 1635 და შემოპირდი, რომ ერთგული იქნები ვათა და რომ უოველთვის სასიკეთოდ იზრუნებ მათთვის“.
- და მეფემ, როგორც კეთილშობილ ვაჟკაცს შეჭყერის, დაუყვებდრებლად შეჭყიცა და პირობაც მისცა, და უოველივე ამის შემდეგ ოიდიპოსმა
- 1640 სწულეებს მოჰყიდა ხელეები და ამგვარად უთხრა: „შვილებო, უნდა დაჰპირჩილდეთ მოსახდენსა და უნდა დატოვოთ ეს ადგილი რომ არც ნახოთ და არც მოიხმინოთ, რაც არა ხამს ხილვად და სმენად, არამედ წადით და... საჩქაროდ, მხოლოდ შეუფე თესვესი დარჩეს, რათა ნახოს, რაც აქ მოხდება“.
- 1645 აგრე თქვა მან და სუყველანი მან დავმოჩილდით. გამოვეშურეთ ისულებთან ერთად და ყველას ცრემლი გვდოდა ნაკადივით, რა გამოვშორდით იმ ადგილს, უკან მოვიხედეთ და დავინახეთ, რომ უკვე არსად აღარ ჩანდა იგი მოხუცი.
- 1650 მეფელა იდგა, გაეწვდინა ხელეები წინ და თვალეებს მალავდა, თითქოს რაღაც აუტანელი, წარგანმხედელი და საშინელი ხილვა ენახოს. თუმცაღა მალე აგრე უხედავთ: იჩოქებს მეფე და თაყვანსა სცემს დუდაშიწას, ხოლო სიტყვებით
- 1655 დადებულ ღმერთთა ოლიმპოსსე მიაგებს პატივს, ხოლო რა ხვედრით აღესრულა ოიდიპოსი, თესვესის გარდა ვერვინ იტყვის მოყვდავთა შორის, რადგან არც ღმერთის ცეცხლისმფრქვეველ ელვას დაუწვავს და არც ზღვის ქარბუქს წაუღია საითმე იგი.
- 1660 უსაძლო არის, რომ მეგზურმა ვინმე ღვთაებამ წაგვევარა იგი ან წყუდიადმა ჩაიყრა გულში, არც ტანჯით არის იგი მყვდარი და არც რაიმე სწეულეებისგან ძალმიხდილი, მოყვდავთა შორის
- 1665 იგი — ყველაზე ხაოვარი, თუკი მე ვცდებო, არა მგონია, არ ცდებოდეს, ვინც ასე ფიქრობს.
- ანტიკონი — სადღა არიან ასულები და ვინც მათ ახლდა?
- მანტიკონი — შორს არ არიან, რადგან მოთქმის მკაფიო ხმები მე მანიშნებენ, რომ აქეთიენ მოდიან ისევ.

კოეოსი

ანტიკონი

სტროფი ბ

- 1670 ვაგლახ, ვაიმე, საჭიროა, რათა ორივემ სისხლი ვიგლოვოთ მამაჩენისა, ვიგლოვოთ აბლა და მერმისშიც ვიტიროთ იგი —
- 1675 დაწვევლილი და ავბეღითი, ამ სისხლის გამო აღრეც მრავალი ჯაფა გვადგა და მერმისშიაც მრავალი გველია უბედურება.
- მორი — რა მოხდა, ბალო?
- ანტიკონი — მოსახდენი მოხდა, ძვირფასო.
- მორი — წავიდა იგი?
- ანტიკონი — სწორედ ისე, შენ რომ განდოდა, რადგან არც არესს მოუტაცნია



- 1680 იგი და არც ზღვას. ბნელმა წიაღმა ჩაიკრა იგი თავის წუვდიადში, შეუცნობელი ბელით და ხვედრით. ვაგლახ ორთავეს, სვეუბედურთი ო, ავბედითი ღამე მომდგარა ჩვენს ოვალუბზე;
- 1685 რომელ მიწაზე ანდა ბორგნეულ ზღვაზე ვიპოვით ჩვენს ბედს მარტონი? როგორ ვიპოვით ანდა სად არის ჩვენი ცხოვრების მწარე საგზალი? ისმინე — არ ვიცი, დაო, ნეტავი სისხლით უძლომელ მადესს მოვეტაცე და მამასთან ერთად მოვეკაალ ხულაც. სიცოცხლეს, დღეს რომ მომდგარა ჩემთვის, სიცოცხლე უკვე არც ეთქმის შეტად.
- 1690 მორღ — თქვენ, წვილთა შორის გამორჩეულნო, ღმრთის განაჩენი ღირსეულად ატარეთ მუდამ. ნუ სტირით, ხვედრი, თქვენ რომ მოგვეგოთ, ხულაც არ არის აგრე სასტიკი.

ანტიპონე

ა ნ ტ ი ხ ტ რ ო ჟ ი ა

- ო, მენატრება ის სიმწარე. ძვირფასი იყო იგი — არაფრით გასაძარი.
- 1700 ძვირფასი იყო, როცა ხელით მიმყავდა იგი. მამა, ო, მამა, დედამიწის წუვდიადში მწოლო, კარგად იცოდე, არახოდეს არ განელდებო ჩვენი შენდამი სიყვარული. მორღ — მან აღასრულა? ანტიპონე — აღასრულა ის, რაც მას სურდა.
- 1705 მორღ — რა სურდა? ანტიპონე — სადაც თავად სწადდა, იქ მიიცვალა უცხო მიწაზე. მისი ლოგინი მარად წუვდიადში დანთქმულა ქვემოთ განა უცრემლო დაგვრჩა წუხილი; მუდამ, ო, მუდამ გოგლოვებენ ცრემლდადენილი ჩემი თვალები. არ ვიცი, მამა, რა უნდა მოხდეს, სვეგამწარებულს ეს ჩემი გლოვა რომ გამინელოს. ვაიმე, უცხო მიწაზე გწადდა სიკვდილი, მამა, მაგრამ რად მოკვდი ასე სულ მარტო, ასე უჩემოდ.
- 1715 ისმინე — ვაი, მე ბედშავს, რა ხვედრი გვილახ, ან კიდევ შენაც, ძვირფასო დაო, მამისგან აგრე მიტოვებულეებს?
- 1720 მორღ — რახან აგრე, რომ მამათქვენმა ნეტარად გახსნა, ხანუკველნო, სიცოცხლის ბოლო, — შეწუვიტეთ გლოვა: სიავისათვის არავინაა მიუწვდომელი.

სტროფი ბ



- ანტიპონა — მოდი, დავბრუნდეთ, ძვირფასო.
- 1725 ისმენა — რატომ?
- ანტიპონა — სურვილი მტანჯავს...
- 1726 ისმენა — რისი სურვილი?
- ანტიპონა — სამარე მინდა ვიხილო, დაო.
- 1730 ისმენა — ვისი სამარე?
- ანტიპონა — ჭეფნი მამისა.
- 1735 ისმენა — გან ვისა აქვს იქ მისვლის ნება?
- ანტიპონა — რას ვერა ვხედავ?
- 1740 ისმენა — იმას, რომ...
- ანტიპონა — მაინც რასა, ძვირფასო?
- 1745 ისმენა — მოკვდა და არვის არ დაუმარხავს.
- ანტიპონა — მაშ, წამიყვანე და მეც მომკალი.
- 1750 ისმენა — ვაიძუ ბედშავს, სად გადატარებ
- ამ ჩემს სიცოცხლეს სვედამწარებულს —
- განწირული და დაობლებული?

ანტიპონა

- 1740 პირი — ნუ გეშინიათ, ძვირფასებო.
- ანტიპონა — სადღა გავიქცეთ?
- პირი — თქვენ დაადწინეთ თავი საფრთხეს.
- ანტიპონა — ამას რად ამბობ?
- პირი — არ დაგატყუებთ უბედურება.
- ანტიპონა — მე ვფიქრობ.
- პირი — მაინც რას ფიქრობ ნეტავ?
- ანტიპონა — არ ვიცი, როგორ დავბრუნდეთ უკან.
- პირი — ნუღარ დაეძებ.
- ანტიპონა — ტანჯვა დამაწვა.
- პირი — ადრეც ხომ გაწვა.
- ანტიპონა — ადრე
- 1745 ერთობ, და აწი კი ზომოზე მეტად.
- პირი — ტანჯვის რა დიდი ზღვა გერგოთ წილად!
- ანტიპონა — ვაინე, სადღა წავიდეთ, ზევსო?
- 1750 რა იმედს მომცემს, რას მომამბობებს
- ნეტავ ამგერად დიდი ღვთაება?

სისტემა

- 1760 თესამისი — შეწუპიტეთ, შევიღებო, იმაზე გოდება.
- რაშია ც მადლი და ღამია მიწისა;
- ცოდვია ამაზე ტირილი.
- ანტიპონა — შენს ფერხით განვერთხვით, ებევსის ნაშობო.
- თესამისი — რასა მთხოვთ, შევიღებო? რისი კმნა გწადიათ?
- ანტიპონა — გვინდა სამარე მამაჩვენისა
- თავად ვიხილოთ
- თესამისი — არავისა აქვს იქ მისვლის ნება.
- ანტიპონა — რატომ გვითხარი ასე, პატრონო?
- თესამისი — ჩემო შევიღებო, მან აგრე თქვა, რომ მის სამარეს
- არვის არ უნდა მიუახლოს მოკვდავთა შორის.
- არვის არ უნდა განუუცხადო, სად არის იგი,



- წმინდა ხაშარე ხად არის მისი.
 მან ისიცა თქვა, რომ ამგვარად თუკი ვიწამდი,
 1765 მარად ნეტარი შეიქმნება ჩემი ქვეყანა.
 ღმერთმაც ისმინა ეს სიტყვები,
 ზევსის ჰორკოსიც ისმინდა ამას.
 ანტიპონი — რაკილა თვითონ მას სურდა აგრე,
 ნულარას ამბობ; ესეც კმარა. მაგრამ, შეფეო,
 1770 გეშუდარებით, ჩვენს თებებში გაგვიშვი ისევ,
 რომ ჩვენი ძმების ერთმანეთის ხელით სიკვდილი
 აღვკვეთოთ დებმა.
 ტანსაცმელი — ამას აგრე ვიქმ, და უვილაფერსაც,
 თქვენს ხასიკეთოდ რომ მინდა თავად,
 1775 და მამათქვენის წმინდა ჭადღისთვის.
 ამის ქმნა ჩემთვის როდი არის, შვილუბო, მძიმე,
 ძორი — მამ, დამშვიდდით და ნულარ გლოვობთ,
 შეტს ნულარ ტირით.
 ურყევი არის სიტყვა შეუფის!

□



თარგმნა სილოვან ნარიშანიძემ

კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო,
რა ქარიშხლებში სად არ ვიარეთ,
ყველა ქარბუქის გემო ვიგემეთ,
განძი ურიცხვი მოვიპოვეთ მეხთან ომისას.
შენ გელოდება ნავსადგური,
ხალხი ურიცხვი მომდგარა და ზარებიც რეკენ,
უშიშარსა და ომგამოვლილს,
ყველა მიელის გმირულ ფრეგატს აღტაცებითა და
სასოებით.

მაგრამ ო, გული,
გული, გული...
სისხლის ნაკადით დასურლია გემბანი ჩვენი,
სადაც შენ ჩვენ წინ დაეცი მკვდარი.
ო, კაპიტანო, ჩვენო კაპიტანო,
მხიარულობენ სანაპირონი,
ყველა დროშები გაშლილა შენთვის,
დაფდაფები და საყვირები შენ ერთს გიხმობენ.
ხალხიც დიდების გვირგვინებით მოიწვეს ჩვენკენ,
გაცილებული სახეებით, ყველანი ერთად, შენს სანახავად
მოიჩქარიან.

შენ კი...
იქნებ ეს მხოლოდ სიზმარია, —
შენ ჩემს მკლავებზე დახუჭე თვალნი.
ო, ჩემი გმირი კაპიტანო
სიტყვასაც არ ძრავს,
დადუმებულა ბაგე იმისი.
ენა იმისი უტყვი არი,
მკლავი უღონო.
გამოატარა ათას ხიფათს ,ათას ქარიშხალს,
ნავსადგურამდე მოიყვანა ჩვენი ფრეგატი.

ის აქ დაეცა გემბანზე, მკვდარი.
 დარეკეთ, იცინეთ, ნაპირებო,
 მე კი, ნალვლიანი ნაბიჯებით,
 გულჩათხრობილი მიმოვდივარ გემბანზე, სადაც
 მკვდარი დაეცა ჩემი კაპიტანი...



მონტაუკის კონცხიდან

ვდგავარ მონტაუკის კონცხზე. —
 თითქოს არწივის უზარმაზარ ნისკარტზე ვიდგე,
 აღმოსავლეთით ზღვის ლურჯი სივრცე (არაფერი
 ჩანს. გარდა ზღვისა და მაღალ ცისა).
 მიმოქცევს, ტრიალებს ზღვა.
 ქარაფიანი ზღვა
 ვერ აცილებს გემებს, რომელთაც ტალღა ტალღაზე
 დამუქრებით მიესწრაფიან.
 და ვითარც თეთრი სავარცხლები — ტალღები
 ისე აჩენენ კბილებს.
 ისინი ახლაც მოილტვიან, მოისწრაფიან,
 როგორც ყოველთვის ისწრაფოდნენ
 ნაპირისაკენ...

ღამით, ზღვის პირას

ღამით, ზღვის პირას
 მამის გვერდით მდგარი გოგონა
 შემოდგომის ცას შორს გაჰყურებს აღმოსავლეთით,
 იქ, სადაც მაღალ
 შთის თხემიდან ძირს ეშვებიან,
 ავი და სწრაფი ნაბიჯებით ძირს ჩამოდიან,
 მიწასთან ახლოს ეშვებიან დაბალ ფენებში
 გულცივი, როგორც მესაფლავე, შავი ღრუბლები...
 გოგონა იდგა,
 გაჰყურებდა ზეცის იმ მხარეს,
 სადაც ნაზად და მშვიდად ბრწყენდა იუპიტერი
 და მასთან, იქვე, ციურ სივრცეს აპობდა ელვით
 ვარსკვლავთ კრებული,
 შორს გაჰყურებდა დაგეშილ ღრუბლებს,
 რომ უპირებენ თითქოს შთანთქმას ხილულ სამყაროს.
 ატირდა ზეცა, დაიბურა შავი ნისლებით,
 ატირდა ზეცა და გოგონაც უხმოდ ატირდა...



ქართული
ბიბლიოთეკა

გაგვეცლებიან
შავი ღრუბლები,

ნუ ტირი, შვილო, ჩემო კარგო,
ცრემლით რად მოთქვამ,
მოდე, რომ კოცნით ამოგიშრო ცხარე ცრემლები,
გახსოვდეს, მალე გადაიდარებს,
ზეცის მპყრობელი, სულთამხუთავი —

შენ გეჩვენება, თითქოს შთანთქეს მათ ვარსკვლავები,

იყავი მშვიდად, ზეცის ტატნობზე
კვლავ გაიბრწყინებს იუპიტერი,
შეხედე, როგორ მკვიდრდება ღამე,
ვარსკვლავთ კრებულიც ამოანათებს,
აენტებიან მარად უკვდავი

ვერცხლის და ოქროს ფერის მნათობნი,
დამწვართ იმედი და მარადისი, —

მთვარეც დაგვნათებს დაფიქრებული.

ნუ ტირი, შვილო,

შენი ცრემლები თან გააყოლე,
ნისლმა რომ შთანთქა, იუპიტერს და ვარსკვლავთ კრებულებს.
არაფერია,

მე განწყნარებ ჩუმი ალერსით, ყურში იმედით
ჩაგჩურჩულებ და ნიშანს გაძლევ —
თითქოს გიხსნიდე რთულ გამოცანას.

არის რაღაცა,

რომელიც უფრო უკვდავია,
ვიდრე კრებული ვარსკვლავებისა
(ბივრმა მათგანმა ჩაიარა,
ბევრიც მოწყვიტა ცის კამარას
მირიად ნლებმა).

არის რაღაცა,

რომელიც უფრო უკვდავია,
ვიდრე ის შენი იუპიტერი,
ან რომელიმე სხვა თანამგზავრი,
ანდა გინდა თვით ვარსკვლავთ კრებული...

ჩვენ ორს, ო, რა დიდხანს გვატყუებს!

ჩვენ ორს, ო, რა დიდხანს გვატყუებს,
ჩვენ გავხდით სულ სხვა,
გავინავარდეთ თაყისუფლად, ისევე ღალად.
როგორც მიაპობს პლანეტა სივრცეს.
დავექროდით ყველგან, არ ვიყავით სახლში არასდროს,
ახლა დავბრუნდით
სამუდამოდ ჩვენს სამკვიდროში.
ვიქეცით ბუჩქად, ღეროებად, ფესვებად, მიწად,

ფოთლებად, ქერქად ხეებისა, გავხდით კლდეები,
ჩვენ ორი მუხა ვიზრდებოდით გვერდიგვერდ
მინდვრად,

ჩვენ ხომ ორივე ველური ვართ, — ვძოვეთ ველურ ჯოგს
და ფარას შორის.



ქვემოთაა
საქართველოს
ქვემოთაა

ჩვენ თავისუფლად ვწინქნით ბალახს,
ჩვენ თევზებივით მივაპობდით აქოჩრილ ტალღებს,
ჩვენ მცენარეთა მოვიპოვეთ
თვითმყოფადობა.

და ჩვენი სივრცე, სახილველი დღითა და ღამით,
გაუჩინარდა, სამყაროში გაერთიანდა,
ჩვენ მინერალთა, ცხოველთა, მღილთა
ნაერთი ვართ და რალაცა სულ სხვა.

ჩვენ მტაცებელი არწივები ვართ, — ცის კამარაზე
მიმოვქრით

და გადმოვცქერით ძირს დედამიწას, —
მსხვერპლს დავედებთ დედამიწაზე.

ჩვენ მზეები ვართ მოკაშკაშე, პლანეტარული
და ზეციური, —

ორი მქროლავი კომეტა ვართ, —
მსრბოლი სივრცეში,

ჩვენ ეშვიანი მხეცები ვართ,
ერთი ნახტომით

რომ ვიჭერთ მსხვერპლს და მივაქროლებთ ბუნაგისაკენ.

ჩვენ ორი შავი ღრუბელი ვართ,
ერთ ბედში მყოფი დღითა და ღამით,
ერთმანეთზე ადევნებულნი,

ჩვენ ორი ზღვა ვართ შეერთებული, ერთად შეკრული,
ტალღით ნაპირს მიხეტებულნი,

ჩვენ ქარები ვართ მოთარეშე, — ყველგან მავალი,
ჩვენ ხომ თოვლი ვართ,

ჩვენ წვიმა ვართ,
ყინვა ვართ მკაცრი.

ჩვენ სიბნელე ვართ და ყველაფერი,
რაც კი სამყაროს წარმოუქმნია.

ჩვენ მოვიხილეთ სივრცეები
და როგორც იქნა

კვლავ დავუბრუნდით მშობლიურ კერას,
ჩვენ ამოვწურეთ ყველაფერი და ბოლოს დაგვრჩა —
თავისუფლება მძლეთა მძლე
და მარადიული...

ნუ დამიკეტავთ კარს



მე მომაქვს თქვენთვის
ის, რაც არასდროს არ დადებულა
მჭიდროდ განწყობილ თქვენს თაროებზე.
ამაყო ბიბლიოთეკებო,
ნუ დამიკეტავთ კარს.
მე მომაქვს თქვენთვის, რაც ყველაზე მეტად
გჭირდებათ, —
ჩემი კრებულიც იყოს მანდ, თქვენთან.
ჩვენ აღმოვცენდით დიდი ბრძოლის
და ფიქრის შემდეგ.
ჩემი სიტყვები არა არის რა,
თუ არა დიდი მისწრაფება ყველაფრისადმი,
რასაც ამქვეყნად სიკეთე ჰქვია.
წიგნი, რომელიც თავისთვის ცხოვრობს,
ვერ დაიუფლებს კაცთა გონებას.
საიდუმლო კი, რომელიც მე ჩემს წიგნს
გავენდე,
როგორც ბალახი გაზაფხულისა —
ამოიხეთქავს მის ყველა გვერდზე.

□

მთხრობა

თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ

I

მარტის თვის 25-ში პეტეობურგში ყოვლად დაუჭერებელი ამბავი მოხდა. ვოზნესენსკის პროსპექტზე მცხოვრებ დალაქს, ივან იაკოვლევჩის (მისი გვარი დაიკარგა და არც მის ფარნიშს ამკობს სხვა რაინე გარდა ლოყავასაპნული ვაჟბატონისა და წარწერისა: „აქ შეგიძლიათ სისხლიც გამოიშვათ.“), დალაქ ივან იაკოვლევჩის კარგა აღრიანად გაეღვიდა და ცხელი პურის სუნი ეცა. საწოლიდან თავი ოდნავ წამოწია თუ არა, დაინახა, რომ მის თანამეცხედრეს, ყავის დიდ მოყვარულ საკმაოდ დარბაისელ მანდილოსანს ღუმლიდან ცხელ-ცხელი პურები ამოეყარა.

— მე დღეს ყავას არ დავლევ, პრასკოვია ოსიპოვნა, — წამოიძაიხა ივან იაკოვლევჩმა. — მაგიერში ხახვსა და ცხელ პურს გეაბლები.

(უფრო სწორად, ივან იაკოვლევჩი არც ერთზე იტყოდა უარს და არც მეორეზე; მაგრამ კარგად მოეხსენებოდა, რომ ერთბაშად ორი რამის მოთხოვნით მეტი მოუვიდოდა. ვინაიდან პრასკოვია ოსიპოვნა ვერ იტანდა, ასეთნაირად რომ აუტყდებოდნენ.) „დარდაც დამდგომია, ჩერჩეტი ხარ და ხეთქე პური; ჩემთვის უკეთესია, ყავა დამეზოგება“. — თქვა თანამეცხედრემ გულში და ერთი პური მაგიდაზე მოისროლა.

ივან იაკოვლევჩმა ისე, ზოდოლობის გულისათვის გადაიცვა პერანგზე ღრავი, მერე მაგიდას მიუჯდა. ზედ მარილი დაყარა, ორი თავი ხახვიც გაფუჭვანა. დანა მოიმარჯვა და პურს დიდი ამბით დაუწყო კრა. ის იყო ორად გაჭრა და შეავუღს თვალი შეავლო. რომ მისდა გასაოცრად იქიდან რალაცამ თეთრად გამოაჰყიტა. ივან იაკოვლევჩმა პური დანის წვერით ფრთხილად მოჩიჩქნა და ზედ თითი მიუსვ-მოუსვა. „რალაც მაგარი ჩანს! — ჩაილაპარაკა თავისთვის. — ნეტა რა ოხრობაა?“

მან თითები პურში ჩაჩარა და იქიდან — ცხვირი გამოაძვრინა!.. ივან იაკოვლევჩი სახტად დარჩა, თვლების ფშვნეტას მოჰყვა, მერე ხელითაც მოსინჯა: დასტურ ცხვირია, წყალი არ გაუვა, ცხვირია! თანაც, მგონი, ვილაც

ეს შიში არ მოსატანი

ეს ჩვეულება პრას-

კოვიასი.

ნაცნობისა. ივან იაკოვლევჩის თავზარი დაეცა, მაგრამ იყო მისი თანამეცხედრის გულისწყრომასთან.

— ვას და რანაირად მიათაღე ეს ცხვირი, ნადირო? — კოვია ოსიპოვნა, — შე გაიფერა! ლოთო! მე თვითონ უყურე ამ ყაჩაღს! ბარე ორმა მითხრა უკვე, — პარსვისას თურმე ისე ეჯაჯგურებო ცხვირებს. ლამის მოავლიჯო.

ივან იაკოვლევჩი ცოცხალ-მკვდარი იდგა. უკვე მიხვდა, რომ ცხვირი ნაღად კოლეგიის ასესორ კოვალიოვისა იყო, რომელსაც ოთხშაბათობით და კვირაობით პარსავდა ხოლმე.

— დაიცა. დაიცა, პრასკოვია ოსიპოვნა! ამას ჩვრებში გავახვევ და სადმე კუთხეში მივაგდებ; იყოს ცოტა ხანს და მერე წავიღებ.

— გაგონებაც არ მინდა! ვილაცის მოთლილი ცხვირი ჩემა ოთახში შეგანახვინო?... ამ გაქნაჭულს არ უყურებ! დამდგარა და ქამარზე სამართებლის ტლაშუნის მეტი არაფერი აგონდება. მალე ვედარაფერს ვერ გაართმევს თავს. შე ნათრეო და თახსირო, შე უმაქნისო! მეტი დარდი არა მაქვს, შენ გამოპასუხი ვაგო პოლიციაში.. უუ, შე ზინტლიანო და აქოთებულო. შე ბაიყუშო! მომაშორე აქედან! მო-მა-შო-რე! სადაც გინდა. იქ წაათრიე! მაგის სინსილა არ ვნახო აქ!

ივან იაკოვლევჩი გამშრალი იდგა, ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერიც ვერ მოიფიქრა.

— ეშმაკიც ვერ გაიგებს, რანაირად მოხდა ახლა ეს, — ჩაილაპარაკა მან ბოლოს და კეფა მოიქექა, — მთვრალი მოვედი წუხელი შინ თუ ფხიზელი. კარგად არც მახსოვს, არადა, ასეთი რამე თიაქოს არაფრის დიდებით არ შეიძლება მომხდარიყო: სად პური და სად ცხვირი. ვერაფერი გამიგია!..

ივან იაკოვლევჩი დადუმდა. ფიქრობდა, პოლიციელები ცხვირს ჩენთან მოიძიებენ, ბრალში გამხვევენო — და გული უღონდებოდა. უკვე ელანდებოდა ვერცხლის ძაფით ნაქარგი ლამაზი ალისფერი საყულო, დაშნა... და მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა: ბოლოს ნაჩქარევად ამოიცვა დაკონკილი შარვალი, ჩექმებსაც დაწვდა, შიგ ფეხები ტუცა, ცხვირი ჭინკებში შეახვია და პრასკოვია ოსიპოვნას მკვანე-მკვანე შეგონებებით გულდამძიმებული გარეთ გამოვიდა.

ცხვირი ალყაფის ქვეშ ბოძკინტთან უნდოდა ჩაეჭურთა, ანდა სადმე დაეგდო, ვითომც უნებლიეთ გაუვარდა, თვითონ კი შესახვევში თვალს მიფარებოდა, მაგრამ, მისდა ჭირად, წამდაუწუმ ნაცნობები ეფეთებოდა. იმწამსვე რომ კითხვებს აყრიდნენ: „საით გაგიწევია?“ ანდა „ამ დილაადრიან ვინ უნდა გაპარსო?“ ასე რომ, ივან იაკოვლევჩიმა ვერაფრით დრო ვერ იხელთა. ერთხელაც იყო, ცხვირი კიდევაც გააგდო ხელიდან, მაგრამ გუშავმა შოლიდანვე მიუშვირა აფთის წვერი და უთხრა: „აიღე! აგე, რალაც დაგივარდა!“ ისიც იძულებული შეიქნა ცხვირი აედო და ჯიბეში ჩაედო. იმედი თანდათან ეწურებოდა, მით უმეტეს, რომ დუქან-ფარდულები ერთიმეორის მიყოლებით იხსნებოდა და ქუჩაც ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა.

ბოლოს ისაკის ხიდისაკენ წასვლა გადაწყვიტა. იფიქრა, იქნებ ცხვირი რამენაირად ნევაში მოვისროლოო... თუმცა მე, ცოტა არ იყოს, თქვენთან პირშავად ვარ, აქამდე რომ არაფერი მოგახსენეთ ბევრის მხრივ საპატივცემულო ივან იაკოვლევჩზე.

როგორც ყოველი პატიოსანი რუსი ხელოსანი, ივან იაკოვლევჩიცი უბედური ლოთი გახლდათ. სხვის ნიკაპებს კი ყოველდღე პარსავდა. მაგრამ თვითონ დღენიადაგ გაუპარსაფი დაიარებოდა. ეცვა ფესანგი ფრაკი (ივან იაკოვლევჩი სერთუკს არასოდეს ატარებდა), უფრო სწორად, ფრაკი მაგნიტოვსკი. რამ ზედ მოყავისფრო-მოყვითალო და რუხი ფერის ლაქებზე დასაფარავლად გაზინთოდა, ხოლო სამგან ღილების ნაცვლად ძაფები დაჰკონწიალებდა. ივან იაკოვლევჩი დიდი ცინიკოსი გახლდათ და, როდესაც კოლეგიის ასესორი კოვალიოვი პარსვისას ჩვეულებისამებრ ეტყოდა: „შენ, ივან იაკოვლევჩი, ყოველთვის ხელები გიყარსო! კითხვას შეუბრუნებდა ხოლმე: „ნეტა რისგან უნდა მიყარდეს, ხომ არ იცი?“ — „არ ვიცი, ძამიკო, ვიყარს კია და“, — ეუბნებოდა კოლეგიის ასესორი, ხოლო პასუხად ივან იაკოვლევჩი ბურნუთს დაყნოსავდა და მერე საპნის ქაფს ხან ლოყაზე წასცხებდა, ხან ცხვირთან, ხან ყურს უკან, ხან ნიკაპზე, ერთი სიტყვით, სადაც მოეპრიანებოდა.

ეს დარბაისელი კაცი უკვე ისაკის ხიდზე იდგა. უპირველეს ყოვლისა, გარშემო მიმოიხედა, მერე მოაჩირს გადაეყუდა. რა არის, ხიდიდან ვიხედები, წყალში ბევრი თევზი თუ დაცურავსო, და ამასობაში ჭინჭებში გაჩვეული ცხვირი მოისროლა კიდევ ფარულად. ივან იაკოვლევჩიმა ისე ამოისუნთქა, თითქოს ზურგიდან ერთბაშად ათი ფუთი ტვირთი მოეხსნას; მერე ერთი ჩაიჭირქილა და იმის მაგივრად, წასულიყო და ჩინოვნიკების ნიკაპები ეპარსა, პირდაპირ იმ დაწესებულებისაკენ გაემართა, რომლის შესასვლელზეც „ჩაი და ხემსი“ წაეწერათ — ჭიქა პუნშის დაღვევა გადაეწყვიტა, მაგრამ უცებ ხიდის ყურეში თვალი მოჰკრა უბნის ზედამხედველს, კეთილშობილური შესახედაობის უღვაშქილვაშდაფანჩულ კაცს, რომელსაც წელზე დაშნა ერთყა და თავზე სამკუთხა ქუდი ეხურა. ივან იაკოვლევჩი გაშეშდა. ამ დროს უბნის ზედამხედველმა თითი დაუქნია:

— აბა ერთი აქეთ მოდექი, ძვირფასო!

ივან იაკოვლევჩი წესების მცოდნე გახლდათ; შორიდანვე იშვლიბა კარტუზი, ცქაფად მიკუსკუსდა და მიუგო:

— გაუმარჯოს თქვენს კეთილშობილებას!

— არა, ძამია, არა, კეთილშობილებას კი არა — შენ ის მითხარი, რას შვრებოდი იქ ხიდზე გადამდგარი?

— ღმერთი, რჯული, ბატონო ჩემო, კაცის გასაპარსავად მივდიოდი, ისე გადავიხედე, მდინარე სწრაფად თუ მიედინება-მეთქი.

— ტყუილს ამბობ! ეგ არ გიშველის, აბა კეთილინებე და მიპასუხე!

— მე, თქვენო მოწყალებავ, უსიტყვოდ მზადა ვარ ვაკპარსოთ კვირაში ორჯერ, ანდა სულაც სამჯერ, — მიუგო ივან იაკოვლევჩიმა.

— არა, ჭირიმე, ეგ სულაც არ მანადვლებს! დალაქი სამი დამიდის, თანაც ჩემს გაპარსვას დიდ პატივადაც მიიჩნევენ. შენ ის მიბრძანე, იქ რას შვრებოდი?

ივან იაკოვლევჩი ვაფითრდა.. მაგრამ აქ კი ამბავი ესე მთლად ბურუსით იფარება და შემდეგ რა მოხდა, არავინ უწყის.

II

კოლეგიის ასესორ კოვალიოვს კარგა ადრიაანად გაეღვიძა და წაიფრუტუნა: „ფრრ..“ ყოველ გაღვიძებაზე ასე აკეთებდა, მაგრამ ვერაფრის დიდებით ვერ მიმხვდარიყო, რატომ და რისთვის. კოვალიოვი გაიზმორა, მსახურს უბრ-

ბანა, იქვე მაგიდაზე დადებული პატარა სარკე მომაწოდეს; უნდა თვალი შეველო ბიბიოსათვის, წუხანდელს აქეთ ცხვირზე რომ წამოსუბებოდა, მაგრამ სახტად დარჩა, როცა ცხვირის ნაცვლად პირწმინდად გადაგლეხილი ადგილი დაინახა! დაფეთებულმა კოვალიოვმა ბრძანა წყალი შეეყრუებინათ და თვალები სველი პირსახოცით ამოიწმინდა: ცხვირი დიახაც აღარა ჰქონდა! ხელი ტანზე მოიფათურა, სიზმარში ხომ არა ვარო. არა, სიზმარში არ იყო. კოლეგიის ასესორი საწოლიდან წამოიჭრა, თავი გააქან-გამოაქანა: ცხვირი არა ჰქონდა და არა! ბრძანა დაუყოვნებლივ მოერთიამთ ტანისამოსი და პირდაპირ პოლიციის უფროსთან გაქანდა.

მაგრამ ამასობაში ზოგი რამ კოვალიოვის პიროვნებაზეც უნდა ითქვას, რათა მკითხველმა გაიგოს, რა ჯურის კაცი ბრძანდებოდა კოლეგიის ეს ასესორი. კოლეგიის ასესორებს, რომლებსაც ამ წოდებას სამეცნიერო ატესტატების წყალობით ანიჭებენ, ვერაფრით ვერ შევადარებთ კოლეგიის იმ ასესორებს, კავკასიაში რომ ყალიბდებიან. ესენი ერთმანეთისაგან უაღრესად განსხვავებული ჯურის ადამიანები ბრძანდებიან. კოლეგიის მეცნიერასესორები... მაგრამ რუსეთი იმნაირი საარაკო ქვეყანა გახლავთ, საკმარისია კოლეგიის ერთ ასესორზე დაგცდეს რამე და კოლეგიის ყველა ასესორს, რიგიდან კამჩატკამდე, უთუოდ ეგონება — ეს ჩემზე ითქვას. იგივე უნდა იგულისხმოს ყველა სხვა წოდებისა და ჩინის შესახებაც. კოვალიოვი კავკასიური კოლეგიის ასესორი გახლდათ. ასესორის ჩინი მისთვის ორითღე წლის წინათ მიენიჭებინათ და ამიტომაც იყო, ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ეს ამბავი. ოღონდ, რაკი უფრო კეთილშობილ და გავლენიან კაცად სურდა მოსჩვენებოდათ — კოლეგიის ასესორად არავის ეცნობოდა და თავს მაიორად ასალებდა. „ყური მიგდე, ფისო, — ეტყოდა ზოლმე გულისპირების გამყიდველ დედაკაცს, ქუჩაში რომ შეხვდებოდა, — მოდი ჩემთან სახლში. ჩემი ბინა სადოვიაიაზეა. ერთს იკითხავ: აქ ცხოვრობს მაიორი კოვალიოვი? და ყოველი კაცი მოგასწავლის“. თუ რომელიმე ტურფასაც გადააწყდებოდა, სხვა რამ საიდუმლო დავალებასაც მისცემდა და თან დაატანდა: „მაიორ კოვალიოვის ბინა იკითხე, სულიკო“. სწორედ ამის გამო კოლეგიის ამ ასესორს ამიერიდან ჩვენც მაიორად მოვიხსენიებთ.

მაიორი კოვალიოვი ყოველდღე ნევის პროსპექტზე დასეირნობდა. გულისპირის საყელო სულმუდამ გაქათქათებული და გახამებული ჰქონდა. ისეთი ქილიაშები გაეშვა, დღესდღეობითაც რომ ატარებენ გუბერნიის და მაზრის ამიწის-მზომელები, არქიტექტორები და პოლკოს ექიმები, აგრეთვე სხვადასხვა საპოლიციო მოვალეობის შემსრულებლები, საერთოდ ყველა ის ვაჟბატონი, რომელსაც აღაყლაყებული, პუტკუნა ლოყები ამშვენებს და ბოსტონის თამაშშია გაწაფული. მაიორი კოვალიოვი თან ატარებდა სარდიონის ბეჭდებს, რომელთა შორის ღერბიანებიც ერია და ისეთებიც, ზედ „ოთხშაბათი“, „ხუთშაბათი“, „ორშაბათი“ და მისთანანი რომ იყო ამოტვიფრული. კოვალიოვი პეტერბურგში თავისი წოდების შესაფერისი ადგილის გამოსაძებნად გადმოსახლებულიყო; თუ გაახერხებდა, ვიცეგუბერნატორის თანამდებობა უნდოდა, თუ ვერა და რომელიმე დიდმნიშვნელოვან დეპარტამენტში ეგზეკუტორობასაც დასჯერდებოდა. მაიორი კოვალიოვი უარს როდი იყო დაოჯახებაზე, ოღონდ ასეთ რამეზე იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ საცოლეს მზითევად ორასი ათასი ექნებოდა. ჰოდა, მკითხველს ახლა თავად შეუძლია განსაჯოს, რა დღეში ჩავარდებ-

ბოდა მაიორი, როცა აღმოაჩინა, რომ საკმაოდ კობტა და ზომითაც არცთუ დიდი ცხვირის ნაცვლად გონჯად გადაგლეხილი ადგილიდა შერჩენოდა.

ჯიბრზე ქუჩაში მეეტლე არ გამოჩნდა და მაიორი კოვალიოვიც იძულებული შეიქნა ფეხით გადგომოდა გზას. მოსასხამში ვაგებია და მასწავლებლისაოცი ისე აიფარა, ვითომც სისხლი წასკდომოდეს. „ან იქნებ შეჩვეუნი, მესამე უძლებელია ცხვირი ასე ბრიყვულად გაგიჭრეს კაცს“, — გაიფიქრა მან და სარკეში ჩასახედად საშაქარლამოში შეუხვია. მისდა ბედად, იქ არავინ იყო. ბიჭები ოთახებს ჰგვიდნენ და სკამებს თავთავის ადგილზე დგამდნენ. ზოგიც თავლებნამძინარები გამოდიოდა და ლახვრით ცხელ-ცხელი ღვეზელები გამოჰქონდა. მაგიდებსა და სკამებზე ყავით დათხვრალი გუშინდელი გაზეთები ეყარა. „უბ, კიდევ კარგი, რომ არავინ არის, — ჩაილაპარაკა მან. — ახლა შემოდის შევათვალაიერო. კოვალიოვი გაუბედავად მიუახლოვდა სარკეს და ჩაიხედა. „ეშმაკმა იცის, რა არის; ფუ, რა მურღალა რამეა!“ თქვა მან და გადააფურთხა. „რამე მაინც იყოს ცხვირის მაგივრად, თორემ სულ აღარაფერი დარჩენილა!..“

კოვალიოვმა ტუჩები სიმწრით მოიკვნიტა და საშაქარლამოდან გამოვიდა. გადაწყვიტა თავის ჩვეულებისთვის ელაღატა. — ზედაც არავისთვის შეეხედა და არც არავისთვის ვაფლიმა. უცებ ერთ-ერთი სახლის კართან გახედა, მის თვალწინ ენით აუწერელი ამბავი მოხდა. შესასვლელთან კარეტა გაჩერდა: კარი გაიღო. იქიდან ფრიად მატრაცემული მუნდირიანი კაცი წელში მობრბილი გადმოხტა და კიბეზე აიბინა. უნდა ვენახათ, რა ელდა ეცა და რარიგ გაცოცდა კოვალიოვი, როცა მიხვდა, რომ ეს მისი საკუთარი ცხვირი იყო! არაჩვეულებრივი სანახაობით გაბრუებულს ისე ეჩვენა, თითქოს მის გარშემო ყველაფერი ატორატმანდა. გრანობდა, სადაცაა წაიქცეოდა, მაგრამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ცხვირის უკან გამობრუნებას დალოდებოდა, თუმცა ციებიანივითკი კანკალებდა. ორ წუთში ცხვირი მართლაც გამოჩნდა. მაღალსაყელოიან და ოქრომკედით ნაქარგ მუნდირში გამოჰიმულიყო, ნატის შარვალი ჩაცვა და გვერდზეც დაშნა დაეკიდებინა. ჯილიანი ქუდის მიხედვით შეიძლებოდა მიმზვდარიყავი, რომ სახელმწიფო მრჩევლის რანგამდე ამალლებულიყო. ყველაფერზე ეტყობოდა — სადღაც დარბაზობაზე მიიჩქაროდა, მიმოიხედა. მეეტლეს შეუძახა: — „აქეთ მოიყვა!“ — ჩაჯდა და წავიდა.

საბრალო კოვალიოვი ცოტა გაწყდა ჰკუდიდან არ შეცდა. ამ უცნაურმა ამბავმა თავგზა აუბნია, მართლაც როგორ შეიძლებოდა მუნდირი ჩაცვა ცხვირს. აგერ გუშინ რომ სახეს უმშვეენებდა. ის ხომ ვერც ფენს აიდგამდა და ვერც ვერსად წაუვიდოდა! მაიორი კოვალიოვი სირბილით მიჰყვა კარეტას, რომელიც, საბედნიეროდ, შორს არ წასულა, იქვე, ყაზანის ტაძართან გაჩერდა. კოვალიოვმა ტაძარს მიაშურა. ტაძრის წინ დაგლახაკებული დედაბრები შეგროვილიყვნენ, რომელთაც თავშლებით პირი ისე აეკრათ, თვლებილა უჩანდათ, და რომელთაც ადრე კოვალიოვი ასე დასცინოდა. ახლა კი ჯიქურ გაარღვია ღვთის გლახა დედაბრების ჯგრო და ტაძარში შევიდა. იქ არც ისე ბევრ მლოცველს მოეყარა თავი, ყველანი შესასვლელ კართან შექუჩებულებიყვნენ. მაიორო ისე უგუნებოდ იყო, ლოცვის თავი არა ჰქონდა. ყოველ კუთხე-კუნჭულში თვალის ცეცებით იმ ვაყბატონს დაეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეამჩნია, თურმე იქვე შორიახლო მდგარიყო. თავი მაღალ საყელოში ჩაერგო და უაღრესად ღვთისმოსავი კაცივით ლოცულობდა.

„რანაირად ამოვუდგე გვერდში? — ფიქრობდა კოვალიოვი, — ყველაფერზე, ქუდზეც, მუნდირზეც ეტყობა, რომ სახელმწიფო მრჩეველი ბრძანდება. რაღა ვქნა, როგორ მოვიქცე!“

კოვალიოვმა მის ახლოს რამდენჯერმე ჩაახველა, მაგრამ ცხვირს ერთი წუთითაც არ შეუცვლია ღვთისმოსავი კაცის იერი, უწყვეტად თაყვანს გაწაგრძობდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ... — თქვა კოვალიოვმა, თან მხნეობა ძალისძალად მოიკრიფა, — მოწყალეო ხელმწიფევ...

— რა გნებავთ? — მიუგო ცხვირმა და მისკენ შემოტრიალდა.

— მაოცებს, მოწყალეო ხელმწიფევ... ასე მგონია... თქვენი ადგილი უნდა იცოდეთ. უცებ გიპოვეთ და ისიც სად? — ტაძარში, დამეთანხმებით...

— უკაცრავად, მაგრამ რაღაც ვერ გამოგია, რას მეუბნებით... აბა ერთი კარგად ამიხსენით.

„რანაირად უნდა ავუხსნა?“ — გაიფიქრა კოვალიოვმა, ძალა ერთხელ კიდევ მოიკრიფა და დაიწყო:

— მე, რასაკვირველია... თუმცა მაიორი გახლავართ, უცხვიროდ სიარული, დამეთანხმებით, არ შემეფერება. ვილაც ხელზე მოვაჭრე დედაკაცი, ვოსკრესენსკის ხიდზე გაფცქვნილ ფორთოხლებს რომ უიღის, დიახაც შეიძლება უცხვიროდ იჯდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაძლებელია... ამასთანავე, ვიცნობ რა არაერთი ოჯახის მანდილოსნებს: ჩუბტარიოვას, სახელმწიფო მრჩევლის მეუღლეს, და სხვებს... თავად განსაჯეთ... როგორ შეიძლება, მოწყალეო ხელმწიფევ (ამ სიტყვებზე მაიორმა კოვალიოვმა მხრები აიჩეჩა), უკაცრავად, მაგრამ... თუ ამ ამბავს უფლება-მოვალეობების წესების შესაბამისად განვიხილავთ... თავად მიწვდებით...

— ვერაფერაც ვერ გამაგებინეთ. — უბასუხა ცხვირმა, — ამიხსენით უფრო დამაჯერებლად.

— მოწყალეო ხელმწიფევ... — რიხიანად დაიწყო კოვალიოვმა, — არ ვიცი, რას მივაწერო თქვენი სიტყვები... მთელი ეს ამბავი, მგონი, სრულიად აშკარა გახლავთ... ან თუ ის გნებავთ, რომ... თქვენ ხომ ჩემი საკუთარი ცხვირი ბრძანდებით!

ცხვირმა კოპები ოდნავ შეჰყარა და მაიორს დააშტერდა.

— ცდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ისა ვარ ვინცა ვარ. თან არც შეიძლება ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ვიქონიოთ. თუ თქვენი ვიცმუნდირის ღილების მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენ ახვა უწყებაში უნდა მსახურობდეთ, — თქვა ცხვირმა, შეტრიალდა და ლოცვა განაგრძო.

ამ პასუხმა კოვალიოვს მთლად დაუბნა თავგზა, აღარ იცოდა, რა ეღობა ან რა ეფიქრა. ამ დროს სასიამოვნოდ გაიშრიალა ქალის კაბამ. ერთთავად მაქმანებით მორთული ხანში შესული მანდილოსანი მოახლოებოდათ: გვერდში ღერწამივით ქალიშვილი ამოსდგომოდა, რომელსაც წერწეტა ტანზე თეთრი კაბა ამოდ შემოტმასნოდა, ხოლო თავზე ჰაეროვანი ფაფუკი ჩალისფერი ქუდი წამოეკოსებინა. მათ უკან დიდქალვაშა და ცხრანაირ საყელოთი დამწვენებული ოყლაყი ჰაიდუკი დაეყუდა და საბურნუთე გახსნა.

კოვალიოვი მაითან მთლად ახლოს მიიიურწა, ბატისტის გულისპარის საყელო ამოიწია, მერე შარვალზე ოქროს ძეწკვით მიბმული თავისი ღერბიანი ბეჭდები გაისწორა და ჰაეროვან მანდილოსანს სახელიმღიანი შეაჩერდა. ის

კი თავს გაზაფხულის ყვავილივით ნაზად ხრიდა და თავისი თეთრი, კვირვალ-
 თითებიანი ხელი შუბლთან მიჰქონდა. კოვალიოვს სახე მთლად გაეზარდა, როცა
 თვალი ჰკიდა, თუ როგორ გამოანათა ქუდიდან ქალის კოხტად მომრგვალე-
 ბულმა ბროლის ნიკაპმა და გაზაფხულის პირველი ვარდის დარაღამა დაწვებმა.
 მაგრამ უცებ დამდურულივით გახტა უკან, ახლანდელმა გაანსწორდა,
 რომ ცხვირის ადგილზე სულადარაფერი ჰქონდა, და თვალები ცრემლებით ავე-
 სო. კოვალიოვი მოტრიალდა: უნდოდა მუნდირიანი ვაჟბატონისათვის პირში
 მიეხალა, რომ მას მხოლოდ თავი მოაქვს სახელმწიფო მრჩევლად, რომ ის თახ-
 სირი და მატრახაზია და რომ სხვა არაფერია, თუ არა მისი საკუთარი ცხვირი...
 მაგრამ ცხვირი უკვე აღარსად იყო; მოესწრო და სადღაც გაექუალა, ალბათ ისევ
 ვანმესთან სადარბაზოდ.

სასოწარკვეთილი კოვალიოვი ეკლესიიდან უკანვე გამობრუნდა, ერთხანს
 სვეტებთან იდგა და გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით, იქნებ სადმე
 ცხვირს მოგვრა თვალთ. კარგად ახსოვდა, რომ მას ჯილიანი ქუდი ეხურა და
 მუნდირიც ოქრომკედით ნაქარგი ემოსა, მაგრამ ფარაჯა რანაირი ეცვა — ვერ
 შეამჩნია, არც მისი კარეტის ან ცხენების ფერი ახსოვდა, არც ის, მოყვებოდა
 თუ არა უკან რომელიმე ლაქია და რანაირი ლივრეა ემ ასა მას. ესეც არ იცოდა,
 იმდენი კარეტა დაქროდა წინ და უკან, თანაც ისეთი აჩქარებით, კაცი თვალს
 ძლივს შეასწრებდა, თუმცა კოვალიოვს თვალთ რომ შეესწრო, გამჩერებელი
 მაინც არ იყო. მშვენიერი დარი იდგა. ნევის პროსპექტზე ზღვა ხალხი ირეოდა.
 პოლიციის ხიდიდან მოყოლებული ანიჩკინის ხიდამდე ტროტუარზე იმდენი
 მანდილოსანი მიმოდინოდა, გეგონებოდათ, ყვავილების წვიმას უწვიმიაო. აგერ
 მისი ნაცნობი კარის მრჩეველიც გამოჩნდა, რომელსაც პოდპოლკოვნიკად უხ-
 მობდა ხოლმე, უფრო რე იმ შემთხვევაში, თუ ეს გარეშე პირთა თანდასწრე-
 ბით უწევდა. აგერ იარიგინიც, მისი ძველი ძმაკაცი, სენატში მაგიდის უფროსად
 რომ მსახურობს და მისი დღე და მოსწრება ბოსტონის თამაშისაა ჯარიმდება,
 როცა რვას უძახებს. აგერ მეორე მაიორიც, ვინაც კავკასიაში მიიღო ასესორა-
 ბა, კოვალიოვს ხელს უქნევს — აქეთ მოდიო...

— ერთი მაგისი, კისერიც უტეხია! — თქვა კოვალიოვმა — ჰეი, მეეტ-
 ლევ, პირდაპირ პოლიციის უფროსთან წამიყვანე!

კოვალიოვი ეტლში ჩაჯდა და წამდაუწუმ მეეტლეს უცაცხანებდა: „მიდი,
 გარეკე, რაც შეგიძლია!“

— პოლიციის უფროსი შინ ბრძანდება? — შესძახა მან დერეფანში შეს-
 ვლისთანავე.

— არა, ბატონო — უპასუხა მეკარემ, — ეს წუთია წაბრძანდა.

— ერიპაა!

— დიან, — დასძინა მეკარემ, — დიდი ხნის წინ არა, მაგრამ — წაბრძან-
 და კია. ერთი წუთით ადრე რომ ნობრძანებულიყავით, ალბათ კიდევაც მოუსწ-
 რებდით.

კოვალიოვს ცხვირსახოცი სახიდან არ მოუცილებია, ისე ჩაჯდა ეტლში და
 განწირული ხმით დაიყვირა:

— გასწი!

— საით? — თქვა მეეტლემ.

— პირდაპირ გასწი!

— პირდაპირ რანირად? აქ ხომ გზის გასაყარია, — მარჯვენა თუ მარცხენა?

ამ შეკითხვამ კოვალიოვი დააშოშმინა და ჩააფიქრა, მის ყოფაში ჩავარდნილი კაცისათვის უბრალო იქნებოდა, თუ უპირველეს ყოვლისა მომრიგებელ სასამართლოს მიმართედდა, იმიტომ კი არა, რომ მას შემდეგ უკვე პირდაპირი კავშირი ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ აქ შეიძლებოდა განკარგულენა გაცილებით სწრაფად გაეცათ, ვიდრე სხვაგან. სამართლის ძიება იმ ადგილის ხელისუფლებთან, რომელთა სამსახურში ჩამდგარ კაცადაც ცხვირმა თავი გაასალა, უგუნურება იყო, რადგან თვითონ ცხვირის პასუხები აშკარას ხდებოდა, რომ ამ კაცისათვის წმინდა არაფერი არსებობდა და შეეძლო ამ შემთხვევაშიც ისე ეცრუა, როგორც მაშინ, როცა კოვალიოვს არწმუნებდა, არ გიცნობთო. ამრიგად, კოვალიოვმა დააპირა ებრძანებინა, მომრიგებელ სასამართლოში წამიყვანეო, მაგრამ უცებ იაზრა, რომ ამ თახსირს და გაიძვერას, რომელიც უკვე პირველი შეხვედრისთანავე ასე უსინდისოდ მოიქცა, შეეძლო დრო ეხელთა და რამენაირად ქალაქიდან გაბარულიყო; მაშინ ხომ ყოველი მცდელობა ამაო იქნებოდა; ან, ღმერთმა დაიფაროს და, ძებნა შეიძლება მთელ თვესაც გაგრძელებულიყო. ბოლოს თითქოს თვით ზეცამ შთააგონა, რაც უნდა ექნა. გადაწყვიტა პირდაპირ საგაზეთო ექსპედიციისათვის მიემართა, დროულად გამოეჭვეყნებინა განცხადება, რომელშიც მისი ცხვირის ყველა ნიშან-თვისება დაწვრილებით იქნებოდა აღწერილი; ეს ყოველ შემხვედრს შესაძლებლობას მისცემდა იმავე წუთში წარედგინა ცხვირი მასთან ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი ადგილსამყოფელი მაინც ეჩვენებინა. ასე და ამგვარად, არჩევანი ამ გადაწყვეტილებაზე შეაჩერა და მეეტლეს უბრძანა, საგაზეთო ექსპედიციისაკენ წამიყვანეო, თან მთელი გზა ზურგში მუშტს უბრაგუნებდა და მისძახოდა: „ჩქარა, შე სალახანა! ჩქარა, შე ყალთაბანდო!“ — „ეეჰ, ბატონო!“ — თავს აქნევდა მეეტლე და სადავეს უტლაშუნებდა ცხენს, რომელსაც ბეწვი ისე ჩამოგრძელებოდა, ფინია ძალს მოგაგონებდათ.

ოთხთვალა, როგორც იქნა, გაჩერდა და აქოშინებული კოვალიოვი მოცუტქნულ მისაღებში შევარდა, სადაც სათვალისიანი ჭაღარა მოხელე, ძველი ფრაკი რომ ეცვა, მაგიდას მიჯდომოდა და კბილებში კალამგაჩრილი, შემოსულ ხურდა ფულს ითვლიდა.

— განცხადებებს ვინ იბარებს აქ? — დაიყვირა კოვალიოვმა — ოჰ, გამარჯობათ!

— სალამი, — თქვა ჭაღარა მოხელემ, ერთი წუთით ამოხედა და ისევ ფულის გროვას ჩააჩერდა.

— მე მინდა უცებ მიმიბეჭდოთ.

— მოითმინეთ, გთხოვთ ცოტა შეიცადოთ, — მიუგო ჩინოვნიკმა ისე, რომ საქმისთვის თავი არც მიუხეხებია; ცალი ხელით ქალაქდზე ციფრი დაწერა, ხოლო მარცხენა ხელის თითებით საანგარიშოზე ორი კოჭი ჩააგდო.

მაგიდასთან ბარათით ხელში ლაქია იდგა. შესახედაობასა და სირმით ნაქარგ ტანსაცმელზე ეტყობოდა, დიდგვაროვანი ოჯახის მსახური იყო. მან საჭიროდ მიიჩნია თავისი გულახდილობა გამოემჟღავნებინა:

— მე თუ დამიჯერებთ, ბატონო, ფინია ჯეა უხალთუნიც არა ღირს, ესე იგი, რვა გროშსაც არ მივცემდი-მეთქი იმაში. გრაფის ასული კი ეფოფინება, ღმერთმანი, უყვარს — ჰოდა, ვინც მოუძებნის, ას მანეთს ჯილდოდ ჰპირდება.

ბა! ისე, თუ პირდაპირ ვიტყვით, როგორც ახლა ჩვენ აქ, ასევე ადამიანთა გემოვნებაც ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუ მონადირე ხარ, დალოცვლო, მაშინ შეძებარი ან პუდელი უნდა იყოლიო; ხუთას მანეთსაც ნუ დაინახებ, ყანდაბას, ათასი მიეცი, სამაგიეროდ ძალღია ხომ იქნება კარგე ^{ქრქუნი} ~~ქრქუნი~~ ^{ქრქუნი} ~~ქრქუნი~~.

პატივცემული მოხელე გაბღენძილ უსმენდა და თან აღნუსხავდა, რაღაღენი ასო იყო შემოტანილ ბარათში. გარშემო მოხუცი ქალები, ნოქრები და მეუღლეები მოგროვილყვნენ. ყოველ მათგანს ხელში ბარათი ეჭირა. ერთი ბარათი იუწყებოდა, რომ ქირავდებოდა მეეტლე, რომელიც სასმელს არ ეკარება; მეორე — პარიზიდან 1814 წელს შემოტანილ ცოტა ნახმარ ეტლს გათავაზობდათ. იქ აქირავებდნენ სამრეცხო საქმეში გაწაფულ ცხრამეტი წლის შინაყმა გოგოს, რომელსაც სხვა საქმის კეთებაც ეხერხებოდა; იყიდებოდა ცალრესორიანი გამძლე ოთხთვალა, ახალგაზრდა, ფიცხი აბრაში ცხენი, დაბადებიდან ჩვიდმეტი წლისა; ლონდონიდან მიღებული თალგამისა და ბოლოკის ახალი თესლი; აგარაკი ორსადგომიანი თავლით და ადგილით, სადაც საუკეთესო არყნარის ან ნაყენარის გაშენება შეიძლებოდა; აქვე ძველი ლანჩების შესყიდვის მოყვარულებს წინადადება ეძლეოდათ მობრძანებულიყვნენ განმეორებით საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც ყოველდღე რვიდან დილის სამ საათამდე იმართებოდა.

მთელი ეს საზოგადოება ამ ციციქნა ოთახში დატეულიყო და ჰაერიც მეტისმეტად დაემძიმებინა, მაგრამ კოლეგიის ასესორ კოვალიოვს აუნი არაფრისა აწუხებდა, რადგან ცხვირსახოცი აეფარებინა. ესეც არ იყოს, მისი ცხვირი ღმერთმა უწყის, სად იმყოფებოდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ნება მიბოძეთ გთხოვოთ... ფრიად ვსაჭიროებ, — თქვა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა კოვალიოვმა.

— ახლავე, ახლავე! ორი მანეთი და ორმოცდასამი კაპიკი! ამ წუთას! მანეთი და სამოცდაოთხი კაპიკი! — ამბობდა ქალარა მოხელე და თან ბარათებს ცხვირ-პირში აყრიდა დედაბრებსა და მეუღლეებს.

— თქვენ რა გნებავთ? — როგორც იქნა, მოიცალა მან კოვალიოვისთვის.

— მე გთხოვთ... — სიტყვა დაძრა კოვალიოვმა, — მზაკვრობა ჰქვია, რაც მოხდა, თუ ყალთაბანდობა, აქამდე ვერაფრით ვერ გამიგია. მინდა მხოლოდ ის მიმიბეჭდოთ, რომ ვინც იმ გათახსირებულს მომგვრის, დიდ გასამრჯელოსაც მიიღებს.

— ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, ოა გვარი ბრძანდებით?

— არა, გვარი რა საჭიროა? არ შემიძლია გვარის გამხელა. ბევრი ნაცნობი მყავს: ჩეხტარიოვა, სახელმწიფო მრჩევლის მეუღლე, პელაგია გრიგორევა პოდტოჩინა, შტაბ-ოფიცრის ცოლა... ერთიც ვნახოთ და, რომ ვაიგონ, ღმერთმა დამიფაროს! შეგიძლიათ უბრალოდ კოლეგიის ასესორი ჩაწეროთ, ან უკეთ — კაცი მაიორის ჩინით.

— კი მაგრამ გაქცეული თქვენი შინაყმა იყო?

— რის შინაყმა! შინაყმა გამქცეოდა, მაშინ რა მიჭირდა. ცხვირი გამეჭვა.

— კმ, რა უცნაური სახელია! და დიდი თანხა გაიტაცა ბატონმა ცხვირამ?

— ცხვირი-მეთუი, ესე იგი... თქვენ ვერ გამიგეთ! ცხვირი, ჩემი საკუთარი ცხვირი დამეკარგა. კაცმა არ იცოს, სადა გდია, ეშმაკმა მიყო ეს ოიზი!

— განა რანაირად დაგეკარგათ? რაღაც კარგად ვერ გამიგია.

— ვერც გეტყვით, რანაირად დამეკარგა: რაც მთავარია, ის ახლა ქალაქში ქუჩა-ქუჩა დაეხეტება და თავს სახელმწიფო მრჩევლად ასალებს. ამიტომ გთხოვთ

გამოაცხადოთ, თუ ვინმე წააწყდა, დაიჭიროს და დაუყოვნებლივ მომგვაროს უმოკლეს ვადაში. თავად განსაჯეთ, მართლა და მართლა როგორ გავძლო სხეულის ასეთი თვალში საცემი ნაწილის გარეშე? ეს ხომ რომელიმე ნეკა თითი არაა ფეხზე, რომელსაც ჩექმაში დურთავ და კაცაშვილი ვერ გაიგებს, გაქვს თუ არა. ხუთმაბათობით სახელმწიფო მრჩევლის მეუღლე ჩენტარიოვასთან ვიმყოფები ხოლმე; პოდტოჩინა, პელაგია გრიგორეენა რომ არის, შტაბ-ოფიცრის ცოლი — მასაც იალიან კარგი ქალიშვილი ჰყავს, ესენიც ჩემი ახლო ნაცნობები არიან. აბა თავად ბრძანეთ, რა მეშველება... რა პირითლა გამოვჩნდე მათთან. — მოხელე ფიქრს მიეცა, რასაც მისი მოკუმული ტუჩები მოწმობდა.

— ვერა, ასეთ განცხადებას გაზეთში ვერ გამოვაქვეყნებ. — თქვა ბოლოს, დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— როგორ, რატომ?

— როგორ და ისე. გაზეთს შეიძლება სახელი გაუტყდეს. ყოველმა კაცმა თუ წერა, ცხვირი გამექცაო, მაშინ ნახეთ... უკვე ისედაც ლაპარაკობენ, ათასი ტყუილი და გამონაგონი იბეჭდებაო.

— რა ვქნა, რითი გავს ახლა ეს ამბავი გამონაგონს? მგონი, ისეთი არაფერი მითქვამს.

— ეს თქვენა გგონიათ, რომ ისეთი არაფერი გითქვამთ. მაგრამ აგერ გასულ კვირასაც მოხდა შემთხვევა. მოვიდა მოხელე სწორედ თქვენსავით, მოიტანა ბარათი, დავიანგარიშე და ორი მანეთის და სამოცდაცამეტი კაპიკის გადახდა მოუწია. მთელი განცხადება კი მხოლოდ იმას იუწყებოდა, რომ შავი პუდელი გაექცა. თითქოს აქ ისეთი რა უნდა ყოფილიყო? პასკვილი კი გამოვიდა. პუდელი რომელიღაც დაწესებულების (დამავიწყდა რომლის) ხაზინადარი აღმოჩნდა.

— ჰო, მაგრამ მე ხომ პუდელზე არ შემომამქვს განცხადება, არამედ — ჩემს საკუთარ ცხვირზე; ეს ხომ თითქმის იგივეა, ჩემს საკუთარ თავზე რომ შემომქონდეს.

— ვერა, ასეთ განცხადებას ვერაფრით ვერ გამოვაქვეყნებ.

— კი მაგრამ, თუ სწორედ ცხვირი დამეკარგა!

— თუ დაგეკარგათ, მაშინ ეს ეჭიმის საქმეა. ამბობენ, ისეთი ვიღაცეებიც არსებობენ რანაირსაც გნებავთ, იმნაირ ცხვირს მიაკერებენ კაცსო. მაგრამ გატყობთ, თქვენ ხუმარა კაცი უნდა ბრძანდებოდეთ. გიყვართ, ხომ, საზოგადოებაში წაოხუნება?

— უი, ვფიცავარ! ღმერთია მოწამე! თუ ამაზე მიდვა საქნე, ბარემ გარეენებთ და ის იქნება.

— რა საჭიროა, რუ შეწუხდებით! — თავისას ერეკებოდა მოხელე და თან ბურნუთს ყნოსავდა. — თუმცა, თუ არ შეწუხდებით. — დასძინა ცნობისწადილმოდალეებულმა. — მაშინ სასურველი იყო გვენახა.

კოლეგიის ასესორმა სახიდან ცხვირსაზოცი მოიცილა.

— მართლაც რომ საოცარი ამბავია! — თქვა მოხელემ, — ცხვირის ადგილი ისეა გადაგლესილი, თითქოს ახალგამონცხვარი ბლინი იყოს. კი, პირწმინდად მოსწორებულა!

— რალა გინდათ, კიდევ დამიწყებთ დავას? ახლა ხომ ხედავთ, რომ გამოუქვეყნებლობა არ იქნება. პატივისცემა ჩემზე იყოს; მოხარული ვარ, რომ ამ შემთხვევამ თქვენთან გაცნობის ბედნიერება მომანიჭა...

როგორც ატყობთ, ამჯერად მაიორმა ცოტა წაითვალთმაქცა.

— რა თქმა უნდა, დაბეჭდვას დიდი ამბავი არ უნდა, — თქვა ჩინოვნიკმა, — ოღონდ არა მგონია ამ საქმიდან თქვენთვის რაიმე სახარბიელო გამოვიდეს. თუ მაინცდამაინც დაიყინებთ, მაშინ ეს ამბავი ისეთ ვინმეს უნდა მიუტანონოთ, ვისაც კალამი უჭრის; აღწეროს, როგორც ბუნების იშვიათი მოვლენა. ეს პატარა წერილი „სევერნაია პჩელაში“ გამოაქვეყნეთ (აქ მან ერთხელაც დაყნოსა ბურნუთს), ახალგაზრდობას წაადგება (აქ მან ცხვირი მოიხოცა) და სოცოველთათვის ცნობისწადილსაც აღძრავს.

კოლეგიის ასესორს ყველა იმედი გადაეწურა, თვალები დახარა და გაზეთის ბოლოს დააშტერდა. იქ სპექტაკლზე გამოექვეყნებინათ ცნობა. კოვალიოვს თვალში ლამაზი მსახიობი ქალის სახელი ეცა და ტუჩებზე, ღიმილი მოერია; მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი, ლურჯი ასიგნაცია თუ მიღევსო, — კოვალიოვის აზრით, შტაბ-ოფიცრებს ხომ სავარძელში ჯდომა შეეფერებოდათ, — მაგრამ ცხვირი გაახსენდა და გუნება მოეშხამა!

ეტყობა, თვითონ მოხელესაც გული მოუღობო კოვალიოვის გასაჭირმა და საჭიროდ ჩათვალა დარდის შესამსუბუქებლად ორიოდ სიტყვით მიესამძიმრებინა.

— მართალი გითხრათ, ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი სასერიო ამბავი შეგემთხვათ. თუ ინებებთ, აგერ ბურნუთს დაყნოსეთ, თავის ტკივილს და ნაღველს აჭარვებს. ის კი არა, ბუასილიანებისათვისაც მისწრაფება ყოფილა.

ამ სიტყვებზე მოხელემ საბურნუთე მარჯვედ გადახსნა, ქვეშ მოუქცია სახურავი, რომელზეც ვიღაც შლაბიანი მანდილოსნის სურათი იყო გამოსახული, და კოვალიოვს შესთავაზა:

ამ წინდაუხედავმა საქციელმა კოვალიოვს მოთმინების ფიალა აუღვსო.

— რა გეზუმრებათ, ვერ გავიგე, — თქვა გაგულისებულმა — ვერ ხედავთ, რომ სწორედ ის არა მაქვს, რითაც დაყნოსვა შემეილებაოდა? ჯანდაბას თქვენი ბურნუთი. ახლა თვალით დასანახავადაც მეზიზღება, მარტო თქვენი აყროლებული ბერეზინული კი არა, თუნდაც რაბე შემოგეთავაზებინათ.

ფრიად განაწყენებულმა მიატოვა კოვალიოვმა საგაზეთო ექსპედიცია და უბნის ბოქაულისაკენ გასწია. ბოქაული შაქრის მეტისმეტი ტრფიალი ბრძანდებოდა. მისი სახლის დერეფანი, სასაღილო ოთახის მოვალეობასაც რომ ასრულებდა, სავსე იყო ვაჭრებისგან ნაფეშქაშევი შაქრის თავებზე. ის იყო მზარეული ქალი ბოქაულს სახაზინო პატიკებს ხდიდა. დაშნა და სხვა საბრძოლო აღჭურვილობა უკვე მშვიდობიანად უჭიდა თავთავის კუთხეში. ხოლო მრისხანე სამკუთხა ქუდს მისი სამი წლის ბიჭუნა ათამაშებდა. ბრძოლითა და შფოთილ სავსე ცხოვრების მერე ბოქაული აპირებდა მშვიდობიანი ყოფის სიამე ეგებნა.

კოვალიოვი იმ დროს შევიდა, როცა ბოქაულმა ზმორება-მთქნარებით ჩაიდუღდუნა: „ეხ. ახლა კაი ორსაათიან ძილსაც გამოვაცხობ“. ადვილი მისახვედრია, რომ კოლეგიის ასესორის სტუმრობას დროული სულაც არ ეთქმოდა. ის კი არადა, ასეთ დროს რამდენიმე კირვანქა ჩაი ან მაუდიც რომ მიეტანა, მთლად გულთბილად ვერც მაშინ შეხვდებოდნენ. ბოქაული ყოველგვარი ხელოვნების და ყოველნაირი ხელოსნური ნაწარმის დიდი დამფასებელი გახლდათ, მაგრამ აახელმწიფო ასიგნაცია ქვეყანას ერჩივნა: „ისეთი საქონელია ესა, — ამბობდა ხოლმე იგი, — უკეთესი რომ არ არსებობს: საქმელს არ მოგ-

თხოვს და სასმელს. დიდ ადგილს არ იკავებს და ჯიბეში ყოველთვის ეტევა. მე შენ გეტყვი, დაგივარდება და გატყდება თუ რა“

ბოქაულმა კოვალიოვი საკმაოდ ცივად მიიღო; ასე უთხრა, ნასადილევს ძიების დრო არააო, თვითონ ბუნებას დაუწესებია გამაძლარნი უკოტა ხნით წამოგორებაო (ამის გამგონე კოლეგიის ასესორი უნდა შინვე დიდილიყო, რომ ბოქაულისათვის საიდუმლოს როდი წარმოადგენდა ძველ ბრძენთა გამონათქვამები). ისიც უთხრა, წესიერ კაცს ცხვირს არავინ მოაგლეჯსო, ქვეყნად ათასი შარვალ-ჩაჩანჩურებული მაიორი დაწაწალებს და ყოველნაირ უწესო ადგილებში დაეთრევაო.

ერთი სიტყვით, მაიოს შიგ კაკალ გულში მოარტყეს! უნდა ითქვას, რომ კოვალიოვი ნამეტნავად წყენია კაცი ბრძანდებოდა, ყველაფრის მიტევება შეეძლო, რასაც მასზე იტყოდნენ, მაგრამ თუ მის ჩინს ან წოდებას შეეხებოდა ვინმე, მაშინ კი ვერაფერს გაბატებდათ. იმასაც კი ფიქრობდა, — თეატრალურ პიესებში ყველაფერი, რაც უფროსი ოფიცრების შესახებაა თქმული, შეიძლება უცვლელად იქნეს დატოვებული, მაგრამ შტაბ-ოფიცრების ხელყოფა არაფრით არ ეგებოსო. ბოქაულის პასუხმა დიდად შეაცბუნა, თავი გააქან-გამოაქანა და მკლავებგაფარჩხულმა ღირსეულად წარმოთქვა: „ვალისრებ, რომ თქვენის მბრძანდნ ესოდენ შეურაცხყოფელი სიტყვების მოსმენის შემდეგ არ ძალმიძს რაიმე დავუმატო...“ — და გავიდა.

კოვალიოვი ძლივძლივობით მილასლასდა სახლამდე. ბინდდებოდა, ამ ჩაფლავებულ ძიებათა მერე თავისი ბინა სევდისმომგვრელი და ამაზრზენი ეჩვენა. დერეფანში შესვლისთანავე ტყავის დათითხნილ დივანზე გულაღმა წამოდრანჩული თავისი ლაქია ივანი დაინახა, რომელიც ჭერში იფურთხებოდა და საკმაოდ მარჯვედ ადუყებდა ერთსა და იმავე წერტილში. ასე დაარხეინებული ადამიანის დანახვაზე კოვალიოვი გაცოფდა, ივანს შუბლზე ქუდი წაუთაქა და უთხრა: „შე ღორო შენა, შენი დღე და მოსწრება უნდა ისულელო!“

ივანი დივანიდან წამოიჭრა და მოსასხამის გახდაში შესაშველებლად მარდად მივარდა ბატონს.

დაღლილ-დაქანცული და დანაღვლიანებული მაიორი თავის ოთახში შევიდა, სავარძელში ძნეყვა მოადინა, ცოტა სული მოიბრუნა და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა შეგცოდნე ამის ფასი? ის არ მერჩინა, უხელოდ ანდა უფეხოდ დავრჩენილიყავი? ყურები გამქრობოდა — ხომ ფინთად იქნებოდა ჩემი საქმე, მაინც აიტანდა კაცი: უცხვირო ადამიანი კი, ეშმაკმა იცის, რა არის: არც ფრინველს ჰგავს და არც მოქალაქეს, უნდა მოკიდო ხელი და ფანჯრიდან მოიხროლო. ომში ან დუელში რომ მოეთალათ ანდა ჩემი მიზეზით მომსვლოდა, კიდევ ჰო; არადა, ასე ტყუილუბრად და უმიზეზოდ როგორ დამეკარგა!.. არა, ეს შეუძლებელია, — დასიხნა ცოტა ფიქრის მერე, — დაუჯერებელია, ცხვირი დამეკარგოდეს, ყოვლად დაუჯერებელია, ნალდად საზმარში ვარ ანდა მელანდება. იქნებ წყლის ნაცვლად შეცდომით არაყი გადავკარი, ახალგაპარსულზე წვერს რომლითაც ვიწმენდ ხოლმე. ალბათ ჩერჩეტმა ივანმა არ დალია და მე გადავხუხე.

საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო, მთვრალი არა ვარო, მაიორმა ისე მწარედ იბწკინა — თვითონვე შეჰყვირა. ამ ტკივილმა სავსებით დაარწმუნა, რომ ფხიზელი იყო და ყოველივეს ცხადში იქმოდა. ფრთხილად მიუახლოვდა სარკეს და შიგ ჩახედვამდე თვალები მოხუჭა იმ იმედით, ვინ იცის, იქნებ ცხვი-

რი თავის ადგილზე დამხვდესო, მაგრამ იმავე წუთში უკან გახტა და

— ვაიმე, რა პასკვილური სიფათია!



არა, ამის დაჯერება მართლა არ შეიძლებოდა. დილი რომ დაჯერდნენ ცხლის კოვზი, საათი ან რაიმე ამის მსგავსი, კიდევ პო. მაგრამ დაჯერდნენ დაჯარგა, ისიც საკუთარ ბინაში! მაიორმა კოვალიოვმა ყველა გარემოება აწონდაწონა და ჭკუაში უფრო ის აზრი დაუჭდა, რომ ამ საქმეში დამნაშავე შტაბ-ოფიცერ პოდტოჩინის მეუღლის გარდა სხვა არავინ იქნებოდა; მას ხომ კოვალიოვისათვის თავისი ასულის მითხოვება ეწადა. მაიორსაც უყვარდა მასთან წაარშიყება, მაგრამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას თავს არიდებდა. და როცა შტაბ-ოფიცრის მეუღლემ პირდაპირ მიახალა — მსურს ჩემი ასული მოგათხოვო, ნელ-ნელა დაიძვრინა თავი ქათინაურებით: საცოლედ ჯერ ახალგაზრდა ვარ, ხუთიოდე წელსაც წავიმსახურებ და მაშინ ზუსტად ორმოცდაორისა გავხდებიო. ამიტომ შურისძიების გრძნობით ატანილმა შტაბ-ოფიცრის მეუღლემ დასტურ მისი გაფუჭება მოინდომა და ამ მიზნით ვილაც კუდიანი დედაბრები იქირავა, ვინაიდან იმას ვერაფრით ვერ იფიქრებდა, თითქოს მისთვის ცხვირი ვანმეს მოეთალოს.. .ოთახში მასთან არავინ შესულა, დალაქმა ივან იაკოვლევიჩმა კი ჯერ კიდევ ოთხშაბათს გაპარსა, ხოლო ოთხშაბათს, მთელი დღე, და ხუთშაბათსაც ცხვირი თავის ადგილზე ჰქონდა; ეს მშვენივრად ახსოდა და დანამდვილებით იცოდა. ესეც არ იყო, ტკივილით მაინც ხომ ეტკინებოდა; ჭრილობაც, ეჭვი არ არის. უცებ ვერ შეუხორცდებოდა და ასე მოსწორებულ-მოპრიალებული ვერ ექნებოდა. კოვალიოვი უკვე გულში გეგმებს აწყობდა: შტაბ-ოფიცრის მეუღლე ფორმალური წესების დაცვით გამოვიძახო სასამართლოში, თუ მე თვითონ გამოვეცხადო და ვამხილო, მაგრამ ფიქრი კარის ყველა ღრიქოდან ერთბაშად შემოჭრილმა შექმა გააწყვეტინა. კოვალიოვი მიხვდა, რომ ივანმა დერეფანში სანთელი აანათ. მალე თვითონ ივანიც გამოჩნდა შანდლით ხელში, რომლის შექი მთელ ოთახს მოეფინა. პირველი, რაც კოვალიოვმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ ცხვირსახოცს დაწვდა და ის ადგილი დაიფარა. სადაც ჯერ კიდევ გუშინ ცხვირა ჰქონდა. შიშობდა, ამ დღეში ჩავარდნილი ბატონის შემხედვარე ამ მართლაცდა ტუტუცმა ჯაცმა გაკვირვებისაგან პირი არ დააფჩინოსო.

ის-ის იყო ივანი თავის სენაკში გავიდა, რომ დერეფანში უცხო ხმა გაისმა:

— კოლეგიის ასესორი კოვალიოვი აქ ცხოვრობს?

— მობრძანდით, მაიორი კოვალიოვი აქ გახლავთ, — გველნაკბენივით წამოიჭრა კოვალიოვი და კარი გამოაღო.

შემოვიდა პოლიციის წარმოსადეგი მოხელე, რომელსაც საკმაოდ ხორცსავესე ლოყები და არც მთლად ღია, არც მთლად მუქი ფერის ქილვაშები შვენოდა. ეს სწორედ ის მოხელე გახლდათ მოთხრობის დასაწყისში ისაკის ხიდის ყურეში რომ იდგა.

— ეს თქვენ დაკარგეთ ცხვირი?

— დასტურ მე.

— ის ამჟამად ნაპოვნია.

— რას მეუბნებით? — იყვირა მაიორმა კოვალიოვმა, მერე სიხარულისაგან ენა დაება და თვალეზდაქუეტილი მიაშტერდა მის წინ მდგარ უბნის ზე-

დამხედველს, რომლის ხორცსაც თავპირს სანთლის მოციმციმე შუქი დასთამაშებდა. — რანაირად?

— უცნაური შემთხვევის წყალობით. იგი თითქმის გზაზე იყო დამდგარი, როცა შეიპყრეს. უკვე დილითანსში ჯდებოდა და რიგამდე უკრებდა გამგზავრებას. დიდი ხანია ყალბი პაშპორტიც ჰქონდა ერთ-ერთი მოხსენის სახელზე. გასაკვირი ის არის, რომ მეც კი თავიდან დიდი ვინმე მეგონა, მაგრამ, საბედნიეროდ, სათვალე თან მქონდა და იმწუთში შევამჩნიე, რომ ცხვირი იყო. მოგეხსენებათ, ახლომხედველი გახლავართ და, როცა ჩემ წინ დგახართ, თქვენს სახეს ისე ბუნდოვნად ვხედავ, რომ ვერც ცხვირს ვამჩნევ ზედა და ვერც წვერს. ვერც ჩემი სიდედრი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩემი მეუღლის დედა, ვერ ხედავს ვერაფერს.

კოვალიოვი ლამის ჰკუთხდა გადასულაყო.

— სად არის მერე, სადა? ახლავე გავიქცევი.

— ნუ წუხდებით. ვიცოდი, რომ დაგკირდებოდათ, და თან წამოვიღე. უცნაური ის არის, რომ ამ საქმეში მთავარი დამნაშავე გახლავთ ყალბაბანდი დალაქი ვოზნესენსკის ქუჩიდან, რომელიც ახლა ვირის აბანოში გდია. მე ის დიდი ხანია შემჩნეული მყავდა ლოთობა-ქურდობაში, აკი აწაპნა კიდევ სამი დღის უკან ერთ-ერთი ფარდულიდან იქნის წყვილად დიდი. თქვენი ცხვირი ზუსტად ისეთივეა, როგორიც —

ამ სიტყვებზე უბნის ზედამხედველმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და იქიდან ქალაქში გახვეული ცხვირი ამოაძვრინა.

— ეგ არის. ეგ! — წამოიყვირა კოვალიოვმა — სწორედ ეგ არის! დალიეთ დღეს ჩემთან ჰიქა ჩაი.

— დიდად სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ არ შემიძლია. აქედან გამასწორებელ სახლში უნდა შევიარო... ახლა ყველანაირი სანოვავე ცეცხლის ფასი ღირს... სახლში ჩემთან სიდედრიც ცხოვრობს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩემი მეუღლის დედა და ბავშვები. უფროსი განსაკუთრებით გვიხარებს გულს, ჰკუთით გატენილი ბიჭუნაა, მაგრამ აღზრდისათვის საჭირო სახსრები სრულიად არ გვაბადია...

კოვალიოვი მიუხვდა, მაგიდიდან წითელი ასიგნაცია აიტაცა და უბნის ზედამხედველს ხელში ჩაუჩურთა. მანაც ჰუსლი ჰუსლს შემოჰკრა, თავი დაუჯრა და გარეთ გავიდა. თითქმის იმავე წუთს მისი ხმა კოვალიოვს ჰკუთნიდა — იქ თურმე კბილებში ჩააფეთა ერთ ხეპრე გლებს. რომელსაც თავისი ფორანი ზედ ბულვარზე შემოეჯიყიყიებინა.

კოლეგიის ასესორი მოულოდნელმა სიხარულმა ისე გააოგნა, უბნის ზედამხედველის წასვლის შემდეგ კარგა ხანს დარეტიანებული იდგა; როდის-როდის დაუბრუნდა თვალის ჩინი და შეგრძნება. ნაპოვნი ცხვირი დიდი მოწიწებით ჩაიდო ორივე ხელის პეშვში და ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა.

— აგრეა, ის არის, წყალი არ გაუვა, ის არის! — ამბობდა მაიორი კოვალიოვი, — აგე, მარცხნივ ძიძიბოც, გუშინდელს აქეთ რომ წამოსკუპებია ზედ. — მაიორს სიხარულით ლამის სიცილი აუტყდა.

მაგრამ წარუვალი ამ ცისქვეშეთში არაფერია და სიხარულიც მომდევნო წუთში ისე ცხოველმყოფელი როდი რჩება; ცოტა ხანში კიდევ უფრო მინელდება, ბოლოს კი ისე შეუმჩნევლად გადაიზრდება სულის ჩვეულებრივ მდგომარეობაში.

მარეობად, როგორც წყალში გადასროლილი კენჭისაგან წარმოქმნილი მკვლე
შვერწყმება ხოლმე ბოლოს და ბოლოს ზედაპირს. კოვალიოვი ფიქრს მივიღო/
მიხვდა, რომ საქმე ჯერ არ გათავებულყო. ცხვირი კი მოიძია, მაგრამ მისი
ადგილზე მიმაგრება ზომ იყო საჭირო.

— ერთიც ვნახოთ და არ გაჩერდეს? — ეჭვნულად გაიფიქრა მაიორმა
და ფერფურა წაუვიდა.

შიშით გულგახეთქილი მივარდა მაგიდას და სარკე მოიჩოჩა, რალაც ეშმა-
კად ცხვირი მოდრეცილად არ მივიბაო. ხელებაკანკალებულმა გულდასმით მი-
ჩხომა უწინდელ ადგილზე. პოი, საშინელებავ! ცხვირი არ ამაგრდებოდა!... პირ-
თან მიიტანა. დააორთქლა, მერე ისევ ლოყებშუა მოქცეულ მოსწორებულ
ადგილზე მიიდო, მაგრამ ცხვირი არანაირად არ ამაგრდებოდა!

— აბა, პა, პა-მეთქი დადექი, შე ტუტუცო! — შეუძახა ცხვირს, მაგრამ
ისე გახეშეშებულიყო და ისეთი ხმაურით ენარცხებოდა მაგიდას. თითქოს კორ-
პისა ყოფილიყო. მაიორს სახე სიმწრით ეწმანებოდა. — ნუთუ არ შეშებორ-
ცება? — ამბობდა დაფეთებული. რამდენჯერაც არ მიიდო ცხვირი უწინდელ
ადგილზე, ყოველი ცდა კვლავინდებურად ამაო რჩებოდა.

კოვალიოვმა ივანს მოუხმო და ექიმის მოსაყვანად გაგზავნა. ექიმი იმავე
სახლში ბელეტაეის საუკეთესო ბინაში ცხოვრობდა. ეს გახლდათ კუბრივით
შავი და ზიმზიმა კილვაშებით სახედამშვენებული წარმოსადეგი მამაკაცი.
რომელსაც ცოლიც ფერხორცით და ჯანით სავსე ჰყავდა. ყოველ დღით ექიმი
პტულ ვაშლებს მიირთმევდა; დღე ისე არ გავიდოდა, ბარე სამი ჩარექი სა-
ათის განმავლობაში პირში წყალი არ ეჭანჭყარებინა და კბილებშიც ხუთი სხვა-
დასხვაგვარი ჯაგრისი არ ექაქუნებინა. რის წყალობითაც პირის ღრუ მუდამ
საოცრად გაკრიალღებული პქონდა. ექიმი იმავე წუთში გამოცხადდა. — დიდი ხა-
ნია, რაც ეს უბედურება დაგატყდათ? — შეეკითხა მაიორ კოვალიოვს. თან
ნიკაპი აუწია და ერთი ისეთი წკიპურტი პკრა ცერა თითით სწორედ იმ ად-
გილზე, სადაც ადრე ცხვირი ება, მაიორს თავი უკან მოწყვეტით გადაუქანდა და
კეფა კედელს სძვავა. ეს არაფერით, თქვა ექიმმა და კოვალიოვს ურჩია კედ-
ლიდან ცოტა გამოჩოჩებულიყო. მერე თავი მარჯვნივ გადაახრევიანა, იმ ად-
გილს, სადაც ადრე ცხვირი ება, თითები მიუსვ-მოუსვა და პმ-ო. თქვა. მერე
თავი მარცხნივ გადაულრიცა და პმ-ო, თქვა. დასასრულ ისევ პკრა წკიპურტი
ცერით და მაიორმა კოვალიოვმა თავი ისე აიქნია, როგორც ამას ცხენები სჩა-
დიან ხოლმე, როცა კბილებს უსინჯავენ, ასეთი შემოწმების შემდეგ ექიმმა თა-
ვი გადააქნია და თქვა:

— არა, არ შეიძლება, რომ იცოდეთ, ისევ აგრე დარჩენა გერჩიოთ: უარე-
სი არაფერი მოიწიოთ, მიმაგრება, რა თქმა უნდა. შემოძლია, თუნდაც ახლაც
მიგამაგრებდით, მაგრამ გარწმუნებთ, ეს არაფითარ ხეირს არ დაგაყრიოთ.

— კარგი ამბავია, ჩემმა მზემ! უცხვიროდ როვორლა ვიყო? — თქვა კოვა-
ლიოვმა, — ამაზე უარესი რალა თხრობა დამემართება. ეშმაკმა უწყის. ეს ოა
ჯანდაბაა! ასე სამარცხვინოდ სად გამოვყო თავი. ჩინებული ნაცნობ-მეგობ-
რები მყავს. აგერ დღესაც ვარ ორ ოჯახში მიწვეული საღამოზე. ბევრი ვინმე
მიცნობს: სახელმწიფო მრჩეველ ჩეხტარიოვის მეუღლე, პოდტოჩინა, შტაბ-
ოფიცრის ცოლი... თუმცა მისი ახლანდელი საქციელის მერე მასთან პოლიციის
ჩაურევლად აღარაფერი მესაქმება, მაგრამ მაინც. მიტენით სიკეთე. — ბუდა-
რა გაურია ხმაში კოვალიოვმა, — ნუთუ არ არსებობს საშუალება? მიმაგა-

რეთ რამენაირად არ ვჩივი, იყოს უშნოდ, ოღონდ დამაგრდეს და... ჯანდაბას, ხიფათის შემთხვევაში ცოტა ხელსაც შევუბიჯებ, აბა რა ვქნა, თანაც ცეკვით მე არ ვცეკვავ, რომ გაუფრთხილებელი მოძრაობით რაიმე ვაგზო. რაც შეეხება გასამრჯელოს თქვენი ვიზიტისათვის, დარწმუნებულნი ვართ, რომ დენზედაც კი ხელი მიმიწვდება...

— თუ დამიჯერებთ, არასოდეს ანგარების გამო არა ვკურნავ, — მიუგო ექიმმა მოზომილი, უაღრესად ალერსიანი და მიმზიდველი ხმით, — ასეთი რამ ჩემს წესებს არ ეხამება და შეურაცხყოფელია ჩემი ხელობისათვის, კი, ბატონო, ვართმევ ხოლმე ვიზიტის ფულს, მაგრამ ერთადერთი ამიტომ, რომ ვშიშობ უარის თქმით გულა არავის ვატყინო. ჩემი ნათქვამის თუ არ გჯერათ, ავღგები და ცხვირს მიგამაგრებთ, მაგრამ, პატიოსნებას გეფიცებით, ეს თქვენთვის ბევრად უარესი იქნება. უმჯობესია ისევ ბუნებას ვაცალოთ. ხშირ-ხშირად იბანეთ ცივი წყლით და გარწმუნებთ, უცხვიროდაც ისეთივე ჯანმრთელი იქნებით, როგორც მაშინ იყავით, როცა ცხვირი გქონდათ. გირჩევთ, ცხვირი სპირტიან ქილაში მოათავსოთ ან, მთლად უკეთესი იქნება თუ შიგ ორი სუფრის კოვზ მაგარ არაყს და შემთბარ ძმარსაც ჩაუმატებთ. მაშინ მასში კი ფულს აიღებთ, ის კი არა, მე თვითონ შევისყიდი, თუ ძვირს არ დამიფასებთ.

— არა, არა! არაფრის გულისათვის არ გავყიდი! — წამოიყვირა სასოწარკვეთილმა კოვალიოვმა, — მაგას ჯობია მეზარალოს!

— ბოდიში, ბატონო! — თავი დაუკრა ექიმმა. — მე თქვენთვის კარგი მინდოდა, რას იზამ!.. ყოველ შემთხვევაში, თქვენც ხომ ნახეთ, ცდა არ დამიკლია.

ეს თქვა ექიმმა და ოთახიდან მედიდურად გავიდა. კოვალიოვი ისე მისულფერებულყო, მისთვის სახეშიც არ შეუხედავს, მხოლოდ შავი ფრაკის სახელოებიდან გამოჩრილ თოვლივით ქათქათა პერანგის მაჯებს მისჩერებოდა.

კოვალიოვმა გადაწყვიტა საჩივრის შეტანამდე მეორე დღესვე მიეწერა შტაბ-ოფიცრის მეუღლისათვის, ხომ არ დათანხმდებოდა უბრძოლველად დაებრუნებინა, რისი დაბრუნებაც ეგებოდა.

წერილი ასეთი შინაარსისა იყო:
„მოწყალეო ხელმწიფავ
ალექსანდრა გრიგორევნა!

არ ძალმიძს თქვენი მხრიდან ასეთი უცნაური საქციელის გაგება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მოიქეცით რა ასეთნაირად, ვერაფერსაც ვერ გამოჩებით და ვერამც და ვერამც ვერ მაიძულებთ თქვენს ასულზე ვიქორწინო. შერწმუნეთ, ჩემი ცხვირის ამბავი მშვენივრად ვიცი. ისიც ვუწყვი, რომ ამ საქმეში მთავარი მონაწილე თქვენა ბრძანდებით, სხვა არავინ. ცხვირის უცაბედი გაქრობა თავისი ადგილსამყოფიდან, გადაკარ კა და ხან ერთი მოხელის სახით შენიღბვა და ხანაც, დასასრულ, იქნება იკუთარი სახით გამოჩენა სხვა არა არის რა, თუ არა თქვენი და თქვენს ვით ამნაირ კეთილშობილურ საქმეებში გაწაფული ადამიანების კუდიანობის ნაყოფი. ჩემის მხრივ თავს ვალდებულად ვრაცხ გაგაფრთხილოთ, თუ ჩემ მიერ შემოახსენებული ცხვირი დღესვე არ აღმოჩნდება თავის ადგილზე, — იძულებული ვაქნები მართლმსაჯულების მფარველობას მივმართო.

თუმცაღა მაქვს პატივი გამსკვალულ ვიყო თქვენდამი უაღრესი მოწიწებით
თქვენი მონა მორჩილი
პლატონ კოვალიოვი“.

„მოწყალეო ხელმწიფეო

პლატონ კუხშიჩი!



ქართული
წიგლისწამბე

თქვენმა წერილმა დიდად გამაოცა. გულახდილად უნდა ვაღიარო, არაფრით არ მოველოდი, მეტადრე თქვენი მზარდიან, უსამართლო საყვედურებს. წინასწარ უნდა გაუწყობთ, რომ თქვენ მიერ ხსენებული მოხელე, არც შენიღბული და არც ნამდვილი სახით, არასოდეს მწვევია. ერთი კია, ფილიპ ივანოვი პოტანჩიკოვი დაიარებოდა ჩვენსა, და თუმცა სწორედ ჩემი ასულის ხელსა მთხოვდა, ხოლო თავად ზნეკეთილი და დიდად განსწავლული კაცი ბრძანდება. არასოდეს არაფრით დამიიმედებია. იხსენიებთ აგრეთვე ცხვირს, თუ ამით გსურთ მამცნოთ, თითქოს მე თქვენთვის ცხვირის აბზუება, ე. ი. ფორმალური უარის თქმა მეწადა, მაშინ გამკვირვებია, რომ ამის შესახებ თავად ლაპარაკობთ, იმ დროს როცა მე, როგორც ეს თქვენთვის ცნობილია, სრულიად საწინააღმდეგო აზრისა გახლდით და, თუ ახლავე მთხოვთ ჩემი ასულის ხელს, როგორც წესი და რიგია, — ულაპარაკოდ ყაბუღს გახლავართ, რამეთუ ეს მუდამ ჩემს ცხოველ წადილს წარმოადგენდა, რის იმედითაც დავშთები მარად მზადმყოფი თქვენი სამსახურისათვის.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა პ ო დ ტ ო ჩ ი ნ ა“.

„არა, — ამბობდა კოვალიოვი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ. — ის მართლაც არ უნდა იყოს დამნაშავე. შეუძლებელია! დანაშაულის ჩამდენი ასეთ წერილს ვერ დაწერდა. — კოლეგიის ასესორი ასეთ საქმეებში ჩახედული კაცი გახლდათ, ვინაიდან ჯერ კიდევ კავკასიის ოლქში სამსახურისას ჩამდენ-ჯერმე იყო გამოსაძიებლად განწესებული. — ეს რა უბედურება დამატყდა; ემბაკი თუღა გაარკვევს ამას!“ — თქვა ბოლოს იმდევადაწურულმა კოვალიოვმა.

ამასობაში ხმები ამ განსაცვიფრებელ ამბავზე მთელ დედაქალაქში დარხეულიყო და, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი გვარიანადაც გაეზვიადებინათ. მაშინ ყოველ კაცს ყურები დაცქვეტილი ჰქონდა რაიმე საკვირველი ამბის მოსასმენად: არც ისე დიდი ხნის წინ საზოგადოება მაგნეტიზმის მოქმედების დამდასტურებელი ცდებით იყოლიებდა თავს. თანაც კონიუშნაიას ქუჩაზე მოცეკვავე სკამების ისტორია ჯერ კიდევ ცხელი ამბავი იყო და რა გასაკვირია, რომ მაღლე ერთი მითქმა-მითქმა შეიქნა, თითქოს კოლეგიის ასესორ კოვალიოვის ცხვირი ზუსტად სამი საათისათვის ნევია პროსპექტზე გამოისეირნებს ხოლმეო. ყოველდღე აუარებელი ცნობისმოყვარე იყრიდა თავს. ვილაცამ თქვა, ცხვირი იუნკერის მაღაზიაში იმყოფებაო, და იუნკერის წინ იმოდენა ბრბო შეიყარა. ისეთი ჭყლეტა და ზედახოცვა ატყდა, პოლიციის ჩარევაც კი გახდა საჭირო. ერთმა დარბაისლური გარეგნობის ქილვაშებიანმა სპეკულიატორმა — რომელიც აუტრის შესასვლელთან სხვადასხვანაირ ხმელ-ხმელ საკონდიტრო ნამცხვრებს ყიდდა ხოლმე — საგანგებოდ გააკეთა ხის გამძლე მერხები, ზედ შესადგომად ცნობისმოყვარეებს უხმობდა და თითოეულს ოთხმოც კაპიკს ართმევდა. ელთი დამსახურებული პოლკოვნიკი საგანგებოდ ამ საქმისთვის სახლიდან ნაადრევად გამოვიდა და დიდი წვალეობით გააღწია ბრბოში, მაგრამ უნდა გენახათ, როგორ აღშფოთდა, როცა ცხვირის მაგივრად მაღაზიის ფანჯარაში ჩვეულებრივი შალის თბილი პერანგი და ლითოგრაფიული სურათი დაინახა. სურათზე

წინდების გასასწორებლად წახრილი გოგონა იყო გამოსახული, რომელსაც ხეს ამოფარებული ქილეტიანი, წვერშეკრეკილი ფრანტი უცაცქვრებდა. ეს სურათი ბარე ათი წელი იყო ერთსა და იმავე ადგილზე ეკიდა და ეკიდა. გაწბილებული პოლკოვნიკი იქაურობას მოცილდა და ჩაიღებოდა უფრო შიშველი და უფრო შიშველი. დაუჭერებელი ჭორებით ხელსიკვებებურება?

შემდეგ ხმა დაირხა, თითქოს მაიორ კოვალიოვის ცხვირი ნევის პროსპექტზე კი არა, ტაგანის ბაღში დასეირნობსო, თითქოს ის უკვე დიდი ხანია იქ იმყოფება. როცა იქ ჯერ კიდევ ხოსრო მირზა ცხოვრობდა, ისიც კი ძალიან გაკვირვებული იყო თურმე ბუნების ამ უცნაური ოინბაზობით. ქირურგიული აკადემიის ზოგიერთი სტუდენტი იქით გაემართა. ერთი დარბაისელი, დიდგვაროვანი ქალბატონი საგანგებო წერილში ბაღის ზედამხედველს სთხოვდა, ეს იშვიათი ფენომენი მისი შვილებისათვის ეჩვენებინა და თან, თუ შეძლებდა, ყრმათათვის სასარგებლო ჭკუის დამრიგებლური და დამმოდგრაფი ახსნა-განმარტებებიც მოეყოლებინა.

ეს უცნაური ამბავი გულს უხარებდა მეჯლისების უცვლელ მონაწილე ყველა წარჩინებულ ვაჟბატონს, მანდილოსნების შექცევა რომ უყვარდათ და ამ დროისათვის თხუხუბობათა მარაგი გამოლევდათ. დარბაისელ და კეთილგანწყობილ ადამიანთა მცირე ნაწილი კი ძალზე უკმაყოფილო დარჩენილიყო. ერთი მათგანი აღშფოთებული ამბობდა, ვერ გამიგია, დღევანდელ განათლებულ საუკუნეში როგორ ვრცელდება ასეთი სულელური ჭორები და საოცარია, როგორ არ აქცევს ყურადღებას ყოველივე ამას ხელისუფლებამო. ეს ვაჟბატონი, როგორც ვხედავთ, იმ პატივცემულ ადამიანთა წყებას განეკუთვნოდა. რომლებიც ხელისუფლებას ყველაფერში ჯევენ. თვით საკუთარ ცოლებთან ყოველდღიურ კინკლაობაშიც კი. ამის შემდეგ... თუმცა აქედან მოყოლებული, ამბავი ესე ისევ ბუოუსითაა მოცული და შემდგომ რა მოხდა, არავინ უწყის.

III

ქვეყნად რანაირი სისულელე არ ხდება. ზოგ ამბავში სიმართლის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენს კაცი. ერთიც ვნახოთ, სწორედ ის ცხვირი, სახელმწიფო მრჩევლის ჩინით რომ დაბრძანდებოდა და ქალაქში ასეთი ალიაქოთი ატება, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ისევ თავის ადგილზე აღმოჩნდა, ანუ სწორედ მაიორ კოვალიოვის ორ ლოყას შუა ამოყო თავი. ეს უკვე აპრილისთვის შვიდში მოხდა, ახლად გამოღვიძებულმა კოვალიოვმა უნებლიეთ სარკეში ჩაიხედა და რას ხედავს: ცხვირი აქვს! — იტაცა ხელი — წყალი არ გაუვა, ცხვირია! „ერიპა!“ — თქვა კოვალიოვმა და სიხარულისაგან, ცოტა გაწყდა, ოთახში ფეხშიშველმა არ ჩამოუარა, მაგრამ ივანის შემოსვლამ ამ ცანზრახვაზე ხელი ააღებინა. უბრძანა ხელ-პირი დამაბანანეო, მერე ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში: ცხვირი ადგილზე იყო!

— აბა ერთი შემხედე, ივან, მგონი, ცხვირზე რალაც ძიძიბო მაზის, არა? — თქვა კოვალიოვმა, თან გულში გაიფიქრა: „შენ მაშინ ნახე, ივანმა თუ მითხრა: არა, ბატონო, არამცთუ ძიძიბო, ცხვირიც არსადააო!“

ივანმა კი მიუგო:

— არა, ბატონო, ძიძიბოს რა უნდა: ცხვირი გაკრიალებული გაქვთ!

„კარგია, დასწყევლის ეშმაკი!“ — თქვა მაიორმა გულში და თითები გაატ-

კაცუნა. ამ დროს კარებში დალაქმა ივან იაკოვლევიჩმა შემოჰყო თავი ისე იყო დამფრთხალი, როგორც კატა, რომელიც ეს-ესაა ქონის ნაქრის მოპარვისთვის გაეჯობათ.

— წინასწარ მითხარი, ხელები სუფთა გაქვს? — შორიდანვე მოხანს კოვალიოვიჩმა.

— სუფთა მაქვს.

— ტყუი!

— ღმერთმანი, სუფთა მაქვს, ბატონო.

— იცოდე, არ მიჭარო.

კოვალიოვი დაჯდა. ივან იაკოვლევიჩმა წინსაფარი აუფარა და ფუნჯის მეოხებით მთელი წვერი და ლოყის ნაწილი წამში ისე აუქაფა, კრემი გეგონებოდათ, დიდვაჭრების დღეობებზე რომ მიაართმევენ ხოლმე სტუმრებს.

„ბიჭოს! — გულში თქვა ივან იაკოვლევიჩმა ცხვირის დანახვაზე. მერე თავი მეორე მხარეს გადაუწია და ახლა გვერდიდან მიაცქერდა. — უყურე შენ! მოდი ახლა და ნუ გაგიკვირდება! — განაგრძო მან და ცხვირს დიდხანს მიშტერებოდა. ბოლოს ნახად, რაც შეიძლება შორიდებით წამოწია ორი თითი ცხვირის წვერზე მოსაჭიდებლად; რა ექნა, ასეთი სისტემა ჰქონდა ივან იაკოვლევიჩს.

— აბა, აბა, არ მიჭარო! — დაუყვირა კოვალიოვიჩმა.

ივან იაკოვლევიჩს ხელები მოწყვეტით ჩამოუცივდა და ჭირის ოფლმა დაასხა. ბოლოს შორიდებით მოუცაცუნა წვერქვეშ სამართებელი, და თუმცა სხეულის ამ მყნოსავ ასოზე ხელმოუჭიდებლად სამართებელს ვერ იმარჯვებდა და შუშაობა ძალიან უჭირდა, მაგრამ ლოყასა და ქვედა ღრძილზე თავისი სორკლიანი ცერა თითის მიბრჭენით ბოლო-ბოლო დიდი გაჭირვებით გადალაზა ყველა დაბრკოლება და პარსვა მოათავა.

როცა ყველაფერი მზად იყო, კოვალიოვიჩმა ფაცხაფუცხით ჩაიცვა ტანზე ეტლი იჭირავა და პირდაპირ საშაქარლამოსკენ გაეშურა. შესვლისას შორიდანვე მიაცვირა: „ჰეი, ბიჭო, ერთი ჭიქა შოკოლადი მომიტანე!“ ხოლო თავად იმ წუთში სარკესთან მიიჭრა: ცხვირი ადგილზე იყო! გაღალბებული შემოტრიალდა და თვალეზმოწყურულმა დამცინავი მზერით შეათვალიერა ორი სამხედრო, რომელთაგან ერთ-ერთს ისეთი ციციქნა ცხვირი ჰქონდა, ეილეტის ღილზე დადი არ იქნებოდა. ანის შემდეგ იმ დეპარტამენტის კანცელარიისაკენ გაუტია, სადაც ვიცე-გუბერნატორის ადგილისათვის ჩალიჩობდა, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ეგზეკუტორობასაც ყაბულს იყო. მისაღებში რომ გადიოდა, თვალი სარკესკენ გაეჭვა: ცხვირი ადგილზე იყო! შემდეგ თავის მეგობარ კოლეგის ასესორს ანუ მაიორს ეწვია, რომელიც დიდი ანგალი ვინმე ბრძანდებოდა. კოვალიოვიჩი მისი ნაირ-ნაირი კვიმატური შენიშვნების პასუხად ეუბნებოდა ხოლმე: „აბა შენა ხარ, ენა კი არა, სადგისი გაქვს!“ გზად მიმავალი ასე ფიქრობდა: „თუ ჩემს დანახვაზე მაიორი სიცილით არ ჩაბეირდა, მაშინ უკვე ნალდია, რომ ყველაფერი, რაც კი გამაჩნია, თავის ადგილზეა“. მაგრამ კოლეგის ასესორს არაფერიც არ დამართნია. „კარგია, კარგი, ეშმაკმა დასწყევლოს!“ — გაიფიქრა კოვალიოვიჩმა გუნებაში. გზაში შტაბ-ოფიცერ პოდტოჩინის ნეუღლე და მისი ასული შემოეყარნენ. მაიორმა მათ თავი მდაბლად დაუკრა. დედა-შვილიც მხიარული შეძახილებით შეეგება: მაშასადამე, საშიში არაფერი იყო, არა ხინჯი არა ჰქონდა. იგი მათ კარგა ხანს ებაასებოდა:

საბურნუთე ამოიღო და განგებ მათ დასანახავად დიდხანს იტუშნედა ბურნუთს ცხვირის ორივე ნიშტვში, თან გულში ფიქრობდა. „ესეც თქვენ, ბატონო! დია-ცებო! ქალიშვილზე კი მაინც არ ვიქორწინებ. ისე, უბრალოდ par amour! კი, ბატონო!“ ამ დღიდან მოყოლებული მაიორი კოვალევიჩი უფრო ძანდებოდა ნევის პროსპექტზე. თეატრებსა თუ სხვაგან, თითქმის არც კი მხამფერი მიმ-ხდარიყოს. ცხვირიც, ვითომც აქარაფერიყო, ისე აჯდა სახეზე, არც ეტყობო-და, თუ ოდესმე გაქცეულიყო. ამის მერე მაიორი კოვალიოვს ყოველთვის გუნე-ბამხიარულს და მოდიმარს ხედავდნენ. ლამაზ ქალს ისე არ გაუშვებდა, რომ არ აკიდებოდა. ერთხელაც გოსტინი დვორის წინ შეჩერდა და რომელიღაც ორდენისთვის ლენტი იყიდა, რა მიზნით, კაცმა არ იცის, რადგან თავად არც ერთი ორდენის კავალერი არ ბრძანდებოდა.

აი, რა ამბავი მოხდა ჩვენი თვალუწვდენელი სახელმწიფოს ჩრდილო დედა-ქალაქში! როცა უკვე ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, ახლალა ვხვდებით, რომ აქ ბევრი რამ არის საეჭვო. იმაზე აღარას ვამბობთ — ცხვირის ზებუნებრივი განცალკევება და სახელმწიფო მრჩევლის სახით მისი სხვადასხვა ადგილზე გა-მოჩენა მთლად უცნაური და უცნაური რომაა — იმას მაინც როგორ ვერ მიხ-ვდა კოვალიოვი, რომ საგაზეთო ექსპედაციის მეშვეობით ცხვირის თაობაზე განცხადების გამოქვეყნება არ იგებოდა. ამას აქ იმ მიზნით კი არ ვამბობთ, იითქოს განცხადება ძვირი დაუჯდებოდა: რა სისულელეა, მე სულაც არ გახ-ლავართ ძუნწი კაცი. მაგრამ უკადრისი, უხერხული და ულამაზო საქციელია! ანდა კიდევ გამომცხვარ პურში რანაირად აღმოჩნდა ცხვირი, ან თვითონ ივან იაკოვლევიჩი რანაირად... არა, ამ ამბისა არაფერი გამეგება, სრულიად არა-ფერი! მაგრამ ყველაზე საკვირველი და გაუგებარი ისაა — როგორ უნდა მო-კიდონ ხელი ავტორებმა ამნაირ სიუჟეტებს... გამოგიტყდებით და, ეს უკვე მთლად წარმოუდგენელი გახლავთ, ეს სწორედ რომ... არა, არა, საერთოდ არ მესმის და არა. ჯერ ერთი, ეს მამულისათვის ვერაფერი სარგებელია, მეორეც ერთი... მაგრამ მეორეც სწორედ ვერაფერი სარგებელი გახლავთ. უბრალოდ ვერ გამიგია, ეს რა ხდება...

და მაინც, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, ყოველივე ამასთან ერთიც გვე-ფიქრა, მეორეც და მესამეც, ისიც კი შეიძლებოდა, რომ.. თუმცა რა გინდა, რა, შეუსაბამობა სად არ მომხდარა?... და მაინც თუ ამ ამბავს ჩაუკვირდება კაცი, მართლა აღმოაჩენს რაღაცას. ვისაც რა უნდა, ესა თქვას და, ამ ქვეყანაზე ხდება ხოლმე ამისთანა ამბები, იშვიათად, მაგრამ — ხდება.

1 არშეყობა (ფრანგ.).





ფრანგულიდან თარგმნა სულხან ჯორჯანელიმა

ფრანგულ ჟურნალ „ნუველ კრიტიკის“ სპეციალურმა ნომერმა, რომელიც თანამედროვე პოეზიას ეძღვნა დათმობილი, 70-იანი წლების მეტი წილი ფრანგი პოეტი გააერთიანა „რეალისტური პოეზიის“ სულისკვეთების ნიშნით.

ახალმა მიმდინარეობამ თითქმის დასრულებული სახე მიიღო აქ წარმოდგენილ პოეტთა შემოკრებულში.

პიერ ტილმანი

და ყველაფერი ბრძოლდება

უძრავობა

კვლავ ვაგრძელებ დანყებულ ბრძოლას

სულისა და საზოგადოების ხაფანგი

ერთისათვის დაწერილი პნკარების ხაფანგი

წარმოიდგინო ყველაფერი დაწვრილებით

ეს ტიპია რომელიც ოთხი საათი იჯდა ელექტროლუმებზე

და დაიწვა ძვლებიანად

ეს გიჟია რომელიც დაუღალავად თავს ურტყამს

მოაჯირს

ეს გოგოა რომელიც ჩემთვის საყვარელი სხეულით

ჩემს ოთახში დადის

სიცილში გახვეული

ეს მშვენიერი ადამიანები (საცოდავები)

უბადრუკი ცხოვრებით (მშვენიერით)

ისინი მოიკლავენ თავს მუშაობით

და იმ ფულით გასამრჯელოდ რომ მიიღებენ

დაღლა მკეტავს ნეკნების გაღიაში

გრძელდება ყოველდღიურობა

მაგრამ ყოველთვის რაღაცა ავიწყდებათ

და ყველაფერი რჩება ძვლებურად.

ყველაფერი ცოტ-ცოტა



ბევრი ვიხეტიალე ქუჩებში
 მუშაობისგან ქანცგანყვეტილმა
 დიდხანს გკოცნიდი გუშინ საღამოს
 ჩემში ყველაფერი ცოტ-ცოტაა
 ვიტრინები სამსახური და მე და შენ
 კვლავ ჩვენს საწოლში
 და ათასი არაფრისმთქმელი წვრილმანი
 მე ვხედავ სახეებს
 და ერთმანეთისკენ განვდილ ხელებს
 და ვხედავ როგორ დაეკიდა სიცარიელე სახეებს შორის
 და როგორ ჰკიდია სიცარიელეში განვდილი ხელები
 ყველა თავისი წილხვედრის წაგლეჯას ცდილობს
 და ყველასა ჰყავს აფიშასავით მოხატული ქალი
 სასონარკვეთა კი არ თვლემს ჯრასდროს.

(1975 წ.).

ფრანკ ვენაი

...

ეს ღვთაებრივი დღე მწუხრისკენ იხრება
 და ცხოვრება ვერ ავანყეთ როგორც გვინდოდა
 ჩვენ შეგვეძლო გვეკოტრიალა მინდვრის ბალახში
 მდინარის პირას თიხისაგან გვეძერწა საყვარელი სახეები
 ჩვენ შეგვეძლო გვეცხოვრა არა უაზროდ არამედ საქმე თუნდაც
 უმნიშვნელო გამოგვეძებნა
 დაღლილობა აძევებს აღმაფრენას
 ქუჩის ხმაურში აღარ მოისმის მეყოლიას ტკბილი
 სიმღერა
 დაბინდებისას საღებავები უფერულდება
 მაგრამ მაცალეთ გაუნწყოთ რომ იქვე სადღაც
 ახლად ამოსული შვრია და სკათიბია
 ფერთა აგონია სინათლის გამოთხოვება
 და სურნელების გაფერმკრთალება
 თორმეტი წლის ვიყავი ოდესღაც
 ღამე კვიცივით ანცობდა კარების იქით ბოჩოლები ბლაოდნენ
 მახსოვს თბილი რძე პურის სურნელება
 გოგონათა ლხინი მინდორში
 და სხვენზე გატაცებით რომ ვკითხულობდით შერლოკ-ჰოლმსს
 ახლა კი ჩემ წინ თქვენი ქუჩების შიგნეულია
 და თქვენი დედაქალაქების ურიცხვი სიშიშველე
 მე ვუმღერ არა ამას არამედ ვარდისფერ აგურებს
 მზით გამთბარ ყურეს და მცხუნვარე ზაფხულის შუადღის
 ზარებს.

* * *



დღეს საღამოთი ისევ მარტო ხარ შენ
 ოთახში
 პაპიროსის ნამწვავები და ფერფლია
 ყველგან
 ღია ფანჯარა ცემენტის ეზოს
 დაჰყურებს
 ბებერივით ნელში იხრები
 დიდხანს ზიხარ თავჩაქინდრული
 სავარძლიდან წამოდგომა გეზარება
 აღარც ძალა გაქვს
 გიმძიმს სუნთქვა ოფლად იღვრები
 გაზეთებისგან ფრჩხილებქვეშ ჭუჭყი
 გიგროვდება
 გარეთ ყინავს და წყვდიაღია
 ქალის სხეული კი თბილია და ნაზი
 შუბლს იციებ დაორთქლილ ფანჯარაზე
 და სევდიანი თვალს უშტერებ საკუთარ
 აჩრდილს
 გრძნობ გარდუვალად კვლავ გათენდება.

* * *

მე შენ თუ მიყვარხარ არც ისე ნაზად, ეს იმიტომ,
 რომ დღეები მოქსოვილია სიცრუისა და სიძულვილისაგან,
 მე კი არა მაქვს იარაღი, რომ გავუმკლავდე, მე თავს
 ვიტყუებ სიძლიერით, ხოლო სარკიდან ბავშვი მიმზერს.
 მე ისე მცდია, რომ მზად ვარ ვილოცო. ვაჩქარებ ჩემი
 ცხოვრების ყოველ საათს, მაგრამ მე მინდა ვიტყვო
 გულამოსკვნით,
 როგორც ტირიან ეკრანზე იტალიელი დედები, დაღლილობისგან
 ჩამოშვებული შენი ბავშვური მხრების შემყურე, ყოველდღიური
 სტუმარო ჩვენი საღამოების. შენი ყოველი ცრემლი ათასჯერ
 აგინაზ-
 ლაურდება, სანამ მე ძალმიძს შენი სიყვარული და შენი მკერდი
 ფეთქავს ჩემ ხელქვეშ. ჩვენ ვთრგუნავთ ღამეს. მარტოობის წინ
 ფარდას
 დავუშვებ და უძირო ტკბობას თავს შევაფარებ.

(1966 წ.).

ბერნარ ვარგაფტივი



* * *

თუ გინდ კბილებით ჩავეჭიდო
ჩემს სათქმელს
დანანევრდება ჰაერი
დანანევრდება სიტყვები
თითქოს გადანყვეტილია
არ გამოეხმაურო საკუთარ სახელს
მე მესმის ომის გრგვინვა
როგორც ამჩნევენ საკუთარ მოძრაობებში
სხვისას
და თითქოს დედაჩემი კვლავ ახალგაზრდა წარმომიდგება
როცა მას ვნახავ.

(1975 წ.).

მორის რენიო

* * *

პოეტი სულ მღერის
პოეტი სულ მღერის
ნიზანია უსაზღვრო ბედნიერება
გალანძლულ ვნების საპირისპიროდ
მიზანია უსაზღვრო ბედნიერება

პოეტი სულ მღერის
ქართან სიმარტოვეში
ხიშტებთან სიმარტოვეში
ღამეებთან სიმარტოვეში
პოეტი სულ მღერის
იყო მარტო ბედშავობაა
ყოველის ხელმყოფი სიკვდილის
წინაშე

იყო მარტო ბედშავობაა
პოეტი სულ მღერის
პოეტი სულ მღერის.

(1974 წ.).



თარგმნა მურმან ჯგუბურიამ

მეუფევე მამაც იდაღგოთა, მეუფევე სევდის,
შენ, სიზმრის კაცო და რაინდო — მებრძოლი ბედის,
თავს ოქროსფერი ოცნებების გახურავს ზუჩი,
არ უგემნია გამარჯვება ჯერ შენთან არვის,
შენ ზმანებათა ცისაფერი გიფარავს ფარი
და ვერ გაგიარს ვერასოდეს მახვილი გულში!

წინგამხედავო, შეპყრობილო სპეტაკი ფიქრით,
ვინაც აკურთხე მინიერი გზები და მიშქრი
წინ, მარადის წინ, — გზნებითა და წყურვილით სავსე,
შენ ებრძვი პროზას, ანგარებას და მონურ უღელს,
ბრიყვულ სამართალს, გულგრილობას, დაკრეფილ გულ-ხელს
ტანჯვის, ხარების, სიმართლის და სიცრუის გზაზე!

შენ რაინდების რაინდი ხარ, გაჭრილი ველად,
შენ თავადების თავადი ხარ, და ოდეს ლელავ,
მოძღვარო, გვედრებ, შეიცოდდე ოდნავად თავი
და შეინახე ჯანმრთელობა ამ მწუხარ გზაში,
თორემ იმდენი გელოდება შური და ტაში,
იმდენი ხოტბა და დაცინვა... კარგი და ავი, —
მოძღვარო ჩემო, შეიცოდდე შენც შენი თავი!

დაჯაბნე ძველი რაინდები სიქველით შენით,
ყოველდღიური წვით და დაგვით და გულის ტკენით,
ვერ დაგიდგება თვით ზღაპრული დევგმირი ახლოს,
გამკობენ სიტყვით, სხვანაირი გინევს ან ტანჯვა,
შენ ახატიხარ დღეს ესტამპებს, ბარათებს, მარკას
და შენი ქებით მემთვრალენი იკლავენ ზარხოშს...

როლანდო, აჩრდილს რომ დაეძებ მტკივანი გულით
და გამარჯვებით დაუდეგარს ვერ იკლავ წყურვილს,
მერანი ჩემი ნაკვალევზე მოგყვება ფრენით,
ამ სტიქიაში დაიბადა სიმღერის ჰანგი,
აქ ვეზიარე მე იდუმალს და შევსვი ბანგი,
გემუდარები! ლიტანია ისმინე ჩემი!

ილოცე მისთვის, ვისაც უკვე არა აქვს რწმენა,
 ილოცე ჩვენთვის, მწყალობელო, მომეცი თმენა,
 ილოცე მათთვის, ვისაც ცეცხლი გაუქრა გულში
 მომხვედურთა გამო, რომელთ სიტყვას სიცრუე ახლავს,
 ო, მათ ლამანჩი სასაცილო ჰგონიათ ახლაც
 სული მაღალი, ესპანური, სინშინდის ბურჯი...

ილოცე, რათა დაგვიამოს ჩვენ შუბლი დაფნამ,
 ილოცე, რათა ყვავილებით აგვევსოს კალთა,
 ილოცე ჩვენთვის, მაღალო და მარადყამს დიდო.
 შრიალეებს დაფნა, თავს იკლავენ ჩიტები სტვენით,
 მწუხარებაში სიგიზმუნდო ძმა არის შენი,
 როგორც ძმა არის ნამებული ჰამლეტი თვითონ.

ილოცე, წმინდა და ამაყო რაინდო ჩვენთვის,
 ილოცე სულით უდრეკელით, ციური ფეთქვით,
 აგვიბი მხარი და ისმინე ვედრება ერთი:
 ჩვენ დავიღალეთ, საზრუნავმა გაგვტეხა წელში,
 არა გვაქვს ყოფა ,ცა და მიწა, არა გვაქვს ცეცხლი,
 არა გვყავს სანჩო, დონ-კიხოტი. არა გვყავს ღმერთი!

წვალემა მძიმე გაგვიქარვე და სევდა დიდი,
 ნიცშეანური ზეკაცები, ველური რიტმი,
 აფთიაქების სურნელი და წვეთები წამლის,
 ეპიდემია, კამათი და პრემია მსუყვე,
 აკადემია გაგვიქარვე, — სიცრუის ბუდე,
 გვიხსენი, გვიხსენ, ო, გვიხსენი, ო, გვიხსენ, ამინ!

გვიხსენ სულელთა ხროვისაგან, მედიდურ ბრბოდან,
 ცრუ რაინდთაგან და კეკლუცი სიტყვების ჯგროდან,
 შენ შეაკვეცე ბოროტებას სივრცე და განი,
 ცრუ — მედიდობას, ყვეყნობას, — ზოგიერთს რითაც
 მოაქვს თავი და საქონელი სჯობია დიდად, —
 გვიხსენი, გვიხსენ, ო, გვიხსენ, ამინ!

წინგამხედავო, შეპყრობილო სპეტაკი ფიქრით,
 ვინაც აკურთხე მიწიერი გზები და მიჰქრი
 წინ! მარადის წინ! — გზნებითა და წყურვილით სავსე,
 შენ ებრძვი პროზას, ანგარებას და მონურ უღელს,
 ბრიყვულ სიმართლეს, მდუმარებას, დაკრეფილ ხელებს
 ტანჯვის, ხარების, სიმართლის და სიცრუის გზაზე!

ილოცე ჩვენთვის, მეუფეო ტანჯვის და სევდის,
 შენ, სიზმრის კაცო და რაინდო მებრძოლი ბედის,
 თავს ოცნებების ოქროსფერი გახურავს ზუჩი,
 არ უგემნია გამარჯვება ჯერ შენთან არვის,
 შენ ზმანებათა ცისაფერი გიფარავს ფარი
 და ვერ გაგიჭრს ვერასოდეს მახვილი გულში!

ბალავარიანი ეპიკური ლიტერატურაში

ბაროკოს ეპიკის ესპანურ დრამატურგიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თქმულება ვარლაამისა და იოსაფატის შესახებ, რომელიც მე-10 საუკუნეში ქართულად დაამუშავა და შემდეგ კი ბერძნულ ენაზე თარგმნა ექვთიმე ივერიელმა (ათონელმა, 955-1028). ქართულად ამ რომანს „სიბრძნე ბალავარისი“ ჰქვია, სამეცნიერო ლიტერატურაში კი ის ცნობილია ბალავარიანის სახელწოდებით. როგორც ჩანს, ეს სასულიერო რომანი სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგის პედრო კალდერონ დე ლა ბარკას შთაგონების წყაროდ ქცეულა. აღნიშნული სიუჟეტი მან საფუძვლად დაუდო თავის ალევორიულ დრამას „ცხოვრება სიზმარია“.

კალდერონზე ადრე ვარლაამისა და იოსაფატის ლეგენდით დაინტერესდა მეორე დიდი ესპანელი დრამატურგი — ლოპე დე ვეგა, რომელმაც დაწერა პიესა „ვარლაამი და იოსაფატი“. ლოპე დე ვეგას ამ ნაწარმოებში, ისევე როგორც მის სხვა დრამებში, რელიგიური მოტივი მკვეთრად არის გამოიჭნული საეროსაგან. აღსანიშნავია, რომ რელიგიურ თემაზე შექმნილ პიესებში კიდევ უფრო მეტად საცნაურია მწერლის რეალისტური მხატვრული ტენდენციები. ბიბლიურ თქმულებებში იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთ მომენტებზე, რომლებიც მას საშუალებას აძლევს გადმოსცეს ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები და ვნებები. ლოპე დე ვეგას დრამა მდიდარია ყოფითი დეტალებით, ოჯახურ-ეთიკური თუ სასიყვარულო-საგმირო ხასიათის სცენებით. ბუნებრივია, რომ პიესაში „ვარლაამი და იოსაფატი“ წამოკრილია რელიგიურ-ფილოსოფიური საკითხებიც, რომლებსაც მწერალი განსჯის ჰუმანისტური, დემოკრატიული პოზიციიდან. მას გულთან ახლოს მიაქვს უბრალო ხალხის გრძნობები, რწმენა, რომელიც სტიქიურ-მატერიალისტურ აღქმას ემყარება და რომლისთვისაც უცხოა თეოლოგიური აბსტრაქციები. კალდერონისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროთი იფარგლება, ლოპე დე ვეგა აადამიანურებს რელიგიურ სიმბოლოებს.

ბიბლიურ თქმულებათა გმირები, წმინდანები და თვით იესოც, მისი ინტერპრეტაციით, რეალური პიროვნებებია და უახლოვდებიან ხალხური თქმულებების გმირებს. ლოპე დე ვეგასა და კალდერონის მხატვრულ პოზიციათა ეს პრინციპული სხვაობა ასე განსაზღვრა თანამედროვე ესპანელმა პოეტმა და დრამატურგმა ფედერიკო გარსია ლორკამ: „კალდერონთან სიმბოლო სიმბოლოდვე რჩება... ლოპემ სიმბოლოებს ხორცი შეასხა და თვით ყველაზე ღვთაებრივ სიყვარულსაც ადამიანურობა მიანიჭა“. ასეთი კონტრასტული მსოფთვეგრძნებები საერთოდ ნიშნულია ბაროკოსათვის.

ბალავარიანის თემამ კალდერონი მიიზიდა სწორედ ფსიქოლოგიური, სულიერი ეფექტის აქცენტირებით. „ცხოვრება სიზმარია“, ისევე როგორც „სიბრძნე ბალავარისი“, ადამიანის სულიერ ისტორიას ასახავს ქრისტოლოგიური იდეოლოგიის პოზიციიდან. ამ ორი ძეგლის შედარება გვარწმუნებს, რომ კალდერონის დრამაში თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბალავარიანის რელიგიურ-ეთიკურ იდეათა კომპლექსი, რაც იმას მოწმობს, რომ კალდერონი ამ რომანს იცნობდა უშუალოდ ლათინური თარგმანიდან. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ესპანური ლიტერატურის საბჭოთა მკვლევარს ნ. ბალაშოვს, რომელიც უარყოფს ბალავარიანის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ესპანური ბაროკოს ამ უნატიფესი ქმნილების სპეციფიკურ თავისებურებათა შესწავლისათვის. კალდერონის ტრაგედიას იგი სლავურ თემაზე დაწერილ დრამათა ციკლს მიაკუთვნებს და მიაჩნია, რომ აღნიშნულ ციკლში ამ ნაწარმოების ადგილის გარკვევა მეტ შუქს მოჰფენდა ბაროკოს პრობლემებს, ვიდრე მისი შეპირისპირება აღმოსავლურ თქმულებებთან, „რომლებსაც ეყრდნობა სიუჟეტის ძირითადი ქარგა“.¹

„აღმოსავლური ქარგა“ იმთავითვე იქცევა

¹ Н. И. Балашов, славянская тематика у Кальдерона и проблема Ренессанс-Барокко в испанской литературе. Известия Академии наук. Серия литературы и языка. Том XXVI, выпуск I, 1967, с. 234.

კალდერონის თაყვანისმცემელია უერადღებსა. ჯერ კიდევ 1900 წელს ე. ბალმონტიმა „წმინდა პატრიკის განსაწმენდელის“ რუსულ თარგმანს დაუბრუნა წერილი, სადაც კალდერონს ადარებს შექსპირს და შენიშნავს, რომ კალდერონი ასევე აღუძრავს მას ასოციაციებს ინდურ სიმბოლოსთან, „უპანიშადებთან“, პოლონეთის პრინცი სეხისმუნდო ე. ბალმონტისათვის მხატვრული სიმბოლოა ადამიანისა, „რომელიც აღსავსეა ვნებებითა და მძაფრი სულიერი წინააღმდეგობებით და თავს იმშვიდებს ფილოსოფიური ფორმულით „ცხოვრება სიზმარია“.

ძალზე საგულისხმოა ე. ბალმონტის მიერ კალდერონსა და იბსენს შორის გავლებული პარალელი. ამ ორ მოაზროვნეს სჩვევია ხელოვნებისა და ეთიკის სამყაროთა მკვეთრი დაპირისპირება. მაგრამ ანალოგიურ მომენტებში იბსენი სავსებით მიწიერი რჩება, კალდერონს კი „კონფლიქტი გადააქვს მსოფლიო ასპარეზზე, სამყაროს ყოფიერების გრანდიოზულ ჩარჩოში და ადამიანურ ვნებათა დრამას იქცევს რელიგიურ-ფილოსოფიურ მისტერიად, რომელიც აღსავსეა სამხრეთის დღესავეით ნათელი სიმბოლიზაციით“. პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კალდერონის ეთიკურ ძიებებს, განსაკუთრებით კი ეთიკურ პრობლემათა გადაჭრის უჩვეულო მანერას. ე. ბალმონტის აზრი ზუსტად ეხმიანება კალდერონისა ფრიდრიქ ფონ შლეგელისულ შეფასებას, რომელსაც ხშირად იმორჩილებენ ევროპის ლიტერატურათმცოდნენი (კელი, ტრენჩი): „ამ დღოებრივმა მხატვარმა ცხოვრების საიდუმლოება კი არ დახატა მხოლოდ, არამედ კიდევაც გამოიცნო“. ფრიდრიქ შლეგელის თანახმად, შექსპირმა ცხოვრების საკითხი წამოჭრა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, კალდერონმა კი შესძლო მისი გადაჭრა. ეს ზოგადი დაკვირვებანი დღესაც ძვირფასია შთამომავლობისათვის.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში საგრძნობლად დაზუსტდა კალდერონის პოეტურ სიმბოლოთა მნიშვნელობა. შეიცვალა „სიზმრის ფილოსოფიური ფორმულის“ განმარტებაც. როგორც ნ. ბალაზოვი მიუთითებს, „სიზმარში“ კალდერონი გულისხმობს ცოდვილი სულის მდგომარეობას ქრისტეს მოვლინებამდე.

მიწიერი ცხოვრების სრულფასოვნებაში დაექვეება, რაც პაგიოგრაფიული ტრადიციის თანახმად, რწმენის წინა საფეხურია, ბალავარიანის გმირის იოდასაფისა და კალდერონის გმირის სეხისმუნდოს სულიერი ამადლებით გვირგვინდება: „პრქუა იოდასაფ: უკუეთუ ცხოვრება იგი პირველი არა შეგირაყბია ცხოვრებად, თანა-გაც, რათა სიკუდილიცა იგი მომა-

ვალი არა შეპრაყხო სიკუდილიად და არცა ბოროტად გიჩნდეს“.¹

იმგვარად, სეხისმუნდო ინდოეთის მეფის ვაჟის — იოდასაფის პრეტორტეპიკი, მაგრამ ამავე დროს ბალავარიანის სხვა პერსონაჟების სულიერი ნიშნების მატარებელიც არის და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ბალავარიანის გვირგვინი ეს სახე სიმბოლოურია. სეხისმუნდოს ფილოსოფიური კრედა „ცხოვრება სიზმარია“ ზუსტი შესატყვისია ქართულ სასულიერო რომანში ჩაქსოვილი იდეისა: „ესე არს ხატი სოფლისა ამის არა-არსისაჲ“. სეხისმუნდოს სულიერი დრამის პროლოგივით უღერს ბალავარიანის ერთ-ერთი პერსონაჟის, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ლტოლვილი ინდოელი დიდებულის აღსარება მეფის წინაშე. ხელმწიფე თავის ვასალს მოუწოდებს მორჩილებით თაყვანი სცეს კერპთა. ქვეშევრდომი კი განუმარტავს მას, რომ არ შეუძლია ბოროტება რეალობად იწამოს. „აწ ვსძაგებ, მეფე, შენდამი სოფელსა ამის და განგაკრძალებ მისგან, რამეთუ მოუღის, რომელი მისცის, და შეინანის, რომელი მიანიჭის... ცოდვითა განძარცვს, რომელი შეუმოსიედ.. დაამდაბლის, რომელი აღამალის... დღეს განუმზადის ჭამადი ნოვაგთ-მოყუარესა და ხვალე შესაქმელად მატლთა მისცის იგი... დღეს დაადგის გვრგვნი შემკობილი ქვათაგან პატროსანთა თავსა მისსა და ხვალე დაუცის დაწვ მისი სამარესა შინა, დღეს შეამყვის მანიაკითა ქელი მისი და ხვალე პელ-ბორკილითა რკინისაჲთა დაამდაბლის იგი... და დასხნის უკეთურნი ადგილსა სახიერთასა“.

ამბოხებულ სეხისმუნდოსაც ბოლოს ეს დასცენა გამოაქვს. ერთი დღით გაამედებენ მას, შემდეგ კი ისევ საპრობილეში აბრუნებენ. მეფის კარისკაცი კლოტალდო თვინიერებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ თავის რჩევას იგი მეტად გონივრულად ასაბუთებს: კლოტალდო არწმუნებს სეხისმუნდოს, რომ სიკეთე თვით სიზმარშიც არ კარგავს ძალას.

„სეხისმუნდო
ქეშმარიტია. სჯობს გონს ვეწიოთ, დროზე ავლაგმოთ ჩვენი სიფიცხე. სიამაყეს თუ გადავივიწყებთ, სიზმარი იქნებ კიდევ გვეწვიოს!
ქვეყნის თილისმას რომ შევეჩვიოთ (რაც გიწერია, ისე მოხდება), დღეიდან მტკიცედ გვემახსოვრება: მოლანდებია ყოველი წამი

¹ ნაწევრები მოტანილია ვრცელი ბალავარიანიდან. ბალავარიანის ქართული რედაქციები. თბილისი, 1957 წ.

და სიზმარია ვეველას ცხოვრება.
 სიზმარში მეფე ქვეყანას მართავს,
 განკარგულებას ძუნწად იმეტებს,
 ებლაუტება ფუფე იმედებს,
 ასე ჰგონია, აცხობს სამართალს.
 სიკვდილის ქროლვა მყის გაუფანტავს
 გულზეადობას (ესაა ბედის!),
 ფერფლია ტაბტი, ქარში ნაბეჭეტი...
 აიზმრად თუ მეფობ,
 ცხადში ხარ მონა...
 სიკვდილთან ზიარ გვირგვინის ქონას
 ვინ მოისურვებს, სულელის მეტი?¹

(II, 3)

ჩვენ ქრისტიანული არგუმენტაციის გამარ-
 ჭვებია მოწმე ეხდებით. რადგან კონფლიქტი,
 რომელზედაც აგებულია კალდერონის რელი-
 ჟიური დრამა (ანუ აუტო, როგორც მას ესპა-
 ნელები უწოდებენ) თვით ქრისტიანული სამ-
 ყაროს შიგნით მიმდინარეობს; ბალავარიანში კი
 ქრისტიანულ-წარმართულ კონცეფციათა შეჯა-
 ბებასთან გვაქვს საქმე.

სიუჟეტი დრამისა თავიდან ბოლომდე სიმბო-
 ლურ, ირვალურ წინამძღვრებზეა აგებული. სიუ-
 ჟეტის განუყვანებლობაზე თვით ის ფაქტიც მი-
 გვანიშნებს, რომ წმინდა პირობითობაა მოქ-
 მედების გეოგრაფიულ ადგილად პოლონეთის
 გამოცხადება (სეხისმუნდო ისეთივე პოლონელია,
 როგორც ვეფხისტყაოსანში ტარიელია ინდოე-
 ლი). ორივე ძეგლში გმირის ნების გამოსავლენად
 იღენტური წინაპირობაა შექმნილი. პოლონეთის
 მეფე ბასილიო, ინდოეთის მეფის — აბენესის
 მსგავსად გატაცებულია ასტროლოგიით. მას სჯე-
 რა, რომ მეცნიერების მოხმობით შესაძლებელია
 ცხოვრების მოვლენათა კანონზომიერების წვდო-
 მა და მოულოდნელობათა გათვალისწინებაც.
 საგულისხმობა, რომ გონების პრიმატის უარყო-
 ფა განსაკუთრებით აქცენტირებულია კალდერონ-
 თან. ვით მეფე აბენესი, რომელმაც ვაჟის დაბადე-
 ბასთან დაკავშირებით „შეკრიბა სიმრავლე ვარს-
 კულავთ მრაცხუველთაჲ, რაჲთა იხილოს საქმე
 ყრმისაჲ მის“, პოლონეთის ხელმწიფეც პოროს-
 კოპისაგან მოელის განაჩენს. ორივე შემკვიდრეს
 უჩვეულო ხვედრს უწინასწარმეტყველებენ. ვარ-
 სკვლავთმრიცხველი აბენესს ატყობინებს, რომ
 იოდასაფს კერპთაგან განდგომა უწერია: „დიდე-
 ბაჲ ესე, რომელსა მიემთხუვევის ყრმაჲ ესე, არა
 არს ამის სოფლისა დიდებაჲ, არამედ ესრეთ
 ვჰგონებ, ვითარმედ დიდი წინამძღუარი იყოს
 გზასა მას ჰეშმარიტებისასა“. სეხისმუნდოს მო-
 ბეული უფრო ბუნდოვანია და თან აშკარად სა-

ბედისწერო: პოლონეთის სამეფოსათვის უბე-
 დურების მაუწყებელია სისხლით ბეღებოლი
 მზისა და მიმქრალი მთუარის ორთაბრძოლა, რასაც
 მოჰყვება ლოდების წვიმა და სისხლის მდინა-
 რეები:
 ზიგზიქსიქსიქსი

„და სეხისმუნდო, ვით წყველა ზეტის
 და უფლის რისხვა, თავზე დაგვატყდა,
 სიციცხლის ფასად უღირდა დედას,
 ამ საზიარ მსხვერპლით თითქოს გვაუწყა:
 არ გადავლო მე ადამის წესს
 და გიზღავთ ბოროტს სიკეთისათვის“. (1,2)

ამ წინასწარმეტყველების დრამატული ხასია-
 თი გამძაფრებულია კომიკური ელემენტით. პო-
 როსკოპმა გონებასახვილურად „გააცურა“ ბა-
 სილიო და აებედითი ნიშნები მას პირიქით აუ-
 ხდა: სეხისმუნდო კი არ აღმართავს მამაზე ზელს,
 თვითონ მეფე დაემხოთა თავისი ვაჟის ფერხით.
 მეფე ბასილიო უფლისწულისათვის კომეს ააგე-
 ბინებს ხრიოკი მთის კალთაზე. სეხისმუნდოს
 ყრმობის თანამგზავრია სიმარტოვე, ტყვეობა და
 სიღატაკე. ერთადერთი შუამავალი მასა და ცო-
 ცხალ სამყაროს შორის კლოტალდოა, მამამისის
 ერთგული ვასალი, რომელიც „...ემაწვილს აზი-
 არებდა კათოლიკეთა სარწმუნოებას“.

ველურობა, ანუ სიშმაგე, როგორც გმირის
 სულიერი სტატუსის გამომხატველი ცნება, ქრის-
 ტიანულ კონტექსტში შინაგანი სიწმინდის, ამაღ-
 ლებული განწყობილების ტოლფასია. ვაქცეული
 ქურციკის იგავში ბალავარი პარალელს ავლებს
 ველურ ქურციკსა და ლტოლვილ ქრისტიანებს
 შორის. ბალავარიანში ქრისტიანობის მეორე
 მოუცილებელი ატრიბუტია „მძოვარი“, ანუ ის
 აღამიანი, ვინც ბალახით საზრდობს. სეხისმუნ-
 დოსთან პირველი შეხვედრისას როსაურა უამ-
 ბობს უფლისწულს ერთი ბრძენის შესახებ, რო-
 მელმაც მეორე ბრძენის მიერ გადაგდებული ბა-
 ლახი აიღო და შეჭამა. როსაურას სურს, რომ იმ
 ბრძენის მსგავსად, სეხისმუნდომაც იტვირთოს
 მისი ტანჯვა (სიბრძნე), რომელიც მეტისმეტად
 მძიმეა ქალისათვის. როსაურას და სეხისმუნდოს
 ტანჯვის საზღაურად მიღებული სიბრძნე აკავ-
 შირებს.

„ველურობას“ ბალავარიანში პირდაპირი მნი-
 შვნელობა აქვს და არა სიმბოლური, ვიდრე ეს
 მდგომარეობა იოდასაფისათვის სასიციცხლო მო-
 თხოვნილებად იქცეოდეს, მეფე აბენესი ათასგვარ
 ღონისძიებას მიმართავს, რათა დაარწმუნოს ის
 კერპთა ძლიერებაში: „...და შერმე ბრძანა აღ-
 შენებად ქალაქი თვისაგან ყრმისა მისთვის, და იყო
 ყრმაჲ იგი მუნ შინა... და ამცნო მსახურთა, რაჲ-
 თა არა წარმოიღონ წინაშე მისა ქსენებაჲ სი-
 კუდილისაჲ და საღმობისაჲ, არცა საუკუნოჲსაჲ,
 და არცა სამართლისაჲ და არცა ცოდვისაჲ, და

¹ თარგმანი ეხპანურიდან დადი ინწკირვე-
 ლისა.

არცა სიბერისაა და არცა სიქაბუჯისაა, და არცა სიგლახაყისაა და არცა სიმდიდრისაა... „ფუფუნებით გარშემორტყმული იოდასაფისათვის ტყვეობა კიდევ უფრო სამძიმოა... „ხოლო ყრმაზან მან გულისკმა — ყო იქვთ შეწყუდევაა მისი ქალაქსა მას შინა“.

ბუნებრივია, განსხვავება იოდასაფსა და სეხისმუნდოს შორის არ ამოიწურება ჩვეულებრივი ტიპოლოგიური სხვაობით პავიოგრაფიული ნაწარმოების გმირსა და სიმბოლურ სახეს შორის. იქნება გვეთქვას, რომ სეხისმუნდოს სახე გართულებულია კალდერონის დრამაში სიმბოლურ-რეალისტური პლანების შერწყმის შედეგად? სრულიადაც არა. კალდერონთან არავითარი რეალისტური პლანი არ არსებობს. ესაა წმინდა სიმბოლური ხელოვნება. მართალია, მისი ალეგორიული ნაწარმოებები მდიდარია რენესანსული რემინისცენციებით, მაგრამ ყველა ეს „ლიტერატურული აქსესუარი“ მას სჭირდება, მხოლოდ სიმბოლოთა შესამკობად, თვითონ სიმბოლო კი „სიმბოლოდვე რჩება“, ლორკას თქმისა არ იყოს...

გარდა იმისა, რომ კალდერონს მშვენივრად ხელეწიფება თითქმის ყველა სიმბოლურ სახეში ტრაგიკულისა და კომიკურის პარმონიული შერწყმა, მისი პოეტური სახეები გასაოცარია თავისი სირთულით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სეხისმუნდოს სახის სინთეზური ხასიათი. ნ. ბალაშოვი მეფე ბასილიოში ივანე მრისხანეს პროტოტიპს ხედავს, ხოლო სეხისმუნდოში „ჰამლეტურად განწყობილ“ ფილოსოფოს პრინცს. სეხისმუნდოს მონოლოგს თემაზე „ცხოვრება სიზმარია“, მკვლევარი განიხილავს, როგორც ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნის“ ტოლფას მოდელს ბაროკოს ხანისას. ჩვენ დავუმატებდით, რომ სეხისმუნდო მთელ რიგ სხვა სცენებშიაც იწვევს ასოციაციებს ჰამლეტის რენესანსულ ფიგურასთან. მეორე მოქმედებაში გულგრილი და გამომწყვევი სეხისმუნდო ერთ-ერთ მსახურს აივნიდან ზღვაში გადაუძახებს, მეფის წინაშე კი „სანაძლეოთი“ იმართლებს თავს. ეს სცენა ძალიან წააგავს ჰამლეტის მიერ პოლონიუსის მოკვლის სცენას:

ჰამლეტი

ეს რაა? თავვი?
(მახვილს ამოიღებს და ფარდას მახვილით გახვრეტს)
მოკვდა, მოკვდა, თუნდა ნაძლევისა ვღებ“ (III, 4)

როსაურა-სეხისმუნდოს დიალოგში, ისევე როგორც ჰამლეტ-ოფელიას მთელ რიგ სცენებში უფლისწულთა მიერ უგულუბელყოფილია სამეფო კარის ეთიკა. პოლონიუსის ტახტის მძებნელის,

მოსკოვისი ჰერცოგის — პოლონელის ერთგულბაში პრინცესა ესტოელის დიქციების სცენა (II, 15) ეხმაურება ჰამლეტ-ოფელიას ურთიერთობათა გარკვევის უძრავი კონტრეტის დამრუნების სცენა). როსაურის შინა — კლოტალდო (პოლონიუსი) ცდილობს დაიცვას თავისი ასულის ღირსება და სეხისმუნდოს კვლავ „სიზმრებით“ აშინებს. სეხისმუნდო მას მოკვლით ემუქრება:

„აი ახლა ანდერძს რომ აგიგებ, ცხადსა და სიზმარს უკეთ გაიგებ...“ (II, 12)

კლოტალდოს სახეში შერწყმულია წმინდანი და ჭოჭოხეთის მოციქული, ბალავარი და პოლონიუსი, ღმობიერება და სისასტიკე, სიბრძნე და სიჩლუნგე, თავდაცვის ინსტიქტი და ვასალის თავგანწირულობა. კალდერონის აუტორპირველ მოქმედებაშივე საცნაური კონტრასტბალავარსა და სეხისმუნდოს აღმზრდელს შორის. ბალავარი თუ უცხო ზეიპარს შეიკედლებს, კლოტალდოს დვიძლი შეილის გამოსარჩლება კუშპიძის და მაინც სწორად კლოტალდო კარნახობს სეხისმუნდოს იმ მთავარ მუშაობაში, რომელიც აუტოს მამოძრავებელი იქნება: „სიკეთე თვით სიზმარშიაც არ კარგავს ძალას“ (II, 2.) უზრო სამცხარისა არის, რომ სეხისმუნდო, რომელიც ადრე კლოტალდოს მოკვლას ლამობდა, დიდსულოვნებას, სიუპარულსა და უსაზღვრო მადლიერებას იჩენს აღმზრდელის მიმართ. გასარჯვებული სეხისმუნდო კლოტალდოს არ აცლის მონანიებას:

სეხისმუნდო

აღსდებ, მშობელო,
ვარსკვლავით გზა გამინათე!
უკეთეს მრჩეველს სად ვიპოვი,
ჩემი საბრალო სიყმაწვილის

ერთგულო მცველო. /III, 5/

მაგრამ სეხისმუნდომ იცის, რომ კლოტალდოს ვასალურ ღირსებას არ შეჰფერის სიუბერენის გამოცემა. ამიტომ ნებას რთავს მომავალშიც მეფე ბასილიოს ქვეშევრდომად დარჩეს. წინააღმდეგობრივია როსაურის დანიშნულება. ის, ერთი მხრივ, მსხვერპლია, მეორე მხრივ კი — ქაოსის სიმბოლო. პარადოქსულია არა მხოლოდ ცნებები და ადამიანები, არამედ თვით მოვლენებიც. ამბოხების დროს უაზროდ იღუპება როსაურას მსახური — კლარნეტი, სერვანტესის სანჯოს ორეული, რომელიც თითქოსდა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი უნდა ყოფილიყო დრამის პერსონაჟებს შორის. პარადოქსია ისიც, რომ სეხისმუნდო აპატიმრებს ამბოხის მოთავეს, რომლის წყალობითაც გაშე-

ფლა და სწორედ იმ საპრობილემში გზავნის, საიდანაც თვითონ ეს-ეს არის გამოვიდა. ეს პართლიაა, რელიზმის წინააღმდეგ მიმართული. პოლიფონიურობის მწვერვალია მეფე ბასილიოს სახე, რომელშიც იშვიათი ოსტატობით არის შერწყმული ღვთაებრივი და ადამიანური საწყისი, ზეციური ღმობიერება და შობლის სიმკაცრე, რომელიც შთამომავლობას საკუთარ ცოდვათა მძიმე ტვირთს უწილადებს (მეფე აბენესი). პოლიფონიურობით, პარმონიისკენ მიზანსწრაფული ლტოლვითა და სიერცეში მოვლენათა კოორდინირებით კალდერონი თავისა ეპოქის ღვიძლი შვილი და იოჰან სებასტიან ბახის ღირსეული წინამორბედეა. მეორე მხრივ, მხატვრულ სახეთა ასეთი სირთულე ზოგჯერ დაბრკოლებად იქცევა პოეტის იმ მკვლევართათვის, რომლებიც ისწრაფვიან მთლიანობაში აღიქვან კალდერონის მხატვრულ-ფილოსოფიური სააზროვნო სისტემა.

მაგალითად, ნ. ბალაშოვი დასახელებულ ნაშრომში /გვ. 235/ არ იზიარებს ამ მხატვრული სახის ინტერპრეტაციას, რომელსაც ესპანელი მკვლევარი ა. ვალბუენა პრატი გვთავაზობს. ვალბუენა პრატის აზრით, ამბოხის თემა კალდერონის დრამაში „ცხოვრება სიზმარია“ სხვა არაფერია, თუ არ ადამიანის /სეხისმუნდო/ ამბოხი ლოგოსის /მეფე ბასილიო/ წინააღმდეგ. ნ. ბალაშოვისთვის აღნიშნული კონცეფცია მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგანაც მან ალოგიურად ჩათვალა მონანიებისა და ლოგოსის მხილების ერთმანეთთან გაიგივება. 1969 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში /„კალდერონის რელიგიურ-ფილოსოფიური დრამა და ბაროკოს ღვთაური საფუძვლები ესპანეთში“/ მკვლევარმა ეს იქვე უკუაგდო.

კალდერონი ბასილიოს სახეში მრავალგზის აშკარად მიგვანიშნებს ლოგოსზე. ლოგოსის თემის შემოტანა, რა თქმა უნდა, სეხისმუნდოსაღმის ავტორის თანაგრძნობას არ გამოორიცხავს. ლოგოსის წინააღმდეგ ამბოხი კალდერონის შეხედულებით ჰუმანისტური კულტურის ბუნებრივი და სამართლიანი პროტესტია. ესაა სულის ლტოლვა უკვდავებისაკენ. ამავე დროს უზენაეს სიცოცხლესთან კონფლიქტის დაშვება და ადამიანის პოტენციური სრულყოფილების აღიარება სულაც არ ნიშნავს უფლის ყოვლისშემძლეობაში დაეჭვებას. ეს საკითხი კარდინალურად არის მიჩნეული ესპანური ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევართა მიერ. მისი გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიის თემაზე შექმნილ სხვა შედეგებთან კალდერონის დრამის შეპირისპირების საფუძველზე. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში კი ძნელად თუ მოიპოვება ისეთ მწყობრ და თანმიმდევრულ ქრი-

სტიანულ ფილოსოფიურ სისტემაზე აგებული და ამავე დროს მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოები, როგორცაა ქართული სასულიერო რომანი — „სიბრძნე ბალაშვარისი“ იგი თითქოს თემაა ვარიაციებით: უფლებიერ სონაჟის ფსიქიკაში თავისებურად გამოხატული სინამდვილე ერთადერთ და საყოველთაო ქეშმარიტებას არეკლავს.

რა განაპირობებს ბალავარიანში ადამიანის გამოფხიზლებას, ინერტული მდგომარეობიდან აზრის თავის დაღწევას, ანუ რა არის ის ძირითადი და განმასხვავებელი ადამიანური ნიჭი, რომლის წყალობითაც რჩეულნი ქეშმარიტებას ეზიარებიან?

„წარმავალი ესე, დაღაცათუ რამე ტკბილ არს, არამედ უმჯობეს არს დატევება მისი“, — ეუბნება მეფეს ბალავარი. ის დიდებული კი, რომელიც პირველი ემსხვერპლა მეფის განუსჯელობას, აღიარებს: „ვერვის პელ-ეწიფების გულისკმის — ყოფად ნიჭთა მათ ქრისტესთა წარუვალთა, უკვთოთუ ვისმე არა აქუნდეს ფლობაა ნებასა და გონებასა თვისა ზედა“.

ნების თავისუფლებისაკენ ლტოლვა კალდერონის გმირთა განმასხვავებელი სულიერი ნიშანია. ესაა ინდივიდის გამორჩეული თვისება, საკუთარ სულიერ სამყაროზე შეუფების, საკუთარი შინაგანი პოტენციის ფლობის უნარი. თეოლოგიური გაგებით კი ესაა ადამიანზე გადმოსული სულიწმიდა, რომლის მეოხებითაც ადამიანი უზენაეს მადლს ეზიარება. კალდერონის დრამაში სიყვარული /სულიწმიდა/ უკვე სიზმარს აღარ ეკუთვნის. ესპანურად ამ ცნების გამომხატველია სიტყვა „ალბედრიო“.

ნ. ბალაშოვი კალდერონის მიერ წამოჭრილ სხვადასხვა ჰუმანისტური ასპექტების განხილვისას სრულიად მართებულად მიიჩნევს პოეტის უდიდეს დამსახურებად „თავისუფალი ნების“ /ლიბრე ალბედრიო/ იდეის მხატვრულ აქტივიზაციას. კალდერონის ზოგიერთი აუტოს ძველ რედაქციაში ალბედრიო პერსონიფიცირებული ცნებაც კი ყოფილა. მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია მკვლევარის ის მოსაზრება, თითქოს ალბედრიო, კალდერონის გაგებით, უკავშირდება „სინდისის თავისუფლებას“. „სერვანტესმა, ლოპე დე ვეგამ, ტირსო დე მოლინამ, კალდერონმა ახლებურად გაიაზრეს /თეოლოგიური, დ. ი./ დებულება „თავისუფალი ნების“ შესახებ და დაუახლოვეს ის „სინდისის თავისუფლების“ ანტიკონტრარეფორმაციულ იდეას“ /დასახ. ნაშრომი, გვ. 237/.

როგორც ჩანს, ბუნდოვანებას თავი რომ დავაღწიოთ, აუცილებელია სიტყვა ალბედრიოს სემანტიკური მნიშვნელობის დაზუსტება. ბა-

ლაგარიანში აღიქვართური ცნების გამომხატველი სიტყვა — „ნება“ ჩვენი აზრით გამორიცხავს რაიმე ისეთ ნიუანსს, რომელიც აქტიურ ქმედებაზე მიგვანიშნებს. „ნება“ თითქმის ისევე ხშირად გვხვდება ბალაგარიანში, როგორც „ალბედრიო“ კალდერონთან. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ პასაჟს მოვიტანთ ამ რომანიდან, რომელშიც სიტყვა „ნება“ რამდენჯერმე მეორდება: „...გონებაა და ნებაა მხლომ არიან ურთიერთას და მარადის ბრძოლაა დამკვდრებულ არს შორის მათსა სულსა ზედა, და ნებაა მეგობარ არს სულისა, ხოლო გონებაა მაქირვებელ, რამეთუ ნებაჲმან აიხუნა სულისაგან ყოველნი სიმძიმენი და წინა-უყვნა ყოველნი საწადელნი გულის-სათქუმელნი... სული მიდევნებასა ნებისასა უმოსწრაფე არს, არამედ შეკრებილი საცთურთავე ამათ ნებათაჲ არიან ორნი საქმენი. პირველად ესე, რაჲთა დაიჭიროს თავი თჳსი ყოვლისაგან ურგებთა, ხოლო მეორე ესე, რაჲთა ფრიად გწადოდის და მოსწრაფე იყო მკირედისა მისთვის კეთილისა, რომელ მოიგე; გულის მოდგინედ ეძიებდე, რომელსა ვერ მისწუეთ“. „ნება“, ისევე როგორც სიტყვა „თავისუფლება“ /საკუთარი თავის უფალი, არავის მონა/ საერო ნიუანსსაც მოიცავს და სხვათაგან ეს მნიშვნელობაც აქვს: „აღრჩევა ერთისა რასამე მრავალთა მათგან... სულიერად, რომელთა შორის სისრულე იხილვების სრულიად საღთოსა მოქალაქობისა“ /საბა/.

სერვანტესთან სიტყვა „ალბედრიო“ ადამიანის გაუტეხელობაზე, შეუვალაობაზე, სულის სიმტკიცეზე მიგვანიშნებს და ასოციაციას ალგვიძრავს კანტის მიერ შემოღებულ ცნებასთან „საგანი თავისთავად“. სინდისის ან თუნდაც მოქმედების თავისუფლება იმას სჭირდება, ვინც მოწოდებულია სამოქმედოდ. განა სერვანტესი ასეთი ტრაგიკული ფიგურა იქნებოდა,

მისი გმირი მოქმედებისათვის რომ ყოფილიყო გაჩენილი? ესეც რომ არ იყოს, „სინდისის თავისუფლება“ ზოგჯერ შეიძლება გვესმოდეს, როგორც გაცნობიერებული ცინიზმი.

კალდერონის მიხედვით, ალბედრიო, როგორც რწმენის პოტენცია, წარმართსაც შეიძლება გააჩნდეს. ეს კონცეფცია უაღრესად ჰუმანისტურია. სეხისმუნდო /რომელსაც კლოტალდო საპრობილეშივე განუმარტავდა კათოლიკური სარწმუნოების ანბანს/, საეკლესიო დოგმატურ სამყაროს კი არ ეკუთვნის, არამედ ადამიანის სიმბოლოა საერთოდ. ამ გმირის ტრაგედია ის არის, რომ ცოცხალ არსებათაგან უსრულქმნილესი და ამავე დროს ყველაზე უმწეოა, რადგან უმაღლესი ნება გააჩნია მას, თავისუფლება კი — უმცირესი /პირველი მონოლოგი/. სეხისმუნდოს სულიერი განწყობილება ზუსტად შეესატყვისება იოდასათვის განწყობილებას, რომელიც მდიდრულ სასახლეში ცხოვრობს და მაინც უბედურია: „სული ჩემი სურვიელ არს ყოვლისა მიმართ, რომელი არს გარეშე კართა ამათ ჩემთა, დიდითა წადილითა“.

ორივე გმირი ადამიანთა მოდგმის ცოდვისათვის ისჯება საკუთარ „სულიერ საპრობილეში“ და განწირულია უმოქმედობისათვის: ნება (ალბედრიო) ამოებებს განარიდებს მათ და აიძულებს, რომ „დაიჭიროს თავი თჳსი ყოვლისაგან ურგებთა“. სიბრძნესთან /ქრისტესთან/ ზიარება კი მათ ათავისუფლებს ცოდვისაგან.

„ყოველი ჭეშმარიტებაჲ იესუმს ქრისტეს მიერ მოეცემის კაცსა. რამეთუ ყოველთა კაცთა უწოდა მისა... და რომელთამე არა აქუნდა გონებასა მათსა სიმტკიცე და მოთმინებაჲ, დაიმძიმეს, მოიწყინეს და წარწყმდეს“. ამგვარად ალბედრიო, მარადისობის ეს უქრობი ნაწილაკი, ადამიანს ჭეშმარიტების გზას არ ააცდენს.



აბრ.
ცნ.

მარკ ტვენის რომანის „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ქართული
თარგმანი

დიდი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის რომანი „ტომ სოიერი“ „ქექლებერი ფინთან“ ერთად მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. ამ ნაწარმოებმა გამოსვლისთანავე უჩვეულო აღიარება მოიპოვა, ჟამრავ ენაზე ითარგმნა და თითქმის ყველა ხალხის სამაგიდო წიგნი გახდა. ეს იმიტომ, რომ მწერალმა მახვილგონივრულად მოიხელთა და უბრალოდ, ქეშმარიტი ოსტატის ხელით დაგვიხატა ყველა მოზარდისათვის საერთო, მარადიული ოცნება, ფიქრი, წუხილი თუ სიხარული. წიგნი უმღერის თავისუფლებას, მეგობრობას, სიმამაცესა და გულუხვობას, ამავე დროს მკაცრად გმობს ვერაგობას, ძალმომრეობას, სიმხდალესა თუ გულგრილობას. და აი, უკვე ას წელზე მეტია, ტომი, ჰეკი და მათი მეგობრები მტკიცედ, ხალისიანად, გაბედულად დააბიჯებენ დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში და სულ ახალი და ახალი მკადუვალის შეუღწეველ მღვიმეებს იპყრობენ.

ეს სახელოვანი გმირები ქართულ მწერლობაში პირველად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ყიფშიძემ შემოიყვანა. იმის მერე დიდი ხანი გავიდა და წიგნი ბევრჯერაც გამოიცა. ამ თარგმანმა თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია ქართველ მკითხველს, მაგრამ ახლა უკვე დღევანდელ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. აქამდე თარგმანი რამდენჯერმე შეუჭრებიათ და შეუსწორებიათ, მაგრამ სხვადასხვა გამოცემების დედანთან გულდასმით შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეს მცდელობანი სრულიად არაადაამაკმაყოფილებელი ყოფილა. თავიდან ბოლომდე დარღვეულია დედნის ბუნებრივი მდინარება. გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, წინადადებები მოჭრილია უცხოურ თარგზე და გადატვირთულია სახელმწიფო ფორმებით, ამის გამო მოუქნელი და გაქვავებულია, არაიშვიათად გაუგებარიც და ძნელად იკითხება. ხშირად სიტყვები არადანიშნულებისამებრ გამოიყენება, წარამარა ირღვევა დროთა შეთანხმე-

ბა, მართლწერა და სხვა. დედნისეული XVI თავი სრულიად უსაფუძვლოდ გაყოფილია ორად. ამრიგად, თარგმანში 35 თავის ნაცვლად 36 თავი მივიღეთ. ამის შემდეგ ყველა თავმა წინ გადაინაცვლა და დედნის შესაბამის თავს აღარ შეესატყვისება. ასე თვითნებურად თუ მოვექცევით ნაწარმოებს, შესაძლოა ყველა თავი გავყოთ ორად კი არა, მეტადაც და რამდენიც მოგვესურვება, იმდენი თავი მივიღოთ. რომელიმე თავის გაყოფის საჭიროება არ არსებულა და არც არსებობს. ხშირად აბზაცი უადგილოდაა გამოყოფილი ისევე, როგორც უადგილოდაა შეერთებული რამდენიმე აბზაცი. ასევე უსაფუძვლოდ იყოფა ან ერთიანდება წინადადებებიც.

ქართულ თარგმანში გამოტოვებულია ავტორის წინასიტყვაობა; გამოტოვებულია ყველა ქვესათაური, სულ 35; გამოტოვებულია ძირითადი ტექსტის არაერთი ადგილი. ესეც მოწმობს იმას, რომ დიდი გულისყურით არავინ მოჰკიდებია „ტომ სოიერის“ „შესწორება-შეესებას“, თარგმნას, რედაქტირებასა და გამოცემას.

ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს სამაგიდო წიგნების მიმართ მაინც.

ჩვენი ნათქვამი რომ ნათქვამად არ დარჩეს, მოვეუხმით მაგალითებს. რადგანაც თითოეულ წინადადებაში რამდენიმე უზუსტობა იყრის თავს და ყველაზე მსჯელობა ისედაც მოზრდილ რეცენზიას საგრძნობლად გაზრდის, შევევებით მოყვანილი წინადადებების ზოგიერთ უზუსტობას, დანარჩენს კი მკითხველი თვითონვე შეამჩნევს.

„მხიარული ნადიმის შემდეგ ბავშვები წამოწვენ დასასვენებლად და სამასლაათოდ ტოტებგამლილი მუხის ხეების ჩრდილქვეშ“. გვ. 168.

მეტად მძიმეა, აზრიც დამახინჯებულია. დედნის მიხედვითაც „მხიარული“ ნადიმს სულაც არ უნდოდა „მხიარულის“ გაგებას ნადიმი თავისთავადაც შეიცავს. რისთვის მართკ ბავშვები, პატარებს დიდებიც ხომ ახლდნენ, ბავშვები

წამოწვენენ და უფროსები თავზე დაადგნენ.
„მუხის ხეები“ კი არა, მუხები. აბა, სცადეთ და
წამოწექით „ჩრდილქვეშ სამასლაათოდ“.

„After the feast there was a refreshing sea-
son of rest and chat in the shade of sprea-
ding oaks“. p. 194.

ნადიმის (სუფრის, პურობის...) შემდეგ ტო-
ტებგაშლილი მუხების ჩრდილში დასვენებისა
და საუბრის ეამი დადგაო, ანდა, ნადიმის (სუფ-
რის, პურობის...) შემდეგ ტოტებგაშლილი მუ-
ხების ჩრდილში დაისვენეს და საუბარი გააბე-
სო*. შეიძლება სხვაგვარადაც.

„ადგილზე მივიდნენ გაწითლებულნი, დალ-
ლილნი, დიდი თელის ჩრდილქვეშ წამოწვენენ
დასასვენებლად და თუთუნის მოსაწევად“.
გვ. 147.

საკმაოდ გაუმართავია და ნაწილობრივ უაზ-
როც არის. თარგმანში „hot“ ყოველ-
თვის „წითელს“ ნიშნავს. „ჩრდილქვეშ წამოწო-
ლა“, მაშასადამე, შეგნებულად იხმარება.
„ჩრდილქვეშ“ თუმცა ძალზე იშვიათად, მაინც
გვხვდება წერილობით წყაროებში, გამოიყენება
სასაუბრო მეტყველებებში, გვიმოწმებს „განმარ-
ტებითი ლექსიკონიც“. მიუხედავად ამისა, იგი
ზუსტ ფორმად ვერ ჩაითვლება.

„They arrived hot and panting, and threw
themselves down in the shade of a neighbo-
ring elm to rest and have a smoke“. p. 173.

დედანში, როგორც ეტყობა, არაა „ადგილ-
ზე“, „დიდი“, „გაწითლებულნი“, სიტყვასიტყვით
დედნის აზრი ისე იქნება: აღელვებული (აგზნე-
ბული, გახურებული) და აქოშინებული (ბავ-
შეები) მოვიდნენ და მახლობელი (მეზობელი)
თელის ჩრდილში დაეყარნენ, რომ დაესვენათ
და თუთუნი მოეწიათ.

„როცა ტომი თავის საწოლ ოთახში გადაძ-
ვრა, განთიადი თითქმის ამოტანებული იყო.“
გვ. 73.

ამ წინადადებაშიც, ჩვეულებრივ, საგრძნობი
უზუსტობაა.

„When Tom crept in at his bedroom win-
dow, the night was almost spent“. p. 97.

როგორც ჩანს, ტომი „საწოლ ოთახში“ ფან-
ჯრიდან გადამძვრალა. ავტორი გვეუბნება „გან-
თიადი“ კი არა, ღამე თითქმის გალექული იყო.
მერედა, ამოტანებული ნიშნავს ქვეშ ამოგე-
ბულს, მოტანიებულს. როგორ მიესადაგება ეს
განთიადს?

„თავქვე დაეშვა ბურთივით, სანამ უელსე-
ლის სახლამდე მიაღწევდა“. გვ. 173.

უწინარეს ყოვლისა, კითხვა გებადებათ, აქვს

* ჩვენ ყველგან ვიძლევიტ მხოლოდ პწკა-
რელს.

თუ არა ავტორს ასეთი შედგობა. ჩაიხედეთ
დედანში, იქ მსგავსი ახატვიოა.

„Down, down he speed, till he reached
the Welshman's“. p. 199.

პეკი სულ ქავეითი ქავეითი ქავეითი ფოლა..

„მოხუცმა ცხვირზე ჩამოიწია სათვალე და
სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთა-
ხი, მერე უშბლზე აიწია და ახლა სათვალის
ქვემოდან მიიხედ-მოიხედა“. გვ. 3.

ამ წინადადებაში „სათვალე“ სამჯერაა ნახმა-
რი, მომდევნო წინადადებაში კიდევ-ორჯერ.
ეტყობა, მთარგმნელი ნაცვალსახელებს შორი-
დება, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ჩაეარ-
დნილა. სჯობდა ერთგან სულ არ ეხმარა, მე-
ორეგან კი ისეე ნაცვალსახელი მოეშველიებინა.
თუ დედანში არ ჩავიხედეთ, დასაწყისიდან რამ-
დენიმე აბზაცამდე ვერ გავიგებთ, „მოხუცი“
ქალია თუ კაცი. სამწუხაროდ, ქართულს სქესი
არ გააჩნია, მაგრამ გვაქვს გარკვეული საშუალე-
ბები, რომ გაუგებრობა ავიცილოთ. „მოხუცის“
ნაცვლად შეიძლება „დედაბერი“ გვეხმარა.

„The old lady pulled her spectacles down
and looked over them about the room;
then she put them up and looked out under
them“. p. 27.

როგორც ვხედავთ, შესაბამისი დედანი უფრო
მსუბუქია და სადა.

„იქიდან დანახვა ისევე შეიძლებაოდა, რო-
გორც ქოთნის სარქველიდან.“ იქვე.

ნაძალადევი კონსტრუქციაა. ამისთანავე, და-
კარგულია დედნის მეტაფორული აზრი. დე-
დანი გვეუბნება.

„She could have seen through a pair of
stove-lids as well“. p. 27.

ავტორი სათვალის წყვილ ჩარჩოს ქოთნის
სარქველს კი არ ადარებს, არამედ ფილაქურის
წყვილ სარქველს (a pair of stove-lids).
ასეთი სარქველები, გარდა ერთისა, რგოლებს
მოგვაგონებს, ამჯერად სათვალის წყვილ ჩარ-
ჩოს; ფილაქურის სარქველები ერთმანეთში იდ-
გმება, შესაძლოა სამი, ოთხი ზოგჯერ მეტიც.

ფრაზას, „იქიდან დანახვა ისევე შეიძლებაო-
და,“ სახელმწიფრი ფორმა ამძიმებს და მოუქ-
ნელს ხდის.

„—ტომ, ჩვენ შეგვიძლია ფანჯრიდან მოუეს-
ვათ, თუ თოქს ვიშოვით; ფანჯარა არც ისე მა-
ლალია.

— რა სისულელეა, რად უნდა წავიდეთ?“
გვ. 203.

დედნის მოუშველებლიადაც თვალში საცე-
მია დიალოგის არაბუნებრიობა და უაზრობა.

„Tom, we can slope, if we can find a rope;
the window ain't high from the ground“.

„Shucks, what do we want to slope for“.

p. 231.

ჭერ ერთი, არც „წავიდეთ“ და არც „მოვუსვათ“ დედნის აზრი არ ყოფილა. დედნის აზრია გავიპაროთო (slope), აქ ამ გაგებას ვერც ერთი სხვა სიტყვა ვერ შეცვლის და არც საჭიროა. მეორეც, slope ორივე შესიტყვებაში განმეორებაა და ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულით უნდა გადმოიცეს, „წავიდეთ“ იქნება ეს, „მოვუსვათ“, „გავიპაროთ“ თუ სხვა.

აბა, რა საჭიროა ორჯერ რომ ვიხმარეთ „ფანჯარა“, ანდა წერტილის ნაცვლად წერტილმძიმე რომ ჩავსვით.

დედნში ლაპარაკია, რა მანძილია ფეხის დასაწვედენიდან ანუ მიწიდან (from the ground) ფანჯარამდე (to the window) და არა იმაზე, „ფანჯარა მაღალია“ თუ დაბალი. ამიტომ ფრაზა უაზრო გამოვიდა.

„რა სისულელეა“ კი არა, მოკლედ: სისულელეა. „რა“ ანელებს საუბრის კილოს. საჭიროა მხოლოდ ყურადღება და ყველაფერი უბრალოდ წყდება: თოკს თუ ვიშოვით, შესაძლოა გავიპაროთო. ფანჯარა არც ისე მაღალზეაო (ფანჯრიდან მიწამდე დიდი მანძილი არააო).

„მე ჭერ გუშინაც მინდოდა თავი დამელწია, მაგრამ აბა როგორ მოხერხდებოდა შეუმჩნეველად გაპარვა“, გვ. 156.

საკმაოდ ბუნდოვანი წინადადებაა. სამწუხაროდ, ასეთი ადგილები თარგმანში უხვადია. არა თუ ამ ფრაზით, აქამდე და ამის შემდგომი ტექსტის მოშველიებითაც ვერ გაირკვევა, აქ რას ამბობს ინდიელი ჯო. ახლა მოვეუხმით დედანს.

„I want to quit this Shanty. I wanted to yesterday, only it warn't any use trying to stir out of here“. p. 181.

ესე იგი, ინდიელს „უნდა ქოხი დატოვოს“ (ქოხს გაშორდეს), გუშინვე სდომებია ეს, მაგრამ არც კი უცდია, რომ აქედან წასულიყო. ინდიელი ჯო შენიღბული დადის და გაპარვა, მგონი, უკვე აღარაფერ შუაშია.

„ბრალდებულმა დამცველს თვალბში შეხედა, მაგრამ მყის ისევ დახარა, როცა მისმა დამცველმა თქვა:“ გვ. 140.


უაზრო, გაუმართავი წინადადებაა. ენახოთ, რას გვეუბნება დედანი.

„The prisoner raised his eyes for a moment, but dropped the'n again, when his own counsel said:“ p. 167.

თურმე „ბრალდებულს დამცველისთვის თვალბში“ სულაც არ შეუხედავს, წამით თავი აუწევია და, ვეჭილის ნათქვამი რომ მოუსმენია, მაშინვე დაუხრია. ამის გაუთვალისწინებლობამ აქვე მეორე „დამცველის“ შემოტანაც

მოითხოვია. ამან კი ფრაზას ბუნებრივი ელფერი დაუკარგა.

„დობინსმა... თითქოს არ იცოდა, ამოელოთუ არა.“

ფრაზა ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია. დავაზუსტოთ დედნის მიხედვით: 

„But seemed undecided whether to take or leave it“. p. 153.

მაშასადამე, „არ იცოდა“ კი არა, სცოდნია, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. ამით შუა კი ძალზე დიდი ზღვარია.

„ტანზე აკრავდა მდოგვწასმულ 76-79 ქალაღს. გეგონებათ, რამე ჭურჭელიაო, ყოველდღე ასხამდა აუარება სხვადასხვა წამალს“. გვ. 80.

„აკრავდა“ კი არა, ადებდა. აკრავენ შვალერს, აფიშას და სხვა. „მდოგვწასმული“ (mustard) უუფლებოდ შემოტანილია. დედანშია „blister-plasters“ — ბებერებისთვის, წყლულოვანებისთვის განკუთვნილი საფენები. დანარჩენი სცადეთ, იქნებ გაარკვიოთ, რას ნიშნავს „76-79 ქალაღი“, ზომას თუ რაოდენობას. ან, საერთოდ, რა არის ეს; ჭურჭელში ასხამენ ამ წამალს თუ ჭურჭლიდან სხვა რაიმეში. ამასთანავე, დედანში არც „ჭურჭელია“. ჭურჭელია ყოველგვარი სათავსი, რაშიც რაიმეს ვყრით ან ვასხამთ. დედანში გარკვევით არის „jug“ კოკა, დოქი.

„ბრბომ გაიწია!“ გვ. 76.

საით გაიწია ბრბომ?

„The crowd fell apart, now“. p. 100.

ესე იგი, ბრბოს გაუწ-გამოუწევია, რომ გზა დაეთმო შერიფისთვის.

„პოტერი დამშვიდებული მოვიდა თავისი ნამოქმედარის სანახავად“. გვ. 76.

მკითხველს ეჭვი ეპარება, რომ პოტერი „დამშვიდებული“ ვერ მოვიდოდა სასაფლაოზე და დედანს მიმართავს:

„Poter wanted to come and take a quiet look at his work“. p. 100.

შერე კი ირკვევა, რომ პოტერს „სდომებია, მოსულიყო და ჩუმიდ ენახა თავისი ნაქნარი“.

„ამ ბუმბულივით მსუბუქმა ტვირთმა მოლუნა სპილოს ზურგი“. გვ. 85.

რისი თქმაც იყო საჭირო, საკმაოდ ბუნდოვანი გამოვიდა. დედანი სხვას ამბობს.

„This final feather broke the camel's back“. p. 74.

ეს არის აგტორის მიერ ოდნავ სახეშეცვლილი ანდაზა: „it is the last straw that breaks the camel's back“. და ნიშნავს, რომ გალიციციებულ ფიალის წვეთიც რომ მიემატოს, გადმოიღვრება; სასწორის პინას სულ მცირეც დასძლევს და ასე შემდეგ.

უფრო გასაგები იქნებოდა და დამაკმაყოფილებელიც, თუნდაც სიტყვასიტყვით გადმოგვეტანა და თავისივე სახე მიგვეცა: უკანასკნელმა ჩალიდერომ აქლემს ხერხემალი გაუტეხაო. ტომს ხომ უკვე მოთმინების ფილა აევსო.

„ტომი გამოვიდა სახლიდან. ხელში ეჭირა წყალში გახსნილი კირით სავსე ვედრო.“ გვ. 10.
ფრაზა გაყოფილია ორად, ვერ გადმოგვეცემს შესაბამისი დედნის აზრს, სტილისტურად გაუმართავია და მძიმედ იკითხება. დედანი გვეუბნება:

•Tom appeared on the sidewalk with a bucket of whitewash. p. 35.

მაშასადამე ტომი „სახლიდან“ კი არ „გამოსულა“, გამოჩენილა საცალფეხო გზაზე (ბილიკზე, ტროტუარზე, ქვაფენილზე), ე. ი. ეზოს გარეთ. მესერს იგი აქედან შეათვალაფერებს და მერე ათეთრებს. თარგმანის მიხედვით გაუგებარია, სად დგას ტომი, მესერის გარეთ (საცალფეხოზე) თუ მესერის შიგნით (ეზოში). ამ გაუგებრობამ მხატვარიც დააბნია. მან ტომი ეზოში დააყენა და აქედან შესცქერის მესერს.

რა ვიცი, რომ „ვედრო სავსეა“, დედანი ხომ არაფერს ამბობს ამაზე; „bucket“-ის შესატყვისი ქართულში სათლიც გვიქვს. თუმცა ქართული არც ერთია და არც მეორე, მაგრამ სათლი გაცილებით აღრეა დამკვიდრებული და უფრო მიზანშეწონილი ჩანს ეს ვიხმაროთ.

„ღიახ, სწორედ აქ მოხდა.“ გვ. 110.
•It was right here. p. 136.

რა იყო ისეთი? არაფერი. ტომი გაიბუტა, სკოლიდან გამოვიდა და წავიდა. ცოტა ხნის მერე ბეკი გამოედევნა, ეზოში რომ არ დახვდა, ძახილი დაუწყო იმ ადგილიდან, სადაც ამაჯერად იდგა და მაშინდელ ამბავს იგონებდა.

სწორედ აქ იყო (ან ვიყავი, ვიდეკი, გავძახობდი...), „ღიახ“ ზედმეტია. „მოხდა“ თარგმანში მსგავსი შენაცვლებით სხვაგანაც გვხვდება ხოლმე.

„ამოაცოცა პატარა ყუთი“. გვ. 51.
•Percussion box came out. p. 74.

ბავშვმა ჭიბიდან ამოიღო საფალიე კოლოფი და არა „პატარა ყუთი“. ყუთი როგორი ეპითეტითაც გნებავთ შეამკოთ, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ჭიბეში მოთავსდებოდა.

„ვაშლსა ჭამდა“, (თარგმანი ვრ. ყიფშიძისა, გვ. 17.)

„ვაშლს ილუქებოდა“ (შესწორებული, გვ. 15.)

„ვაშლს ლექავდა“ (munched his apple. p. 39.)

„ილუქებოდა“-ს, ცხადია, ისევე „ჭამდა“ სჯობდა დედანი კი მაინც დედანია.

„დაუწყო ჩხრეკა მკვდარს დაუცარიელა ჭიბეები,“ გვ. 67.

•then he robbed the body. p. 90.

იქნებ სულ გახდა და შიშველი დატოვა!
„— დღეს სკოლაში ძალიან ცხელია, ტომი — არა, დეიდა.

— იქნებ ძალიან ცხელია?
— დიახ, დეიდა.“ გვ. 5.

დილოგი, სანამ დედანს შევუდარებდეთ, მანამდე, შესაძლოა, ბუნებრივადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ რომ შევუდარებთ, არაბუნებრიობა და, გნებავთ, ხელოვნურობაც აშკარად გამოჩნდება.

•Tom, it was middling warm in school, warn't it?

Yes, m.
Powerful warm, warn't it?

Yes, m. p. 29.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთ ნიუანსს მივაქცევთ ყურადღებას. დანარჩენი მეტისმეტად ცხადია და ვფიქრობთ, რაიმე კომენტარს აღარ საჭიროებს.

ტომის მიგების ფორმა ინგლის-ამერიკაში ქალისაღმი მოკრძალებული მიმართვის „madam“-ის თავი და ბოლო ასობგერა „m“-თია გამოხატული. ეს დილოგს აქაც და სხვა ადგილასაც სადა, ბუნებრივ ელფერს აძლევს. თარგმანში აღნიშნული ნიუანსი დაიკარგა. ამიტომაც შესიტყვების დამყოლი, სასაუბრო კილო არაბუნებრივი გახდა. მისი შენარჩუნება კი არავითარ სიძნელეს არ ქმნიდა.

— „ვაი, მეშინია, ტომ“,... გვ. 12.
oh, I dasn't, mars, Tom. p. 36.

— „არ შემიძლია, ტომ!“
•Can't, mars, Tom.

„mars“ (მასა) — დამახინჯებული ინგლისური სახელი „master“ — ბატონიშვილია. ასე მიმართავენ მსახურები ბატონიშვილებს. ეს ნიუანსი თარგმანში ყველგან გამოტოვებულია.

შორისდებულები (oh, umph...) თითქმის არ ითარგმნება. რის გამოც ზარალდება თარგმანი.

— „გამუშავებენ, ძამია?“ იქვე.

საკმაოდ დაშორებია დედანს და კონტექსტში უხერხულად მოქცეულა.

•Hellow, old chap, you got te work, hey? p. 38.

გამარჯობა, ძმობილო (არიფო...), გამუშავებენ, ხომ? (ჰა!)

თარგმანში საკმაოდ გვხვდება ზმნის არასწორი ფორმები. პირის ნიშანი ზოგს აკლია, ზოგსაც ზედმეტი აქვს: შესძლებდა, გადმოსცალეს, მოსთვლის, მიყრდნობოდა, კარგავდა, დაყრდნობოდა, მოფიქრებია, სდუმდა, შეცოლდა, შევვი-

რეს, ჩაქცეოდა, გასწირავს, ჩასთვლიდა, ჩაქლა, მობეზრდათ, დასდო (პირობა), გამოდიოდა (სისხლი), სტოვებს, გაფუჭებია, გათეთრებოდა, შეცოდებოდა, გამოსცადოს, შესძლეს, გაქცეოდა, ჩაბლაუჭებოდა, გადაწყვიტეს, ამოდგომოდნენ (ერთმანეთს მხარში), ძვრებოდა (სული), ჩათვლია, თვლემდა, გამობერვოდა, წყდებოდათ (გული) დაბმოდა (ენა), აბზეკოდა, გამოჰყოფდა, გაჰხედა, შეჭდომოდა და სხვა.

ხშირად ესა თუ ის სიტყვა ან ნაწილაკი ნახმარია სხვა სიტყვის ან ნაწილაკის ადგილზე, მაგალითად, „გამიგონია“-ს ნაცვლად გვხვდება „გამიგია“, „ალარ-ს“ ნაცვლად „არ“ და ასე შემდეგ.

1. — „ჩვენების ხმა არ გამიგია, — ჟთხრა ბეკიმ“. გვ. 83.

„Since I heard“. p. 211.

2. „ჰო ასე გამიგია ხშირად“. გვ. 150.

„Yes, they do. I've always heard that“. p. 176.

3. — „არასოდეს არ გამიგია ამის შესახებ“. გვ. 76.

„It is so nice. I never heard of it before“. p. 76.

ამ ფრაზებს სხვა არსებითი ნაკლოვანებებიც ახლავთ. მართალია „გამიგიას“ აქვს „გამიგონიას“ შორეული გაგება, ზოგჯერ ასე გვხვდება ჩვენი კლასიკოსების ნაწარმოებებშიც, მაგრამ ეს თრი სიტყვა სემანტიკურად საკმაოდ გამიჯნულია და, ჩვენი აზრით, ერთმანეთის ადგილზე, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, ვერ გამოდგება. თარგმანში მისი ხმარების უადგილობა საგრძნობია.

„მაგრამ არავითარი ხმა არ ისმოდა“.

აქ „არ“-ს მაგივრად გვქირდებოდა „ალარ“, ზემოთ ხმა რამდენჯერმე მოისმა, შემდეგ კი მიწყდა.

„ჰეკმა მიიყვანა ბილიამდე, იმის იქით კი არ წაპყვა“.

„ყველამ დაივიწყა, შეგობრები არ ჰყავდა“ (აქამდე შეგობრების მეტი რა ჰყავდა)

„გამიგონე, ჰეკ, ეგ რა გაქვს“.

„გამიგონე, ჰეკ, რაშია გამოსადეგი მკვდარი კატა“.

— გამიგონე, ჰეკ, ახლა აქ რომ ვიპოვნოთ განძეული, შენს ნახევარს რას უზამ? გვ. 147.

„გამიგონე“, დასახელებულ ფრაზებში აშკარად უცხოა და შეუჭერებელი. აქვე მოგვყავს ბოლო წინადადების ფარდი ინგლისური.

„Say Huck, if we find a treasure here, what you going to do with your share?“. p. 174.

„გამიგონე“ ნიშნავს: შეისმინე, დამიჯერე, ამისრულე. ჩვენთვის ამ სიტყვის სხვა გაგება ცნობილი არ არის. მისი დედნისეული შესატყვისი Say, I say — ამერიკული სასაუბრო და სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ქართულში მას ზევით შესატყვისი მოეპოვება: მითხარი, მისმინე, რას ამბობ, ნუთუ, ჰოდა, ერიპაა და სხვა. მთარგმნელმა ყოველ ფრაზას თავისი შესატყვისი უნდა შეურჩიოს და მიუსადაგოს. სამწუხაროდ, თარგმანში ეს არ იგრძნობა და როგორც ზემოხსენებულ მაგალითებში, თითქმის ყველგან ასევე შეუფერებლადაა მისადაგებული.

ყოველთვის სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი may, might, can, could — რომ შემედლოს დაქერება, არც კი შეეძლო გახსენება, შესძლეს ჩიბუნის მოწვევა, არ შემეძლო დაკნაფლება, შეგედება გამოსვლა, ვერ შესძლებდა გამოყვანას...

თარგმანში კარბად იხმარება ნაცვალსახელები. ზოგჯერ ეს გამოწვეულია იმით, რომ არ გამოიყენება მათი შემცვლელი ზმნის ქცევის ნიშნები.

ხშირად გვხვდება, აგრეთვე, „სადაგელი ხართ, სადაგელი ბიჭო, შე სადაგელო, სადაგლად მოვიქეცი“ და სხვა. თუ დედანში მათ შესატყვისებს მოფუძებნით, იქ ნაირნაირი სინონიმები აღმოჩნდება: as mean as, hateful, bad, vicious, vulgar, cowardly და სხვა. ცხადია, რომ ამ სიტყვებს ქართულში ბევრი ფარდი მოეპოვება და ერთფეროვნებისგან თავის დაღწევა იოლია.

ასევე ითქმის ზოგ სხვა სიტყვებზეც, მაგალითად: ემასლაათებოდა, სამასლაათოდ, იმასლაათეს, მასლაათი; გულსაკლავი, გული მოუვიდა, გულში უნდა ჩაეკლა, ერთთავად, სულ ერთთავად, (მსგავსად ერთთავად ღრღნიდა) და სხვა.

არაიშვიათია უსწორო მრავლობითებიც: თმები გადაეარცხნილი ჰქონდა, თვალებში სულ ცრემლები აუციმციმდა, ხუჭუჭა თმები, ბევრნი იყვნენ, ცრემლები ღიპალუპით ჩამოსდიოდა...

„პიკნიკი“ ჩვენებურად არიფანია.

მართალია, იმ დროს საზოგადოების ზედაფენა მაღალი ენით მეტყველებდა და აღსაზრდელებსაც ასევე ასწავლიდნენ, მაგრამ, არა გვგონია, დღეს ქართულ თარგმანში ან რუსულში რაიმეთი გამართლებული იყოს, ათიოდეწლის ბავშვები ერთმანეთს ან დეიდას თქვენობით ელაპარაკებოდნენ. უხერხულობა საგრძნობია. იბნევა მოზარდიც.

ინგლისური მეორე პირის მხოლოდით-მრავლობითს ვერ არჩევს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს, სად რომელი ფორმა გამოვიყენოთ. მოგვყავს მაგალითები უშენიშვნებოდ:

„ფირმის დანა იყო და სწორედ ეს იყო მისი აღფრთოვანების მიზეზი“.

რა მასაღისგან იყო იგი შექმნილი, — მეორე ხაზზევე მოსდევს, — იგი იყო კონსტანტინოპოლიდან.

შემდეგ კი ზურგზე დაწვა ფანჯრის ქვეშ.

იქნებ კიდევ გადამხვეოდა დასამშვიდობებლად — (გადამხვევის თუ გადახვეულის?)

ტომი გამხნევებას სთხოვდა, მაგრამ ის პასუხობდა, არ შემძლიაო (თავისას თუ მისას?).

მიდიოდნენ დასამშვიდებლად, მათთან ერთად ტიროდნენ და სიტყვებს ეს სჯობდა.

ახლა ჩვენ ანგარიშგასწორებულნი ვართ.

ქვრივი უსაზღვროდ მადლიერი იყო გადარჩენისათვის.

ქვეს არ უნდოდა გატეხილიყო.

ტომიც ცას დაეწია.

ბოთლისა და თუნუქის ჭიქისა (a tin cup).

ხმას ამოისუფთავებდა (cleared her throat).

ტაშისკვრივით დააჩილდოვეს. ტაშისკვრით დააჩილდოვეს.

დედამიწამ ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე.

შვილი ალტაცებაში მოვიდა; შეცდომაში შეიყვანა.

მხოლოდ 18-20 წლის ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები თუ იყვნენ გადარჩენილი ამ სასჯელს.

ტომმა და პეკმა მოცდა სთხოვეს.

ბოლოს გაუხარდათ ინდიელებად გადაქცევა.

რადგან მოგებულნი დარჩნენ; ამჟერად შესძლეს ჩიბუხის მოწევა (could now smoke).

ვისზე უნდა მოვხდინათ თავდასხმა.

ქუშმარიტებად მიაჩნდა მათი ნაბოღვარი ოთახში ჰაერის გაწმენდაზე, ლოგინში ჩაწოლასა და ლოგინიდან ადგომაზე.

ჯოს განდევნობა უნდოდა—მღვიმეში ცხოვრება ცარიელ გამხმარ პურზე და სიკვდილი სიცივისაგან, გაჭირვებისა და სიკვდილისაგან.

ვერცერთმა ვერ მოაცვლევინა ფეხი მოპირდაპირეს (რომელ მოპირდაპირეს ან მოპირდაპირებს?).

თოკივით გადაგრებილნი, ერთმანეთს თმით ათრევდნენ (როგორ?).

მერე შეშფოთდა, ეჭვი შეეპარა, მერე ისევ

ცდილობდნენ ყურადღების დამსახურებას, ყურადღების მიზიდვას ცდილობდა.

მოსწყინდა დაკეტულში ყოფნა (weary of captivity).

ნიჩბების კრიალი (grating) (კრიალი იცის ურემმა ან კარმა).

ოხვრით დასველა ჯაგრისი კირში.

მოწიწება იგრძნობოდა შთამაგონებელი დუმილით და ფართოდ გახელილი თვალებით.

უფლებებს ავლენდნენ შენიშვნებით, საყვედურებით, სანაქებო დისციპლინისაკენ მოწოდებით.

ქვრივს სთხოვე ჩემს შესახებ.

მარცხის შესახებ არ სმენოდა. არ გამიგია ამის შესახებ.

სახელგანთქმულ გულახდილობას წაღძუნას შესახებ.

იმ გზის შესახებ არაფერი იცოდა.

მაგიდაზე დაახროვა (poured the mass) ოქრო.

გოგო-ბიჭების მთელი ხროვა (a group) მოგროვდა.

მობუცებელი გული; კეთილშობილი გართობა;

მოდალატე ფეხები; ლოცვა იყო დიდსულოვანი, გულუხვი;

ახალგაზრდა ვაჟი და ბევრი სხვა.

ზემოთ მოყვანილი შენიშვნები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თარგმანი მოკლებულია დედნისეულ სისადავეს, უშუალობას კისავსეს, ლაკონიურობას და განსაკუთრებით, ბუნებრივ სინტაქსურ წყობას.

ამიტომ, რადგანაც „ტომ სოიერი“ ყველას და, განსაკუთრებით კი, მოზარდების ნიადაგ საკითხავი წიგნია, საჭიროა, ითარგმნოს ხელახლა. თარგმანი უნდა შესრულდეს მაღალ პროფესიულ დონეზე, ზუსტად ისე, როგორც პირველი გამოცემიდან დღემდე გამოდის ინგლისურად და სხვა ენებზეც.

ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

დღემდე არსებულ თარგმანს თავისი საპატო

ადგილი უჭირავს როგორც ჩვენი წიგნის თარგმებზე, ასევე ქართული მწერლობის ისტორიაში და ახალი გაუმჯობესებული თარგმანი მას ოდნავადაც ვერ მიაყენებს ჩრდილს.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ფერაძე

ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე

ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფოფხაძემ

პროფესორი გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წელს სიღნაღის რაიონში. კორნელი კეკელიძისა და არტურ ლაისტის შუამდგომლობით განაიღების მისაღებად გაგზავნეს ევროპაში. დიდია გრიგოლ ფერაძის ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში. მან მოიარა საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები — ათონი, სინა, პეტრიწონი, შვეიცარია იქ დაცული ქართული ხელნაწერები და რელიქვიები; აგრეთვე ბრიტანეთის, ავსტრიის, ერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის ფონდებში დაცული ქართული ხელნაწერები. პროფ. ფერაძემ პირველმა აღმოაჩინა გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტი (ბულგარეთის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგში ეს ტექსტი აღწერილი იყო როგორც ხელნაწერი გაურკვეველ ენაზე). ათონზე გრიგოლ ფერაძემ შეიძინა და თან წამოიღო 15 ქართული ხელნაწერი.

მეორე მსოფლიო ომში გრიგოლ ფერაძეს პოლონეთში მოუხსნო. მაშინ ის ვარშავის უნივერსიტეტში მუშაობდა პროფესორად. ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, კოპტურ, ძველ ებრაულ ენებს. ეს მაღალი ერუდიციის პიროვნება უდიდესი ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. პეტრიწონის მიერ აგებული ქართული ეკლესიის უძველესი წარწერების აღმოჩენის შესახებ ქართველმა საზოგადოებამ პირველად გრიგოლ ფერაძის სტატიიდან შეიტყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. გრიგოლ ფერაძის დამსახურება საქართველოს განძეულობის გადარჩენის საქმეში, რომელიც იმ დროს საფრანგეთში ინახებოდა ექვთიმე თაყაიშვილის მეთვალყურეობით და გერმანიაში უპირებდნენ გაგზავნას. დროდადრო ქართული გაზეთები მოიხსენიებენ ხოლმე გრიგოლ ფერაძის ღვაწლს.

სპეციალური გამოკვლევა მასზე არ დაწერილა. ჩვენ დასაბუქლად მოვამზადეთ გრიგოლ ფერაძის პუბლიკაციები.

დიდი ხანია ვნატრობდი ათონის მთის მონასტრების მოხილვას, მხოლოდ 1935 წლის ზაფხულში მოვახერხე ამ ნატურის ასრულება. გზად რუმინეთი და ბულგარეთი უნდა გამევლო, ამიტომ ეს ქვეყნებიც მოვინახულე. მე ქართულ ენაზე უკვე დავწერე ჩემ მიერ ჩატარებული გამოკვლევების სრული ანგარიში; წინამდებარე ნაშრომში ჩემი მოგზაურობის მხოლოდ მთავარ შედეგებს აღვნიშნავ.

ჩემ არაფერი დაბეჭდილა, თუმცა ისტორიკოსმა აქ შეუძლია მოიძიოს მრავალი საინტერესო მასალა; თანაც ის ამ ქვეყანაში უნდა დარჩეს უფრო მეტხანს. მე ამ დღეზე მეტი დრო ვერ გამოვინახე, რადგან ჩემი უპირველესი მიზანი იყო ათონის წმინდა მთაზე გამგზავრება. ამის გამო ვიკვლევდი მხოლოდ ყველაზე აუცილებელსა და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. მე არ ვცდილვარ გამომეკვლია სახელგანთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრება რუმინეთში, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები ამ ქვეყანაში გაატარა და იქვე გარ-


პირველად რუმინეთს ვეხტუმრე.
რუმინეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე

დაიცვალა.² ასევე იძულებული გავხდი მიმეტოვე-
ბინა არქივებში ძიება მრავალი ქართველი ემიგრანტის ბედისა, რუმინეთში რომ გადასახლდნენ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, აგრეთვე კვლევა პალესტინის ქართული მონასტრებისა და რუმინეთის ეპარქიის ურთიერთობის შუა საუკუნეებში და კიდევ რამდენიმე საკითხისა⁴. პროფესორ ნ. იორგას შუამდგომლობითა და დახმარებით უფლება მომცეს შემუშავა დიდი ქართველი მოღვაწის, ბუქარესტის არქივისკომისის, ანთიმოზ ივერიელის (1716) მიერ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში შემონახულ მასალებზე. ანთიმოზ ივერიელმა დიდი სახელი მოიხვეჭა რუმინეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლისათვის, მას დღესაც დიდ პატივს სცემენ მთელ რუმინეთში. ანთიმოზ ივერიელს არც თავისი სამშობლო დავიწყებია. 1707-1708 წლებში მან თბილისში გაგზავნა მესტამბენი, რომლებმაც პირველი სტამბა დაარსეს საქართველოში. მომდევნო წელს აქ დაისტამბა პირველი ქართული სახარების წიგნები. სამწუხაროდ, არავის უცდია შეესწავლა საქართველოს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული მდიდარი მასალა ამ პიროვნების შესახებ, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში კი მასზე ცოტა რამ თუ დაიძებნება.⁵

ათონზე რომ მოხვდეს, საბერძნეთის მთავრობის სპეციალური ნებართვაა საჭირო. ასეთი ნებართვის მისაღებად მე ხალონიკეში მომიხდა შეჩერება. ერთ დროს ამ ქალაქში ილარიონ ქართველი აფარებდა თავს (გარდაიცვალა 875 წ.), საკმაო ხანს იცხოვრა აქ და სახელიც გაითქვა თავისი სიწმინდითა და სასწაულქმედებით. სიკვდილის შემდეგ იმპერატორ ბასილეს, მაკედონელის (867-886) ბრძანებით მისი წმინდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და იქ ქართული მონასტერი ააგეს. ილარიონ ქართველის ცხოვრება პირველად ბედნულად დაიწერა და შემდეგ ითარგმნა ქართულად. კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი რომანა⁶, სადაც ილარიონის წმინდა ნაწილებმა პაოვა საუკუნო სასუფეველი, მოხსენებული აქვს რუს მოგზაურს 1200 წელს⁷. პარგუარმა დააპირა მოედებნა ამ მონასტრის ადგილმდებარეობა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქალაქი ხალონიკე ბედს უნდა უმადლოდეს, რომ სწორედ მისადმია მიმართული მოციქულის ორი ეპისტოლე. ბიზანტიურ პერიოდში და შუა საუკუნეებში იქ ბევრი სახელგანთქმული თეოლოგი ცხოვრობდა, მათ შორის სიმონ ხალონიკელი, გრაგოლ პალამა და მრავალი სხვა. ადვილი დასაშვებია, რომ ილარიონის კოპულარობა მიიზიდავდა ქართველებს ხალონიკეში ხამოღვაწე-

ოდ. რაც კი რამ შემორჩა წარსული ეპოქიდან, ომებისა და თურქების ბატონობის დროს განადგურდა.

ათონზე ორი მიწნა  — როგორც მოგზაური და როგორც მღვდელთა, ვითარცა ხაეკლესიო მოღვაწეს, მაინტერესებდა შემეტყო, როგორ ცხოვრობდნენ იქაური ბერები და თვითონაც შეგემნა იქაური ცხოვრება. ამასთან მსურდა ივერიის მონასტრის ქართული ხელნაწერები და შეთვალეებინა, ზოგი მათგანი გადამეწერა, ამასთან ერთად შემეკრიბა მასალები მეცხრა-მეტე საუკუნეში იქ მცხოვრები ქართველების შესახებ; დაბოლოს მსურდა შემეძინა ქართული წიგნები და, თუ შევძლებდი, ქართული ხელნაწერებიც.

ათონის წმინდა მთაზე არის ოცი მონასტერი, თხუთმეტი სკითი და ორასზე მეტი ხენაკი. ეს უველაფერი წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ ხამონასტრო რესპუბლიკას⁸; მისი დედაქალაქია კარიე. აქვეა რესპუბლიკის პარლამენტი, რომელიც ოცი წევრისაგან შედგება (ოცი დიდი მონასტრის წარმომადგენლები), აქვე ცხოვრობს პრეზიდენტი; რესპუბლიკას თავისი პატარა ნავსადგური აქვს — ქალაქი დაფნი; მყავს თავისი პატარა პოლიციაც. ოცი მონასტრიდან ხუთს, უძველესს, უმეტესი უფლებები გააჩნია, სწორედ ამ ხუთი მონასტრიდან უოველწლიურად რიგრიგობით ირჩევენ პრეზიდენტს. ეს მონასტრებია: 1) ლავრა, 2) ვათოპედი, 3) ივერია, 4) კილანდარი, 5) წმ ღიონისე. ამ მონასტერთაგან დღეისათვის ოთხი ბერძნების ხელშია და მხოლოდ ერთი, კილანდარი, ეკუთვნის სერბებს. წინათ ივერიის მონასტერს მეორე ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული⁹ და ქართველებისა იყო. თვით სახელიც მიანიშნებს ამას. ის მეთექვსმეტე საუკუნეში ააშენეს ქართველებმა — იოანე და თორნიკე ერისთავებმა.¹⁰ მომდევნო საუკუნეში ივერიის მონასტერი გახდა ქართული განათლებისა და კულტურის ცენტრი. აქ ცხოვრობდნენ დიდი მწერლები ექვთიმე (გარდ. 1028) და გიორგი მთაწმინდელები (გარდ. 1045), რომლებმაც უამრავი თეოლოგიური და ფილოსოფიური თხზულება თარგმნეს, როგორც ბერძნულიდან ქართულად, ისე პირიქით.¹¹

ათონის სკოლამ გარდატეხა მოახდინა ქართულ კულტურაში. ბიზანტია იმ დროს ისევე მოწინავე იყო, როგორც პალესტინა, ანტიოქია და კოპტური ეკლესია იუვენს ადრე.¹² ათონზე ადრეული საუკუნეების კულტურულ შემკვიდრებას ისევე მიაქციეს უურადლება, წიგნების უმრავლესობა ხელახლა ითარგმნა ოფიციალური ბიზანტიური ტექსტებიდან. თეოლოგიის უველა სფეროში დიდი მუშაობა იქნა გაწეული, რათა ათონზე მისი

დონე აქწათ ბიზანტიის დონემდე და უფრო მაღლაც.

ივერიის ქართული მონასტრის დამაარსებლები იყვნენ ათონზე ბერმონაზვნობის დამაარსებლის — ათანასეს მეგობრები. ათანასენ დიდი ლავრა დააარსა წმ. ათანასე ტრაპიზონელი ლაზი იყო, დედა ქართველი სყავდა. დედა-შვილი ჯერ ერთ მონასტერში იღვწოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მრავალი ქართველი შემოუერთდათ, დედამ ცალკე მონასტერი ააშენა. სამონასტროდ აირჩიეს კლიმენტის უბის ნაპირი ადგილი ათონზე, სადაც ღვთისმშობელი და იოანე მოციქული ერთად მოვიდნენ ღვთის სიტყვის გასაცხადებლად. სწორედ ამ ადგილებში იწაღებოდა წმინდა ეპისკოპოსი კლიმენტი, როცა მას დევნიდნენ.

აგებისთანავე ქართული მონასტერი გადაიქცა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ცენტრად. ღვთისმშობლის სახეზე გამოჩნდება ზღვა-ზე, და ბერი — ქართველი, სახელად გაბრიელი — გაივლის ზვირთებზე, როგორც მიწაზე, მოპყიდებს ბელს ღვთისმშობლის ხატს და დიდი ზეიმით დაახვეწებს ეკლესიაში. მეორე დღით ხატი ბერებს მონასტრის კარზე, გარეთ დახვდება. ისინი შეახვეწებენ ხატს ეკლესიაში. სასწაული განმეორდება. ბოლოს ღვთისმშობელი ხიზმრად მოველინება გაბრიელ მონაზონს და მოახსენებს — „არ მსურს ბერები მიცავდნენ, მე თვითონ დავიცავ თქვენს მონასტერს“. მაშინ კარებთან პატარა საყდარი ააგეს და ხატი შიგ დაახვეწეს. ეს ხატი დღესაც იქ არის. ამ საოცარმა თქმულებამ და სასწაულებრივმა ხატმა აურაცხელი სიმდიდრე შესძინა მონასტერს მთელი საქართველოდან, რომელიც ამ პერიოდში თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა; მონასტერს უამრავ სიმდიდრეს სწირავდნენ ეკლესიები, მეფეები, თავადები, რათა ივერიის მონასტერს უცხოეთში შესაფერისად წარმოეჩინა მათი ქვეყნის სიმდიდრე და დიდება. მეჩვიდმეტე საუკუნეში (1647 წ.) ამ ხატის ასლი გაგზავნეს მოსკოვში და მონასტერს თვით რუსეთშიც უბოძეს დიდძალი მიწები და სიმდიდრე.

ივერიის მონასტრის დიდებამ და სიმდიდრემ ბერძენ ბერებს შური აღუძრა და მათ მოინდომეს, რადაც არ უნდა დაქდომოდათ, მოეწყობათ მისი ანექსია. როგორც ქართული წყაროები გვაშეცნობენ, ბერძენებმა ჯერ კიდევ ადრე, მეოთხრამეტე საუკუნეშივე მოინდომეს ქართველების გაძევება მონასტრიდან, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოახერხეს. შემდგომ საუკუნეებში უფრო გაძნელდა მონასტრის დაცვა ბერძენების შემოტევისაგან. შეიძლება დავასაბულოთ რამდენიმე მიზეზი. შეცამეტე საუკუნის შუაწლებიდან ქარ-

თველების პოლიტიკური ძლიერება თანდათან იცემა. ქვეყანა სუსტდება და ლატაკდება. მონღოლების შემოსევამ, სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ დაუსრულებელმა ბრძოლა ერთიანად გამოაცალეს მას ქვეყნიერება. დიდძალი არეულობა ქვეყნის შიგნით დაიწყო. მაშინ რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, ძლიერ გაჭირდა უცხოეთში მონასტრების შენახვა. ქართველებს რომ მხოლოდ ერთი-ორი მონასტერი შეეძლოდათ უცხოეთში, მაშინ შექვებდნენ მის მოვლასა და დაცვას, მაგრამ მონასტრები საკმაოდ ბევრი იყო. მართკ პალესტინაში ოცამდე ქართული მონასტერი იღვწოდა. ქართული სამონასტრო კომპლექსი იყო ხირიაშიც (საკვირველ მთაზე), სინას მთაზეც. საქართველოდან წამოსულ მოგზაურებსა და ბერებს გზაზე თურქები ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ქართველები იძულებული გახდნენ შეეშვათ ბერძენებს. რადგან სამონასტრო სამხაზური უამრავ ხელს ითხოვდა, მაგრამ დამკვიდრდნენ თუ არა მონასტერში, ბერძენებმა მოახერხეს დავიკებინათ უველა მაღალი თანამდებობა, და ქართველებიც შეევიწროვებინათ. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით, როდის გადავიდა ივერიის მონასტერი ბერძენების ხელში.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ეპისკოპოსები შეეცადნენ დაებრუნებინათ მონასტერი, მაგრამ რუსეთის მთავრობას მაინცდამაინც დიდი გულსყური არ გამოუჩენია ამ საქმის მიმართ. მან მხოლოდ ის მოითხოვა, რუსებიც მიეღოთ ივერიის მონასტერში, რაც იმას მოახსენებდა, რომ მონასტერი, რომელიც უკვე ბერძენული იყო, გადაიქცეოდა რუსულ მონასტრად. ქართველებმა ამაზე კატეგორიულად უარი განაცხადეს. გარდა ამისა, რუსებისათვის ერთობ არასასიამოვნო ფაქტი იყო, რომ მათი ბელქვეითი ქვეყნის ეკლესია რანგით მესამე იყო ათენის იერარქიაში, ეს მაშინ, როცა რუსული წმ. პანტელეიმონის მონასტერი მეცხრამეტე ადგილზე იდგა მხოლოდ. რუსეთის პოლიტიკა საქართველოში მთლიანად მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური ტენდენციების გაუქმებისაკენ; როგორღა დაებმარგბოდა რუსეთის მთავრობა მას ქართული კულტურის ახალი ცენტრების დაარსებაში?

ბოლოს ქართველმა ეპისკოპოსებმა ათონზე დაიმკვიდრეს სენაკი იმ ადგილას, სადაც წინაშე იოანე მახარებლის მონასტერი მდებარეობდა. ეს სენაკი¹² ივერიის მონასტრის ახლოს იდგა და მახვე ეკუთვნოდა. სენაკს ქართველები განაგებდნენ 1888 წლიდან 1919 წლამდე. ამ სენაკმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, ამ სენაკის შესახებ ჯერ არაფერი დაწერილა.

ათონზე უოფენისას შევეცადე შემეგროვებინა მასალა სენაკის იხტორიისათვის, მაგრამ ცოტა რაღეს მივაკვლიე. სენაკში ორმოცდაათი ბერი ცხოვრობდა; ჰქონდათ კარგი ბიბლიოთეკა. ნაბეჭდი წიგნების გარდა აქ იყო ხელნაწერები, რომლებიც თვითონ გადაეწერათ ივერიისა თუ სხვა ქართული მონასტრებიდან და მუზეუმებიდან. ბედმა გამიღიმა და თბუთმეტი ხელნაწერი ვიშოვე და თან წამოვიღე¹⁴. ბერძნები ითმენდნენ ამ ხენაკის არსებობას, მაგრამ ხელსაყრელ დროს და საბაბს უცდიდნენ იქიდან ქართველების გახადებულად. ასეთი ხელსაყრელი დრო დაუდგათ ომის შემდგომ წელს. როცა რუსეთში არეულობა დაიწყო და ბოლშევიკების მოძრაობა გაძლიერდა, ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე კი უამრავი პრობლემა იდგა გადასაქრელად — მას არ ჰქონდა საშუალება დაეცვა ქართველი ბერების უფლებები ათონზე.¹⁵ სწორედ მაშინ გამოაძვევს ქართველები სენაკიდან და, როგორც იტყვიან, ქუჩაში დაუარეს. ზოგი მათგანი საქართველოში გაემგზავრა დახმარების მისაღებად. დანარჩენებმა დროებით პროტომარტირ ხტეფანეს სენაკს შეაფარეს თავი (რომელიც რუსეთის მონასტრის ეკუთვნის). აქ 1828 წლიდან ზუთი ქართველი ბერი დასახლდა ქირით; დღეს იმ ზუთიდან სამია ცოცხალი: ძმები შათე და ათანახე გვაზავები და ტიხონი. დღესაც იქვე ცხოვრობენ და ხალში მუშაობენ. ორი ქართველი ბერი — იოანე და მიხეილი — ცხოვრობს ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის სენაკში. ბერი სიმონ ხალდავაძე კი წმ. პანტელეიმონის მონასტრის სამზარეულოში მუშაობის საფასურად ცხოვრობს ოთახში და თავს ირჩენს. ათონზე მცხოვრები ქართველები ძლიერ მოზუცდნენ და გაღარიბდნენ. მაგრამ თავის სიღარიბეს ისე არ უჩივიან, როგორც იმას, რომ ისინი შეიძლება უკანასკნელი ქართველები აღმოჩნდნენ ათონზე და მათი სიკვდილის შემდეგ ქართველების სახსენებელი გაქრება აქ. ერთადერთი ხალოცავი ის არის, რომ მათ შემდეგაც დარჩნენ ათონზე ქართველები. იქნებ მოხერხდეს მათთან მოწაფეების გაგზავნა!

როდესაც ქართველები გააძვევს იოანე მახარებლის სენაკიდან, მათ მოახერხებს ბიბლიოთეკა გადააერჩინათ და გადაეტანათ ახალ ადგილსამყოფელზე. მაგრამ 1982 წელს ხანძარი გაუჩნდა სწორედ იმ შენობას, სადაც ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული და თითქმის მთლიანად განადგურდა — რაც დიდი დანაკლისია ქართული კულტურისათვის! ერთი ბერი, მამა ხართლოშვი დაიღუპა იმ ხანძრის დროს. დღეისათვის ამ ბიბლიოთეკაში დარჩენილია 200 ნაბეჭდი წიგნი და ხელნაწერი. ამათგან მერ სამოცი წამოვი-

ღე. ქართველებმა უნდა იხრუნოთ იმაზე, რომ ევროპაში გაიტანონ ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილი.¹⁶ ადგილზე უველაფერი დაშლის და განადგურების პირზეა: ევროპაში წიგნები შეცნიერულად შეიძლება შექმნას და დაამუშაონ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ათონზე მცხოვრები ბერები ახლა ღრმა მოზუცები არიან (მათ შორის უველაზე ახალგაზრდა, ტიხონი მს წელს არის გადაცილებული) და წარსულის შესახებ ბევრს ვერაფერს გვიამბობენ. განსაკუთრებით ერიდებიან ისინი იმაზე საუბარს, თუ როგორ დევნიან ბერძნები. ალბათ ეშინიათ, ბერძნებმა შური არ იძიონ, ანდა ალბათ, რაშიც მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ამას აკეთებენ ქრისტიანული კეთილშობილების გამო, რომელიც გვახსენებს, რომ სიკეთე და სიყვარული მივუზღოთ ჩვენს მტრებს შურისა და სიძულვილის წილ. უოველ შემთხვევაში, რელიგიური და ზნეობრივი ნორმების მიხედვით ქართველები დღესაც პირველნი არიან ათონზე, ასე დამარწმუნეს ბულგარელმა და მოლდაველმა ბერებმა.¹⁷

ზემოხსენებული სენაკის გარდა, ქართველები მეცხრამეტე საუკუნეში ილია წინასწარმეტყველის სენაკშიც ცხოვრობდნენ, ესეც ივერიის მონასტრის ეკუთვნის და მიხგან რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობს. ქართველებმა სასწაულებრივად შეაღწიეს ამ ადგილებში. როგორც უკვე ვთქვი, მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებს ბერძნები ივერიის მონასტერში აღარ აქაჭანებდნენ, მხოლოდ ერთხელ დაემორჩილნენ ბერძნები თურქეთის ფაშის ბრძანებას¹⁸ და ბენედიქტე კიოტიშვილი შეუშვეს მონასტერში. მამა ბენედიქტეს ქადაგება დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის ხატთან. სიცოცხლის ბოლო წლებში მან ითხოვა მიეცათ სენაკი. მანება დართეს ქართველებიც მიეღო ამ სენაკში. პირველად ბესარიონ ქიქოძე, სახელგანთქმული გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ძმა (გარდაიცვალა 1698 წელს) მივიდა მახთან. ბესარიონ ქიქოძემ მთელ კუნძულზე გაიოქვა სახელი თავისი უბიწო ცხოვრებით. რუსებმა მისი „ცხოვრება“ შეიტანეს ბრწყინვალე ბერების სიაში, რომლებიც შემდეგ წმინდანებად უნდა შეერაცხათ; ბესარიონის ბსენების დღეს ისინი ზეიმობენ ათ ოქტომბერს. ამ სენაკში უკანასკნელად ცხოვრობდა ბერი საბა, მაგრამ 1919 წელს, როცა მისი თანამემამულეები იოანე მახარებლის სენაკიდან გამოაძვევს, პროტესტის ნიშნად საბამ დატოვა ილია წინასწარმეტყველის სენაკი და საქართველოში დაბრუნდა. საბედნიეროდ, მან თან წაიღო უველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერები. ისინი ახლა თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება.¹⁹

ამ ორი სენაკის გარდა მეცხრამეტე საუკუნეში ქართველები ცხოვრობდნენ ათონის ნახევარკუნძულის სხვადასხვა მონასტრებსა და სენაკებში. მათი უმრავლესობა მიიღეს წმ. დიონისეს მონასტერში,²⁰ რამდენიმე ბერი წმ. პანტელეიმონის მონასტერში ცხოვრობდა.²¹

ქართველი ბერების წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მამა ილარიონი. ის იყო იმერეთის უკანასკნელი მეფის, ხოლომონის აღმსარებელი. მას შემდეგ, რაც იმერეთში რუსები დამკვიდრდნენ, მეფე ტრაპიზონში გადავიდა, თან გაჰყვა ილარიონი; მეფის გარდაცვალების შემდეგ ილარიონი საქართველოში დაბრუნდა. შემდეგ სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა გაძევებული იმერეთის დედოფლის სანახავად. ბოლოს ილარიონი ათონს წავიდა. მაგრამ ბერძნებმა ივერიის მონასტერში არ შეუშვეს და მიიღეს წმ. დიონისეს მონასტერში. ილარიონი 1884 წელს გარდაიცვალა, სიცოცხლეშივე რამდენიმე ხასწაული მოახდინა. სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება ბერძნულად აღწერა მისმა მოწაფემ, ბერმა საბამ. აღსანიშნავია, რომ ორივე ილარიონის ცხოვრება, როგორც უფროსის (875), ასევე უმცროსის, თავდაპირველად ბერძნულად დაიწერა. მე გადავაწერინე ეს ცხოვრება.²²

ერთი თვის განმავლობაში, ბუნებრივია, ძნელი შეიქნა ამომწურავი ინფორმაციის მიღება უველა საკითხზე, უველაფრის მოხილვა, უველა უმთავრესი დეტალის შესწავლა, რაც შუქს მოჰფენდა ათონზე ქართველების მოღვაწეობის ისტორიას. ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი ადგილზე. ამას რამდენიმე მოგზაურობა დასჭირდება. არა გვეგონია, საქართველოდან ვინმემ შეძლოს ათონზე მისვლა. ამიტომ ეს ქართველი ემიგრანტების მოვალეობაა და რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. დროთა განმავლობაში ათონზე მოხინადრე უკანასკნელი ქართველებიც დაიხოცებიან და ცოტა რამ, რაც კიდევ არსებობს, დაიკარგება. მასალები უნდა მოათავსონ ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერებში; ბოდლის კოლეჯიაში — ოქსფორდში (უორდროპის კოლეჯია) და პროფესორ გუსენის ქართულ კოლეჯიაში — ბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.²³

ათონიდან პოლონეთში დაბრუნებისას გზად ბულგარეთი უნდა გამეფლო. და თუმცა უკვე ძლიერ გადაღლილი ვიყავი, ამასთან რამდენიმე კვირის განმავლობაში ციებით გახლდით ავად, მაინც მსურდა რამდენიმე დღით ბულგარეთში დარჩენა. უპირველესად მაინტერესებდა ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტრის და იმ საიდუმლოებით მოცული ხელნაწერის ნახვა, რომელიც ხოფის ხაზელშიფო ბიბლიოთეკის კა-

ტალოგში აღწერილი იყო ზერელედ, როგორც „ხელნაწერი გაურკვეველ ენაზე“. ჩემი ვარაუდით, შეიძლებაოდა ხელნაწერი ქართული გამომდგარიყო.²⁴ რაც შეეხება ბაჩკოვოს მონასტერს, ის დააარსა ქართველმა დიდებულმა და ბიზანტიის იმპერიის დომესტიკოსმა ვლადიმერსკიმ.²⁵ რომელიც 1088 წელს დასაფუძნებების წინააღმდეგ ბრძოლაში. მონასტერი პლოვდივის (ფილიპოპოლთან) ახლოს მდებარეობს, დაახლოებით ცხრა კილომეტრით არის დაშორებული პატარა ქალაქს, სახელად ასენოვგრადას (სტანიშაკე). მონასტრის დამფუძნებელმა მიხატაიკონი დაწერა ხამ ენაზე: ქართულად, სომხურად და ბერძნულად ბერძნები არ უნდა შეეშვათ მონასტერში. მონასტერს უნდა გაერთიანებინა ხაზი ბოგომოლების სექტის წინააღმდეგ და ბქონოდათ სემინარია ბერების სასწავლებლად, აგრეთვე მოხუცთა თავშესაფარი. ამ მონასტერმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. თეოლოგიის გარდა იქაურა ბერები განსაკუთრებით ფილოსოფიაში იყვნენ განსწავლულნი. იოანე პეტრიწის სახელი კარგად არის ცნობილი ქართულ ლიტერატურაში. მოგვიანებით დავით აღმაშენებლის მეორე დაინიშნა გელათის მონასტრის ხაყვლისი აკადემიაში პროფესორად. ამ მონასტერში ასევე დიდი როლი შეასრულა ბულგარული კულტურის განვითარებას საქმეში და მისმა ტიპიკონებმა, როგორც ეს ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა ხირკუმ მიუთითა, გადამწვეტი გავლენა მოახდინა ბულგარეთის მონასტრებზე იმ დროისათვის ცნობილი იყო პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მხოლოდ ბერძნულ ტექსტი, ისიც ხარვეზებიანი. წილად მხვდა ბერძენიერება და აღმოვაჩინე, რომ საიდუმლოებით მოცული ხელნაწერი ბულგარეთის საჭარო ბიბლიოთეკაში გახლდათ ამ ტიპიკონის ქართული ასლი. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია ბულგარეთში; საჭარო ბიბლიოთეკის დირექტორმა რაიჩო რაჩევმა²⁶ ამ ფაქტს ვრცელი და საინტერესო სტატია უძღვნა. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1708 წელს, რაც იმის მარჯვენებელია, რომ იმ დროს ვინმე ქართველი ცხოვრობდა პეტრიწონის მონასტერში. ზუსტად არ არის გარკვეული, როდის დაკარგეს ქართველებმა ეს მონასტერი ან როდის გადავიდა ის ბერძნების თუ ბულგარელების ხელში. იქ ჭერ კიდევ არის შემორჩენილი ქართული ნივთები: 1) ღვთისმშობლის ხატი (შეიძლება ივერიის ხატის ასლი იყოს) ქართული წარწერით; 2) ქართული სტილით ნაგები საძვალე, გრიგოლ ბაკურიანის დროინდელი, მასში ახლაც მარხავენ ბერებს. ცნობილმა ბულგარელმა მეცნიერმა სტანიშირ სტანიშიროვმა მითხრა, რომ

მთავარი ეკლესიის გუმბათზე უოფილა ქვარი ქართული წარწერით, მაგრამ იქ ვერაფერ ვნახე ისეთი, რომ ეს წარწერა გადაწერა ჩემთვის; 4) პროფესორმა ლახოვიძემ 1896 წელს საძვალეში იპოვნა წარწერა და გადაწერა იგი; 1912 წელს მან ისევ იწახუნა საძვალე, მაგრამ წარწერა უკვე აღარ ჩანდა; 5) პროფ. ხირკუმაძე გადაწერა ქართული წარწერები ბაქოვოს მონასტერში და გადასცა ისინი პროფესორ ცაგარელს. ბოლო პროფ. ცაგარელმა მოხსენება გააკეთა ამ თემაზე, რომელიც, ჩემი აზრით, არცაღ დაბეჭდილია. ეს არის და ეს. უფრო ხვერი შემოჩა საეკლესიო ნივთები: ქვრები, შანდლები და სხვა; ზოგი მათგანი, მომინანქრებული, სოფიის საეკლესიო მუზეუმში გადაიტანეს, ზოგი ისევ მონასტერშია. ამ ნივთებს ქართული წარწერა არა აქვს, მაგრამ ისინი დაშინებულია საქართველოში ან ქართული ფულით არის ნაყიდი ქართული პერიოდის დროს. ამ საკითხზე უამრავი ლიტერატურაა გამოქვეყნებული ბულგარულ ენაზე, მე ზოგი

ვიყიდე, ზოგიც მაჩუქეს. მაინც ფუნდამენტური გამოკვლევა მათზე ჯერ არ გამოქვეყნებულია.

ამ საქმეს ბულგარეთის ეკლესიამ უნდა მოაქიდოს ხელი. აუცილებლად უნდა შეადარონ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტი ბერძნულს და დაწერილებით შეიხვედონ ხსინი; ადგილზე უნდა გადაწერონ მონასტრის ქართული წარწერები; უნდა ჩატარდეს გათხრები მონასტრის მნიშვნელოვან ადგილებში.

ეს უცხოეთში ქართველების კულტურული მოღვაწეობის მხოლოდ ფრანგმენტებია. ჩვენს უწმინდეს მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ შემოჩენილი ფრანგმენტების შეკვლევა და შესწავლა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის შესწავლას და ქართული ძეგლების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, ამასთანავე თვით ჩვენ მოგვანიჭებს ძალას დღევანდელი მათ უკეთ გააზრებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ი ბ ი

1. მოგზაურობის ვრცელი ანგარიში მალე გამოქვეყნდება ქართულ საეკლესიო ყურნალში „ქვარი ვაზისა“ № 5.
2. იხ. „ქვარი ვაზისა“ (პარიზი, 1931), № 1, გვ. 19-24, სადაც მე გამოვაქვეყნე ბესარიონ გაბაშვილის რამდენიმე უცნობი ლექსი უორდროპის კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერიდან (ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა).
3. ამ თემაზე უამრავი მასალა აქვს შეგროვილი დოსითეოსს, იერუსალიმის პატრიარქს; ხსენებული პატრიარქი იმყოფებოდა საქართველოში 1659, 1660 და 1679 წლებში და კრებდა გადასახადს თავისი საპატრიარქოსათვის; დასაბეჭდებულ ნაშრომში დოსითეოსი აღწერს საქართველოში თავის მოგზაურობას, აფხაზეთის კათალიკოსთა ისტორიას და იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიას. ბროსეს გარდა, რომელიც მას მიმოიხილავს თავის ნაშრომში „პოლიტიკური და საეკლესიო მმართველობა საქართველოში XVII საუკუნეში“ (სკტ. პეტერბურგი, 1839), რომელიც შემდეგ სულეზნიოვმა თარგმნა რუსულად, ეს საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა არავის არ გამოუყენებია.
4. ბოლო ხანებში რუმინეთში გავრცელდა თეორია, რომლის მიხედვით ქართულმა არქიტექტურამ დიდი გავლენა მოახდინა რუმინეთის არქიტექტურის განვითარებაზე.
5. ის მოწამებრივად დაიღუპა, მდინარე დუნაიში გადააგდეს თურქებმა. 1903 წელს ბუქარესტში დაიბეჭდა წიგნი, სადაც ნახსენებია თბილისში დაბეჭდილი ორი ქართული წიგნი: „ლითურდია“, თბილისი, 1710 (გვ. 483-84) და ქართული სახარება, თბილისი, 1709 (გვ. 543-8). ბრიტანეთის ენციკლოპედია (14-ე გამოცემა, 1929) ამ არქივისკოპოსის შესახებ გვიამბობს: „ანთიმოზ ივერიელი, რუმინეთის ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე. დაბადებით ქართველი, რუმინეთში მოვიდა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც უბრალო ბერი. 1705 წელს ის რამნიჭუს ეპისკოპოსი გახდა, ბოლო 1708 წელს ვალახეთის არქიეპისკოპოსი. აქტიურად მონაწილეობდა იმ დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის გამოც უთანხმოება მოუვიდა ახლადდანიშნულ ბერძენ უფროსებთან და გადაასახლეს რომალიაში. დუნაიზე რომ გადადიოდა, 1716 წელს, წყალში გადააგდეს და დააბრჩევს, როგორც ფიქრობენ, ვალახეთის მმართველის დავალებით. ის დიდად ნიჭიერი კაცი იყო, მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა იცოდა. ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი რუმინული ენა და ცდილობდა ოფიციალურ ენად რუმინული დაეგვიდრებინა ეკლესიაში.“

ის შესანიშნავი ბეჭდვის ოსტატი იყო და თვითონ კრიდა ხისაგან შრიფტს წიგნებისათვის, რომლებიც დაბეჭდა ტირგოვიშტში, რამნიქში, სნაგოვში და ბუქარესტში. პირველმა შემოიღო აღმოსავლური შრიფტი რუმინეთში და დაბეჭდა პირველი არაბული შიშართვა აღმოსავლეთის ქრისტიანებისადმი (რამნიქი, 1702). გარდა ამისა, მან მოამზადა ქართველი მესტანბევი და გამოჩარხა შრიფტი, რომლითაც მისმა მოწაფემ, მიხაილ იშტვანოვიჩმა დაბეჭდა პირველი ქართული სახარება (თბილისი, 1709). მისი ქადაგებანი დაბეჭდილი სტილით დაქინებულ არს დაწერილი და მეტად ლამაზად გაფორმებულ-დაბეჭდილი. მან დაწერა მთელი ციკლი საკითხავებისა, ქადაგებებისა, სახარებისა და სხვა.

6. პოლ პეტერსი, „ილარიონ ქართველი“, 1913 წ. ბრიუსელი, გვ. 236-269.

მოყავს ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი სამეცნიერო აპარატიურით.

7. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი ანტონი 1200 წელს აღწერს ქართულ ეკლესიას კონსტანტინებოლში, სადაც ილარიონის წმინდა ნაწილებია შენახული (სქტ. პეტერბურგი, 1859, გვ. 36/).

8. საკითხს აქვს იგივე პრივილეგიები, რაც მონასტერს; მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მიწები და იხდის წლიურ გადასახადს იმ მონასტრის სასარგებლოდ, რომელსაც ეკუთვნის. სენაკი მთლიანად დამოკიდებულია მონასტრზე; მასში არ შეიძლება იყოს ოთხზე მეტი ბერი, არა აქვს უფლება აკურთხოს მღვდელი ან რომელიმე ეკლესია თავისი მონასტრის ნებართვის გარეშე. მესენაკეებიც წლიურ გადასახადს უხდიან მონასტერს.

9. არსებობს ერთი საინტერესო საბუთი 1169 წლისა, სადაც ივერიის მონასტრის ბერი, მიხეილი, ხელს აწერს ქართულად ლავრას შემდეგ — მეორე ნომრად.

10. ის დიდებული სარდალი გახლდათ, რომელმაც თავი დაანება სამხედრო საქმეს და ათონზე წავიდა ბერად. იმ დროს ბიზანტიის იმპერიაში ბარდა სკლიაროსი აჯანყდა. მეფის ოჯახის თხოვნით თორნიკემ გაიხადა ბერის სამოსელი და საომარი აბჯარი ჩაიცვა, ჩააბნო აჯანყება და დაუბრუნდა თავის მონასტერს. მადლობის ნიშნად ბიზანტიის იმპერატორებმა ათონს შესწირეს მიწები და პრივილეგიები უბოძეს.

ეს ამბავი 979 წელს მოხდა.

11. ივერიის მონასტრის შესახებ ორიოდ სერიოზული გამოკვლევა არსებობს, მე ვიცი ორი პატარა გამოკვლევა ანტ. ნატროვეისა რუსულად, თბილისი, 1909 და 1912 წ. და იოსელიანის ნაშრომი, ტომოთე ქართლის ეპისკოპოსის მოგზაურობა იერუსალიმში, ათონელ მამათა ცხოვრებაზე, იბ. სქოლიო 1, გვ. 14., 1885 წ.

12. იეზუიტმა ბერმა შექერიანმა სირიაში აღმოაჩინა ქართული მონასტერი და მისი ფოტოსურათები გადასცა გაბრიელ მილეს, პარიზში. ქართული ახალშენები იყო კვიპროსზე, დამასკოში, ალექსანდრიაში, ბაჩკოვოში — ბულგარეთში და სხვა. სამწუხაროდ, მონოგრაფიები მათზე ჯერ არ გამოქვეყნებულა.

13. ამ სენაკში მხოლოდ ორი ბერი იყო, ბენედიქტე და იონა (1919). აქ მრავალი ქართული ხელნაწერი ჰქონდათ, გადაწერილი არა მარტო ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკიდან, არამედ საქართველოს მონასტრებიდანაც. მათ გადაბეჭდეს აგრეთვე საქართველოში დაბეჭდილი წიგნები. მე პირადად მაქვს: 1. მამა დოროთეოსის ასკეტიკური კრებული, 2. იოანე კლემასის „კიბე“, ფოთი, 1902, და 3. „თენი“, თბილისი, 1882 წ.

14. მათ შორის: 1. მოციქულთა აპოკრიფული ცხოვრებანი; 2. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სრული კრებული კომენტარებით; 3. აპოფთეგეგმები; 4. მაკარი დიდის სწავლანი; 5. ისააკ სირიელის სწავლანი; 6. იონა ხელაშვილის გამოუქვეყნებელი ავტოგრაფი (მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერალი მოგვიტოვებს სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას). სრულ კატალოგს მე გამოვაქვეყნებ ეურნალში „ჯვარი ვაზისა“. დაბეჭდილი წიგნებიდან აღსანიშნავია: 1. „საქართველოს სამოთხე“, ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, სანკტ-პეტერბურგი, 1882, იშვიათია; 2. მეთვრამეტე საუკუნის ლითურღიული წიგნები; 3. მეცხრამეტე საუკუნის კათეხიზმოს კრებული; 4. პენთეკოსტარიონი; 5. ტრიოდნიონი დიდმარხვისათვის და სხვა.

15. ქართველებმა მოითხოვეს სკითი. ბერძნებმა ამაზე უარი უთხრეს. მათ არ დართეს ნება, რომ 1877 წელს იოანე მახარებლის სახელზე აშენებული ეკლესია ეკურთხებინათ; ის მხოლოდ 1918 წელს აკურთხეს ბერძნებისაგან მალულად. მაშინ, როცა ათონზე გაერთიანებული სამხედრო ჯარი შევიდა. ამასთანავე ბერძნების ბრძანებით არც ერთი ქართველი ბერი არ შეიძლებოდა მღვდლად ეკურთხებინათ. ამიტომ სენაკის ბერები იძულებული იყვნენ საქართველოდან მოეწვიათ მღვდელი. პირველი ქართველი მღვდელი აკურთხეს მაშინ, როცა თვით

ველესია აკურობეს, მაშინ ბერძნები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და ველარ გააძევეს ქართველები თვით ბერძენი პოლიციელების დახმარებითაც კი.

16. იხ. სქოლ. 2, გვ. 14, ჟურნალში „წვარი ვაზისა“ დავაშვიდავ იმ წიგნების კატალოგსაც, რომლებიც იქ დარჩა.

17. საცოდავმა ქართველმა ბერებმა წიამბეს, რომ „ღვთისმშობელს უქვრის ქვებოქტი და ის დაიცავს ჩვენს ქვეყანას, არ დაუშვებს, რომ ქართველების ხსენება გმწყტქქქქ სსსსტქქქსოა ერთი ეპიზოდი მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებიდან. ღვთისმშობლის დიდად დაფასებული ხატის ასლი გაათამაშეს, წილად უარეს; იგულისხმებოდა, რომ ის შეხვდებოდა ყველაზე უფრო ღირსეულ მონასტერს ათონზე. ქართველები მონაწილეთა სიის სულ ბოლოს იყვნენ მიწერილნი. მაგრამ ხატი სწორედ მათ ერგოთ. როდესაც ბერძნებმა ქართველები გააძევეს მონასტრიდან, მათ ნება არ მისცეს ქართველებს, რომ ეს ხატიც თან წაეღოთ.

18. პროტომარტირ სტეფანის სენაკში ვიპოვე ფურცელი, გვერდი 33-34, როგორც ჩანს ეს არის ნაწყვეტი ქართველების ისტორიისა ათონზე მეცხრამეტე საუკუნეში. აღწერილია კოტოშვილის ამბავი, გამოვატყვევებ მთლიანად ქართულ ენაზე.

19. ბენედიქტეს, ბესარიონ ქიქოძის და ილიას გარდა, ვიცით, რომ იყვნენ ბერები თევდოსი (თავადი ერისთავი) და მაცარი.

20. მეჩვიდმეტე საუკუნეში არქიებისკობოს ტიმოტეს აქ ექვსი ქართველი დახვდა (იოსელიანი, გვ. 79-83).

21. სამწუხაროდ, წმ. პანტელეიმონის მონასტერში ყოფნის დროს ვერ გავიგე მათი სახელები.

22. იხ. აგრეთვე ლუონტიევი, „ალიმენტ ცედეროლში ოპტინოდან“, მოსკოვი, 1882 წ. ილარიონის შესახებ გვ. 1-29, 1536 წელს ილარიონმა პროფესორ ჩუბინაშვილის თხოვნით შეადგინა ივერიის ქართული მონასტრის ხელნაწერების პირველი კატალოგი.

23. მომავალში დაწვრილებით უნდა შეისწავლონ სოფელი იურისო (ათონის მახლობლად) და ბაჩკოვო (იხ. ქვემოთ); — ქართული ტრადიციის თანახმად იურისოში ქართველები ცხოვრობდნენ. ისინი იქ ქართველმა მეფეებმა დაასახლეს. მათ ევალებოდათ მონასტრისათვის მუშაობა და თვალყურის დევნება.

24. ცონევი, სოფიის საჯარო ბიბლიოთეკის ძველი წიგნების და ხელნაწერების კატალოგი, სოფია, 1910. (ბულგარ.) გვ. 517.

25. გაზეთი „ცორა“, სოფია, № 4878; 2 ოქტომბერი, 1935, გვ. 5.

26. ცაგარელმა მოხსენება წაიკითხა 1887 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური სექციის სხდომაზე. სათაურია: ბულგარეთში სირკუს მიერ მოძებნილი ქართული წარწერების შესახებ.

ს. ს.
...
...
...
...
...

თარგმნა აკოპიანელი ვარტაგაჰაძე

ფრანცისკო გოია¹

ქვირო ვა შიშველ კლდეებს შორის მიიკლაკნება. შეიძლება ისე გაიარო ათეული კილომეტრი, სულიერი არ შეგხვდეთ დამაოსებელი ხვატი, მდინარეებს რომ აშრობს, დროებით გამჭოლი ქარებით იცვლება, რომლებიც დანაოკებული ლაბადის ქვეშ უინულოვანი საცეცხებით ატანენ და ფილტვებს კუმშავენ. გლენკაყის მარილიანი ოფლია დანთხეული ხორბლის უოველ თავთავზე, რომელიც არაგონიის ქვალორიან მიწაზე მოდის. ამ მხარეში ადამიანები ისეთები არიან, როგორადაც ისინი შექმნა მავრებთან ბრძოლამ, მონარქიის ომებმა და მძიმე გაჭირვებამ, რასაც ქვეყანა ხარკად მიართმევდა ფეოდალური იერარქიის ბრწყინვალეობას. ამ ქვეყნის ხალხი შკაცრი და ვაფაკური, ამაყი და ჭიუტია, მათი ხაჭმე და გართობა, გრძნობა და რწმენა დამაბული, გულისხმევიანი ვნებებითაა გამსჭვალული.

აი, ამ ქვეყანაში, ფუნდეტოდოსში, ხარაგოსის სამხრეთით, 1746 წლის 30 მარტს დაიბადა ფრანცისკო ხოსე გოია-ი-ლუსიენტესი. მამამისი ხელოსნად მუშაობდა ხარაგოსში. ძნელი ხარწმუნოა, მომვარაყებლის პროფესია შემოსავლიანი უოფილიყო, რამეთუ, როდესაც ფრანცისკოს მამა გარდაიცვალა, ქალაქის წიგნებში არავითარი ანდერძი არ იყო დატოვებული, რაკი საანდერძო არაფერი გაჩნდა.

გოიას დედა გაღარიბებული იდალგოს ქალიშვილი იყო, ერთი იმ აზნაურთაგანისა, რომელთაც, სერვანტესის თქმით, „აქვთ საგვარეულო შუბი და უძველესი ფარი, ჰყავთ გაძვალტყავებული ჩაგლაგი ცხენი და ფეხმარდი ძაღლი“.

გოიას ბიოგრაფიული ცნობები და ცხოვრებისეული სურათები შეიქმნა შეკვეთების, ფულის გადახდისა და დანიშვნათა მცირე რაოდენობის ოფიციალური საბუთებიდან, ბავშვობის შეგობართან გაგზავნილი შემოკლებული

მიმოწერიდან, შეგობართა და თაყვანისმცემელთა მცირერიცხოვანი მოგონებებიდან და ხოლოს ზეპირი გადმოცემებით, რომლებიც გოიას თანამედროვეებმა და მათმა შვილებმა შემოგვიწახნეს. ამ გადმოცემაში გამოიკვეთა სრულიად განსაკუთრებული, ლეგენდარული სახე დიდი ადამიანისა, მეტყვევები მოგვითხრობდნენ მის ნადირობაზე კახა დელ კამპოს ტყეში, მადრიდის მცხოვრებნი — მახები და ტორეადორები, მეფუნდუკეები და მათხოვრები გვიამბობდნენ არაგონელი გლეხის — „ბატუროს“ ისტორიას¹ რომელიც სამეფო კარამდე ამაღლდა, მოკლას უდაბნოს ტანჯვა-წამების ურუ მოწმის ისტორიას. ჩვენ წინ წარმოსდგება ახალი რომელიც ცოცხლად ატარებს XIX საუკუნის დასაწყისის ესპანელი ხალხის ეროვნულ ნებს...

გოიას ფერწერული მუშაობის დასაწყისი უკავშირდება ტრადიციულ გადმოცემას მახების² ზეპირი გადმოცემებისა და ქვევზე ნიშნებით გასაოცარი ოხტატობით ხატავდა ცხოველებს (მაგალითად — ღორს), და უცხო კავშირს უყრი შიპაყრო მის ნიჭს და დაეხმარა მის მოსულიყო ცხოვრებაში. თუმცა მონათხრობის უცნობის ვინაობას გვიმხელს, მაგრამ მისი ს. მართლვე საეკვო უნდა იყოს. მსგავსი რომანტიული ლეგენდა ცნობილია ისეთი სახელოვანი მხატვრების შესახებაც, როგორც არიან ჩიმაბუე, ჯოტო, მანტენია.

სინამდვილეში გოია 14 წლისა (1760 წელს) შევიდა ხარაგოსის საუკეთესო ფერმწერის, აკადემიური სკოლის ჩინებული მასწავლებლის ხუანა-ლიუხანი-მარტინესის სახელოსნოში, რომელიც ერთ დროს ნეაპოლში სწავლობდა. გოიას სიყმაწვილის დროის ნაბატებიდან მოწიფულობის ასაკამდე მხოლოდ ფუნდეტოდოსის ეკლესიის ფრესკები შემოგვრჩა, რომელთა შესახებაც 1808 წელს შეგობარს წერდა: „ნუ

1. იბეჭდება შემოკლებით.

„ტყვეთ, რომ შე დავხატე „გი“.

სკოლაში ხწავლების შესახებ გოიამ შემდეგში საკმაოდ უპატიოდ გამოთქვა აზრი, რომ „დიდი დრო დაეარგა ხუან მარტინ გოიკოერჩას სამხატვრო სკოლის თანაშორის კლასში და გრავიურების ასლების გადაღებაზე, რამაც მას არაფერი მიხცა, ვარდა საფუძვლიანი ზიზღისა უკველგვარი სასკოლო სიბრძნის მიმართ“. მაგრამ თუ გოიამ განხატურებულად სასამოვნო მოგონებები არ შემოინახა სკოლის წლებზე, სამაგიეროდ სარაგოსში ცხოვრების ექვსი წლის მანძილზე შეიძინა ერთგული და თავდადებული მეგობრები, რომელთაც მხოლოდ ხემაწვალეში თუ იპნენ მთელი ხიცოცხლისათვის.

ახეთი მეგობრობა გოიას აკავშირებდა ხუან მარტინ სპატერი-კლავერიასთან, რომელიც სიკვდილამდე, 1818 წლამდე, მისი გრძნობების შესაიღუმდე და მატერიალურ საქმეთა გამგებელი იყო. მათი მიმოწერები გახდა ძირითადი წყარო ჩვენი ცნობებისა გოიას ცხოვრების დიდ მონაკვეთზე.

ახალგაზრდა გოია არ იკეტებოდა სახელოსნოს კედლებში; უკველ შემთხვევაში, მისი მოწოდებების შესახებ თანატოლებთან ერთად კლექტორ განავარდებებში უფრო მეტი ვიცით, ვიდრე მის სასკოლო მეცადინეობებზე. გოიას მთელი ახალგაზრდობა გამსჭვალულია შინაგან ძალთა აფეთქებით, გაბედულებით, ახალგაზრდა კაცის იფგადასაულებსადში ხიყვარულით, რომელიც აღსავსეა არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით და მზურვალე ტემპერამენტით. სარაგოსში იხვე, რომ ორც ძველ ნოვგოროდში, ესპანელი ბიჭუნები მზგავსად მათი რუსი თანატოლები-სა. დაეკეტებოდნენ „მიჩრა-მიჩრით“ და ბრიყვული კედიდურობით აღგზნებულნი იცავდნენ თავიანტ კუჩის ღირსებას. ერთმა ახეთმა მუშტი-კრტიმა გადამწუპვეტი გავლენა იქონია გოიას ბიოგრაფიაზე.

გოიას იყო ერთ-ერთი მხარის წინამძღოლი ორ მემორაბირე ძალთა დიდი შეტაკებისა, რომლის დროსაც მოკლეს სამი უმაწვილი და დაკრეს ჯამრავი. ფრანცისკოს თავზე პირველად ჩამოწვა „წმინდა“ ინკვიზიციის არდილი. მის სახელს ჯვარი დაუსვეს „შავ წიგნში“ და დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით, 1766 წლის ბოლოს თუ 1768 წლის დასაწყისში, გადაწვიტა მადრიდში გადახულიყო. აქ ლიუნსანას სახელოსნოში იპოვა მფარველი და, შესაძლოა, მასწავლებელიც კი, უფროსი ამხანაგის ფრანცისკო ბაიეს სახით, რომელიც უკვე დიდი ხანია მუშაობდა დედაქალაქში და მადრიდის მხატვრებს შორის საპატიო ადგილი ეკირა, იყო იმ დროის ფერწერაში ესპანური კლასიციზმის უპირველესი წარმომადგენელი. ამიერიდან გოიას ბი-

ოგრაფია მთელი ცხოვრების მანძილზე მჭიდროდ დაუკავშირდა ხანებს, როდესაც რომელიც ფრანცისკოს ვარდა, შედეგობადა მისი ძმების — ნაკლებ ცნობილი ფერმწერებმა რამონასა და მანუელის და დის ზოსეფინასთან შემორჩენილა აგრეთვე მადრიდში მისი ყოფნის მანძილზე შექმნილი არც ერთი ნაწარმოები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებით სიმპათიება და მისწრაფებებზე. მადრიდში გატარებული ოთხი წელი აღსავსეა სერენადებით, ორთაბრძოლებითა და რომანტიკული თავგადასავლეთის ქაჭვით, რომლებიც პოლოს და ბოლოს მადრიდის მიწას მისთვის უკვე აუტანელს ზღიან და ინკვიზიციის დევნის მიშით, აიძულებენ ხელახლა იფიქროს დედაქალაქის დაუყოვნებლივ ტოვებაზე.

თავისი მოგზაურობის მიზნად გოია რომს ირჩევს. ხელშოკლე მამა ფულს ველარ უგზავნის შვილს... სიჭაბუკე და თვითდაცვის ინსტიქტი გზას კოულობს — გოია ტორეროდ შედის მოხეტიალე კორიდაში (ხარებთან მებრძოლ დასში) და რამდენიმე თვის მანძილზე მოგზაურობს ესპანეთის ქალაქებში. კორიდაში მონაწილეობამ გოიას მეტსახელი მოუპოვა, რომელსაც იგი სიამოვნებით ასახელებს რამდენიმე გვიანდელ წერილში — ფრანცისკო „ზარისა“. მანვე შესძინა გოიას ნაციონალური სპორტის პროფესიული ცოდნა, რომელიც ფართოდ გამოიყენა ოფორტებისა და ლითოგრაფიების შესანიშნავი ხერხების შექმნისას; კორიდამ მოუშვა და ნიადაგი მეგობრობას, რამაც იგი თავისი დროის უველა უპირველეს „დაშნებთან“ დააკავშირა და შესანიშნავ პორტრეტებში გამოსაბა. მაგრამ, შესაძლებელია, უველაზე მთავარი, რაც მხატვარს კორიდამ მიაგო, იყო საკუთარ თავში ვაგეაცური რწმენის ძალა, რომელიც აუცილებელია მებრძოლის ნებისყოფის აღსაზრდელად და რომლის ანარეკლიც ამაყად გაისმა მისე უკანასკნელი დღეების მეგობარი პოეტის ლეონარდო მორატინას მიმოწერებში: „გოია ამტკიცებს, რომ არენაზე უპირველესად დაშნით გამოვიდა და არავისზე ნაკლები არაა... ორი თვის შემდეგ ოთხმოცი წლისა გახდება“.

როცა საკმაო თანხა დააგროვა და ერთ ზღვისპირა ქალაქს მიაღწია, გოიამ დატოვა მოხეტიალე დასი და რომში გაემართა...

ჩვენ არაფერი ვიცით იმ საშუაოთა შესახებ, რაც მან იტალიაში შეასრულა, ვარდა ერთადერთი ცნობისა, რომელიც გამოქვეყნდა „მერკურ დე ფრანსში“ 1772 წლის იანვარში და გვამცნობდა, რომ 1771 წელს „პარმის კონკურსზე მეორე ჯილდო ესპიზისათვის — „ძლი-

ვამოსილი მანიხლი აღბეის მწვერვალადან პირველად ავლებს თვალს იტალიის ველებს", — ენიჭა ფრანცისკო გოიას, რომელს, ესპანეთის მეფის ფერმწერის — ბაიეს მოწოდეს".

ახალგაზრდა მხატვარი რომის ქუჩებში უფრო მეტად მიიზიდეს, ვიდრე მუზეუმის დარბაზებში, ხოლო მოგონებები მათ შესახებ აღიბეჭდა შემდგომ უანრულ სცენებში. მათში მელანდება გოიას ლალი ბუნება და ბორცნული ძალა. იტალიაში გოია ავიდა წმ. პეტრეს ტაძრის გუმბათზე და ზედ, ყველა ადრინდელ წარწერაზე მაღლა მიაწერა თავისი სახელი. მოინახულა ცეცილია მეტელის სამარხის ლავგარდანები...

გოიას რომში უოფნის ბოლო დღეების შესახებ არსებობს ლეგენდა, დეკამერონის ნოველას რომ მოგვაგონებს, რომელშიაც ფიგურირებენ რომის ერთ-ერთი მონასტრის მაღალი კედლები. მშვენიერი მონაზონი, მოტაცების უშედეგო ცდა, სახიკვდილო განაჩენი, მგზნებარე არაგონელს რომ გამოუტანა ტრიბუნალში, ესპანელი ელჩის ჩარევა და უკანასკნელ წუთებში სასჯელის დაუყოვნებლივი გაძევებით შეცვლა. ამგვარად, ნოველა ბედნიერად დასრულდა — 1771 წლის შემოდგომაზე, გამოცდილებით გამდიდრებული გოია, რომელმაც უკვე დაამთავრა სასკოლო წლებისათვის ჩვეული ხეტიალი, მზადაა დაიწესოს დამოუკიდებელი პროფესიული ცხოვრება.

ესპანეთის ფერმწერის „ოქროს საუკუნეში“ აღბათ არ იყო ევროპაში ქვეყანა, სადაც ხელოვნებას ისეთი პატივი რგებოდა, როგორც ესპანეთში. ეპოქის უდიდესმა დრამატურგმა კალდერონმა პირველობის გვირგვინი ხვდა ხელოვნებას მიაკუთვნა, როდესაც თქვა: „ფერმწერა — ესაა ხელოვნება ხელოვნებათა შორის, რომელიც მაღლა დგას ყველა დანარჩენზე, ხოლო ისინი ემსახურებიან მას“.

1882 წლიდან, მურცილიოს სიკვდილის შემდეგ, მთელი საუკუნის განმავლობაში ესპანეთში არ იყო მეორე დიდი ფერმწერი და ესპანეთის სამეფო კარი, თავისი ბრწყინვალეების უკვდავსაყოფად, ერთი ერთმანეთზე იწვევდა უცხოელ ოსტატებს.

ორმა წელმა, რომელიც გოიამ დაბრუნების შემდეგ გაატარა სარაგოსში, ვირხენ დელ პილარის ეკლესიის (მადონა სვეტზე) ფრესკებზე მუშაობაში განვლო, რომლებშიაც ჩანს ტიეპოლოს გავლენა, მაგრამ გოიას ფრესკები უფრო მკვეთრი და მძიმეა, ვიდრე ვენეციელის კოლორიტი. გოიას ბოლო დროის ფრესკებში, განსაკუთრებით კომპოზიციაში, შეიგრძნობა ბაროკოს სუნთქვა, ფერების დაყურსულობა, გაბედული რაკურსები და პერსპექტიული ეფექტები...

„სამი მახწავლებელი მყავდა: ველასკესი, რემბრანდტი და ბუნება“, — წერდა გოია თავისი კარიერის გაფურჩქვნის ხანაში ამ მახწავლებელთაგან პირველი 70-იანი წლების დასასრულს აღმოაჩინა, რომელმაც ბაიტაცა და მის შესწავლას არჩვეულებრივი მამკიდა ხელი. 1778-დან 1798 წლამდე გოიამ შეასრულა ოცდახუთი ოფორტი და რამდენიმე ხურათი, რომელთა ასლები ველასკესის ნახატებიდან იყო გადაღებული. ველასკესის ხურათებზე მუშაობამ გოია ჩამოაყალიბა, როგორც გრაფიკოსი, ამასთან აღზარდა მისი ფერმწერული რეალიზმიც.

გამუდმებული მატერიალური სიმწველებიდან თავის დახსნისაკენ მისწრაფებამ გოია აიძულა 1779 წლის დასაწყისიდან მოეპოვებინა სამეფო კარის მხატვრის თანამდებობა, მაგრამ მისმა მოწადინებამ დიდხანს ვერ გამოიღო შედეგი. ბოლოს, 1780 წლის 7 მაისს „კარცმისათვის“, რომელიც შესრულებული იყო მენგსის სკოლისათვის სრულიად მისაღები მანერით, გოია არჩეულ იქნა სენ ფერნანდოს აკადემიის წევრად.

იმავე წელმა გოიას პირველი უთანხმოებანი მოუტანა ფრანცისკო ბაიესთან, ვინაც, მენგსის სიკვდილის შემდეგ, ხელმძღვანელობდა სკოლას. როცა ფრანცისკო ბაიემ მიიღო შეკვეთა სარაგოსში ვირხენ დელ პილარის ეკლესიის მოსახატავად, რომელშიაც რამდენიმე წლის უკან დაიწყო მუშაობა გოიამ, ფრანცისკო ბაიემ თავისთან სამუშაოდ მიიწვია გოია და საკუთარი მხარამონა. მალე გოიასა და ფრანცისკო ბაიეს შორის თავი იჩინა უკმაყოფილებამ. ბაიე მოითხოვდა სრულ მორჩილებას, უკმუნად და ასირებულად აკრიტიკებდა გოიას ესკიზებს.

ამ დავამ გამოავლინა გოიას სიამაუე, ღირსების მაღალი გრძნობა და პროფესიული სიმწიფისა და დამოუკიდებლობის მტკიცე რწმენა. ფრესკები, რომლებიც დროებითი შერიგების შემდეგ შეასრულა გოიამ, მაინცადამაინც არ განსხვავდებოდნენ აკადემიური მეთოდებით შესრულებული ნახატებისაგან, ასე რომ, პით ვერ აიხსნებოდა ბაიეს თავდასხმის სიმძაფრესაუვედურის გამწვავების მიზეზი უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ დროს ესპანეთში გაისმა გაუპიროვნების აკადემიზმისეული გავლენის მენგსის გულცივობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა.

შესაძე წოდებას, პოლიტიკურ არენაზე რომ გამოდიოდა, თან მომქონდა გრძნობათა უშუალობისადმი ლტოლვა, სიცოცხლის სიყვარული და ეროვნული ხელოვნებისაკენ სწრაფვა.

რაც დრო გადიოდა, ეროვნული კულტურის დამცველნი გოიაში თავიანთ მხატვარს ხედავ-

დნენ და ამიტომაც დაუპირისპირეს იგი ხელოვნებაში გაბატონებულ მიმართულებას.

80-იანი წლების დასაწყისში ესპანური კლასიციზმის საუკეთესო ხუროთმოძღვარს ვენტურა როდრიგეს გოია შეჰყავს სამეფო კარის საზოგადოებაში. 1788 წელს მხატვარი დიდ წარმატებას აღწევს სასახლის კარზე და, უოვლისმძლე პირველი მინისტრის ფლორიდა ბლანკას იღბლიანი პორტრეტის შექმნით (რისთვისაც არასოდეს მიუღია გასამრჯელო), აღწევს მოწყალებასა და მფარველობას, აღის კიბის პირველ ხაფებურზე. რომელმაც დიდების, პატივისა და სარტიანი შემოსავლის გზაზე დააყენა.

1785 წელს გოია ინიშნება აკადემიის დირექციის წევრად, ხოლო მომდევნო წელს — სამეფო კარის გობელენის მანუფაქტურის მხატვრად. იღებს სურათების ახალ შეკვეთებს და ცდილობს შეუროგდეს ფრანციხო ბაიეს, რომელსაც, ამის აღსანიშნავად, პორტრეტს ჩუქნის.

სამეფო კარი ანებივრებს გენიალურ მხატვარს და ესპანეთის დიდებულნი მფარველობენ. რაკი დაუძღვევლი ხურვილი უჩანდებოთ მათ სახელებიც შემორჩეს მხატვრის ვალერეას, როგორც მათი წინაპართა სახელები შემოინახა საუკუნოდ ველასკესის პორტრეტებმა. განათლებულმა და ხელოვნების მფარველმა პერსოგ ოხუნას მეუღლემ გოიას შესთავაზა მისი სასახლე, ეს იყო 1786-87 წლებში. ნახატებით შეემკო.

ამ შეკვეთის წყალობით გოია გახდა მუდმივი სტუმარი ალამედის სასახლეში, სადაც ხალამობით ხელოვნების უამრავი წარმომადგენელი იკრიბებოდა.

80-იან წლებში გოია ქმნის აურაცხელი რაოდენობის პორტრეტს, რომლებშიაც ველასკესის რეალიზმი ებრძვის როკოკოს ნატიფ პირობითობას. ეს ბრძოლა მხატვრობაში, შეიძლება ვიფიქროთ, არის იმ ათწლეულისთვის დამახასიათებელი უკიდურესი მერყეობის უშუალო გამოსატულება. ხელოვანი ეძიებს თავის გზას, დროდადრო განრიდებულა, დაეხეტება ოფიციალური პორტრეტის გატკეპნილ ბილიკებზე, ვიდრე საბოლოოდ არ პოულობს ხაკუთარს. ის, რომ მისი პორტრეტები განსაკუთრებული სიციხოველითა და მხგავსებით გამოირჩევა, მათ შემოქმედს სულ უფრო და უფრო სახელდებულს ხდიან. წარმატება ტრიუმფში გადადის: 1789 წელს ახალი მეფე კარლ IV გოიას სამეფო კარის მხატვრად ნიშნავს.

გოია შეკვეთებით ხატავს მეფეს, პერსოგებსა და მინისტრებს, ხოლო მეგობრულად — ხუროთმოძღვრებს, მწერლებსა და ტორეადორებს.

ცამეტი წლის იყო გოია, როცა დაავადდა უურების ტკივილით, რომელიც 1792 წლიდან მძიმე სენად გადაექცა. 1792 წლის ერთ მონა-

კვეთში და 1794 წლის ბოლომდე თითქმის სრულებით არ შეეძლო მუშაობა. ^{ხოლო} 1794 წლის 25 აპრილს შეატყობინა ბაიემ გობელენის მანუფაქტურის დირექციას, რომ გოიას ისევ შეეძლო ფერწერაში ნელ-ნელა მუშაობა და ოფიციალურ სამუშაოთა შესრულებას უკუდმოუღობის ხანამ სრულიად შეცვალა მხატვრის ცხოვრება...

ავადმყოფობამ და მოახლოებულმა სიურუემ ვერ გატეხეს იგი, ვერ აქციეს პენსიისტად და მიწანთრობად; გოიამ ავადმყოფობის შემდეგაც არაერთი შესანიშნავი და ოპტიმიზტური ხასიათის სურათი შექმნა...

ახლადნაავადარმა სან-ბერნარდის ქუჩაზე მუდრო სხვენი დაიქირავა, დაღა საბეჭდო დაზგა და გარეშეთა მოურიდებელ თვალთაგან მოფარებით შეუდგა ოფორტების პირველ სერიაზე მუშაობას, რომლებმაც შემდგომში განადიდეს მისი სახელი.

აქ აღარ მოდიოდნენ აბეზარი მნახველები, მეცენატები, შემკვეთები — გოიას სახლი მუდმივი სტუმრები. აქ მოეხვედებოდა მხოლოდ მეგობართა უველაზე ვიწრო წრეს. აქ შეიქმნა ხარკაშითა და ტკივილებით, ქირდვითა და აღშფოთებით აღსავსე სახეები, რამაც უველაზე თამამი ფანტასტიკა ხაოცარ რეალობასთან შეაერთა. ოფიციალური შეკვეთებისაგან თავისუფალი გოია ოთხი წლის მანძილზე მუშაობდა და 1797 წელს დღის სინათლეზე გამოიტანა თორმეტი ნამუშევრისაგან შემდგარი ოფორტების სერია „კაპრიჩოს“ („ტირვეულობანი ანუ ფანტაზიები“). ეს იყო საბრალმდებლო აქტი ბურბონთა მონარქიის უველა ბურჯის, ეკლესიისა და დიდგვაროვნების, აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული.

XIX საუკუნის დასაწყისი გოიამ განსაკუთრებულად ნაყოფიერად მუშაობაში გაატარა შეასრულა ოფიციალური შეკვეთების უწარმოზარი რაოდენობა, რომელთა შორის უველაზე უფრო მნიშვნელოვანია სულისშემძვრელი რეალიზმით შექმნილი კარლ IV ოქახის პორტრეტი; მადრიდის კულტურული ფენების, მეგობარ მსაბიობთა, მხატვართა და მწერალთა მრავალრიცხოვანი პორტრეტები; ათობით ესწრული კომპოზიცია და ბოლოს, იმავე წლებში დაბტული — ჩაცმული და შიშველი „მახები“...

მაგრამ გოიას უველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეობა განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს იყო მშობლიურ ადგილებში მოგზაურობა, რამაც მისცა მდიდარი მანალა ოფორტების სერიებისათვის — „დესასტრე დე-ლიაგერა“ — „საშინელებანი ანუ ომის უკუღმართობანი“.

1808 წლის I ივლისიდან 6 აგვისტომდე გაგ-

რქელდა ქალაქ ხარაგოხის პირველი ალყა ფრანგების მიერ.

მაგრამ მოალყენი უკუგდებულ იქნენ და ალყაც მოიხსნა...

1808 წლის დეკემბერში, თავად ნაპოლეონის ესპანეთში მოხელის შემდეგ, ალყა იხევ განახლდა და მომდევნო წლის თებერვალში ხარაგოხს დაეცა. მართალია, ქალაქი აღებულ იქნა, მაგრამ დიდება დამარცხებულებს ეკუთვნოდათ.

პირველი ალყის შემდეგ გოია, მხატვარ ხილი რანსისთან ერთად, ესტუმრა ხარაგოხის და ხარაგოხის მოსაზღვრე რაიონებს. ხარაგოხში ყოფნისას გოიამ შექმნა უამრავი ესკიზი, ქალაქის დამცველთა მამაცობას რომ განადიდებდნენ. მაგრამ ეს ნაწარმოებები დაიღუპა მეორე ალყის დროს, რამაც ქალაქი პირწმინდად აღგავა პირისაგან მიწისა.

ამ ნაწარმოებთა ერთადერთ გმირად გოიამ აირჩია თავისი საცოდავი და გმირი ხალხი. მას შეეყავართ ბრძოლის შუაგულში და სისხლიანი შეტაკებისა და საშინელი უბედურების მონაწილედ გვხვდის; გვაძულეებს ვღელავდეთ და განვიცდიდეთ ესპანელ ხალხთან ერთად, არ გვაძლევს საშუალებას, წუთით მაინც გულგრილნი დავრჩეთ ისტორიის წინაშე, რომელიც ჩვენ თვალწინ იქმნება...

1813 წლის ივლისში, ვიტორიასთან დამარცხების შემდეგ, თითქმის ექვსწლიანი პარტიზანული ომებით გაცამტვერებული არმიის ნაშთებით მარშალმა სულტმა ზურგი უჩვენა ინგლის-ესპანეთის ჯარებს და საფრანგეთის მიწაზე დაიხია. აგვისტოში დაეცა საფრანგეთის უკანასკნელი საურდენი პუნქტი ესპანეთის მიწაზე — ხან-ხებახტიანი და პამპლონა; 1814 წლის 12 მარტს აიღეს ბორდო, ხოლო 18-ში ნაპოლეონმა ესპანეთში გაუშვა ფერდინანდ VII იმ იმედით, რომ მისი სამშობლოში მიხვლა არეულობასა და საბელშიწიფო საქმეების სოშლას გამოიწვევდა. ეს კი უწრუნველყოფდა ნაპოლეონის ხიმშვიდეს, უკიდურეს შემთხვევაში, ხამხრეთ ფრონტზე მაინც.

„კანონიერ მეფეს“ დიდი აღტაცებით შეხვდნენ, მაგრამ თავისი პირველი ღონისძიებებით მან დაამტკიცა ნაპოლეონის ვარაუდების სისწორე. ნაპოლეონი მხოლოდ ერთ რამეში შეცდა: უკვე ძალიან დაგვიანებული იყო და არეულობას ესპანეთში აღარ შეეძლო მისი უკანწახული საქმეების წაღმა დატრიალება.

დაიწყო რეაქციის თავაწყვეტილი თარეში და ბევრნი, რომლებიც თავიანთი ქვეყნის თავისუფლებას იცავდნენ, დაიღუპნენ მახვილით მოშთობილნი ან სიცოცხლის გადასარჩენად საზღვარგარეთ გაიქცნენ.

მეფეს პირდებოდა უდიდესი მხატვრის ფუნქცი და გოიამაც აღიდგინა თავისი წინადაზნი, შეასრულა ოფიციალური შეკვეთები. ათობით პორტრეტში შეჩვენა უდიდესი მხატვრის დალი დაახვა ესპანელი ხალხის მწვალებელს. გოიამ იგი გამოსახა „მეფური“ იერსახის ტუტუპური, ვერაგული და შეაკრი უბადრუკობით, დეგენერატული შუბლით, ბორცმოქმედის თვალებითა და შავი ხშირი წარბებით.

მოხუც მხატვარს მძიმე დრო დაუდგა: ცოლი და საპატრი უკვე რამდენიმე წლის უკან გარდაიცვალნენ, ნოველიანოსიც ვერ მოესწრო თავისი პოლიტიკური იდეების დამსხვრევას. საუკეთესო მეგობრები განდევნეს, ხოლო ესპანელ ხალხი, რომელსაც თავისი ხელოვნება მიუძღვნა გოიამ, დამონებული აღმოჩნდა...

ფერდინანდის დაბრუნებამდე ცოტა ხნადრე გოიამ ქალაქგარეთ, მანსარეხის მარჯვენა ნაპირზე, კასა-დე-ლა-კამპოს ახლოს აიგო პატარა სახლი. მისმა მეზობლებმა ამ სახლს „კინგა დელ-სორდო“ — „ურუს სახლი“ შეარქვეს. გოიას ერთადერთი ვაჟიშვილი დაქორწინდა და საკუთარ სახლში ცხოვრობდა.

დასრულდა დიდაცური და ფუქსავატური ცხოვრება. მარტოხელა მოხუცის პატარა მეურნეობას უძღვებოდა შორეული ნათესავი ქალი — ლეოკადია სერვილია ვეისი, რომელიც თავის პატარა ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა მის სახლში.

აქ, ამ განაპირა სახლის სიმუდროვეში, იმ ვნენ უკანახკენელი შესანიშნავი ოფორტები „დე-სასტრესი“, გაუგონარი ძალით რომ ამათრახებდნენ პოლიტიკურ რეაქციას და აღიდებდნენ ხალხს. აქ შეიქმნა ფანტაზმაგორული, ამოუცნობი ალერგორიების ოფორტთა სერია — „დისპარატესი“ — „ურვეულობანი“.

1819 წლის ბოლოს გოია მძიმედ გახდა ავად. სიკვდილისაგან ექიმმა პრიეტომ იხსნა; მადლობის ნიშნად გოიამ ექიმს საჩუქრად პორტრეტი მიართვა. სურათზე რრთავენი იყვნენ გამოსახულნი. სიტყვას არ შეუძლია გადმოსცეს ავადმყოფის საბეზე აღბეჭდილი ტანჯვა და თანაგრძნობით აღსავსე ურადლება ექიმის სახესა და პოზაში.

ჩვენ არაფერი ვიცით ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც რამდენიმე წელი გაგრძელდა, მაგრამ ვიცით, რომ ინტერვენტების ექსპედიციისა და ესპანეთის თავისუფლების ჩაბშობის შემდეგ გოია იძულებული გახდა ერთბოვად ნებართვა, ექვსი თვით სამკურნალოდ წახულიყო საფრანგეთში, პლომბერის წულეებზე. ეს ნებართვა სამეფო კანცელარიამ გასცა 1824 წლის 30 მაისს.

გოიას ბორდოში მიხვლის შესახებ პირტი

მონატრის, რომელიც ამ ქალაქში იყო განდევ-
ნადა, ერთ ხერხთა ნაცნობს წერდა: „გოია
ხანაშლიდელში ჩამოვიდა ურუ, მონუცი, უმწეო
და ხუხტი, ამ იცის არც ერთი ფრანგული სი-
ტყვა და არა მყავს მონაშხახურე (რომელიც არა-
ვახთვის ისე ხატირო არაა, როგორც მიხთვის),
მაგრამ ძალიან კმაყოფილია და გამსჭვალულია
ხამყაროს ხილვის სურვილით...“

აღსავსება შემოქმედებითა მოუხვეწრობით...
ბევრს ხატავს ლითოგრაფიულ ქვაზე; ქმნის
უამრავ პორტრეტს, რომელთაც სიაშაყით აწერს
თავის ახაკს, ხოლო მეგობრებს უცხადებს, რომ
ტიციანოვით მშ წლამდე იცოცხლებს.

1828 წლის მაისში მონუცი მხატვარი, მიუხედა-
ვად მეგობართა წინააღმდეგობისა, მარტოდმარ-
ტო ბრუნდება მადრიდს.

მეფის დავალებით კარის მხატვარი ვიხენტე
ლოპესი ხატავს მის პორტრეტს, რომელზედაც
ვხედავთ მონუცს, მაგრამ კეთილ გოიას „მეფის
პირველი მხატვრისათვის“ ესოდენ შესაფერისი
მალაღი საყულოთი, ხელში პალიტრითა და ფუნ-
ჯებით.

გოია მთელი ძალით განაგრძობს მუშაობას,
ეძებს ახალ შემოქმედებით გზებს, მაგრამ ეძა-
ლება ასაკობრივი დაღლილობა და უღონობა.
აღშფოთებითა და ბუზღუნით ეუბნება მუდამ
მომთმენსა და უურადლებიან თანამგზავრს ან-
ტონიო ბრუნადას: „მთელმა ქვეყანამ უნდა გა-
იგოს, რომ მონუცი გოიას აღარ შეუძლია სი-
არული, აღარც არაფერი ესმის“. ბრუნადამ
გოიასაგან შემკვიდრობით მიიღო პალიტრა, რო-
მელიც მოწიწებით შეინახა დიდი თანამემამუ-
ლის ხსოვნის პატივსაცემად.


მიბრწინელ სხეულში არხებობას აგრძელებ-
და გრძნობათა გაუგონარი ძალა: ხახიბარულო
მდეღვარებაში, რაც ერთადერთი და უხაყვარ-
ლები შეილის — კხვერის ჩამოსვლის ცნობამ
განაცდევინა, იგი ლოგინად ჩააგდო და უკა-
ნასკნელი ძალები გამოაცალა.

შვილის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემ-
დგა, 1828 წლის 18 აპრილს, გოია გარდაიცვა-
ლა.

ასე განვლო ცხოვრების გზა ამ შესანიშნავმა
მხატვარმა, ასე გაიწარდა იგი, როგორც ადამია-
ნი და შემოქმედი...

გოიას სიკვდილით არ დამთავრებულა მის
ნაწარმოებთა სიცოცხლე. მსოფლიოში არ ყო-
ფილა მხატვარი, რომელსაც XIX-XX საუკუ-
ნების ყველა ხელოვნებაზე ისეთი გავლენა მო-
ეხდინოს, როგორც გოიას. თავის სიტყვაში,

რომელიც პოლ უაშომ — დუვრის მკვლელი —
გოიას გარდაცვალების ახი წლებთან გამო
წარმოთქვა, ასე დააბახიათა მისი მნაშენელობა:
„ახი წლის მანძილზე, როცა ნაფრანგეთს უპირ-
ველესის პატივი ხვდა წინააღმდეგობაში,
ჩვენში არ ყოფილა არც ერთი ორიგინალურ
შემოქმედი, რომელიც გოიას შემოქმედებიდან
არ გამოხულიყო. წარსულის საუკეთესო გოიამ
მომავლის საუკეთესოსთან შეაერთა. იგი უიშვი-
ათესია და უმშვენიერესი და ეს უნდა ითქვას.
...არის ფერწერა გოიას შემდეგ ისევე, რო-
გორც არის ფერწერა რუბენის შემდეგ“.



ამსხვრევს რა აკადემიურ კანონებს, რომელ-
მაც თავის დროზე აღადგინა ეროვნული უანრის
ხელოვნება, დაკარგული რომ იყო „ოქროს
საუკუნის“ ესპანელი ფერმწერების უდიდეს
ოსტატთა ხუხტი მემკვიდრეების მიერ, გოიას
ბოლოს და ბოლოს იერიში მიაკვს აკადემიზ-
მთვარ ციტადელზე და აყენებს საბოლოო და
შემშუსვრელ დარტყმას. ამ საუკუნეში მხატვრე-
ბი ადამიანის სხეულს განყენებული რეცეპტ-
ბით, აბსტრაქტული პროპორციებით, სკოლაში
დაწეპირებული შაბლონებითა და არახწორად
გაგებული ანტიკური სილამაზით გამოხატა-
დნენ. გოიამ შექმნა „მახები“. ამ ნახატების
შესრულების ვითარება ღღემდე ზუსტად არაა
გარკვეული. „ჩაცმული მახას“ განმეორება კო-
წის ზუსტი შენარჩუნებით, მაგრამ შიშველი
სხეულით, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მხატ-
ვარს სურდა ამ ორი სურათით სრულად გადმო-
ეცა ქალის მშვენიერების საკუთარი ხატი. ამის
ისიც მოწმობს, რომ „შიშველი მახას“ თავი დახა-
ტული იყო სხვა ორიგინალებიდან, სხეული კი
სხვისაგან. თავისა და სხეულის შეერ-
თების აშკარად წარუმატებელი დასაწყ-
ის კვალი, სრულის დამაჭერებლობით
ნაპოვნი და დადგენილ იქნა მხატვარ სო-
ტომაიერის მიერ რამდენიმე წლის უკან. ყველა
სურათში იგრძნობა აკადემიური პრინციპების
უარყოფა: შუქრდილი, გარსმოვლებული და
რბილი ხაზები. ზუსტად მოკვლეული ფერთ
რეფლექსები; ხიყვარულით დაწერილი მახალა;
მაგრამ უფრო თავისებურია სხეულისა და ხა-
ხის ხაზთა ნაციონალური პროპორციები, რომ-
ლებიც ვერ უთავსდებიან აკადემიური სილამა-
ზის კანონებს: მსხვილი თავი ქუდითა და მუქი

გრუზა თმით, ვიწრო სახის ფაქიზი ოვალი, დიდ-
რონი თვალები სქელ წარხებქვეშ, პატარა პი-
რი; გრძელი, მოქნილი სხეული ვიწრო წელიც;
განიერი თქოებიტა და პატარა, მოყვა-
ნილი ფეხებით.

ორთავე სურათი დაბატულია 1813 წელს
გოიასათვის ჩვეულ მოწითალო-მოყავისფრო
გრუნტზე.

„მახების“ ფერწერულმა ღირსებამ, სახის,
ხაზისა და პროპორციების რეალისტურმა გაგე-
ხამ მოუპოვა მათ სრულიად განსაკუთრებული
ადგილი მსოფლიო ხელოვნებაში ქალთა სხეუ-

ლის მშვენიერებისადმი მიძღვნილ კმნილებათა
შორის...



როდესაც თავისუფლებასადმი სრულყოფილი და
ჩაგვრისადმი ზიზღი ახალი ძალით აღანთებს ად-
მიანთა გულებს, როდესაც რევოლუციურ აჯან-
ყებათა რისხვა-ღვართქაფი ჰაერს ავსებს ხოლ-
მე, მაშინ, როგორც „კოლოხი“ მის ოფორტზე,
მალა იწვევა გოიას უდიდესი და გულმართა-
ლი, ტრაგიკული და ოპტიმისტური შემოქმე-
დება.

□

ლეონ იანიშვილის თბილისში

(იანიშვილი — მთარგმნელი, კრიტიკოსი, ნარკვევების ავტორი)

თარგმანი ამირან კენჭაძემ

პოლონელ პოეტებს შორის რომლებიც მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ცხოვრობდნენ, განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა ლეონ იანიშვილი (1810-1861). იანიშვილმა თბილისში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო ოცი წელი.

ლეონ იანიშვილი დაიბადა პოლონეთის ქალაქ კალიშში.

აქ გაატარა ბავშვობისა და ყრობის წლები. 1829 წელს ის შედის ვარშავის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში წარმატებით თარგმნის ბერძნულიდან და ლათინურიდან.

1841 წლიდან ლეონ იანიშვილი საქართველოშია (მისი თბილისში დასახლების მიზეზი არ არის ცნობილი). თბილისში უოფნიხას პოეტიკომანტიკოსი იანიშვილი — ავტორი მრავალი ლექსისა და დრამატული პოემისა, რომლებიც ამდროინდელი პოლონეთის პერიოდიკაში ქვეყნდებოდა — თითქმის მთლად ჩამოშორდა პოეტურ მოღვაწეობას. აქ იგი აქვეყნებს ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, თარგმნებს.

ეს შრომები ძალზე ხაინტერესო უნდა იყოს ქართველ მეცნიერთათვის, ვინაიდან მათში გვხვდება ორიგინალური ცნობები XIX საუკუნის 40 და 50-იანი წლების საქართველოზე გარდა ამისა, ისინი შუქს ფენენ პოლონეთისა და საქართველოს მეგობრობის ხაწყის პერიოდს.

ამ პერიოდის უველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ჩვენ მიგვაჩნია ნარკვევი „მოხილვა

ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავისა მთაწმინდაზე თბილისში“ (ვარშავის ბიბლიოთეკა, 1848, ტომი 2.). ნარკვევი დაწერილია 1848 წლის თებერვალში, ე. ი. საქართველოში ავტორის დასახლებიდან ერთი წლის შემდეგ. ეს თხზულება ორმოციანი წლების პოლონური პუბლიცისტიკის მონაპოვარია: ნარკვევი პოლონელებს აცნობს მათგან დაშორებული და მათთვის უცნობი საქართველოს ნამდვილ ხურათებს.

პირველ რიგში უურადღებას იქცევს ნარკვევის დოკუმენტური მხარე, ავტორი ორ ძირითად ბერძნულ-მიმართავს: ნატურიდან ხატვას და რეალიების დეტალურ ახსნას. „უინტახტიკური ქართული ზამთარი თითქოს აქავრებს ცხელ ზაფხულს“. — წერს ავტორი და ახეთ ზუსტ ხურათს გვიხატავს: „თბილისის მთავარი ქურთა ფაქტიურად არის დაღმართი, რომელიც მთაწმინდიდან მტკვრისაკენ ეშვება. აი, რატომ მომიხდა აღმართის დაძლევა უკვე პირველი ნახეტიბიდანვე, როცა გიმნაზიის შენობის ახლოს მდებარე ვიწრო, უამრავ სახლებშუა მოქცეულ ქურთას დავადექი“. მართლაც გახული საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში დღევანდელი რუსთაველის გამზირი არ არსებობდა და მთავარი ქურთა ქალაქს ხეგრძეზე კი არ გახდევდა. არამედ სივანეზე — მთიდან მტკვრისაკენ.

იანიშვილი დიდ უურადღებას უთმობს გრიბოედოვის საფლავის აღწერას. ის პოლონურ ენაზე თარგმნის ქართულ და რუსულ წარწერებს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება. ამ წარწერებით უკეთ გადმოცემის მიზნით, მას ლათინური

ნურა ასობით გადააქვს ორიგინალები. ამგვარ „ნატურალიზმს“ იანიშვილსა თვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ის თავის თანამემამულეებს ეგზოტიკური სამყაროს აბსტრაქტულ სურათებს კი არ აცნობს, არამედ იმ ქვეყანას, რომელსაც რეალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტი აქვს. აღწერა იანიშვილსა თვის ნიშნავს ინფორმაციის მიცემას, ცოდნის გამდიდრებას.

იანიშვილის ნარკვევი „მონაზულება გრიბოედოვის საფლავისა...“ არ არის ნანახის უშუალო გადმოცემა; ის არც შემუშარისტის აღსარებაა. მასში უკვე გაერთიანებულია ყველა ის ელემენტი, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე პუბლიცისტური ნაწარმოების სტრუქტურას: ავტორი ეძებს ობიექტურ საბუთებს თბრობის ხერხთა პათოსის გამართლებისათვის.

ეურნალობისტიკისა და პუბლიცისტიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა იანიშვილის ნარკვევმა „თბილისში მოგზაურობით შთაგონებული სახეები და აზრები“ (1841), რომლის ფრაგმენტებიც გამოაქვეყნა ვილნიუხში, ეურნალ „Ruban“-ში (1849, ტ. 10).

ნარკვევი ეკუთვნის იმ ეპოქის მეტად პოპულარულ ეანრს — მგზავრის წერილებს. კავკასია იანიშვილს მოძრაობაში, დინამიკაში აჩვენა. მწერალი აღფრთოვანებულია დიდებული მთებით, თერგის მძვინვარებით, ჩანჩქერთა ფერებით. მაგრამ პოლონელი პოეტისათვის კავკასია არ არის მხოლოდ ბუნება. იანიშვილის ურადლებას აპრობს ხალხის უოფა. პოეტს აოცებს ის კონტრასტი, რომელიც არსებობს ბუნების სიმდიდრესა და აქაურ მცხოვრებთა სიღატაკს შორის: ვიწრო ბეობაში, — წერს იანიშვილი, — სადაც ძლივს ეტევა გზა და თერგი, მისი ფლატებიანი ნაპირების გახწვრივ ცხენები და ცხვრები ძოვენ, შიშველი ოხი ბავშვები კი გზას გვიღობავენ და მოწყალებას ითხოვენ“.

იანიშვილის არც „რეპორტიორის“ მოვალეობა ავიწყდება: ის პოლონელებს აწვდის ცნობებს კავკასიასთან დაკავშირებულ საკირბოროტო საკითხებზე, პოეტი თანაუგრძობს ოსებს და ინგუშებს, რომელთა გამოსვლებიც ჩაბშობილ იქნა. მას მოხწონს „შეამბოხე“ ჩეჩნები, მაგრამ რადგან ცენზურის პირობებში პირდაპირ ვერ გამოხატავს ამ თანაგრძობას, იგი პოულობს ლირსეულ გამოსავალს. ქეშმარიტ პოეტურ პათოსს როდია მოკლებული მისი სიტყვები: „შიუვალი ტყეებისა და მთების მკვიდრი ველური სიძულვილით იმზირება, ამ სიძულვილს

იზიარებს თავად თერგი, რომელიც მილექავს და აჩანავებს აქაურობას; ამ სიძულვილს იზიარებს ყაზბეგი — ის ზეგარდმოავლურს ხოლმე ზვავს...“



პირველივე წერილი, რომელიც იანიშვილის სიკვდილის შემდგომ ეურნალ „Encyklopedya Gouszeczna“-ში გამოქვეყნდა 1883 წელს, მნიშვნელოვან ურადლებას უთმობს პოლონელი მწერლის მთარგმნელობით მოღვაწეობას, მიიჩნევს რა, რომ პოეტმა ამ საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა მშობლიურ ლიტერატურაში.

როგორც აღვნიშნეთ, იანიშვილს აღრე დაიწყო თარგმნა, მაგრამ ეს ანტიკურობით გატაცებული სტუდენტის თარგმანები იყო. თბილისში მას შესაძლებლობა ეძლევა გახწიოს განმანათლებლური მუშაობა, რომელსაც მთელი თავისი შემოქმედებითი ძალები შესწირეს მისმა ახალმა თანამებრძოლებმა — „კავკასიის ჭგუფის“ მწერლებმა. იანიშვილი იწყებს პუშკინის „ბოშების“ თარგმნას. ეს თარგმანი მალე დაიბეჭდა ვარშავაში (1842 წ.) და „მთარგმნელის დიდ წარმატებად“ ცნეს.

კავკასიაში მცხოვრები ხზვა პოლონელების მხგავსად იანიშვილი დარწმუნდა, რომ სლავების უკეთესი ხვედრისათვის მხოლოდ პოლონელები როდი იბრძვიან. ის ხედავდა, რომ რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი გამსჭვალული იყო თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეებით. „ბოშების“ თარგმანის წინახიტყვაობაში იანიშვილი წერდა: „პუშკინი თავისი ქვეყნისათვის იყო პირველი ხავხებით გახავები, პირველი ხაყვარელი პოეტი... ის იყო სევდისა და თმენის დიადი პოეტი“.

თბილისში უოფნისას იანიშვილი აქვეყნებდა წერილებს ადგილობრივ პრესაში. მან ბევრი გააკეთა ქართული კულტურისათვის. პოლონელი ლიტერატორი გახლდათ ევროპული ყაიდის პირველი მუსიკალური კრიტიკოსი. ვეცდები ზოგადად მაინც ვაჩვენო ამ რეცენზიათა დიდი მნიშვნელობა. თავისი ნარკვევებით იანიშვილი აცნობდა პოლონელებს კავკასიის ხალხთა ცხოვრებას, რეცენზიებით კი ადგილობრივი ინტელიგენცია შეპყავდა ევროპული კლასიკური და თანადროული მუსიკის სამყაროში. კრიტიკოსი საინტერესოდ ესაუბრებოდა თბილისელებს შემსრულებლობით ოსტატობაზე, იმ პროფესიულ პრობლემებზე, რომლებიც დგას მუსიკოსის წინაშე, იანიშვილის რეცენზიები

ხელს უწყობდა ადგილობრივი მუსიკალური ძალების გამოვლენასა და ზრდას.

მევიოლინე პარისის მაგალითზე, რომლის გასტროლებმაც წარმატებით ჩაიარა თბილისში, იანიშვესკი განმარტავდა, თუ რა როლს თამაშობს ხელოვნებაში ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, თუ რითი განსხვავდება შემოქმედება ხელოსნობისაგან.

იანიშვესკი აღწერს მექანიკურ და ხელოსნურ საქმიანობას კომპოზიციის დარგში. კომპოზი-

ტორ რეისინგერის მაგალითზე ის აჩვენებს ეპიგონობის მოვლენებს მუსიკაში, განმარტავს მათ ბუნებას.

ლუონ იანიშვესკიმ თავისი შემოქმედებით საპატიო ადგილი დაიკავა მხოლოდ კოლონურ ლიტერატურაში. მისი ნაწარმოებები დამსახურებულად უნდა ახსენებდნენ ყოველთვის, როცა ლაპარაკია იმ წვლილზე, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში სხვა ხალხების შესანიშნავმა წარმომადგენლებმა შეიტანეს.



საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი

საქართველოს სსრ

საქართველოს სსრ



ფრანსუაზა ზოთა

ზოთაზა ზოთა